114
1971

# მნათობი

114

# 50

81

1971 5

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 47-ე — № 5 — მაისი 1971 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო


11636

## შინაარსი


გალაკტიონ ტაბიძე — რევოლუციურ საქართველოს. ლექსი . . . . . . . . 3
შალვა ფორჩხიძე — ლექსები . . . . . . . . . . . . . . 4
გიორგი პაპუაშვილი — ლოტო. მოთხრობა . . . . . . . . . . 10
აკაკი გეწაძე — ჰიმნი საქართველოს მზეს. ლექსი . . . . . . . . 38
ანდრო თევზაძე — ორლესული. რომანი. პირველი ნაწილის დასასრული . . 40
ვახტანგ გორგანელი — ორმოცდაათი. ლექსი . . . . . . . . . 73
ბეგლარ მუჯირიშვილი — გზა ბილიკიდან იწყება. მოთხრობა . . . . 75
კალე ბოგოხიძე — რა მაწუხებდა, რა მახარებდა. ნაწყვეტები პოემიდან . . 93
დოდო ზურაბიშვილი — „სიკვდილისათვის არა გვცალიან“ . . . . . . 97
შოთა ნიშნიანიძე — აქილევსის ქუსლი და ფარი. ნაწყვეტები პოემიდან . 106
გიორგი გიგაური — ლექსები . . . . . . . . . . . . . . 131


### კრიტიკა და პუბლიცისტიკა


სერგი ავალიანი — მატერიის კატეგორიის ლენინური განსაზღვრება . . 133
ალ. ირემაშვილი — ვ. ი. ლენინის მუშაობა წიგნზე . . . . . . . . 143
ნიკოლოზ ჯაში — ლიტერატურისა და ხელოვნების ხალხურობის ლენინური პრინციპი . . . . . . . . . . . . . . . . 147
ბელა ხაითიძე — მხატვრული ლიტერატურისა და ლიტერატურული კრიტიკის საკითხები გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე ომისშემდგომ ხუთწლედში 153
ილო ბექანიშვილი — თიანეთის რაიონის მშრომელთა რევოლუციური ბრძოლა 1917-1921 წლებში . . . . . . . . . . . . 162
დ. მგელაძე — საბრძოლო იარაღებისა და მასალების ფარული წარმოება საქართველოში 1906-1907 წ.წ. . . . . . . . . . . . 165


საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

## ფაქტები, მოგონებანი

სიმონ ციცქიშვილი, გიორგი ხორგუაშვილი — პლატონ იაშვილი და მისი რაზმი . . . . . . . . . . . . . . . 173

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წიგნების მიმოხილვა

გ. გამსახურდია — ნაშრომი ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების საწყისებზე . . . . . . . . . . . . . 183
არჩილ შიშმანაშვილი — ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაურის“ ერთი ადგილის გაგებისათვის . . . . . . . . . . . . 185
შალვა რადიანი — რომანი საქართველოს შორეულ წარსულზე . . . . . 187

მთავარი რედაქტორი ელგუჯა მაღრაძე

სარედაქციო კოლეგია:
ირ. აბაშიძე, დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, მ. ლებანიძე, ბ. ჟღენტი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი (პ/მგ. მდივანი), ხ. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ვ. ჭულუკიძე, ო. ჭილაძე, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ტექრედაქტორი რ. ჩაკვეტაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11, პ/მგ. მდივნის — 93-55-18, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 23/III-71 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/V-71 წ., ანაწყობის ზომა $7^1/_4 \times 12$, ქაღალდის ფორმატი $70 \times 108^1/_{16}$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 16,8. სააღ.-საგამომცემლო თაბახი 18.
უე 02025. ტირაჟი 13.450. შეკვ. № 1140.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გალაკტიონ ტაბიძე

# რევოლუციურ საქართველოს

რევოლუციურს, ჯერ არნახულს, ჯერ არგაგონილს,
უდიდესს თავის ნებისყოფით, გმირულს უაღრესს,
თვალწინ გადაშლილ გარდატეხათ უდიადეს აზრს,
მრავალი ათას მტკიცე ძაფით დაკავშირებულს;
აღფრთოვანებას მასებისას, მილიარდიან
ძლიერ ტალღებად რომ მიდელავს ახალის ძალით,
უსასტიკესი დაჟინებით რომ ანგრევს კარებს
მილიონების უფართოეს ჰორიზონტებთან;
ნგრევას, ო, ნგრევას, დაუნდობელ ნგრევას ძველისას —
კარჩაკეტილი ცხოვრებიდან გავიდეთ მზეზე;
ულმობელ ტრიალს ისტორიის მედგარი ბორბლის,
რევოლუციურ საქართველოს —
ნახტომს უდიდესს, უზარმაზარს, განსაცვიფრებელს,
რევოლუციურს, ჯერ არნახულს, ჯერ არგაგონილს,
ვაშა ამ ახალ საქართველოს, ვაშა შენებას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალვა ფორჩხიძე

# ჩ ვ ე ნ ი   პ ა რ ტ ი ა

ეძინა რუსეთს და კავკასიას,
კარიდან კარად ისმოდა კვნესა,
ადგა, სინათლით ცა დაარწია,
ამირანივით ცეცხლი დაკვესა!

დაბალ ქოხებში ღამე ათია
და ისე შესძრა სასახლე ზამთრის...
ჯერ დაგვილოცა გზა და პარტია,
მერე შეტევა გვასწავლა მკაცრი!

ჩამოვიარეთ სამშობლო მხარე,
შიმშელ ბავშვთათვის თავი გავწირეთ,
ცაზე მშიერი ყვინთავდა მთვარე,
ქვეყანა დუღდა ცოდვის საკირედ...

წინ წავიმძღვარეთ ჩვენ მისი აზრი,
არ შევეპუეთ დამსჯელთა რაზმებს,
გულის ფიცარზე არ გვაჩნდა ბზარი,
ნათელი რწმენით ვტენიდით ვაზნებს.

არც დღე, არც ღამე არ დავიძინეთ,
ვიდექით თოვლში სისხლიან ტერფით,
ცივი ბორკილის ვზიდეთ სიმძიმე
და შევაშფოთეთ რუსეთი მეფის...

. . .

ოჯახისა და ბავშვების ბედზე
სამშობლოსათვის ხმალზე ვილოცეთ,
გამოვეთხოვეთ ცოლსა და დედებს
და ამ ფერთათვის დავდეთ სიცოცხლე.

ჩვენი მდუღარე ალალი სისხლი
გაშლილ ტრამალებს ახლაც ატყვია,
არ გვეშინოდა მტარვალთა რისხვის,
შენ გვასწავლიდი, ჩემო პარტია!

წინ მიგვიძღვოდი რწმენით ნათელით
და მივდიოდით თამამად ქარში,
რუხ ფარაჯებში ღამეს ვათევდით,
რეკდნენ ზარები საბრძოლო მარშით.

ჩვენ გრიგალებმა სად არ გვარწია,
ეძინათ ბავშვებს და მოხუც დედებს,
ჩვენ არ გვეძინა, ჩემო პარტია,
სამშობლოსა და მშრომელთა ბედზე.

ბნელ სარდაფებში კოცონს ვანთებდით,
და როცა მეფის ტახტი დაემხო,
ჩვენ შენი რჩევით მტერს არ დავნებდით,
რევოლუციის გვიხშობდნენ ექოს...

აშკარა იყო ღალატი მათი,
მათ ხალხის საქმე ისევ დაბურდეს,
ათასნაირი მელური ფანდით
ჩვენი ქვეყანა ურცხვად გაქურდეს...

მეფის მაგივრად კერენსკი დაჯდა,
ვიწვოდით მშიერ ბავშვების ცოდვით,
მათ არ ესმოდათ მშრომელთა აჯა,
აღარც ჩვენ გვქონდა დრო მეტი
მოცდის.

ავამუშავეთ მზა ზარბაზნები,
მტერს კვლავ ვეკვეთეთ მძიმე
შურდულად,

მათ გადაიცვეს ქალის კაბები
და გაიპარნენ სადღაც ქურდულად.

შევაღეთ კარი ზამთრის სასახლის,
ჩადგა გრიგალი დენთის კასრების,
დედებს თვალებზე შეაშრათ ცრემლი,
სახლში დაბრუნდნენ ჯარისკაცები...

. . .

და გადაიქცნენ გუთნისდედებად,
მოშალეს ყველა ყანის სამანი,
ბაღ-ვენახებში ჩადგნენ გედებად,
ფერი ათრობდათ იასამანის.

წყაროს თვალივით დუღდა ცხოვრება,
არ დავასვენეთ მაჯა ძლიერი,
ვიწყეთ სიახლის შრომით მოკრება,
გამოიცვალა ხალხმა იერი.

თვლემდნენ ბეღლები ავსილი პურით,
ველად გახშირდა ქშენა ტრაქტორის...
მაგრამ შენიშნა მტერმა და შურით
ჩვენზე აღმართა ბინძური ტორი.

არ დააყოვნეს ჩვენმა მხედრებმაც,
შიშით გონება არ დაფანტვიათ...
გზა დაგვილოცეს ისევ დედებმა,
აღსდგა ხალხი და ხალხის პარტია!..

ვერ გვაკავებდა ყინვა და თოვლი,
მტერს თავს დავატყდით მძიმე
ღრუბლებად,
წმინდათაწმინდა უმეტეს ყოვლის
გადავარჩინეთ თავისუფლება...

. . .

ახლა აქ წითლად ზეცა რომ იწვის
და სიხარულით ვართ აფრენილი,
კვლავ ჩვენთან არის და ჩვენებრ იღწვის
დიდი საქმისთვის დიდი ლენინი.

ბრწყინავს მაისი ათასი ფერით,
ცაში დროშების ცეცხლი ანთია,
ეს ყოველივე და ყველაფერი
შენი მადლია, ჩემო პარტია!..

შენ აგვისრულე, რაც კი ვინატრეთ, —
შთამომავლობა იტყვის ამაზე...
მაშ გაუმარჯოს მზეს და სინათლეს
სამარადისოდ ამ ქვეყანაზე!

ორმოცდაათი გასულა წელი
და ყვავილებში ნებივრობს ქარი...
მოაქვთ ბარაქა მთისა და ველის
და გამარჯვების გუგუნებს ზარი!

ვაშა სიკეთეს, რწმენას დიდება,
ჩემო პარტია, გზა დაგვილოცე,
სამშობლოსათვის, თუ დაგვჭირდება,
შემოგვიწირავს შენთვის სიცოცხლე!

შენს დღეგრძელობას სამშობლო მღერის,
ჩვენ გულში შენი სხივი ანთია,
ეს ყოველივე და ყველაფერი
შენი მადლია, ჩემო პარტია!..

## ცხრაასხუთელთა გახსენება

ჩვენ ვაღვიძებდით მძინარ იმერეთს,
ჩვენ მეამბოხე კაცები გვერქვა!
არც შეგვრეოდა თმაში სითეთრე,
ისე გადავყვეთ ქარიშხლის ფეთქვას...

ახლა სიზმრებში თუ გელანდებათ
ჩვენს ღრმა თვალებში მზე ჩახატული,
სივრცეს დროშების ცეცხლი ედება
და ფერთა წარღვნა დგას გაზაფხულის.

ეს აქ სინათლედ ჩვენ დავიფერფლეთ,
ქარში არ დაცხრა მშფოთვარე სული,
ჩვენ ჭრილობები აქ გავიმთელეთ
და ამოვბრწყინდით სხივად წარსულის.

ჩვენ არ გვქონია სიმდიდრე მეტი,
ვტეხდით ღამეებს, ვდგებოდით
ცისკრად,
და ათენებდა, ვით ნათლის სვეტი,
იმერეთის ცას გაზეთი „ისკრა".

ჩვენ მის სიწმინდეს აქ ვეზიარეთ,
ჩვენ აქ ვუნგრიეთ მტერს ბოგირები,
და განვიცადეთ სიტკბოც, სიმწარეც
ციმბირის ყინვის და ბორკილების.

ისე გადავყეთ ქარიშხლის ფეთქვას,
არც შეგვრეოდა თმაში სითეთრე,
ჩვენ მეამბოხე კაცები გვერქვა
და ვაღვიძებდით მძინარ იმერეთს...

* * *

აქ განახლების გრიგალებმა დაჰბერეს
ოდეს,
შეირყა ბურჯი მონური ყოფის,
სისხლით ჩარეცხეს მდინარის კბოდე
და არა ერთი გავარდა თოფი.

უკან დახევას ვინ იკადრებდა,
თავისუფლებას დაუდგეს ტახტი.
დადგნენ გლეხები ბარიკადებთან
თოფებით, ცელით, კომბლებით,
ლახტით...

დაიძრნენ მარშით და სიმღერებით,
დროშა ქარბუქში ძირს არ დახარეს,
და გადაიქცა ეს იმერეთი
მარსელიოზას უცნაურ მხარედ!..

ჯარისკაცივით აბჯარასხმული
მწვანე სერებზე მოდიოდა თავისუფლება,
იწვოდა ღამე ცეცხლით
მუცელგადაღადრული,
ცა კი ჰყვაოდა ნაზ ალუბლებად.

ილანძებოდნენ თოფის კვამლში შორი
ქედები,
და ოცნებობდნენ სხვა ქვეყანაზე...

დროშები სისხლით შეღებილი
თუ შეკერილი
იმერულ ოდებს ჰფენდნენ სინათლეს.
იმოსებოდნენ თეთრად დედები,
რამეთუ მაშინ აქ, გრძელ შარაზე,
მხნედ და თამამად ხმალშეღერილი,
მეომარივით დადიოდა თურმე
სიმართლე.

მთებში ქარივით სწავლობდნენ ფრენას
და ძირს იგებდნენ ბალახს მოცელილს,
თვალებში ენთოთ ახალი რწმენა,
აღარ სჯეროდათ ძველი ლოცვების.

ბრძოლის გრიგალმა დაჰბერა ოდეს,
საყდრის ხატები დაფუტუროვდნენ,
სისხლით ჩარეცხეს მდინარის კბოდე,
კვამლში ცხენები დაფრუტუნობდნენ.

უტევდნენ მარშით და სიმღერებით,
ტყვიების ცეცხლით მთები დათხარეს...
და გადაიქცა ეს იმერეთი
მარსელიოზას უცნაურ მხარედ!

* * *

ოქტომბრის ფერებით ჰყვავის
გაზაფხული,
და მაღალ კორდზე გადაფენილ
ყვავილთა თოვლით
განათებულან იმერეთის შორი ტყეები
და ივსებიან იის წყალით ცის
სიღრმეები...

ქარს მინდვრებიდან მოაქვს სილბო
და სიმყუდროვე
ატმის რტოებზე ანთებული წითელი
ფიფქის.
და, როგორც ნატვრა
თუ მოფერება,

ცხრაასხუთელთა საფლავებზე ია
მოსულა
და იმერეთი თენდება ლურჯად!..

გადმოდის პირქვე ცას იის წყალი
და ნაზ ფერების უხვ მდინარეებს,
თითქო ერთბაშად სადღაც მიაქვს
ეს იმერეთი...

მათი თვალები გაოცებას ველარ
მალავენ —
და ამორბიან სერზე გლეხები!
. . . . .

და ახსენდებათ ამ ნანგრევებთან,
როგორ ისხავდნენ ტანზე იარაღს,
ოდეს ბრძოლის წინ ბებერი მნათე
თუჯის ზარებით უხმობდა სოფელს...

იყო ომი და დიდი ხანძრები,
მერე ყოველი აღსდგა ფერფლიდან...
დგანან და გულში ლოცავენ დიდხანს
ცხრაასხუთელთა ფესვმაგარ მოდგმას!

* * *

კორდიდან კორდზე, ბორცვიდან
ბორცვზე,
როგორც მაღალი სანთლის ღერები,
გათეთრებული სამრეკლოები
დგანან და ქარში ფანტავენ ლოცვებს...

საყდრის ეზოში საფლავის ქვები
ისე მოჩანან მაღალ ბალახში,
თითქო კრავები შესეოდეს გასათიბ
მწვანეს
ანდა ხარების თეთრი ჯოგი
მინდორში ძოვდეს.

ამ მძიმე ქვებქვეშ წვანან ლომები,
საფლავებიდან მათი სული ამოდის
ლურჯად.

აქ მათი სისხლიც ზე ამოჩქეფს
ყაყაჩოებად
და ეფინება მიდამოს წითლად...

აქ მათ კრებები ჰქონიათ ღამით,
მუხის რტოებზე აუნთიათ თურმე
დროშები,

განთიადისას დაშლილან და...
მერე ჭალებში
შებინდებამდე ყანები უხნავთ!..

გვიან დაღლილნი ჩამომსხდარან
ამ ცაცხვების ქვეშ,
დროშების შუქზე წაუკითხავთ
ცხოვრების სიბრძნე,
უოცნებიათ, უფიქრიათ ბრძოლის
ამინდზე
და კვლავ სამშობლოს
მომავალზე ჰქონიათ განსჯა...

* * *

აქ მზე იბრწყინებს თვინიერი უმეტეს
ყოვლის,
ცაცხვის ფოთლებში გადაიღებს
შხაპუნა ოდეს,
იჟივჟივებენ საყდრის ჩიტები
და იტკარცალებს წითლად ასკილი...

დაიძახებენ გუგულები შორს კაფე-თესქს,
და ამწვანებულ საფლავის ბორცვით
ჭალის ნისლივით შენი სული
ამობოლდება
და მოედება იმერეთის ნაზ სერებს
ლოცვად.

აინთებიან კოცონები მაღალ სერებზე,
ნიავს აჰყვება ტყვიების ბოლი,

სადღაც ჭალებში შენი ცხენი
აჭიხვინდება
და გაიღვიძებ ლამაზ კორდზე
მიძინებული...

შემოგეყრები ვენახის ბოლოს,
წისქვილებისკენ მიმავალი საღამოისას,
სველ ბალახებში შენი სული
აფართქალდება
და დავიღვრებით სამშობლოს ლოცვად.

მოვეფერებით იმერეთის ანთებულ
სერებს,
რის სიყვარულიც მე მაგიჟებდა,
ვივლით ჭალებში გაღიმებული
და ვიოცნებებთ სხვა გაზაფხულზე...

სადღაც ბილიკზე გადაირბენს შენი
ხატება,
წამოგეწევი, შეგაჩერებ წამით მეომარს,
და გამინათებს იმერეთის უნაზეს
სერებს
შენი მახვილის ცივი სინათლე.

* * *

თითქო იწვოდნენ იმერეთის ლურჯი
სერები
და შენს ნაზ სულში მწუხარების
კოცონი ენთო.
კრთოდა ვენახი, გაზაფხულის მზით
ნაფერები,
საყდრებში ხატებს ფერი არ ედო!..

ცხენის ფლოქვის ქვეშ ჩაჭკნა ყლორტი
ათქვირებული,
მტერს ქალები და შენი მშვიდი ეზო,
აეკლო...
და მაღალ კორდზე გაფითრებული
ზეცას მწირივით შებღაოდა თეთრი
სამრეკლო...

იწერდნენ პირჯვარს და გამკაცრებით
მტერთან წამითაც აღარ დაზავდნენ...
სოფელს ძარცვავდნენ მეფის კაცები
და მოხუცები ჭიშკარს რაზავდნენ...

კარებს გმანავდნენ შიშით ბაღლები,
ისხდნენ დედები თმაგაწეწილი,
შორს იმერეთის ზეცის თაღებიც
იფერფლებოდა, თითქო კვამლით
ჩამოძენძილი...

მერე, თოფის ხმა რომ აღარ მიწყდა,
დასკდნენ ზარები გრიგალებში
ეკლესიათა,
ვიღაცას გულზე აყრიდნენ მიწას
და კაკანებდა ტყიდან სიათა.

კრთოდა ვენახი, გაზაფხულის მზით
ნაფერები,
ფოთლებს ფერფლი და ჭვარტლი რომ
ედო,
თითქო იწვოდნენ იმერეთის ლურჯი
სერები
და შენს ნაზ სულში მწუხარების კოცონი
ენთო...

* * *

მეამბოხენი გრგვინავდნენ ისე,
ვით მამაჩემის თოფის ვაზნები...
ცა დაეფარა კვამლსა და ნისლებს,
კეთილშობილი სწუხდნენ ვაზები.

იხიზნებოდა სოფელი ტყეში,
ტიროდა დედა და ვაზის ტოტი,
დედას აკვანი ეჭირა ხელში,
სადღაც ღელეში კიოდა ჭოტი.

მაშინ დაატყდა ჩვენს ეზოს მეხი,
გარს შემოერტყნენ შავრაზმელები.
მამამ გაასწრო სულ ერთი ფეხით,
ვერ პოულობდნენ კვალს მაძებრები.

ტყეს შეეფარა მამა წიფორის,
როდი დანებდა მტერს შერცხვენილი,
ვაგლახ, დაფარა ჭვარტლმა მინდორი
და აჭიხვინდა ცეცხლი ცხენივით.

კვამლით ხმებოდნენ ეზოს ხეები
და ვეღარაფერს ვეღარ ვშველოდით.
დედა, შენ გახსოვს ბრძოლის დღეები,
იჯექი ბინდში და მზეს ელოდი.

დაგვიწვეს სახლი, სავსე ბეღელი,
ჩელტის ნალია, მუხის ჭიშკარი.
და მაინც დავრჩით, დედა, დღეგრძელი,
ეზოს სისხლისფრად ათოვს ცისკარი.

აწ ფერი შვენის იისფერ ნისლებს,
კეთილშობილი ჩვენი ვაზების,
და სტრიქონებიც ფეთქავენ ისე,
ვით მამაჩემის თოფის ვაზნები...

* * *

დამესიზმრება ჩვენი ეზოს ლურჯი
ყვავილი...
ჩიტების ხმებით და ირმების შორი
ბღავილით

აყვირდებიან იმერეთის დიდი ტყეები,
გაიღვიძებენ გაზაფხულის თეთრი
დღეები...

შენს გაშლილ მკერდზე აფეთქდება
ასკილის ტოტი
და შეირხევა ხავსიანი საფლავის ლოდი.

ბალახის ფესვებს ამოჰყვება ლამაზი
სული,
გამიცოცხლდები ჟამისაგან
გადანისლული...

შევხედავ კედელს, ჩამომწყდება
რაღაცა გულზე
და ობობას ქსელს მოვაშორებ მაუზრის
ბუდეს.

გამოვალ გარეთ, მივეყრდნობი ბოძებს
ურთხელის
და სადღაც ბინდში ცხენს გაკრული
ცხრაასხუთელი —

ბატონს ჩაუშლი მხიარულ ნადიმს,
გადაუქროლებ ჭალებს და სათიბს,

გამოიძინებ ოქროსფერ ძნებთან
და დილით მწყობრში ჩადგები
ძმებთან..

* * *

ოდეს გაღრჩობდა ცხელი და მწარე
შავრაზმელების თოფების ბოლი,
ნეტავ სოფელი ჰყვაოდა მწვანედ
თუ ეზოებში კვლავ იდო თოვლი.

თითქო სახურავს ურტყამდა კოხი,
სახლში ცვიოდა ტყვია რკოსავით,
დაცხრილულიყო პატარა ქოხი,
ტიროდნენ ბაღნი დაუმოსავნი.

ტყვიას ვერსაით ვერ გაასწარი,
შენს კერიაზე დაგაკლეს კაცი,

ბუხრის კამარას დააჩნდა ბზარი
და ქარიშხლები ღმუოდნენ მკაცრი.

დაწვეს ქოხი და შენი ცხედარი,
არ დაგრჩა კვალიც სისხლიან ტერფის,
მაგრამ ხსოვნაში ცოცხლობ მხედარი,
ნეტავი ქარებს სად მიაქვს ფერფლი?

ოდეს იფეთქებს აპრილი ქარში
მიწას დაფარავს ყვავილთა თოვლი,
შენ გიგონებენ სოფელში მაშინ
და თითქო თვალებს სწვავს თოფის
ბოლი...

* * *

აფეთქებულან ლურჯად კვირტები,
მოუტანია მზეს გაზაფხული.
შენ ჩვენს მშვიდ ეზოს რად აკვირდები,
შეშინებული და დაზაფრული,

რად გელანდება კოცონი, დედა,
და დაფერფლილი შენი სახლკარი,
ამოირეცხე თვალებში სევდა,
არ გამახსენო ძველი ზღაპარი.

ჩემი გულივით ფეთქავს აპრილი,
შენი თმის დარად ზეცა თენდება,
ატმის ტოტებში სხივთა არილი
დატკარცალებს და სოფელს ედება.

არ გაიხსენო ძველი წუხილი,
მტერი მოსისხლე და დამღუპველი...
შენს ძველ ეზოში დადის ქუხილით
შთამომავალი ცხრაასხუთელის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი პაპუაშვილი

# ლოჭო

## ვინ იყო ლოჭო

ზედმეტი სახელი ყოფილა ლოჭო. ნამდვილ სახელად ივანე რქმევია. იგი სოფელ კაკანას სერში დაბადებულა და გაზრდილა. ორი საუკუნის მიჯნაზე მისი წამქცევი დედამიწის ზურგზე არავინ ყოფილა, მაგრამ, რაკი თავის მოუსვენარ ჭაბუკობაში ყველა მოჭიდავე ნაცემიცა ჰყოლია, მის ქებას გაურბიან: ქურდის შვილი იყო და მეტი არაფერიო. ტყუილი უყვარდაო. ანდა, შარისთავი და მოჩხუბარი იყოო.

მოჭიდავე? მოჭიდავე როგორი იყო? თუ ამას იკითხავთ, რომელიმე დაგვალული ბერიკაცი თვალებიდან წირპლს ამოიცლის და მცირეოდენი ხვნეშის შემდეგ გიპასუხებს:

— როცა მინდოდა, მაშინ წავაქცევდი იმ თქვენ ლოჭოს, ცოტა რომ ამ მშინებოდა. — მერე ერთხელ კიდევ ამოიხვნეშებს და გააგრძელებს: — ის რომ არ ყოფილიყო, ჩვენს სოფელში კოლმეურნეობა არ ჩამოყალიბდებოდა. ჰოდა, ჩემი თაფლა და შვინდა დღესაც შინ მეყოლებოდნენ.

— ეგ რომელ თაფლაზე და შვინდაზე ლაპარაკობს? — ჩაერევა ვიღაცა.

— რომელზე და... კოლექტივში რომლებიც შევლალე.

— გუშინდელ დღესავით მახსოვს კოლმეურნეობის ჩამოყალიბება, მაგრამ შენ იქ თაფლა და შვინდა კი არა, თიკანიც არ შეგიყვანია. კბილებჩამტვრეული ხელეჩოს მეტი არაფერი შეგიტანია და ისიც ჩვენებიანთ ზურაბას სამჭედლოდან იყო მოპარული. — ჩაიხითხითებს სხვა ბერიკაცი და საერთო მხიარულება გამეფდება.

ამასობაში ძალიან კარგად იგებ, ის დაგვალული კაცი როგორც წააქცევდა ლოჭოს.

ასეა თუ ისე, ფაქტი ის არის, რომ ლოჭოს წამქცევი არავინ ყოფილა. ამას მოჭიდავეები კი არა, რიგითი ადამიანები ამტკიცებენ, ისინი, რომლებთანაც არც უჭიდავია ლოჭოს და არც უჩხუბია.

ერთხელ, მგონი, სანდრო კანდელაკსაც დასჭიდებია. კამეჩის ბუღებივით უბუღრავიათ თითქმის მთელ საათს, მაგრამ რაკი ვერც ერთს ვერ წაუქცევია, გაუშველებიათ. ამბობენ, თვითონ გაშველდნენო. თორემ მათ გაშველებას, ალბათ, მთელი სოფელიც ვერ შესძლებდა.

შეუდარებელი ცეკვა სცოდნია ლოჭოს და ქარიშხალზე სწრაფი ყოფილა. ამბობენ ტყვია ვერ ეწეოდაო. ერთხელ ზეიანის ზეგანზე ყაჩაღები დასევიან, მაგრამ რამდენი ტყვიაც უსვრიათ, იმდენჯერ გვერდი უქცევია ლოჭოს და აუცდენიაო. ცეკვის დროს თურმე ჯარასავით დატრიალდებოდა და, როცა ჩაბუქნავდა, ქუდი ისევ ჰაერში ტრიალებდა. უფრო მეტიც: ბუქნაბუქნით წრეს შემოუვლიდა და ქუდის ქვეშ მივიდოდა, აიშლებოდა და ქუდი თავზე დაეხურებოდაო.

ამბობენ, სამმეტრიან კედელზე ხელის დაურტყმელად ხტებოდა, ხოლო სიგრძეზე ნახტომს ვერავინ გაზომავდაო. ბარემ ოცს დაითვლიდით, სანამ ის ჰაერში მიფრინავდაო.

ისეთი ღონიერი ყოფილა, გუთნის ხელნას რომ ჩაეჭიდებოდა, რვა უღელი ხარ-კამეჩი ნაბიჯს ვერ გადასდგამდაო, ან ხელნა უნდა მოსტეხოდა გუთანს, ან ტაბიკები დამტვრეულიყო, ანდა ღვედი გაწყვეტილიყოო. ერთხელ თივის ზვინიდან ურემს დასწევდენია და ხარიან-კაციანად ჰაერში აუტაცია. ერთხელ კიდევ თბილისს ქვემოდან, სადგურ ველთან მოდენილა, დაუნახავს, რომ ერთი ცხენოსანი თავის ცხენიანად რკინიგზაზე გამოჩენილა და გადასვლა ვეღარ მოუხერხებია. მატარებელი კი თურმე სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა. გაქანებულა ლოჭო, ცხენიანად აუტაცია მხედარი და გზის იქით გადაუგდია. კიდეც გადაუგდია და კიდეც მოსდგომია მატარებელი. ამბობენ, მატარებელი გააჩერეს და ლოჭოს სამი ოქროს მანეთიანი აჩუქესო. იმ მხედარსაც დიდი მად-

ლობა გადაუხდია და კარგი ჩოხა-ახალუხიც უყიდნია. იქიდანვე წაუყვანია ქალაქში და რიყის ბაზარში უშოვია მისი სარგო ჩოხა-ახალუხი.

ლოჭოს ერთადერთი იმედი მაშო ყოფილა — თავისი მეტრონახევარი სიმაღლის გაკენკილი და ბუწულია ცოლი. შორეულ ნათესავთან რომ წავიდოდნენ, გზაზე თურმე ხელში აიყვანდა მაშოს და მასპინძლის სახლს რომ მიუახლოვდებოდნენ, მაშინღა ჩამოსვამდა. სტუმრად წასვლა კი ძალიან ჰყვარებია: კაცი ან უნდა ქეიფობდეს, ან ყანას მკიდეს და ან ერთობოდესო. ქეიფსა და ყანის მკას რასაც ეძახდა, ამას ახლავე მოგახსენებთ, ხოლო გართობაში რასაც გულისხმობდა, ამაზე კი ცოტა ქვემოთ გიამბობთ დაწვრილებით.

ქეიფის დროს თურმე ერთი ცხვარი და ერთი ჩაფი ღვინო მაინც სჭირდებოდა საკუთრად. დაიდგამდა ღვინოს დიდი გოზაურით, ასხამდა თიხის ორჯამიანზე და წრუპავდა დაგემოვნებით. ცხვარი კი რვა-ათ ნაჭრად უნდა გაეჭრა და ისე მოეხარშა საძროხე ქვაბში. მერე, მდუღარე წვენიდან შიშველი ხელითვე ამოიღებდა, ძვალს გულიანად ჩაავლებდა მაჯის სიმსხო თითებს და ერთი გასმა-გამოსმით თურმე მთელ ზარკალს გასულეპავდა. ყანის მკას ხომ ნუღარ იკითხავთ: ხუთი დღის ნახნავი ერთ დღეში უმკია, უფრო მეტიც. ყანის მკა იმიტომ ჰყვარებია, რომ ბარაქიანიაო. ადამიანის ვაჟკაცობა ომში, ჭამა-სმა და ყანის მკაში გამოჩნდებაო. გუთნით ხვნა კეთილი საქმეა, მაგრამ ხარების უკანდევნა მიძნელდებაო. ბარვის კაცი ხომ ჭირივითა სჯავრებია გუთნით მაინც წინ-წინ მიდიხარ, გულს უხარია და როგორმე აიტან, მაგრამ მბარავმა რა ქნას, რომ უკან-უკან მიდისო. უკან-უკან მავალი კაცი აშენებული ვის უნახავსო. ზურგისკენ გაქცეული კაცის ნაბიჯს რა ბარაქა აქვს და მბარავის ნამუშევარს რა ბარაქა ექნებაო. ამიტომაც ასე უკეთებია; ბარვასა და ხვნაში თურმე სხვებსა შველიობდა, ხოლო მკაში კი თვითონ შველოდა სხვებს. ამას გარდა, რაც კი ქვრივ-ობლებს სამკალი ჰქონიათ, ლოჭოს სამუშაო ყოფილა მთლიანად.

ძილი თუ აკლდა, საქმეს არ შეუდგებოდა, ძილზე კურთხეული ღმერთს არაფერი გაუჩენიაო. როცა რაიმე საქმის გაკეთება ეჩქარებოდა, ჯერ გამოიძინებდა და მერე შეუდგებოდა საქმეს. ძილის დროს ხელ-ფეხიც ისვენებს და თავიცო. რასაც უძილო კაცი ერთ კვირაში გააკეთებს, გამოძინებულს ერთი დღე დასჭირდებაო.

შუადღისას თურმე ხელს არ გაატოკებდა: აბა, აიხედე, ნიავსაც კი სძინავს და მე ვინ მუდრეგი ვარ, სიჩუმე დავარღვიოო. შუადღისას გემრიელად უნდა ისადილო, დაწვე და დაიძინოო. გადაგრილდება და ოთხ იმდენს გააკეთებო. გლეხკაცის სამუშაო დღე დილა-საღამოაო.

ერთი ახირებული ჩვევა ჰქონია კიდევ: მაშო ყველგან თან დაჰყოლებია: სათიბსა თუ სამკალში, მინდორსა თუ ვენახში. თურმე ყანის თავში კოჭურივით წამოსკუპებდა პატარა ქვაზე და თვითონ კი ყანას ბოლოდან მოუქცეოდა. გავეშებული შეესეოდა სამკალს და მალ-მალე შეეხმიანებოდა:

— მანდა ხარ, მაშო?

— აქა ვარ, ივანე!

— მანდა ხარ და... აი, მეც ახლავე მანდ ვიქნები! — ეტყოდა და მართლაც რამდენიმე წამში იქ გაჩნდებოდა.

იჯდა ჩრდილში მაშო, ჰქსოვდა წინდას და ღიმილით უსმენდა ყანის შარიშურს. რამდენ სვესაც ამოიტანდა, იმდენჯერ სიამოვნებით გაუცინებდა თავის ახირებულ ქმარს და ლოჭოსაც მეტი არაფერი სდომებია. უხაროდა ლოჭოს, ასეთი ერთგული ცოლი რომ ჰყავდა, უხაროდა მაშოსაც, ასეთი ლომი ქმარი რომ ეგულებოდა.

— ამირანი ღონიერი იქნებოდა თუ შენ? — ჰკითხავდა ცოლი, როცა ლოჭოც ჩრდილში ჩამოისვენებდა.

— ვინ ამირანი?

— აი, ზღაპარში რომ არის.

— ამირანს ქრისტე-ღმერთიც კი ვერ მორევია და მე როგორ შევედრები. ამირანის ტარება მიწასაც კი უმძიმდა, დედაკაცო.

— როსტომ ჭაბუკი?

— როსტომ ჭაბუკს მოვერევოდი. იმიტომ რომა... ის ხომ ზურაბმა წააქცია და ვითომ მერითი ვარ ნაკლები. ის რომ დიდი ვაჟკაცი ყოფილიყო, არც ზურაბს მოჰკლავდა და არც შავარაზს გაუხდებოდა ყმად. ნაცარს ავფშრუკავ, იმას შევჭამ და ყმად კი არავის გავუხდები.

გამოთავდებოდა ყანის მკა. ლოჭო კერასთან ჩამოჰყრიდა გრძელ მკლავებს და ცოლს ეტყოდა:

— დედაკაცო, რა ცოტა საქმეა, ეი, ქვეყანაზე. აჰა, ყანის მკაც მოვათავე, ახლა რაღა გავაკეთო?

— საქმეს რა გამოლევს, წადი და შეშა ჩამოიტანე.

— იი, შენცა სთქვი რამე. შეშის ჩამოტანას რა უნდა.

წავიდოდა, დაითრევდა უღელი კამეჩის სათარს, ჩამოიტანდა და დააგდებდა ეზოზე.

— აჰა, ეგეც შეშა!... ახლა რა გავაკეთო? რაც წლეულ დაგვჭირდება, ის მითხარ, თორემ სამემრისოდ ხელს არ მოვკიდებ. დაგროვილი ეშმაკისაა.

— თივა რომ დაგრჩა ამოსატანი ჭალიდან?

წავიდოდა ლოჭო, თივასაც ამოიტანდა და ისევ მაშოს ეახლებოდა:

— ახალს რაღას დამავალებ? შენი ხმალი და ჩემი კისერი. გინდა აი, ეს მთა მოვგლიჯო და ჩვენს ეზოზე გადმოვიტანო?

— იი, გაგიწყალდა გული. მთა რა თავში უნდა ვიხალო?! ახლა დაწექი და დაიძინე!

— დავიძინო?.. არა, წავალ და ქვრივ-ობლებს დავეხმარები. დათვი ზამთარში იძინებს და მე ზაფხულში დავიძინო? მერე და, რა განსხვავება იქნება ჩემსა და დათვს შუა?

თუმცა არც დიდი გამსხვავება ყოფილა მათ შორის. ზამთარ-ზაფხულს ცხვრის ტყავში ყოფილა გახვეული, თავზეც ტყავის ქუდი ჰხურებია, კანჭებზე პაჭიჭები სცმია, ხოლო ფეხზე — ხარის ქალამნები. ერთი სიტყვით, დათვივით ყველაფერი ტყავისა სცმია. თუ ტყავი სიცივეს იჭერს, ვითომ სიცხეს რატომ აღარ დაიჭერს, რა დარდუბალა შეუდგებაო. ეს სიტყვები თურმე თავისი პაპისაგან ჰქონია გაგონილი და ერთგულად იმიტომ იცავდა. სიდიდითა და ღონით ხომ ვერც ერთი ჯიშის დათვი ვერ შეედრებოდა. ამბობენ: კაკანას სერის ტყეში იმ დროს ბევრი დათვი იცოდა, მაგრამ ლოჭოს დანახვაზე ბურდღუნით გარბოდნენ იქიდან და ამასობაში მთელი სადათვეთი გადაძევდაო. საოცარია, საიდან იცნობდნენ ამ კაცს? თუმცა, იმასაც ამბობენ: მბძუნაობისას დედალ-მამალი დათვი ცოცხლად დაუჭერია და შინ ჩამოუყვანია. აქ კი უშველებელი გოდორი დაუწნავს, შიგ ჩაუსხამს, წამოუკიდია ზურგზე და ქალაქში წაუღიაო. სირაჯხანის თავდალმართზე ვიღაც მედუქნისათვის თითო დათრობა ღვინოზე მიუცია და შინ კმაყოფილი დაბრუნებულაო. თუმცა სჯობია, თავიდანვე დაწვრილებით და დალაგებით გიამბოთ ყველაფერი.

## ორიოდე სიტყვა ლოჭოს მამაზე

ლოჭო როგორც კი დაბადებულა, მამას გაჰხარებია. ამას ისეთი მხარ-ბეჭი და თავ-კისერი უჩანს, რომ კარგი ხარი დადგებაო. მუშაობას თუნდა არ მიეჩვიოს, ვაჟკაცობითა და ჩხუბით დაირჩენს თავსაო. ეს აზრი მას შემდეგშიც არ შეუცვლია და მოჩრიხვებულ ლოჭოს თურმე ხშირად ეუბნებოდა:

— გახსოვდეს, შვილო, ეს ქვეყანა გამდიდრებული ქურდებითა და მამაძაღლი ჩინოვნიკებით არის სავსე. ბევრ მათგანს გაკვრა-გაგლეჯაზე უჭირავს თვალი. სხვას თუ არავის წაართმევ და მოჰპარავ, ვერ იცხოვრებ, ჩინოვნიკები, მღვდლები და ვაჭრები ყველანი ქურდები არიან და ქურდის ქურდი კი ცხონებულიაო.

ლოჭოს პატარაობაში კარგად აუთვისებია მამის დარიგება და მეზობელთა ბაღებში კიტრის, პამიდორისა და ხილის სინსილა გაუქრია, თურმე მეზობლები რომ იწყევლებიან, ლოჭოსა და მამამისს სიცილად არ ჰყოფნით. კიტრს—მორწყვა და ბაღს — წყევლაო. წყევლაზე უვნებელი არაფერიაო.

— მამულისშვილობა, იცი, რა არის, შვილო? — უკითხავს მამას ლოჭოსათვის.

— არ ვიცი.

— სიტყვა „მამული“ მამიდან მოდის. მამულიშვილი კი ის არის, ვისაც თავისი მამა და მამეული გვარი უყვარს. თუ ვინმეს მამაშენისთვის უწყენინებია ან მისი წინაპრისთვის, ცოცხალი თავით არ უნდა შეარჩინო. ყოველ წყენინებას სამაგიეროს გადახდა სჭირდება.

ყველაფერზე თავის ქნევით უპასუხია ლოჭოს და მამისთვის ლომის ბოკვერივით უდევნია ყველგან.

მერე ცოტა რომ წამოზრდილა ლოჭო, ასეთი შეკითხვა დაბადებია:

— მამი, ქურდობა რატომ არის ქვეყანაზე?

— ქურდობა რომ არ იყოს, ვექილებსა და მოსამართლეებს რაღა ეშველებოდათ შვილო.

— რატომ?

— არ ვიცი, რატომ? ადექი და გამოირკვიე! პროკლოვობა ხომ არ გინდა?!

— არა, მე მინდა ვიცოდე, რატომ ქურდობს ადამიანი?

— იმიტომ, რომ უჭირს:

— ვისაც ჰპარავს, იმას არ უჭირს?

— არა. მას ბევრიცა აქვს.

— ბევრი ვინ მისცა?

— სხვას მოჰპარა.

— იმ „სხვას“ ვინღა მისცა?

— ვა, გულს არ გადმომიბრუნებს ეს ბალღი? სხვასა ჰქონდა. რომ არ ჰქონოდა, რას მოჰპარავდა?

-- საიდან ჰქონდა?

— მოიპარა.

— ვისაც მოჰპარა?

— ვისაც მოჰპარა, ის კიდევ გაღარიბდა და არაფერი დარჩა.

— შენ ხომ ქურდობ კიდეც და მუშაობ კიდეც. რატომ ვერ ცხოვრობ?

— მეც მპარავენ და იმიტომ.

— ვინა გპარავს, მითხარი და სამაგიეროს გადავუხდი.

— ნაცვალი, იასაული, ჩაფარი, მამასახლისი, მაზრის უფროსი, მეფე და მისი ვეზირები.

— მაშ ყველანი ქურდები ყოფილან. აი, მაგათ უნდა გადავუხადოთ სამაგიერო, თუ ბიჭები ვართ.

— ბევრი ადამიანი დაბადებითვე ქურდი და მტაცებელია. აბა, ძუძუთა ბალღს ჯერ მიეცი და მერე წაართვი. ნახე, რა ყოფას დაგაწევს. ქვეყანას თავზე დაგატეხს. აი, ხელზე მომხედე! ხუთი თითიდან ყველა დიდ-პატარაა. აბა ,გამოიცან, თუ ბიჭი ხარ, რად არის ასე. დაფიქრდი და გამოიცან.

— ვიცი, რასაც მეტყვი: დიდ-პატარაობა არ მოისპობაო.

— არა. ეგ არ უნდა გითხრა... აი, ამ თითმა თქვა, — ცერა თითზე წაუვლია ხელი ლოჭოს მამას. — მშიაო, აი, ამ თითმა თქვა, — საჩვენებელი თითი დაუნახვებია, — არა გვაქ-

სო,, — აი, ამ თითმა თქვა, — შუა თითი მოუხრია, — მოვიპაროთო. აი, ამ თითმა თქვა, — არათითი გაუშვერია ლოჰოსაკენ, — რომ მოვიპაროთ დაგვიჭერენო. აი, ამ თითმა თქვა, — ნეკა თითი გამოუყვია სხვა თითებისაგან, — დაგვიჭირონ და დაგვიჭირონო. წასულა, მოუპარავს, დაუჭერიათ და ტყავი გაუძვრიათ. ნახე, ყველაზე პატარა იმიტომ არის, რომ უცემიათ. აბა, დააკვირდი, ყველაზე მსუქანი ცერა თითია. იმიტომ, რომ ჭამა-ყლაპვას ყოფილა დაჩვეული. უთქვამს, „მშიაო“ და ფეხებზე ჰკიდებია, საიდანაც გინდა მოუტანონ. ნახე, შუათითიც როგორი თამამია. ამასაც ჭამა-ყლაპვა ჰყვარებია. მოვიპაროთო, უთქვამს, მაგრამ თვითონ კი არ წასულა, ნეკა თითი გაუგზავნია. სხვა წაუქეზებია და თვითონ გამძღარა, აი, ,რად არიან დიდ-პატარა.

— გამოდის, რომ ქურდი ყველაზე დაჩაგრული ყოფილა? — უთქვამს ლოჰოს — აბა, რაღად უნდა, რომ ქურდობს?

— სხვისთვის, შვილო, სხვისთვის, რომლებიც გასუქებულები არიან, იმათთვისა ქურდობს. იმათაც ხომ რჩენა უნდათ და... მუშაობა კი არ იციან.

— გამიჯდა გვერდებში! ამ პატარა თითმა იქურდოს, საქმე გაიჭიროვოს, სცემონ, ტყავი გააძრონ და ესენი კიდევ გასუქდნენ? ეგ არ მოხდება?

— აბა, მაშ რა გინდა?

— მე ის მინდა, რომ ყველა თითი თანასწორი იყოს.

— მაშინ მთლად ულაზათო ხელები გვექნება. ყველა თითი რომ თანასწორი გვქონდეს, ზედ აღარ შევგვეხედებოდა.

— მაშ, შენ თანახმა ხარ, ნეკა თითი იყო და იქურდო? — უკითხავს ლოჰოს.

— მე ასე მიცხოვრია და... უკეთეს გზას ვერც შენ იპოვნი. ხომ გაგიგია, ნუ დაკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა ამხანაგსაო.

— უნდა ვიპოვნო! ვინც მე მჩაგრავს, მეც იმას დავჩაგრავ, ვინც მე მპარავს, მეც იმას მოვპარავ და ვიპოვნი. სხვასთან რა ხელი მაქვს, აი, ნახე, თუ არა... რამდენი ძველი გზა შემხვედრია, დანგრეული და აბალახებული. არ მირჩევნია, ჩემთვის ცალკე ბილიკი გავკაფო და იმით ვიარო?

ამის შემდეგ ლოჰო საგონებელში ჩავარდნილა და სულ იმის ფიქრში ყოფილა, ისეთი გზა როგორ ვიპოვო, სხვას რომ არ დავეჩაგვრინოო. ამასობაში დავაჟკაცებულა და მამას უკვე ველარ აუტანია მისი უსაქმურობა. უთქვამს: ჯერზე ერთი ჰედილა არა გყოფნის და მოტანის შნო კი არა გაქვს. გინდა, გამეყარე და გინდა, რასაც მე გეტყვი, ის გააკეთე.

რა უნდა ექნა ლოჰოს? გამეყარე და გამეყარეო! გაჰყრია და არაფერიც არ შეჰხვედრია.

— ჩემთვის რა მაქვს, შენ რა მოგცეო, — უთქვამს მამას — თანაც შენ მთმავალი ხარ და მე მიმავალიო. დასაზრდელი და მჭამელი კი ბევრი მყავსო. პირიქით: შენ უნდა მძღლევდე და მე გთხოვდეო.

დარჩენილა ლოჰო ცარიელ-ტარიელი. ერთი რაღაც საქათმე თუ სასიმინდე მიუციათ, ეგა ყოფილა და ეგა. ორმეტრიანი ტანის, ოთხმტკავლიანი ბეჭების, მოულოდნელი კისრულისა და ჩაგრეხილი სარმის მეტი არაფერი გაჰყოლია სახლიდან. გზაჯვარედინზე გასულა და უფიქრია, საით წავიდეო. ერთ კაცს გაუვლია და უთქვამს, ტყისკენ წადიო, მეორეს უთქვამს: მინდვრისკენ გასწიეო. მესამეს მდინარისკენ მიუკადებია, მეოთხეს კი... მეოთხე მამამისი ყოფილა. მეოთხეს უთქვამს, ერთ რჩევასაც მოგცემ და გინდა დამიჯერე, გინდა არაო. უთქვამს და, აი, მერე რა უამბია:

— ერთხელ მეც შენს დღეში ვიყავ. არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა, მერე ხარ-კამეჩი ვითხოვე, ჩემიც შევაბი და ერთი გუთნეული გავმართე. გუთნეული კი გავმართე, მაგრამ მოსახნავი არაფერი მქონდა. რაც კარგი ადგილები იყო, სხვას ეჭირა და შარაგზაზე კი მოსავალს ვერ მოვიყვანდი. წავიყვანე ჩემი ძმა, წავედი და ხარ-გუთნიანად ყველაზე კარგ სახნავს მივადექ. იცი, რომელს? ხოდაბუნებს რომ ეძახიან. ეგ ადგილი ლენგერსა და მის ძმას ეჭირათ, რომ მივედი, ის იყო, ხნავდნენ კიდეც და გაუკვირდათ ჩემი სტუმრობა. აქ რა გინდაო? მე ვიხარ, აბა, მიყურე, რაც მინდა-მეთქი, ხარ-გუთანს წიხლი ამოვკარ და გაღმა გავისროლე. მათაც თითო ტალმაში გავაწან და კუდი ამოვაძუებინე იქიდან. დავადექი და მოვხანი. ის ადგილი დღესაც მე მიჭირავს.

— იმ ძმებმა რაღა ქნეს? — უკითხავს ლოჰოს.

— ის ძმები წამოვიდნენ და ქამუტაანთ საბასთან მივიდნენ, საბრალოს რომ ვეძახდით. საბას ერთი ხარი თავისი ბიძაშვილის სანახევრო ჰყავდა, ერთი — ნათხოვარი, შეება აჩაჩა, ცოლი წინ გაემძღვარებინა და ცოდვილობდა, ვითომ ვხნავო. ეს გაბრაზებული ბიჭები რომ დაუნახავს, შეშინებულა, რა უნდათ ჩემგანო. მაგრამ მისი შეშინება არაფრად ჩაუგდიათ, გამოუკრავთ ხელი აპეურებისთვის და გაუყრიათ ხარები. აჩაჩაც წაურთმევიათ და სახნავიც.

— მერე?

— მერე რა? დამდგარან და მოუხნავთ.

— საბას რაღა უქნია?

— საბას გულზე ხელი დაუკრეფია და შინ წამოსულა.

— მერე?

— მერე სხვის მოჯამაგირედ იტანჯებოდა. ერთი პატარა ფარდული ჰქონდა და იმაში ეძინა ხოლმე. ქრისტეშობისთვის ბოლო კვირაში გაციებულიყო და შენი ჭირი წაეღო.

— მერე?

— მერე და მერე! ვერ მიხვდი, რას გეუბნე-

ბი. ძაღლს მგლისა ეშინია, კატას — ძაღლისა, თაგვს კიდევ — კატისა. მგლობა ყველაფერს სჯობია, მაგრამ მგელი თუ არ იქნები, ძაღლი და კატა მაინც იყავ. მელა, იცი, რატომ მელაობს? იმიტომ რომ მასზე ძლიერი სხვა არის. დათვსა და ლომს მელაობა არ სჭირდებათ. სპილოს ხომ... ლაპარაკი ზედმეტია... ხე რომ ხე არის, ისიც კი ვიღაცას ეჩხუბება. ერთ ძირზე ორი ნამყენი თანაბრად არ გაიზრდება. საითაც გინდა, იქით წადი, მაგრამ თუ გზაზე საცალო იპოვნო, იმით არ დაიწუნო — სამი კოდი არ ჩავაო. ნათქვამია, ქარისა არც მოტანილი მინდა, არც გატანილიო, მაგრამ ქარმა რომ ბანზე ოქრო მოგიგდოს, უარს ნუ იტყვი! ესეც გახსოვდეს: მართალია, უთქვამთ, სუფრის თავში არ დაჯდე მიუპატიჟებლადო, მაგრამ თუკი არ მიგიპატიჟებენ, სუფრის თავშიც უნდა დასჯდე და მეტიც გააკეთო. თუ ამ ჩემს დარიგებას გაიგონებ, იცხოვრებ, თუ არა და — ვერა... თუმცა ერთს კიდევ გეტყვი...

— მითხარ. რაც სათქმელია, ერთბაშად მითხარ.

— არ იფიქრო, გამეყარა და არაფერი მომცაო. რასაც ახლა გეუბნები, ამაზე მეტს ვერავინ მოგცემს და სჯობია ეს ჩემი სიტყვები ღილებივით დაიკერო გულზე. ყურში საყურესავით გაიყარე, რომ კარგი კაცი და ავი კაცი ქვეყანაზე არ არსებობს. კარგიც ჩვენა ვართ და ავიც. ვიტყვით კაცზე კარგიაო და ხალხიც გაიმეორებს კარგიაო, ვიტყვით ავიაო და ხალხიც ამასვე დაგვიდასტურებს. რაც უნდა კარგი კაცი იყო, ვიღაცისთვის მაინც ავი ხარ, და რა ყრია შენს სიკარგეში? ისევ ის გირჩევნია, ისე იცხოვრო როგორც გემჯობინება. ვინც რა უნდა გითხრას. გინდა შეგაქოს და გინდა გაძაგოს ვინც შენზე ავს იტყვის, შენ იმაზე თქვი ავი, ვინც კარგს იტყვის და-კარგი თქვი. რაც უნდა ავი კაცი იყო, ერთი კაცისათვის მაინც კარგი იქნები და მეტი რა გინდა?

— ის ერთი კაცი ვინღაა?

— ვინ არის და შენი თავი. სხვას რომ წაართვა და შენ შეჭამო, ქვეყანა თუ დაგემდურება, შენი მუცელი მაინც მადლობას გეტყვის და ეგეც გეყოფა.

— კიდევ? კიდევ რას მეტყვი?

— კიდევ რა უნდა გითხრა. რომელი გზითაც გინდა, იმ გზით წადი, მაგრამ ეს ჩემი დარიგებაც შეუშვი ყურში. მუშაობით წელი არ გაიწყვიტო და შენ მშიერი არ დარჩე. როგორც ადვილად ვცხოვრებოდეს, ისე იცხოვრე. არც არავის ქებას აჰყვე და არც არავის ძაგებას. ცხოვრებაში ყველა გზა გამართლებულია, რითაც კი კუჭს ამოივსებ და ტანზე ჩაიცმევ. ჯერ ეს დარიგება იკმარე და დანარჩენს სხვა დროს გეტყვი. ახლა კი წადი... ბედის საძებნელად წადი და თუ იპოვი რამეს, მეც არ დამავიწყდე.

## ბედის საძებნელად

ყველაფერი ყოფილა. ლოჭოს უფიქრია, მოდი, მამაჩემის რჩევას დავიჯერებ და ბედის საძებნელად წავალო. სად წავალო და მეზობელ სოფელში დიდი ჭიდაობა გაიმართება ხოლმე და იქ ვცდი ჩემს ბედს: ვიჭიდავებ და სახელს გავითქვამო. თავისი სოფლის კაცს თურმე არასდროს არ დაეჭიდებოდა ლოჭო. შენი სოფელი იგივე შენი ოჯახია და რა ვაჟკაცობაა, რომ ძმა წააქციოო.

ადრიანად წასულა ლოჭო დი სოფელს რომ მიახლოებია, უფიქრია, ჯერ ადრეა, საჭიდაოდ არავინ იქნება გამოსული და თივის ძირებთან ცოტა ხანს დავისვენებო. ოთხი-ხუთი ზვინი თივა მდგარა. ერთის ძირი გამოუქექნია და ზედ მიწოლილა. მიწოლილა და თვალი ზეცისთვის გაუშტერებია. უფიქრია, რა იქნება, ახლა რომ ღმერთმა ერთი ქისა ოქრო ჩამოაგდოს და გამამდიდროსო. თანაც მამის სიტყვა გაჰხსენებია: საცალო თუ იპოვე, სიპატარავით არ დაიწუნოო. ამ ფიქრებში ყოფილა და ჩასძინებია... გაჰღვიძებია და თურმე ვიღაც კაცები ადგანან თავზე. დევკაცის განძრევაზე უცნობები დამფრთხალან, ერთი მათგანი ცხენსაც მოხტომია და ისე უცდია გაქცევა, მაგრამ ლოჭოს დაუყვავებია, დაულოლიავებია და დაუშოშმინებია:

— მოდით, აქ, ძმებო! რად გამირბიხართ? რა ნახეთ ჩემში საშიშარი?

უცნობებს სული მოუთქვამთ, გული გაუმაგრებიათ, ღონე მოუკრებიათ და მიახლოებიან.

— რაშია საქმე? — უკითხავს ლოჭოს, — რა გაგჭირვებიათ, რას დაიარებით, თუ თქვენც ჩემსავით ბედის საძებნელად არ გამოსულხართ?

— თივას ხომ არა ჰყიდი? — უკითხავთ უცხოებს და შორიახლოს მდგარ ურმებზე მიუთითებიათ, — სამი დღეა, თივისთვის დავდივართ, ქიზიყიდან მოვდევთ და ვერსად ვიშოვნეთ. მოგვყიდე, შენი ჭირიმე!

ლოჭოს თავისი მამის ნათქვამი გაჰხსენებია: „ქარმა თუ კარზე ოქრო მოგიგდოს, უარს ნუ იტყვიო“ და დაუფიქრებლად უპასუხია:

— მერედა, რაღას გამირბიხართ, თქვე კაი კაცებო. მაშ, რა ოხრად მინდა ამდენი თივა, თუკი არ გავყიდი და ხელს არ მოვინაცვლებ. დღედაღამ აქ იმიტომა ვდგავარ, რომ როგორმე გავყიდო და მოვიშორო. ასე ერთი ზვინი კი ჩემი ხარ-კამეჩისათვის დამჭირდება და დანარჩენი თქვენი ჭირის სანაცვლო იყოს.

გაჰხარებიათ მეურმეებს. ფული ჰაიჰარად ლოჭოსთვის ჩაუთვლიათ და თვითონ კი თივის დადებას შესდგომიან.

ფული რომ ჯიბეში ჩაუდვია, ახალი აზრი გასჩენია: — თქვენ ეს თივა ნელ-ნელა დაუდეთ, კაცებო, მე კი ეგ თქვენი ცხენი მათხოვეთ, სოფელში ავალ და ორიოდე ვედრო ღვინოს ჩამოვიტან. რა კაცობაში ჩამეთვლება,

ამოდენა თივა რომ გავყიდო და თითო-ოროლა სადღეგრძელო არ გათქმევინოთ. ერთმანეთი გავიცნოთ, დავლოცოთ და ისე გავშორდეთ, ხეები ხომ არა ვართ.

მეურმეებს გაჰხარებიათ. ცხენიც უთხოებიათ და უკანიდან ქება-დიდებაც დაუდევნებიათ. შემჯდარა ის ჩვენი ლოჯო და ჰერი, სოფლისაკენ.

საჭიდაოსთან ასულა და ცხენდაცხენ წრისთვის შემოუვლია გარეშემო. მაშინ ჯერ ცოლი არა ჰყოლია ლოჯოს და მაშო ჰყვარებია. მაშო სწორედ ამ სოფლის მცხოვრები ყოფილა და რაკი იქ ვერსად დაუნახავს, დაბღუჯული ფული ამოუღია ჯიბიდან, ჰაერში მუჭით აუთამაშებია და ხმამაღლა დაუძახია:

— სად არის ჩემი თვალის ჩინი, დამინახოს, როგორი ბიჭი ვარ, როგორი ცხენი მყავს და რამდენი ფული მაქვს! — მერე ცხენი იქვე კაკალზე დაუბამს და თვითონ კი წრეში გადასულა: — ვისაც გული ერჩის, გადმოვიდეს და მეჭიდაოს!

მაშო იქვე, გოგოებში ყოფილა შემალული და როგორც კი დაუნახავს, ლოჯოც მოსწონებია და ცხენიც. მოსწონებია, მაგრამ უფრო მეტად დაურცხვენია და ისედაც მოცქნაფული გოგო თითისოდენა გამხდარა.

ჯერ ვერავის გაუბედია ლოჯოსთან გასვლა, მაგრამ შემდეგ ერთმანეთი გაუმხნევებიათ და ზედიზედ გადასულან. ერთი დასჭიდებია და... ლოჯოს წაუქცევია, მეორე დასჭიდებია და... ისიც წაუქცევია, მესამე დასჭიდებია და... ვიღაცას დაუძახია: ჰარიქა, სოფლის ბოლოზე ჩხუბიაო.

ლოჯო მაშინვე მიხვედრილა, რაშიც იქნებოდა საქმე, მაგრამ უფიქრია, ბარემ ეს ერთიც ვიჭიდავო და მერე მოვუვლი საქმესო. მესამე ბიჭიც წაუქცევია, ტყავი ჩაუცვამს, ტყავის ქუდიც ხელის გულზე დაუბერტყავს და ბერიკაცებისთვის უთქვამს, ორიოდე ვედრო ღვინო, ათიოდე პური და ცოტაოდენი ყველი გამომიტანეთ და იმ მოჩხუბარ ხალხს ახლავე დავაზავებო.

გაჰხარებიათ ბერიკაცებს, ორიოდე ვედრო ღვინო და დათქმული ნუზლი მაშინვე გამოუტანიათ და თანაც სიტყვა დაუტანებიათ: თუ იმ ჩხუბს უსისხლოდ დაამთავრებ, ათ ჩაფ ღვინოსა და ერთი ცხვრის ჭედილას სხვას მოგართმევთო.

შემჯდარა ლოჯო ცხენზე, ხალხისთვის უთქვამს, უკან არავინ გამომყვესო და ჭენებით წასულა მოჩხუბრებისაკენ.

თურმე მეურმეებმა რომ თავის დადება დაიწყეს, პატრონმა სოფლიდან დაინახა, აიყარა დედაბუდიანად და ამბის გასაგებად წავიდა. იქ კი ასეთი მოულოდნელი ამბავი დახვედრიათ და ჩხუბი გამართულა. თურმე მეურმეები იფიცავენ: თივა ვიყიდეთო და თივის პატრონები იფიცავენ: ქურდები ხართ და სხვა არაფერიო. ასეთი ჩხუბი ყოფილა იმ თივის გარშემო და, როცა უკვე ერთმანეთზე ფიწლებითა **და ორთითებით მიუწევიათ,** ლოჯოც გამოჩენილა.

— რას ჩადიხართ! — შეუძახია ლოჯოს და მისი ზარიანი ხმის გაგონებაზე ყველანი იქვე გაჩერებულან.

მისულა, ცხენიდან გადმოსულა, ხურჯინი ჩამოუხსნია და თივის ძირზე მიუგდია.

— მოდით, დასხედით ახლავე! — უთქვამს ლოჯოს და ყველანი დამორჩილებულან, — ამ დროში კაცი როგორ იჩხუბებს და ერთმანეთს ძვირს როგორ ეტყვიან?! აბა, გაიხედეთ, ქვეყანაზე როგორი სიწყნარეა. ხალხს თივა მივყიდე და ფულიც მე მაქვს. რა არის აქ საჩხუბარი! მჭამელი ხომ არავისა ვგონივარ?!

— მერედა, ჩემ საქონელს რაღა ეშველება? — კეფის ქექვით უკითხავს თივის პატრონს.

— შენს საქონელს ერთი ზვინი შევუნახე და ეყოფა თუ არა? ყველიერია და გაზაფხული კარზეა მომდგარი. რად გინდა მეტი?

— ერთი ზვინი თუ შეუნახე, ეყოფა კიდეც და მეტიც იქნება, მაგრამ შენ საიდან იცოდი? ან ის ვინ გითხრა, თივა აქვს გასაყიდიო.

— შენ აესე, ჩემსკენ მოიწიე!

ტყავის ქუდი მოუხდია ლოჯოს, ხელის ზურგზე დაუბერტყავს, ღვინით გაუვსია და უთქვამს:

— მოდი, ამ პატარა სასმისით იმ ვაჟკაცს გაუმარჯოს, ვინც თავისთვისაც ფიქრობს და სხვისთვისაც. ვინც სხვის სიკეთეს მოინდომებს, თვითონაც სიკეთით დაჰბრუნებოდეს. მე რა კაცი უნდა ვყოფილიყავ, რომ აქ თივისთვის დაძქებულნი დაღიოდნენ, ამ ღვთისნიერ კაცს კიდევ გასაყიდი თივა ჰქონდა და უარი მეთქვა. ერთის საქმეც გავაკეთე და მეორისაც. თუ ღმერთი ამაგს დამიფასებს, ხომ კარგი იქნება, თუ არა და ჯანდაბას ჩემი თავი... ამასთან კიდევა... ჩემს მაშოს გაუმარჯოს, იმ ჩემს თვალის ჩინსა!.. ვინც ეს სასმისი არ დალიოს, კაცი არ იყოს!

აუღია და დაუცლია ტყავის ქუდი. მერე ისევ შეუვსია და თივის პატრონისთვის გადაუწოდებია. თივის პატრონს ბარემაც სამჯერ მიუტოლებია მუცელზე ის სავსე ტყავის ქუდი, მაგრამ სხვა გზა აღარა ჰქონდა და მოსძაგრებია, მოსძაგრებია და რის ვაივაგლახით ნახევრად ჩაუყრია.

— ეგრე არა, ბოლომდე, ბოლომდე! — წაუქეზებია ლოჯოს, — ჩვენი წინაპრები თურმე სამსაპალნიან ქვევრებს ეწაფებოდნენ და ერთ მტკაველზე აკლებდნენ, შენ კი ეს პატარა ტყავის ქუდი რა გაგიხდა, რომ ბოლომდე არ დასცალო.

თივის პატრონს ძალ-ღონე მოუკრებია და სულისბრუნებით ჩამოუცლია ბოლომდე. მერე ერთი მეურმისთვის მიუწოდებია, მერე — მეორისთვის და ამასობაში ყველასთვის დაულე-

ვინებია. დაულევიათ და ყველანი დამთვრალან, დასძინებიათ. ამასობაში მთელი სოფელი ჩამოსულა ამბის გასაგებად. ლოჭოს კი ნაქეიფარი ხალხი იქვე დაუტოვებია, თვითონ არხეინად შემჯდარა ცხენზე, წამოსულა დაცარიელებულ სოფელში, უპოვია მაშო, შემოუსვამს ცხენზე და ჰერი, კაკანას სერისკენ.

საღამოთი კითხვა-კითხვით მიუგნიათ ლოჭოს ბუჩუნტოსთვის მეურმეებსა და თივის პატრონს. ლოჭო თვალების ფშვნეტით გამოჰგებებიათ დაუპატიჟებელ სტუმრებს და ღიმილით უთქვამს:

— ვიცი, სამოყვროდ მოხვიდოდით. ალბათ გაიგეთ, რომ ქალი მოვიტაცე და თითო ჭიქით უნდა დამლოცოთ. ღმერთმა ააშენოს თქვენი ოჯახი, მობრძანდით!

მიუპატიჟია სტუმრები და კარგად უქეიფებია იმ სოფლიდან წამოღებული ღვინით. ლოჭო თურმე ჯამფილითა სვამს, სტუმრებს კი ჯამებით ასმევს. მერე, კარგად რომ შექეიფიანებულან, ამოუღია ფული და პატრონისთვის უძლევია, მაგრამ იმ კაცს გული ისე ასჩუყებია ლოჭოს სიდარიბისა და კარგი ვაჟკაცობის გამო, რომ უარი უთქვამს:

— არ მინდა, შენა გქონდეს. ახალი მეოჯახე ხარ და შენ უფრო გამოგადგება. ცოდოა, შენისთანა ვაჟკაცი ასეთ გაჭირვებაში იყოს, წაიღე ეგ ფული და გაიხმარე. მე კი ათი-თორმეტი იმისთანა ზვინი კიდევ სხვაგან მიდგასო.

აღარც მეურმეებს გამოურთმევიათ ცხენი. დაულოციათ მეფე-დედოფალი და თანაც ასეთი სიტყვა დაუტანებიათ;

— კარგ ბედაურს კარგი ვაჟკაცი შეეფერება. შეჯექი და ინავარდე, ოღონდ, როცა გაგვიჭირდება, შენი იმედი გვქონდეს. სხვა არაფერს მოვითხოვთ, მარტო ჩვენს მეგობრად ითქმოდე და ლხინში გვეწვიე ხოლმეო.

ფულიც ლოჭოს დარჩენია, ცხენიცა და ცოლიც. წამოსულა და იმ ფულით სულ ფარჩააბრეშუმები უყიდია ცოლისთვის, თავით ფეხამდე მძივებითა და ზიზილ-პიპილებით მოურთავს მაშო და ისე გაუყვანია ხალხში. ცხენი კი ახალი უნაგირით, გულავშარითა და მოვერცხლილი აღვირით დაუმშვენებია და სოფელზე რომ გაივლიდა, თურმე თვალი ზედა რჩებოდათ. ამის გამო ათასი ჭორი გაუვრცელებიათ. ზოგს უთქვამს, ბედის საძებნელად რომ წავიდა, ღმერთს მისთვის ოქროს ქისა ჩამოუგდიაო. ზოგს უთქვამს, ლეკის მთებში დიდძალი ზინათი უპოვიაო და ზოგს კი: — ყაჩაღები გაუძარცვავს და ამით გამდიდრებულაო. ჩვენზე კარგად კი არავინ იცოდა, რითაც გამდიდრდა ლოჭო და რა განძი და ზინათიც იპოვა.

## მაშოს მზითევი

მაშოს მამა შეძლებული კაცი ყოფილა. მაგრამ ლოჭოზე გაჯავრებულა: ჩემი შვილი რად მოიტაცაო და მზითევი აღარ მიუცია. ლოჭოს სწყენია, მაგრამ დარდს კი არ მისცემია. წამოსულა ერთ ღამეს და ძროხა გამოუყვანია სიმამრის გომიდან. მიუყვანია და თავის თავლაში დაუბამს.

ლოჭოს სიმამრი აქეთაცა სცემია, იქითაცა სცემია, მაგრამ ასავალ-დასავალი ვერ გაუგია, ბოლოს, რომ ველარაფერი გაუწყვია, ლოჭოსთან წამოსულა: ფხიანი კაცი ხარ, ყველანი გიცნობენ და იქნებ მიპოვო როგორმეო.

— ჩემს მაშოს რას უყიდი, ძროხა რომ გიპოვოო? — უკითხავს ლოჭოს.

— ოღონდ ძროხა მიპოვე და რასაცა მთხოვ, იმას ვუყიდი, ისეთ მზითევს მივცემ, რომ ხელმწიფის ქალსაც შეშურდესო.

— წადი და არხეინად იყავი. — უთქვამს ლოჭოს და მეორე დილას სიმამრისთვის კარზე მიუყენებია ძროხა: — გამოიხედე და შენი საქონელი ჩაიბარეო.

გამოუხედია სიმამრს და ძალიან გაჰხარებია. შეუპატიჟია ლოჭო და გვარიანად უქეიფებია. მერე მზითევიც უყიდია, მაგრამ, ეს კაცი ძალიან ძუნწი ყოფილა, და მაინც რაღაცა დაუკლია, თანაც ცოტა არ იყოს, დანანებია, რაც მიუცია, და მეზობლისთვის უთქვამს, ის ძროხა ამ მზითვად არა ღირსო.

ეს ყველაფერი ძალიან კარგად გაუგია ლოჭოს, მაგრამ ხმა არ ამოუღია. მარტო ეს ანდაზა გაუმეორებია: „პურაძვირ კაცსა მარილი მეტი ეხარჯებოდაო“.

მის სიმამრს ივრის ჭალებში. სახნავი ადგილები ჰქონია. გუთანში თურმე ათ-თორმეტ უღელ-ხარ-კამეჩს აბამდა და მისი სახნის-საკვეთისა თუ ღირღიტის ქება შორსა ყოფილა გავარდნილი. უღლები და ღვედი ხომ სამაგალითო ჰქონია. ჰოდა, თურმე საღამოთი გუთანს კვალში ტოვებდა. ღვედსა და უღლებს კი ბუჩქებში მალავდა. მისი ხელისმხლებელი კაცისშვილი არა ყოფილა. ეს ყველაფერი კარგად სცოდნია ლოჭოს და, რაკი სიმამრს მზითევის მიცემაზე დაუხვნეშია, წამოსულა და ერთ ღამეს ყველაფერი ზურგზე წამოუკიდია. წაუღია და ერთ უღრან ტყეში დაუმალავს.

თავქაჯი შეჰყრია სიმამრს. ხან ზემოთ უძებნია და ხან ქვემოთ, ხან — ტყეში და ხან — წყალში. მაგრამ ვერაფერი გაუგია. სხვა გზა რომ აღარა ჰქონია, ისევ ლოჭოს მისდგომია და მუხლი მოუყრია:

— ოღონდ ერთხელაც დამესაქმე, ხვნა-თესვა არ დამაგვიანებინო და მზითევს თუ რაიმე დავაკელ, ყველაფერს გადაგითავებო.

გუთანიც და მისი მოწყობილობაც იმ ღამეს-

ვე მიუტანია ლოჭოს: შიბლიანის ბოლოზე ვიპოვეო. სიმამრს კი დანაპირები შეუსრულებია: ერთი ხელი ლოგინი და ერთი ხუთადლიანი ფარდაგი აუკიდია ცხენისთვის და თავისი ფეხით გადაუტანია.

მერე უკვე კარგი მისვლა-მოსვლა ჰქონიათ სიძე-სიმამრს. სიმამრს მას შემდეგ აღარაფერი დაჰკარგვია და სიძეს კი საწოლიც გასჩენია და საფენიც. მაშოსთან ერთად მას შემდეგ უვლია ლოჭოს სამუშაოდ, მას შემდეგ უმკია და უქეფია. დასვამდა თურმე ყანის თავში მაშოს და თვითონ კი ბოლოდან მოექცეოდა ყანას. გავეშებული შეესეოდა სამკალს და მალ-მალე შეეხმიანებოდა:

— მანდა ხარ, მაშო?

— აქა ვარ, ივანე.

— მანდა ხარ და... აი, მეც ახლავე მანდ ვიქნები.

მერე, ყანის მკასაც გამოათავებდა, კერასთან ჩამოჰყრიდა გრძელ მკლავებსა და ცოლს ეტყოდა:

— დედაკაცო, რა ცოტა საქმეა, ეი, ქვეყანაზე. აჰა, ყანის მკაც მოვათავე. ახლა რაღა გავაკეთო.

— შეშა ჩამოიტანე!

შეშას ჩამოიტანდა:

— ახლა?

— თივა ამოიტანე ჭალიდან.

თივასაც ამოიტანდა.

— ახლა?

— ახლა დაწექი და დაიძინე!

— დავიძინო? დათვი ზამთარში იძინებს და მე ზაფხულში დავიძინო? ძილს ისევ ღვიძილი სჯობია: ნათქვამია: ნაგდებ ლომს მაწანწალა ტურა სჯობიაო. წავალ, ან ქვრივ-ობლებს დავეხმარები, ან კიდევ გავივლი სოფლად და თვალს გავახელ, ქვეყანას დავინახავ. — ჩაიცმევდა ტყავს, დაიხურავდა ტყავის ქუდს, გაიდებდა კომბალს და ეზოდან გავიდოდა.

— ლოჭო, სად მიდიხარ? — ჰკითხავდა თურმე ვიღაცა.

—არ ვიცი, გავხედავ ქვეყანას. თუ სადმე უსწორმასწორობაა, გავასწორებ როგორმე და მოვბრუნდები.

— უსწორმასწორობა ქრისტე ღმერთსაც ვერ გაუსწორებია და შენ ვინა ხარ? — მიაძახებდა არამკითხე.

ლოჭოს კი ყურადღება არავისთვის უქცევია და თავისი გზით მიდენილა.

## ფეხმოტეხილი ხარი

სოფლის ბოლოზე საფოსტო გზა ყოფილა. ამ გზით დადენილან თბილისში. დასხდებოდნენ დილიჟანსზე და მიდიოდნენ. გზაზე, ალაგ-ალაგ სადგურები ყოფილა და ცხენებიცა და ეტლებიც თურმე იქ იცვლებოდნენ, სადგურებში, მოსაცდელ ოთახთან და საჯინიბოსთან ერთად, დუქნებიც ყოფილა და ამ დუქნებში ქი... გახურებული ვაჭრობა. ერთი ასეთი სადგური ლოჭოს სოფლის ბოლოზეც მდგარა. ამ სადგურისთვის უბრალოდ ფოსტები უძახნიათ. ფოსტების დუქანი განთქმული ყოფილა თავისი ვაჭრობით. მედუქნე თურმე მამასისხლად ჰყიდიდა ყველაფერს. ნისია ძალიან სჯავრებია და თუ მაინც მიუცია ვინმესთვის, ერთიორად და სამად უანგარიშია.

ერთხელ, რაღაც ეშმაკ-ქაჯად, ლოჭოს მეზობელი გლეხი შესულა დუქანში. თურმე იქვე ახლოს ყანასა მკიდა, ლობიოს ჭამა მოსწყინდა და იფიქრა, ძეხვით ჩავიგემრიელებ პირსაო. ფული არა ჰქონია და ნისიად უთხოვია. მედუქნეს უარი არ უთქვამს, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ მისულა ამ გლეხის სახლში და ერთი ფუთი ხორბალი წაურთმევია. გლეხს ლოჭოსთვის შეუჩივლია და ლოჭოსაც ბევრი ფიქრი არ დასჭირებია:

— ნუ გეშინია, ვასიკო (იმ გლეხს ვასიკო ჰქვიებია), შენ წადი, ისევ იმ შენს მამულში იმუშავე და ჯავრს როგორ ამოგიყრი, ამასაც დაინახავო.

წასულა ლოჭო და დაღონებული შესულა დუქანში. შესულა და ბარძაყზე ისე დაუტყაპუნებია ხელი, რომ მედუქნეს ხელიდან თეფში გავარდნია.

— რა იყო, ლოჭო. რა დაგემართა? —

— დამემართა კი არა, შენი ჭირიმე, დანა კბილს არ მიხსნის, — უპასუხია ლოჭოს, — მართალი უთქვამს იმ ვიღაცას: ბედნიერ კაცს ცოლი მოუკვდება და უბედურს ხარიო... ეეჰ!..

— რა მოხდა, კაცო, აღარ იტყვი?

— ეეეჰ! — კიდევ დაუტყაპუნებია მუხლზე ხელი, — დავიღუპე და ეგ არის! ჩემი საშველი აღარ არის, ან წყალში უნდა დავიხრჩო თავი და ან კლდეზე გადავიჩეხო.

— ისეთი რა მოხდა, კაცო?

— ეეჰ!.. გაიყიდება?.. გაიყიდება?..

— რა, კაცო?

— შენ ეგ მითხარ გაიყიდება-მეთქი?.. ძალიან მსუქანია. სულ ქონია, კაცო, ჰე-ჰე-ჰე, პა-პა-პა!..

— რა, მოგიკვდა რამე? — გაჰხარებია მედუქნეს.

— არ კი მომიკვდა, ფეხი მომიტყდა, ეი... ჩემი შვინდა ხარი ხომ იცოდი, ფეხი მომიტყდა. ისეთი მსუქანია, რომ რაღ გინდა ლაპარაკი... გაიყიდება?.. სულ ჩალის ფასად მოგცემ, ოღონდაც არ გამიფუჭდეს ამ გაგანია მკათათვეში.

— როგორ არ გაიყიდება, შე კაი კაცო, მაგაზე რა გადარდებს.

— მაშ, დავწყნარდე, კაცო? — მოწყალებით შეუხედავს ლოჭოს მედუქნისათვის.

— დაწყნარდი, ნუ გეშინია. მართალია, შენი პირით მეუბნები, ჩალის ფასად მოგცემო, მაგ-

11636

რამ მთლად მუქთად არ მოვინდომებ, ნუ გეშინია.

— აბა, მაშ ერთი ორიოდე ხელადა ღვინო მომიტანე და ცოტაოდენი მწვადი შემიწვი. იქნებ გული გადავაყოლო როგორმე.

გახარებულ მედუქნეს მაშინვე მწვადი აუშიშხინებია, ღვინოც მიუტანია ლოჭოსთვის და მწვანილიც

— ეს გამჩენძაღლი, ყელი ისე მაქვს შეკრული, რომ ლუკმის ჩაყლაპვა მიჭირს, — უთქვამს ლოჭოს, — ერთი გავალ, იქნებ მინდვრებზე ჩვენი ბიჭები ჩანდნენ, და იმათაც დავუძახებ.

გასულა ლოჭო. ვასიკო მოუძებნია. ერთი ათიოდე გლეხი სხვა უნახავს და ყველანი დუქანში მოუყვანია:

— მოდით, ბიჭებო, ქელეხია, ნამდვილი ქელეხი... ქელეხია, მაგრამ ქორწილად უნდა ვაქციო. კაცს რომ ხარს ფეხი მოუტყდება... აბა, ღვინო მოგვიტანე, ხორცი შეგვიწვი! იმდენს მაინც არ ამოიღებს ჩემი შვინდა, რაც ამ პურის ჭამას აანაზღაურებს?

— როგორ არ ამოიღებს, შე კაი კაცო, რა გული გაგტეხია. — კიდევ უფრო გაჰხარებია მედუქნეს და რაც კი ლოჭოს მოუთხოვია, ყველაფერი მიუტანია სუფრაზე.

გამართულა ქეიფი.

დროდადრო თურმე გამოვიდოდა გარეთ ლოჭო და ბუზღუნით შებრუნდებოდა ისევ:

— ჰეი, არა ჩანს კაცო, ის გამჩენძაღლი ჩემი ძმა. მე ვუთხარი, უკან მომაყოლე-მეთქი და დახედე?.. კუბაჩოზელა იყო გადასატყავებელი, იმას რა უნდოდა, ერთი ხელის გაკვრა. მერე კიდევა... აეუწვა და ცხენებზე აკიდება.

— შენთვის რომ ადვილია, იმიტომ ბრაზობ. — დაუმშვიდებია მედუქნეს, — ნუ გეშინია, ჩამოიტანს, თუ შენ მართლა უთხარი.

— ვუთხარი რასა ჰქვია, კაცო. ვუთხარი და მეტიცა ვქენ. დუქანში ჩავირბენ, ვნახავ და თუ ხორცი ბევრია, ისევ ამოვბრუნდები, თუ არა და იქ დაგელოდები-მეთქი.

— აგაშენა ღმერთმა, — გული დაუმშვიდებია მედუქნეს, — ალბათ აქამდე გელოდებოდა და როცა დარწმუნდება, აღარ ახვალ, აჰკიდებს და წამოიღებს.

— მართალს ამბობ, განა? — შეუცინია ლოჭოს, — მაგდენი მოფიქრება კი აღარა მაქვს. გამოჩერჩეტებული ვარ.

— მაშ, რა იქნება, შე კაი კაცო, ხარის სიკვდილი ადვილი ხომ არ არის, — მწუხარება გაუზიარებია მედუქნეს, — გინდა ხარი მოჰკვდომია კაცსა და გინდა სახლი დანგრევია.

— ეეჰ, რახ ვიზამ მოიტა, ერთი კიდევ გააახლე სუფრა!

გაგრძელებულა ქეიფი. ბიჭებს „მრავალჟამიერი“ და „ჰოპუნაც“ კი შემოუძახიათ. დროდადრო კი თურმე ისევ ადგებოდა ლოჭო საჭირო საქმეზე, სოფლისკენაც გაიხედავდა და გაბრაზებული შებრუნდებოდა უკან:

—ნახე, იმ პირშავმა რა გააკეთა, ეი?! მაშ, ისე პატარაა ის პატარა ის სანაცილე?! გათავდა, მეტის მოთმენა აღარ შემიძლია. გავიქცევი ახლავე და თავ-პირს დავალეწავ. თქვენ კი, ბიჭებო, — მიჰბრუნებია „ბიჭებს“, — შეუჭმელი და დაულეველი არაფერი დატოვოთ.

წამოსულა ლოჭო, ამოსულა სახლში და... დაწოლილა და დაუძინია. „ბიჭებს“ ყველაფერი შეუჭამიათ და დაულევიათ. მერე წასულან და ისევ ყანის მკა გაუგრძელებიათ.

საღამომდე ულოდნია მედუქნეს ლოჭოსათვის და რაკი აღარ ჩასულა, საღამოთი თვითონ მიუკითხებია ბინაზე. როგორც კი ძაღლი აყეფებულა, ლოჭო მიხვედრილა, ვინც იქნებოდა და მაშოსთვის უთქვამს:

— აბა, გადი, გაჰხედე ვინ არის.

მაშოს გაუხედია და უთქვამს, ვინცა ყოფილა. წამომდგარა ლოჭო და მთქნარებით გამოსულა ეზოში.

— რაშია საქმე?

— რა ვიცი, კაცო, შენ ხომ მითხარი, ხარს ფეხი მომიტყდაო და პირობაზე როგორა ხარ?

— ხარსაც მოგიტყდეს ფეხი და ცოლსაც. — უპასუხია ლოჭოს, — შე მამაძაღლო, ვასიკოს რომ ნახევარ გირვანქა ძეხვში ერთი ფუთი ხორბალი წაართვი, რა გეგონა, შეგარჩენდი?

— ეეჰ! — ამოუხვნეშია მედუქნეს, — გულმა ავად მიგრძნო, ვასიკო რომ იქ შემოსული დავინახე, მაგრამ რაღას ვიზამდი. რაც მოგივა დავითარ, ყველა შენი თავითაო.

— მართალი ხარ, — უპასუხია ლოჭოს, — წადი, ახლა და სადაც შენი დაიკვეხო, ჩემიც არ დაგავიწყდეს. ის მაინც მითხარ, ერთი კოდი ხორბლისა შევჭამეთ რამე? თუ დავაკელი, ხვალაც ჩამოვალ, მეტი რა გზა მაქვს.

— სამი ვედრო მარტო ღვინო დალიეთ, შე მღვრიედ სადენო! — უთქვამს გამწარებულ მედუქნეს, — მწვადად კიდევ სულ დეკეულის სუკებს გირჩევდი.

— გადი, გასცილდი ემაგ ხარიხებს, თორემ მღვრიესაც გადენ და ღვინიტიკებსაც წინ დაგილაგებ! — გაბრაზებულა ლოჭო და საზამთროსოდენა მუშტი შეუთამაშებია.

შეშინებია მედუქნეს და კუდამოძუებული წასულა შინ. ან კი მეტი რა გზა ჰქონდა?! იმ ღამეს თურმე სულ ლოჭოს სახელსა და დეკეულის სუკებს აბოდებდა.

## კენჭის ამოღება

ლოჭოსთვის უთქვამთ, მაზრაში გიბარებენ, კენჭი უნდა ამოიღოო. ასაკით უკვე დიდი ყოფილა, მაგრამ მაინც გამოუძახიათ.

— კენჭისთვის იქ როგორ მიბარებენ, რო-

ცა ჩვენს რიყეზე ამდენი ლოდები ყრია. — უპასუხია ლოჭოს.

— არა ის სხვანაირი კენჭიაო.

— მაინც როგორი იქნება, ეი? ჭრელი? ვითომ რა, კენჭის უნახავი უნდა გამხადონ?

— ასეა თუ ისე, კანონია და უნდა წამოხვიდე.

კანონისა ძალიან ჰშინებია ლოჭოს და ხშირად უთქვამს:

— ნეტავ, ის ვიღაც კანონი ხელში ჩამაგდებინა, ან მაჭიდავა და ან მაჩხუბაო. — მაგრამ რაკი ვერც საჩხუბრად იგდებდა ხელში და ვერც საჭიდაოდ, შიშის გარდა, სხვა გზა არა ჰქონდა.

ჰოდა, როგორც კი უხსენებიათ, კანონიო, ლოჭო მეორე დღესვე მაზრაში წასულა. მარტო ლოჭო კი არა, თხუთმეტი-ოცი კაცი სხვა ყოფილა მათი სოფლიდან. დასდგომიან შარაგზას და ფეხით ჩასულან სიღნაღში.

ლოჭოსთან ერთად ნამცხვინიაანთ შაქროც ყოფილა კენჭის ამოსაღებად. ამ შაქროზე მერე გიამბობთ დაწვრილებით, ახლა კი ამას გეტყვით რომ არც ისა ყოფილა ლოჭოზე ნაკლები ტანისა. სიმაღლით, მართალია ცოტათი ჩამორჩებოდა ლოჭოს, მაგრამ მხარ-ბეჭით თურმე აჭარბებდა კიდეც, წონითაც. ღონით კი ადვილად ვერ გეტყვით,რომელი რომელს სჯობდა. ლოჭო ყოველ ყველიერსა თუ სამებობას ზომავდა თავის ძალღონეს და შაქროს კი ასეთი რამე არ ჰყვარებია.

წასულან და... მაზრაში რომ ჩასულან, საღაც ყუთთან მიუყვანიათ. აი, აქედან უნდა ამოიღოთ კენჭიო ყუთში კი ქაღალდების მეტი არაფერი ყოფილა.

— ქაღალდი სადაური კენჭიაო, — გაჰკვირებია ლოჭოს, მაგრამ უფიქრია, იქნებ კენჭი ქაღალდშია გახვეულიო და ამოუღია.

ამოუღია, გაუსინჯავთ და — ცარიელი შეგხვდაო. იქვე მდგარ ჩია კაცს თურმე ცრემლი მოსდის და მწარედ მოუთქვამს: მე რომ ჯარში წავიდე, ჩემს წვრილ-შვილს რა ეშველებაო. ლოჭოს შესცოდებია და ხელიდან გამოუგლეჯია კენჭი. მერე, უფროსებთან მისულა და უთქვამს: მე წამიყვანეთ, დიდი ოჯახიც არა მაქვს და ჩემი მაშო როგორმე იოლას გავაო. დათანხმებიან და კენჭი შეუცვლიათ.

შაქროსაც რგებია წაყვანა. ხუთიოდე სხვა კაცსაც, მაგრამ მაშინვე კი არ წაუყვანიათ. უთქვამთ: ისევ შინ წახვალთ და ამა და ამ დღეს ჩამოხვალთო.

დანიშნულ დღეს ჩაუცვამს ლოჭოს ჩოხა-ახალუხი, შემოურტყამს პაპისეული ხმალი, დაუხურავს ტყავის ქუდი და შაქროსთან ერთად მაზრაში გამოცხადებულა. იქ უთქვამთ: არც ჩოხა-ახალუხი გჭირდებათ და იარაღსაც და ტანისამოსსაც ჩვენ თვითონ მოგცემთ, ჯარში როგორც კი ჩაგიყვანთო.

მაზრიდან თბილისში წაუყვანიათ. მაშინ ჯერ კახეთის რკინიგზა გაყვანილი არა ყოფილა და ფოსტის ცხენებითა და დილიჟანსებით მიჰყოლებიათ მგზავრები. ლოჭო და შაქრო ერთ დილიჟანსში ჩაუსხამთ.

— ვენაცვალე, ეი! — უთქვამს ლოჭოს, — აი, ქვეყანა და ხალხი მუქთი დილიჟანი, მუქთი ცხენები, მუქთი ჩასაცმელ-დასახურავი და მუქთი საჭმელ-სასმელი! აგაშენა ღმერთმა; კარგი წესი ამათა ჰქონიათ. არა, შაქრო?

— მართალია მაგრამ შენ თუ გგონია კუჭს გაგიძღობენ, ძალიან შემცდარხარ. — უპასუხია შაქროს.

— აბა, რას გვიზამენ? საჭმელს წინიდან ხომ არ აგვაცლიან?

— იმდენს თუ დაგიდგამენ, რომ აცლა დაგჭირდეს, წამხდარა იმათი საქმე და ეგ არის.

— რას ამბობ, ეი? აბა, იქ რისთვის მივყავართ?

— იქ მარჯვენ-მარცხენა უნდა გვასწავლონ?

— რა მარცხენა? ცაცია?.. ეს ხომ აქაც ვიცი. ცაცია ხელით კისრულზე წამოკიდება ისევე მემარჯვება, როგორც მარჯვენათი.

— სხვა რამესაც გვასწავლიან. თოფის სროლას და მწყობრში სიარულს.

— სიარულს? — გასცინებია ლოჭოს, — აგენის ბალღი ხომ არავის ვგონივარ? სიარული და სირბილი ვიცი ისეთი, რომ მთელი კახეთი ვერ დამეწევა.

— ის სხვა სიარულია. ბიძაჩემი ალექსა იტყვის ხოლმე — მწყობრში სიარული ძალიან ძნელიაო.

— ვნახოთ, ალილო და ხვალაო. იქ არ მივალთ? მაგასაც გაიგებთ, სიარული როგორც გამიძნელდება. სანამ მიიხედ-მოიხედავ, ზეიანის ბოლოდან ჩვენს სოფელში ავდივარ და მაგაზე მეტი სიარული როგორღა უნდა მასწავლონ?

ლოჭოს განსაკუთრებით ჭამაზე შეჰშინებია: იმდენს არ მოგიტანენ, აცლა რომ დაგჭირდესო. ლოჭოს ერთ ჯერზე ერთი ცხვარი უჭამია და ვიღაცის ნაწლუმპი წვენი რა მკვდარს დაუმარხავდა. ერთხელ სანაძლეო დაუდიათ, მთელ ცხვარს ვერ შეჭამო. ლოჭოს ცხვართან ერთად ერთი ვედრო ღვინოც მოუთხოვია. მოუხარშინებია ცხვარი, დამჯდარა ხორცისთვის ზურგი შეუქცევია და ჭამას შესდგომია. თურმე გააპარებს ხელს, გამოიღებს ერთ ნაჭერ ხორცს, გასვლეპავს და ზედ ერთ ჯამფილა ღვინოს დააყოლებს. გასვლეპავს და დააყოლებს, გასვლეპავს და დააყოლებს და ისე საქმე გაუხდია, რომ თურმე ბოლოს ხელებს აფათურებს. მაგრამ ხორცის ნაჭერს ვეღარ პოულობს. ჯამფილაშიც ცოტაოდენი ლექიღა ჩამოუსხამთ — გათავდაო. სანაძლეო მოუგია. თურმე იმ წელიწადს ლოჭოს მინდვრებში ყოველგვარი სამუშაო წამგებს შეუსრულებია, რომ უკითხავთ, ხორცი უკან რად დაიდგიო, — თვალგული გამიძღებოდა, წინ რომ დამედგაო. ჰოდა,

ისეთ მჭამელსა და მსმელსა როგორ გააძღობდნენ ჯარში.

ფოსტის დუქანთან რომ ჩამოუვლიათ, იქ გაუჩერებიათ. მაზრიდან გამოყოლილი კაცისათვის უთქვამს ლოჭოს, აქ რომ არ ვიქეიფოთ, გული არ მომითმენსო. გაუხდია ჩოხა-ახალუხი, მოვერცხლილი ქამარ-ხანჯალიც შემოუხსნია და უთქვამს, ამის ანგარიშზე სასმელი და საჭმელი მომიტანეო. გაჰხარებია მედუქნეს, იქნებ ახლა მაინც მახეიროსო და რაც კი მოუთხოვია ლოჭოს, ყველაფერი მიუტანია. ერთი კარგა გამობრუცულან ლოჭოც, შაქროცა და გამყოლიც. სხვა ბიჭებისთვისაც დაულევინებია. მერე უთქვამს:

— ვიცი, ეს ჩოხა-ახალუხი და ქამარ-ხანჯალი შენ მაინც არ მოგერგება, ისევ უკან მომეცი, გავყიდი და ფულს მოგცემო.

მედუქნე შეფიქრიანებულა, მაგრამ უარი უთქვამს:

— არა, მე თვითონ გავყიდი.

— შენ კი გაჰყიდი, მაგრამ ცოტაოდენი საგზაო ფული რომ მჭირდება, იმას ვინღა მომცემს.

ამოუღია მედუქნეს და ხურდა ფული მიუცია:

— ოღონდ ჩამომეხსენ და ესეც შენი საგზაო ფულიო. — ჩოხა-ახალუხი და ქამარ-ხანჯალი კი მაინც თავისთან დაუტოვებია.

მეტი რა გზა იყო, ტკბილად გამომშვიდობებია ლოჭო და დილიჟანსთან გამოსულა. აქ კი თავიანთ სოფლელი ვასიკო შეჰხვედრია და მაშოსთან დაუბარებია: ჩოხა-ახალუხი და ქამარ-ხანჯალი დუქანში დავტოვე და, ვინძლო, დროზე აიტანე-თქო.

შაქროს არ მოსწონებია ლოჭოს საქციელი: ეგ ხომ მოტყუება გამოდისო. მაგრამ ლოჭოს უპასუხია: ქურდის ქურდი ცხონებულიაო.

შაქროს ხმა აღარ გაუცია, მაგრამ დილიჟანში რომ ჩამსხდარან და გზა გაუგრძელებიათ, ასეთი ზღაპარი უამბია:

— ერთი ვაჭარი ყოფილა. ცხენით დადის თურმე სოფელ- სოფელ და სხვადასხვა წვრილმანსა ჰყიდის. ვაჭარს ბევრი საკვირველი რამ შეჰხვედრია, მაგრამ არაფერი გაჰკვირვებია. მარტო ერთხელ შეუჩერებია ცხენი და ისიც მაშინ, როცა უნახავს, რომ ერთ კაცს მეორე კაცი ურემში შეუბამს და სახრითა სცემს. სტკივა ამ მეორე კაცს გვერდები, მაგრამ სხვა გზა რომ არა აქვს უხმოდ იხლანკება გველხოკერასავით და ნელნელა მიიწევს წინ.

— რას შვრები, შე უღმერთო?! — უთქვამს ვაჭარს.

ურემზე მჯდარ კაცს ხმა არ ამოუღია, უღელში შებმული კი მოჰბრუნებია და უთქვამს:

— გაუშვი, მცემოს, სულ ხომ ასე არ იქნებაო.

ვაჭარს გაჰკვირვებია იმ კაცის გულგრილობა და ხმა აღარ ამოუღია. ათი წელი რომ გასულა, იმ სოფელში კიდევ შეჰხვედრია გავლა, დაინტერესებულა იმ კაცის ბედით, რომელიც უღელშიება, და უკითხავს სად არისო. უთქვამთ: მამასახლისად დავნიშნეთო. გაუხარებია. წასულა და მიულოცავს. მიულოცავს, მაგრამ იმ კაცს არც ეს გაჰკვირვებია და უთქვამს: სულ ხომ ასე არ იქნებაო.

დაბრუნებულა ვაჭარი.

ათი წლის შემდეგ კიდევ გაუვლია იმ სოფელში. უკითხავს ის კაცი და უთქვამთ: მოკვდაო. წასულა და სასაფლაო უნახავს. სასაფლაოს ჯვარი ჰქონია გაკეთებული და ზედ სწერებია: „სულ ხომ ასე არ იქნებაო".

„ეს კი მეტისმეტიაო", — უფიქრია ვაჭარს და უკმაყოფილოდ გამობრუნებულა, — უკვე მომკვდარა დაუმარხავთ კიდეც და სხვა რაღა უნდა მოხდესო.

ათი წელი რომ გასულა იმ სოფელში ხელახლა მოხვედრილა ის ვაჭარი და უნახავს, რომ სასაფლაოს ადგილზე რაღაც ქარხანა აუშენებიათ. მხოლოდ მას შემდეგ დაუჯერებია ვაჭარს, რომ ეს ცხოვრება სულ ასე არ იქნება. შენ კი... შენ როდის დაიჯერებ, ჩემო ლოჭო?

— ეგ აქია კარგია, თავი არ მომიკვდება, — უპასუხია ლოჭოს, — მაგრამ მაგის დაჯერება. ცოტა არ იყოს, გამიძნელდება. ჯერ უნდა ვიფიქრო და მერმე გეტყვი. მანამდე კი მედუქნეც უნდა მოვატყუო და სხვა იმისთანა სოფლის მყვლეფავებიც. მატყუარას მოტყუება მოუხდება.

## ვინ იყო შაქრო

შაქრო, როგორც გითხარით, ლოჭოზე არანაკლებ დევკაცი ყოფილა. მართალია, სიმაღლით თურმე აჭარბებდა ,მაგრამ მხარ-ბეჭით შაქრო სჯობნებია. მის ბეჭებზე წისქვილის ქვა მობრუნდებოდაო. უფრო მეტიც: კალო გაილეწებოდაო.

შაქროს წინაპრები მეომარი ხალხი ყოფილა. ამბობენ, მისი დიდი პაპა ერეკლე მეფის მშვენება იყო და ამ უებრო სარდალს ერთი წუთით არ ტოვებდა უმეთვალყუროდო. კრწანისის ომშიც თანა ჰყოლია. როგორც კაკანასსერელები გადმოგვცემენ, ომიდან სწორედ მას გამოუყვანია მეფე. ცხრა ძმა ხერხეულიძეები კი ძმებივით ჰყვარებია. ამბობენ არაგვის ჭალაში სოლომონ ლეონიძისა და ერეკლე მეფის საუბარსაც დასწრებიაო ჩუმად. უკან შორიახლოს მისდევნებია მეფეს, რათა არაფერი შეიმთხვიოსო. თუმცა ეს საუბარი ძალიან შორს წაგვიყვანს და სჯობია გავჩუმდეთ. ისტორიამ მხოლოდ ხერხეულიძეები, არაგველები და სოლომონ ლეონიძე იცის. იმის იქით მარტო მტრობა და ღალატი იყოო. მოდექი და ამტკიცე საწინააღმდეგო.

შაქროს მამა-პაპანი თურმე ცხენებზე ვერ სხდებოდნენ, რადგან მათი დამძვრელი ცხენ-

ბი არ მოიძებნებოდაო. შეიძლება ამასაც ვერწმუნოთ: შაქროს ძმისწულებსა და ვაჟიშვილს მე თვითონ შევესწარ და, თუმცა ბერიკაცები ამბობდნენ გადაშენდნენ და წინაპრებს არაფერში აღარ ჰგვანანო, თითო იმოდენა იყო, რომ ორ ვაჟკაცს აიწონიდა. ერთ ძმისშვილს დიდი სამამულო ომის დროს უზარმაზარი ორთვალა შესდგომია, მაგრამ რამდენიმე კვირას კიდევ უცოცხლია. მეორე კი მის სიმწარეზე დამთვრალა, სადღაც ღია ცის ქვეშ დაუძინია, წვიმაში გაციებულა და დაღუპულა. მესამე ძმისშვილი კი, მგონი, ახლაც ცოცხალია. სადღაც, სხვა სოფელში გადასახლებულა, რათა ძმების ნასახლარი აღარ დაენახა.

ასეა თუ ისე, შაქროს წინაპრები მეომარი ხალხი ყოფილა და ხვნა-თესვისა და ლაშქრობის გარდა თურმე ყველა საქმე ესირცხვილებოდათ. ყველანი ერთიერთმანეთზე შემძლენი და გულმაგრები ყოფილან.

ერთხელ ურმების აღალით ქალაქში წასულან. ფქვილი და სხვა რაღაც გლეხური წვრილმანი წაუღიათ გასასყიდად. იქიდან რომ გამობრუნებულან, ვაზიანთან დაჰღამებიათ და ხარი იქ გამოუშვიათ. ღამით კი შეიარაღებული ყაჩაღები დასხმიან თავზე და გაძარცვა დაუპირებიათ, მაგრამ შაქროს ერთი ისეთი უკივლია „ჰაიტ, დედას გიტირებთო“, რომ ორი ყაჩაღი იქვე დაცემულა გულგახეთქილი, მესამეს და მეოთხეს კი შიშისაგან თოფები ხელიდან გაუშვიათ და გაქცევა ვეღარ მოუხერხებიათ. დაუჭერიათ ის ორი ყაჩაღი, ურმის კოფოებზე დაუბამთ და ქოდალოში ამოუყვანიათ. ამაზე თურმე სასამართლოც გამართულა, მაგრამ შაქროსათვის მადლობის მეტი არაფერი უთქვამთ, ყაჩაღებისათვის კი ციხეში ამოუყოფინებიათ თავი.

შაქროს ერთი უქნარა დისშვილი ჰყავს. სოსვაანთ ვანოს ეძახიან, აი, ის რას გვიყვება:

ერთხელ ყინვიან ზამთარში, არ მახსოვს ქრისტიშობისთვე იქნებოდა თუ იანვარი, ქალაქიდან მოვდიოდით ურმებით. ასე, ათი-თორმეტი წლის ბიჭი თუ ვიქნებოდი და საცალოში ვიჯექ, მაგრამ გუშინდელი დღესავით მახსოვს ყველაფერი. ლოჭონის ხევთან რომ მივედით, შაქრომ ურემი გააჩერა, ფეხის ქუსლით ყინვა ჩალეწა, გაადაბოტა მდინარეს, წელზემოთ გაშიშვლდა და ბანაობა დაიწყო. ორი ხელით რომ გულ-მუცელზე წყალს შეისხავდა, ორთქლი ბუღივით ასდიოდა. შორიდან რომ დაგენახათ, ნამდვილი ორთქლმავალი გეგონებოდათ. ნახევარ საათს მაინც იბანავა და მერეღა ამოისუნთქა თავისუფლად, ძლივს არ გავგრილდიო. ყველანი გაშტერებით მისჩერებოდნენ და ხელების დასველება ვერავის გაებედა. ბოლოს ერთმა ახალგაზრდა მეურმემ ივაჟკაცა: პირზე ორიოდე მუჭა წყალი შეისხა და მკლავებიც იდაყვებამდე დაისველა. დაისველა, მაგრამ რაც იმ ღამეს იმ უბედურს აბოდა, ერთ მოზრდილ წიგნში არ ჩაეტევა, ის რომ დაიწეროს. ერთი წელიწადი მაინც იავადმყოფა იმ კაცმა, თუმცა გამოჯანმრთელების შემდეგაც ხეირი ვეღარა ნახა.

აი, ვინ ყოფილა შაქრო და რა გასაკვირია, რომ პირველ გამოძახებისთანავე მაზრაში წასულიყო, კენჭი ამოეღო და ლოჭოსთან ერთად ჯარშიც გამგზავრებულიყო წარბშეუხრელად.

ერთი რამეც უნდა ვთქვა: შაქროს დიდი პაპისთვის ერეკლე მეფეს უთქვამს, წერა-კითხვა რომ იცოდე, ისეთი კარგი ვაჟკაცი ხარ, რომ მსაჯულად დაგნიშნავდიო. ეს ჩასჭრია გულში შაქროს პაპას და ლაშქრობიდან დაბრუნების შემდეგ შვილებისთვის უთქვამს, წერა-კითხვა უნდა ისწავლოთო. უფროსი შვილი სოფლის მღვდელთან მიუყვანია, ათი კოდი პური და ერთი ხარი მიუცია და უთხოვია წერა-კითხვა ასწავლეო. მღვდელსაც უარი აღარ უთქვამს და უსწავლებია. უფროს შვილს უმცროსებისთვის უსწავლებია. მერე მათ კიდევ თავიანთი შვილებისთვის უსწავლებიათ და პაპის სურვილი ანდერძად გადაცემულა გვარში.

შაქროს კარგი წერა-კითხვა სცოდნია. მარტო წერა-კითხვა კი არა, თურმე ლექსებსაც თხზავდა. ძველ გმირებზე და ფალავნებზე შაირებს იგონებდა და ფანდურზე ამღერებდა. ის რომ ფანდურს თითებს ჩამოჰკრავდა, თურმე ფოთლებიც შრიალსა წყვეტდნენ და ძროხას ბალახი პირში ეყინებოდა, — ცოხნას აჩერებდა. მის სიმღერაზე თურმე დედაკაცები ცრემლად იღვრებოდნენ და ვაჟკაცებს კი მწარე ოხვრა სკდებოდათ გულიდან. მისი ფანდური თითების შეუხებლად უკრავდაო. კაკანასსერელები სადაც კი კარგი ფანდურის ხმას გაიგონებდნენ, ქმარ-შვილს იფიცავენ, ეგ ნამდვილად შაქროსეული ფანდური იქნებაო. კარგ მომღერალსა და მსახიობებს კი შაქროსთან ადრიან. თუმცა არცერთი არ მოსწონთ მასთან შედარებით.

სოფელში რომ ახალი ამბავი გავრცელდებოდა, თურმე შაქროსთან მიდიოდნენ შესაკითხავად: მართალია თუ არაო. თუ შაქრო იტყოდა გაზეთში ეწერაო, ანდა მეც გავიგე და შეიძლება მართალი იყოსო, დაიჯერებდნენ, თუ არა და გაგონილ ამბავს ჭორს შეარქმევდნენ და ისე გაისტუმრებდნენ სოფლიდან.

სოფელს მართალია მამასახლისი ჰყოლია, მაგრამ ხალხს თურმე შაქროსი უფრო სჯეროდა. ტყუილს არ იტყოდა თავის დღეში, თუ რამეს შეგპირდებოდა, გააკეთებდა კიდეც, თუ არა და — არა. როცა დუქანში ლოჭოს გამცილებელი უქეიფებია და მძევლად ჩოხა-ახალუხი დაუტოვებია, შაქროს არ სიამოვნებია და დამაფიქრებელი შეგონება მიუცია.

„სიმართლის ნერგი იხარებს, დარგო თუნდ სიპსა ქვაზედაო“. ხშირად უთქვამს შაქროს და სწორედ ეს სიტყვები ყოფილა მისი წინამძღო-

ლი. შაქროს სიმართლისმოყვარეობა ლოჰოს ადრევე სცოდნია და უკითხავს:

— შაქრო, შენ გულმართალი კაცი ხარ და მე კი ზოგჯერ ტყუილებიც მიყვარს. ჰოდა, ერთად როგორ გამოვდგებით?

— ზოგჯერ ტყუილიც საჭიროა, ჩემო ლოჰო, კარგი ტყუილი უხეირო მართალსა სჯობია. გააჩნია ვის ატყუებ და რატომ? მაგრამ ერთი რამ არ დაგავიწყდეს: რამდენი ტყუილიც გინდა სთქვა; ერთ კაცთან მაინც გულმართალი უნდა იყო.

— მართალია, ეი, მეც სწორედ ასეთი ვარ. ჩემს მამას არაფერს ვუმალავდი, აქ კიდევ შენ არ მოგატყუებ.

— მეთაურს მოატყუებ? — უკითხავს შაქროს.

— თუკი არ ვარგა, რატომაც არ მოვატყუებ. მოვატყუებ და მეტსაც ვიზამ!

ამ საკითხზე შემდეგშიც ბევრი უკამათიათ ლოჰოსა და შაქროს. მაგრამ სიმართლისა და სიცრუის ამბავი ბოლომდე გადაუჭრელი დარჩენიათ. ლოჰოს უმტკიცებია ქვეყანა სიცრუეზეა აშენებულიო და შაქროს თქმით კი ცხოვრების დედაბოძი სიმართლეაო. მართალი სიტყვა ქვაზე დადე გაიარე, წინ დაგხვდებაო. „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლადო“ და ვინ მოსთვლის, კიდევ რამდენი ანდაზა და აფორიზმი სცოდნია სიმართლისმოყვარეობაზე.

## კირველი დღეები ჯარში

ჯარში რომ მიუყვანიათ და ლოჰო ახალ ტანსაცმელში გამოუპრანჭიათ (თუმცა მისი სარვოშარვალი მაინც ვერ უშოვიათ და სხვისი შარვლის ტოტები მიეკერებინათ), თანაც იარაღი მიუციათ, ქვეყანა თავისი ჰგონებია: აი, ახლა კი ნამდვილი კაცი ვარ და თავზეც ქუდი მხურავსო. გვერდზე რომ ხმალი დაუკიდია და მხარზე შაშხანა, პატრონტაშები კი წელზეც შემოურტყამს და მხარიღლივაც. შაქროსთვის უთქვამს სურათი გადავიღოთ, მამას უნდა გავუგზავნოო. გადაუღიათ სურათი და მართლაც გამოუგზავნიათ. ლოჰოსა და შაქროს გარდა, ორი კაცი სხვა არის გადაღებული. ერთი დაყირავებულულვაშიანი კაზაკია და მეორე ახმახი რუსი. ისინი დგანან და შაქრო და ლოჰო კი სკამებზე სხედან.

— ეს იარაღი სულ ჩემი იქნება? — უკითხავს ლოჰოს შაქროსთვის.

— როგორ თუ შენი?

— შინ წასვლისას თან გამატანენ თუ ისევ უკან წამართმევენ?

— იარაღი რომ ყველას შინ გაატანონ, ჯარს რაღა ეშველება?

— ახალ იარაღს ვერ უყიდიან?

— უყიდიან და მეფის ხაზინა დაცარიელდება.

— ეს ყველაფერი მეფის ხაზინით ჯარის ნაყიდი? — დაინტერესებულა ლოჰო.

— მაშა.

— იმ ღმერთძაღლ მეფეს საიდანღა აქვს ამდენი? — აღარ ამოუსუნთქავს ლოჰოს.

— გადასახადებს რომ გვახდევინებენ, შენ რა გგონია, სად მიაქვთ, თუ არა მეფის ხაზინაში?

— აი, თურმე რა ყოფილა. გამოდის, რომ ჩვენს თავს ისევ ჩვენ ვინახავთ?

— აბა, რა გეგონა?!

— თუ ასეა, აღარ გადავიხადოთ.

— აღარ გადავიხადოთ და ჯარი დაიშლება.

— ჯარი რად გვინდა?

— ჯარი იმიტომ გვინდა, რომ ქვეყანას უყარაულოს. ჩვენი საზღვრების შიგნით მტერი არ შემოუშვას, რომ მამა-პაპის საფლავი არ წაგვართვან. ჯარი რომ არა გვყავდეს, მთელ ქვეყანას დომხალივით აურევდნენ აქამდე.

ამ სიტყვებს ოდნავ დაუმშვიდებია ლოჰო და შეკითხვები აღარ მიუცია.

ჯარისკაცებს ლოჰოს ახოვანება შეშურებიათ და ჭიდაობაში გამოუწვევიათ: უფიქრიათ: ტანით რომ მაღალია, უეჭველად დონდლო იქნებაო. ეს გამოწვევა გაჰხარებია ლოჰოს: მკლავს გავშლიო. სახელდახელო წრე გაუმართავთ და გადასულა. გადასულა და პირველივე შემხვედრი რუსი ყირამალა გადაუტარებია, მერე კაზაკი უჭიდავებიათ, მერე — თათარი, მერე — ევენკი, მაგრამ ყველანი წაუქცევია.

— გამოდით, ეი. აღარავინ არ არის?! — უთქვამს ქართულად და მეტრიანი მკლავები არწივივით გაუშლია: — გამოდით, ვისაც გული გერჩით!

მართალია, მისი ქართული ვერავის გაუგია, მაგრამ ნათქვამის კილოსა და მისი მკლავების მოძრაობას ყველანი განუცვიფრებია და სიცილი აუტეხიათ. მას შემდეგ ყველას შეჰყვარებია ლოჰო. თურმე გარს უვლიან და თვალებში შესციცინებენ.

რუსული ენისა თურმე ერთი სიტყვაც არ გაეგებოდა ლოჰოს, ისევ შაქროსა სცოდნია ცოტ-ცოტა თავისი მამა-პაპიდან და ახლაც გულმოდგინედ შესდგომია სწავლას, თვითონაც უსწავლია და თურმე ლოჰოსაც ასწავლა წვალებით. მართალია, ძალიან გასძნელებია, მაგრამ იმდენი მაინც უსწავლებია, რომ მარჯვენა მარცხენისაგან გაერჩია და ჩექმა და პური ერთმანეთში არ აერია. ქართული წერა-კითხვის სწავლებაც დაუწყებინებია ლოჰოსთვის. სამ დღეში სამი ასო შეუსწავლებია და ლოჰოს უთქვამს, მეყოფაო. ეს ასოები მისი ზედმეტი სახელის შემადგენელი ნაწილები ყოფილა და მაშოსთან გასაგზავნი პირველივე წერილის ბოლოზე მიუწერია: „ლოჰო“. უფიქრია, მაშო ნახავს და

ჩემს ნაწერს იცნობსო, მაგრამ ამის გაგება კი აღარ ჰქონია, რომ მაშომ ის წერა-კითხვის უცოდინარი გაგზავნა ჯარში და თანაც არც მას შეეძლო ჩაბულბულება.

დიდი ხვეწნითა და წვალებით შაქროს ყველა ასო შეუსწავლებია ლოჟოსთვის, მაგრამ მისი ცოდნა ამის იქით აღარ წასულა. სხვა ყველაფერზე ცივი უარი განუცხადებია. მეც რომ გაზეთებისა და წიგნების კითხვა დავიწყო, ვინღა მოხნას და მოთესოსო.

შაქროს კი ამასობაში რუსული კითხვაც კარგად შეუსწავლია და თურმე ქაღალდის ნაგლეჯს აღარ უშვებდა წაუკითხავს, საღამოთი, ყაზარმაში რომ შექუჩდებოდნენ ჯარისკაცები, ლოჟო და შაქრო განაპირდებოდნენ და სხვადასხვა საკითხებზე მსჯელობდნენ. ხანაც შაქრო უკითხავდა და ლოჟო უსმენდა. მართალია ,ბევრი არაფერი გაეგებოდა ,მაგრამ მაინც გულმოდგინედ უსმენდა. ძალიან უხაროდა მისი თანასოფლელი რომ ასეთ სწავლულობას ამჟღავნებდა და გუნებაში მთელ ქვეყანას ენაძლევებოდა, რომ შაქროსთანა განათლებული კაცი ბევრი არავინ იქნება დედამიწის ზურგზეო, მას ვერც მათი სოფლის მამასახლისი შეედრებოდა ცოდნაში და ვერც მღვდელი შაქრო ყველაფერს თურმე „მამაოჩვენოსავით“ სხაპასხუპითა კითხულობდა. შორიდან რომ ყური ეგდოთ, ვერც კი გაიგებდნენ, კითხულობდა თუ ზეპირად ლაპარაკობდა.

— შაქრო, სოფელში რომ ჩავიდეთ და მღვდლად გაკუთრხონ ან მამასახლისად, ხომ კარგი იქნება?

— მღვდლობა რად მინდა? — გაეღიმებოდა შაქროს.

— რატომაც არ გინდა. შემწვარი და მოხრაკული არ გამოგელევა. სადაც კარგი შილაფლავი იქნება, შენსკენ გამოგზავნიან. მე კიდევ დიაკვნად ამიყვანე და ვიცხოვროთ არხეინად. რა გვენაღვლება?

— ჩემისთანა კაცი მღვდლად არ გამოდგება. — ისევ გაპღიმებია შაქროს.

— ვითომ რატომ არ გამოდგები? მღვდლობას მარტო სიმაღლე და ნიკაპი სჭირდება. შენ კი არც სიმაღლე გაკლია და არც ნიკაპი. შენ რომ წვერს მოუშვებ და ანაფორას ჩაიცვამ. ქვეყანა გადაირევა. ქალები დევნას დაგიწყებენ.

— საქმეც მაგაშია, ჩემო ლოჟო. მღვდელი მატყუარა და ცბიერი უნდა იყოს. თანაც ჩუმ-ჩუმად მეზობლის ქალებს ეარშიყებოდეს. მე კი ასეთი რამეები არ მემარჯვება. მე მხოლოდ სიმართლე მიყვარს. სიმართლის ნერგი იხარებს, ძარგო თუნდ სიპსა ქვაზედაო, მართალი სიტყვა ქვაზე დადე ,გაიარე, წინ დაგხვდებაო, მართალ კაცს აღმართი გაუვაკდებაო.

— ეგ მართალია, მაგრამ ისიც ხომ გაგიგია, სიმართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო. მიჰყე, მიჰყე სიმართლესა, გამთგილევს სინათლესაო.

— ეგეც გამიგონია, მაგრამ ისიც კარგად ვიცი, რომ მართალი სიტყვა კლდეს გახეთქსო, მართალი კაცი ზღვაში რომ ჩააგდო, ზღვა დაშრებაო, ცეცხლში რომ გადაუძახო, ცეცხლი ჩაქრებაო. მართალს სიტყვას მარცხი არ უწერიაო.

— პა, პა, პა, პა, რა კაი აქიები იცი, ეი.

—მღვდლად შენი უფრო გამოდგები, ტყუილი გემარჯვება. — უთქვამს შაქროს.

— კაცო, განა მე კი მიხარია ტყუილის თქმა, მაგრამ როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდესო. ბალღობიდანვე ყველანი მატყუებდნენ და მეც ეს ვისწავლე. ჩვენი ოჯახი რომ გაიყარა, ჩემმა ძმებმა და მამაჩემმა ერთი ტარწავარდნილი წალდისა და მინგრეული სასიმინდის მეტი არაფერი მარგუნეს. ეს სათავნოაო, ეს სამარხიაო, ეს საქორწილოაო, ეს ვალები გვაქვსო, ეს-ესაო, ეს-ისაო და ჩემთვის კი არაფერი გაიმეტეს. მეც ავდექი და სხვა გზა რომ აღარ მქონდა, ვიღაც მდიდარ კაცს თივები გავუყიდე. ვტყუივარ? განა მოვპარე რო? ვაჟკაცურად მივედი და გავუყიდე. იმ დროს მე მიჭირდა, ვიფიქრე, როცა ვიშოვი, მაშინ ავუნაზღაურებ-მეთქი. მედუქნეები კიდევ ყოველდღე გვატყუებენ და ათასში ერთხელ რომ მეც მოვატყუო, ვითომ რა დაშავდება? თუ არა, შენ ხომ მითხარი, ზოგიერთი კარგი ტყუილი მართალსა სჯობიაო. — თავი უმართლებია ლოჟოს: — მაშ არც მამასახლისობა გინდა?

— ტყუილს გააჩნია, მეომარი რომ ტყვედ ჩაიგდონ და ტყუილი არა თქვას, თავის თავსაც დაღუპავს და ქვეყანასაც. მაგრამ ყოველ ნაბიჯზე ტყუილის თქმა კი კაცის დამღუპავია. ქურდობა ხომ ყველაზე დიდი ბოროტებაა! ნათქვამია: „ვერ აშენდა ქურდი კაცი, ვერცა მონადირე ტყისა, ერთი კვირით წინ დაიქცა მეთევზე მებადურიცაო“.

— აქეთ მოიხედე, — უთქვამს ლოჟოს, — საწყალი მამაჩემი მეტყოდა ხოლმე, ქვეყანა ქურდიაო. ყველას გაკვრა-გაგლეჯაზე უჭირავს თვალიო. ასე ყოფილა და ასე იქნებაო, ხელის თითებიც იმიტომა გვაქვს ტოლ-მეტიო. მაგრამ თურმე ვინც ქურდია, ყველაზე ძალიან ის იჩაგრება, ნეკა თითით იმიტომა ყოფილა დალეული. ჰოდა, ავდექი და სხვანაირად ვცადე მთა და ბარის გასწორება. ვინც მე მატყუებს, მეც იმას მოვატყუებ და ვინც აჯობოს, აჯობოსმეთქი...

— სხვამ რომ გაჯობოს?

— მაჯობოს და აი, მუშტი! ისეთი დავათარო ზემოდან, რომ კურატივით ღმერთს შეეწიროს... მაშ არც მამასახლისობა გინდა, ჰა?...

— არც ეგ ვარგა, ჩემო ლოჟო, — ყურადღება არ მიუქცევია ლოჟოს ნათქვამისათვის.—

შენზე ღონიერი რომ სხვა იყოს და მან უფრო ადრე დაგაფაროს?

— ეგეც მართალია. მაშ როგორ მოვიქცე? მასწავლე და მეც ისე გავაკეთებ. ერთი ღვთისნიერი არავინ გამოჩნდა, რომ ჭკუაზე დავერიგებინე. მღვდელთან მივედი და, იცი, რა მითხრა? მარჯვენა ლოყაში რომ გაგარტყან, მარცხენა მიუშვირეო. მამაჩემისათვის დამეჯერებინა თუ მღვდლისათვის?

— არც ერთს არ დაეჯერება და, იცი რატომ? მამაშენი ჩამორჩენილი და ბნელი იყო, ხოლო მღვდელი კი — ცბიერი, მატყუარა. ვერც ქურდობითა და სხვისი დაჩაგვრით იცხოვრებ და ვერც კიდევ ლაჩრობით. არც სხვა უნდა დაიბრიყვო და არც შენ დაებრიყვებინო ვინმეს.

— შენ აგაშენა ღმერთმა. მეც მაგ აზრისა ვარ. იმიტომ ვატყუებ მედუქნეებსა და მუქთახორებს, რომ თანასწორობა დავამყარო.

— ასე ვერ დავამყარებთ თანასწორობას. ასე მხოლოდ ქურდობასა და მოტყუებას გავაბატონებთ. საქმე იმაშია, ისეთი ქვეყანა მოეწყოს რომ ყველამ პატიოსანი შრომით იცხოვროს.

— მეც ეგ მინდა, კაცო, მეც მაგასა ვჩივი და იმიტომ გეუბნები, მამასახლისად დადექ-მეთქი.

შაქროს გასცინებია:

— მამასახლისად მე ვინ დამაყენებს, ჩემო ლოჭო? მამასახლისად მდიდრებს ირჩევენ. ჩემი წინაპრები კი მხვნელ-მთესველები და მეომრები იყვნენ და ხმლისა და გუთნის მეტი არაფერი დაუტოვიათ.

— ჯერ შინ ჩავიდეთ. მე თვითონ ვიტყვი მამასახლისად ავირჩიოთ-მეთქი. ვიტყვი და გავიყვან კიდეც. აი, ნახავ თუ არა.

— გეყოფა, ლოჭო, გეყოფა, ნახევარი ხვალე ვილაპარაკოთ.

— მე მიყივლია და ვნახოთ.

## ო მ შ ი

ჯარში ხმა გავარდნილა, ომი იწყებაო.

— ვინ ვის ეომებაო? — უკითხავს ლოჭოს.

— გერმანელები და რუსები ომობენო. — მერე სხვებიც ჩამოუთვლია შაქროს: ავსტრია, უნგრეთი, პრუსია, ინგლისი, საფრანგეთი და რა ვიცი, ვინდა არა.

— რა ბევრნი ყოფილან ეგ გამჩენძაღლები, ეი?.. თუმცა ჩვენ რაში გვენაღვლება, რამდენიც გინდა, იომონ, ქართველებს თუ არაფერს გვერჩიან. წავიდეთ და კახეთში ვიმუშაოთ.

— შენი ნება კი არ არის, რომ წახვიდე?! აქ მეფის არმიაში ვართ და მეთაურს ვემორჩილებით. — უთქვამს შაქროს.

— შენ ეგ მითხარ, ეს ომი კარგი იქნება თუ ცუდი. მდიდარსა და ღარიბს გაასწორებს?

— მთა და ბარი ვის გაუსწორებია, რომ ახლა გასწორდეს. მდიდარიც ისევ ისე იქნება და ღარიბიც, ახლა თუ რუსის მეფე გვყავს ბატონად, მაშინ გერმანელების მეფე გაგვიბატონდებაო.

— აბა, მაშ რატომ უნდა ვიომოთ? [illegible]ვის არც ისა ყოფილა კარგი და არც [illegible]

— საქმე იმაშია, თუ გერმანიამ რუსეთი დაამარცხა, კავკასიასაც მიადგება და საქართველოსაც აგვიოხრებს. მე კი, შენც ხომ იცი, რომ ჩემს დიდ პაპას ერეკლე მეფის ლაშქარში უმსახურია და ამას რა დამავიწყებს. ერეკლემ თვითონ გადასცა რუსეთს ჩვენი საქართველო და მას როგორ ვუღალატებ?

— მაშ თუ ასეა, ვიომოთ. — უთქვამს ლოჭოს და ხმალზე ხელი გაუვლია, თითქოს აქვე ხის მტერი, გადაუქნევს ხმალსა და სულს გააფრთხობინებსო.

ომში ჯერ არ ეძახდნენ ლოჭოს. ყოველდღე კი ახალ-ახალ ცნობებს კითხულობდნენ ჯარის ნაწილებში. სამსონოვსა და რენენკამპფს ახსენებდნენ, მაგრამ ლოჭომ თურმე ვერ იქნა და ვერ დაიმახსოვრა ეს სახელები. და სამსონასა და რენეკას ეძახდა. შლიფენის გეგმისთვის კი შილაფლავის გეგმა შეურქმევია.

— ვინ არიან ის მეთაურები, უკან რომ იხევენ? — ხშირად ეკითხებოდა თურმე შაქროს.

— სამსონოვი და რენენკამპფი.

— მერე და რა მოარბენინებთ უკან მაგ კაი კაცებს?! შნო არა აქვთ, ისეთი დაარტყან, რომ მეორე არ მოუნდეთ. ახ, რატომ შენ არა ხარ მეთაური, ჩემო შაქრო. მე კიდევ შენს მოადგილედ ამიყვანდი და დედას ვუტირებდით.

შაქრო თურმე უარობდა, მაგრამ ჩუმჩუმად ეღიმებოდა და სჯეროდა, რომ თვითონ თუ იქნებოდა ჯარის სარდალი და თანაც ლოჭოსთანა ერთგული მეომრები ეყოლებოდა, უთუოდ გაიმარჯვებდა.

— ჩემზე კი რა მოგახსენოთ, მაგრამ... — ღიმილით პასუხობდა თურმე შაქრო, — ერეკლე მეფე რომ ყოფილიყო, გერმანელებს სულ კუდით ქვას ასროლინებდა. ასპინძასთან თითო ქართველმა ცამეტი თურქი დაამარცხა.

— იქა ვყოფილიყავი და რატომ ოცსაც არ დავამარცხებდი.

— კრწანისშიაც თავი ისახელეს, მაგრამ ვიღაც გამყიდველმა გაგვცა და იმიტომ დავმარცხდით.

— ჰაი, რატომ იქ არ ვიყავ და ამ ხმლით ყურები არ დავათალე იმ გამყიდველსა. რასა ჰყიდიდა, ეი? ალბათ დენგარასავით მამასისხლად ასაღებდა ყველაფერს?

— განა მედუქნე ყოფილა? — გასცინებია შაქროს, — სამშობლოს მოღალატესაც გამყიდველს ეძახიან.

— ჩემი დღე შუა გაყოფილიყო, იქ გადავყროდი სადმე და მე ვასწავლიდი ჭკუას. გამყიდველი კი არა, ვინც გინდა, ყოფილიყო.

რამდენიმე დღის შემდეგ ლოჭოსთვის შაშხანა ჩამოურთმევიათ, ომში სჭირდებათო.

— ვა, მე აქ რაღას ვაკეთებ, ეი? — გაჰკვირვებია ლოჭოს, — ჩემი თოფი ომში მიაქვთ, მე რაღა დამბლა დამცემია?

— ჩვენც მივყევართ. — უთქვამს შაქროს.

— მერედა, თოფი რომ არა მაქვს, რა ჩემი ფეხებით ვიომო?

— თოფი სხვებსაც აკლია. სადაც თოფიან მკვდარსა ნახავთ, აჰყარეთ და იმით იომეთო — განუმარტავს შაქროს.

— თოფები არც იმათა აქვთ, გერმანელებს? — უკითხავს ლოჭოს.

— თოფისა და იარაღის მეტი რა გააჩნიათ. ჰოდა, ჩვენი მეთაურები გვეუბნებიან, დახოცეთ და თოფები წაართვითო.

ამ სიტყვებზე ბევრი უცინია ლოჭოს, ბევრიც შემოუკრავს თავში და განცვიფრება გამოუხატავს, მაგრამ არაფერი შველებია. უთოფოდ წაუყვანიათ ომში. ვინც პირველი დაიღუპება, იმას წაართვი და იმით იომეო. ბოლოს მოუფიქრებია: ნაწილში ერთი პატარა, ჩმაგი ჯარისკაცი ჰყოლიათ, იმისთვის წაურთმევია თოფი და უთქვამს, უკანიდან მომყევი, ტყვია თუ საიდანმე გამოვარდა, მე მომხვდება და შენ გადარჩები. მერე ამხსენი ფოთი და რამდენიც გინდა ,იმდენი იომეო.

საბედნიეროდ ყველა ტყვია ასცილებია ლოჭოს. ზოგჯერ ძალზე ახლოს, პირდაპირ ყურთან გაუწუწუნებდა თურმე და იფიქრებდა, ეს არის უკვე მამაუფალმა მიმიღოო, მაგრამ სხვებსა ჰხვდებოდათ. ასე უომნია იქამდე, სანამ უკანასკნელი ვაზნა გაუთავდებოდა, მაგრამ უკანასკნელიც რომ უსროლია, მერე ცხვირი ჩამოუშვია და შაქროსთვის უჩურჩულია:

— შაქრო, ვაზნები გამითავდა, ეი, და რაღა უნდა ვქნა.

— მოგვიტანენ, — დაუიმედებია შაქროს. მაგრამ როგორც თქვენთვის მოუტანიათ რამე, ისე მათთვის.

## გიორგის ჯვარი

რამდენიმე დღეს მშიერ-მწყურვალნი ყოფილან შაქრო და ლოჭო. მარტო ისინი კი არა, მთელი მათი ნაწილი, მერე ვიღაცას უთქვამს, ღმერთმანი, აი, იქით, ღელისკენ ფორანია ჩაჩეხილი და ზედ კონიაკი უდევსო. მარტო კონიაკი კი არა, ლიმონათიცა ჩანს და მგონი საჭმელებიც მოიძევებაო. ცხენები და მეფორნე ტყვიას დაუხოცია და ფორანი კი უპატრონოდ ჩაჩეხილა, თუ ვინმეს შესწევს იმდენი გამბედაობა, შიმშილით სიკვდილს გადავრჩებითო.

ლოჭოს უთქვამს, მე წავალო. შაქროს დაუშლია, მაგრამ ლოჭო არ დათანხმებია.

— არადა, მეც წამოგვყვები. — უთქვამს შაქროს.

— არა, — უუარია ლოჭოს, — შენც რომ წამოხვიდე, მეთაური გაგვიგებს, მარტოკა გავიპარები და რასაც დავძრავ, წამოვიღებ.

წასულა ლოჭო. თურმე ეს მშიერ-მწყურვალი, გადალასლასებული კაცი ძლივს მიათრევს ფეხებს მტვრიან გზაზე და თანაც ამთქნარებს. მართლაც, გაუხედია და პატარა ღელის პირას ფორანი დაუნახავს. გაჰხარებია, ნაბიჯი აუჩქარებია, მაგრამ როცა მიახლოებია, შეუნიშნავს, რომ ფორნის იქით ვიღაცანი სხედან და ლაპარაკობენ.

საიმედო საფარი მოუძებნია ლოჭოს და ნელნელა მიპარვია ფორანს. მიპარვია და ლაპარაკიც უფრო კარგად გაუგია. ეს ლაპარაკი არც ქართულსა ჰგვანებია, არც რუსულს, არც თათრულს, არც სომხურს და არც სხვა ენებს, რომლებიც კი ლოჭოს გაუგია როდისმე.

— გერმანელები არიან, რა თქმა უნდა, გერმანელები არიან, — დაასკვნა თურმე ლოჭომ და კიდევ უფრო მიუახლოვდა ფორანს.

შაშხანა კი მხარზე ჰკიდებია, მაგრამ ვაზნა აღარა ჰქონია და რა უნდა ექნა? მერე უცებ მოუფიქრებია: შაშხანა მოუხსნია, ორივე ხელი ლულაში წაუვლია და მხარზე კომბალივით გაუდვია. ასე მიჰპარვია ფორანს. ფორანთან ერთი კი უთქვამს გუნებაში, „ღმერთო, შენ მიშველეო“ და ვეფხვივით დახტომია თავზე გერმანელებს, რომლისთვისაც კი შაშხანის კონდახი დაუდვია კეფაში, იქვე დაუწვენია. თურმე ის საცოდავები სავსე ფორანს რომ მისდგომიან,იარაღი მოუხსნიათ, ფორნის გვერდით, მწვანეზე, ფეხი მოურთხამთ და მამა-პაპური ქეიფი გაუმართავთ. განა ცოტანი ყოფილან? ხუთი-ექვსი ყოფილა, მაგრამ ლოჭოს ისე მარჯვედ აუმუშავებია შაშხანის კონდახი, რომ ყველანი ერთბაშად დაუყრია მიწაზე. მერე მაუზერები და რევოლვერები აუხსნია, თოფები ერთად შეუგროვებია და დალოდებია, გონზე მოვიდნენო. მაგრამ ლოჭომ თურმე ისე ღონივრად უთაქა კონდახი, რომ ორის მეტი გონზე ველარ მოსულა. წამოუყენებია ეს ორი გერმანელი ლოჭოს, ხელში კონიაკის ბოთლები და პურები დაუჭერინებია, თვითონ იარაღი წამოუკიდია და უკან გამოჰყოლია. მოსულა და მოუყვანია ნაწილში. მისი მეთაურისა და ამხანაგების ალტაცებას საზღვარი არა ჰქონია. ხელცარიელ ლოჭოს ტყვეებიც მოუყვანია და სასმელი და საჭმელიც მოუტანია. იმ ექვსი კაციდან სამი კაცი ოფიცერი ყოფილა. ამის გამო ლოჭო გიორგის ჯვარზე წარუდგენიათ და დაუჯილდოვებიათ კიდეც. ასე გავარდნილა მისი სახელი მთელ პოლკში და მალე იგი ლეგენდად ქცეულა.

## ეჭვი

თურმე რაც უფრო ბევრ ჭამას არის ადამიანი მიჩვეული, მით უფრო ვერ იტანს შიმშილს. ასე ყოფილა ლოჭოც. მართალია, რაც იმ ფო-

რანზე საჭმელი და სასმელი ლაგებულა, მთლიანად ლოჭოს ნაწილი მოუნელებია, მაგრამ მას შემდეგ ისევ შიმშილი დაწყებულა. ორიოდე საწვნე წყალწყალა წვნიანი და ორასი გრამი შავი პური ლოჭოს კბილის ქარადაც არა ჰყოფნია და გამძვინვარებული შიმშილი ფოცხვერივით სცემია მუცელში.

— მშია, შაქრო... რა ვუყოთ, კაცო? — უკითხავს შაქროსთვის.

— რა გითხრა, ჩემო ლოჭო, მეც შენს დღეში ვარ, უნდა მოვითმინოთ. — უნუგეშებია შაქროს.

— როდემდე მოვითმინოთ, შე კაი კაცო. აღარ შემიძლია. ჩექმებს ძირები ასცვივდა, წყალი შემდის, მკვდარს გაჰხადე და ის ჩაიცვიო, მეუბნებიან, მაგრამ ამას ვერ ვიზამ. მკვდრის ნაცვამი ცოცხალმა კაცმა როგორ უნდა ჩაიცვას. ადამიანობა სადღაა?

— რას იზამ, ჩემო ძმაო, როგორც გიჭირდეს, ისე გილირდესო.

— კაცო, შენ ეგ მითხარ, რისთვისა ვხოცავთ ერთმანეთს? ან ისინი რას გვიშლიან და ან ჩვენ რას ვუშლით?

— რა ვიცი. ღმერთს ასე დავუწერივართ.

— როგორ თუ ღმერთს?

— მაშ ეს რა არის, რომ რაც კი ქვეყანა არსებობს, მუდამ ომია. ჩემი გვარის ხალხიდან ნახევარი ომში დაიღუპა. და მეც აქ მოვხვდი. ღმერთის დაწესებული რომ არ იყოს, ზოგჯერ მაინც ხომ მშვიდობა იქნებოდა?

— კაცო, ღმერთი რომ იყოს, მაშინ ხომ აღარც ვიშიმშილებდით, არც ჩექმები დაგვიცვდებოდა. გიორგის ჯვარი მომცეს, მაგრამ რა თავში უნდა ვიხალო. კონცერტში ჩავდო და მაშოს გავუგზავნო?

— მისმინე, — უთქვამს შაქროს, — განა მართლა ღმერთია ქვეყანაზე, მაგრამ რაღაცა განგებაა, რაც გაჭირვებულ კაცს გადაარჩენს ხოლმე. იმ დღეს შიმშილით ვიხოცებოდით და საჭმელ-სასმელით სავსე ფორანი ვიპოვეთ. იმ რაღაც განგებამ ცარიელი მარჯვენით გაგამარჯვებინა და კუჭი ამოვივსეთ. გიორგის ჯვარიც გაიკარ...

— რა თავში ვიხლი ჯვარსა, კაცი ისე გავთავდი, ნემსის ყუნწში გავეტევი!..

— დამაცადე, გითხრა. ჰოდა, რაღაცამ ცოცხალი გადაგარჩინა... ახლა არის და, გშია, მაგრამ რაღაცა ისევ გადაგარჩენს. ნეტავი ყველანი შენსავით მშივრები იყვნენ. მარტო ჯარში კი არა, მთელ ჩვენს ქვეყანაში.

— რას ამბობ, კაცო, ხომ არ გაგიჟდი?!— შეუყვირია ლოჭოს, — ჩემი შიმშილი მიხარია, რომ ახლა სხვებისა ვინატრო, ეი! შენ რაღაც დალაგებით ვერ ლაპარაკობ! ან მე არ მესმის ყურში და ან შენ გაგაგიჟა შიმშილმა.

— ძალიან დალაგებითა ვლაპარკობ, სხვებსაც რომ მოჰშივათ, მაშინ უფრო კარგად გვეტყვი.

— თქვი, თუკი რაიმე იცი.

— მე ისეთი ქაღალდი მაქვს, თუ ეს მართალია და თუ ყველა მშიერი ჯარისკაცი დაუჯერებს...

— თქვი, რა არის და მე დავაჯერებინებ. — უთქვამს ლოჭოს, — თუ ნებით არ დაიჯერებენ, ცხვირ-პირს ამოვამტვრევ, მე და ჩემმა ღმერთმა.

შაქროს ჯიბიდან ქაღალდი ამოუღია და ხმადაბლა წაუკითხავს ლოჭოსთვის.

— „ძირს ომი! ძირს მეფე!“

— რაო? — განცვიფრებულა ლოჭო.

— რაც გაიგე. მეფე აღარ გვინდაო და ომიც შეწყდესო.

— ომი შეწყდესო? — გაჰხარებია ლოჭოს,— მაშ, ხვალვე წავალთ შინისკენ?

— შინ ვერ წახვალ. ომი რომ შეწყდეს, მეფე უნდა მოისპოს, მეფე კი თავისთავად არ გადადგება. ჩვენ უნდა ჩამოვაგდოთ.

— ჩვენ?.. მეფეს მე როგორ ჩამოვაგდებ. ის ხომ ღმერთისტოლი კაცია, — შეუცხადებია ლოჭოს.

— აკი მითხარ, ღმერთი არ არისო.

— ღმერთი არ არის, მაგრამ თვითონ მეფეა ღმერთი. ის რასაც იტყვის, ყველაფერს აასრულებს. ჩვენ კი... ორი საცოდავი კაცი იმას რას დავაკლებთ.

— ორი კაცი რატომ ვართ? — უნუგეშებია შაქროს. — თუკი მთელი ჯარი მეფეს შეებრძოლება და მუშებიც მხარს დაუჭერენ, ის რას გაგვიძლებს.

— ჯარი?... ჯარი ხომ მეფისაა და რასაც გვიბრძანებს, იმას გაგვაკეთებინებს. მუშებიც მეფისაა. ფულს აღარ მისცემს და შიმშილით დაიხოცებიან.

— თუ მეფე აღარ იქნება, ფულს ვინ დაუჭერს?

— თუ აღარ იქნება, ეგ კარგია, მაგრამ რომ არის კიდეც და ფულიც იმის ხელშია. შენ ხომ მითხარ, მეფის ხაზინა ინახავს ჯარსაო.

— მე ისიც გითხარ, ის ხაზინა ხალხის გადასახადებით ივსება-მეთქი. მაშ ის ხაზინაც ხალხისა ყოფილა.

— მართლა ეგრე გამოდის.

— აბა, მაშ რას გეუბნები?! აქ ისა წერია. მუშები, გლეხები და ჯარისკაცები შევერთდეთ და მეფე ჩამოვაგდოთო. მერე, ქარხნები მუშებს დავურიგოთ და მიწები გლეხებსო.

— ჯარისკაცებს?

— ჯარისკაცებიც ხომ მუშებისა და გლეხების შვილები არიან.

— აგაშენა ღმერთმა! მაგას კი ვერ მივხვდი. ეგ რა კარგად არის ნათქვამი, — გაჰხარებია ლოჭოს, — აბა, როგორაო, ერთი კიდევ გაიმეორე!

— ქარხნები — მუშებსო და მიწები — გლეხებსო.

— აგაშენა ღმერთმა! მაშ, მე რამდენიც მომეპრიანება, იმდენს მოვხნავ?

— იმდენს მოხნავ, რამდენიც დაგჭირდება. ყველაფერი საერთო იქნება და თანასწორობა დამყარდება. მდიდარ-ღარიბი აღარ იქნება.

— არც მატყუარა მედუქნეები იქნებიან?

— ვეღარც ისინი მოგატყუებენ. მათ ნაცვლად პატიოსან კაცებს გაუშვებენ.

— მაგის მთქმელს ვენაცვალე ენა-პირში. ასეთი ჭკვიანური სიტყვები ვის მოაგონდა?

— ეს ყველაფერი, — შაქროს ხმისთვის დაუწევია, — კომუნისტების ნათქვამია. მანიფესტში წერიაო. აქ ჩვენში კი რუსმა კომუნისტებმა შემოიტანესო. მთავარია, ჩვენ დავიჯეროთ ეს ყველაფერი და სხვებიც დავაჯეროთო, ასე მითხრა ერთმა კომუნისტმა.

— როგორ? შენ იცნობ პირადად, ეი? საკუთარი თვალითა ნახე? — გაჰკვირვებია ლოპოს.

— ვნახე და მეტიც იყო. რაც იმან მითხრა. ეს ყველაფერი მე თვითონ ვიცოდი, მაგრამ თქმა ვერ მომეხერხებინა. თუ მეფის ჩამოგდებას შევძლებთ და თანასწორობას დავამყარებთ, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს.

— შენ აგაშენა ღმერთმა, ეგ რა კარგი რამე გამაგონე... მაგრამ მშიერმა კაცმა რა მეფე უნდა ჩამოვაგდოთ? ხომ გაგიგონია, ცარიელი საცალო ფეხზე არ დადგებაო, — ეჭვი გამოუთქვამს ლოპოს.

— ეგ მართალია, მაგრამ ისიც ხომ გაგიგონია: მაძღარ კაცს ძილიც ადვილად ერევაო?

— ეგეც სწორეა, მაგრამ ახლა რომ ერთი მადლიანად გამაძღო, მერე თუ გინდა ქვეყანას გადავაბრუნებ. ოღონდაც ახლა ერთი ცხვრის ბარკალი მომცა, თუნდაც უმი იყოს და რაც შენ გინდოდეს; ის ღამავალე, ეი. არც ძროხის ბეჭს დავიწუნებ, არც ინდაურის ნახევარს, არც მოხარშულ დედალს, — მერე სოფელში გატარებული დრო და სხვადასხვა საჭმელები გაუხსენებია ლოპოს, — იქ ლავაში გახსოვს, შაქრო?.. წველა გახსოვს? სანაძლეოზე რომ ერთი ცხვარი შევჭამე და ერთი ჩაფი ღვინო დავლიე, გახსოვს?

— მახსოვს, როგორ არ მახსოვს, მაგრამ ბიჭობა ის არის, რომ მშივრებიც იმედიანად ვიყვნეთ, შიმშილს შევებრძოლოთ და პური წავართვათ.

— შიმშილს პური ვინ მისცა? — გაჰკვირვებია ლოპოს.

— ვინც გვაშიმშილებს, პურიც იმასა აქვს. შენა გგონია, რუსეთში ხორბალი გამოილია ან საქართველოში? მაგრამ ყველაფერს მდიდრები ასხედან ზემოდან და თავიანთი ნებით არაფერს მოგვცემენ.

— წამოდი, მაჩვენე, ვისა აქვს და დედას ვუტირებ, ახლავე თვალნაცრიანს დავსვამ. შენა გგონია, გამიჭირდება, ეი?

— გაგიჭირდება. უეჭველად გაგიჭირდება. მარტო მე და შენ ვერაფერს გავაწყობთ, მაგრამ თუ კომუნისტებს შევუერთდებით, მეფესაც ჩამოვაგდებთ და მდიდრებსაც ყველაფერს წავართმევთ.

— ჰარიქა, შაქრო! ახლავე წავიდეთ! — გაპხარებია ლოპოს.

— ჯერ ვერსად წავალთ, — უთქვამს შაქროს, — იმ კაცმა თქვა, ჯერ აგიტაცია არის საჭიროო. ჯარისკაცები უნდა დავარწმუნოთ, რომ ერთადერთი სწორი გზა ბოლშევიკების გზაა და მეფის ჩამოგდებააო.

— ბოლშევიკები ვინღა არიან?

— ბოლშევიკები ნამდვილი კომუნისტები ყოფილან, მენშევიკებიც თურმე კომუნისტებს ეძახიან თავიანთ თავს, მაგრამ ეს ასე არ არისო.

— მერედა, მე როგორ გავარჩიო, ან ერთი რომელია და ან მეორე?

— შენ მე დამიჯერე და გასწავლი.

— შენ ვინღა გასწავლის?

— ის კაცი, რომელიც აქ იყო. იმას ისეთი შუბლი უჩანს და ისეთ სიმართლეს ლაპარაკობს, რომ არ შეიძლება, არ დაუჯერო.

— ერთი მეც მაჩვენე, შენი ჭირიმე, — შეჰხვეწნია ლოპო.

— გაჩვენებ, მაგრამ ჯერ ვერა. ჯერ ჩვენს ოცეულში აგიტაცია უნდა ჩავატაროთ, ჩვენსკენ მოვიმხროთ და მერე მოვა ის კაცი. შენცა ნახავ და სხვებიც ნახავენ.

— აგიტაცია რაღაა? — უკითხავს ლოპოს.

— ხალხს რომ მოვიმხრობთ და მეფის ჩამოგდებაზე დავითანხმებთ, აგიტაცია ის არისო. მერე რევოლუციას მოვახდენთ და ქვეყნის სათავეში გლეხის შვილები მოექცევიანო. მთავარია ხალხი მოვიმხროთო.

— მოვიმხროთ?.. დედას ვუტირებ, ვინც არ მომემხრობა, ამ საღამოსვე ჩამოვუვლი ყველას, ვეტყვი, მეფე უნდა ჩამოვაგდოთ-მეთქი და დედის შვილები არიან, უარი მითხრან. სათითაოდ ჩავამტვრევ კბილებს.

— ეგ არ შეიძლება. ტკბილად უნდა უთხრა.

— ვეტყვი!

— რომ არ დაგიჯერონ?

— შაქრომ მითხრა-მეთქი.

შაქროს გასცინებია. ლოპო მიხვედრილა, შაქროს ავტორიტეტი რომ საკმარისი არ იქნებოდა, და უცბათ მოუფიქრებია:

— შაქროსთვის კიდევ სხვას უთქვამს-მეთქი, ეი, გაიგე? მეფეზე დიდი კაცი ყოფილა, ვისაც შაქროსთვის უთქვამს-მეთქი. მდიდრებს ყველაფერი უნდა წაართვან და ჩვენ უნდა დაგვირიგონ-მეთქი. არც მაშინ დამიჯერებენ?!

ერთხანს შეყოყმანებულა ლოპო, გამოურკვეველ ფიქრში წასულა და შაქროს რომ უკი-

თხავს, რა დაგემართაო, მაშინღა უპასუხია ხვნეშით: — საწყალი მამაჩემი იტყოდა ხოლმე, ქვეყანაზე ავ-კარგი არ არსებობს, ყველა სათავისოდ არის კარგიო. კაცი ისე ვერ მოიქცევა, რომ ყველა მადლიერი ჰყავდესო. ერთი რომ გაქებს, მეორე გაძაგებსო იმიტომაო, რომ ერთ კაცს თუ სიკეთეს უშვრები, ის სიკეთე მეორესთვის ბოროტებააო, გაიგე? ჰოდა, ყველაფერს ისა სჯობია, შენს თავზე იფიქროო.

— კარგი კაცი კარგს შეაქებს, ჩემო ლოჰო, და ცუდს კი აძაგებს, ცუდი კაცი ცუდს აქებს და კარგს აძაგებს. ჰოდა, შენ იმას უნდა გაუწიო ანგარიში, ვინ აქებს და ვინ აძაგებს. ვისაც კარგი კაცი აქებს, იცოდე, მართლა კარგია, ვისაც ცუდი აქებს და — ცუდია.

— მერედა, როგორ გავიგო, ვინ არის კარგი და ვინ არის ცუდი? თუკი ქვეყანაზე ავ-კარგი არ გაირჩევა?

— გაირჩევა და მეტიც არის. კარგი კაცი და ცუდი კაცი ისე გაირჩევიან **ერთმანეთისაგან**, როგორც თეთრი და შავი, როგორც ფეტვი და ხორბალი, როგორც დღე და ღამე. კარგი ის არის, ვინც ხალხის სიკეთეზე ფიქრობს და ცუდი კი — ვინც მარტო თავის ცხოვრებაზე ოცნებობს.

— მერედა, მე ვინა მკითხავს ხალხის სიკეთეს? ვის რაში დავეხმარები, ბევრიც რომ ვიფიქრო?

— როგორ არა გკითხავენ. ხალხის სიკეთე ყველას ეკითხება, შენ რომ ის წვრილშვილი კაცი შეიბრალე და მის მაგივრად ჯარში წამოხვედი, დღესაც აქა ხარ და მის მაგივრად იტანჯები, განა ეს კაი კაცობა არ არის?

— ეგ არის კაი კაცობა?

— დიახ, ეს არის.

— მამაჩემი კი მეტყოდა-ხოლმე, სჯობია, შენი თავი გყავდეს მადლობელიო. სხვათა გულს ვერ მოიგებო, ერთი თუ მადლობელს დაგრჩება, მეორე უმადური გაგიხდებაო.

— საკუთარი თავი მადლობას არადროს გეტყვის და არცა გჭირდება. სჯობია, ხალხის სიკეთეზე იფიქრო და ხალხი გყავდეს მადლიერი.

— რასაც შენ კაი კაცობას ეძახი, მაგისთანა საქმე იმდენჯერ გამიკეთებია, თავზე თმა არ მექნება იმდენი. ერთხელ, ზამთარში, ტყიდან ნალო მომქონდა და მარღიაანთ ბებერი დედაკაცი შემხვდა. ცალ ხელში თოკი აეკეცნა, მეორე შვილიშვილისთვის ჩაევლო მკლავში და ზემოთ მიდიოდა. სად მიდიხარ-მეთქი და — ტყისკენო. რადა-მეთქი და — შეშა უნდა ჩამოვიტანოო. მერედა, შე უბედურო, სანამ შენ იქ ახვალ და ჩამოხვალ, ეს ბალღი ხომ გაგეთოშება-მეთქი და — რა ვქნა, თავს არ მანებებსო. იმ ბალღს ხომ დედ-მამა არა ჰყავს და ის დედაკაცი ზრდის. ჰოდა, არავისთან დარჩენილიყო და თან გაჰყოლოდა... წავიღე ის შეშა და იმ ბებერს მივუტანე, რაც მე იმან დამლოცა, მისავალი რომ იყოს, თავისდღეში არ დავბერდებოდი. მივუტანე და ხელახლა გავბრუნდი ტყეში. მამაჩემმა ვერაფერიც ვერ გაიგო... ერთხელ კიდევ, მაშინ უფრო პატარა ვიყავ, ჰალიდან მოვდიოდი, დაბალ დათას ბიჭს ვირი დავარდნოდა და საფქვავი ველარ მოჰქონდა. დაელო პირი და ტიროდა. წამოვიკიდე ის საფქვავი და ზურგით ამოვიტანე. ხუთი ფუთი იყო, ბევრი კი არაფერი, მაგრამ რაც დედამისმა სიდომ გაიხარა, ერთ რამედ ღირდა. თუმცა იმ საქმეზე გემოიანად შემახურა მამაჩემმა. სხვისა ვირად კი არა გზრდი, წელი რომ მოგიწყვეტიაო. ადამიანი საკუთარ ტვირთსა ზიდავს, ვირი კი — სხვისასო.

— ეგეც კაი კაცობაა... მაგრამ მამაშენი მოტყუებულა. ასაწევი ტვირთი ყველამ თანაბრად უნდა ასწიოს. შენისა და ჩემის გარჩევა არ უნდა იყოს.

— ერთხელ კიდევ... ეჰ, სად ჩამოვთვლი. თუ ასეთი რაღაც-რუდაცეები კაი კაცობად ითვლება, აღარც მე ჩავითვლები ავკაცად. ცოტათი კაი კაცი მეცა ვყოფილვარ.

— ნამდვილად. ცოტათი კი არა, ბევრად კაი კაცი ყოფილხარ. მთლად კაი კაცობაზე კი რა მოგახსენო? მთლად კაი კაცობა ძნელია.

— ნეტავ თუ იქნება ვინმე მთლად კაი კაცი. მარტო ჩვენს სოფელში კი არა, ან ჩვენს ოცეულში, აი, თუნდაც მთელი დედამიწის ზურგზე?

— მთლად კაი კაცი?.. მთლად კაი კაცი ძალიან ცოტაა.

— მაინც თუ იქნება ვინმე.

— იქნება კი არა, არის, ნამდვილად არის და ყოფილა კიდეცა, მაგრამ ძალიან ცოტა. თითზე ჩამოითვლება.

— ერთი დამისახელე!

— მთლად კაი კაცი რუსთაველი ყოფილა. მისი ნათქვამია: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადიაო?“ ან კიდევ „მგელი და თხა ერთად ძოვდესო.

— რუსთაველის ქება ჩვენს სოფელშიც ბევრჯერ გამიგონია, მაგრამ ეგ ძველად ყოფილა. ახლა თუ არის ვინმე მთლად კაი კაცი, ცოცხლებში?

— მთლად კაი კაცი?.. — შაქროს თვალები ასციმციმებია, ტუჩები ლოჰოს ყურთან მიუტანია და ჩურჩულით უთქვამს: — მთლად კაი კაცი ის არის, მე რომ რევოლუციაზე მელაპარაკა.

— მართლა? რით არის კარგი?

— კარგი იმითია, რომ ყველასთვის კარგი უნდა. მას უნდა, რომ ყველა ღარიბი გამდიდრდეს. მთა და ბარი გასწორდეს და გავაკდეს. მართალია, გვითქვამს მთა და ბარი ვის გაუსწორებიაო, მაგრამ თურმე ესეც შესაძლებელია. იმან მითხრა, ნამდვილად შესაძლებელია და უნდა გავასწოროთ კიდეცო. განა მა-

რთლა მთას დაანგრევენ და ხევს ამოავსებენ, მაგრამ მდიდარსა და ღარიბს გაათანასწორებენ.

— ეგ ძალიან კარგი ნათქვამია, მაგრამ დაუჯერებენ?

— დაუჯერებენო? დაუჯერებენ და მეტსაც იზამენ.

— შენ საიდან იცი?

— ვიცი.

— არა მჯერა.

— იცი, რა გითხრა, ერთ სწავლულსა ჰკითხეს, რას ინატრებო და: — ქვეყნისთვის რომ მარტო მე ვზრუნავდეო. გაჰკვირვებიათ; არ გირჩევია, ქვეყანა შენთვისა ზრუნავდესო? საქმე იმაშიაო, მას კიდევ ასე უპასუხია, თუ მე ქვეყნისთვის ვიზრუნებ, ქვეყანა ჩემთვის იზრუნებსო და მე თუ არაფერს გავაკეთებ ქვეყნისთვის, არც ქვეყანა გააკეთებს ჩემთვისო. ის კაცი ქვეყნისთვის ზრუნავს და ქვეყანაც მას მიემხრობა. მიემხრობა და მთა და ბარიც გასწორდება. მდიდრებისა და ღარიბების თანასწორობა დამყარდება.

— ეგ როგორაო? მირჩევია, რომ ქვეყნისთვის ვფიქრობდეო?

— ასეა. შენ თუ სხვისთვის კარგს იფიქრებ. სხვაც შენზე იფიქრებს. არ გაგიგონია, „სხვისთვის თუ უღელ ხარს მოინდომებ, ღმერთი შენ ყევარს მოგცემსო“.

— სხვისთვის რომ ცუდი ვიფიქრო?

— სხვებიც ცუდს იფიქრებენ შენთვის.

— ეგეც მართალი იქნება, იმიტომ, რომ... შენ თუ ბოროტებას გამიკეთებ, მე რაღაშა დაგიხვალიებ, ნათქვამია, როგორც დამიკრავ, ისე დაგიტრიალდებიო. ვაშლის ხეს თუ მომიჭრი, ბაღს გაგიკაფავ, ვაზს წამიქცევ და ვენახს აგიჩეხავ. არც ვეტყუები და ვერც ვერავინ გამამტყუნებს. შენც ხომ ასე მოიქცევი, ჩემს ადგილზე რომ იყო?

— არ ვიცი, იქნებ ასე არ მოვიქცე, მაგრამ იქნებ მოვიქცე კიდეც, შენი თქმისა არ იყოს, ძნელია, ერთ ლოყაში რომ სილა გაგარტყან და მეორე მიუშვირო.

— მიუშვირო კი არა, ერთს ისეთს გავაწნავ, რომ მეორე აღარ დასჭირდეს. დედაჩემი, დასანიშნი კაცი ვიყავ და ძალიან რომ გავაბრაზებდი, სილას გამარტყდამდა-ხოლმე. მეც ავიწურებოდი ჩემთვის და ვხითხითებდი. სხვა რომ იყოს კი... გავარტყამ კიდეც და ხურდასაც დავიბრუნებ.

— ჰოდა, შენც იმ აზრისა ხარ, რასაც მე ვამბობ. თუ კარგს მოინდომებენ შენთვის, შენც კარგს გაუკეთებ, ავს შეეცდებიან და ავითვე დაუბრუნებ. იმ კაცს ხალხის სიკეთე სწადია და ხალხიც, სიკეთით გადაუხდის. მის სიტყვაზე ყველანი შეერთდებიან და თანასწორობას დაამყარებენ.

— ეგ ძალიან კარგი აზრია. მეც იმ ხალხს მივემხრობი, ოღონდაც ქვეყანაზე სიღარიბე მოისპოს.

კიდევ ბევრი ულაპარაკიათ ლოჭოსა და შაქროს. ხან თუ ადვილად დათანხმებია ლოჭო თავის მეგობარს, ხან შეკამათებია და ფეხზეც კი წამომხტარა, მაგრამ მერე თანდათან გულთან მიუტანია ნათქვამის შინაარსი და ისევ თავი დაუქნევია: ეგ მართალიაო. მართალიაო და შაქროსაც ეგა სდომებია: უთქვამს და უთქვამს ახალ-ახალი შეგონებები და ისე მოუქნია ლოჭო, როგორც ჯაგრცხილის სახრე. სულმოუთქმელად ულოდია დაღამებისათვის, რათა შაქროს ნათქვამი დროზე გადავცე ჯარისკაცებს და დროზე მოვიმხრო ჩვენსკენო.

## ლოჭო — აგიტატორი

როგორც კი შეღამებულა და ჯარისკაცები ყაზარმაში მილაგ-მოლაგებულან, ლოჭოს სათითაოდ მოუნახულებია. პირველად ერთ დაყირავებულულვაშებიან და საცრისოდენა თვალებიან [illegible]ქთან მისულა.

— რუ[illegible]წიფე გირჩევია თუ შინ წასვლა? — უკითხავს კაზაკისთვის.

კაზაკს ჯერ ვერაფერი გაუგია, მაგრამ ლოჭოს რომ მეორედაც ჩაუბურტყუნებია ეს სიტყვები, ისეთი გასცინებია, რომ ყაზარმა შეზანზარებულა.

— რა გაცინებს, მართლა გეკითხებიო!

— რუსხელმწიფე რა თავში უნდა ვიხალო. თუკი შინ გამიშვებენ. შინ ისეთი ბოთვერა ბიჭები მეგულებიან და ისეთი გაფითქინებული ქალი მელოდება, რომ რუსხელმწიფეც ენაცვალოს და პრუსიისაც.

— მაშ, თანახმა ხარ, რომ რუსხელმწიფე ჩამოვაგდოთ?

— შე კაი კაცო, თუკი ჩემს თანხმობას ელოდებიან, მე ვინ ოხერი ვარ, უარი ვთქვა აეს ულვაშები გამპარსეთ, თუ პირველი მე არ მივუხტე კარზე, თუ სხვებიც გამომყვებიან... მაგრამ... თუნდაც ერთი ხელმწიფე ჩამოვაგდოთ, მეორე გამეფდება და საშველი მაინც არ მოგვეცემა. ერთხელ ალექსანდრე მეორე მოკლეს, მაგრამ ალექსანდრე მესამე ავიდა ტახტზე.

— არა, ველარ გამეფდება! თანასწორობა უნდა დამყარდესო. მდიდრებს უნდა წაართვან და ღარიბებს დაურიგონო.

— ნათქვამი კი ლამაზად გამოდის, მაგრამ გამკეთებელი ვინ არის? ჩვენს ხუტორში ერთიორი ბობოლაა, ოღონდ ისინი მაცემინა და გინდა მეორე დღეს სული გამძვრეს.

— ცემით რა უნდა შეგვემატოს, ეი, ქონება უნდა წავართვათ.

— თუ საცემად მიმიშვებენ, ქონებასაც ჩამოვართმევ. რაც იმათ ბეღლებში და ორმოებში ხორბალია, ჩვენს ასეულს მთელი წელიწადი ეყოფა. და რაც კიდევ ჩექმები და წაღები აქვთ,

ყველას დაგვმოსავს. — კაზაკს უზარმაზარი ფეხი აუწევია და ძირგავარდნილი ჩექმა უჩვენებია ლოჭოსთვის. — აი, შეხედე, რა მაცვია!

— შენ ჩემი უნდა სთქვა. რაც ჯარში ვარ, ვერც კუჭი გავიძღე და ვერც სითბო მოვიკიდე. ჰოდა, იმიტომ ვაპირებთ რუსხელმწიფის ჩამოგდებას, რომ ჩექმაც ჩავიცვათ და პურიცა ვჭამოთ.

— შენ აპირებ? — ისევ გადაუხარხარნია კაზაკს და დაყირავებულ ულვაშებზე ცერი თითი გადაუსვამს. — მკლავღონიერიცა ხარ, ჭიდაობაც კარგი იცი, მაგრამ რუსხელმწიფის ჩამოგდება არც ისე ადვილია.

— მე კი არ ვაპირებ, დიდ ხალხს უპირებია და ჩვენი დახმარებაც სდომებიათ. შენ რას იტყვი, ჰო, ვთქვათ თუ არა. პასუხი აქედანვე უნდა ვუთხრათ, რომ ძუაგზაში ხელი არ შეეშალოთ.

— ჩემი თავი თქვენ გენაცვალოთ, — უთქვამს კაზაკს, — მაინც მძიერი ვკვდები და ისევ წანწალსა და ბრძოლაში რომ მომივიდეს სული, ის მირჩევია. თუ გა[illegible], ხომ კარგია, თუ არადა — მოვკვდები და მოვისვენებ. როცა კი დამიძახებენ, მზადა ვარ. თქვენი ხმალი და ჩემი კისერი!

— აი, შენს ენა-პირს ვენაცვალე! — გაჰხარებია ლოჭოს და ახლა თავისავით ახმახ რუსთან მიცოცებულა:

— რუსხელმწიფე გირჩევია თუ პური?

რუსსაც გასცინებია ასეთ შეკითხვაზე და უფიქრია, ეს კაცი ან დამცინის და ან კიდევ გაგიჟებულაო.

— ჰა, რას იტყვი, რუსხელმწიფე გირჩევია თუ პური?

— ერთი კილო პური რუსხელმწიფესაც მირჩევია და იმის დედოფალსაც, — უპასუხია ახმახ ჯარისკაცს, — თმცა ახლა არც დედოფალს დავიწუნებ, რადგან ძალიან აღრენილ ხასიათზე ვარ და იქნებ როგორმე დამამშვიდოს. მანამდე კი ჩქარა მომიტანე პური, თუ სადმე გეშოვება.

— ეი, პური სადა მაქვს? — გაჰკვირვებია ლოჭოს, — პური რომ მქონდეს, აი, ჩემ საოხრო მუცელსაც ჩავაყრიდი, დღედაღამე რომ შემომტირის. შენც პურად რომ იქცე, თვალის დახამხამებაზე შეგჭამ, აი, ფეხებიდან დაგიწყებ ჭამას და თავში გავალ.

— იქით გაიწი! — ფეხები გაუქნევია რუსს. — მართლა პური არ გეგონო და ჩემი ცოლშვილი თვალნაცრიანი არ დაჰყარო.

— ჰოდა, რომ მეუბნები, გამოაჩინე, სადა გაქვს პურიო? პური მე კი არა მაქვს, რუსხელმწიფესა და მდიდრებსა ჰქონიათ. იმათ დავხოცავთ და ჩვენ დაგვრჩება ყველაფერი.

— ეგ ვინა თქვა?

— ერთი, ხელმწიფეზე დიდი და ჭკვიანი კაცი ყოფილა და იმას უთქვამს.

— კიდევ რა უთქვამს?

— რა და, ხელმწიფეს ჩამოვაგდებთ, მდიდრებს ყველაფერს წავართმევთ და ღარიბებს დავურიგებთო.

— როგორც ზღაპარშია, არა?

— ჰო, ეს ყველაფერი საერთო იქნებაო, ქარხნები მუშებს დაურიგდებათ და მიწები — გლეხებსო.

— კარგია, ძალიან კარგია. მეც ხშირად მიფიქრია მაგაზე, მაგრამ ჩემგან რა გინდათ? მე რა გავაკეთო?

— იმ კაცს უთქვამს, რევოლუციაა თუ ვიღაცა. მუშებს შევუერდეთ, ვიომოთ, მეფე დავამარცხოთ და მშივრები აღარ ვიქნებითო. გაიგე?

— ჩემი მამა-პაპა მაინც სულ ომშია და მე რაღა დარდუბალა შემიდგება. ვიომოთ და ვიომოთ. როცა კი დამიძახებთ, მზადა ვარ. ადამიანი ბრძოლისთვის იბადება ქვეყნად და არა ხვნეშისთვის. დედა შეერთოს ცოლად, ვინც უკან დაიხიოს!

მერე მესამე კაცთან მისულა ლოჭო. მერე — მეოთხესთან და თანდათან ხალხი მიუმხრია. ბოლოს ერთ ვიღაც გალეულ ჯარისკაცს გადაჰყრია. ჯარისკაცი ცოტა გადაკრულში ყოფილა და ლოჭოსაც ხუმრობის კილოთი უკითხავს.

— რუსხელმწიფე გირჩევია თუ არაყი?

ჯარისკაცს ჰგონებია, მცდისო! წამომხტარა, წელში გაჯგიმულა და ხმისთვის აუწევია:

— ჰაიტ, ვინ ახსენებს ჩემს მეფეს აუგად?! მეფე ღმერთია და ნებას არავის მივცემ, შეურაცხყოფა მიაყენოს!

— დაწყნარდი, დაწყნარდი! — დამშვიდება დაუწყია ლოჭოს, — გეხუმრე, ეი, სიცილის გულისთვის გკითხე.

— მერედა, ვინ დასცინის ჩვენს მეფეს! — უფრო გაუბოხებია ხმა შტერ ჯარისკაცს, — დიდება მეფეს! მის მტრებს არ გავახარებთ!

ხმაურზე მეთაური შემოსულა. უკითხავს, რაშია საქმეო და ნასვამ ჯარისკაცს რომ ყველაფერი ჩაურაკრაკებია, განრისხებულა მეთაური და ლოჭო ჰაუპტვახტში ჩაუგდია, მერე შეუნიშნავს ჯარისკაცი ნასვამიაო და ისიც თან მიუყოლებია.

ეს რომ შაქროს გაუგია, პირკატა სცემია. ვაი თუ ყველაფერი ილაპარაკოს ლოჭომ და მეც თან მიმაყოლონო. მართალია, ლოჭო ბოში ენისა არა ჰგულებია, მაგრამ ცემასა და ტკივილს ბევრი სასწაულის მოხდენა შეუძლიაო. ვინ იცის, როგორ შარს აღარ მოგვიდებენ და რას აღარ მოგვედავებიანო. მთელ ღამეს ამაზე უფიქრია შაქროს. მაგრამ რაკი ხმა არავის გაუცია, თანდათან დამშვიდებულა და გული საგულეში ჩაუგდია. დაუტუქსია კიდეც თავისი თავი: იმდენი როგორ არ ვიცოდი, რომ ლოჭო ცოცხალი თავით არავისთან გამცემდაო.

## ლოჭო კაუპტვახტში

ის ავყია ჯარისკაციც რომ ლოჭოსთან შეუგდიათ, გაჰხარებია ლოჭოს — ახლაა ჩემი საქმეო. ერთი კარგად მოუსრესია ყურები და თან უთქვამს, ხმა არ ამოიღო, თორემ აქვე დაგაღრჩობო. მართალია, რუსულად კარგად ვერ ულაპარაკია, მაგრამ საგინებელი სიტყვები ბლომად სცოდნია და თურმე სულ სართულებიანი აკადრა.

— კარგი, მეყოფაო, — ეხვეწებოდა თურმე ჯარისკაცი, მაგრამ ლოჭო მაინც არა ცხრებოდა და როგორც კი ხელები აექავებოდა, თურმე მუშტებად აქცევდა და მის ზურგზე იქავებდა.

მეორე დღეს უფრო კარგი რამე გაჰხსენებია ლოჭოს. ყურში ხელი წაუვლია ჯარისკაცისთვის და უთქვამს, ახლავე დაიყვირე: ძირს ომი და ძირს მეფეო. ჯერ გასჯიუტებია ჯარისკაცი, მაგრამ ყური რომ ახევაზე მისულა, სხვა გზა არა ჰქონია და ტურასავით დაუჩხავლია:

— ძირს ომი!.. ძირს მეფე!

ეგ არ ვარგაო, — უთქვამს ლოჭოს, — შენი ხმა კედლების გარეთაც ვერ გააღწევდა. ძარღვები დაჭიმე და მთელი ძალით იყვირეო.

— ძირს ომი!.. ძირს მეფე! — დაუყვირია ჯარისკაცს და ჰაუპტვახტის კარიც მაშინვე გაღებულა.

— ვინ იყვირაო? — უკითხავს შემოსულს და რომ გაუგია, ვინც იყო, ურტყამთ და ურტყამთ. მერე, გამოუყვანიათ და ცალკე დაუმწყვდევიათ.

— ესეც ესე! — უთქვამს მარტოდარჩენილ ლოჭოს, — პატიმარი ვარ და ეგ არის! გინდა არ მომკლან, ვიცი შიმშილით ამომხდება სული. რა უსახელოდ ვკვდები. რევოლუცია მაინც მენახა და ჯანდაბას ჩემი თავი. ჩემი მაშოც როგორმე თავს დაირჩენს. მართალია, ცოტა ტანდაბალი და, გაკენკილია, მაგრამ ისეთი ცქრიალა გოგოა, რომ მოუტაცებელს არ გაუშვებენ. წერილი მაინც გამეგზავნა, ეი.

მერე ბრახაბრუხი აუტეხია და დარაჯი რომ შემოსულა, შაქროს დამიძახე ცოტა ხანს და საქართველოში რომ ჩავალ, უეჭველად ჭაჭის არაყს გამოგიგზავნიო. დარაჯი კაი ხასიათზე ყოფილა და დათანხმებია. მეთაურის ჩუმად ჰაუპტვახტში შეუშვია შაქრო.

— შენი ჭირიმე, შაქრო, წერილი უნდა დამიწერო. მისწერე, ჩემს მაშოს, რომ მეფეს შევებრძოლე და დამიჭირეს-თქო. აქვე დაწერე და წამიკითხე კიდეც (ლოჭოს ამ დროისათვის ასოები კი სცოდნია ,მაგრამ წერა-კითხვაში არა ყოფილა გაწაფული).

შაქროს დავალება შეუსრულებია: მაშოსთვის მიუწერია, კარგადა ვარ და მშვიდობაც არისო. ბოლოში კი ასე წაუწერებია, მეფე ავად ვახსენე და ჰაუპტვახტში ვზივარ, თუმცა არ შეგეშინდეს, ყველაფერი კარგად დამთავრდებაო.

მაშოს რომ მიუღია ეს წერილი, შაქროაანთ ხალხისთვის წაუკითხებია. იმათ კი წერილში ნათქვამი ბოლო სიტყვები გადაკრულად მოსჩვენებიათ და ერთმანეთისთვის [illegible] მაშოსაც ესა სდომებია: წამოსულა და სოფელში ულაპარაკია: ჩემს ქმარს თურმე მეფედ ნიშნავენ, მაგრამ უარი უთქვამს და დაუჭერიათო.

ამ სიტყვებზე მთელი სოფელი ერთმანეთსა სცემია. ვითომ რატომ არ უნდა დაეჯერებინათ, როცა ლოჭოს არც ტანი ეკლდა სამეფოდ და არც ფეხი. მაშინვე ფერობა დაუწყვიათ მაშოსთვის. ზოგს შეშა მიუტანია და ზოგს — დაფქული. მედუქნე მეორე დღესვე თავის ფეხით გადასულა, ჩოხაახალუხი და ქამარ-ხანჯალი გადაუტანია და ბოდიში მოუხდია: მაშინ იმიტომ არ დაგანებე, ვიფიქრე, ქალია და ჩემსავით ვერ მოუვლის-მეთქი. როცა კი მარილი და ასანთი დაგჭირდება, ჩამოდი და უფულოდ გამოგატანო.

მამასახლისიც კი მისულიყო:

— მართალია, შენი ლოჭოს გამეფება სულაც არა მჯერა. (თუმცა მეფობის ღირსი ეგ ერთადერთი კაცია მთელ ქვეყანაზე), მაგრამ მაინც მისწერე, რომ შენი პატივი ძალიან გაუხარდა მამასახლისს-თქო. ისიც არ დაგავიწყდეს, მაზრის უფროსი რომ ხშირად აწიოკებს ხალხს. კახეთი რა იმოდენაა, რომ ორი და სამი მაზრა ჰქონდეს, ერთი მაზრა უნდა იყოს და მამასახლისივით თავიანი კაცი ედგეს სათავეში-თქო. თუმცა, მგონი, შენ წერა არც იცი, მოდი და ერთად დავწეროთ.

დამსხდარან და დაუწერიათ. ქალაქის ერთი გვერდი მარტო შესავალი წერილისთვის მოუნდომებია მამასახლისს. შესავალში დაწვრილებით შეუქია ლოჭო და მისი წინაპრები, ვითომც და მამასახლისი ბავშვობიდანვე ატყობდა ლოჭოს, რომ ან სარდალი უნდა გამოსულიყო, და ან—მეფე, ამაზე ძველი ქართული ანდაზებიც მოუშველებია. „სახარე ხბოს სასკორავზე ეტყობაო“. „კარგი მეომარი აკვანშიც გამოიცნობაო“. „მსხმოიარე ვენახს ბოლოდანაც ეტყობაო“. „კვიცი გვარზე ხტისო“ და რაღას არა სწერდა. ზოგი სცოდნია, ზოგი თვითონ მოუგონებია და გულისამაჩუყებელი წერილი მოუქარგავს. ბოლოში კი დარიგების კილოთი დაუტანებია: ვინძლო შენი საქართველო, შენი კუთხე და შენი სოფელი არ დაივიწყოო. არც ის კაცი დაივიწყო, ვინც შენს სოფელს თავისი ოჯახივით ელოლიავებაო.

ლოჭოს სახე გაბადრვია, როცა ეს წერილი წაუკითხავს შაქროს. ნახევარზე მეტი დაუჯერებია და მართლა მეფედ წარმოუდგენია თავი.

ნეტავ რას იზამდა, მეფედ რომ გაეშვათ? რას იზამდა?.. მეფეს ჩამოაგდებდა. ოო, არ გამოდის კარგად. მეფე იმიტომ არის მეფე, რომ ძირს ჩამოაგდონ, ლოჭოს კი ახლა მოუნდა გამეფება. ნეტავ სად ზის მეფე? ალბათ ძალიან მაღალი ტახტი აქვს, ასე რომ

აშინებენ ჩამოგდებით. გამოაცლიან ტახტსა და „ბრახ“ მიწაზე. თუმცა... მიწიანი სახლი ლოპოსა და მის ნათესავებს აქვთ, თორემ მეფეს ალბათ ისეთი იატაკი უგია, რომ სახე შიგა ჩანს. ისეთ იატაკზე ჩამოგდება სასიამოვნოც იქნება, მე და ჩემმა ღმერთმა. სჯობია, ლოპო მართლა მეფე იყოს: ტახტიდან თუ ჩამოაგდებენ, პრიალა იატაკზე მაინც დარჩება, მაგრამ, ვაი თუ იატაკზეც არ დატოონ და ჩამოახრჩონ. ნამდვილად ჩამოახრჩობენ! არ უნდა მეფობა. მეფობას რა თავში იხლის. ის ურჩევია, სხვებთან ერთად მუშებს შეუერთდეს, დაამხოს მეფე და ყველაფერი წაართვას: უძრავიც და მოძრავიც, სარჩოც და საბადებელიც და განა მარტო მეფე? ყველა მდიდარი გააკოტროს, პური და ღვინო უფასოდ გამოპგლიჯოს და არხეინად იქეიფოს. მარტოკამ კი არა, ყველამ ერთად შაქრომაც. თედომაც, სონკამაც, ვასიკომაც, ბართლომემაც. კუი სიკომაც, დონღუზამაც, საბრალომაც — ყველამ, ვისაც კი სველი ლუკმა და ხელადით ღვინო ენატრება... უცებ გული მოსვლია ლოპოს და მოუზომლად აყვირებულა:

— ძირს მეფე! ძირს ომი! გაუმარჯოს თავისუფლებას, ყანის მკასა და ქეიფობას!..

გუშაგისთვის ყურადღებაც აღარ მიუქცევია, პაუპტვახტიდან გამოვარდნილა ყვირილით და ჯარისკაცებისთვის ხვევნა-კოცნა დაუწყია.

ყველანი გაშტერებულან. ვერავის ვერაფერი მოუხერხებია, მერე კი ერთბაშად აღრიალებულან და ლოპოს მოძახილისთვის მიუციათ ბანი. საიდანღაც ოცმეთაური მოვარდნილა ღრიალით:

•— ვინ იყო, დააბით!.. დაიჭირეთ!

ოცმეთაურს მაუზერი დაუძვრია და ლოპოსკენ გაქანებულა.

რაკი შაქროს დაუნახავს, მეთაური აღარა ხუმრობსო, წინ გადაპხტომია, ნიკაპში მუშტი ამოუკრავს და ბეჭებზე გაუშხლართავს. გაუშხლართავს და მაუზერიც ხელიდან წაუგლეჯია. ამასობაში დიდულვაშიანი კაზაკი და ახმახი რუსიც მიპშველებიან და მეთაურისთვის ქამრით შეუკრავთ ხელ-ფეხი. არეულა მონასტერი, მოცვივნილან აქეთ-იქიდან და თურმე აღარც კი იციან, ვინ რას აკეთებს.

მერე გამხდარი კაპიტანი მოსულა, უკითხავს, რაშია საქმეო, და—მეთაური გაგვიგიჟდა, ჯარისკაცებზე მოსაკლავად იწევდა და შევბოჭეთო.

კაპიტანს ოცმეთაურისთვის უკითხავს მიზეზი და ოცმეთაურს უთქვამს, მეფე შეურაცხყვეს და იმიტომ მივიწიე მოსაკლავადო. კაპიტანსაც გიჟად ჩაუთვლია და ცალკე დაუმწყვდევინებია. მერე იმ კაზაკივით დიდულვაშიანი და შაქროსავით მხარბეჭიანი პოლკოვნიკი მოსულა. მისთვისაც ასე მოუხსენებიათ და იმ ოცმეთაურს თურმე საგანგებო მცველი მიუჩინეს, საგიჟეში წაყვანამდე კარი არ გატეხოს, არ გაიქცეს და ზიანი არ მოგვაყენოსო.

— გიჟი არა ვარ, ჭკვიანი ვარ! — საშველყნოდ გაპკიოდა თურმე საიმედოდ დამწყვდეული ოცმეთაური, მაგრამ რაკი კაპიტანს უთქვამს, ჩემი ყურით გავიგონე, ხელმწიფესა და მის კანონებს როგორ აგინებდაო, პოლკოვნიკს ყურიც აღარ უთხოვებია მისი ყვირილისთვის.

მეორე დღეს შაქრო შტაბში დაუბარებიათ. ყველას უფიქრია, ალბათ ყველაფერი გაიგეს და დასაპატიმრებლად გამოუძახესო, მაგრამ იქიდან რომ მხიარული დაბრუნებულა, ეჭვი გაქარწყლებიათ.

— გვითხარი, რა ამბავიაო? — შემოპხვევიან აქეთ-იქიდან, მაგრამ შაქროს არაფერი უპასუხია.

მერე კი ყველაფერი ნათელი გამხდარა, როცა შაქროსთვის ოცმეთაურობა ჩაუბარებიათ (მანამდე ათმეთაური ყოფილა).

რაც შეეხება ლოპოს ჰაუპტვახტს იგი აღარავის გაპხსენებია და არც არავის უფიქრია ძველი სასჯელის მოხდაზე. ის ავყია ჯარისკაცი კი რამდენიმე დღეს კიდევ მჯდარა მშიერ-მწყურვალი.

— ასრულდა ჩემი ნათქვამი და ეგ არის. — გულზე მუშტის ცემით უთქვამს ლოპოს. — ხომ გითხარი, ჯარის მეთაურად გამოსდგებიმეთქი. ეგეც მე ვარ?! ხომ დაგაკრეს ოცმეთაურის სამხრეები. მერე კიდევ სხვა იქნება.

შაქროს თურმე ჩუმ-ჩუმად ეღიმებოდა, მაგრამ სიხარულს მაინც არ იჩენდა.

— მთავარი ეს კი არ არის, — უთქვამს ლოპოსთვის, — მთავარი სხვა რამეა.

— სხვა რაღაა?

— კაპიტანმა რომ მხარი დაგვიჭირა და ჩვენ გაგვამართლა, მთავარი ეს არის. მერე კიდევ, წავიდა და ჩემი თავი დაანიშვნინა ოცმეთაურად. მან ყველაფერი კარგად გაიგო, მაგრამ ჩვენ გაგვამართლა. ეს იმას ნიშნავს, რომ...

— კაპიტანი ჩვენს მხარეზეა, არა?

— ჩვენს მხარეზეა.

— გავიმარჯვეთ და ეგ არის!

— გამარჯვება ასეთი ადვილი არ არის. ასობით და ათასობით ასეთი კაპიტანი დაგვჭირდება გასამარჯვებლად, უფრო მეტიც! მაგრამ როგორცა ჩანს, ყველაფერს შევძლებთ, ღმერთი ჩვენსკენ არის.

— ჩქარა, შაქრო, ჩქარა! რაკი შენა ხარ მეთაური, საითაც წახვალ, იქით წამოგყვები. აეს მარჯვენა გახმეს, თუ ერთგულად არ გემსახუროს!

## პეტროგრადისაკენ

ზოგიერთ სხვა ნაწილებშიც შაქროსთანა რჩეული ჯარისკაცები დაუნიშნავთ მეთაურებად. ზოგან კი ისევ ძველები დარჩენილან. ოღონდაც ისეთები, რომლებიც კომუნისტების წინააღმდეგ

არ წავიდოდნენ. შაქროს სიხარული თანდათან გაზრდილა და მოუთმენლობად გადაქცეულა.

— რაღაც საჩვენო ნიშანი ჩანს, ივანე.

ლოჭოს პირველად გაუგია თავისი ნამდვილი სახელი შაქროს პირიდან და განსაკუთრებული მნიშვნელობა მიუცია:

— რაშია საქმე, შაქრო?

— როგორღაც, ღმერთიც ჩვენსკენ არის და კაციც. — მერე ხმისთვის დაუწევია: — მალე პეტროგრადისკენ წავალთ, როგორც გავიგე, და წინ ვერაფერი დაგვიდგება.

— პეტროგრადი საით არის, ეი?

— აი, იქით, საითღაც უნდა იყოს. — ხელი გაუშვერია შაქროს გაურკვეველი მიმართულებით.

— ძალიან შორს არის?

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს. მთავარია, დაგვიძახონ და წავიდეთ. გზა ფეხქვეშ თავისთავად დაილევა.

— მერედა, იქ რა გვინდა?

— იქ მეფის ტახტია. უნდა ავიდეთ და ყირამალა ჩამოვაგდოთ მეფე. თუ წინააღმდეგობა გაგვიწია, მივაღრჩობთ კიდეც.

პეტროგრადი როგორღაც მაღალ მთად წარმოუდგენია ლოჭოს, იმ მთაზე კი ოცნებით მამა-პაპური ტახტი დაუდგამს და იმ ტახტზე მეფე დაუბრძანებია, უფიქრია, ავალ იმ მთაზე, მივწვდები მეფეს მხრებში და ძირს გადმოვუძახებო. ჰოდა, რაკი ტახტთან ახლოს აღარ გავაკარებ, მერე დადგეს და იტიკაოსო. დასაღრჩობად კი ცოტა არ იყოს შეჰბრალებია და კინაღამ კამათიც კი დაუწყია შაქროსთვის.

საიდანღაც შავი პური და ქაშაყი მოუტანიათ და მაგრად დაუძღვიათ ჯარისკაცები. ლოჭოსაც ქეიფი სდომებია. ჭამით რომ გული უძღია, შაქროსთვის უთქვამს:

— ახლა ისეთ ხასიათზე ვარ, ეი, აგე იმ მთას რომ ხელი მოვკიდო, ძირიანად მოვგლეჯავ. საითაც გინდა, იქით გამიძეხ. შენ მარტო შორიდან დამანახვე მეფის ტახტი და მეტი არაფერი მინდა. ისე გადმოვაბრძანო, რომ მზე მაღლა იყოს. თუ ვინმეს შველა დამჭირდეს, აეს ულვაშები გამპარსე (ლოჭოსაც და შაქროსაც ულვაშები ხელუხლებელი ჰქონიათ). ოღონდ დასახრჩობად კი მეცოდება, ეი, ძაღლის ლეკვი ხომ არ არის, თუ გინდა, ისე მოვკლათ... დროზე წავიდეთ, სანამ ისევ მომშივა და ღონე დამაკლდება.

პეტროგრადამდე მისვლას დიდი დრო და წვალება დასჭირებია. ამასობაში კი ლოჭოს ბევრი გეგმა შეუმუშავებია. რაკი შაქროს უთქვამს, რომ მეფის საჯდომი გარეთ კი არა, მარმარილოს სასახლეში იდგმება და თანაც ჩვენებური, უბრალო ტახტი კი არა, ოქროს სავარძელი იქნებაო, მაშინვე გადაუფიქრებია თავისი ადრინდელი განზრახვა და სხვანაირად შეუცვლია: წავალ, მივწვდები იმ ოქროს სავარძელს, ფეხებს შევაჭრი, გადმოვაგდებ მეფეს, ერთ-ორ წიხლსაც ჩავაზელ გულყიაში და ჰერი, იქიდანვე მაშოსკენო.

ასე უფიქრია ლოჭოს, მაგრამ გზაზე ნამდვილი სიცივე, ბრძოლა და ტანჯვა გამოუვლია [illegible] კინაღამ იმედი დაჰკარგვია. შიმშილსაც ბევრჯერ ამოუჭირებია მათრახივით. უარესი კი ისა ყოფილა, რომ, თურმე, როგორც კი მოჰშივებოდათ, ჯარისკაცები რიგ-რიგობით მიდიოდნენ ლოჭოსთან და მისივე ნათქვამი სიტყვებით აღიზიანებდნენ:

— რუსხელმწიფე გირჩევია თუ პური?.. რუსხელმწიფე გირჩევია თუ შინწასვლა?! ვერც რუსხელმწიფეს ვამარცხებთ და ვშიმშილობთ კიდეც. შენ კი ჩვენს მაგივრად პატარა შავი ქალალდი მივა და ბალღებს აგვიწიოკებს.. ეგე, შენი დაპირება!

ლოჭოს თავისი გაჭირვება და სადარდელიც საკმაოზე მეტი ჰქონია და ეს საყვედურები თურმე ყელამდე ავსებდა, თუმცა, მაინც უკან არ დაუხევია და ასე უპასუხია:

— ნათქვამია: „იმერელმა დაფქვა მოიცადა და გამოცხობა ველარაო“. შე კაი კაცო, დაიცადე და ყველაფერს მოესწრები. შაქრომ თქვა, რუსხელმწიფესაც დედას ავუტირებთ და ახალი პურითაც გამოვძღებითო. აი, ნახეთ თუ არა. ჯერ დაგვაცადეთ, იქამდე მივიდეთ და მერე ვილაპარაკოთ.

ჯარის ნაწილებში ნამდვილი აგიტატორები გამოჩენილან და რწმენა შეჰქონებიათ: მართალია, ბრძოლა არც ისე ადვილია, მაგრამ საბოლოო გამარჯვება ჩვენია და ქვეყანაზე თანასწორობას დავამყარებთო. დიდი ბრძოლის გარეშე დიდი საქმე არ კეთდებაო. ჩვენ თუ დავიტანჯებით, სამაგიეროდ, ჩვენი შვილები და შვილიშვილები გაბედნიერდებიანო. ერთი დღის თავისუფლება ასი წლის მონურ სიცოცხლეს გვერჩივნოსო.

შიგდაშიგ რევოლუციის მტრებიც ყოფილან და უიმედობა უთესიათ: მეფის ჩამოგდება ძნელიაო. სანამ მეფეს ჩამოვაგდებთ, სული ამოგვძვრებაო და ჩვენ თუ აღარ ვიქნებით, ქვა ქვაზეც ნუღა დარჩებაო. სანამ პავლე მოვიდოდა, პეტრეს ტყავი გააძვრესო. სჯობია მეფესა ვთხოვოთ, რომ ომი შეწყვიტოს და მეტი არაფერიო. იმიტომაო, რომ დღევანდელი კვერცხი გვერჩივნოს ხვალინდელ ქათამსაო. მეფობის მოსპობას ჩვენ ვინ გვეკითხება, როცა მეფობაც და მის ტახტიც თვითონ ღმერთს დაუწესებიაო. ჩვენ ჩვენი ხონჯარი ვერ გაგვიმაგრებია და მეფეს როგორ ჩამოვაგდებთო. თუ მაინცადამაინც ნიკოლოზი უხეიროა, სხვა მეფე მოვითხოვოთო. ამბობენ: მისი ძმა მიხეილი ძალიან ჭკვიანი და კეთილი კაციაო. მას მოველაპარაკებით, გაგვიგებს, პურსაც გვაჭმევს და შინაც გაგვიშვებსო.

ეს შეგონება ზოგიერთს დაუჯერებია კიდეც, მაგრამ უმეტესობას უნდობლად ჩაუწიხლავს და

გაუბითურებია: მეფისა არც პური მინდა და არც შინ გაშვება ა. კარგი მეფე ღმერთს არ გაუჩენიაო. ძაღლისა ბატკანი ვის უნახავსო. არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო. მეფე და მისი ნაშიერები დედაბუდიანად უნდა ამოვწყვიტოთ და ქვეყნის გაძღოლა თვითონ ხალხმა ითავოსო.

პეტროგრადში რომ შესულან, მეფეს ძალიან შეშინებია. კაცები გამოუგზავნია და რევოლუციონერებისთვის შემოუთვლია: თქვენი ნებისა ვარ, ტახტიდან ჩამოვალ და ჩემს ძმა მიხეილს დავუთმობო. ლოქოს უფიქრია, ეს რა ვაჟკაცობა იქნება, აქამდე მოვედი და მეფის ტახტი ვერა ვნახოო. მეფე რომ კისრულზე არ წამოვიკიდო და ბექებზე არ დავანარცხოო.

არც სხვებს მოსწონებიათ მეფის შემონათვალი და უთქვამთ: მისი სახსენებელი უნდა ამოვაგდოთო.

მეფის ერთგულ ჯარსა და რევოლუციონერებს შორის ომი გამართულა, მაგრამ სანამ ლოქოს ტყვიის გასროლა დასჭირდებოდა, მისი ნაწილი შეუჩერებიათ და გამოუცხადებიათ: ნუ გეშინიათ, ხალხო, მეფე უკვე ჩამოგდებულია და მისი მინისტრები მოხსნილი არიანო.

სწყენია ლოქოს: ასე ადვილად რად გავიმარჯვეთ და რატომ მე თვითონ არ ჩამოვაგდე მეფეო. თავისი განაწყენება ვეღარ დაუფარია და შაქროსთვის უკითხავს:

— მეფე ვინ ჩამოაგდო, ეი?

— ვინა და ჩვენ.

— აბა, სად იყო? მე კი ვერსად დავინახე და...

— შენ რომ ვერ დაინახე, ჩვენზე წინ სხვები იყვნენ. შესულან და დაუპატიმრებიათ. გამარჯვება ჩვენია!

— ჩვენი კი არა, იმათი ყოფილა. — დაღონებულა ლოქო.

— ვისი?

— ჩვენზე წინ ვინც შევიდნენ. ბიჭობა აქ დგომა კი არ იყო, ბიჭობა ის იყო, ჩვენ თითონ შევსულიყავით და გადმოგვეყირავებინა მეფე.

— ის ერთი მეფე რომელ ერთს უნდა გადმოგვეყირავებინა, ჩემო ლოქო, ყველანი სასახლეში ხომ ვერ შევიდოდით.

— არა, შენ ის მითხარ, ჩვენ რა გავაკეთეთ? არც ერთი კაცი არ მომიკლავს.

— არც უნდა მოგვეკლა. მეფის ერთგულებიც ჩვენს მხარზე გადმოვიდნენ და ვისთანღა უნდა გვეომა?

— ჰოდა, რა გავაკეთეთ, ის მაინც მითხარ?

— ჩვენ რომ პეტროგრადში შემოვედით, მუშებსა და სხვა რევოლუციონერებს გამბედაობა მოემატათ, მეფის ტახტზე იერიში მიიტანეს და გაიმარჯვეს. აი, რა გავაკეთეთ. ჩვენ რომ არ შემოვსულიყავით, მარტო მუშები ვერ გაიმარჯვებდნენ.

— ესე, რომ ჩვენი იმედით გაუმარჯვიათ?

— ნამდვილად.

— მჯერა. ბიძაჩემმა ქიტესამ იცოდა, დიდი ბიჭი როცა მცემდა ვინმე, თვითონ ორღობეში ჩასაფრდებოდა და დამარიგებდა: მიდი, შარი აუტეხე და სცემე. თუ მოგერია, მე მოგეშველებიო. მეც გავდიდგულდებოდი ხოლმე, ვეცემოდი ჩემზე ხუთი-ექვსი წლით დიდ ბიჭს და ქვეშ ამოვიბალიშებდი, მერე მოვდგებოდი და გვერდებს დავუზელავდი.

შაქროს გასცინებია.

— რას იცინი? ასე არ გამოდის? ჩვენ რომ შემოვსულვართ, მუშები გადიდგულებულან და ჩვენთვის აღარ დაუცდიათ მეფის ჩამოგდება... ისე კი, ძალიან კარგი იყო, რომ მე თვითონ ჩამომეგდო, მკლავსაც გავუსინჯავდი და მუხლსაც.

— მაშინაც კარგი იქნებოდა და ახლაც კარგია. რაც მთავარია, მეფე დავამხეთ და ჩვენ გავიმარჯვეთ! ნუ გეშინია, ჩემო ლოქო, ღმერთიც ჩვენსკენ არის და კაციც!

## ბრძოლა გრძელდება

რაკი უთქვამთ, მეფე ჩამოვაგდეთ და მინისტრები მოვხსენითო, ლოქოს უფიქრია: ახლა უკვე თავზესაყრელად გაგვიჩნდება პური და შინაც მალე გაგვიშვებენო. ამით დაიმედებულს, მოთმინებით ულოდნია... ულოდნია და არც პური მიუციათ და არც შინ გაუშვიათ. რადაო? — უკითხავს ლოქოს, რადაო და საქმე ახლა არის, რაც არის. ვინც ანი იცის, იმან ბანიც უნდა იცოდესო, თუ მადლი ჰქენით, მარილიც უნდა მოაყაროთო. ქვეყნად დროებითი მთავრობა შეიქმნა და ჩვენს ხალხს ხეირს არ უქადისო. გაბატონებულა და ქვეყანა თავისი ჰგონიაო. არც ომსა სწყვეტს და არც ხალხის ძალაუფლებასა სცნობსო.

ჯარის ნაწილები კარგახანს უტრიალებიათ იქვე, ახლომახლოს, და ვერაფერი მოუხერხებიათ. ზოგნი ეუბნებიან თურმე: საიდანაც მოხვედით, ისევ იქ გაბრუნდით და ომი გააგრძელეთო, ზოგნი კი — ჯერ ბრძოლა ახლა იწყებაო. აქ იყავით, დროებითი მთავრობა დავამხოთ და სახელმწიფოს კი მუშების, გლეხებისა და ჯარისკაცების საბჭოები ჩავუყენოთ სათავეშიო. საბჭოებში კი შაქროსთანა, ლოქოსთანა, იმ ახმახი რუსისთანა და დაყირავებულულვაშიანი კაზაკისთანა ხალხი ავირჩიოთო.

— აკი შეიქმნაო საბჭოები? — უკითხავს ვილაცას.

— მართალია, შეიქმნა, მაგრამ იქ სულ მენშევიკები, ესერები და სხვა მათნაირი უხეირო ხალხია და ისინი ჩვენ არ გამოგვადგებიანო. ბოლშევიკური საბჭოები უნდა შევქმნათ და ყველაფერს ჩვენ დავეპატრონებითო.

ასეთ ყოფაში თავბედისა ვეღარაფერი გაუგია ლოქოს და შაქროსთვის უკითხავს:

— ეს რასა ჰგავს ჩვენი საქმე, შაქრო? რუსხელმწიფე ხომ ჩამოვაგდეთ და კიდევ რას მოითხოვენ ჩვენგან? აკი შინ უნდა გაგიშვათო? ვილას ვეომოთ და რისთვის?

— პურისთვის უნდა ვიომოთ, — უპასუხია შაქროს, — პურისთვის და თავისუფლებისათვის. ჯერ ისევ გრძელდება ბრძოლა.

— შენ ხომ მეუბნებოდი მეფეს ჩამოვაგდებთ და პური გვექნებაო, ჰა? ესეც მეფის ჩამოგდება, საჭმელი კი არა და არ ჩანს.

— საბჭოები უნდა შევქმნათ და მაშინ გვექნება ყველაფერი. რევოლუციური, ბოლშევიკური საბჭოები.

— ვიცი, ის რაღაც საბჭოა, იმასაც ვავაკეთებთ, მაგრამ პური მაინც არ გვექნება. რა ვუყოთ, ჰა?

— მოთმინება იქონიე! როგორც გვეტყვიან, ისე მოვიქცეთ, სხვებს რას ვუყურებთ. ამბობენ, ეს რევოლუცია ბურჟუაზიული ყოფილა და ახლა სოციალისტური რევოლუცია უნდა მოვახდინოთო.

— აგაშენა ღმერთმა! ისიც რომ სხვა გამოდგეს?

— სხვა არ გამოდგება ნასწავლი ხალხი აქ არა ყოფილა იმ დროს, როცა ჩვენ რევოლუცია მოვახდინეთ. ჰოდა, სახელმწიფოს სხვები ჩაუდგნენ სათავეშიო.

— ვინ სხვები, ეი?

— ესერებიო, კადეტებიო და კიდევ სხვა ვიღაც ვიგინდარებიო. ახლა კი, ყველანი აქ არიანო. საზღვარგარეთიდან დაბრუნებულან. სადგურზე გამოსულან და საქვეყნოდ ულაპარაკიათ. ისეთი სიტყვები უთქვამთ, რომ კლდეს გაარღვევსო.

— არც შეშინებიათ და არც არაფერი?

— არც შეშინებიათ და არც არაფერი.

— მაინც რა უთქვამთ?

— რა უთქვამთ და...დროებითი მთავრობა თუ არ დავამხეთ, ჩვენი გამარჯვება გამარჯვება არ იქნებაო. მთელი ძალაუფლება საბჭოებს უნდა მივცეთო, გაიგე?

— პური თუ ჩამოუტანიათ?

— პურს ვინ გამოატანდა. — გასცინებია შაქროს. — სული რომ ჩამოიტანეს და ცოცხლები ჩამოვიდნენ, ეს უნდა გვიხაროდეს. აქ კი პურსაც ვიშოვით და ხორცსაც.

— ომზე რაღა უთქვამთ, ომზე?

— ომი დაუყოვნებლივ უნდა შეწყდესო. ხალხს დასვენება უნდაო. მოთმინების ფიალა აივსოო. შრომა მოსწყურდათო.

— ვენაცვალე ენა-პირში მაგის მთქმელსა! მართლა კაცური სიტყვა უთქვამთ. ყანის მკა მომენატრა, კაცო, — თვალები სიხარულის ნაპერწკლით ავსებია ლოჭოს, — ყანის მკა და მაშოს ამოზელილი ლობიო, ქინძით შეზელებული. ბებერი მუხის ჩრდილში რომ სადილად ჩამომიტანდა ხოლმე.

— კიდევ, კიდევ რა მოგენატრა? — უკითხავს შაქროს უფრო იმ მიზნით, რომ საუბარი სხვა არხში გადავაგდო და ისეთი არაფერი შემეკითხოს, რაზეც პასუხს ვერ გავცემო.

— კიდევ?.. გახურებული ბუხარი, ხელადით ღვინო, გუდის ყველი და თეთრი კომბოსტოს მწნილი, დედაჩემის ხელით ჩადებული.

— მაშო? მაშო არ მოგენატრა?

— ეეე, მაგას რა მათქმევინებს. ამას წინათ ერთი რუსის ქალი დავინახე, შარაზე მიგოგმანებდა. უკანიდან სულ მაშოსა ჰგავდა. კინაღამ არ ვეცი და არ მოვეხვიე. ნაბიჯს ავუჩქარე და გავასწარ, ვიფიქრე, იქნება ღმერთი გაუწყრა და მაშო წამოვიდა ჩემს საძებნელად-მეთქი. გავასწარ და სახეზე რომ შემოვხედე, გაძიცინა არ ვიცი, ვიღაცას მიმამსგავსა თუ რაში იყო საქმე.

— მოეწონებოდი. ვინ იცის, იმასაც ჯარში ჰყავდა ქმარი. — ღიმილით უთქვამს შაქროს.

ლოჭო ერთხანს შეფიქრიანებულა, მერე თავი გაუქნევია და მტკიცედ უთქვამს:

— ჯარში?.. არა, მე იმას ვერ ვუღალატებ.

— ვის ვერ უღალატებ, მაშოს?

—მაშოსაც და იმ ჯარისკაცსაც.

— თვითონ მაშომ რომ გიღალატოს?

— არა მგონია. ისე როგორ უნდა გაუწყრეს ღმერთი, რომ ამდენი ხნის სიყვარული წყალში გადამიყაროს. თოთხმეტი წლისა ვიყავ, როცა შემიყვარდა, ეი. აი, ახლაც, როცა გამახსენდება ხოლმე, აქ გულთანა ფუტფუტებს, — მკერდზე დაუდია ხელი და ისე გაუგრძელებია, — იმას ენაცვალოს მთელი ქვეყნის ქალები! ჰა, ჩქარა მითხარ, როდის მოვათავებთ ამ დავიდარაბას და როდის წავალთ შინ?

— შენ ის გამახსენე, რამდენნაირი ღვინო იცის საქართველოში და ყველაზე ძალიან რომელი გიყვარს?

— საქართველოში შვიდასი ჯიშის ვაზია, მაგრამ რამდენი ზვარიც არის, იმდენი ღვინოა. ვის შეუძლია მოთვალოს.

-- შენ რომელი ღვინო გიყვარს?

-- სუყველა დალოცვილია.

— მაინც, მაინც?

— რქაწითელი, მწვანე, საფერავი, მაგრამ რა დროს ეგენია, კაცო კუჭი ხერხემალზე მაქვს მიმწვარი! აღარ მეტყვი, როდის მოვათავებთ ამ დავიდარაბას და ჩვენი ჰერმის გრილოში როდის გავიშლით სუფრას?

— მალე წავალთ, მალე, ნუ გეშინია. დროებით მთავრობას დავამარცხებთ და ეგ იქნება.

— დრო დროსთვის უნდა, თორემ ქამი ყოველთვის იქნებაო, ახლავე მიგვიშვან და ბარემ ყველაფერი ამოვაბრუნოთ. მოსაგლეჯ კბილს რაღა ყურება უნდა.

— ეგ მართალია, მაგრამ ისიც ხომ გაგიგია, ასჯერ გაზომე და ერთხელ გასჭერიო. [illegible]

გზიდან მოუარე და შინ მშვიდობით მიდიო. აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამიაო.

— ჰო, კარგი. ყველაფერს დაგიჯერებ და რაც მოხდება, მოხდეს. შენი ეშმაკი დიდი იყოს ასე დაუწყნარებია შაქროს თავისი მეგობარი და იმ ღამეს ყველაზე გვიან დაუძინიათ.

## იერიში

ზამთრის სასახლეს იერიშით აღება უნდაო და ლოჭოსაც იერიშის მეტი არაფერი ჰყვარებია: ერთი კი წინ გადაედგა ნაბიჯი და, თავში რომ კეტი გეცემათ, უკან აღარ დაიხევდა. ერთხელ მანავის ბოლოზე, ნათლიმცემლობას. ჩხუბი მოსვლოდა. სწორედ ჯარში წაყვანის წინა კვირებში ყოფილა ეს დღეობა და ლოჭოს უფიქრია: წავალ დღეობაში, თვალსაც წყალს დავალევინებ და ვიჭიდავებ კიდეც — თავს გამოვიჩენო.

უჭიდავია.

ჯერ ერთი ბიჭი წაუქცევია, მერე — მეორე. მერე — მესამე და შეუსვენებლად რომ მეოთხეც ზედ მიუყოლებია, გაბრაზებულან მანაველები, ზედიზედ გადამხტარან წრეში და საცემლად მიუწევიათ. ლოჭოს კი არც უციებია, არც უცხელებია და იქვე, ღობიდან მარგილი მოუგლეჯია. მოუორხელებია ეს მარგილი და მთელ სოფელს შეჰგებებია. ამის გამო სოფელი კიდევ უფრო შეგუნდავებულა, რაც კი ხელში მოხვედრიათ, ყველაფერი მოუმარჯვებიათ და უფრო მეტი გავეშებით შეუტევიათ. ალყაში მოუქცევიათ და რამდენჯერმე უთაქებიათ კიდეც. უთაქებიათ. მაგრამ ნირი ვერ შეუცვლევინებიათ. ჰოდა, მთელმა სოფელმა ვერ შეაშინა ლოჭო და ზამთრის სასახლის იერიში როგორ შეაშინებდა. ბოლოს და ბოლოს ის რაღაც სასახლე ბაყბაყდევი ხომ არ იქნება, ანდა ცხრათავიანი გველეშაპიო — გული დაუმშვიდებია ლოჭოს და მოთმინებით დალოდებია იერიშის დაწყებას.

— დღეს რამდენია, ეი? — უკითხავს ლოჭოს, როცა შაქროს უთქვამს, ახალი ბრძანებით დღესვე იერიშს ვიწყებთო.

— ოცდაოთხი.

— ღვინობისთვისა, არა?

— ღვინობისთვისა.

— ჰაი, რა საანეულო ხვნის დროა და ჩვენ კიდევ აქ ტყუილ-უბრალოდა ვყრივართ. აბა, თუ მეტყვი, რამდენი ყანობა გავიდა უჩვენოდ ან რამდენი რთველი?

— სამი.

— რატომ ოთხი არა?.. ვინ იცის, ჩვენს სოფელში ნასახლარებიც აღარ არის. თუ ბოლოდან თათრები შეესივნენ და აოხრეს (ივრის გაღმა მუსულმანები ცხოვრობენ და მათი შემოსევებით ყოფილა სოფელი შეწუხებული). ჩვენ აქ სხვის მიწა-წყალზე ვიბრძვით და ჩვენი კიდევ ოხრადა გვრჩება.

— აქ იმიტომ ვიბრძვით, რომ იქ უშიშრად იყვნენ ყველანი. შენ იცი, თუ გავიმარჯვეთ, როგორი მეგობრობა დამყარდება? ყველა ხალხი თანასწორი გახდება.

— ეგ ვინა თქვა?

— ვინც თავი და თავია, იმას უთქვამს...

იმ ღამეს დიდი შეხლა-შემოხლა მომხდარა. ლოჭოს მეგობრები ჯერ ფოსტაში შეცვივნილან და ის დაუკავებიათ. მერე ხიდზე დაუყენებიათ და უთქვამთ, ჩვენს დაუკითხავად კაციშვილი არ გაატაროთო. ლოჭო და მისი მეგობრები მდგარან ხიდზე და არავინ უჭაჭანებიათ ახლოს. მერე ზამთრის სასახლისაკენ მიუბრუნებიათ. და როგორც კი კრეისერ ავრორადან ზარბაზანი გავარდნილა, ხმამაღლა დაუძახიათ: „ვაშაა!“ და იერიშზე გადასულან. რამდენიმე ჯარისკაცი დაცემულა ლოჭოს გვერდით, მაგრამ მას ერთი ნაბიჯითაც არ დაუხევია უკან. შაქროს უთქვამს, ერთი უკან გადადგმული ნაბიჯიც კი სიკვდილსა ნიშნავსო. ზამთრის სასახლეს თუ ავიღებთ კი, საბოლოო გამარჯვება ზურგზე გვაკერიაო. ამ იერიშის დროს შაშხანის დაკარგული ტყვია მოჰხვედრია ლოჭოს მარცხენა მხარში, მაგრამ მუხლი არ შეშინებია და წუთით არ შემდრკალა.

— ვაშაა! — დაუღრიალია ომახიანად და მედგრად შეუტევია ზამთრის სასახლისთვის.

ზამთრის სასახლის ფუძე და კედლები ძირფესვიანად შერყეულა. მეორე დღეს კი ბოლშევიკი კომისარი მაგიდაზე შემხტარა და ხმამაღლა წაუკითხავს:

— „დროებითი მთავრობა დამხობილია. სახელმწიფო ხელისუფლება გადავიდა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ხელში... გაუმარჯოს მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებს!..“

— ვაშაა! — დაუქუხია ყველაფერს. ისე დაუქუხია, რომ მთელ რუსეთს გაუგონია მისი ხმა. მერე ეს ხმა ჰაერში აჭრილა და მზის სხივივით მოჰფენია დედამიწას.

— აგაშენა ღმერთმა! — შვებით ამოუსუნთქავს ლოჭოს. — ეგეც შენი იერიში და ზამთრის სასახლე! ახლა რას ვუზამთ იმ დროებით მთავრობას, ეი?

— რას ვუზამთ და სათითაოდ ჩამოვაღრჩობთ.

— ისევ ჩამოხრჩობა, კაცო? ცოდონი არ არიან ეს გამჩენძაღლები? იქნებ ისე გვესწავლებინა ჭკუა?

— ცოდონი არ არიან? თუკი ეგენი ხალხს აშიმშილებდნენ და ომს აგრძელებდნენ? თუ კისერს არ მოვუგრეხთ, ისე ვერ ისწავლიან ჭკუას. შური უნდა ვიძიოთ, შური!

— ეგეც მართალია! ღირსები არიან... ერთი, გაღმა სოფლელი ნიკაა, ბალღი ვიყავ, როცა მცემა და დღესაც გულზე მადგას: ჯავრი თუ არ ამოვიყარე, სულს ვერ მოვიბრუნებ-

მეთქი, ასე მგონია. საფლავის კარამდე ბოლომდ მიმყვება და იქ კიდევ წინაპრები მეტყვიან: ჩვენთან არ მოხვიდე, ლაჩარი ყოფილხარო. ჰოდა, ამ სალოცავგამწყრალებს, ამათ რაღად უნდა ვაპატიოთ და რატომაც არ უნდა ჩამოვახრჩოთ?.. შენ ეგ მითხარ, ახლა მაინც თუ გვეშველება?

— გვეშველება და ეგ არის. ასე უთქვამთ: მიწა — გლეხებს და ფაბრიკა-ქარხნები — მუშებსო. მთელი სახნავ-სათესები ჩვენ დაგვრჩება, მაგაზე მეტი რა გვინდა?!

— მეტი არაფერი!.. გლეხკაცს მიწა ნუ გამოულიოს ღმერთმა, გუთანი და ნამგალი!.. მუხლში ღონე და გულში გამბედაობა... შინაც თუ გაგვიშვებენ?

— შინ გაშვებაზე ჯერ ვერაფერს გეტყვი, მაგრამ, მე მგონია, გაგვიშვებენ. დაზავდებიან და გაგვიშვებენ.

შაქროს შეუნიშნავს, რომ მარცხენა მხარი დაცერავებული დაჰქონებია ლოჭოს და მიზეზი უკითხავს.

— არაფერია. — უპასუხია ლოჭოს, — ცოტათი გაკაწრული მაქვს და ეგ არის. მანაველებმა რომ მარგილი დამარტყეს, ამაზე ძალიან მქონდა დაშავებული, მაგრამ თავისთავად გამიარა.

— ახლავე ჰოსპიტალში უნდა გაგგზავნო. — უთქვამს შაქროს.

— ჰოსპიტალში რა მინდა?! — აყვირებულა ლოჭო, — თუ გინდა მომკლან, იქ არ წავალ!

რაღაც მარმარილოს მსგავსი ქვა ჰქონია შაქროს, დაჭრილის წამალიაო. ამოუღია, ქაღალდზე ჩაუთლია დანით, მერე ორი თითით აუღია და ლოჭოსთვის მხარი გაუშიშვლებია. გაუშიშვლებია და ზედ დაუყრია ეს წამალი.

— ეჰეი, რამდენი სალაპარაკო მექნება, სოფელში რომ ჩავალ — თითქოს ჭრილობა არც არაფერიაო, არხეინი ღიმილით უთქვამს ლოჭოს, — იმდენი რამე ვნახე, რომ ტყუილის მოგონება აღარ დამჭირდება. მარტო ერთ ტყუილს მოვიგონებ და არ დამაბეზღო, თუ კაცი ხარ.

— რას მოიგონებ?

— ჯერ დამეფიცე, რომ არ დამაბეზღებ და...

— ვაჟკაცობას გეფიცები.

— ის კაცი ვნახე- მეთქი, ვინც რევოლუცია მოახდინა.

— რომ არ დაგიჯერონ? — გასცინებია შაქროს.

— დამიჯერებენ. შენ ხომ მითხარ, სადგურზე, ჯავშნოსანიდან სიტყვა თქვაო? მე ვიტყვი, რომ მაშინ მეც იქ ვიყავ და ჩემი ყურით გავიგონე ყველაფერი-მეთქი. იმ სიმაღლეა, კისერი მეტკინა, რომ შევხედე-მეთქი. მკლავები მორებს მიუგავს და შუბლზე კიდევ ეტრატი დაიწერება-მეთქი. არც ახლა დამიჯერებენ, ჰა?.. მითხარ, არ დამიჯერებენ?

— შუბლი კი, მართლაც მაღალი ჰქონია, მაგრამ ამბობენ, ტანით ძალიან პატარააო. — ხმადაბლა უთქვამს შაქროს.

— როგორ? ჩემზე და შენზე პატარაა?

— ჩვენზე კი არა, კომისარმა მითხრა, იმაზე პატარა კაცი ბევრი არ იქნებაო. როგორც იმან დამიხატა, თითქმის ერეკლე მეფეზეც კი პატარა ყოფილა.

— ახლა ეგ მითხარი, ერეკლე მეფე პატარა იყოო?

— პატარა ყოფილა, მაშ რა?!

— ვინა? ერეკლე?

— დიახ, ერეკლე! პატარა კახიც სწორედ მაგიტომ დაურქმევიათ.

— აბა, მაშ ეს ლექსი რაღ უთქვამთ:

ეს ჩვენი მეფე ერეკლე
ერთი პატარა კახია,
ჯაჭვის პერანგი ჩაიცვეს,
ხელი გაჰკრა და გახიაო?

— მერე რა არის, რომ უთქვამთ. ალბათ გახია და უთქვამთ კიდეც.

— პატარა კაცი რომ ყოფილიყო, როგორ გაჰხევდა? ან იმ ვიღაც კოხტა ბელადს როგორ მოერეოდა? ან იმდენ ლეკებს როგორ შეაშინებდა?

— როგორ? პატარა კაცი არ გინახავს, ღონიერი და ყოჩაღი რომ ყოფილა?

— არა, ეგეც მართალია, მაგრამ ერეკლე უეჭველად დიდი იქნებოდა.

— ტანი კი არა, ჭკუაა მთავარი, ჩემო ლოჭო, ჭკუა და მოხერხება — უთქვამს შაქროს.

— ეგეც მართალია. ის კაციც ალბათ ძალიან ჭკვიანია და იმიტომ აჯობა ყველას. საგარეჯოელი მიხა ქურხული თუ პატარაა, ვისზე რა ნაკლებია? სანდრო კანდელაკი ასოთხმოცი კილოს და მიხა იმის ნასამედი, მაგრამ ვერაგზით ვერ წააქცია. სანდრომ აეგრე, ხელში დაამტვრია კაცი და მაინც ვერ წააქცია, ეი! ის კაციც ალბათ ძალიან კირკიტაა და თანაც ჭკვიანი. არა, იქამდე შინ არ წავალ, სანამ იმას არა ვნახავ. იქნებ ბედმა გამიღიმოს და მართლაც ვნახო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი გეწაძე

# ჰიმნი საქართველოს მზეს

ეს მე ვბუბუნებ — ქართული მიწა,
ეს მე ვბუბუნებ — ქართული სული.
ჩემს მიწას ჩემი სულივე იცავს,
ჩემს სახელს ჩემი სულივე უვლის.
მე ვარ ლამაზი, როგორც ზღაპარი,
ვარ ზღვათა შუა ჩამდგარი გემი.
მიდით, მზეს ჰკითხეთ ჩემი ამბავი,
მიდით, ცას ჰკითხეთ ამბავი ჩემი.
მე ქვეყნად გავჩნდი დიდი ხნის წინათ,
ბრძოლით მოვყვები დრო-ჟამის სრბოლას,
სულში მიწივის ისრების წვიმა
და უამრავი ხანძარი ბოლავს.
ქართული მიწის საგლეჯ-სარბევად
ედავებოდნენ დევებს დევები...
და წითლდებოდა თეთრი ვარდები,
კვლავ ივსებოდა სისხლით ხევები,
ამირანივით ბევრჯერ გავბრაზდი
და თავაშვებულ დევებს შევები.
სულში მიყრია ფერფლი არმაზის
და გორგასალის ხმლის ნამტვრევები.

საუკუნე საუკუნეს მისდევს ზედიზედ,
ჩემს მზეს ღრუბლის ურდო უტევს,
ღრუბლებს ებრძვის მზე.
რეკავს ზარი თავგანწირვის,
ქარი ფოთლებს ხვეტს...
მოდის ქარი და მოსტირის
საქართველოს ბედს...

ათასჯერ დამხვდა მტერი შარაზე,
ვიდოდა მგლად და ვიდოდა მელად,
ჩემს დიდ სიმდიდრეს და სილამაზეს
მისატაცებლად ელტვოდა ყველა.
ოქროს საწმისი უნდოდა ბერძენს,
ჩემი ასულნი მიჰყავდა არაბს.
დაკარგულ შვილებს მე ახლაც ვეძებ
და ძველისძველი გოდება მზარავს.
მიწას ვერ ვხნავდი ვერასდროს მშვიდად,
სვავი მირბევდა ბარტყების ბუდეს
და უცხოეთში გაყიდულ შვილთა
ცრემლები ჩემთან მოჰქონდა ღრუბელს.
...ცა დაეფარა ისართა ტევრებს,
მზე სამუდამოდ ჩავიდა თითქოს,
მოაჭენებდნენ მონღოლნი მერნებს,
ცხრა -ცხრა სიკვდილი მოჰქონდა თითოს.
ხმლებად ელავდნენ თვალები მათი,
სისხლში ლპებოდა ხე და ჯეჯილი,
ველზე მწოლარე კვნესოდა ქართლი,
ცხენთა ფლოქვებით გადაჯეგილი.
ბალახი გახმა ურდოს თარეშით,
მტკვარი ატირდა მტრების კარავთან.
მაშინ მონღოლთა ვიწრო თვალებში
საქართველოს მზე დაპატარავდა...

საუკუნე საუკუნეს მისდევს ზედიზედ,
ჩემს მზეს ღრუბელთ ურდო უტევს,
ღრუბლებს ებრძვის მზე.
რეკავს ზარი თავგანწირვის,
ქარი ფოთლებს ხვეტს...
მოდის ქარი და მოსტირის
საქართველოს ბედს...

ჩემს ცაზე თავის მოხრილ ხმალს თურქი
ჰკიდებდა ხოლმე მილეულ მთვარედ.

ბევრჯერ ჩამიქრეს თვალებში შუქი,
გამიპარტახეს ვენახი-მწვარე.
ხშირად სდიოდა სისხლი კბოდესაც,
მთაგორებს სისხლის ღვარი ღარავდა.
კვლავ კვნესის ჩემი სული, როდესაც
იგონებს სისხლში ჩამდგარ მარაბდას.
უდაბნოს ცხელი ქვიშა მარხავდა
ქართველებს გაწრთვნილს მამელუკებად.
ზოგჯერ ჩემივე შვილი მლახვრავდა,
როდესაც მტერი თვალებს უხვევდა.
ავბედითობას მახვილით ვსდევდი.
ქაჯეთის ციხეს ბევრჯერ შევები.
სული მაქვს სავსე კრწანისის სევდით
და სააკაძის ხმლის ნამტვრევებით.
ჩემს მუხას მოსჭრეს რამდენი ფესვი,
რამდენჯერ დავრჩი გულდადაღული,
ფერეიდანის ძახილი მესმის,
მესმის ძახილი ოშკის, ხახულის...

გრიგალს ებრძოდა ქართული დროშა,
დუშმანთა დროშებს ძონძივით ვხევდი.
უღვთო ჭიდილით მოვდევდი დრო-ჟამს,
ვერას მშველოდა მაღალი ღმერთი.

ო, რა დიდხანს იყო ასე,
ვსდევდი ტანჯვის გზებს,
მერმე საქართველოს ცაზე
დავინახე მზე.
ვიგრძენ შვება ჩემი ფუძის,
არვის ვუხრი ქედს...
დღეს ლამაზი მზე მიუძღვის
საქართველოს ბედს.
ჩემს სისხლს
    სისხლით გადამთვრალი
სვავი ველარ სვამს
და სიმღერით უვლის ქარი
საქართველოს ცას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდრო თევზაძე

# ორლესული

## რომანი

იანვარი, 193... წელი.

გასული წლის ივლისიდან კვლავ ცუდ მდგომარეობაში ჩავვარდი, დღიურის წერა რა არის და ამის საშუალებაც არ გამაჩნდა. ჩემი დუხჭირი მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი სწავლის მიტოვება იყო და სამსახურის დაწყება. დედას არაფერი გავაგებინე, რადგან ვიცოდი მისი ხელმოკლეობა.

ჩემი პროფესია მასწავლებლობაა, ამიტომ განცხადება განსახკომში შევიტანე, სადმე რაიონში გამაგზავნეთ-მეთქი. ძალიან მიმძიმს, როგორ დავთმო ჩემი საყვარელი თბილისი, სანუკვარი უნივერსიტეტი, მეცნიერებისა და მწერლობის სიახლოვე?!

... სექტემბრის დამდეგს განცხადებას მივაკითხე, კადრების განყოფილებაში ბევრ მთხოვნელს მოეყარა თავი, უფროსამდე ძლივს მივატანე.

— ხარაგოულის რაიონში ხარ დანიშნული, ბორითის 7-წლიან სკოლაში. ხელფასი 400 მანეთამდე გექნება, განათლების განყოფილების გამგეც აქ არის, მოილაპარაკეთ! — და გვერდით მჯდომ დარბაისელ კაცზე მიმითითა.

მღელვარებით ვუსმენდი ბედის განაჩენს.

დარბაისელმა კაცმა განზე გამიხმო, გამეცნო — ასლან მიქაბაძე: მიმზიდველ გარეგნობას მომხიბვლელი სიტყვა-პასუხიც ამშვენებდა.

— წამოდი, ნუ შეყოყმანდები, კარგ პირობებს შეგიქმნი! მასწავლებლები გვაკლია რაიონში და ვინც წამოხვალთ, ჩინებულად მოგაწყობთ ყველას! — მეგობრული სითბო ვიგრძენი მის სიტყვებში.

დამიყოლია, მაგრამ არ ვიცი, რამ, მისმა ტკბილმა საუბარმა, თუ ჩემი ცხოვრების სიმწარემ?!

— მიმართვას მომცემთ? — ნაძალადევი სურვილით ვკითხე კადრების უფროსს.

— საბუთებს მე წავიღებ; ჩემთან ჩამოდი და მერე მე ვიცი! — მიპასუხა მიქაბაძემ უფროსის მაგიერ. მეც გულშეუჯერებლად კმაყოფილი გამოვემშვიდობე და ორ დღეში ჩასვლა აღუთქვი. ქუჩაში გამოსულს იმედის შუქად მეფრქვეოდა ასლანის სიტყვები: „ჩემთან ჩამოდი და მერე მე ვიცი". კარგი კაცი ჩანს, გამაგნებინებს ცხოვრების გზას, მეც ერთგული მუშაობით გადავუხდი-მეთქი, ვფიქრობდი გულწრფელად.

მესამე დღეს, შაბათს, გავემგზავრე. აკადემიური შვებულება არ გამიფორმებია, იქნებ არ გამართლდეს „მერე მე ვიცი", მაშინ? — ეჭვის ეკალმა გამკაწრა.

საერთო ვაგონის ბილეთი შევიძინე და მხოლოდ ორი მანეთიღა დამრჩა თანამგზავრად. ვფიქრობდი, ხარაგოულამდე მშიერიც გავძლებ, იქ კი, „მერე მე ვიცი" მიშველის-მეთქი...

ჩემდაჭირად მატარებელმა დაიგვიანა და ხარაგოულში რომ ჩავედი, სამუშაო საათები დამთავრებული იყო. უნდა გენახათ ჩემი სასოწარკვეთილება, როცა განათლების განყოფილება დაკეტილი დამხვდა. ყველა და ყველაფერი უცნობი იყო ჩემთვის, ღამდებოდა, ორი მანეთის ამარა ცხოვრების გზაზე შემოღამება... ჰმ! შიშმა შემიპყრო.

„ალბათ, ორშაბათამდე არ მომელოდა! მე კი ვიფიქრე, დღეს და ხვალ ჩასვლასა და დაბინავებას მოვუნდები, ორშაბათიდან გულდასმით შევუდგები მუშაობას-მეთქი. მაგრამ ვხედავ, ცუდად განმისჯია. უნდა ვიპოვო როგორმე! — ვეუბნები ჩემ თავს.

უაზროდ მივყვები პატარა დაბის ტალახიან ქუჩას, გუშინდელი ნაწვიმარია, დღესაც იბლვი-

დასასრული. იხ. „მნათობი", № 3.

რებიან ღრუბლები ცაზე. ღრუბლები უნდა ახლა ჩემ გულს?!

პირველმა შემხვედრმა ვერ მიმასწავლა ასლანის ბინა, მეორემაც ჭრიაშვილივით გააბა, მესამე თავად წამყვა. შინ აღმოჩნდა.

— ასე გვიან რად ჩამოხვედი? წადი სოფელ ბორითში. სადგურ ძირულიდან შეხვდები მგზავრებს. შეიძლება მანქანაც იქნეს. დირექტორს უთხარი ჩემი სახელით, რომ დანიშნული ხარ მასწავლებლად, ბრძანებას მერე გამოვგზავნი! — ასლანმა სახლში დააპირა შებრუნება.

— ბატონო ასლან! — შევესიტყვე ნირწამხდარმა, — როგორ წავიდე ამ ღამით, გზა არ ვიცი, და, რაც მთავარია, ფული სრულებით...

— ფული რა დროსია, ჯერ მუშაობა არ დაგიწყია და ავანსებს მოითხოვ?

ალბათ მკვდრის ფერი დამედო...

— კარგი, მოდი ორშაბათს, ვნახოთ! — და შეაღო ოთახის კარი. გაქვავებულივით გავშეშდი, სუნთქვა შემეკრა. ნათლად მახსოვს, რომ არაფერს ვგრძნობდი. თითქმის უფსკრულის პირას ვიდექი. სირცხვილი, შიმშილი, უფულობა და სრულიად მარტოობა ღამით, პატარა მივარდნილ სადგურზე...

„ჩემთან ჩამოდი და მერე მე ვიცი!.. ჰმ!..“

დიდხანს ვიდექი კარმოხურული სახლის წინ.

ასლანი სადღაც გასამგზავრებლად გამოვიდა, ფერდაკარგული რომ დამინახა, არ ეჭაშნიკა, აქ რას უცდიო, მკითხა. ენა ვერ მოვაბრუნე. ალბათ, შემატყო შიშმორეული სიბრაზე. დამაკვირდა. ჩემდაუნებურად წამოვილაპარაკე:

— ბატონო, როგორმე ორიოდ თუმანი მაინც.. თქვენი ჯიბიდან... სრულიად უგროშოდ როგორ წავიდე ბორითში!..

ასლანი ოთახში შებრუნდა, ორი წუთის შემდეგ ისევ გამოვიდა, უსიტყვოდ გამომიწოდა ფული. მაშინვე ვიგრძენი, რომ დაკარგულად ჩასთვალა, როგორც მათხოვრისათვის მიცემული. ამან კი ნამდვილად გამანადგურა. გავიფიქრე, მივუყრი უკან და წავალ-მეთქი, მაგრამ სად მივალ? როგორ დავბრუნდე თბილისში, ან რის იმედით?!

გაჭირვებამ სძლია თავმოყვარეობას. გულდამძიმებული წამოვედი. ალბათ, ტომარასავით მომათრევდა ფეხები.

სადგურში ძირულისაკენ მიმავალი მატარებელი ქშინავდა. საჩქაროდ ავიღე ბილეთი და ბუფეტშიც ორი ღვეზელი გავახვევინე. აქაურობაზე მალე განშორების შესაძლებლობამ ცოტათი გამამხნევა. მატარებელიც დაიძრა და ბნელ ხეობაში შეკარგული გზით ჩემი ახალი ცხოვრებისაკენ წამიყვანა.

თხუთმეტიოდე წუთი დასჭირდა ძირულამდე მატარებელს. რკინიგზის სადგურს ზემოთ, დუქნების წინ რამდენიმე მგზავრი ელოდებოდა ბორითში მიმავალ მანქანას. შეიძლება მოვიდესო, თქვეს მგზავრებმა. ჯერ მუნჯი იყო ლოდინი, შემდეგ გამოველაპარაკეთ ერთმანეთს, ბორითელებიც აღმოჩნდნენ. სკოლა კარგი გვაქვსო, მასწავლებლები და დირექტორი აქეს 18 კილომეტრია აქედანო...

თავშემაქცევარი ბაასი სოფლის ღელესავით მიედინებოდა ერთხანს, მერე სიბნელე დაეუფლა არემარეს. მოლოდინით დაქანცული მგზავრები ხმით ვარჩევდით ერთმანეთს.

— იქნება აწი მანქანა?! — კითხულობს ერთი მგზავრთაგანი.

— რა ვიცი, რაღაც არ უჩანს კარგი პირი, — უპასუხებს მეორე.

— იქნება, იქნება! — გვაიმედებს მესამე.

სუსხმა ცოტათი გვიკბინა ბეჭებზე. სიცივის შეგრძნებამ მუსაიფი გააუფერულა. იმედიანი ლოდინი თანდათან უიმედობის ბურუსით დაიფარა.

შუაღამე იქნებოდა, ალბათ. მგზავრები საბოლოოდ დარწმუნდნენ მანქანის მოუსვლელობაში. კიდეც რომ მოსულიყო, რაღად მინდოდა, ვის მივდგომოდი ამ უკუნ სიბნელეში?!

მგზავრები აფუსფუსდნენ, ყველა თავისთვის შეუდგა თავშესაფრის ძებნას, ნელ-ნელა გაიკრიფნენ და ძირულის კარდაკეტილ დუქნებთან მხოლოდ მე დავრჩი, სიბნელითა და მარტოობით გარემოცული.

კენტად დარჩენილს სიცივემ უფრო შემომიტია, წამოვდექი, გავიარ-გამოვიარე, მერე ჩემს თავს ხმამაღლა ვუთხარი: „რა ადრე დაგიღამდა ცხოვრების გზაზე-მეთქი“. სიბნელეში გარინდულ სივრცეს ყური დავუგდე. მგლის თვალივით მოჩანდა რკინიგზის ლიანდაგზე მბჟუტავი სინათლე, რომელიც ერთ-ერთი იმედიღა იყო ჩემთვის. გადავწყვიტე, რკინიგზის სადგურში გავათევ ღამე. შიგ სითბო მაინც იქნება, გარეთ როგორ გამაგდებენ-მეთქი.

სადგურის დაყრუებულ დარბაზში ცვილის სანთელი აგერ-აგერ ჩაიწვება. ცალფრთამოტეხილ პეპელასავით ხანდახან წამოიწევს მბჟუტავი ალი. უიმედობით წელმოწყვეტილი ერთ მორყეულ ჩამოსაჯდომს მივენდე. სინათლე მალე ჩაქრა. სიბნელე კიდევ უფრო ჩაბნელდა. ჩემს გულშიც ჩაქრა ბორითიც, სკოლაც, სამსახურიც. თვალწინ მხოლოდ განათლების განყოფილების გამგე მედგა ,აი, იმ სახით, ორი თუმანი რომ გადმომიგდო უკანონო ჯარიმასავით... თვლემა მომერია. ძილმა სიბნელეში უფრო მომნახა...

არ ვიცი, რამდენ ხანს მეძინა. უჩვეულო ხმაურმა ზეზე წამომაგდო. სატვირთო მატარებელი შემოგრიალდა პირველ ლიანდაგზე, როგორც ეს პატარა სადგურებში იცის ხოლმე. თანდათან უკლო სვლას; აი, თითქოს ჩერდება კიდეც. ჩემდაუნებურად გავიქეცი მისკენ. ჩერდება? არა! ისევ უმატა სიჩქარეს. ეტყობა, კვერთხი გაუცვალეს ერთმანეთს სადგურის მორიგემ და მემანქანემ. „ჩქარა, თორემ მერე ველარ შეახტები!“ — ჩამძახა რაღაცამ თუ ვიღაცამ. ანგარიშმიუ-

ცემლად გავქანდი ოდნავ განათებულ ბაქნის ნაპირისაკენ და პირველ შემხვედრ საფეხურს შევახტი. წუთიც და მატარებელმა მბჟუტავ სინათლიდან სრულ სიბნელეში შემაცურა.

... დილა იყო, ჩემი სოფლის მახლობელ სადგურში რომ მივედი. გაჩერებამდე ჩამოვხტი და ვაგონების ქვეშ გავძვერი ქუჩის ძაღლივით. მეშინოდა, გზის მცველებს არ დავეჭირე. სირბილით გავშორდი იქაურობას და სულ მალე რიონზე გავჩნდი, ბორანთან, საიდანაც მიდიოდა გზა ჩემი სოფლისაკენ.

დიდხანს ვიარე, მაგრამ შინ მაინც ადრიანად მივედი. დედაჩემი, მოულოდნელად რომ დამინახა, შეშინდა, ათრთოლებული გადამეხვია, გულში ჩამიკრა და ჩამკითხა:

— რა იყო, შვილო, ცუდი ხომ არაფერი შეგემთხვა, რატომ ხარ ასე გაფითრებული, ავად ხომ არა ხარ?!

— არაფერია! — დამნაშავესავით ვიმართლე თავი, — ახლავე ფოსტაში უნდა გავიქცე, ფული უნდა გავგზავნო საჩქაროდ ხარაგოულში! გაოგნებულ დედაჩემს ჩემი სიტყვები. ეტყობა, სიცხიანი ავადმყოფის ბოდვასავით მოესმა. — რის ფული, სად ხარაგოული — სულ დაიბნა საწყალი. არც კი დავმჯდარვარ, ისე გავქანდი ფოსტისაკენ და მაშინვე გადავუგზავნე მიქაბაძეს თავისი ორი თუმანი: „გიბრუნებთ თქვენს ფულს და გიძღვნით გულითად მადლობას ესოდენ დიდი ყურადღებისათვის“, მივაწერე ფულის ბარათს.

შინ მობრუნებულმა დედაჩემს დაწვრილებით მოვუყევი ჩემი აფორიაქებული ცხოვრების ამბავი. ორი თუმნის ისტორიაც ვუამბე. მან დინჯად მისმინა და ბოლოს დინჯადვე დამტუქსა:

— როგორ თუ სწავლას თავს ანებებ, რამ წაგახდინა ასე? — ჯერ მკაცრად მითხრა, მერე მომეფერა და იმედით ამავსო: — შვილო, სულ მშიერ-ტიტველი ვივლი, ყველაფერს შენ გამოგიგზავნი, ოღონდ სწავლას თავი არ დაანებო. რას მოგცემს სამსახური? შენი ხელფასი გზაში სიარულს არ ეყოფა. სწავლისათვის დაკარგულ დღეებს კი მერე ვეღარ დაიბრუნებ. ნუ გეშინია, გაჭირვებას გაძლება უნდა, ვაჟკაცი არა ხარ?! ერთხანს არ გაგიშვებ, მოგაჯანმრთელებ, ცოტა ფულსაც გიშოვნი, სანოვაგეს გაგატან, ისევ თბილისში დაბრუნდი და დაწყებულ საქმეს შუა გზაში წყალს ნუ გაატან!..

ასე ტკბილად დამამშვიდა დედაჩემმა და ჩემი გულიც თანდათან საგულეს დაუბრუნდა...“

დღიურის ფურცლები გათავდა. გაგრძელება აღარ არის. ახსოვს, კიდევ ბევრი იყო. ეს ქაღალდები რაღაა, რვეულის ყდაში რომ აწყვია? „ბრძენთა აზრები“ — აწერია ერთ მათგანს სათაურად. სანდრომ ჩაიკითხა სიჭაბუკეში ჩაწერილი აფორიზმები: „უმჯობეს სახელი კეთილი, ვიდრე სიმდიდრესა მრავალსა, ხოლო უფროს ოქროსა და ვერცხლისა მადლი კეთილი“. „მხოლოდ ის არის სიცოცხლის ღირსი, ვინც არსებობის ყოველი წუთი ბრძოლით მოიპოვა“. „მოკვდი, მაგრამ არ აკოცო, თუ არ გიყვარს“. „მაინცა გწამდეს სიყვარული, უძვირფასესო, თუნდ სევდის მეტი არაფერი არ მოგიტანოს“. „ვისაც აქვს მტკიცე გულისა ნება, ის ქვეყანასაც დაიმორჩილებს“. „აზრის და სიმართლისათვის მხოლოდ ვაჟკაცი კვდებისა“.

შემდეგ ფურცელზე პატარა მინიატურა აღმოჩნდა: „მიყვარს გაზაფხული“ ჰქვია ამ კუდაბაწარა თხზულებას.

„მიყვარს გაზაფხული!... იგი აღვიძებს ბურანში გახვეულ გრძნობებს კაცისას, ათბობს ზამთრის სუსხით გაყინულ გულს, სინათლე შეაქვს წყვდიადით მოცულ სულში.

ცოცხლდება ბუნება!

აგერ ნუში გამოჰფენს და გამოამზეურებს თავის ნარნარ ყვავილებს, თითქოს ნანობს კიდეც, რომ ამდენ ხანს ვერავინ დაატკბო თავისი სურნელებით. იასამნის ტოტებიც თავს ხრიან, ბადაგით ათრობენ მის გარშემო მოფარფატე, გაზაფხულის პირველ მახარობელ პეპლებს. მთიდან მონაბერი სიო ჟრუანტელის მომგვრელ თრთოლვას იწვევს სხეულში.. და როგორ არ მიყვარდეს ასეთი გაზაფხულის დილა, რომელიც მხოლოდ სიცოცხლეს შეჰხარის, სიცოცხლეს — დაუსრულებელს, ტკბილსა და ლამაზს, ჭაბუკური ოცნებებით შეფერადებულს...

ო, ეს ოცნებები, მიუწვდომელნი და მით უფრო სასურველნი...“

ამ მინიატურის გაგრძელებაც აღარ არის. შემდეგ ფურცელზე ორი პატარა ლექსი აღმოჩნდა. გადაიკითხა, მოეწონა, მაგრამ ვერ იხსენებს, საკუთარია თუ სხვისაგან ჩაიწერა. ხელი კი მის ნაწერსა ჰგავს. იმ დროს თვითონაც წერდა ლექსებს, თუ მოეწონებოდა, სხვისი ლექსების ჩაწერაც უყვარდა. თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს, ვინ დაწერა! კარგი ლექსი ხომ ყველას საკუთრებაა? ავტორისაც, ხალხისაც.

ხელმეორედ ჩაიკითხა:

„ეხლა აღარ ვღონდები,
როცა შენ მაგონდები,
არც სხვითა მსურს ვიხარო;
ეშხს არ ვუღებ კრძალვით კარს,
ჩემი თავიც არ მიყვარს,
სხვისი რად შევიყვარო?!

ო, ნუ ვდარდობთ ძალადა,
ტრფობამ თუ გვიღალატა,
დრო სხვა ბედსაც უმალ შობს;
თუმც მე ცრემლის დამგუბარ
სიყვარულმა დამღუპა,
მაგრამ მაინც
სიყვარულს გაუმარჯოს!“

პირველი ლექსი უსათაუროა, მეორე — „ანდერძი“, მართლაც რომ ვაჟკაცის სევდიანი სიმღერაა:

„ძმებო! გულზე დამაყარეთ მთების ყაყაჩო,
ვალმოხდილი როცა დუმილს შევეფიცები;
და გრომები ლურსმნებზედაც რომ არ
დახარჯოთ,
ვარსკვლავებით შემიჭედეთ კუბოს ფიცრები.

ძმებო! ცრემლით თუ მიგლოვოთ სისხლში
ნაზავით,
მზეც მაგემეთ, ლაჟვარდებში დღეს რომ
დაირწა;
შვიდას თუმანს ვერ გიტოვებთ არსენასავით,
მაგრამ ლექსი ხომ დამრჩება შვიდი მაინცა?!“.

ჩანს, ავტორს ვერ შეუსრულებია დანაპირეში, შვიდის ნაცვლად აქ ორი ლექსია მხოლოდ. რვეულის ყდაშიც გათავდა ფურცლები. სანდროს გული დაწყდა, რომ მისი სიყმაწვილის ჩანაწერები მეტი აღარ შენახულა. რამდენი რამ მოაგონა ამ დღიურებმა, ჟამთა სვლის ფერფლით დაფარული, და კიდევ რამდენი რამ დარჩა იმ ფერფლის ქვეშ ჩამქრალ-ჩაძირული!

ახლა წერილების ბოხჩას შემოხსნა ყაითანი. ბარათები გამოგზავნის მიხედვით ეწყო ერთიმეორეზე.

„როგორ სათუთად შეუნახავთ ჩემი ბარათები!“ — თვალი გადაავლო ზოგიერთს. კითხვამ თანდათან შეიტყუა:

„სალამი მირიან!

ამ წერილს დერბენტიდან ვგზავნი, გამომგზავრების მეორე დღეს. გუშინ ბალაჯარაში დავრჩით საღამომდე. ახალი შევსება მივიღეთ. ჩემზე რა გითხრა. განშორების სევდა ოდნავ შენელდა. ახლა ისე აღარ მეჩრება ყელში, როგორც მაქ, დამშვიდობებისას მომდიოდა. ახალ მდგომარეობას ნელ-ნელა ვეჩვევი. ვცდილობ ღამით მეძინოს. დღისით კი კასპიის სანაპიროს პეიზაჟებით ვერთობი.

სალამი მამიდას, ამხანაგებს.

შენი სანდრო.

28 ივნისი, 1940.“

„სალამი მირიანს!

წერილს ჩრდილო კავკასიიდან გწერ. ისევ გზაში ვარ. მალე დავტოვებ კავკასიონის მთებს და უკრაინის სტეპებზე გავივაკებ. განწყობილება ჩვეულებრივია, მაგრამ მეგობრების ნატვრა შემეპარა უკვე.

სოფელში როცა წახვალ, მამიდას აკოცე. სალამი ყველას. სანდრო.

29 ივნისი, 1940 წ.“

„26 ივლისი, 1940 წელი.

მირიანს სალამი!

ვრცელი ბარათის დაწერის დრო არა მაქვს, ჩემს ამბავს მოკლედ გაცნობებ. საქართველოდან არავის გავხსენებივარ ჯერ და ძლიერ ვწუხვარ.

მირიან, ეს წერილი თუ მიიღო, მაშინვე მიპასუხე, თუ ძმა ხარ! შენი ბარათი ჩემთვის ნამდვილი დღესასწაული იქნება. ჯერ ხომ ძლიერ მცირე დროა გასული და სამშობლო უკვე ზმანებაში გადავიდა. თავისუფალ წუთებს შენზე და ამხანაგებზე ფიქრი მივსებს. უკვე ვნატრობ საქართველოს ღრუბელს. ბიჭებს თუ სწერ წერილებს, ჩემი სალამიც თან გააყოლე. წვიმამ მომისწრო, ვწყვეტ...

მარად შენი სანდრო“.

„ჩემო მირიან!

შენი წერილისა და ახალი წიგნების მიღებამ უსაზღვროდ გამახარა. მშვენივრად არის გამოცემული ზოგი მათგანი. იქნებ იმიტომ მომეწონა ასე ძლიერ, რომ სამი თვეა შენი ბარათების მეტი არა წამიკითხავს რა მშობლიურ ენაზე, ან იქნებ იმიტომაც, რომ ზოგ მათგანთან ჩვენი ძვირფასი მოგონებებია დაკავშირებული. ყოველი უბრალო ნიშანიც კი, რომელიც უკვე ნატვრაში გადასულ მაქაურობას წარმომისახავს, ენით აუწერელ ასოციაციებს იწვევს ჩემში; მაგრამ ეს არ ითქმის, იგი შორეულ მხარეში განიცდება მხოლოდ.

ჩემი ცხოვრებიდან რა მოგწერო! ნაბიჯებივით მეორდებიან დღეები. მათ აღრიცხვას არ ვაწარმოებ. ვნახოთ, რას გვეტყვის ახალი წელი. მალე პოლკის სკოლა უნდა დავამთავრო, დაძაბული ვშრომობ, თავისუფალ დროს გაზეთებს ვკითხულობ მხოლოდ და, ასე გასინჯე, აგიტატორადაც კი ვმუშაობ. ჩემთვის რუსულ ენაზე აგიტაციის გაწევა არც ისე იოლია, შენ წარმოიდგინე!

მირიან, ჩემს ასეულში არც ერთი ქართველი არ არის. მთლიანად რუსულ ატმოსფეროში ვიმყოფები და იმედი მაქვს, ჩემთვის იდეალად-ქცეულ რუსულ ენას, ორ წელში დავეუფლო ისე, რომ მოხსენების გაკეთება შემეძლოს, თუ, რა თქმა უნდა, სიკვდილი არ წამომეწია უდროოდ.

მარად შენი ს. დარბაიძე.

22 სექტემბერი, 1940 წ.,

„ძმაო მირიან!

წერილთან ერთად გიგზავნი სურათს. მასზე უფრო კარგად წაიკითხავ ჩემს სულიერ მდგომარეობას, ვიდრე ჩემგან მოწერილ ბარათში. ჩემი მელანქოლიური განწყობილება წინა წერილში ნაწილობრივ გავამჟღავნე. არ ვიცი მიიღე თუ არა. ამ წერილს ნერვებაშლილი და დაქანცული ვწერ. დროც არა მაქვს მეტი. კარგად იყავი. სალამი ყველას. თუ მოახერხო, წერილთან ერთად ლიტერატურული გაზეთი გამომიგზავნე. შენი სანდრო. 12. X-40 წ.“

„1 იანვარი ,1941 წ.

ძმაო მირიან!

დღეს, სწორედ ახალწელს, შენი წერილი და ძვირფასი საჩუქრები (გაზეთები და წიგნები) მივიღე. უკეთეს მეკვლეს ვერც წარმოვიდგენდი. თუ როგორი განწყობილებით შევხვდი, ან რა მდგომარეობაში ვიყავი ახალწლის ღამეს, ამაზე შემდეგ. ახლა კი მინდა გულითადად მოგილოცო ახალი წელი და ვისურვო, ისეთი ყოფილიყოს, რომ გულაგზნებით შენც წამოგეძახოს: „შეჩერდი წუთო, შენ ნამდვილად მშვენიერი ხარ“!

ჩემს ამბავს უთუოდ იკითხავ, მაგრამ ახალს ვერაფერს გეტყვი იმის მეტს, რომ ეს წერილი ისეთი სულიერი დეპრესიის მომენტში არ იწერება, როგორშიაც ადრინდელი ბარათი დაიწერა. ახლა გულში იმედის ნაპერწკალი ღვივის, მიუხედავად პირისპირ დგომისა ისეთ ვეშაპთან, როგორიც რუსული ყინვაა — ბუნების ეს უზარმაზარი ფენომენი. დღეს, მაგალითად, 30 გრადუსია (რა იოლად ითქმის და რა ძნელია სინამდვილეში) და კიდევ ოცი გრადუსი დაემატებაო, ამბობენ. მოდი და გაუძელი, არა ყაზარმაში, ღუმელთან, არამედ მინდორზე, სადაც ყოველგვარი პირობების მიუხედავად წარმოებს სამხედრო მეცადინეობა. ხშირად ვიგონებ ბრძენი სენეკას სიტყვებს: „დაე, რაც მოსავალია, დროით მოვიდეს!“ უბედურებასთან პირისპირ დგომას შევეჩვიე, დროის დაკარგვად მიმაჩნია ამაზე ლაპარაკი. ვისურვოთ, ძმაო, ახალი წელი ყოფილიყოს წარსულზე კარგი და მოეტანოს ბედნიერებით დატვირთული დღეგრძელი ცხოვრება. ვნახოთ, როგორი გზა იქნება ბედის ეტლისათვის ეს წელი. სიცოცხლის მანძილზე ბევრჯერ ვიხილავთ განთიადს და შემოღამებას. ასეთი არის კაცთა ბედი კუბოს კარამდი...

გაზეთები გადავიკითხე. ბალღივით გამახარა ქართულმა შრიფტმა.

სალამი ამხანაგებს, ყველას, ყველას, ვისთანაც მეგობრობა გვქონდა. მართალია, ბევრმა დავიწყების მდინარეს გაატანა ჩემი ხსოვნა, მაგრამ არა უშავს: „საქართველოში შენ ერთი მაინც არ იტყვი, როგორც იტყვიან სხვები“.

მარად შენი ს. დარბაიძე“.

„ძმაო მირიან!

წერილი გააძვირე, მარტო შენ კი არა, ყველამ, თითქოს პირი შეგიკრავთ. მაგრამ შენ ვალდებული ხარ ყველაზე უფრო. ვფიქრობ, კარგად იქნები. მამიდაც ასევე, ჯანმრთელად იქნება. ეცადე, დროზე მოასწრო შვილიშვილები. ცოლის შერთვის საკითხი ჭკუით მოიფიქრე, შენ არა გაქვს შეცდომის უფლება!

ამ დღეებში ბანაკად მივემგზავრებით, სადაც საველე ცხოვრება დაგვეწყება, განგაშითა და მოძრაობით აღვსილი, უნდა გითხრა, მე თითქოს შვებას ვგრძნობ, რადგან დრო არა მაქვს დარდებისათვის. ამიტომაც გადმოვიხვეწე ასე შორს და ნამდვილად არ წამიგია. რაკი ცხოვრებამ მანდ დედინაცვალობა გამიწია, დედინაცვლებს ხომ შორს გაურბიან ობლები. მეც ასე, მწუხარებას გამოვექეცი და მღელვარე ყოფას შევაფარე თავი. თუმცა მაინც მომნახავს ზოგჯერ, გულის სოროში თაგვივით შემომძვრება და მღრღნის, მაგრამ მისი მოგერიებისათვის აქ მეტი ძალა გამაჩნია.

თბილისის ძმობა რასა იქმს? აუცილებლად მოიწერე! სულ კარგად იყავი. შენი ს. დარბაიძე, 2 მაისი, 41 წ.

„15 ივნისი, 1941 წ.

ძმაო მირიან!

ამ წერილის შემდეგ ნულარაფერს გამომიგზავნი ძველ მისამართზე. ახალ ადგილზე მივდივართ. არ ვიცი, სად. ამ გაურკვევლობასა და მოულოდნელობაშია სამხედრო ცხოვრების პოეზია. ძლიერ მომენატრეთ ყველანი. რომ იცოდე, რა ნაზია ეს გრძნობა, შორით დატოვებულ მშობელ კუთხეზე ოცნება, მეგობრებზე და ყოველ წვრილმანზეც კი, რომლებთანაც დაკავშირებულია ჩვენი ჭაბუკობის ძვირფასი მოგონება.

ბევრჯერ მიფიქრია მანდ: როდის იქნება შორიდან ვეტრფოდე იმას, რასაც ახლოს განცდის სიმძაფრე აკლია-მეთქი. აი, მოდგა ეს დროც. ოცნებაში გადასული საქართველო თვალწინ მიდგას და, მანდ რომ ვიყო, ალბათ, ყოველ ბუჩქს ვაკოცებდი. არ ვიცი, საიდან შემოიპარა ჩემს გაციებულ გულში ეს სენტიმენტალობა. მე მუდამ მანცვიფრებდა გრიგოლ ორბელიანის პიროვნებაში პოეტი და გენერალი. დღეს კი ეს ნათელია ჩემთვის.

მე ახლა ქვემეხის მეთაური ვარ და ჩემს ბრძანებაზე გასროლილმა ყუმბარამ შეიძლება ყოველ წუთს რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე წაიღოს მტრის ბანაკში. მერედა, რა სიხარულს მომგვრის ეს! რა გრძელი გზა გავიარე კაპრის ხრიკოლა თოფიდან ნამდვილ ქვემეხამდე! ჩემი სიცოცხლეც ამ ორ უკიდურესობაშია მოქცეული. ყოველ პიროვნებაში ზის ბავშვი და მოხუცი, ანგელოზი და ეშმაკი, ბოროტი და კეთილი. რა რთული ყოფილა ადამიანი და თურმე რა მრავალგვარი სულიერი ცხოვრება უნდა გამოსცადო, რომ მიხვდე ყველაფერს. ჩემი ცხოვრების ახალი ფურცელი ახლა იშლება. შეიძლება იგი მალე დახუროს მტრის ხელმა, რომელიც იქნებ ასეთივე ბარათით ემშვიდობება თავის მეგობარს. ყოველ შემთხვევაში მე ცოტას ვფიქრობ ამაზე და ხშირად გავიხსენებ ხოლმე ქართველი პოეტის სტრიქონებს: „დე იყოს ქარი და წვიმის ცრა, მე ამ სტიქიის მოხალისე ვარ“!

ეს ბარათი იქნებ ჩვენი ბავშვობის უკანასკ-

ნელი გახსენება იყოს. იყავი კარგად. შენი სანდრო.

P. S. ამ წერილის გამოგზავნა რამდენიმე დღეს ვერ მოვახერხე. მერე რაც მოხდა, იცი! მივდივარ ფრონტზე, უკრაინაში, სანდრო.

26. ივნისი, 41 წ."

„5 ივლისი, 1941 წ.

მირიან!

ამ წერილს ზარბაზნების გრიალში ვწერ, ფრონტზე ვარ, ბელორუსიაში, ქალაქ როგაჩოვის მახლობლად. დღეს პირველად მივიღე მონაწილეობა აქტიურ შეტევაში ჩემი ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხით. მშვენიერ გუნებაზე ვარ.

არც ისე ძნელი ყოფილა სიკვდილის თვალის გასწორება, როგორც მანდ გვეგონა. ერთი სიტყვით, არტილერიის ცეცხლში უფრო მშვიდად მძინავს, ვიდრე მანდ მეძინა. ყოჩაღად იყავი! გკოცნი უზომოდ! სალამი მეგობრებს! სიკვდილამდის და მის შემდეგაც შენი სანდრო".

... წერილები მეტი აღარ არის. თუმცა სადღა იქნება. მტერმა ფრონტის ხაზი შორს გადაჭრა და სანდროს ნაწილი ტყვეობაში მოექცა. მერე რაც მოხდა, ჯოჯოხეთია მოსაგონებლად...

კითხვაში გართულ, იატაკზე მჯდომარე, თავჩაქინდრულ სანდროს ბეჭები ეტკინა. ადგა. მუხლის გასაშლელად ლოგინზე წამოწვა და თვალები ჭერს მიაშტერა.

დიდხანს იყო ასე, მერე ჩასთვლიმა, ათიოდე წუთიც არ გასულა და რაღაც ხმაურმა გამოაღვიძა. სწრაფად წამოდგა. აივანზე გაიხედა, არავინ იყო. მოწყურდა, პალატში ჩავიდა, თუნგიდან ცივი წყალი გადმოასხა და გული გაიგრილა. პალატის მორთულობას მოავლო თვალი. კარგად მოუწყვია მირიანს. შუა კედელთან დიდი, სამხრიანი ბუხარია, რომელზეც ძველებური ფარი გამოუხატავს ოსტატს. ბუხრის რაფაზე ერთმა ძლიერ ნაცნობმა საგანმა მიიპყრო მისი ყურადღება. სწრაფად ჩამოიღო, იგი წვერგადატეხილი, ოჯახურ ხმარებაში საკმაოდ გაცვეთილი. ძველებური ხმალი იყო, რომელსაც ბაბუა სარიდანი ორღესულას იძახდა. ისევ ბაბუა სარიდანის აჩრდილი წარმოუდგა თვალწინ.

ეს ხმალი სარიდანის საყვარელი იარაღი იყო. კედლის მაღალ თაროზე ინახავდა საგანგებოდ. ამ ხმლის ქარქაში არ ახსოვს სანდროს, მგონი, არც სარიდანს ახსოვდა. მის ვადას მაინც შერჩენოდა ძველებური ლითონჭედილობის ხელოვნება. ახლა რა საცოდავად გამოიყურება. წვერიდან მომცრო ხანჯლის ოდენა გადატყდომია კიდეც.

სანდროს კიდეც გაეხარდა და კიდეც ეწყინა ამ ხმლის, უფრო სწორად, ნახმლევის ნახვა. გარეთ გამოიტანა, სინათლეზე. მწარე ღიმილით დააცქერდა ყოველმხრივ ძალაგამოლეულ მამაპაპურ იარაღს.

კარგად ახსოვს ბაბუა სარიდანის ნაამბობი: ეს ხმალი სოლომონ მეფეს უჩუქებია ერთი ახოვანი და შეუდრეკელი მებრძოლის — ბიჭიე დარბაიძისათვის. მტერთან ბრძოლაში ისე გალომდებოდა თურმე ბიჭია, ახლო მიკარებასაც ვერავინ ბედავდა. მეფეს ამიტომ უყვარდა ბიჭია და ჭირსა თუ ლხინში სულ გვერდით ჰყავდა. ყმა იყო მისი, მაგრამ ერთგულ მეგობრადაც თვლიდა. უჩუქებია და უთქვამს მეფეს: ეს ხმალი შენი ვაჟკაცობის ჯილდო იყოს, სამშობლოსათვის დაღვრილი სისხლის სამაგიეროდ. მჯერა, შენ ღირსეული პატრონი ეყოლები და მტრის სისხლით არ მოაშიებო. შენს შემდეგ კი შთამომავლობას გადაეცი იგიო. ბიჭია დარბაიძეს, მუხლზე დაჩოქილს, მეფისათვის ჩოხის კალთაზე უკოცნია და უნეტარესი ჯილდო დიდი მადლობითა და დარბაისლური მოკრძალებით ჩამოურთმევია. ბიჭიას მართლაც არ შეურცხვენია ეს ხმალი და არც თავისი ვაჟკაცობა. ბოლოს სოლომონ მეფის სიტყვებითვე გადაუცია იგი შვილისათვის.

ბიჭია დარბაიძე სარიდანის პაპის პაპა უნდა ყოფილიყო. მეთვრამეტე საუკუნის ქართველი გლეხი, იმერეთის მეფის სოლომონ მეორის ჯარისკაცი და საქართველოს თავისუფლებისათვის დაუღალავი მებრძოლი. მისი შვილი, რომელსაც ეს ხმალი მამისაგან ჰქონია გადმოცემული, იყო ის ჯარისკაცი, ვინც პირველად, იმავე საუკუნის ბოლოს, დასახლდა აქ, გენათლის გორის სამხრეთ კალთაზე ატეხილ მუხნარში.

ბაბუა სარიდანი ყოველ გაზაფხულზე ჩამოიღებდა ამ მამაპაპეულ ხმალს, გულიანად გაწმენდდა და გაპოხავდა. ერთხელ სანდროც კი დაესწრო მოხუცის ამ საქმიანობას და ინტერესით შეეკითხა:

— ბაბუა, რატომ აქვს ამ ხმალს ორი პირი? ხმალი ხომ სხვანაირია, მოხრილი და ცალ გვერდზე ალესილი? ეს კი დიდ ხანჯალს უფრო ჰგავს, ვიდრე ხმალს!

— ეს, შვილო, ძველი ხმალია, ძველ საუკუნეებში გამოჭედილი. ორი პირი იმიტომ აქვს, რომ საქართველოს ძველად ყოველ მხრიდან ესეოდა მტერი, აღმოსავლეთიდანაც და დასავლეთიდანაც, სამხრეთიდანაც და ჩრდილოეთიდანაც; საითაც კი შებრუნდებოდა ქართველი კაცი, მარჯვნივ თუ მარცხნივ, ორივე მხრით უნდა ეკაფა მომხვდური, რათა გამკლავებოდა მოზღვავებულ ურდოებს. დღევანდელ ხმალს ასეთი მოვალეობა არ აკისრია. ახლა თოფი და ზარბაზანი არსებობს და ომიც სხვანაირია. ხმალს წელის დასამშვენებლად ატარებენ უფრო.

— აბა, რაღ ინახავ, ბაბუა, ასე მოწიწებით, თუ აღარ არის გამოსადეგი?

— გამოსადეგი როგორ არ არის, შვილო! მართალია, ის აწი ბრძოლაში აღარ გამოდგება, მაგრამ იმად ხომ გამოდგება, რომ წინაპართა ბრძოლები მოგვაგონოს, გაგვახსენოს მათი გმი-

რობა, წარსულზე დაგვაფიქროს, დაგვაფიქროს იმაზე, თუ რაოდენი სისხლი დაუღვრია ჩვენს ხალხს ამ მიწაწყლის გადარჩენისათვის. მამა-პაპის ნაქონია, საჭმელს არა მთხოვს და სასმელს: ამის შენახვა ერთგვარი პატივისცემაა წინაპრებისადმი! — სარიდანმა ორლესული ხმალი ისევ შალის ნაჭერში შეახვია და დამრიგებლურად უთხრა შვილიშვილს:

— ამ ხმალს, შვილო, კაცი უნდა გავდეს ახლა, ორლესულივით მტრისთვისაც უნდა ვარგოდეს და მოყვრისთვისაც, ჭირშიაც არ გატყდეს და ლხინიც დაიმშვენოს, მიწაც იცოდეს და წიგნიც, წინაპარიც უყვარდეს და მომავალიც!

ნამდვილი ბრძნული სიტყვები თქვა მაშინ ბაბუა სარიდანმა. ამდენი რა იცოდა სოფლის უბრალო, მიწისმუშა კაცმა?! სანდრო მაშინ არც კი მიმხვდარა ამ სიტყვების აზრს, დაამახსოვრდა მხოლოდ. ახლა კი ღრმად ჩაწვდა იგი გლეხკაცის ბრძნულ ნათქვამს, სწორედ რომ გლეხკაცებშია ნამდვილი სიბრძნე და ცხოვრების პოეზია. „კაცი მტრისთვისაც უნდა ვარგოდეს და მოყვრისთვისაც, ჭირშიაც არ გატყდეს და ლხინიც დაიმშვენოს, მიწაც იცოდეს და წიგნიც, წინაპარიც უყვარდეს და მომავალიც!..“ სიბრძნეა, აბა ,რა არის?! რა კარგი აზრები ამოაცურა ამ დალეულმა ხმალმა! აი, თურმე რატომ ინახავდა სარიდანი მამაპაპეულ იარაღს, რომელმაც ახლაც კი აგრძნობინა მის შვილიშვილს თავისი ძველი ფესვები, მშობლიური სოფლის ნიადაგში ჩარჩენილი.

## საჯნის ქაფის თეორია

მირიანმა უზომოდ გაიხარა საყვარელი ბიძაშვილის ჩამოსვლით. რამდენი იხალისეს, რაზე არ ისაუბრეს, რა ცისა და ბარის ამბები არ მოუთხრეს ერთმანეთს. ერთხელ გულნაზის მამის ოჯახშიც წავიდნენ პატარა ბიჭის სანახავად და საღამოს საკმაოდ გადაკრულნი დაბრუნდნენ. ამ წვრილმანების გამოდევნება, ვფიქრობ, ახლა საჭირო არ არის. უმჯობესია იქიდან დავიწყოთ, როცა ერთ მზიანსა და მცხუნვარე დღეს, სანდრო და მირიანი ეზოში, ჩრდილქვეშ, ისხდნენ მდელოზე და ტკბილად ბაასობდნენ.

ისინი ხომ ცხოვრების მთის სხვადასხვა კალთაზე დგანან. ერთი მეცნიერია, ქალაქის მღელვარე სიცოცხლის ტალღებში შერთული, მეორე — პრაქტიკოსი, სოფლის სიმშვიდით გარემოცული. ორივე ლიტერატორი და განათლებული. მათი ბაასი სახუმარო შესიტყვებიდან ზოგჯერ სერიოზულ საკითხებსაც შეეხებოდა. მერე მშობლიური სოფლის შესახებაც იდავეს და ამ დავაში ტოლს არ უგდებდნენ ერთმანეთს.

— გული მწყდება, რომ ჩვენი სოფელი ჯერ კიდევ ჩამორჩენილია. — უთხრა სანდრომ. — სად არ ვყოფილვარ, საქართველოს რომელ კუთხეში არ მივლია, მთის სოფლებიც ბევრი მინახავს და ყველგან ახალი ცხოვრების მაჯისცემა იგრძნობა. ზოგიერთი სოფელი ისეა კეთილმოწყობილი, ვეღარც კი განასხვავებ ქალაქისაგან. აქ რა ღმერთი გაგიწყრათ? ჩემი უბანი სულ გამქრალა!

— უინიციატივო ხალხია ჩვენთან, მწირი მიწები გვაქვს, საერთო გეგმის შესრულებაში ვერ გამოიჩინეს თავი და, ხომ იცი, ახლა მხოლოდ გეგმის შესრულებაა მთავარი. არც ვინმე გამოჩნდა საერთო საქმის გულშემატკივარი.

— თავად რას აკეთებ? სკოლის დირექტორი, განათლებული კაცი, ახალი ცხოვრების შემოქმედი!

— რა უნდა გავაკეთო, ჩემო ძმაო, მე სკოლაშიც ბევრი საქმე მაქვს. მერედა, ჩვენი ხალხის დარწმუნება განა ასე ადვილია? ისე აქვთ გული გატეხილი, აღარავის უსმენენ!

— კოლმეურნეობა რას აკეთებს, მისი გამგეობა, ან თავმჯდომარე?

— რა შეუძლია მიფშუკულ კოლმეურნეობას! თუ რაიმე მოსავალი მოვიდა, ნახევარს მოანგარიშე და საწყობის გამგე აართქლეპენ. დანარჩენი ამდენ ხალხს რას ეყოფა? ხომ იცი, გლეხებისათვის მთავარია საქმე და არა ცარიელი სიტყვა.

— ეჰ, საწყენია, რომ ერთი თვალსაჩინო კაცი არ ჰყავს ამ კუთხეს, არც ომისა და არც შრომის გმირი გამხდარა აქაური ვინმე, ერთი დეპუტატიც არავინაა ჩვენებური. რა ღვთის წყრომაა. ამხელა თემმა ერთი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე როგორ ვერ გაზარდა?! გაზეთში რომ დაჯილდოებულთა სიებს ვნახავ, ვეძებ გვარებს ჩვენი კუთხიდან და, როცა არავინ აღმოჩნდება, იცი, რაც გინდა, ის მიწოდე, და ძალიან გული მწყდება!

— სრულიად ბუნებრივი გრძნობაა. ყოველი კაცისათვის სამშობლო თავისი სოფლიდან იწყება. მესმის შენი, მაგრამ, მიზეზი ვერც მე ამიხსნია.

— სოფელი ფუძეა ქვეყნისა, მისი შემნახველი და გამანოყიერებელი. სოფელში იქმნება და ინახება ერის ტრადიციები. ყველა ქალაქელი პირველად სოფლელი იყო, ბუნების ლაღი წიაღის შვილი. საქართველოსათვის მაინც სოფელია მთავარი. სოფელმა გამოატარა იგი ათასეული წლების ქარტეხილებში. სოფელს უქალაქოდ ცხოვრება შეუძლია, ქალაქი კი ერთ დღესაც ვერ იარსებებს სოფლის გარეშე.

— ამას რას ამბობ? — მოლზე წამოწოლილი მირიანი გულმოცემული წამოჯდა, — აბა, სო-

ფილში რა ცხოვრება შეიძლება ქალაქის გარეშე?

— მე არ ვამბობ, ეს შეიძლებოდეს ჩვენს დროს, მაგრამ ისტორიულად ცნობილია, რომ ქალაქის წარმოქმნამდე სოფელი იყო. სავსებით დამოუკიდებლად ცხოვრობდნენ მთის სოფლები, მართალია, პრიმიტიულად, მაგრამ მაინც ცხოვრობდნენ და ერის ფუძეს ქმნიდნენ. ახლა, რა თქმა უნდა, ქალაქის გარეშე წარმოუდგენელია სოფელი ,მაგრამ ამ ურთიერთობაში სოფელია მთავარი. ქალაქი ქვეყნის თავია; ტვინია, სოფელი კი სხეულია. ქალაქი გულია მფეთქავი, სოფელი — სისხლით სავსე ძარღვებია, ხორცია ქვეყნის სხეულისა.

— მე მაინც ქალაქის პატრიოტი ვარ, სულ სხვაა იქაური კულტურა, ტექნიკა; აქ ზილე ტალახი, უყურე ამ დაყუდებულ მთებს და იყავი ბნელში!—მირიანმა ხმას დაუწია. თითქოს სინანული გამოთქვა თავისთავისადმი.

— ტექნიკა და კულტურა სოფლადაც უნდა შეიქმნას, ცხოვრების შუქი აქაც უნდა ანათებდეს. ბევრგან მიღწეულია ეს, აქ კი...

— ცხოვრება ნაწილობრივ აქაც კი გაუმჯობესდა, გლეხებმა კარგი სახლები დაიდგეს. მდიდრული ავეჯი შეიძინეს, შვილებს ასწავლეს, წარმოიდგინე, ზოგიერთი გლეხი ქალაქის მუშაზე ნაკლებად არ ცხოვრობს.

— ეს ყველაფერი კერძომესაკუთრულია. აბა, მითხარი, საზოგადოებრივი რა შექმენით? სკოლა დაძველებულია, კლუბი არა გაქვთ, ელექტროსინათლე, სად არ გინდა, არ იყოს, აქ კი ნავთი ვერ მოგიტანიათ თავის დროზე, გზები პირველყოფილ მდგომარეობაშია. ეს არის თქვენი ცხოვრების გაუმჯობესება?!

მირიანი დუმს...

—კოლმეურნეობას თუ აქვს ხეხილის ბაღი ან ვაზის მეურნეობა? ჩვენში ხომ ცუდი ღვინო არ მოდის?!

— სიმინდის მეტი არაფერი მოჰყავთ; ქათმებისა და ღორების ფერმაც მოაწყვეს, მაგრამ არც იქიდან გამოვიდა ხეირი. რა გულით უნდა იმუშაოს კაცმა, როცა ხედავს, რომ ქარს მიაქვს მისი ნაოფლი.

— შე კაცო, ქარს ნუ გაატანთ, იყვირეთ, გამოამჟღავნეთ მუქთამჭამლები, ზარმაცები გაკიცხეთ!

— ოცდაათი წელია ხალხი მაგას ყვირის, ამხელს, მაგრამ ერთ ოხერს მეორე ოხერი ცვლის. მართალია, მთავრობა სასტიკად სჯის საკოლმეურნეო ქონების გამნიავებლებს; რამდენიმე ჩვენგანაც კი ჩააყუდეს, მაგრამ რა? განიავებული დოვლათის ნაცვლად კოლმეურნეს დამნაშავის დასჯა ეყოფა? მოსავალი ნიავდება, დამნაშავე ისჯება, კოლმეურნე კი ცარიელი რჩება!

— ბრძოლა უნდა, ჩემო ძმაო, ბრძოლა, ცხოვრება ბრძოლის გარეშე რაა? ადამიანის სიცოცხლის ნამდვილი აზრი ჭეშმარიტებისათვის ბრძოლაა მხოლოდ!

— თუ მთელი შენი სიცოცხლე ბრძოლას მოანდომე, რაღა გამოვიდა. მარტო ბრძოლა ხომ არ უნდა იყოს ბრძოლის მიზანი?

მოკამათეებს ანანოს ძახილი შემოესმათ — მოდით, სადილი მზად არისო.

საქვეყნო საკითხებზე მოსაუბრენი წამოდგნენ, ნელი ნაბიჯით გაემართნენ სახლისაკენ. მირიანმა პალატიდან ღვინის დოქი გამოიტანა და საჭურე ხეივნისაკენ გაჰყვნენ ბილიკს.

ტოტებგადალასტულ ხეივანში საამო სიგრილე იდგა. მიწადაყრილი ჭურები ჩაბალახდახურულ კაცის თავებს მოგაგონებდათ. მირიანმა თოხით გადმოარღვია ჭურის თავზე დაყრილი მიწა. მერე თიხამიწა შემოჭრა ხის ბარით, სარქველი ორგო ერთიანად ახადა. ღია ჭურს ნაპირები შემოწმინდა, მიწის პატარა ბოლქვები ამოყარა და ჭურის პირზე დაფარებული ბლის ტყავის ოფიჩო ასწია. ჭურში ხის ტოტებზე დაბჯენილმა ცამ ჩაიხედა. სინათლეზე ღვინო ალივლივდა. ვაზის ღვთიური წვენი მშვიდად და თავმომწონედ იდგა. მირიანმა ჭურში ორშიმო ჩააპარა, ღვინის პატარა ტალღები შრიალით ჩაჩქაფუნდა ორშიმოში. პირველად სანდროს მიაწოდა ღვინით სავსე ორშიმო.

— გასინჯე, როგორ მოგეწონება, სარდაფებში ნაყიდ ღვინოს თუ შეედრება!

სანდრომ ჩამოართვა უჩვეულო სასმისი, დღეგრძელობა უსურვა მირიანს, მის ოჯახს, ამ იდილიურ ჭურ-მარანს და ორშიმოს გამოკოპებულ პირს ბაგეები ფრთხილად შეახო: ღვინო ოდნავ შუშხუნებდა და წინწკლებს ისროდა, შარბათივით ჩაენარა ყელში, გულს საამოდ გადაევლო და გამოუთქმელი ქრუანტელი მოჰგვარა. დაუცლელი ორშიმო ისევ მირიანს მიაწოდა.

— როგორ სუფრებზე არ ვყოფილვარ, რანაირ ბანკეტებს არ დავსწრებივარ, შესანიშნავი ღვინის ქარხნები და სარდაფები მინახავს, მაგრამ ამნაირ საამო ღვინოს ვერსად დალევ. ბახუსი, ალბათ, ასეთ გრილ ხეივანში ცხოვრობდა ქვევრებთან და იმიტომაც გაღმერთდა!

— მხოლოდ ეს მაძლებინებს აქ, თორემ მეც გამოვიქცეოდი ქალაქში! — თქვა მირიანმა. — ზოგჯერ დაღლილ-დაქანცული რომ მოვალ, ამ ხეივანში ჩამოვჯდები ხოლმე და ნამდვილ შვებას ვგრძნობ, ბედნიერი მეჩვენება ჩემი თავი.

— უჭკუოა ადამიანი, ბედნიერებას ყოველთვის სხვაგან ეძებს, მაგრამ ბედნიერება გარეთ კი არ არის, იგი თვით ადამიანშია, მის შინაგან, სულიერ სამყაროში, საკუთარ განცდებსა და ფიქრებში. ბედნიერება თავისთავში უნდა ჰპოვოს კაცმა. ზოგჯერ ბედნიერია ადამიანი და ვერ მიმხვდარა, მაინც სხვას შენატრის, ხოლო იგი სხვა სხვისი ბედნიერებისაკენ იცქირება. თუ

ამას დასძლევ, კაცი ნამდვილად იგრძნობ ბედნიერებას!

სანდრო და მირიანი სავსე დოქითა და ტკბილი ბაასით წამოვიდნენ სახლისაკენ. ანანოს სუფრა გაეშალა. ოჯახის დედა კმაყოფილი იყო, რომ სიცოცხლით სავსე ვაჟკაცები, ძმებივით მოსიყვარულენი, შვილი და ძმისშვილი გვერდით ჰყავდა. თვალგაბრწყინებული და ღიმილმორეული შესცქეროდა მათ.

ცოტა რომ შენაყრდნენ, მირიანი ისევ კამათის გუნებაზე მოვიდა.

— მაინც ვერ გამიგია, ბოლოს და ბოლოს ვინ არის ამ ქვეყნად ყველაზე ბედნიერი!

— ბედნიერი ცოლ-შვილის პატრონი კაცია! — ჩაერია ანანო.

— მოიცა, დედაჩემო, ჩვენ უფრო მაღალ სართულებზე ავდივართ, ნუ გვიშლი!

— თქვენ ჩემი სიტყვა არაფრად მიგაჩნიათ, მაგრამ ეს მარტო ჩემი კი არა, ხალხის აზრია! უოჯახო კაცი არ შეიძლება ბედნიერი იყოს!

— ოჯახის მაგიერ თუ ხალხს ემსახურები, ხომ იგივე ბედნიერებაა? — თქვა სანდრომ.

— ჯერ თავისთავისთვის უნდა ვარგოდე და მერე შეიძლება სხვაზე იფიქრო! — არ ცხრებოდა ანანო.

— მე რომ მკითხოს კაცმა, — პათოსით წარმოთქვა შეჭიკჭიკებულმა მირიანმა, — ოჯახი ქართველი კაცისთვის ნამდვილი პასპორტია, უცოლშვილო კაცი უპასპორტო მგზავრივითაა, ყველგან ალმაცერად უცქერიან. ადამიანისათვის დიდი ღირსებაა ოჯახი. ოჯახი თუ გაქვს, ნამდვილი კაცი ხარ, ძალა გაქვს!

მირიანის სიტყვებმა სანდროს დაკარგული ოცნებები მოაგონა. შეეცადა სხვა რამეზე გადაეტანა საუბარი და მოულოდნელად ჰკითხა მირიანს:

— რა მიგაჩნია უპირველესად, სიმდიდრე, ძალა თუ ღირსება?

— სიმდიდრე! მისით შეიძლება მოიპოვო ძალაცა და ღირსებაც!

— ძალაც და სიმდიდრეც ორივე წარმავალია. დღევანდელი მდიდარი შეიძლება ხვალ ლუკმას ნატრობდეს. მართალია, ძალა სიმდიდრეს ჰქმნის და, პირიქითაც, სიმდიდრემაც შეიძლება შექმნას ძალა, მაგრამ ვერც ერთი ვერ შექმნის ღირსებას. ღირსება თვით არის სიმდიდრეც და ძალაც.

მირიანმა სასმისები ახლად შეავსო.

— მოდი, ახლა ჩვენი საყვარელი სამშობლო ვადღეგრძელოთ! მართალია, ორნი ვსვამთ და ერთი მაყურებელი გვყავს, მაგრამ ქართველი კაცი ჩუმადაც რომ სვამდეს სამშობლოს სადღეგრძელოს, ისიც საჭიროა.

— ეგ ნამდვილად პატრიოტული სიტყვაა, თუმცა მე არ ვემხრობი ყველაფერ ქართულს. სამშობლოს ცნებაში კარგი და ცუდი უნდა განვასხვაოთ ერთმანეთისაგან.

— მე ჩემი ქვეყნის ჭირი მირჩევნია მაინც სხვის ლხინს!

— დაალევინე, ბიჭო, ერთი ჭიქა ღვინო ამ ბალანას, სულ რომ ლაპარაკად გადაიქეცი! — შეუტია შვილს ანანომ.

— გვაცალე, დედაჩემო! ვერ ხედავ, ფილოსოფიაში შევიჭერით? ვინ დაგვიჯერებს, თორემ...

— ნამდვილი კაცი მაშინ ხარ, როცა ავკარგიანობის მიხედვით გაზომავ ყოველივეს და არა შენიან-ჩემიანობით!

— ყველაფერი ხომ არ უნდა ავრიოთ ერთმანეთში, შენი და სხვისი ხომ უნდა იცნო! — არ ეშვება მირიანი ბიძაშვილს.

— შენი და სხვისი უეჭველად უნდა იცნო, მაგრამ შენი და სხვისი კარგი ერთნაირად უნდა გიყვარდეს და პატივს სცემდე, ხოლო შენი და სხვისი ცუდი ერთგვარად უნდა გძულდეს.

— ნამდვილი ბელინსკი ხარ! — ჩაიქირქილა მირიანმა, — ნება რომ მოგცენ, კრიტიკას ახალ საფეხურზე აიყვანდი.

— მერე შენ გაუძლებდი ჩემს კრიტიკას? — სიცილითვე უპასუხა სანდრომ.

— სწორ კრიტიკას ყველა გაუძლებს! კრიტიკა ცხოვრების აუცილებლობაა. რაც უნდა სუფთა იყოს ადამიანის სხეული, ცხოვრების პროცესში მაინც ჭუჭყიანდება, დროდადრო დაბანა უნდა, საპნის ქაფში გავლება. საპნის ქაფი, მართალია, თვალებს წვავს, მაგრამ სამაგიეროდ ჭუჭყს აშორებს სხეულს. საზოგადოებრივ სხეულსაც სჭირდება საპნის ქაფი, რომ გაჯანსაღდეს.

— ეს ჩვენს ძალას აღემატება!

— ჩვენს ძალას კი აღემატება, მაგრამ ჩვენს სურვილს არ აქვს მნიშვნელობა?! — მირიანი თავისას არ იშლის.

სადილი დამთავრდა, ბახუსმა ცოტათი შეახალისა ვაჟკაცები. ჰაერზე გამოსვლა ამჯობინეს. ანანო სუფრის ალაგებას შეუდგა, მირიანი პალატში ჩავიდა, სანდრო პარმაღზე სვეტს მიეყრდნო. მირიანის სიტყვებმა კრიტიკის შესახებ „ჩვენს სურვილზე" შორეული ამბავი — ძველი ნაცნობი, ვეება დირექტორის სიტყვები გაახსენა: „ცხენი იქ დააბი, სადაც უფროსმა გითხრასო", მაგრამ გულში ახლაც მაშინდელი პასუხი გაიმეორა:

„მე მეჯინიბე არ გახლავარ!..."

რამდენ ასეთ ვეება დირექტორს შეხვედრია შემდეგაც სანდრო დარბაიძე.

## მოჭრილი ცაცხვის ჩრდილქვეშ

ერთ მშვენიერსა და საამურ კვირა დღეს, მზე რომ შავი ზღვისაკენ გადაიხარა, სანდრომ და მირიანმა სოფლის მინდვრისაკენ გაისეირნეს, სადაც ცაცხვის ჩრდილში, უფრო სწორად,

ნაცაცხვართან, კვირა-უქმე დღეებში ახლომახლო მცხოვრებლები იკრიბებიან.

მზე ახლაც აბრეშუმივით ეფინა არემარეს. ბაღ-ვენახებს ოქრო შეპარვოდათ ფოთლებში. შემოდგომის განაბული დღე თავისთავად იწვევდა ადამიანს გარეთ.

ვიდრე ნაცაცხვართან მივიდოდნენ, მეგობრებმა ბევრი ისაუბრეს, რამდენი რამ გაიხსენეს. მირიანის სახლიდან ნაცაცხვარამდე ერთი კილომეტრიც არ იქნებოდა და თითქმის ერთ საათზე მეტი მოანდომეს მის გავლას. ზოგჯერ შეჩერდებოდნენ და სოფლის რომელიმე კუთხეს, თუ მთის კალთას დააკვირდებოდნენ. სანდრო შეუმჩნევლად გააპარებდა თვალს ხევგაღმა, ფერდობზე მდგარ ერთი სახლისაკენ. მერე უცებ სხვაგან გადაიტანდა მზერას. უსაზღვრო სიამოვნებას ჰგვრიდა იმ სახლის ეს წუთიერი მოპარული ცქერა. უსაზღვრო სიამოვნებას კი არა, მგონია, სინანულს უფრო ჰგვრიდა, გულის ჩამწყვეტი გრძნობა ეუფლებოდა. სანდრო ისევ განაგრძობდა საუბარს. თუმცა ფიქრი ოხერია. თუ აგეკვიატა, ფუტკარივით დაგბზუის, რაც უფრო ეცდები მის მოშორებას, მით უფრო აგედევნება. ახლაც სადღაც, გულის შიგნით, დაიბზუილა უჩინარმა ფუტკარმა

„ჰკითხე მირიანს, როგორ ცხოვრობს იმ სახლის ერთადერთი ქალიშვილი ელვარა? ხომ მისი სკოლის მასწავლებელია, გაიგე, რატომ არ გათხოვდა, ან ვინა ჰყავს ოჯახში? მამა ხომ დაუღუპეს, ძმა სამამულო ომში დაეკარგა. მარტო მოხუცი დედაა, ალბათ, ახლა მისთვის ყველაფერი. მერე რაა, მიყუჩებულ გრძნობებს რომ მიგიხვდეს? უფრო ახლობელი ვინა გყავს? უახლოესი ნათესავი, ერთგული მეგობარი, ჭკვიანი და განათლებული კაცია მირიანი, განა ვერ გაგიწევს ავთანდილობას?!“

„არა, რა დროს ეგ არის!“... — ჩუმადვე გაეხმაურა პირველ ფუტკარს მეორე. სანდროს მეორე ფუტკარი უფრო მოეწონა და ჩვეულებრივი ბაასი განაგრძო...

საუბარსა და ნელი-ნელ სიარულს თავისი დასასრული მოჰყვა. მიუახლოვდნენ იმ მინდორს, სადაც წინათ ასწლოვანი ცაცხვი იდგა და გვირგვინივით ამშვენებდა მთელ სოფელს. ახლა იქაურობის ხილვამ მართლაც დაალონა სანდრო. ერთმა თანასოფლელმა ადრევეც უთხრა თბილისში, ჩვენი ცაცხვი მოჭრესო, მაგრამ არ სჯეროდა. ახლა კი მის თვალში თითქოს რაღაც დიდი აკლდა სოფელს. თავწაჭრილ კამეჩივით გდია ეს მოტიტვლებული ფერდობი. სანდროს მოაგონდა იმ ცაცხვის ქვეშ გატარებული უდარდელი და მხიარული დღეები, როცა კვირაუქმეობით აქ მთელი სოფელი იყრიდა თავს. მართავდნენ ჯარიანობას, ღამისთევებს, მთვარიან ღამეებში თავს იქცევდნენ საუბრებით, მხიარულად ისვენებდნენ. ეს იყო ახალგაზრდობის აზრის დასაჩიტავი, ქალ-ვაჟთა გაცნობისა და შეყვარებულთა შეხვედრის ადგილი, მოხუცთა და ჭარმაგთა გამოცდილების მთხრობელი, მშრომელი გლეხკაცობის შემაკავშირებელი. ერთი სიტყვით, ის იყო სოფლის ხალხის სასაპარეზო. გაზაფხულის დღესასწაულებზე აქ ლელობურთის თამაშიც იცოდნენ. რამდენი თაობა დაზრდილა და დავაჟკაცებულა იმ ცაცხვის ქვეშ, რამდენ ადამიანს გაუგრილებია გული მისი სურნელოვანი ტოტების საამო ჩრდილში, რამდენ ჭაბუკს უოცნებია მასთან, ზოგჯერ მარტო, ზოგჯერ მეგობართან ერთად, ნათელ მომავალზე. მისი ტოტები თითქოს ზღაპრულ ქოლგასავით იმედად ეხურა მთელ სოფელს; აქაურისათვის ამ ცაცხვიდან იწყებოდა ქვეყანა.

— არა გრცხვენიათ, ბიჭო, როგორ მოჭერით ის შესანიშნავი ცაცხვი? უიმისოდ რას გავს ეს მინდორი, გადატყაული ცხენის ზურგივით რომ გდია! რა სიამოვნებაა ახლა იქ ჯდომა და საუბარი?!

— მე ვინ მკითხა, ჩემო ძმაო, იმ დროს აქ არ ვიყავი, ჩამოვედი, და ასე დამხვდა. თურმე კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მოაჭრევინა, შეშად უხმარიათ. რად მოჭერით-მეთქი რომ ვკითხე, ხმებოდაო, მიპასუხა. შემდეგ რაღა უნდა მექნა, მკვდარს ხომ ვერ გავაცოცხლებდი?!

— თუ მართლა ხმებოდა, იოლად შეიძლებოდა მისი გადარჩენა: ფესვების შემოღობვა და ორიოდე ურემი სილა. ეს შეეზარათ? ისე კაცმა რომ თქვას, ცაცხვის შეშა შესანიშნავია, იმ ზამთარს ერთობ თბილად იქნებოდა თქვენი თავმჯდომარე!

— ჩვენი თავმჯდომარე მაგის გარეშეც თბილადაა, კოლმეურნეები არიან ცოტა ცივად, თორემ!.. .თუმცა რა, ცხოვრება მაინც დანიშნული გზით მიდის! — მირიანმა ცეცხლს ნავთი გადაასხა...

ამასობაში მივიდნენ კიდეც ნაცაცხვართან. რამდენიმე ახალგაზრდა და ორიოდე მოხუცი მოსულიყვნენ. ჭაბუკები ხმამაღლა კამათობდნენ, ბექობზე ჩამომჯდარი ხანდაზმულები დაბალი ხმით ბაასობდნენ. მირიანი და სანდრო თავაზიანად მიესალმნენ მოხუცებს. სანდრო პირველად ვერ იცნეს, მაგრამ როცა მირიანმა უთხრა, რომ ჩვენი სანდროაო, მაშინვე ფეხზე წამოდგნენ და დიდი ხნის უნახავ თანასოფლელს პატივისცემით მიეგებნენ.

— რავა დაგვეკარგე, სანდრო ბატონო! — უთხრა ერთმა მოხუცთაგანმა.

— რა ვქნა, ბიძაჩემო, ცხოვრების ტვირთმა შემბორკა და, სამწუხაროდ, ველარ მოვიცალე აქეთ ჩამოსასვლელად.

— რაღა თქმა უნდა, ქალაქში ჯობს. იქ მეტი სიკეთეა, მაგრამ მშობლიური კუთხე მაინც უნდა გაიხსენო ხანდახან, — განაგრძო მოხუცმა.

— არც იმდენად ჯობს, შრომა და ჯაფა იქაც ბევრია საჭირო.

— მე როგორც ვიცი, — ახლა მეორე მოხუცი ჩამოერია საუბარში, — ქალაქში ისეთებიც ბევრია, იოლი შრომით რომ ცხოვრობენ და ძალიან კარგადაც!

— ჰო, შენ ძველი ქალაქელი ხარ, ყარამან, იქაურ ამბებში კარგად ერკვევი, აბა დაურტყი შენებურად! — ჩაიხითხითა მესამე გლეხმა.

— რატომაც არ ვარ ქალაქელი, — ყარამანმა შეიფერა მეგობრის ხუმრობა, — თუმცა მაგას რა ქალაქელობა უნდა! აგერ ახლა ვიყავი, ბატონო, თბილისში, ცოლი მყავდა საექიმოდ პროფესორთან. ტროლეიბუსში უცებ ვიღაცამ მომქაჩა, თქვენი ბილეთიო, მკითხა. მივაწოდე ბილეთი, გახია და უსიამოდ დამიბრუნა. მგონი, ეწყინა კიდეც, ბილეთი რომ მქონდა. სხვებსაც მოსთხოვა. ბოლოს ბილეთის გამყიდველს რაღაც ჩაუჩურჩულა და სწრაფად ჩავიდა. აღარ იკითხავ, რავალი კაძახი იყო? ა, ამხელა ბეჭები ჰქონდა, — ყარამანმა ხელები გაშალა, — ჰექტარ ყანას გათოხნიდა დღეში. ახლა მითხარი შენ, იგი პატიოსანი კაცი იქნებოდა?!

— უყურე შენ, ყარამან ძველს! — ისევ არ იშლიდა ქილიკობას მესამე გლეხი. — არა, თუ კაცი ხარ, მართალი თქვი, იმ კაცის ნაცვლად რომ ლამაზ გოგოს დაედვა მხარზე ხელი და ბილეთი მოეთხოვა, ხომ ძალიან გაგიხარდებოდა?

— ჰო, თქვენ იცინეთ, რას კარგავთ, ბიძია! იქ ვაჟკაცებმა ბილეთები ხიონ და, მე და შენ რომ აღარ შეგვიძლია ყანის თოხნა, ვერ გაიგე?! — დაასკვნა ყარამანმა.

სანდროს ენიშნა გლეხების ეს სამართლიანი კრიტიკა, მასაც საუბარში ჩარევა უნდოდა. მაგრამ ამ დროს სხვა გლეხები შემოემატნენ და მისალმება-ხელისჩამორთმევაზე გადავიდა ყურადღება.

— ოჰ, შენც აქ ხარ, ყარამან? აკი წავიდაო? — სხვების გასაგონად შეეკითხა ახალმოსული ბეკიჩა ყარამანს.

— რაო, სად წავიდაო, რას ამბობენ? — რაღაც ახალი ხუმრობის მოლოდინში შეაგება კითხვა ბეკიჩას ერთმა დამხვდურთაგანმა.

— მთვარეზე გაფრინდაო, ასე მითხრეს, მამა ნუ წამიწყდება! — ამ ხუმრობას გულიანი ხარხარი მოჰყვა.

— მამაშენი დიდი ხანია წაწყმენდილია შენი ბილწი ენის გამო, — ნაწყენის კილოთი უპასუხა ყარამანმა ენამწარე მეზობელს.

მინდორს კიდევ შემოემატნენ გლეხები, რამდენიმე ჭაბუკიც შეუერთდა მობაასეთა ჯგუფს. სანდრომ ვერც ერთი ვერ იცნო. სულ ახალი თაობა წამოზრდილიყო.

ახალმოსულთა შორის ერთმა, საწყალი შესახედაობის გლეხმა მიიქცია ყურადღება. ეს იყო უჩანია ნანაძე, იმ სოფლის ყველაზე ღარიბი, უცოლშვილოდ დაბერებული და ნათესავებამოწყვეტილი კაცი. რაც შეეძლო, მუშაობდა კოლმეურნეობაში, მეზობლებსაც ეხმარებოდა, ვინც რას დაასაქმებდა, კეთილსინდისიერად ასრულებდა ყველაფერს. პატიოსანი და გულმართალი კაცი იყო უჩანია, თანასოფლელებს ეცოდებოდათ და პატივსა სცემდნენ. მაგრამ მასაც ზოგჯერ ხუმრობის საგნად გაიხდიდნენ ხოლმე.

ახლაც, მოვიდა თუ არა, არ დაინდო ბეკიჩას სახუმაროდ აცრილმა ენამ.

— ასე მალე დაბრუნდი, უჩანია?

— სად იყო, ბიჭო? — კითხვას კითხვითვე გამოეხმაურა ერთი ჭაბუკი.

— ჟენევის კონფერენციაზე! — ისევ ბეკიჩამ მოიქნია ენის წკეპლა. — არა, თუ ძმა ხარ, რას ამბობენ ამერიკელები, კაპიტალიზმი სჯობია სოციალიზმსო?!

— არ ვიცი, ლემენცურად ლაპარაკობდნენ და ვერ მივხვდი. — სერიოზულად უპასუხა უჩანიამ და იქვე, მიწაზე ფეხმორთხმით დაჯდა.

— მერე პერევოჩიკებს ვერ ჰკითხე? — არ ეშვებოდა ბეკიჩა.

— შენ რომ მყოლოდი, კარგად გადამითარგმნიდი და სხვებს ვეღარ ვენდე! — ხალხის სიცილმა უჩანიასადმი თანაგრძნობა გამოხატა.

— უყურე შენ, რა ჭკვიანურად უპასუხა?! ყოჩაღ, უჩანია! — შეაქო ვიღაცამ.

— მე რა, ღარიბი რომ ვარ, განა ჭკუა არა მაქვს? — გამარჯვებულის სახე მიიღო უჩანიამ.

— თუ ჭკვიანი ხარ, რატომ ხარ ღარიბი?! — ახლა სხვა გლეხი ჩამოერია ლაპარაკში.

—შენც ამბობ რა! — მიუგო უჩანიამ, — სიმდიდრე განა ჭკუაზეა დამოკიდებული? მასე რომ იყოს, აი ჩვენი გოჯასპირ კეთილაძე კაპიტალისტი იქნებოდა! — ხელი ახალმოსული გოჯასპირისაკენ გაიშვირა.

უჩანიას პასუხი ყველას მოეწონა და მხიარულ სიცილში ყურადღება გოჯასპირზე გადაიტანეს. ისიც დარბაისლურად მიესალმა იქ მყოფთ, განსაკუთრებით კი სანდროს, რომელიც მაშინვე ფეხზე წამოდგა და ხელი ჩამოართვა. გოჯასპირი მირიანსა და სანდროს ახლოს ჩამოჯდა ბეკზე.

— როგორ გიკითხოთ, სანდრო, ხომ არ მოგეწყინა სოფელში?

— პირიქით, ძალიან მონატრულიც ვიყავი აქაურობას. ბევრი რამ გამახსენა და ყრმობის სიხარული დამიბრუნა.

გოჯასპირის მოსვლამ ერთგვარი წესრიგი შეიტანა გლეხების საუბარში. თავი დაანებეს ერთმანეთის გაქილიკებას. გოჯასპირმა მირიანს დედისა და ცოლ-შვილის ამბავი ჰკითხა და ისევ ხალხს მიუბრუნდა.

— შენ რას მოგიწყენია, ბახულა, რა ცალკე დამჯდარხარ! თქვი რამე ამბავი, ძველებური მაინც, თუ ახალი არ იცი! — ხალისიანად შეელაპარაკა გოჯასპირი განაპირებით მჯდომ გლეხს.

— ეჰ, რა ვთქვა, ჩემო გოჯასპირ, — ნაღვლიანად ამოიოხრა ბახულამ, — ჩემი უბედურების თქმით აბა ვინ შევაწუხო!

— რატომ, შე კაცო! თუ რამე გიჭირს, სწორედ ამ შენს მეზობლებს უნდა უთხრა, თუ ვერ დაგეხმარებიან, გირჩევენ მაინც რამეს!

— რა ვქნა, ჩემი საშველი არაა! უდედოდ დამრჩა მცირეწლოვანი ბაღნები, ერთმანეთს ვერ აყენებენ, არავინ მყავს მომხმარე; სამუშაოდ რომ მივდივარ, საღამომდე გული მისკდება, დამწვარი ან დამტვრეული არ დამხვდნენმეთქი; აღარ ვიცი, რა მოვიმოქმედო!

— ბახულას ჭირიმე, ბაღნებს ასწავლე როგორმე და ერთიც არ მოგიცდის სახლში, ყველანი ქალაქში გადაიკარგებიან, მერე შენც მშვიდად იქნები შინ! — ველარ შეიკავა თავი ბეკიჩამ.

— კარგი ახლა, სიტყვას ნუ უტრიზავებ კაცს, განა ყოველთვის ხუმრობაა საჭირო? — შეუწყრა გოჯასპირი ენამწარე ბეკიჩას. თუმცა მასაც კი მოეწონა თანამედროვეობაზე მისადაგებული ეს ხუმრობა, — ნუ გეშინია, ბახულა, გულს ნუ გაიტეხ, სულ ასე ხომ არ იქნება, ცოტა კიდევ და, უფროსი შვილი წამოგესწრება, საშველი ყოველთვის გამოჩნდება, გაუჭირვებლად აბა ვინ ყოფილა ბედნიერი?!

— ნამდვილი ვეფხისტყაოსნის აზრებია... — ჩაუნისკარტა ერთმა ახალგაზრდამ, რომელიც უფროსებთან შეხუმრებას მხოლოდ ზოგჯერ ბედავდა.

— ნამდვილად, ნამდვილად! ტყავი არა აქვს და ვეფხი არ არის, თორემ ისე ნამდვილი ვეფხისტყაოსანია! — დაუმატა ბეკიჩამ.

— ახლა მეც მომდექით არა? სხვა ყველა გაამასხარავეთ, ალბათ, დღეს აქ! — მიუგო გოჯასპირმა სახუმროდ ენააქავებულ ბიჭებს.

— არა, ბიძია გოჯასპირ, ეს ისე ვიხუმრე და გთხოვ, არ გეწყინოს! — მიმართა ახალგაზრდამ.

— მაგას რამე რომ მოაფიქრდება, ნაკვერცხალივით წვავს პირს და მაშინვე გარეთ უნდა გამოისროლოს. — ისევ გაექცა ბეკიჩას სიტყვა.

— არა, ჩემო ბიძია, რამდენიც გინდათ იხუმრეთ, ახალგაზრდობაც ეგ არის! — გოჯასპირმა დაუყვავა ყმაწვილს.

— არა, წელან რა მართალი თქვა უჩანიამ და თქვენ კი ყურიც არ ათხოვეთ? — წამოილაპარაკა ყარამანმა. — სიმდიდრე ჭკუაზე არაა დამოკიდებულიო, თუ როგორ იყო? გაიმეორე, თუ კაცი ხარ!

— ტყუილი ვთქვი თუ? აბა რა ჭკუა ეკითხება ეგუტია არაბიძეს, ასე მალე რომ გამდიდრდა? მის მამა-პაპას ისლიანი სახლიც არ ღირსებია ოდესმე, სულ ლაქაში ეხურა მის ქოხს და ახლა, ვერ უყურებ, რამხელა ოდა წამოჭიმა?! შეძვრა კოლექტივის საწყობში და, ხომ იცი, თუ კაცი იკადრებს, რამდენი მამაძაღლობა შეიძლება გაკეთდეს. ჰოდა, ახლა მითხარი, ჭკუა უნდა გამდიდრებას, თუ სინდისზე ხელის აღება?!

— უყურე შენ უჩანია ძველს, რა კარგად სხლავს დღეს? — მოუწონა ბეკიჩამ.

— იგი კოლმეურნეობის თავმჯდომარის გვარის კაცია და, ხომ გაგიგონია, ხელი ხელს ჰბანს და ორივე პირსო! — დაასაბუთა ვიღაცამ.

— ეჰ, ჩემო კარგო, თუ სინდისზე ხელს აიღებ, მაშინ შეიძლება მალე გამდიდრდე. მაგრამ ნამდვილი კაცი სახლში წაღებაზე კი არ უნდა ფიქრობდეს, არამედ შინ ტკბილად ძილზე! — გოჯასპირმა ერთგვარი შინაარსი მისცა ხუმრობით წამოწყებულ საუბარს.

— ძალიან მიკვირს, კაცებო, რა საჭიროა ამდენი მუქთამჭამელები, — ჩაერია საუბარში აქამდე ჩუმად მყოფი, ხანდაზმული გლეხი იაგორა, — ამდენი კონტროლი და უფროსები გულს გვიცრუებს მხოლოდ. მუშაობაზე მეტ დროს დათვლას ვანდომებთ!

— დათვლაც საჭიროა, იაგორ ჩემო, საჭირო რომ არ იყოს, მთავრობა არ შემოიღებდა, მარა ჩვენ რომ არაფერი გვაქვს ისეთი, ძნელი დასათვლელი იყოს! — ილიმება გოჯასპირი. — ვერ ხედავთ, დაბლამინდორის კოლმეურნეობაში როგორ კარგად აქვთ საქმე? შარშან შრომადღეზე რვა კილოგრამი სიმინდი გაანაწილეს, ფული და ღვინო სხვა იყო, ჩვენ რვაასი გრამიც ძლივს მოგვიწია!

— იმათ, ბატონო, ასფუძიანი მიწები აქვთ რიონისპირად; ჩვენს გამოფშუტურებულ ეწერს ადარებ ახლა დაბლამინდორის ფართობებს? — არ ცხრება იაგორა.

— მიწები კი, კარგი აქვთ, მაგაში მართალი ხარ, მაგრამ ყველა მიწას თავისი თესლი უნდა; ხელს თუ გაანძრევ და კარგი პატრონი იქნება ვინმე, აქაც შეიძლება მეტი მოსავალი მივიღოთ! შე კაცო, საკარმიდამო ეზოებში თუ კარგად ხარობს ყველაფერი, საკოლმეურნეო ფართობებს რა ღმერთი უწყრება?! ამაშიც ჩვენი ეწერი მიწებია დამნაშავე?

— რას ამბობ, გოჯასპირ, არაბიძეებისათვის ვიმუშაო ისე, როგორც ჩემს ეზოში ვმუშაობ? — იაგორას ყარამანი წამოეშველა, — ვერ გავუძელი, ძმაო, ამდენ უსაქმურს, მე მეტი ღონე არა მაქვს და რა ვქნა?!

— ყარამან, ყველაფერს გაფიცებ, ერთი ის მოყევი, საბალახო მთაზე რომ უშობელი გადაგაგდებინეს ხრამში და მთელი ღამე მრავალჟამიერს იმღეროდნენ, რაფერ იყო? მოყევი, თუ კაცი ხარ! — ბეკიჩამ თითქმის ხვეწნით მიმართა ყარამანს.

— ოო, ის მაგარი იყო! მაშინ გავიგე პირველად აქტების ძალა.

— თქვი, თქვი, თუ კაცი ხარ, გამიგონია, მა-

რა კარგად არ მახსოვს! — იაგორამაც დაუმატა თხოვნას.

— როგორ იყო და, — დაიწყო ყარამანმა თითქოს დიდად საინტერესო ამბავი, — ჩვენი კოლმეურნეობის ჯოგს ვახლდი მთაზე იმ ზაფხულს. მშვენიერი ბალახი იყო, ძროხები და ხარები ისე დასუქდნენ, ირმები გეგონებოდათ.

ერთ შაბათ საღამოს კოლმეურნეობის ბუღალტერი ამოვიდა სამი კაცის თანხლებით. ესენი რაიონის ვეტპუნქტიდან არიან, ჯოგი უნდა დაათვალიერონო. სანადირო თოფები და ღვინის ბოთლებით სავსე ზურგჩანთები ჰქონდათ. მე მაშინვე მივხვდი, რის დასათვალიერებლადაც ამობრძანდნენ. ცოტა რომ დაისვენეს, მერე ბუღალტერმა გამიხმო:

— ყარამან, ხომ იცი, ერთ უშობელს ახლა ფეხი უნდა მოტყდეს საჩქაროდ. რატომ — მეთქი, შევეკითხე, აბდალი ყოფილხარო, მითხრა. აბა, რაიონიდან მოსულ სტუმრებს პატივისცემა არ უნდაო?! მიდენე ახლა ჯოგი ნაპირთან და ერთ უშობელს უბიძგე ხრამისაკენ! — მაგას ვერ ვიზამ-მეთქი, ვუთხარი, ჯერ ერთი, ცოდვაა და მეორეც, გაიგებენ და პასუხისგებაში მიგვცემენ-მეთქი! — ვინ მიგვცემსო, ბიჭო, პასუხისგებაში, ხაზეინები მაგენია და მე და შენ ხომ არ ვიყვირებთ! მერედა, განა არ შეიძლება უშობელი თავისით გადავარდეს ხრამში? შე კაცო, უშობელი კი არა, გემები იღუპება ზოგჯერ, მაგრამ ქვეყანა მაინც მაგრადაა. აბა, ახლა ლაილაის დრო არ არის, ჩქარა, უშობლის მოტეხილი ფეხი და მაშინვე აქტი გავაშანშალოთო. ხელს მოვაწერთ — მე, შენ და ერთი ვეტექიმიო, — ეს მითხრა და სტუმრების გასართობად წავიდა.

რაღა უნდა მექნა? უკაცრიელ მთაში, ღამე, უფროსების სურვილის წინააღმდეგობა!.. ისინი ბევრნი, მე ერთი... აზრი არ ჰქონდა შებრძოლებას.

მართლაც, გავდენე ერთი უშობელი ხრამისაკენ, მაგრამ გადასაჩეხად ვერ გავიმეტე. ამის საცოდაობას ვერ ვუყურებ-მეთქი, და ისევ ჩემი ხელით დავკალი. მერე ყველას გასაგონად დავუძახე ბუღალტერს: უშობელი დაიმტვრა, კვდებოდა და დანა ძლივს მივუსწარი-მეთქი. ბუღალტერმა აქტი შეადგინა და გიყვარდეს, იმ ღამეს დრო ვატარეთ. ერთ ხანს გულმოსული ვიყავი, მერე ვიფიქრე, ქვეყნის მოტირალი დედაბერი ხომ არა ვარ? საერთო დოვლათს არავინ უფრთხილდება და მე მარტო რას გავაწყობ-მეთქი...

— აა, ასე ნიავდება, ბატონო, ჩვენი ქონება და რა დარჩება ახლა კოლმეურნეებზე გასანაწილებლად? — თქვა იაგორამ.

— ის აქტიც ასეთი იქნებოდა, ორი დედალორი რომ თავის გოჭებიანად გაქრა ფერმაში? ალბათ, ყველა აქტი ასეთია. რატომ მაშინ არ თქვი, შე ლენდერავ, შენა! — გაუჯავრდა ყარამანს ბეკიჩა.

— რომ მეთქვა, ვინ დამიჯერებდა? იმას აქტი ჰქონდა რაიონის წარმომადგენლების ხელმოწერილი. მერე გამიკრავ-გამომიკრავდა ჩოთქს და კოლმეურნეობიდან არათუ მივიღებდი რაიმეს, პირიქით, ვალს დამადებდა. როცა მობოლტეს, მერე კი ვთქვი, მარა, ძროხა რომ მოკვდება, რეცხე შემდეგ ქოთანი რძისათვის!...

ყარამანის მონათხრობზე არავის გაუცინია. სანდროც ჩააფიქრა მოსმენილმა. „აი, რა უცრუებს გლეხს გულს შრომაზე და რატომ არ უყვარს საერთო. დაანახე, რომ საკუთარივით იცავ საერთოს და მაშინ ისიც უერთგულებს ქვეყანას. გლეხი ნამდვილი პრაქტიკოსია. აბა, თვალნათლივ აჩვენე ერთგულება და მაშინ ნახე, დაგიდგება თუ არა გვერდში, იზრუნებს თუ არა საქვეყნო საქმეზე“.

სანდრო ფიქრებიდან ბეკიჩას ხორკლიანმა ენამ გამოიყვანა.

— ამის შემდეგ მოგადგება ბრიგადირი და გეტყვის, იმუშავე სწრაფად და ხარისხიანადო! სად გინახავთ, კაცებო, გაჭენებული ცხენი ძოვდეს?!

— სად მინახავს და ჩვენს კოლმეურნეობაში! — უპასუხა იაგორამ.

— ჩვენი კოლმეურნეობა ყველაფერში პირველია, ვერავინ შეასწრებს კომუნიზმში! — ახლა სხვა გლეხმა ჩაუნაპერწკალა.

— აბესალომ არაბიძის ხელში, ჩვენი კოლმეურნეობა რაკეტაში რომ ჩასვა, მაინც ვერ მიაღწევს კომუნიზმამდე! — თქვა ყარამანმა.

...ამ მასლაათში კიდეც დაღამდა. მიდამოები ბინდმა დაფარა. რადგან უმთვარო ღამეები იდგა, ოღროჩოღრო გზების შიშით ნელ-ნელა წამოიშალნენ, „ღამე მშვიდობისა“ უსურვეს ერთმანეთს და თავთავიანთ სახლებისაკენ წავიდ-წამოვიდნენ.

გოჯასპირი, სანდრო და მირიანი ერთად გაყვნენ მთავარ გზას და როცა ჩასახვევთან გოჯასპირი დამშვიდობებას დაეპირა, მირიანმა დაასწრო:

— ჩვენთან წამობრძანდი, გოჯასპირ, ვისაუბროთ, წავივახშმოთ და მერე მთვარეც ამოვა, თუ არადა, შენ არ დაგებნევა ჩვენი სოფლის გზები!

გოჯასპირს დიდი თავპატიჟი არ დაუწყია. იგი დაახლოებული იყო მირიანის ოჯახთან. საერთო გზიდან უსიტყვოდ ჩაუხვიეს შუკაში.

— გოჯასპირ ბატონო, მართლა ასე წყალწაღებულად მუშაობს თქვენი კოლმეურნეობა, როგორც იქ ლაპარაკობდნენ? — შეეკითხა სანდრო.

— ნამდვილს მოგახსენებდნენ. შენი ერიდებოდათ, თორემ უფრო მეტს იტყოდნენ.

— კი მაგრამ, ვერ დასჯით იმგვარ მუქთახო-

რებს, როგორიც თქვენი ბულალტერი და საწყობის გამგე ყოფილა?!

— ეჰ, ჩემო ბიძია, განა ყველაფრის დამტკიცება შეიძლება, რასაც გული გრძნობს? — ერთიმეორეზე არიან გადასკვნილი, ზევიდანაც მამობილები სწყალობენ და აბა, მახათს ხელი დაერტყმება? კრებაზე, გამოხვალ, იტყვი, რასაც გულით გრძნობ და თვალით ხედავ, და... მერე შეიძლება ცილისმწამებლობა დაგწამონ!...

ამ დროს კიდეც მიადგნენ მირიანის ეზოს. შევიდნენ თუ არა ჭიშკარში, მირიანი დაწინაურდა, გოჯასპირი გვესტუმრაო, უთხრა დედას და ვახშმის მომზადება თხოვა. სანდრო და გოჯასპირი საუბარს შეყვნენ და მწვანეზე მოიკალათეს. ნამდვილად გულის გამაყუჩებელი ჰაერით იყო სავსე ცის ქვეშეთი, სახლში შესვლა სწორედ რომ არ მოგინდებოდა ადამიანს.

— გოჯასპირ ბიძია, — ცოტა ხნის შემდეგ ჰკითხა სანდრომ, — ამდენი ცარიელი მიწაა ჩვენს სოფელში, აი, თუნდაც გენათლის გორა, ან ჩემი უბნის ნამოსახლარი, ნუთუ ნაყოფს არ მოიტანს ის მიწები?

— როგორ გითხრა! კოლმეურნეობის დაარსების პირველ წლებში, ეს შენც კი გეხსომება, ჩაის გაშენება დაიწყეს, თითქმის ორი წელი ვბარავდით გენათლის ფერდობებს, მაგრამ ჩაი არ გამოდგა და ჩვენი შრომა სულ დაიკარგა. მერე ხეხილის ბაღი გავაშენეთ, არც იმან გაამართლა; შემდეგ ხელი აიღეს იმ მიწებზე და, როგორც ხედავ, ასე დარჩა.

— წინათ ხომ იქ ტყე იყო! ჩაისა და ხეხილისათვის თუ არ გამოდგა, ტყე რატომ არ აღადგინეთ? ტყე ხომ დიდი სიმდიდრეა სოფლისათვის?

— ვინ დაგიჯერა, ბატონო, ასეა გეგმა მოცემული და ულაპარაკოდ უნდა შეასრულოთო. ჩვენ ვამბობდით, აქ ჩაი არ ივარგებს, ტყუილა ნუ გვამუშავებთ-თქვა! მარა, გისმინა ვინმემ?!

გოჯასპირის სიტყვებზე სანდრო ჩაფიქრდა.

— ჩვენ სულ სოფლის ამბებს ვლაპარაკობთ და შენი ამბავი ველარ გკითხე! — თქვა გოჯასპირმა, — შენ როგორ ხარ, ბიძიკო, როგორ ცხოვრობ, რა ქენი, არ დაოჯახდი?!

— მაგი იერუსალიმში მიდის ბერად! — უპასუხა სანდროს მაგიერ მათთან მოახლოებულმა მირიანმა.

გოჯასპირმა გაიღიმა, შემდეგ დამრიგებლურად მიმართა სანდროს:

— მაგას ვერ მოგიწონებ, ქართველი კაცისათვის უცოლშვილოდ გადაგება ნამდვილად აუგია. ისეც ცოტანი ვართ და კიდევ უშვილძიროდ ყოფნა არ არის საკადრისი!

ანანომ სუფრა გაშალა თუ არა, ეზოში გამოვიდა ბიჭებისა და გოჯასპირის შინ შესაპატიჟებლად.

— რაა, გოჯასპირ, ბატონო, სულ რომ მიისაკუთრე ჩემი ძმისშვილი?! — გაეხუმრა ანანო.

— კარგი კაცი ყველას საკუთრებაა! — გოჯასპირი წამოდგა და ანანოს ხელისჩამორთმევით მიესალმა.

სახლში შევიდნენ.

როცა მირიანმა მორიგი ჭასმისით სანდროს სადღეგრძელო შესვა, გოჯასპირმაც გულითადად დალოცა მისი მეგობრის — სარიდან დარბაიძის შვილიშვილი, თანასოფლელი და „კაი გაზრდილი კაცი“. კიდევ უკეთესი ყოფილიყავი, შენი სოფელი არ დაგევიწყებიოსო, — უთხრა.

ნავახშმევს, აივანზე რომ გამოვიდნენ, დაგვიანებული ნახევარმთვარე უკვე თავზე გადმოდგომოდა ქვეყანას და მის მკრთალ შუქზე მაინც მიმზიდველად ჩანდა არემარე.

გოჯასპირი დიდი მადლობით დაემშვიდობა მასპინძლებს. მირიანმა ჭიშკრამდე გააცილა. ანანო კი სუფრის ალაგებას შეუდგა, ხოლო აივანზე დარჩენილი სანდრო ახალმა ფიქრებმა გაიტაცა...

## ცრემლში ნაქოვნი სიხარული

ერთ დღეს მირიანმა სკოლისაკენ გასეირნება შესთავაზა სანდროს.

— სახლში ჯდომა არ გწყინდება? ხომ ხედავ, ვერ ვახერხებ ყოველთვის შენთან ყოფნას, წამოდი სკოლაში, გაერთობი, ახალგაზრდობას გაიცნობ, იმასაც გაიგებ, რა მაგარი დირექტორი ვარ! — უკანასკნელ სიტყვებზე მირიანმა განგებ სერიოზული სახე მიიღო.

— რატომ უნდა იყო სუსტი დირექტორი?! სიგრძე გაკლია თუ განი? სიზარმაცე თუ არ გჯობნის, დიახაც კარგი დირექტორი იქნები! რომელი პროფესიაა მასწავლებლობაზე უკეთესი?!

— მეც ამიტომ ავირჩიე! — მოგონილ სერიოზულობას ამპარტავნული კილოც დაუმატა მირიანმა. — ჩვენი სკოლა ის კი აღარაა, შენ რომ დატოვე. ახლა საშუალო სკოლაა, გენაცვალე, და სრულასაკოვან მოქალაქეებს ვუზრდით სამშობლოს.

— მასწავლებლები თუ გყავთ სრულასაკოვანი? — ცდილობს მირიანის გაბრაზებას სანდრო.

— წამობრძანდი და თავად დარწმუნდები, როგორი კარგი კოლექტივის ხელმძღვანელი გახლავარ!

— უხერხულია! თითქმის არავის ვიცნობ. შენ გაკვეთილზე წახვალ, მე რა გავაკეთო მარტომ? მამიდასთან ყოფნა მირჩევნია!

აქ კი ნამდვილად იცრუა სანდრომ. სკოლაში წასვლა და ერთი მასწავლებლის თუნდაც შორიდან დანახვა გულით უნდოდა, მაგრამ ვერ წარმოედგინა, როგორ შეხვედროდა ან რა ეთქვა.

მირიანი არ მოუშვა და მათ საუბარს ანანომაც მოჰკრა ყური.

— წადი, მამიდა, გაიარე, გულს გადააყოლებ, მით უფრო, შენი ჩამოსვლა იციან და, რომ არ გამოჩნდები, არ გვიკადრაო, იტყვიან!

ანანოს სიტყვამ უფრო გასჭრა. მირიანს იმ დღეს გაკვეთილები არ ჰქონდა და ისინიც ცოტა მოგვიანებით წავიდნენ სკოლისაკენ.

გზადაგზა სკოლის ამბებს უყვებოდა მირიანი, თავგამოდებით რომ იბრძვის სკოლის ახალი შენობის ასაგებად და კოლმეურნეობის თავმჯდომარე მხარში არ უდგას. განზრახული აქვს განათლების მინისტრთან წასვლა, მომავალი წლის გეგმაში რომ შეიტანონ კეთილაურის სკოლის მშენებლობა. — თუ ეს განვახორციელე, ნამდვილად ბედნიერად ჩავთვლი თავსო,— თქვა ბოლოს მირიანმა.

ყურადღებით უსმენდა სანდრო, თუმცა მისი გონება სხვა ფიქრითაც იყო შეპყრობილი. როგორ შეხვდება ელვარა, მიესალმება თუ არა? „მოდი, ვეტყვი მირიანს, ვითომ ცუდად შევიქენი და სახლში დავბრუნდები, მაგრამ როგორ დავაჯერო?!“

სანდროს ფეხები უკან რჩებოდა.

მალე დაილია ნახევარკილომეტრიანი გზაბილიკი, რომელიც მირიანის სახლსა და სკოლას შუა დაგრეხილიყო. მეცადინეობა მიმდინარეობდა. „რა კარგი იქნება, სამასწავლებლოში არავინ დამხვდებოდეს. მირიანის კაბინეტში დავჯდები, გაკვეთილის დამთავრების შემდეგ ხომ შემოვლენ მასწავლებლები და ხელს ჩამომართმევენ. ელვარაც შემოვა, ალბათ, და ჩვეულებრივად მომესალმება. ჩვეულებრივად? როგორც ყოველ ადამიანს? არა, არ შეიძლება მისმა სახემ რაიმე არ გამოხატოს!“ — ფიქრობს სანდრო იმ სურვილით, რომ მიხვდეს როგორმე, ელვარას გულში ძველი გრძნობები სულ ამოკვეთილია თუ სიყვარულის გამქრალ ნაცარში კიდევ ციალებს პატარა ნაპერწკალი?! თუ როგორმე შეამჩნია ნაპერწკალი, ო, რა ბედნიერი კაცი იქნება! რა დიდებულ ცეცხლს დაანთებს იმ ნაპერწკლიდან როგორ გაუახლდება დაკარგული ახალგაზრდობა, გაუცოცხლდება გულის სევდიანი ყვავილები!

აუსრულდა სანდროს ნატვრა, სამასწავლებლოში მართლაც არავინ იყო და ოდნავ მოეშვა გულზე.

სანდროს თვალში გადასხვაფერებული ჩანდა იქაურობა, ყველაფერი დაპატარავებულა, გამოცვლილა, თითქოს არასოდეს ყოფილიყოს აქ. დირექტორის კაბინეტში სამასწავლებლოდან იყო შესასვლელი, სანდროც მაშინვე იქითკენ გაეშურა.

მირიანმა გააცნო ბიძაშვილს სკოლაში გატარებული ღონისძიებანი და მომავალი განზრახვანი, რომ ექნებათ საჭირო კაბინეტები, შრომითი სახელოსნოები, ბიბლიოთეკა, კლუბი და ბევრი რამ სხვაც.

სანდროს ესიამოვნა, რომ ასე ენერგიულად იღწვის მისი თაობის კაცი და ძმასავით ახლობელი მირიან კეთილაძე.

ზარი დაირეკა. სანდროს გულმაც ზარზე უფრო მაგრად დაიწყო ცემა. სკოლა უცებ ახმაურდა, ბავშვების ჟივილხივილი მთელ ეზოს მოედო. ახმაურდა სამასწავლებლოც. დირექტორთან სხვადასხვა საკითხების შესათანხმებლად კაბინეტში თითქმის ყველა მასწავლებელი შემოვიდა. შემოსულებს მირიანი ჯერ ბიძაშვილს გააცნობდა, მერე შეკითხვებზე პასუხობდა. ზოგი მათგანი სანდროს კარგად იცნობდა და კიდეც გამოესაუბრნენ, ახალგაზრდა მასწავლებლები კი მორიდებით ართმევდნენ ხელს და დირექტორის პასუხისთანავე გადიოდნენ.

— პატივცემულო მირიან! — კარებში შემოილაპარაკა ელვარამ, მაგრამ დაინახა თუ არა სანდრო, შეკრთა, ფერი ეცვალა, მისთვის სრულიად მოულოდნელი იყო სანდროს დანახვა, ამიტომაც გასცა გაფითრებამ.

— ხომ იცნობთ? — და ელვარას სანდროზე ანიშნა მირიანმა. ძლივს წამოდგა სანდრო მისასალმებლად, მაგრამ ერთი ნაბიჯიც ვერ წადგა წინ. ისევ ელვარებდა ელვარას სახე, ახალი მთვარის მსგავსი წარბები ისევ შემორკალოდა შავი თმით დაღრუბლულ შუბლს. ისევ ის ჟუჟუნა თვალები, მაგრამ სავსენი გამოუთქმელი სევდით. სწორედ ელვარას თვალებიდან გამომკრთალი სევდა იყო ის ბორკილი, რამაც დააბნია ვაჟკაცი. მაგრამ ელვარა? ელვარა რაღამ დააბნია? მან რა ამოიკითხა სანდროს თვალებში? განვლილი ტანჯვა, თუ მომავლის სიხარული? მაგრამ ახლა თვითონაც არ იციან, რა ამოიკითხეს ერთმანეთის სახეზე. იყო დრო, როცა უსიტყვოდ იგებდნენ ერთი-მეორის გულისწადილს, მაგრამ ბევრმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ. არც თუ პატარა დროა ოცდახუთი წელი, იქნებ გადაავიწყდათ კიდეც ერთმანეთი? ნათქვამია, თვალი რომ თვალს დაშორდება, გულიც გადასხვაფერდებაო! ვითომ ყოველთვის მართალია ანდაზა?

მირიანმა რაღაც იაზრა, მათ გაფითრებულ სახეებს თვალი მოავლო და, ვითომც აქ არაფერიაო, ჩვეულებრივი საუბარი განაგრძო:

— რა გნებავდათ, ელვარა?

— პატივცემულო მირიან, დარახველიძის მშობელი მთხოვს, მისი ვაჟი გავათავისუფლო ორი დღით. უთქვენოთ არ დავეთანხმე! — დამნაშავე მოწაფესავით ამოილუღლუღა ელვარამ.

— ჰო, დართეთ ნება, ალბათ, ძალიან სჭირდება, თორემ, ის ბეჯითი მოწაფეა და გაკვეთილებს ტყუილუბრალოდ არ გააცდენს.

დიდი სიმძიმე მოხსნოდეს თითქოს ელვარას,

რაკი საშუალება მიეცა კაბინეტიდან გასვლისა. მირიანმა ერთი კი გადახედა გალახულივით გატრუნულ სანდროს, მაგრამ უხერხულობაში რომ არ ჩაეყენებია, არაფერი უთხრა და ყველას ყურადღების გასაფანტავად, ზარის დრო ხომ არ არისო, იკითხა, და ვიდრე საათს დახედავდა, ზარის წკრიალიც გაისმა.

სკოლის შენობაში სიწყნარე ისევ დამკვიდრდა. კაბინეტში დარჩნენ თუ არა მარტონი, მირიანმა ღიმილნარევი საყვედურით უთხრა:

— შენი ვერაფერი გამიგია!..

სანდრომ არაფერი უპასუხა, ყელში გულმობჯენილი წამოდგა და კაბინეტიდან უთქმელად გავიდა. მაშინვე შინისაკენ გაეშურა: თითქოს უნდა თავის თავს გაექცეს, ხელიდან გაუსხლტეს აფორიაქებულ ფიქრებს.

მირიანმა ფანჯრიდან გააყოლა თვალი. არ ვამოედევნა. როცა ადამიანს სიყვარულის დარდი აწუხებს, მისთვის მარტოობაა უფრო დამამშვიდებელი. მით უფრო, თუ ბუნების წიაღში განაბნევს ფიქრებს! იცის ეს მირიანმა. სულ ერთია, სახლში შეურჩევს დროს და დაწვრილებით აამბობინებს ყველაფერს. საკვირველი კია, ხალხის თვალსა და ყურს იშვიათად ემალება ასეთი რამ, ამათზე კი ოდნავ ეჭვიც არავის მიუტანია. ელვარა, გულჩათხრობილი, თავშეკავებული, პატიოსან შრომაში ატარებს ცხოვრებას. სულ მოსწავლეებზეა გადაგებული და ღირსეულ პედაგოგადაც ითვლება. სოფლის მეჭორე დედაკაცებსაც კი არასოდეს უთქვამთ მასზე ცუდი, ქართველი ქალისათვის საძრახი რამ. არავინ იცის მისი გულის დარდი, შეიძლება საყვარელმა დედამაც კი. და ახლა როგორ გასცა უცებ ერთმა მოულოდნელმა წუთმა და ყელში გაჩხერილმა სიტყვამ. სანდროც როგორ პატარა ბიჭივით დაიბნა. ახლა გასაგებია მირიანისათვის, რატომ არ უნდოდა სკოლაში წამოსვლა. საინტერესოა, როდინდელი ამბავია, ოცზე მეტი წელია ეს სოფელს არ მოშორებია და ისიც არ მოკარებია აქაურობას. ნუთუ ოცი წლის წინანდელმა გრძნობებმა აალელვეს ასე მძაფრად ასაკოვანი ადამიანები? თუმცა სიყვარულმა ასაკი როდი იცის? სანამ ადამიანის გული ფეთქავს, ისიც განაგრძობს დიდმპყრობლობას.

აბა ერთი ელვარას გახედოს! — მირიანი სამასწავლებლოში გავიდა. მაგრამ იქ არავინ იყო. კედელზე გაკრულ გაკვეთილების ცხრილს დახედა, ელვარას თავისუფალი საათი ჰქონია. „სად უნდა იყოს?“ — დერეფანშიც გაიხედა, ეზოც მოათვალიერა, მაგრამ ელვარა არსად ჩანდა.

„შინ წავიდა, ალბათ. არაფერია, ხვალამდე გადაივლის დარდის ღრუბელი“.

მირიანი კაბინეტში შემობრუნდა.

...სანდრომ მამიდის სახლამდე ძლივს მიაღწია. ანანო აივანზე ხელსაქმობდა. მარტო მობრუნებული სანდრო რომ დაინახა, გაუკვირდა, ხელსაქმეს თავი მიანება.

— ასე ადრე რატომ დაბრუნდი, შვილო, რატომ ხარ გაფითრებული?

— არაფერი, მამიდა, ჩქარა მოვდიოდი!

— მირიანი სად არის?

— კრება ჰქონდა, მე ისევ შინ წამოსვლა ვამჯობინე...

სანდრომ ძლივს მოახერხა, რომ მის სიტყვებს ოდნავ სიმართლის ელფერი ჰქონოდა.

ანანო მიხვდა, რომ რაღაც აწუხებდა სანდროს, მაგრამ ჩაკირკიტება არ შეჰკადრა. სკამლოგინზე ჩამოჯდნენ ორივენი. ანანომ ხელი მოხვია და მკერდზე მიიხუტა თავით. იცის გამოცდილმა ქალმა, რომ გულისტკივილის დასაყუჩებლად ყველაზე სალბუნი დედის კალთაა. და ის ხომ დედის მაგიერია ახლა სანდროსთვის?

სანდროც პატარა ბავშვივით გაინაბა, ემა მამიდის ალერსი და მკერდის სითბო.

დედის დაკარგვის შემდეგ სანდროს ასეთი ნეტარება არ განუცდია, დედობრივი მოფერების ჟრუანტელი არ ჩაღვრია გულში და დიდი ხანია ამგვარ თბილ კალთას არ მინდობია.

რამდენიმე წამს ასე იყო, მერე თავი აიღო და წამოდგა, რაღაც სიმსუბუქე იგრძნო.

— მამიდა, ცივ წყალს მოვიტან, — და სანდრომ აჩქარებით ჩაირბინა კიბე. პალატიდან თუნგი გამოიტანა და ეზოს ბოლოსაკენ გაჰყვა ბილიკს. ორ წუთში ხევში გაჩნდა და წყაროზე რომ არავინ იყო, გაეხარდა. ჯერ ხელი დაიბანა, ცივი წყალი სახეზე შეისხურა, სოველი ხელი მოლეღილ მკერდზე მოისვა, შემდეგ დაიჩოქა და დაეწაფა პატარა ღარს. წყაროს წყალი გულზე საამოდ გადაევლო. შვება იგრძნო. ღარს თუნგი შეუდგა, თვითონ ბექზე ჩამოჯდა იქვე და დღევანდელ განცდილს მიაპყრო გულისყური.

„არა, როგორც კი დამინახა, მკვდრის ფერი დაედო და ენაც ვერ ამოიღო. რატომ გაფითრდა, ან რად დაიბნა? ნუთუ არ შეიძლებოდა ჩვეულებრივად, შორეული ნაცნობივით მომსალმებოდა და თავისი სათქმელი განეგრძო დირექტორთან?! პატარა გოგო ხომ არ არის, ამდენი რომ ვერ მოახერხა? ვითომ არ განელებია სიჭაბუკის გრძნობები?! ნუთუ აქამდე შერჩა „მოღალატე“ მიჯნურისადმი სიყვარულის რაიმე ნასახი? აბა, რატომ უნდა შემკრთალიყო ჩემს დანახვაზე?! საძულველი პიროვნების დანახვისას, პირიქით, უფრო მაგრდება ადამიანი და ცდილობს ამაყად დაიჭიროს თავი...“

სასიამოვნო დასკვნამდე მიჰყავს უსიტყვო მსჯელობას სანდრო. მგონი, ელვარას გაფითრებაში იპოვოს მომავალი ცხოვრების სიხარული. ასეთია ფიქრთა წვიმაში მისი ოცნების

ცაზე გამოსახული ცისარტყელა და ცისარტყელა ხომ დარის ნიშანია?!

...სანდროს დაბრუნება წყაროდან და მირიანის ჩამოსვლა ეზოში ერთი იყო. კიბესთან შეხვდნენ ერთმანეთს. სანდრომ წყლიანი თუნგი პალატში შეიტანა.

მირიანმა საშინაო ხალათი გადაიცვა და ეზოში, ბაღის ბოლოსაკენ წაიყვანა სანდრო. ისიც მორჩილი ბავშვივით გაჰყვა.

ისინი მდელოზე დასხდნენ, ხის ძირას. ერთხანს უსიტყვოდ იყვნენ.

სანდრომ დაწვრილებით უამბო თავისი დაკარგული სიყვარულის ისტორია. მირიანი ხმაგაკმენდილი უსმენდა. სანდრო დარბაიძეს დღემდე არავისთვის გაუზიარებია თავისი ჭაბუკობის ამბები და თითქოს ახლა რაღაცნაირი შვება იგრძნო.

მირიანს კარგად ახსოვდა ის ჭორი, რომელიც სანდროს დაუყარეს სოფელში უშვერიძის ქალიშვილის ვითომ შერთვის გამო, მაგრამ ელვარასადმი გაუმხელი სიყვარულის ამბავი პირველად ახლა გაიგო. საკვირველი კია, რომ ასე ახლო მეგობრებმა თავიანთი ახალგაზრდული გატაცებანი არ გაუმხილონ ერთმანეთს, მაგრამ აქ ცოტა სხვა ვითარება იყო:

მირიანი და სანდრო თუმცა ასაკით არ იყვნენ ბევრად დაშორებულნი ერთმანეთს, მაგრამ დაწყებით სკოლაში სწავლისას მირიანს ხანგრძლივი ავადმყოფობა შეხვდა, რამაც რამდენიმე კლასით ჩამოარჩინა თანატოლებსაც კი. ამიტომ მან საგრძნობლად გვიან დაამთავრა საშუალო სკოლა, ხოლო უმაღლესი განათლება ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში მიიღო. როცა მირიანი ინსტიტუტში შევიდა, სანდრომ იმ ხანებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაასრულა და ასპირანტურაში განაგრძო სწავლა. მერე სამამულო ომი და სხვა ათასი დავიდარაბა გამოტყვრა, რის გამოც სიყრმის მეგობრები ისე ახლოს აღარ იყვნენ ერთმანეთთან და რომანტიულ გატაცებებს ერთმანეთს აღარ უზიარებდნენ.

მირიანი გულწრფელი თანაგრძნობით მოეკიდა სანდროს ნაამბობს და გაუხარდა კიდეც, რადგან მის თვალში ელვარა ისეთი ღირსების ქალი იყო, რომლისადმი სიყვარულის ასე ხანგრძლივად ტარება ნამდვილად ღირდა.

თითქმის შუაღამე იყო, სახლში რომ შევიდნენ. ანანოს უკვე ჩასძინებოდა. ვაჟები ნაჯაფარი დედის გაღვიძებას მოერიდნენ, ისე დაწვნენ, მაგრამ არ გინდა ძილის მოხმობა? თითქოს ცხრა მთას იქით გადაკარგულა. მხოლოდ განთიადის მოახლოებისას მოაღწია ძილმა სანდროსა და მირიანის ლოგინებამდე.

## უმაღლესი ტრიბუნა და უფართოესი აუდიტორია

გვიან დაძინების მიუხედავად, მირიანი ადრე ადგა, და სანდროს არც კი გაუგია სკოლაში მისი წასვლა. მთელი გზა მეგობრის წუხანდელ ნაამბობზე ფიქრობდა: „ახალგაზრდა კაცის თუნდაც ერთი წინდაუხედავი ნაბიჯი როგორ გაამრუდებს მთელ მის მომავალ ცხოვრებას! თავიდანვე რომ მცოდნოდა, იქნებ რაიმე მეღონა და მათი წრფელი სიყვარული ბედნიერად წარმართულიყო... როგორც კი მივალ სკოლაში, მოვიხმობ ელვარას; ვეტყვი, რომ ყველაფერი ვიცი, რომ სანდროს გულში განუზომელი სინანულია... მაგრამ ახლა თქმა ივარგებს? მართალია, მეგობრული ურთიერთობა გვაქვს, მაგრამ მაინც არ გამოდგება აჩქარება. ძალიან მგრძნობიარე ქალია ელვარა, ვაითუ ტლანქად მომივიდეს შეხება მისი გულის სათუთ სიმებზე? არა, ნამდვილად არ გამოდგება ახლა თქმა, პირიქით, არაფერს ვაგრძნობინებ, შეუმჩნევლად დავაკვირდები და, როცა ბუნებრივად საამისო დრო დადგება, მაშინ გამოვესაუბრები. ასე აჯობებს ნამდვილად!“ — დასტური მისცა თავისთავს მირიანმა.

სანდროს რომ გაეღვიძა, მზე კარგა ხნის ამოშორებული იყო თავის საბუდარს. ადგომის უმალ წყაროს მიაშურა. სამ კვირაზე მეტია აქ არის და დილით არასოდეს დაუბანია პირი წყაროზე, ახლა სულ მარტო ყოფნა უნდა, თავისთავთან და ფრთააშლილ ფიქრებთან. დაღლილობას გრძნობს, ნაბრძოლ კაცივითაა დათენთილი. წუხელ მეორედ მოუხდა მიმალული დარდის გახსენება, თითქო ხელახლად განუმეორდა ყველაფერი, რაც სიყვარულმა თუ უსიყვარულობამ განაცდევინა. ამიტომ მისთვის ახლა წამალია გრილ ჰაერზე გავლა და ცივი წყაროთი გულის გაგრილება.

პირი აუჩქარებლად დაიბანა, ღარს პეშვი მიუშვირა, ხელისგულებზე დაჩხრიალებული წყალი ხარბად მოსვა, ემა გულს ცივი წყარო, თითქოს ნამთვრალევი ყოფილიყოს.

სუფთა ჰაერმა და ცივმა წყარომ სანდრო გამოაცოცხლა, გაფანტული ენერგია დაუბრუნა, სევდიანი განწყობილება გაუფანტა, სიცოცხლის ხალისი გაზარდა.

რა დიდებული მკურნალია ბუნება, ანკარად დასწმენდს ხოლმე ადამიანის გულში აფორიაქებულ ფიქრებს, წინ წამოაფრენს ჯანსაღსა და სასიცოცხლოს, უკუყრის ცუდს, უძალღონოს, უიმედოს. განა ასეთ მკურნალს შეედრება სხვა რამე?

სახლში დაბრუნებულს საუზმე მიართვა მამიდა ანანომ.

— საუზმე არ მინდა, მამიდაჩემო, მაგრამ

ცოტას თუ გამატან, კარგი იქნება! დღეს ბუკნარაზე მივდივარ. ბავშვობის მერე არ ვყოფილვარ, ძლიერ მომენატრა იქიდან ხელმეორედ გადმოხედვა. ხომ იცი, ხანდაზმული კაცისათვის წარსულის გახსენება ისევე სასიამოვნოა, როგორც ჭაბუკისათვის მომავალზე ფიქრი!

— რა დროს შენს ხანდაზმულობაზე ლაპარაკია, — შეუწყრა ანანო, — ჯერ რამდენი სიხარული და ბედნიერება გელოდება წინ. გული დაიმშვიდე და შენს მომავალზე იფიქრე!

სანდრომ ქაღალდში შეხვეული საუზმე აიღო, ფოტოაპარატის თასმა შემოახვია, — საღამომდე დავბრუნდებით! — უთხრა მამიდას და გზას გაუდგა.

— როგორც შენ გინდოდეს და გესიამოვნებოდეს, შვილო! — ანანომ ალერსით სავსე თვალი გააყოლა მიმავალ ძმისშვილს.

სანდრომ შუკა ჩაათავა, სოფლის დიდ გზაზე აღარ გასულა, ბილიკ-ბილიკ ამჯობინა ხევიდან ასვლა. სულ ერთია, ყოველი მხრით გაიგნებს გზას; მთავარია, რაც შეიძლება, მალე ავიდეს ბუკნარაზე, დიდხანს უცქიროს ხელისგულივით გაშლილ არემარეს.

დიდიხანია არ უნახავს ბუკნარა. მეოთხე კლასის მოწაფე იყო, მგონი, როცა საექსკურსიოდ წაიყვანა იქ გიორგი მასწავლებელმა. პირველად მაშინ მიხვდა პატარა სანდრო, რომ ქვეყანა ბევრად უფრო დიდი ყოფილა. ვიდრე მისი კეთილაური. კიდევ რამდენი მთა და სოფელი არსებულა ქვეყნად. ის ხშირი შენობები ქალაქიაო, აუხსნა მასწავლებელმა.

„ნეტავ ახლაც ისეთივე წარმტაცი იქნება ბუკნარადან დანახული ქვეყანა, როგორც მაშინ?“ — ეკითხება თავის თავს. „აბა რა შეცვლიდა!“ — პასუხობს თვითონვე. ის მთები და მწვერვალები ახლა მისთვის კარგად ნაცნობია, ბევრი სოფელ-ქალაქი დაუვლია, მრავალი მდინარე და ხევი უნახავს, იმ მთებს იქითაც ყოფილა ბევრჯერ.

ბუკნარა წიაღუბნის მთის ქედია აღმოსავლეთით. მთის პატარა უღელტეხილზე სოფლებში მიმავალი გზა გადადის. სწორედ იმ გზით უნდა ავიდეს სანდრო ბუკნარაზე. ბილიკები კარგა ხანია გასცდა სოფელს. აქ არც მოსახლეობაა და, ჩანს, არც მინდვრის სამუშაოებით შეუწუხებიათ თავი. ფეხაჩქარებით მიდის, უნდა მზემ არ აასწროს ბუკნარაზე; ვინ იცის, რამდენ რამეზე ბჭობს მისი დაუდგრომელი გული. მთის ბილიკებმა ფიქრების შემოჯარვა იცის, ოცნებას ფრთები ლაღად ეშლება.

ფიქრთა მორევში ზოგიერთი ტალღა წინ ისწრაფვის, გულთან ახლოვდება, თვალწინ თითქოს ხელშესახებად გამოისახება. ზოგიერთი კი გონებისა და გრძნობების მიღმა ფრთხიალებს. სანდროსთვის ახლა ყველაზე წინმყოფი ფიქრის თვალხილული გამოსახულება მხოლოდ და მხოლოდ ელვარაა, გუშინდელი მისი გაფითრებული სახე და ყელში გაჩხირული სიტყვა.

„ახლაც რა მშვენიერია, უხდება დაჭაღარავება, დარბაისელი გამხდარა. საქმიანი ტონი, კდემამოსილება, ისევ ნაზი და მიმზიდველი, მაგრამ შესამჩნევი სევდა.. ვითომ ეს სევდა უსაყვარლესი ადამიანის განშორებითაა გამოწვეული?

„ცხოვრების ბადე ბევრჯერ გამიწყვეტია.. იქნებ ამ დაკარგული ბედნიერების პოვნაც შევძლო“ — ახლა ხმამაღლა უპასუხა იდუმალ ფიქრებს.

მაგრამ... ეს რაღაა? ფიქრთა მორევიდან ამომხტარი სხვა აზრი წამოეჩხირა: „ ახლა არ არის სიყვარულის დრო!“ თუმცა იქვე მეორე აზრმაც გაიელვა და წინ წარმოსდგა: „სიყვარულს არ უნდა დრო და სივრცე! სიყვარული ყველგან და ყოველთვის არსებობს! იგი ერთნაირად იპყრობს „დიდთა და წვრილთა“. სიყვარულს ყველა ასაკი ემორჩილებაო. — დიდებულად თქვა პუშკინმა. სიყვარული თვით სიცოცხლეა. განა ადამიანი ხარ, თუ არ გიყვარს, თუ არა გრძნობ და არ განიცდი?! ქალი ადამიანის სულში ამოსული ყვავილია და მისი სურნელება ატკბობს და ანეტარებს სიცოცხლეს!“

„უსიყვარულოდ მზეც არ სუფევს ცის
კამარაზე,
ქარი არ დაჰქრის, ტყე არ კრთება
სასიხარულოდ;
უსიყვარულოდ არ არსებობს არც
სილამაზე,
არც უკვდავება არ არსებობს
უსიყვარულოდ“.

„ო, რა დიდი ხარ, გალაკტიონ! ასე ერთბაშად როგორ ფლობ ადამიანთა გულს?! როგორი სიღრმით შეგიძლია ჩაწვდე უდიდეს ჭეშმარიტებას, რომელსაც შეიძლება ბევრი გრძნობს, მაგრამ ვერ გამოუთქვამს“.

სანდრო შეჩერდა, უკან მოიხედა, უკვე ნახევარზე მეტი გზა გამოუვლია. აქედანაც ბევრი რამ ჩანს. როგორ დაპატარავდნენ მისი სოფლის მთა-გორები! რა ამაყად ამოიმართნენ ნისლებში კავკასიონის თეთრი მწვერვალები!... თუმცა აქედან კი არა, მხოლოდ ბუკნარას ქედიდან გამოჩნდება ხილულად და წარმტაცად ყველაფერი. უმჯობესია სიარული. რამდენად მაღლა ადიხარ ადამიანი, თითქოს იმდენად მჩატდები, ძალა გემატება, თავს უფრო ღონივრად გრძნობ.

სანდრომ განაგრძო გზა და ფიქრებმაც განაგრძეს ფრთხიალი.

სხვა ნესტარი არ მოხვედრია სანდროს გულს. მისი ყმაწვილური ოცნებები ერთბაშად გადა-

კვეთა ელვარას მაშინდელმა შეხვედრამ უნივერსიტეტის ჭადრების ხეივანში. ეს იყო და ეს. მის გულს განუშორებელ შუქად მოედო ყოვლისმპყრობელი გრძნობა სიყვარულისა და მას შემდეგ არც კი უფიქრია სხვა ქალზე, ოცზე მეტი წელია არ უნახავს, ჟამთასვლის ფერფლმა დაჰფარა თითქოს იმ გრძნობის ღველფი., მაგრამ დახე, რარიგ ძლიერი ნაპერწკლები წამოჩინჩხალდნენ ახლა, როგორ გააღვივეს სიცოცხლის ცეცხლი და გაათბეს სევდის ტბაში ჩაძირული ვაჟკაცის გული.

მხოლოდ ერთი შემთხვევა იყო, არც კი ღირს გახსენებად, მაგრამ გზა კიდევ გრძელია ბუკნარას ქედამდე.

...იმ ზაფხულს სანდრო სვანეთში მოგზაურობდა. ფეხით მოიარა ორივე სვანეთი. გააოცა ბუნების იშვიათმა დიდებულებამ, გოლიათურმა მთებმა და უძირო ხევებში მოღრიალე მდინარეებმა, უკიდეგანო ტყეთა სივრცეებმა და ცამდე ატყორცნილმა მარადთოვლიანმა მწვერვალებმა.

ერთ დილით სოფელ უშგულიდან ბრუნდებოდა. ცანაში, წურუნგალას მწვერვალზე, საბადოები დაათვალიერა. დაბლა ჩამოსულმა ადგილობრივ მუშათა კლუბთან საბარგო მანქანა შენიშნა და იქითკენ გაეშურა, იქნებ ქუთაისში მიმავალია და შეიძლება წამიყვანოსო. მანქანა მართლაც ქუთაისში მიდიოდა, მოსწავლე ტურისტები უნდა წაეყვანა. მძღოლმაც და ხელმძღვანელმაც თანხმობა მისცეს. თანაც გააფრთხილეს, ერთ საათში გავალთ და შორს არ წახვიდეო.

მუშათა კლუბთან უფროსი კლასის მოსწავლეები შეჯგუფულიყვნენ და მწვერვალებს გაჰყურებდნენ. სანდრომ გვერდით გაუარა მათ და კლუბში დააპირა შესვლა, მაგრამ ერთმა ხუჭუჭთმიანმა და ლოყებბუნთულა გოგონამ, რომელსაც ნაცნობი სახე ჰქონდა, მისი ყურადღება მიიპყრო. ისიც თვალგაპარებით უცქერდა უცხო მგზავრს. სანდრო აღარ შესულა კლუბში, სხვებს დაუთმო ვითომ გზა და მანაც გაიხედა იქითკენ, საითაც მოსწავლეები იცქირებოდნენ. უცნაურად წარმტაცი და ძნელად დასაჯერებელი სურათი წარმოუდგა თვალწინ: ერთ გეოგრაფიულ სიბრტყეზე, თვალის ერთ ხაზზე— თოვლიანი მწვერვალი, ცოტა ქვევით — ალპური მწვანე ზონა, უფრო ქვევით — წიწვიანი ტყე, შემდეგ — ფოთლოვანი და სულ ახლოს ყვავილებით გადაჭრელებული მინდორი.

— რა საოცრებაა! — ამბობდნენ მოსწავლე გოგონები. მართლაც რომ დიდებული რამ იყო! სანდროს ახლაც ატკბობს ბუნების იმ ცოცხალი სურათის გახსენება, სადაც ერთადაა წარმოდგენილი წელიწადის ოთხივე დრო. სხვაგან იშვიათად შეხვდება კაცი ასეთ სილამაზეს!

ამ ალმტაც სანახაობიდან სანდროს მოსწავლეებისაკენაც გაექცეოდა თვალი და იმ ქალიშვილის მზერას გადაელობებოდა სწორედ მაშინ, როცა ისიც თვალთა ისარს სხვების შეუმჩნევლად სანდროსკენ გამოაპარებდა ხოლმე. ოდნავი გაღიმებაც მოჰყვებოდა იმ მზერას. სანდროს ხიბლავდა ბუნების დიდებული სურათი, მაგრამ ეს ნაცნობი სახე უფრო იზიდავდა რატომღაც. როგორ ჰგავდა ელვარას: ისეთივე ჟუჟუნა თვალები, ღიმილიც თითქოს იმისია. მძიმედ აუძგერდა გული, სწორედ ასეთი იყო იგი მაშინ, ჭადრების ხეივანში შეხვედრისას. დაჟინებით აკვირდება, იქნებ ამ ჟუჟუნა თვალებმა აღუგზნოს ჯერ კიდევ ჭაბუკს სიყვარულში გაუხარელი გული...

კლუბიდან გამოსული მოსწავლეებიც იმ ჯგუფს შეუერთდნენ და საკმაო ხანს ტკბებოდნენ სვანეთის პეიზაჟების სრულქმნილებით.

— თუ ყველანი ხართ, დავაჩქაროთ წასვლა!

— დაიძახა მძღოლმა: ხელმძღვანელმა მოსწავლეებს გადახედა, რა დარწმუნდა, ყველანი იყვნენ, ჩასხედითო, — გასცა განკარგულება. მოსწავლეები კალიებივით შეაცვივდნენ მანქანის ძარას. სანდროც მიუახლოვდა, მაგრამ ჯერ ყმაწვილებს აცალა. მანქანა თითქმის მთლიანად აივსო, მგონი, სანდროსათვის აღარც დარჩა ადგილი.

— ამობრძანდით! — გადმოსძახა მანქანიდან ბუნთულამ და მისაშველებლად ხელიც კი გადმოუწოდა. სანდრო წამსვე მოეკიდა ძარას და გოგონას შეუწუხებლად შიგ ჩახტა. ახლა შეამჩნია, რომ ბუნთულას ტურისტული შარვალი ეცვა. დასაჯდომი არ არის, ალბათ, ძირს მოთავსდებიან. სანდროც ჩაჯდება როგორმე, ოღროჩოღრო გზებზე სხვაგვარად შეუძლებელია.

— ჯუნა, წინ გადმოდი, აქ უკეთესი ადგილია! — გადმოსძახა ზორბა ვაჟმა, ალბათ, თანაკლასელმა; უთუოდ კლასკომი იქნებოდა, სითამამეზე ეტყობოდა.

— აქაც კარგად ვარ! — სხვათაშორის უპასუხა ჯუნამ.

ზორბამ თვალების გაფართოებით და ბაგეების მოკუმვით გამოხატა გულისწყრომა. გამწყრალი თვალი სანდროსაც მიწვდა. ეტყობოდა, კლასკომს თავისად ჰყავდა მიჩნეული ბუნთულა ჯუნა.

მანქანა დაიძრა. გადავარდნის შიშით ყველამ ფეხი მოირთხა და ძარას ჩაებღაუჭნენ. ვილაცის ხელი სანდროს მკლავს ჩაეჭიდა. ზორბამ ახლაც დაუძახა ჯუნას, წინ გადმოდიო, მაგრამ ბუნთულა სანდროსკენ მიჩოჩდა და მის მკლავს უფრო მაგრად მოეჭიდო.

ცანადან თითქმის ორასი კილომეტრია ქუთაისამდე. ადვილი წარმოსადგენია, რა დამღლელი იქნებოდა ეს მგზავრობა საბარგო მანქანით, მით უფრო ფეხმორთხმით მჯდომთათვის.

დაუსრულებელმა რწევამ ყველანი მოადუ-

ნა. ძილის განწყობილება შეიქმნა. კლასკომსაც ჩასთვლიმა. ჯუნას ხელი კი სანდროს მკლავზე თითქოს შეხორცდა.

საკმაო რწევის შემდეგ, ჯუნა სავსებით დანებდა მანქანის რყევას, რომელიც ზოგჯერ მას სანდროს მხრებსა და მკერდს მიახუტებდა; უფრო ხშირად თავებით ეხებოდნენ ერთმანეთს. სანდრო დარბაიძემ ცხადად იგრძნო ბუნთულას ფარული ლტოლვა მისდამი. აი, გადაქანდა მანქანა და ჯუნას ლოყის ბუსუსები სანდროს სახეს შეეხო; ალმური იგრძნო ორივემ. სანდრო მიხვდა, რომ ეს არ იყო ავხორცული ვნება, ზოგჯერ რომ ნაადრევად იღვიძებს ხოლმე ახალგაზრდა ქალში, არა, იგი ნამდვილად გულწრფელსა და წმინდა გრძნობით გამსჭვალულ ლტოლვასა ჰგავდა ტოლისაკენ; როგორც ირემი წყაროს, ჩიტი ბუდეს, ყვავილი სინათლეს დაეძებს და ისწრაფვის მისკენ მთელი არსებით, ასევე ადამიანიც დაეძებს სინათლის წყაროს, რათა გულის ბუდე აავსოს. ხომ შესაძლებელია, ბუნთულამ დაინახა სინათლის წყაროთი ასავსები ბუდე და ვაჟკაცმა ამ ნათელ წყაროს გულის კარი დაუხუროს?!

ამ შეხვედრამ თუ სიახლოვემ ნამდვილად წარმოშვა მათში ჯერ კიდევ აუხსნელი სიყვარულის გრძნობა. საუბარიც რომ აღარ ხერხდება?! ჩუმად მაინც ჰკითხოს გვარი, სად ცხოვრობს, ან რომელ სკოლაში სწავლობს, შეხვდება თუ არა ხვალ? როგორმე უნდა შეაპაროს ტრფიალების პირველი სიტყვები. მაგრამ მოსწავლეთა ყურები ბაგეებზე აკვრიათ თითქოს, ჩურჩულიც კი არ გამოეპარებათ.

ამ უხერხულობამ ორას კილომეტრზე გასტანა. ახლოვდება ქუთაისი და ნეტარი განცდების დასასრულიც. „რომელ სკოლაში სწავლობ?“ — როგორღაც ჩასჩურჩულა სხვების შეუმჩნევლად, და „პირველშიო“, — ბუნთულამაც ჩუმადვე უპასუხა.

მანქანა ჯაჭვის ხიდთან გაჩერდა. დაბეგვილი ახეული ძლივს ჩამოიტანეს ძირს. ჯუნა და სანდრო გულდაწყვეტილები შეჰყურებდნენ ერთმანეთს, მაგრამ მაინც გაიყარა მათი გზები, დარჩა მხოლოდ ლოყებზე შეტრუსული ბუსუსები.

ის ღამე სანდრომ სასტუმროში გაათია. მეორე დღეს, პირველ სექტემბერს, სწავლა იწყებოდა, დილით პირველად იმ სკოლისაკენ გასწია, რომელიც ჯუნამ დაუსახელა. საკმაოდ დიდი შენობაა, რამდენიმე შესასვლელი აქვს. კლასიც რომ არ იცის? სად გაჩერდეს, როგორ იკითხოს?! სკოლის გვერდით მდებარე ქუჩას ნელი ნაბიჯით გაჰყვა, გაფაციცებით აკვირდება ფანჯრებს, საიდანაც მოსწავლეთა ჟრიამული ისმის. მეორე სართულის ერთ ღია ფანჯარასთან ჯუნას ტოლი, ფორმიანი გოგონები გამოჩნდნენ. „ნეტავ იმათში იქნებოდეს ბუნთულა“, — ინატრა სანდრომ და ისე აგიხდეთ ყოველი კარგი, ფანჯარას მტრედივით მოფარფატქალდა სწორედ ჯუნა. ელდანაცემივით შეატოკა ჭაბუკი იმ მოულოდნელობამ, [illegible] თავის დაკვრით მიესალმა: ჯუნამაც [illegible] თავი და გაღიმებული გადმოადგა ფანჯარას. თვალთ აებნა სანდროს, ვერ გაურკვევია, ელვარას ხედავს თუ ჯუნას? ბუნთულას საქციელი შეუმჩნეველი არ დარჩენიათ გვერდით მდგომ თანაკლასელ გოგონებს, ეშმაკური ღიმილით გამოიჭვრიტეს მათაც ფანჯრიდან და ქუჩაში მდგომ სანდროს თვალების ალყა შემოარტყეს. მაგრამ უცებ მოსწყდნენ ფანჯარას, საკლასო ოთახში სიჩუმე დამყარდა. ჩანს, კლასში მასწავლებელი შემოვიდა და გაკვეთილი დაიწყო...

ეს იყო და ეს. მას შემდეგ, ცამ ჩაყლაპა ის ბუნთულა-ჯუნა თუ მიწამ, ვერაფერი გაიგო. ბევრი უტრიალა იმ დღეს სკოლის შენობას, ქუჩებში მიმავალ მოსწავლე გოგონებსაც აკვირდებოდა, მაგრამ არ იქნა და, ელვარას მსგავსი სახე ბუნთულა-ჯუნასი ვერსად დალანდა...

ო, რამდენი ხნის ამბავია ეს, მაგრამ მაინც ახსოვს სანდროს, როგორც ლამაზი შემთხვევა. ახლა რომ შეხვდეს, ვეღარც კი იცნობს! გადასხვაფერდებოდა უთუოდ. შვილების დედა და ოჯახის ქალია, ალბათ, იქნებ საზოგადო მოღვაწეც გახდა, ნეტავ სად არის, როგორ ცხოვრობს, ან რას აკეთებს? ის ზორბა კლასკომია მისი ქმარი, თუ უფრო ღირსეულ ბედს შეხვდა?!

სანდროს ოცნება ახლა ნატვრაზე გადავიდა: „წიგნს რომ დავწერდე, სადაც ამ ამბის ჩართვა შემეძლება, ეგებ წაიკითხოს და მიხვდეს, რომ ის ჭაბუკი, ორასი კილომეტრის თანამგზავრი, მისი მკერდის მფარველი და სუნთქვის მოზიარე, მე ვიყავი იმ დღეს. ეგების ხმაც მომაწვდინოს, შეიძლება შემხვდეს კიდეც გამომეცნაუროს, მისი ამბავი გამაგებინოს, ჩემიც გამომკითხოს და სიხარულით იცინოს იმ მგზავრობის გახსენებაზე!“

სანდროს გაეცინა. აღმართს აჰხედა, უკვე მიახლოებია ბუკნარას. მთის ყელზე ელვასავით გადაქნეული გზიდან მარცხნივ აუხვია. ათი წუთიც და, ჩვენი უწრიაპო მთამსვლელი ბუკნარას ქედს ზევიდან მოექცა.

გახვეული საუზმე და ფოტოაპარატი მიწაზე დადო, მკლავზე გადადებული პიჯაკიც იქვე მიაფინა, სამაჯურები გაიხსნა, ოფლი მოიწმინდა, ხარბად ჩაისუნთქა მთის ჰაერი, თითქოს სურნელოვანი თაფლი ჩაეღვარა ფილტვებში. ცოტას იკბინება სამუადღეოზე მიახლოებული მზე. საჩრდილობელი კი არსად არის. მის ბავშვობაში რამდენი ტოტებგაბარჯღნილი ხე იდგა აქ. არა თუ მოუჭრიათ, ფესვებიანად ამოუძირკვავთ. არა უშავს, შავი ზღვის ნიავი გულს საამოდ მაინც აგრილებს და არც ისე გაუძნელდება მზეზე ყოფნა.

სანდრო მოხერხებულ ადგილზე დაჯდა.

თვალხარბად გადახედა ჩრდილოეთით გადაშლილ, თითქმის უკიდეგანო სივრცეს, მთებით და ველ-მინდვრებით მორთულს, ტყეებითა და ბაღებით შემკულს და სოფელ-ქალაქებით დამშვენებულს. რამდენი გორა, გორაკი თუ ბორცვი დაკვდომია დედამიწას, თითქოს გოლიათურ არწივს ჯერ ჰაერში აუტაცნია, მერე კლანჭები გაუშვია და განუსაზღვრელ სიმაღლიდან დაუნარცხებია ძირს. როგორ უმწეონი ჩანან აქედან ის მთა-გორები, რომლებიც რიონის დაბლობიდან ზღაპრულ ბედაურებს მოგაგონებთ. თუნდაც გენათლის გორა, ყველაზე მაღალი რომ ეგონა ბავშვობისას, თითქოს მის ფეხქვეშ გართხმულა. აი, ბაბუა სარიდანის და მისი მეზობლების ნასახლარები, მთელი კეთილაურის აფერადებული ეზოები და ყვითელმწვანეში ჩადგმული სახლები, ჩიტის ბუდეებივით რომ ჩანდნენ უწინ. რამდენი ცარიელი მიწაა, სრულიად ხელმიუკარები და უნაყოფო.

რა თვალუწვდენია რიონის დაბლობი, მისი აღმოსავლეთ-დასავლეთი ნაპირები ისფერ ნისლებში იკარგება; აქედან რამდენად უფრო მაღალი ჩანს უსაზღვრო ცის სილურჯეში ატყორცნილი კავკასიონის მწვერვალები.

„რა ვრცელია ჩემი სამშობლო... ტყუილად ამბობენ პატარა საქართველოო. აბა, სიბრტყეზე გაშალონ მისი ლანდშაფტი, ამდენი მთაგორების კალთები შეუზომონ ვაკე-ველებს და მერე ნახონ თუ პატარაა?“

ბევრი მდიდარი სოფელი და კოლმეურნეობა იცის, ზოგჯერ უფიქრია კიდეც, ჩემი კეთილაური რატომ ასეთი არ არისო!

„რა ქნას მეტი ამ სოფლის გამოფიტულმა ეწერმა? მაგრამ, მოიცა, რა თქვა მოხუცმა გოჯასპირმა, ყველა მიწას თავისი თესლი უნდაო! მაშ, შეიძლება ყველა მიწა გახდეს სიუხვის წყარო, თუ მიაგნებ, რა უკეთ იხარებს ზედ? ჰოდა, გოჯასპირ ბატონო, სწორედ ეს მიგნებაა ძნელი!“...

მაგრამ უიმედობას შორს განუდგა სანდრო: „როგორ თუ ძნელია მიგნება! აბა რის მაქნისია სწავლა და გამოცდილება?! შეიძლება შენ არ იცოდე, მაგრამ სხვა მცოდნე ხომ მოიძებნება? აი, ის უნდა აამოძრაო, მისი ენერგია საქმედ აქციო. მთავარია წარმართვა, ხელმძღვანელობა! მართალია, ხალხი ქმნის ყველაფერს, მაგრამ წინამძღოლის გარეშე ღირსეული რამ არასდროს შექმნილა! თუმცა რას ვამბობ, წინამძღოლებს თვით ხალხი არა ჰქმნის?“

სანდრო თავის სოფელს უფრო დააკვირდა, განსაკუთრებით გენათლის გორას. მერე წამოილაპარაკა თავისთვის:

„უნდა გაცოცხლდეს გენათლის გორა, ჩემი ნასოფლარი უნდა აღდგეს!... მაგრამ ვინ აღადგენს, ვინ გააცოცხლებს, ვის აინტერესებს შენი ნასოფლარი, ან შენი გენათლის გორა?! ცხოვრება, როგორც არის, მიათრევს თავისი ჭირვარამით დატვირთულ ჭაპანს. თუმცა ცხოვრება განა მარტო ჭაპანის თრევაა?! ცხოვრება ხომ რაღაც სხვაა, უზენაესი ნეტარება, უნეტარესი სიდიადე! ჰოდა, დიადი მისით არ იქმნება, ადამიანის ხელი უნდა!“

დიდხანს ეკამათა თავისთავს სანდრო, ბევრი იფიქრა კეთილაურის მომავალზე. ბოლოს, თითქოს იპოვაო, რასაც ეძებდა, უხმოდ დაასკვნა: „მე უნდა ვიყო ის, ვინც აღადგენს, ვინც გააცოცხლებს! ჩემს ნააკვნარ მიწას უნდა დავუბრუნდე!“

„დაგცინებენ!“ — ჩასჩურჩულა იდუმალმა ხმამ.

— „მერე და დამცინონ! ხარაბუზებს როდის შეუქმნია თაფლი, ისინი ბზუიან მხოლოდ!“ — ხმიანად შეესიტყვა სანდრო იდუმალ ხმას. „ვის დაუთესია ქვეყნად ისეთი სიკეთე, ყველა აქებდეს? ან ცუდს განა ყველა აძაგებს?“

გადაწყდა, უნდა დაბრუნდეს!

მაგრამ როგორ დატოვოს საყვარელი თბილისი?! ამდენი ხანია შეეზარდა, შეეჩვია. განა ასე ადვილია შეჩვეულისა და სასიყვარულოს ერთბაშად მიტოვება?! გაძლებს კი მისი მშვენების გარეშე?! მაგრამ თბილისი განა მარტო იმათია, ვინც შიგ ცხოვრობს და მასთან ათენალამებს? თბილისი ყველა ქართველისაა! აბა თბილისი წარმოვიდგინოთ მარტოდმარტო, საქართველოს სოფლების გარეშე, ხომ ცუნძულს დაემსგავსება?! თბილისი ყოველთვის შენია, სულ ერთია, მასთან ხარ ,თუ რომელიმე სოფელში ცხოვრობ. სადაც უნდა იყოს ქართველი, მაინც თბილისის მკვიდრად ითვლება. ყოველი ჩვენგანი მფეთქავი ნერვია მისი მედგარი მაჯისცემისა, ყოველთვის მისი სული ტრიალებს ჩვენში და მისი დაუდგრომელი გულის მარადიული ძგერით ვცოცხლობთ.

ახლა ისე ხომ აღარაა, თვეები და კვირეები რომ სჭირდებოდა იქ ჩასვლას? ახლა ორიოდე საათი კმარა. ქართველ კაცს განა გული გაუძლებს, თბილისის მშვენება ხშირად არ იხილოს?!...

„აქედანაც ვიქნები თბილისში, არ მოვწყდები მის მჩქეფარე ცხოვრებას, ქართული სოფლის სურნელებას ჩავიტან და იქიდან ცხოვრების მღელვარე რიტმს წამოვიღებ“.

დაბრუნდება! გადაწყდა! დაბრუნდება!...

მაგრამ რა აკეთოს? მარტო დაბრუნება ხომ არ კმარა? რა ახალი მოუტანოს თავის სოფელს? ჩამოვიდეს და საგანმანათლებლო ლექციები იკითხოს? მის ნაბიჯს რაღაც სასარგებლო შედეგი ხომ უნდა მოჰყვეს?!

დაინგრა ფიქრების გოდოლი.

„მიწა უნაყოფოა ყველგან, ადამიანის შრომის გარეშე!“ — ეს გოჯასპირმა თქვა, თუ სადმე წიგნში ამოიკითხა?! რა მნიშვნელობა აქვს,

გაიგონა თუ წაიკითხა? წიგნი და ხალხი ხომ ერთია, ორივე სიბრძნის წყაროა. შენ მხოლოდ აზრი გასინჯე! ადამიანი ქმნის მიწის ნაყოფიერებას! და უნდა გამოინახოს ამ ნაყოფიერების საშუალება, რაიც აზრს მისცემს მის დაბრუნებას, ხალხისათვის სასარგებლოს გახდის მის ენერგიას, სოფელს გამოადგება მისი ცოდნა და უნარი, მისი შრომაც სამშობლოს კეთილდღეობას შეემატება და ეს ხომ ყველაზე დიდი ბედნიერება იქნება მისთვის?! ხალხი დააფასებს, შეიყვარებს და თავისად მიიჩნევს. განა არის ადამიანისათვის იმაზე დიდი ბედნიერება, ვიდრე ხალხის სიყვარული?!

სანდრო წამოდგა, ნიავს მიუშვირა მკერდი, გრილი ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა, ირგვლივ მიმოიხედა. ბუკნარას მთიდან არც თუ შორს, აღმოსავლეთით მიიმართება სამხრეთ კავკასიონის ალპური იალაღები. შორიდანაც კარგად ჩანს მაღალი ჩანჩქერი, მთის მკერდიდან მოწყვეტით რომ ვარდება უძირო ხევში, საიდანაც მეზობელ სოფელში საკმაოდ წყალუხვი მდინარე მოედინება, ზამთარ-ზაფხულ კრიალა და ტანმოხატული კალმახებით სავსე. ჭაბუკობისას რამდენჯერ შეცურებულა მის ჩუხჩუხა ტალღებში, როცა იქ წისქვილზე წავიდოდა (გვალვების დროს მდინარე ბუკნარა არ ყოფნიდა წისქვილებს, ამიტომ მიდიოდნენ ასე შორს). შეცურდებოდა და თან მეწისქვილის ბადით კალმახსაც ამოყრიდა. მერე რა გემრიელი იყო წისქვილში გამომცხვარი მჭადი, ვაზის ფოთლებში ღველფზე შემწვარი კალმახი, წყაროს ცივი წყალი და მეწისქვილის ტყუილი და მართალი.

აქ კი სოფლის ხევი ხახაგამშრალი მესცქერის ცას, თითქოს თავის დღეში წვეთი წყალი არ ენახოს. რამდენი წყარო გამოდიოდა ბუკნარას ტყიანი კალთების კლდეებიდან, ერთმანეთს უერთდებოდა, ძალას იკრებდა, დიდდებოდა, ხევში გროვდებოდა და მდინარედ წარმოიქმნებოდა, გზადაგზა მახლობელი ხევებიდან მოჩანჩქარე რუებიც უერთდებოდა და თითქოს ერთმანეთის ხილვით აღტაცებული სულ ცეკვა-ხტუნვით მიჩხრიალებდა სოფლის ბოლომდე.

ახლა რაღაა უიმისოდ ეს სოფელი?! თვალდათხრილ კაცსა ჰგავს, რომელიც ცოცხლობს, მაგრამ ვერაფერს ხედავს. მდინარეც ხომ სოფლის თვალია, მის იდილიურ მყუდროებაში სიცოცხლის მჩქეფარების შემტანი. რა ძნელია უმდინარობა, მეტადრე იმ სოფლისათვის, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში მკერდს უგრილებდა, ბაღვენახებს ურწყავდა, ტყესა და ბუჩქებს უშრიალებდა, ყვავილებსა და ბალახებს უხარებდა.

სანდრო გულდაწყვეტით გასცქეროდა იმ ვერცხლისფრად მოკიაფე ჩანჩქერს. მისგან წარმოქმნილი მდინარის ტალღები ბუკნარას სამხრეთ-აღმოსავლეთ კალთებს ელამუნებიან და შემდეგ ჩრდილოეთით მიიჩქარიან, რიონისაკენ.

უცებ ახირებული აზრი მოუვიდა თავში. ფრინველივით გაინაბა, თითქოს გულს დააყურა; მერე თავისთავი ჰაერში აფრენილი წარმოიდგინა, საიდანაც ოცნების თვალს ერთ ხაზზე წარმოესახა ის მდინარე, ბუკნარას მთა და კეთილაურის დამშრალი ხევი.

„ხომ შეიძლება ბუკნარას გულში გვირაბი გაიჭრას და იმ მდინარის ნახევარი ამ ხევში გადმოვარდეს? იმ სოფელსაც საკმაოდ დარჩება და ამ სოფელსაც სამყოფად ექნება!...“

სანდრომ თვალი შემოატარა ბუკნარას მთას, მარჯვნივ და მარცხნივ გადახედა: „დაახლოებით ნახევარი კილომეტრი გვირაბი იქნება საჭირო. ეს გახუმრებაა თანამედროვე ტექნიკისათვის... ამ ხევში ელექტროსადგური შეიძლება აშენდეს! რამდენი ადგილია საამისოდ მოხერხებული. ორი საქმე გაკეთდება ერთად, სინათლეც იკაშკაშებს, მდინარეც იჩუხჩუხებს!..“

— რა კარგი აზრი დამებადა! — ხმამაღლა წამოიძახა სანდრომ, — განა არ მომეხმარებიან მის ხორცშესხმაში?! არ მომიწონებენ ხალხისათვის სასარგებლო წინადადებას?! აბა ერთი კიდევ დავუკვირდე, უსაფუძვლო ფანტაზია არ იყოს?! — სანდრომ ისევ გახედა მიდამოებს, ისევ წარმოიდგინა ბუკნარას მთის გულში გაყვანილი გვირაბი, რომლითაც ანკარა წყალი მისი სოფლის ხევში მიედინება. ოცნება გაჰყვა ამ მდინარის ვერცხლისფერ ზვირთებს: ელსადგურის თეთრ შენობაში ლომივით წამომჯდარი ტურბინა გრიალებს, მის რკინის ფრთებთან ნაომარი ტალღები აქაფებული გადმორბის ბეტონის არხში და გამარჯვებულის იერით მიჰყვება ძველ კალაპოტს. აქა-იქ შემდორებულ ტალღებში ბალღები ბათქუნებენ, მოზრდილი ბიჭები ბადეს ისვრიან, პატარებს ანკესები გადაუგდიათ და სულგანაბულნი დაჩერებიან წყალზე მცურავ ჩალიღერის პატარა ტივტივებს. აგერ წისქვილში სავსე ტომრებით დატვირთული ურმები მოდის, უფრო ქვევით— მწყემსებს ჯოგი ჩამოურეკიათ და მაძღარი პირუტყვი ხარბად იკლავს წყურვილს. ცოტა ქვემოთ, წყლის მოყვარული შინაური ფრინველებით ავსებულა მდინარის სანაპირო... მერე სივრცეში წარმოისახა კეთილაურის მაღალთაღებიანი კულტურის სახლი, კინოსეანსებსა და თეატრალურ საღამოებზე მოსული ხალხით აჴმაურებული...

„არა, ამის განხორციელება ნამდვილად შეიძლება, უთუოდ დამიჭერენ მხარს! ახლა დასაბუთება საჭირო, ხელმძღვანელების დარწმუნება. დღესვე ვუამბობ მამიდასა და მირიანს, მოხუც გოჯასპირსაც კი გავახარებ, რომ გაჩნდება მდინარე, რომ აშენდება ელექტროსადგური, რომ აქაც გაჩაღდება კულტურული ცხოვრება“.

ფოტოაპარატს დაწვდა და გატაცებით შეუდგა ბუკნარას მიდამოების გადაღებას.

საოცრად გახარებულმა კვლავ გადახედა ზღვასავით ვრცელ არემარეს. კიდევ შეავლო თვალი მთების კალთებზე მიმოფენილ კეთილაურს, განსაკუთრებით გენათლის შიშველ გორას და წამოიძახა:

— მხოლოდ შენთვის, ჩემო მშობლიურო მიწა-წყალო! ჩემი ყოველი ფიქრი და კეთილი ზრახვა შენი ხალხის ბედნიერებისათვის, სამშობლოს წინსვლის საერთო ფერხულში ჩასაბმელად!

სანდრომ ისეთი პათოსით წარმოთქვა ეს სიტყვები, თითქოს უდიდეს აუდიტორიას გადასძახოდა უმაღლესი ტრიბუნიდან. მსგავსად ზღაპრისა, გაისმა კიდეც გუგუნში შერეული უჩვეულო ოვაცია, რომელიც თითქოს თვალწინ გადაშლილ მიდამოებიდან მოდიოდა.

ენერგიის მოზღვავება იგრძნო. მიწაზე დადებულ პიჯაკს დაწვდა, კიდევ ერთხელ მოავლო თვალი იქაურობას და, ვითომ არწივს გაეშალოს ფრთები, სწრაფად დაეშვა თავისი სოფლისაკენ.

## დაძაფნული ფიქრები

სანდროს შვებულების დამთავრებამდე ერთი კვირაღა დარჩა. თბილისში უნდა წავიდეს. თუმცა ახლა აღარ იცის, წავიდეს თუ... სხვა ფიქრმა გაიტაცა, ახალი მისწრაფება გაჩნდა მის სულში. უბრალოში იპოვოს დიადი, პირადი აქციოს სახალხოდ, თვით ამაღლდეს და აღამაღლოს სხვაც.

— მირიან, მე რომ დავბრუნდე აქ სამუშაოდ, რას იტყვის ხალხი? მიმიღებენ? დამიჯერებენ?! — ჰკითხა სანდრომ ერთხელ მირიანს და თვალებში ჩააცქერდა.

— გაგიჟდი?! შენ კი არა, ნეტავ მეც დამკარგა აქედან!

— უნდა დავარწმუნოთ თანასოფლელები, რომ კოლექტიური შრომით ჩვენთანაც დიდი დოვლათის შექმნა შეიძლება.

— ძნელი საქმეა!

— არ არის ძნელი! გლეხს ნუ მოპარავ, ნუ მოატყუებ, დააჯერე, რომ სახალხო საქმის ერთგული ხარ და ისიც თავგამოდებით იმუშავებს. სიმდიდრე და დოვლათი მხოლოდ ერთგულ შრომაზეა დამოკიდებული! — სანდრომ შეუტია მირიანის ეჭვს.

— მგონი, შენ არ ხუმრობ! ბოლო დროს ძალიან აგეკვიატა ჩვენს სოფელზე ფიქრი. მართლა ხომ არ აპირებ აქ დარჩენას? არ გადამრიო კაცი! მე კი გამახარებ, მაგრამ შენ? რა სასარგებლო იქნება შენთვის სასახლიდან ქოხში გადმოსვლა?!

— წარმტაცი იდეალი სწორედ ისაა, ქოხი აქციო სასახლედ; უნდა დაამტკიცო, რომ ადამიანია უპირატესი ყოველგვარ ქვეყნიურ მოვლენაზე. ასეთი მიზანი კი მსხვერპლს საჭიროებს.

...უკანასკნელ დღეებში სანდრომ ბევრი იფიქრა, თუ რა გზით შეიძლება გაცოცხლდეს გენათლის გორა და მისი მახლობელი ნასახლარები!... კოლმეურნეობის თავმჯდომარეს აბესალომ არაბიძეს ბევრი ესაუბრა ამის თაობაზე, მერე აგრონომისაგან გაიგო, თუ რა კულტურები მოჰყავთ თავად, ან მეზობელ კოლმეურნეობებს, და რა უფრო შედეგიანია. ხშირად ეკითხებოდა გოჯასპირსაც, როგორც დაკვირვებულსა და გამოცდილ მეურნეს, მაგრამ ჯერჯერობით მნიშვნელოვანი ვერაფერი მოიფიქრა. მდინარის გადმოყვანა და ელექტროსადგურის აშენება უნაყოფო ფანტაზიად მოსჩანს. უსარგებლო კლდე-ღრეში ვინ ააგებს ელექტროსადგურს, ან მთაში ვინ ვაიყვანს გვირაბს? ათეული წელი და კეთილაურის დანარჩენი უბნებიც, ალბათ, იმ ძველ ნასახლარებს დაემსგავსება — აიყრებიან და საავტომობილო შარაგზებთან დასახლდებიან. მთლად უკაცრიელი გახდება აქაურობა!

თუ საფუძვლიანი რამ ვერ მოიფიქრა, ისე რა აზრი ექნება სოფლად მის დაბრუნებას?! მასწავლებლობა დაიწყოს? კოლმეურნეობაში იმუშაოს? ეს ხომ ჩვეულებრივი რამაა! მასწავლებლებიც ბლომად არიან და კოლმეურნეობაც, ასე თუ ისე, არსებობს!.. მარტო მისი მოსვლით ხომ არ აღორძინდება სოფელი?! „კარგი ამბავი კი იქნება, მეც თუ სარჩენად მივემატე აქაურებს“! — ირონიულად გაუღიმა სანდრომ ფიქრებში აღმართულ კითხვის ნიშნებს.

ასეთ უდასკვნო მსჯელობაში მიიწურა გამგზავრებამდე დარჩენილი დღეებიც. ხვალ უნდა გაუდგეს გზას. ხელბარგი გაამზადა, რომელსაც ანანომ ხილით სავსე ამანათები მიამატა, მირიანი რკინიგზის სადგურამდე გაცილებას დაჰპირდა.

რა მალე გათავდა ეს ერთი გრძელი თვე, ფიქრებით, მოგონებებითა და სულიერი აფორიაქებით აღვსილი. მიდის, მაგრამ გულს არ უნდა თითქოს წასვლა, სურვილი აქეთ ეწევა უფრო. ალბათ, კვლავ დიდხანს ვერ ნახავს აქაურობას — მშობლიურსა და ნააკვნარ მიწას, მისი ბავშვობის თუ სიჭაბუკის სააპარეზოს, ოქროს ფიალას, სიტკბოებითა და უფრო მეტი სიმწარით სავსეს, მისი ადამიანური ცრემლისა თუ სიხარულის სათავეს. აწი ვეღარ მოიცლის გულის სურვილებისათვის ასე ყურის დასაგდებად. წასვლა ნამდვილად ეძნელება. ამ ერთ თვეში თითქოს თავიდან წარმოდინდა მისი ცხოვრების მდინარე, ამ სოფლის დამშრალი მდინარის მსგავსი. სიცოცხლე ხომ იმ მდინარესავით ნელ-ნელა შრება ყოველდღიური ერთ-

ნაირობისა და უმნიშვნელო წვრილმანების წყალობით? და რომ არ დაშრეს მდინარე, ხელახლად რომ ამოელვარდეს ტალღები, საჭიროა ტაროსის შეცვლა, ქარი და ღრუბელი, წვიმა და თოვლი! ამ კაცის ცხოვრებაშიც უნდა მოხდეს ასე — გვალვას არ უნდა დაანებოს დაშრობის პირად მისული ტალღები! იქნება ჯობდეს ქვაფენილების სიმხურვალით სულშეხუთული სიცოცხლე მთების ნაყურებითა და მინდორ-ველების ცვარ-ნამით შეავსოს, განაახლოს, საამოდ აახმიანოს?!

ოღონდაც!...

ამჯერად მაინც უნდა წავიდეს თბილისში. რაკი საგულისხმო ჯერ ვერაფერი მოიფიქრა აღძრულ ზრახვათა ფრთების შესასხმელად, გადაწყვიტა: კიდევ იფიქროს, იოცნებოს და აუცილებლად მიაგნოს!

ამ აზრებმა ოცნების ცაზე წეროების გუნდივით გადაიფრინა და გონების თვალთა მზერა თან წარიტაცა. დღეს აქაურობას მოივლის, ნაცნობებსა და მეზობლებს ნახავს, დაემშვიდობება; სკოლის მახლობლადაც გაივლის, ეგებ იმ „მაქციერა გოგოს“ მოჰკრას თვალი და მისი გამოხედვის ელვარებაში იქნება იგრძნოს რაიმე, თავისი მაძიებელი სულის ფრთაგასაშლელად გამოსადეგი.

იმ დღესვე გამოემშვიდობა ყველას. სკოლის მახლობლად გავლა კი უშედეგო გამოდგა. ვერსად დალანდა მისი განახლებული სიყვარულის თუ სევდის მიზეზი. ცოტა არ იყოს, დანაღვლიანდა. ათრეული ნაბიჯებით გაუყვა სოფლის ბოლოსაკენ მიმავალ გზას. სასაფლაოზე სურს შეუხვიოს, ერთხელ კიდევ მოინახულოს მშობლების სამარეები, იტიროს კიდეც, თავისთვის, ჩუმად, ოხვრასა და ცრემლს გაატანოს თავისი დარდები. როგორ უთქვამს ბრძენს? ჭეშმარიტად მწარე ცრემლი ის არის, რომელსაც კაცი სხვების შეუმჩნევლად აფრქვევსო! რა მართალი უთქვამს იმ კურთხეულს! ვინ იცის, ეგებ იმასაც დააბერტყა ცხოვრებამ ჩუმი ცრემლებით სავსე კალთა?! იქნებ ისიც ოხრავდა თავისთვის და ამით შვებას ანიჭებდა მარტოხელა გულს! შეიძლება მანაც იცოდა ქართველი ბრძენი ჭაბუკის გულიდან ამომხდარი სიტყვები — ოხვრა არის შვება უბედურისა! იცოდა, უთუოდ იცოდა! მაგრამ სხვისი აზრების ცოდნა სიბრძნის სიღრმეში ვერ ჩაგახედებს, ქვეყნის ცხოვრება საკუთარ ცრემლში უფრო ჩანს ხოლმე, როგორც ანკარა მდინარეში მიუწვდომელი ვარსკვლავებიანი ცა.

ნაღვლიანი ფიქრებით შებორკილმა ნაბიჯებმა სანდრო მაინც მალე მიიყვანა სასაფლაოზე. ქუდმოხდილი, მდუმარედ დაადგა დედის საფლავს. ერთხანს იყო ასე, მერე მისივე გაკეთებულ ფიცრის სკამზე ჩამოჯდა; ჩამოსვლის პირველ დღეებშივე ოდნავ წესრიგში მოიყვანა აქამდე მიტოვებული მშობლების სამარე, გაასუფთავა, გარსშემოვლებული ღობე შეაკეთა, ლამაზი ქვებით შემორკალა, დედის თავთან დარგულ დაფნის ბუჩქს ტოტები გამოზშირა, ცოტათი გაალამაზა იქაურობა.

მაგრამ აწი ვინღა მოუვლის? მამიდას სთხოვს, მირიანსაც ეტყვის, მიმიხედეთო, შეევედრება, მაგრამ გასწევს განა ვინმე მის მაგივრობას? შვილი მაინც სხვაა მშობლისათვის, ცოცხლისთვისაც და მკვდრისთვისაც, მას სულ სხვაგვარი გრძნობა ამოძრავებს, სხვა მოვალეობა აკისრია. წავა ახლა სანდრო და, ვინ იცის, როდის ჩამობრუნდება, თავს როდის დაადგება სამარადისოდ მძინარ მშობლებს, როგორც მათი სიცოცხლის გაგრძელება?!

იდაყვით მუხლს დაებჯინა, ლოყით ხელისგულს დაეყრდნო, გარინდებული დააცქერდა მდუმარე საფლავებს და ფიქრთა იდუმალ მოძრაობას მიაპყრო გულისყური. იდუმალებაში ჩაძირულმა გულმა თითქოს თანდათან შეანელა ფეთქვა ,მიწყნარდა, სმენასა და მეხსიერებასაც გამოეთიშა თითქოს, ოცნებით სიცოცხლისა და სინათლის მიღმა გადავიდა. სამარეთა სიჩუმეში სანდრომ წარმოიდგინა, რომ იგი მზის ქვეშ, დედამიწაზე აღარაა ახლა, არამედ ქვევით, საფლავთა შიგნით და თვალშეუდგამ სიბნელეში ხედავს კუბოებში მწოლარე, გულხელდაკრეფილ მშობლებს, რომლებიც იღიმებიან და მათი შვილის აქ მოსვლით სიამაყეს გამოხატავენ. ისინი თავს მკვდრებად აღარ თვლიან, რადგან არ დაკარგულა მათი სიცოცხლის ნაშიერი, რომელსაც კვლავ ახსოვს წინაპრები და მათ სამარეებს დასტრიალებს. ამიტომ ჰქონდა აზრი მათ სიცოცხლეს და მათ სიკვდილსაც ამიტომ მიეცა შინაარსი! მხოლოდ ამ გრძნობას გამოხატავენ ახლა მათი გაღიმებული სახეები.

დიდხანს იჯდა ასე გარინდებული და სიცოცხლის მიღმა მჭვრეტელი სანდრო. მერე მისი გონება ნელ-ნელა დაუბრუნდა ქვეყნიერებას და ყოფნა-არყოფნაზე დაფიქრებულს მწარე ოხვრა აღმოხდა.

მზე დასავლეთის ჰორიზონტს მიუახლოვდა, რამდენიმე წუთი და მთების სიღრმეში ჩაიმალება. მისი ალმაცერი სხივები ორლესულა ხმლებივით გადმოშვერილან ცის ლურჯი გუმბათიდან და არემარისათვის ბასრი წვეტები მიუბჯენია. სხივთა ხმლების რამდენიმე წვერი სასაფლაოსაც გადმოწვდენია და დაფნის ბუჩქზე შეჩერებულა. ერთი მათგანი ტოტებშუა გამოძვრა და სანდროს თვალებში აელვარდა. ჩამავალი მზის ძალადაკარგული სხივი ოცნებაში ჩაძირულ კაცს ველარ ჭრის თვალს, პირიქით, საამოცაა დაფნის ტოტების ჭუჭრუტანაში მთების თავზე დაგორებული, მკრთალმუქიანი მზის ცქერა. სხივთა სიმებში შერეულმა მზერამ ტოტებში შემოჭრილი სხივი თავისებურად არეკლა და ჩამავალი მზის მიმართულებით, გა-

ნათლის კალთების ფონზე იმ დაფნის ბუჩქის ორეულები წარმოსახა. მწკრივებად დაჯარდნენ ისინი და თითქმის მთელი გენათლის გორა დაფნის ბუჩქებით გადამწვანდა. მზე უკვე ჩავიდა, მაგრამ მაინც არ ჩამქრალა სანდროს თვალებში დაფნადქცეული მიდამოს სურათი, წარმტაცად რომ დაიხატა ოცნების ფუნჯით.

ამ დროს რომ ვინმეს მალულად შეეხედა სანდროსთვის, ნათლად დაინახავდა, თუ როგორია ადამიანის გამომეტყველება, როცა თავში მოულოდნელი, ახალი აზრი ებადება: სახე გაბადრული, ერთ წერტილს ჩაშტერებული, გაცისკროვნებული თვალები, ღიმილისათვის შემზადებული ბაგე; ხოლო თუ გულის ძგერასაც ასევე შეუმჩნევლად დააყურადებს, მიხვდება, რაოდენ ძალუმად ტოკავს იგი და როგორი ხმიანობით ეხება ხოლმე მკერდს. თუმცა ახლა არავითარ გულისძგერას არა გრძნობს სანდრო, მისი სმენა თითქოს გათიშულია გარემოსაგან, იგი მხოლოდ გენათლის გორის კალთებსა და თავისი უბნის ნასახლარებს ხედავს დაფნის პლანტაციებით გადაქარგულს, განახლებულ სიცოცხლეს გრძნობს ამ მიტოვებულ ადგილებში, ხედავს მოქრიამულე ადამიანების შრომას, დაფნის ფოთლით დატვირთულ მანქანებს...

„სავსებით გამოუყენებელ ამ ეწერმიწებს მხოლოდ დაფნა გააცოცხლებს. აქაურ ნიადაგში დაფნა იხარებს უთუოდ; აი დასტურიც: საფლავზე დარგული ბუჩქი, სრულიად მოუვლელი, როგორ გაზრდილა, გახშირტოტებულა! სათანადოდ თუ მოუვლი, ნიადაგს გაუფხვიერებ, თავის დროზე მორწყავ და გათოხნი, სულ გადაირევა! მილიონები შეიქმნება ამ უნაყოფო მიწებზე და მაშინ ნახე, როგორ წამოიდგამს წელს აქაური ხალხი, გაჩნდება სამანქანო გზატკეცილები და აღარ იოცნებებენ ბარში გადასახლებაზე, აშენდება ელექტროსადგური და ბუკნარას დამშრალ ხეობაში ნამდვილად აჩხრიალდება ახალი მდინარე!“...

სანდროს სახეს ღიმილი მოეფინა. მის აფორიაქებულ სურვილებს თითქოს რაღაც დასაყრდენი მიეცა. უძვირფასესი განძის პოვნით გამოწვეული აღმტაცი გრძნობა დაეუფლა მის გულს. წამოდგა, ჰორიზონტზე ჩამწკრივებულ ქედებს ამოფარებული მზე უკანასკნელ სხივებს კრებდა ცამდე შემართულ მთათა ბეჭებიდან. შორეულ ხევიდან გადმოიჭრა ერთი სხივი და ბუკნარას მთის ქვემო კალთაზე რომელიღაც სახლის ფანჯარაში აკიაფდა. მოკიაფე სხივს სანდრომ თვალი გაუსწორა... ის მიდამო იაშვილების უბანია და აკიაფებული ფანჯარაც ელვარას სახლისაა. გულს ესალბუნა, ჩამავალმა მზემ განახლებული ტრფიალის სახლის ფანჯრიდან რომ შემოსცინა და, თითქოს სიმბოლურად, დაბინდული ცხოვრების გზა გაუნათა. ერთხელ კიდევ გადახედა სანდრომ მდუმარე საფლავებს და იქაურობას გაშორდა.

...მთელი ღამე არ მიკარებია რული. სულ დაფნის პლანტაციები ელანდებოდა, ასფალტდაგებულ გზებზე მოსრიალე მანქანები, ელექტროშუქით გაჩირაღდნებული კეთილაური, ბუკნარას ხევში აჩუხჩუხებული მდინარე და კულტურის სახლის წინ საზეიმოდ თავშეყრილი ხალხი; ძველ ნაცაცხვართან, ახალდარგული ცაცხვის ქვეშ შეჯგუფული ახალგაზრდობა, სიმღერითა და ცეკვა-თამაშით რომ იკლებენ იქაურობას. ლოგინში განაბულ სანდროს თითქოს ყურში ჩაესმის მათი ყიჟინა...

მეორე დღეს სანდრო ჩვეულებრივზე ადრე ადგა. თბილისში არ მივდივარო, უთხრა მამიდასა და მირიანს, ოლქში ვაპირებ, აუცილებელი საქმე მაქვსო, არ გაუმხილა განზრახული.

ისაუზმა თუ არა, მაშინვე გაუდგა გზას. ჯერ ფეხით იარა, მერმე, როგორც იქნა, ერთ საკმაოდ დანჯღრეულ საბარგო მანქანას შეხვდა და რკინიგზის სადგურამდე ძლივს მიაღწია. საოლქო ქალაქში როცა ჩავიდა, სამუშაო დღე უკვე დამთავრებული იყო. უპირველესად ღამის გასათევი მოაგვარა — სასტუმროში დაბინავდა.

ცოტა შესვენების შემდეგ, მაინც გაეშურა საოლქო კომიტეტისაკენ. „ვინ იცის, იქნებ იყოს მდივანი, შეიძლება მიმიღოს კიდეც; თუ არა და, იმას მაინც გავიგებ, შევძლებ თუ არა ხვალ შესვლას ოლქის ხელმძღვანელთან“!

ლამპიონებით განათებულ ქვაფენილს ნელი ნაბიჯით გაჰყვა. ასწლოვანი ჭადრებით აშრიალებულ ბაღს გასცდა და მის პირდაპირ მრავალსართულიან შენობებს მიაპყრო მზერა. დიდი ხანია, არ ყოფილა ამ ქალაქში, როგორ გამოცვლილა აქაურობა, ყველაფერი გრანდიოზული გამხდარა.

„ამ გუმბათიან თეთრ შენობაში იქნება, ალბათ, საოლქო კომიტეტი!“

ქუჩის გადასასვლელთან შეჩერდა. უინტერესოდ შეათვალიერა ქვაფენილზე მოსეირნე ახალგაზრდები; ვიწროშარვლიანი და ჭრელპერანგმოღეღილი, თმაშეუკრეჭელი ვაჟებისა და უცნაურად თმააბურძგნილი ქალიშვილების დანახვამ ზიზღი მოჰგვარა.

„ჰმ! ევროპული სიმახინჯის მდინარემ როგორ აიყოლია ჩვენი ახალგაზრდობა!“...

ხალხით სავსე ქუჩა გადასჭრა და თეთრ შენობასთან მივიდა, რომელშიც მართლაც საოლქო კომიტეტი იყო მოთავსებული. კომენდატურის სარკმელთან გუშაგს ჰკითხა, როდის შეიძლება მდივნის ნახვაო.

— ხვალამდე არ იქნება, დღეს რაიონში წავიდა და ჯერ არ დაბრუნებულა! — კომენდანტმა გამოჰკითხა ვინაობა და ჩაიწერა: „თბილისიდან, ლექტორი, პარტიის წევრი...“

— ხვალ დილით მოვახსენებთ! — იყო ლაკონური პასუხი.

სანდრო ისევ სასტუმროსაკენ გამობრუნდა. მთელი ღამის უძილო, დღესაც საკმაოდ ანჯღ-

რია მანქანამ, მერე მომქანცველი ლოდინი მატარებლისა და... მეტი აღარც შეუძლია ადამიანს. დასვენება ამჯობინა, რომ ხვალ უფრო აზრმოკრებილი შეხვდეს მდივანს.

ფიქრების სიგრძე თანატოლი გამოდგა სასტუმრომდე დარჩენილი გზისა და საკმაოდ დაღლილმა სანდრომ მისთვის განკუთვნილ ოთახს მიაშურა.

## ოლქკომის მდივანთან

მშვენიერი დილა გათენდა მეორე დღეს. მზე ვიდრე მთებს ამოსცდებოდა, სანდრო უკვე ფეხზე იდგა და სასტუმროს აივნიდან გადაჰყურებდა მწვანეში ჩაფლულ ქუჩას, რომელიც ჩუმი ხმაურით ეგებებოდა დილის მობრძანებას. განაპირა უბნებიდან საყვირთა ხმები არემარეს ზვირთებივით ეფინებოდა. ხალხი მიიჩქაროდა, მისრიალებდნენ მანქანები. ნამძინარევი ქალაქი ცხოვრების მღელვარე ზღვაში შედიოდა.

შემოდგომის დილა თუმცა ახმაურდა, მაგრამ სანდრომ ორი საათი კიდევ უნდა იცადოს, ვიდრე საოლქო კომიტეტში მუშაობა დაიწყებოდეს. მდივანი კი, ვინ იცის, როდის მოვა. ახლა საათიც აითრევს ფეხს. სანდროს ძლიერ ეჩქარება მდივნის ნახვა, განზრახულის გამხელა უნდა. იქნებ, არაფერი გამოვიდეს, ეგების არც კი მოუსმინოს, მაგრამ მან ხომ თავისი უნდა სცადოს. ცდა ბედის მონახევრეაო, უთქვამს ხალხს და ხალხი ხომ ბრძენია? ნუთუ ხალხზე ზრუნვას არ მოუწონებენ და მის კეთილ სურვილებს არ თანაუგრძნობენ?!

სანდროს არც კი უგრძვნია, როგორ აივსო თანდათან ქუჩათა მდინარეები ხალხისა და მანქანების ტალღებით. მის გონებას ახლა არავითარი სანახაობა არ იზიდავს, გარდა ერთი დიდი სურვილისა: როგორმე დღეს მიიღოს მდივანმა და გულდასმით მოუსმინოს...

რა ემმაკად გაახსენდა ის შემთხვევა, ერთხელ რომ ძლივს შევიდა მინისტრთან და როცა თავის სათხოვნელზე ელაპარაკებოდა, მინისტრმა გაზეთების თვალიერება დაიწყო. ვაითუ, დღესაც ასე მოხდეს?! არა, დღეს ეს არ მოხდება! მაშინ გამოუცდელი იყო, ახლა ხმას აღიმაღლებს, „როგორ, მე საზოგადო საქმეზე გელაპარაკებით და თქვენ ყურსაც არ მიგდებთ? ასე ინტერესდებით ხალხის ბედით?!“ — ერთს გულიანად გამოლანძღავს და კარებსაც მაგრად მიუჯახუნებს!

მერე ხმამაღლა იყვირებს, რომ ამგვარი კაცი არ შეიძლება ხელმძღვანელად! — მერე შენ ვინ გეკითხებაო, — უპასუხებენ და, შეიძლება, სასტიკადაც გაკიცხონ! წაიღე მერმე შენი სამეცნიერო დიპლომი, დაჯექი გენათლის გორაზე და უცქირე კავკასიონის თოვლიან მწვერვალებს!

— რაც იქნება, იქნება! — თავისთავს შეესიტყვა სანდრო, ოთახში შევიდა და პირის ბანას შეუდგა. ცივმა წყალმა გამოაფხიზლა და ეჭვიანი ფიქრები გაუფანტა. სახის შემშრალების დროს სარკეში თავის ორეულს დაჟერებით უთხრა

— შენ შენი ეცადე, კეთილი თესლი დათესე, რა ვუყოთ, თუ ყველგან სასურველ ნაყოფს ვერ გამოიღებს? ჯეჯილში განა ყველა ღერო იკეთებს თავთავს? მოსავალი მაინც დიდია!

ორეულმაც იმედიანად შემოხედა სარკიდან.

...სრულ ცხრა საათზე სანდრო ოლქკომის კომენდატურაში იყო და გაუკვირდა კიდეც გუშაგის პასუხი: მდივანი კარგა ხანია მოვიდაო. ყოველთვის დილაადრიანად მოდის თურმე. ზოგჯერ თუ დაიგვიანებს, უთუოდ რომელიმე საწარმოში, ან კოლმეურნეობაში გამოივლის. სანდროს დაინტერესებამ გუშაგი უფრო აალაპარაკა: — საოცარი ენერგიის კაცია ჩვენი მდივანი, დაუღალავი, შეუპოვარი, წარმოებასა თუ დაწესებულებებში მოულოდნელად იცის გამოჩენა. ამავე დროს იშვიათად ნახავ, კაბინეტში არ იყოს!

გუშაგის საუბარმა იმედით აღავსო სანდრო. პირადობის მოწმობა სთხოვა, საშვი ამოუწერა და მეორე სართულზე ასასვლელისაკენ მიუთითა. დარბაიძე ხალდაფენილ მარმარილოს კიბეს აუყვა და მუშამბაგადაკრული კარები შეაღო. მაგიდასთან მჯდარი გოგონა გაზეთებს ათვალიერებდა. სანდრო თავაზიანად მიესალმა.

— ჯერ მიმიღებს? — ჰკითხა გოგონას.

— არ ვიცი, მოვახსენებ. ვინ ბრძანდებით?

სანდრომ უთხრა, ვინც იყო და გოგონა ტყავგადაკრულ ორმაგ კარებში გაუჩინარდა.

მარტოდ დარჩენილი სანდრო სკამზე ჩამოჯდა და მოსაცდელი ოთახი შეათვალიერა. კარებთან, სადაც გოგონა შევიდა, მინის ფირნიშზე ოქროსფერი ასოებით ეწერა: „საქართველოს კპ მტრედიანის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი“. კარები გაიღო და შებრძანდითო, უთხრა ქალიშვილმა. სანდრომ გოგონას ხმადაბლა მდივნის სახელი ჰკითხა.

— გრიგოლ ნიკალაევიჩ! — იყო პასუხი.

— ნიკალაევიჩ თუ ნიკოლოზის ძე? — ღიმილით ჩაილაპარაკა სანდრომ გოგონას გასაგონად და კაბინეტის კარის სახელური მოსწია. კარი გაიღო თუ არა, პირველად თვალს მოხვდა მოპირდაპირე კედლიდან, მოქანდულ ჩარჩოში ჩასმული, ლენინის დიდი, ფერწერული პორტრეტი. ქვემოთ, მოზრდილ საწერ მაგიდასთან, რომლის წინ მწვანე მაუდგადაფარებული და მაღალზურგიანი სკამებით გარშემორტყმული გრძელი მაგიდა იდგა, ჩია ტანის, შუახნის კაცი იჯდა და ქაღალდებს ჩაჰკირკიტებდა. მაგრამ იგრძნო თუ არა უცხო პირის შემოსვლა, თავი მიანება საქმეს, წამოდგა, თავის მაგიდას გამოცდა, მოსულს თავაზიანად ხელი ჩამოართვა და,

დაბრიანდითო, სკამისაკენ მიუთითა. თვითონ თავის ადგილს დაუბრუნდა და ნელი ხმით უთხრა: გისმენთ!

მაგრამ ამ დროს აწკრიალდა ტელეფონი. მდივანმა ყურმილი აიღო და რამდენიმე წუთს საუბარი გაიბა. ტელეფონმა თითქოს გაუგო სანდროს, რომ ეძნელებოდა პირველად შეხვედრილ პარტიულ ხელმძღვანელთან საუბრის უცებ დაწყება და ზარის წკრიალით წამოეშველა.

ვიდრე მდივანი ტელეფონით ლაპარაკობდა, სანდრო ცოტათი შეეჩვია უცნობ გარემოს და სათქმელიც უფრო მოისაზრა, იგი თვალს არ აშორებდა მდივნის სახეს, რომელმაც მაინცადამაინც კარგი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა მასზე. ტანმორჩილი, ხმელ-ხმელი, შესამჩნევად შავგვრემანი, საფეთქლებთან ჭაღარაშერეული, მაღლა ავარცხნილი, მოუხეშავი თმა, უსანდომო ტუჩები. ოდნავ გუნება წაუხდა, იმედიც დაჰკარგა თითქმის, მაგრამ ახლა რაღას იზამს, რაკი მოვიდა, ეტყვის ბარემ თავის სათქმელს.

მდივანმა ყურმილი დადო და ისევ სანდროს მიაპყრო ყურადღება.

— დიახ, გისმენთ!

— მე თბილისში ვცხოვრობ, — დაიწყო სანდრომ ნელი ხმით, — წარმოშობით ამ ოლქიდან ვარ, სოფელი კეთილაური...

— წკრრრ... — აწკრიალდა ისევ ტელეფონი, მდივანი კვლავ დაწვდა ყურმილს, ჩანდა, რომელიღაც რაიკომიდან ელაპარაკებოდნენ. ხმაში ცოტა გაჯავრება შეეტყო. გაჯავრება ხმის აწევით კი არ გამოუხატავს, არამედ ტონის დადაბლებაში. ეს, ცოტა არ იყოს, ეუცხოვა სანდროს, მას უფრო მეტად მყვირალა ხელმძღვანელები უნახავს.

ტელეფონზე საუბარი დასრულდა, მდივანი ისევ სანდროს მიუბრუნდა:

— შემდეგ!

— დიახ, მე კეთილაურის მცხოვრები ვიყავი, იქ დავიბადე და ბავშვობა გავატარე. პირველი სამსახურიც იქ დავიწყე და საზოგადოებრივი მუშაობის ნათლობა, როგორც კომკავშირელმა, იქ მივიღე. სამწუხაროდ, შემდეგ დავშორდი; დიდი ხანია არ ვყოფილვარ, ახლა ჩამოვედი მხოლოდ.

— წკრრრ... — კიდევ აწკრიალდა ტელეფონი, ისევ გაწყდა საუბრის ძაფი და სანდროს კვლავ დაერღვა აზრის ქსოვილი. მერე ხელახლა განმეორდა:

— შემდეგ?

— როგორც ვთქვი, სოფელში ჩამოვედი დასასვენებლად და უნდა მოგახსენოთ, რომ ცუდი შთაბეჭდილებები შემექმნა...

კაბინეტის კარი გაიღო, გოგონა შემოვიდა:

— გრიგოლ ნიკალაევიჩ! პირდაპირი ტელეფონი დაზიანებულა და საერთო ტელეფონზე გთხოვენ რაიონიდან! — მდივანმა ახლა სხვა აპარატიდან აიღო ყურმილი.

ისევ დაირღვა ამბავის ქსელი. სანდროს, ცოტა არ იყოს, სიბრაზე შეეპარა, ასე არაფერი გამოვაო, იფიქრა. მდივანმა დაამთავრა ლაპარაკი და განაგრძეო, კვლავ მიმართა სანდროს.

— ასე ვერ განვაგრძნობ, ამხანაგო გრიგოლ! მე თქვენთან ვრცელი სასაუბრო მაქვს, სერიოზულ, საზოგადო საკითხზე და არა რაიმე პირადი სათხოვნელი. თუ შეიძლება, სხვა დროს მიმიღეთ, როცა ტექნიკა ხელს ვერ შეგვიშლის!

მდივანს გაეღიმა, — აბა რა გიყოთ, ხომ არ შეიძლება არ ვუპასუხო?! შეგეძლებათ გვიან მოხვიდეთ, 12 საათისათვის?!

— ღამითაც მუშაობთ?!

— ხელმძღვანელისათვის განა შეიძლება განსაზღვრული დრო არსებობდეს?!

— დიდი სიამოვნებით! უსაზღვროდ დამავალებთ, თუ სწორედ სიმშვიდეში მასაუბრებთ თქვენთან. მნიშვნელოვანი რამ მოვიფიქრე, ჩემს სოფელს მინდა მივხედო... საღამოს უთუოდ გეახლებით!

მდივანმა მაგიდაზე ღილს თითი შეახო, ოთახში გოგონა შემოვიდა.

— გადაეცით, ეს ამხანაგი საღამოს გამოატარონ ჩემთან! — გოგონა უხმოდ გაბრუნდა. — ახლა მაინც უნდა წავსულიყავი, კოლმეურნეობაში კრება მაქვს დანიშნული!

...იმ დღეს სანდრომ ბევრი იხეტიალა ქალაქში, ბაღის ხეივნებშიც საკმაო ხანს იარა და საკვირველი ის იყო, რომ ერთი ნაცნობიც არ შეხვედრია. მხოლოდ ორიოდე მის ყოფილ სტუდენტს წააწყდა, მახლობელ სოფლებში მუშაობენ თურმე მასწავლებლად. სამსახურის საქმეზე ჩამოსულან დღეს მტრედიანში.

„საოცარია, ჩემი სიჭაბუკიდან დღემდე რამდენი ახალი თაობა გამოვიდა ცხოვრების სარბიელზე. რა პატარა დროა საჭირო საზოგადოების შესაცვლელად. რა ჩქარა მიჰქრის წუთისოფლის დაუდგრომელი მდინარე და ვერავითარი მნიშვნელოვანის გაკეთებას ვერ ვასწრებთ!“

მოსწყინდა მარტო ხეტიალი. „ეხ, დამღლელია უსაქმობა!“

ისევ სასტუმროს მიაშურა, წამოწვა და ახალნაყიდი გაზეთების თვალიერება დაიწყო. ერთხანს „პრავდა“ იკითხა, შემდეგ „ლიტერატურნაია გაზეტას“ გადაავლო თვალი, ბოლოს „კომუნისტის“ ერთმა ვრცელმა ნარკვევმა შეიყოლია. „კომუნიზმის პირველი ნიშნები“ — ასეთი იყო ნარკვევის სათაური. გაზეთის მთელი გვერდი ეჭირა. ავტორს მრავალი ფაქტი მოჰყავდა, რა დიდი ეკონომიური წარმატებისათვის მიუღწევია სოფელ შრომის კოლმეურნეობას, როგორ ერთსულოვნად ილწვიან თურმე იქ ადამიანები საერთო საქმისთვის, აუგიათ საკუთარი ელექტროსადგური, ელექტროწისქვილი, კულტურის სასახლე, ადგილობრივი

რადიოქსელი, შესანიშნავი სკოლა, მდიდარი ბიბლიოთეკა, თითქმის ყოველდღიურად აჩვენებენ კინოსურათებს, და უჩვეულო ის არის, რომ ხალხი არაფერში ფულს არ იხდის. სინათლე — უფასოდ, წისქვილი — უმინდოდ, კინო-თეატრი — უბილეთოდ, რადიო და ჟურნალ-გაზეთებიც ასევე.

„როგორ თუ უფასოდ?!“ — შეესიტყვა თავისთავს სანდრო და მხოლოდ ნარკვევის ბოლო აბზაცში გაიგო, რომ ყოველივე ამას თურმე საერთო შემოსავლიდან ანაზღაურებს კოლმეურნეობა. ასე დაუდგენია იმ სოფლის მშრომელთა საერთო კრებას.

ნარკვევმა ერთგვარი შური აღუძრა სანდროს. თუმცა ეს არ იყო ისეთი შური, საძრახისად რომ ითვლება, ეს მხოლოდ კეთილი შური იყო. კაცს შეეხარბა უბრალოდ ასე მოწყობილი და წელგამართული სოფელი.

„იქაური ბუნებრივი პირობები ნუთუ იმდენად უკეთესია, რომ ასეთი დიდი განსხვავება ჩემს სოფელთან შედარებით? არა, საქმე სხვა რამეშია. ხელმძღვანელთა უნარიანობაა მთავარი. ნუთუ ვერ მოვესწრები, ჩემი სოფელიც ასე კეთილმოწყობილი იყოს და ჩემს მეზობლებსაც ჰქონდეთ კომუნიზმის პირველი ნიშნები?!“

სანდროს გონებაში ნარკვევის შინაარსი გრძელდება. ასე გასინჯეთ, თითქოს კითხულობს კიდეც იმ ნარკვევს, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ სწორედ მის სოფელზე დაიწერება. „უკაცრიელი, უტყეო, გადამხმარი გენათლის გორა და ნასოფლარი დაფნის მწვანე პლანტაციებმა მოჰქარგა, რაიც დიდ შემოსავალს აძლევს სოფელს. ბუკნარას დამშრალ ხეობაში კვლავ ახმიანდა მდინარე, საკუთარმა ჰიდროელექტროსადგურმა გააჩირაღდნა კეთილაური არემარე, კულტურის სახლში უფასოდ აჩვენებენ კინოსურათებს...“ ასე იქმნება ოცნებაში ჯერ კიდევ დაუწერელი ნარკვევის სტრიქონები.

ფიქრებში გართულ სანდროს ჭერზე მიშტერებული თვალი დაეღალა და თვლემის ჩრდილი წამოეპარა. გაშლილი გაზეთი თავისთავად დაეფარა სახეზე, ძილის მსუბუქმა ფრთებმა უჩუმრად გადააფრინეს სიმშვიდის უსასრულობაში.

...გამოეღვიძა თუ არა, მაშინვე საათს დახედა, იფიქრა, ხომ არ დაღამებულაო. მეშვიდე საათი იყო. წამოდგა, წყალი შეისხურა და ქუჩაში გამოვიდა. მისთვის საინტერესო წუთებამდე ჯერ კიდევ ხუთი საათი იყო დარჩენილი. ო, ეს საათი! როგორი თავდაჭერილი და მოკრძალებულია დროის მიმართ, წინ არასოდეს უსწრებს, მუდამ ფეხდაფეხ მიჰყვება. არ ესმის, რომ ზოგჯერ გასწრებაც საჭიროა. თუ საქმე მოითხოვს, აუცილებლად უნდა გაასწრო დროსა და მანძილს! მაგრამ რა უნდა ელაპარაკო ცივ ლითონს?!

სანდრო ბაღში შევიდა. შესანიშნავი საღამოა. ნიავი კბენსო, ვერ იტყვი, ოღონდ გაგრძნობინებს, რომ შემოდგომის შუაგულია. კინოთეატრში შესვლა გადაწყვიტა, დროსაც მოვკლავ და რაიმე ახალ სურათსაც ვნახავო. სეანსის დაწყებამდე ჯაზორკესტრს მოუსმინა. რამდენიმე ნომერს ძლივს გაუძლო, ესტრადაზე გამოსული გადაბერებული მსახიობის ნაძალადევი და ულაზათო ღიმილი ვერ აიტანა. სცენასთან მივიდა ახლოს და იქიდან გამოხედა დარბაზს. გაოცდა, რომ სულგანაბული უსმენდა ხალხი ამ უთავბოლო და გულისამრევ ღრიანცელს; ბევრს სიამოვნების ღიმილიც კი დასთამაშებდა სახეზე!

„ჰაი, დედასა, იავნანათი გაზრდილი ხალხი და ფალიაშვილის მუსიკის პატრონი რას უსმენს და რით ტკბება!“... — გახმაურდა აზრი გულში. ამ დროს ესტრადაზე მამაკაცი გამოვიდა და მამლისყივილისებურად დაიწყო სიმღერა. ამას კი ველარ გაუძლო სანდრომ და მეკარეს თხოვა, თუ შეიძლება სეანსის დაწყებამდე ჰაერზე გავისეირნებო, მაგრამ გარეთაც ვერ მოიშორა ჯაზის უთავბოლო ხმაური.

როგორც იქნა მოახლოვდა კინოს დაწყების დრო.

არც მაყურებელთა დარბაზში აღმოჩნდა ვინმე ნაცნობი; ეს სიამოვნებს კიდეც. ახლა არ აქვს წილადობილა საუბრის თავი. ამ სიმრავლეში მარტოობა ურჩევნია, მისი განწყობილება ახლა არ საჭიროებს გართობას. აქ გასართობად კი არ შემოსულა, დრო უნდა მოჰკლას.

დარბაზი ჩაბნელდა, სეანსი დაიწყო. საზღვარგარეთულ სურათს უჩვენებდნენ, აი ისეთს, ყველას რომ ერთნაირი შინაარსი აქვს: ცოლი და ქმარი, საყვარელი, ღალატი, ათასგვარი თვალთმაქცობა, ავხორცობის ცხოველური ჟინი, სქესის გაშიშვლება, ადამიანების სწრაფვა უკან — ველურობისაკენ...

ეს უცხოური სურათები თითქმის ერთნაირ ამბავზეა აგებული და რადგან ახალი არაფერი იყო, კინოთეატრიდან ადრე გამოვიდა, ისევ ბაღში ყოფნა ამჯობინა.

ამასობაში მეთორმეტე საათიც მიიწურა.

ათი წუთით ადრე გამოცხადდა კომენდატურაში და ხელახალი საშვით დინჯად აუყვა მარმარილოს საფეხურებს. ისევ იმ მუშამბიან კარებში შევიდა.

— თქვენ გელოდებათ მდივანი! — სიტყვა შეაგება გოგონამ.

სანდრომ ახლა უფრო თამამად გამოაღო კაბინეტის კარი.

მდივანი შუა ოთახში იდგა, დიდი ხნის ნაცნობ-მეგობარივით შეხვდა სანდროს. ხელი ჩამოართვა და სავარძელზე მიუთითა, „დაბრძანდითო“ — და თვითონაც იქვე ჩამოჯდა, პირდაპირ. მათ შუა პატარა მრგვალი მაგიდა იდგა.

რომელსაც ძვირფასად მოხატული კერამიკული თასი ამშვენებდა, იქვე უცხოური ჟურნალები ელაგა.

სანდრომ თავისუფლად იგრძნო თავი. წინასწარ დაინახა თითქოს თავისი ფიქრების ხორცშესხმა.

— აბა, ბრძანეთ, ამხანაგო დარბაიძე, რის თქმაც გსურთ! — და მდივანი თვალებში ჩააცქერდა.

სანდრომ მისდაუნებურად ტელეფონებიანი მაგიდისკენ გაიხედა. მდივანი მიუხვდა სანდროს, გაეღიმა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

დარბაიძემ დილით შეწყვეტილი საუბარი განაგრძო.

— როგორც მოგახსენებდით, დიდი ხანია არ ვყოფილვარ მშობლიურ სოფელში. ამ ერთი თვის განმავლობაში ღრმად ჩავიხედე მის ცხოვრებაში და ბევრი რამ არასასიამოვნო დავინახე. მთელი საქართველო მომივლია, საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებშიც ვყოფილვარ, მრავალი მოწინავე კოლმეურნეობა მინახავს, ჩამორჩენილებსაც ბლომად შევხვედრივარ, მაგრამ ისეთი უფერული ცხოვრება, როგორიც ჩემს სოფელში დამხვდა, ვერ წარმომედგინა. მართალია, მას არ აქვს განსაკუთრებული ბუნებრივი პირობები, როგორც ეს საქართველოს ზოგიერთ სხვა კუთხეს გააჩნია, მაგრამ ისე ცუდიც არა, მას რომ დავაბრალოთ ყველაფერი. ჩემს სიჭაბუკეში შესანიშნავი ტყეები, მორაკრაკე წყაროები, მდინარე ამშვენებდა იქაურობას, ბაღ-ვენახები საკმაოდ ჰქონდათ და ყანებსაც არა უშავდა. კოლმეურნეობის ჩამოყალიბების შემდეგ, ყველგან ერთიორად გაიზარდა ნაყოფიერება. აქ კი სამწუხარო სურათი ვნახე: სოფლის ერთი დიდი უბანი ნასახლარებად ქცეულა, გაუჩანაგებიათ ასწლოვანი ტყეები, უდაბნოსავით გატიტვლებულა მთების კალთები, სადღაა წყაროები, ან სოფლის ჩხრიალა მდინარე? ასე გასინჯეთ, საჩრდილობელი ხეებიც კი მოუჭრიათ. როგორც თანასოფლელებმა მითხრეს, ერთობ ბევრს შრომობენ თურმე, მაგრამ სასურველ შედეგს მაინც ვერ აღწევენ. რა მიღწევებზე შეიძლება ლაპარაკი, როცა სოფელში მშრომელი თითქმის აღარავინაა, სიკვდილს ჩამორჩენილი ორიოდე მოხუცი და ქვრივი დედები როგორ გასწვდებიან ამოდენა სამუშაოს? ზოგჯერ მოწაფეებს ძლდენენ სწავლაზე; ბავშვების შრომას რა ნაყოფის მოტანა შეუძლია?!

ბოდიშს ვიხდი, შორიდან დავიწყე, მაგრამ..

— ბრძანეთ, ბრძანეთ! ყველაფერი თქვით. რამდენ ხანსაც გნებავთ ილაპარაკეთ! — მდივანს დაინტერესება შეეტყო და სანდრომაც, რაკი გულისხმიერი ხელმძღვანელის წინაშე იგრძნო თავი, ახადა გულს სარქველი!

— სოფელზე ახლა ნაკლებად ფიქრობენ მისი შვილები; წამოიჩიტებიან თუ არა, ქალაქში გარბიან. კოლმეურნეობის თავმჯდომარე თუ სხვა მესვეურები ჩვენი სოფლისა, საკუთარ ჯიბეზე მეტს ფიქრობენ, ვიდრე საერთო საქმეზეო, მითხრეს გლეხებმა. მართალი გითხრათ, გული მწყდება, მშობლიური სოფლის მიღწევებით რომ ვერ ვამაყობ!

მოგეხსენებათ, არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარებამ ქართული სოფელი საკმაოდ შეამცირა გლეხობისაგან. ჩვენი ინდუსტრიის განვითარება ახლაც ბლომად იზიდავს სოფლის ხალხს. არსებითად ხომ სულ ერთია, მტრისაგან შემცირდება, თუ მოყვრისაგან?! დიდი საფრთხის წინაშეა სოფელი. ჩემგან არ გესწავლებათ, მაგრამ სოფელი ძარღვია ერისა; ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ისტორია მხოლოდ სოფელმა შექმნა: ის აწვდიდა საზრდოს ქვეყანას, გმირებს უზრდიდა სამშობლოს! უდიდესი შემოსევების დროსაც სამომავლო ძალას უფრო მეტად სოფელი ინარჩუნებდა, რასაც შემდეგ აღვივებდა, ზრდიდა, ავითარებდა! ახლა ახალგაზრდობა სწავლობს და სამუშაოდ არ მიდის სოფელში, აგრონომიული განათლების მქონენიც კი თავს არიდებენ სოფელს. ჩემი ფიქრით, ეს იმის ბრალია, რომ ბევრ კოლმეურნეობას არა ჰყავს კარგი, გულშემატკივარი ხელმძღვანელი, რომელსაც უნდა ბაძავდნენ სახალხო საქმის ერთგულებაში. შიში არ შეიქმს ყოველთვის სიყვარულს!

რა თქმა უნდა, რომ დიდად მნიშვნელოვანია აგრონომების, ზოოტექნიკოსების, ექიმებისა თუ ინჟინრების სოფლად გაგზავნა, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, სოფელს ყავდეს ხელმძღვანელობის ხელოვნებას დაუფლებული ადამიანები, რომელთაც შეეძლებათ წინამძღოლობა ხალხისა, ვის სიტყვასაც ადამიანები გულწრფელად ენდობიან და დაუჯერებენ. უთუოდ მერწმუნებით, რომ ყველას არ შესწევს ამის უნარი, ამაში განსწავლაც საძნელოა, ამისათვის უნდა დაიბადო მხოლოდ. ისეთი პიროვნება კი, რომლის საზოგადოებრივ საქმიანობას არავინ იცნობს და ხალხის სიყვარულს არ იმსახურებს, არ შეიძლება იყოს მასების ხელმძღვანელი!

ჩემს სოფელს არ აქვს ელექტროსინათლე, სრულიად არ უვარგა გზები, საკოლმეურნეო შრომას გაურბიან, საკმაოდ ჩამორჩებიან კულტურულ საქმიანობაშიც. მარტო გეგმების შესრულება ხომ არაა ცხოვრება?! პარტიისა და მთავრობის ზრუნვა ხალხზე მინდა რომ კეთილაურშიც იგრძნობოდეს უფრო მეტად. ამიტომ გადავწყვიტე, ჩემს სოფელში დავბრუნდე სამუშაოდ, გვერდში ამოვუდგე მეზობლებს, გავიყოლიო თანასოფლელები კოლექტიური შრომის აღმავალ გზაზე.

ბევრი გამოუყენებელი მიწაა ჩვენთან, ნასოფლარი თუ ნატყევარი. ასეული ჰექტარი უნაყოფო ყამირადაა ქცეული. თუმცა მწირი

ნიადაგია და ზოგს ეეჭვება კიდეც სასარგებლო კულტურებისათვის მისი გამოყენება, მაგრამ, ჩემი დაკვირვებით, იქ კარგად იხეირებს დაფნა. უტყუარი საბუთიც მაქვს ამისი. დაფნის ფოთოლი ხომ ძვირფასი კულტურაა და შრომასაც არ საჭიროებს ბევრს. წარმოიდგინეთ, ასეული ჰექტარი დაფნის პლანტაცია რა უხვ დოვლათს მისცემს სამშობლოს და სოფელსაც როგორ გამართავს წელში!

ამიტომ მოგმართავთ **წინადადებით, რომ კეთილაურში,** იმ გამოუყენებელ ყამირ მიწებზე მოეწყოს **დაფნის საზოგადო მეურნეობა .რაკამ**საც საქმე გაჩნდება, მჯერა, სხვა შვილებიც **დაუბრუნდებიან მშობლიურ სოფელს. ხალხი** რომ დაინახავს, მათი სიკეთისათვის დავბრუნდით, თქმა არ უნდა, უფრო გულიანად იშრომებს ქვეყნის საკეთილდღეოდ!

ასეთი ფიქრები გამიჩნდა, ძლიერ მსურდა თქვენთვის გამეზიარებინა. არას გეუბნებით შემდგომ საქმეებზე, რაც მაქვს განზრახული, ჩემი სოფლის გარდასაქმნელად. მე მდინარის დაბადებისა და ელსადგურის აშენების გეგმაც მაქვს, მაგრამ ამაზე შემდეგ!..

სანდრო გაჩუმდა. ისე მსუბუქად იგრძნო თავი, თითქოს მხრებიდან უდიდესი ტვირთი მოხსნოდეს.

მდივანი სავარძლიდან წამოდგა, უსიტყვოდ გაიარ-გამოიარა. ღრმად ჩაფიქრებულს კმაყოფილება დაეტყო. სანდრომ თვალი გააყოლა მდივნის ნაბიჯებს. პირველად შეამჩნია, რომ ოდნავ კოჭლობს, მაგრამ მისი ნაბიჯი არაჩვეულებრივად მტკიცე, რაღაც სხვანაირი, დამაჯერებლობის შთამბეჭდავი ეჩვენა. იგი შეჩერდა, მაგიდასთან მიდგმული სკამის ზურგს დაეყრდნო.

— მდაა! კარგი აზრია! მივესალმები თქვენს პატრიოტულ ინიციატივას! — შემდეგ მზერა სივრცეს მიაპყრო და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— დაფნის მეურნეობა!... ჩვენს ოლქში ასეთი არ არის! დიდებული აზრია! — მერე ფანჯრისაკენ გაიხედა, თვალები ოდნავ მოწკურა ,რაღაცაში დაეჭვდა თითქოს, მაგრამ უცებ მობრუნდა.

— კარგი! ხვალ დილითვე მოვდივარ იმ მიწების სანახავად! — ამ სიტყვებზე სამუშაო მაგიდასთან მივიდა, ტელეფონის ნომრები აკრიფა და მცირე ლოდინის შემდეგ ყურმილს დაბალი ხმით ჩაალაპარაკა:

— ჩემთან წამოხვალ დილით, მთიან სოფლებში!

„დიახ, უეჭველად, გრიგოლ ნიკალაევიჩ!“— ალბათ, ასე უპასუხა იმ ამხანაგმა. მდივანმა ყურმილი დადო და სანდროს მიუბრუნდა: — 8 საათზე აქ იყავით!

სანდრო სავარძლიდან თითქმის წამოხტა, გულმხურვალედ ჩამოართვა ხელი მდივანს და ფრთებშესხმულივით გაემართა კარებისაკენ.

მოსაცდელ ოთახში, სანდროს არც კი შეუნიშნავს, ორი მანდილოსანი ელოდებოდა მდივანთან შესვლას. ღიმილით ბაგეგაცისკროვნებულმა სანდრომ გოგონას თავი დაუქნია მადლობის ნიშნად და გასასვლელ კარებს მიაშურა.

— რა სთხოვა ნეტავი, ასე გახარებული რომ გამოვიდა ეს კაცი! — თქვა ერთმა მანდილოსანმა.

— კარგი სამსახური, ან ახალი ბინა მიიღო, ალბათ! აბა სხვა რა გაახარებდა ასე?! — მიუგო მეორემ.

იმ მანდილოსნებს რომ სცოდნოდათ, სანდროს არც ერთი უთხოვია და არც მეორე, ხომ გაეცინებოდათ გულიანად?!

ქუჩაში გამოსულ დარბაიძეს მთელი ქალაქი არ ჰყოფნიდა დასატევად. არაჩვეულებრივ ამაღლებულად იგრძნო თავი. „რა დიდი ბუნების კაცი ყოფილა, როგორ გულისხმიერად მომისმინა და თანაუგრძნო ჩემს კეთილ განზრახვას! ერთი ნახვით არ შეფასდება ადამიანი; დღეს დილით სულ სხვანაირი მეგონა და თურმე რა წინმხედველი ყოფილა. ლამაზია ყოველი მისი მოძრაობა, გამომეტყველება, სანდომიანი თვალები, ღიმილიც მიმზიდველი...

სანდრო სასტუმროსაკენ ჩიტის ფრთებით მიფრინავს, თითქოს პირველად ახლა დარწმუნდა, რომ შინაგანი კეთილშობილება გარეგნულადაც ალამაზებს ადამიანს, რომ არსებობს მშვენიერება თავისთავად, რომ ყველაფერი მშვენიერი და მიმზიდველია, თუ მას გახარებული და კმაყოფილი აღიქვამ!

ღამის პირველი სრულდება. სიჩუმით მოცულა ქალაქის ქუჩები. თითქმის აღარავინ დადის. მიუახლოვდა სასტუმროს, მაგრამ არა, ოთახში შესვლა არ შეუძლია. ახლა რა დაატევს მას ოთხ კედელშუა? მისი ბინა ახლა მთელი ქვეყანაა, უსაზღვრო, უკიდეგანო. ცოტა ხანს ივლის კიდევ სუფთა ჰაერზე, დიდხანს რომ ეფერებოდეს თავის ამაღამდელ შთაბეჭდილებებს, რომელიც იმდენად ძლიერია, ცოტათი უნდა დაგავიწყდეს კიდეც, რომ სიტყვებში ჩაატიო.

## ადგილის დედა

მეორე დილას უთენია ადგა სანდრო. გვიან დაწოლილს მაინც ფხიზლად ეძინა, გათენებამ არ დამასწროს, არ დამაგვიანდესო და გულს ჩაყოლილი შიში მალ-მალე აღვიძებდა. ასეთ დროს ადამიანს გრძელი ეჩვენება ღამე და ლოდინი თითქოს ანელებს დროის დინებას. უცნაური კია, როცა გინდა ჩქარა გავიდეს დრო, სწორედ მაშინ მიდის ნელა, ხოლო პირიქით თუა საჭირო, გგონია, ჩიტის ფრთებით მიფრინავს.

სანდრომ ადრიანად მოილია სასტუმროს ადმინისტრატორთან ანგარიშის გასწორება, სა-

საუზმეში შევლო და საოლქო კომიტეტისაკენ გასწია.

რვას ათი წუთი აკლდა. მდივნის შავადმოკრიალე მანქანა, ვეფხვივით მოშვილდული, შენობის წინ იდგა.

ორი წუთიც არ გასულა, გრიგოლ ნიკოლოზის ძე კარებში გამოჩნდა სანდროსთვის უცნობი კაცის თანხლებით.

— ოლქის საგეგმო კომისიის თავმჯდომარე; ეს კი ამხანაგი დარბაიძეა, რომლის სოფელშიც მივდივართ!

„უთუოდ ის კაცია, წუხელ მდივანმა ტელეფონით რომ დაავალა სოფელში წამოსვლა“ — გაიფიქრა სანდრომ.

მანქანაში ჩასხდნენ. შავი ვეფხვი მოწყდა ადგილს და გაფრინდა. რამდენიმე წუთში ქალაქის გარეუბნებიც ჩამოიტოვეს. თვალწინ გადაიშალა შემოდგომის ფერებში გახვეული რიონის ველი, უნაპირო ზღვასავით ატალღებული ყანები, აქა-იქ ზვინებად დამდგარი. ლარივით გაჭიმული გზატკეცილი ხან ხეხილით დახუნძლულ ეზოებს ჩაუვლიდა, ხანაც კოლმეურნეობათა ნაყოფსავსე ფართობებს გადასჭრიდა.

— მგონი, წლევანდელმა მოსავალმა მოლოდინს გადააჭარბოს! — სიჩუმე დაარღვია მდივანმა.

— დიახ, დიდი მოსავალია, გრიგოლ ნიკალაევიჩ, გასულ წლებთან შედარებით ბევრად გადააჭარბებს! — პასუხობს თავმჯდომარე.

— მაგრამ, თუ თავი არ შეირცხვინეს აღებასა და შენახვაში, ზამთარს თუ არ ჩაუგდეს ხელში შრომით მონაგარი დოვლათი!—განაგრძო მდივანმა. — აი, გახედე სამხრეთ კავკასიონის თრთვილდაყრილ მწვერვალებს? ერთი თვეღა დარჩა ზამთრამდე და განა ერთი თვე ეყოფა ამდენი მოსავლის აღებას?!

— წელს კოლმეურნეობები უფრო მომზადებულნი შეხვდნენ შემოდგომას, ვფიქრობ, თავს არ შეირცხვენენ! — იმედს არ კარგავდა თავმჯდომარე.

— ზოგიერთ კოლმეურნეობას მუშახელი არ ყოფნის! უმუშახელოდ რამდენჯერ არცთუ ცოტა მოსავალი დაღუპულა!

აქამდე მდუმარე სანდრო მორიდებულად ჩაერია ლაპარაკში.

— გრიგოლ ნიკოლოზის ძევ, ყველა სოფელში იგრძნობა მუშახელის ნაკლებობა. ქალაქები კი, და მეტადრე თბილისი, საოცრად გადატვირთულია იოლ შრომას თავშეფარებული ადამიანებით. ქალაქებში ბევრია ხელოვნურად შექმნილი სამსახურები, რომლითაც არავითარი დოვლათი არ იქმნება ქვეყნისათვის.

— მართალი ხართ! ქალაქებიდან ხალხი უნდა დაუბრუნდეს სოფლის მეურნეობას!

სანდროს უნდოდა საუბარი გაეღრმავებინა, მაგრამ ამ დროს მანქანამ ხიდი გადაიარა მდინარეზე, და სხვა რაიონის ტერიტორია დაიწყო. მდებარეობის შეცვლამ და მთის სოფლების გამოჩენამ საუბრის თემა შესცვალა.

— გზები არ გვივარგა აქეთ! — თქვა მდივანმა, — ამხანაგები სუსტად მუშაობენ ადგილებზე. კარგი გზა დიდი ფაქტორია ქვეყნის სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ასამაღლებლად!

— ჩემს სოფელში სრულიად უვარგისია, მანქანაც ვერ ავა იმ ადგილებში, რომლის სანახავადაც თქვენ წამობრძანდით! — უთხრა სანდრომ.

— ფეხით ხომ ავალთ? ჩვენი წინაპრები თითქმის სულ ქვეითად დადიოდნენ, მაგრამ საქვეყნო საქმეს მაინც გულით აკეთებდნენ.— ცოტა პაუზის შემდეგ ისევ განაგრძო: — სამწუხაროდ, ბევრი ჩვენგანი მხოლოდ მანქანის ფანჯრებიდან ხედავს ქვეყანას. კაცმა ყველაფერი საკუთარი თვალით უნდა ნახო, თავისივე ბუდეში უნდა გაიცნო ყოველგვარი საქმე, თუნდაც ბევრჯერ მოგიხდეს ფეხით სიარული; მხოლოდ მაშინ გააკეთებ სწორ დასკვნას და შედეგსაც სასურველს მიაღწევ!.. ზოგ ამხანაგს ეს ვერ შევაგნებინე ჯერ კიდევ!...

„რა დიდებული კაცი ყოფილა, ჩემს გულში ზის! ამასთან სოფელში კი არა, ჩრდილო პოლუსზე წავალ სამუშაოდ. სწორედ რომ აღმაფრთოვანებელი იქნება მისი ხელმძღვანელობით მუშაობა!“... — ფიქრებმა გაიყოლია სანდრო.

...როგორც იქნა, მანქანა გაუმკლავდა კეთილაურის აღმართებს და სკოლის მახლობლად შედგა. გადმოვიდნენ თუ არა, მდივანმა სკოლის შენობას დაადგა თვალი.

— საკმაოდ დაძველებულა, ალბათ, ვეღარ აკმაყოფილებს საშუალო სკოლის მოთხოვნილებებს! — მდივანი თანმხლებს მიუბრუნდა,— სკოლების მშენებლობის პროექტს ერთი ახალი შენობაც დაუმატეთ აუცილებლად!

თანმხლებმა უბის წიგნაკში ჩაინიშნა ნათქვამი.

— კარგი მდებარეობა ჰქონია ამ სოფელს. სამწუხაროდ, დღემდე არ მომიხდა აქ მოსვლა! როგორც თქვით, ტყეები ნაკლებად ყოფილა მთებზე, ჩანს, მხოლოდ მოჭრაში უმარჯვიათ აქაურებს!

— აქ კიდევ არა უშავს! იმ სერს გადაღმა კი, — სანდრომ გენათლის გორისაკენ გაიშვირა ხელი, — სრულიად აღარაა! სამწუხაროდ, ეს სოფელი შეჩვეული არაა საქმიანი ხელმძღვანელების სტუმრობას, მათ გულისხმიერ დამოკიდებულებასა და დახმარებას. დღესაა მხოლოდ პირველი შემთხვევა!...

უცხო მანქანა გაჩერებისთანავე შენიშნა მდივანმა. სამასწავლებლოს ფანჯრიდან დააკვირდა, სანდრო რომ დაინახა, „ვინ უნდა მოჰყოლოდაო“, გაიფიქრა და სასწრაფოდ გამოვიდა სტუმრების შესაგებებლად.

— ამ სკოლის დირექტორი გახლავთ! —

გააცნო სანდრომ მირიანი სტუმრებს. მირიანმა მაშინვე იცნო ოლქკომის მდივანი და საგეგმო კომისიის თავმჯდომარე.

— როდინდელი შენობაა? — ჰკითხა მდივანმა მირიანს.

— დიდი ხნისაა, საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშია აგებული და, გრიგოლ ნიკოლოზის ძევ, ვერ დავაჯერე, რაიონის განათლების განყოფილება, — დრო იხელთა მირიანმა, — რომ აუცილებლად გვჭირდება სკოლის ახალი შენობა. იმედი გვაქვს...

— გექნებათ! — სიტყვა არ დაამთავრებინა მდივანმა.

მირიანი ბალღივით გაიბადრა, მადლობის თქმა დააპირა, მაგრამ მდივანმა აქაც დაასწრო:

— მანქანა აქ დარჩეს, ჩვენ წავიდეთ! — და ნელი ნაბიჯით განაგრძო გზა.

— კიდევ შეიძლება მანქანით ერთ კილომეტრზე! — თითქმის ერთხმად უთხრეს მარიანმა და სანდრომ.

— არა უშავს, ფეხით უმჯობესია! კოლმეურნეობის კანტორაც ვნახოთ. მოხუცი კოლმეურნეებიც წავიყვანოთ, გვირჩევენ რაიმეს, სოფლის მეურნეობა მათ უკეთ იციან!

ამ სიტყვებზე სანდროს გოჯასპირი გაახსენდა და მირიანს გადაულაპარაკა, როგორმე გოჯასპირი მოვნახოთო. მირიანი ჩქარი ნაბიჯით ჩაბრუნდა სკოლის ეზოში და მოსწავლე აფრინა გოჯასპირთან.

...კოლმეურნეობის კანტორაში მხოლოდ მოანგარიშე აღმოჩნდა.

მდივანი კოლმეურნეობის კანტორის ეზოთიც მიხვდა აქაურების წარმატებებს: უწესრიგოდ მიყრილ-მოყრილი სამეურნეო მანქანა-იარაღთა ნაწილები, აქა-იქ შერღვეული ღობე, ყავარშელანძღული ბეღლები და ღორის დინგით გადახნული წინამო.

„როგორ დამიშავებია, რომ აქამდე არ ვყოფილვარ აქ!“ — შემდეგ მირიანის მისამართით თქვა:

— გეტყობათ, სუსტად იბრძვით ადგილობრივი კომუნისტები!

— ჩვენს ბრძოლას რაიკომი არ თანაუგრძნობს. ისე კი, ჩვენი სიტყვა მგლის თავზე სახარების კითხვაა ამ კოლმეურნეობის მესვეურთათვის! ჩვენ მეტი რა შეგვიძლია?! — მორიდებული გამბედაობით თქვა მირიანმა.

— თქვენ ბევრი რამ შეგიძლიათ, მაგრამ, ჩანს, არ იყენებთ უფლებებს! ბრძოლაცაა საჭირო!

— თუ დაგვიჯერებენ და ყურად იღებენ ჩვენს მიერ შემჩნეულ ნაკლოვანებებს, მაშინ ბრძოლას შედეგიც მოჰყვება, მაგრამ ჩვენს კოლმეურნეობაში უსულგულობა ბატონობს! — ცოტა არ იყოს, ღრმად შესტოპა მირიანმა, — თუ ვინმეს რაიმე მიუთითე, ცდილობენ ცილისმწამებლად მოგვნათლონ და ხომ არ შეიძლება ყოველთვის დაამტკიცო ის, რასაც გუმანით ხვდები?!

მდივანი მირიანისაკენ შემობრუნდა:

— თქვენი ბრძოლა მოკლე ჰორიზონტით შემოგიფარგლავთ! ნუთუ კომუნისტმა, სკოლის დირექტორმა, ვაჟკაცმა ჩემამდე ვერ მოაღწიე, გეცნობებია შენი სოფლის ავ-კარგი! მეც ადრე მოვიდოდი და დღევანდელივით დავინახავდი ყოველივეს! ამხანაგმა დარბაიძემ გაჯობათ ყველას, ერთხელ ჩამოვიდა და თქვენზე უფრო დაინტერესდა აქაურობით!

არავითარი პასუხი არ შეჰკადრა მდივანს მირიანმა ამჯერად.

საუბარში კარგა მანძილით გაშორდნენ კოლმეურნეობის კანტორას. მდივანი ახლა საკარმიდამო ნაკვეთებით დაინტერესდა. ეზოებიდან უხვად და კალთასავსედ გამოიყურება შემოდგომა, ყველაფერს მზრუნველი ხელი ეტყობა.

მალე ავიდნენ სერზე, საიდანაც თითქმის მთლიანად მოსჩანს გენათლის გორა და სანდროს ნასოფლარი. აქ მათ გოჯასპირიც დაეწია და ახლა ხუთი ადამიანი გადაჰყურებდა იმ ადგილებს, სადაც, სანდროს აზრით, დაფნის პლანტაციები უნდა გაეშენებიათ.

— ეს გახლავთ, გრიგოლ ნიკოლოზის ძევ, ის გამოუყენებელი მიწები, რომელიც უწინ ერთობ ნაყოფიერი იყო, ახლა, როგორც ხედავთ, უდაბნოსავით უსიცოცხლოა. იქ ასვლა რომ შეგვეძლოს, — სანდრომ ხელი მიათითა გენათლის გორას, — ნათლად წარმოიდგენდით განზრახული მეურნეობის შესაძლებლობას.

— იქაც ავიდეთ! — თქვა მდივანმა და გოჯასპირს გადახედა: — ვითომ მე და თქვენ გვაჯობებენ ახალგაზრდები? რა მყინვარწვერი ეს არის?

— მე ნამდვილად მაჯობებთ ყველანი, — გაეპასუხა გოჯასპირი, — მაგრამ ღმერთმა გაგახაროს, ჩემო ბატონო ,თუ კი თქვენ ინებებთ, მეც გამოგყვებით როგორმე, იქნება, რამე სიკეთე მოუტანოს ამ სოფელს თქვენმა მობრძანებამ, თორემ, ჩემო ბატონო, სულ წავიდა ხელიდან აქაურობა!

— სიკეთე თქვენშია, შესაძლებლობა ბევრი გქონიათ, მაგრამ მუშაობა არ ჰყვარებიათ თქვენს მეზობლებს; გაცილებით მეტი დოვლათის მიღება შეიძლება აქ! — დამარწმუნებლად ამბობს მდივანი.

— ვინღა იმუშაოს, ჩემო ბატონო, ახალგაზრდები სათოფეზე არ გვეკარებიან და ჩემისთანა ბებრებს რაღა შეგვიძლია აწი. ჩვენ უკვე მიმავალნი ვართ და პატრონი აღარავინ რჩება სოფელს! — მდივნის ყურადღებამ გაათამამა გოჯასპირი.

— ნუ გაგიტყდებათ გული, თქვენი გამოცდილება დიდად სასარგებლო იქნება, თუ გამოიყენებენ სათანადოდ! — მდივანმა მოხუცი გაამხნევა.

— ჩვენ ვინ რას გვეკითხება, ჩემო ბატონო! რომც შეგვეკითხონ, მაინც არაფერს დაგვიჯერებენ!

— მე გეკითხებით და თქვენს სასარგებლო რჩევას დავიჯერებ კიდეც! აი, თქვენი აზრით, რა შეიძლება გაშენდეს ამ მიწებზე, რა იქნება უფრო ნაყოფიერი? ამხანაგი დარბაიძე ამბობს, აქ მუხის ტყე იყოო; შევძლებთ თუ ვერა იმ ტყის აღდგენას?

გოჯასპირმა გულახდილად უამბო, რაც იცოდა და რისი გამოთქმაც შეეძლო.

...საქმიანმა საუბარმა გენათლის გორაზე ასვლა გააადვილა. ყველას გადაედო მდივნის ხალისიანი გუნება და დაღლა არ უგრძვნიათ. მაღლა ასულთ მომხიბლავი სანახაობა გადაეშალათ თვალწინ კავკასიონის თოვლიანი მწვერვალებისა და კვამლისფერი ქედების სახით, მდინარე რიონი და თვალუწვდენი კოლხეთის ველი. ხელისგულივით გამოჩნდა სოფელი კეთილაური, ყვითელ-მწვანედ აფერადებული ეზოებით, უტყეო მთებითა და წყალგამშრალი ხეობით.

მდივანს აქაურობა მოეწონა, შესაძლებლად დაინახა ამ მიწებზე დაფნის მეურნეობის მოწყობა. სარგებლიანობაც განსჭვრიტა მისი. „აქ მართლაც უნდა განახლდეს სიცოცხლეო" — ჩაილაპარაკა თავისთვის. მის თვალში სანდრო დარბაიძის პიროვნება ამაღლდა.

— ას ჰექტარზე მეტი იქნება, კარგი მეურნეობა მოეწყობა! — თავის თანმხლებს გაესაუბრა მდივანი. — ინჟინერ-მზომელები გამოგზავნეთ უახლოეს დღეებში. გააკეთებინე საპროექტო ნახაზები და ეკონომიური გაანგარიშებანი. ზუსტი ცნობა მომეცით პირველი მოსავლის მიღებამდე რამდენი დაჯდება მეურნეობა. დეტალები შემდეგ შეიძლება დამუშავდეს. ახალი წლიდან აქ უნდა დაიბადოს დაფნის დიდი მეურნეობა!

საგეგმო კომისიის თავმჯდომარე კვლავ უბის წიგნაკში ინიშნავდა მდივნის ნათქვამს.

...დაბრუნდნენ თუ არა სკოლასთან, მირიანმა გოჯასპირს ანიშნა, მდივანი დაპატიჟე, შენ როგორც უხუცეს კაცს, უარს არ გეტყვისო! გოჯასპირმაც ქართველი გლეხის გულწრფელობით თხოვა სტუმრებს, ცოტა ხანს ოჯახში წამობრძანდით, აქაური ღვინოც გასინჯეთო, მაგრამ ამჯერად სხვა საჩქარო საქმეებმა დასჯაბნა სტუმართმასპინძლობის ქართული ადათი.

მდივანი პირველად გოჯასპირს გამოემშვიდობა. შემდეგ მირიანს, სანდროს კი უთხრა:

— თქვენ, ალბათ, თბილისში წახვალთ. წლის ბოლოს ცეკას პლენუმზე ვიქნები, უთუოდ მნახეთ და ყველაფერს გეტყვით. ხომ იცით, ასეთი საკითხები ბევრ ინსტანციასთან საჭიროებს შეთანხმებას.

სანდრო დიდი მადლობით დაემშვიდობა ოლქკომის მდივანს და, გოჯასპირსა და მირიანთან ერთად, დიდხანს გაჰყურებდა თემშარაზე მიმავალ მანქანას, რომელსაც ამ სოფლის პირველი საქმიანი და საყვარელი სტუმარი მიჰყავდა.

☐ პირველი ნაწილის დასასრული ☐

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვახტანგ გორგანელი

# ორმოცდაათი

გულში არაგვის ტალღა ტრიალებს,
სულში მერცხლების მეფობს ჭლურტული.
შენი მშვენებით, შენი ტრფიალით,
შენი დიდებით ვარ დამუხტული.

სადაც ოცნების ვაღებ დარბაზებს,
სადაც სიკეთის ბარი დავკარი,
დაუსაბამოდ გადმოჩახჩახებს
ორმოცდაათი შენი ვარსკვლავი.

სად შრომით დაღლილს წყარო მენება
იამ გაშალა ნატვრის ფარჩები,
გადმოშრიალდა ცისარტყელებად
ორმოცდაათი ბროლის ჩანჩქერი.

წაველ, გზა შეკრეს თეთრმა გედებმა,
ტრფობის იარა გახსნეს ახალი,
ახლა ვდგევარ და ცეცხლი მედება
ორმოცდაათი მზეთუნახავის.

როგორ ექნება ქვეყნად ნაპირი
ამ წვას, ამ ძრთოლვას და ამ სიმღერას,
როცა ორმოცდაათი აპრილი
ჩემი სიცოცხლის არხში მიღელავს.

როცა კეთილი საქმე ბატონობს
და სიხარული ატანს ფუძემდის...
შენ რომ არ იყო, ჩემო სამშობლოვ,
ამდენ სიყვარულს ვერ გავუძლებდი.

მოდის წვიმა და მთა ივერცხლება,
მილივლივებენ მწვანედ მინდვრები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენი ენგური მკერდზე მეხლება
და ორმოცდაათ ცისკრად ვინთები.

აპყრობილი მაქვს მზისკენ ხელები,
დაბლა ჩამოდის ზეცა ანკარა.
შენი ალაზნის საწნახელებში
ორმოცდაათი რთველი ჩამდგარა.

კოლხეთის ვარდის კონებს ითვლიან
და ვერ უპოვნეს ბაღს დასაწყისი...
ერთი კი არა, ვერძებს ჰკიდიათ
ორმოცდაათი ოქროს საწმისი.

და განა მარტო ეს დღე დიადი
შენი მიღწევით არის ფრთასხმული,
ორმოცდაათი შენი ჩირაღდნით
განათებულა შორი წარსულიც.

დღეს, თავს იწონებს შენი იყალთო,
შენი გრემი და შენი გელათი.
წინაპართ ძვლებმაც გზა გაგინათონ
ამაღლებიდან ამაღლებამდის.

შორს შენგან, ცაო, თვალი ბოროტი,
დოვლათ-ბარაქით, მიწავ აღივსე.
საქართველოში ერთი ფოთოლიც
არ გამხდარიყოს მტრისთვის სამიზნე.

კვლავაც ხმა ჰქუხდეს მთათა შემძვრელი,
კვლავაც ეს დილა ასე აანთე.
ჩემო სამშობლოვ, გკოცნი, გეხვევი,
შენს მზეს ვემთხვევი ორმოცდაათჯერ!

და ვიდრე ორბის ფრთაში ვინთები,
ვიდრე ფრიალებს აფრა ოცნების,
გწამდეს, მამულო, ასე ვიქნები
შენი სიკეთის ბედზე მლოცველი.

სამარეშიაც შენს კარგს ვინატრი,
შენი სიცოცხლე გულს არ ემნელოს.
შენი ზეიმის, შენი სინათლის,
შენი დიდების ვსვამ სადღეგრძელოს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეგლარ მუჯირიშვილი

# გზა ბილიკიდან იწყება

## მოთხრობა

სასწავლო წელი დამთავრდა.

ნელის გული აუცრუვდა სკოლაზე. მთლიანად შეიცვალა და გადაწყვიტა სოფლიდან სულ წასულიყო.

არც ნუგზარის გეგმები დარჩა უცვლელი: მამა მთიდან უთვლიდა, — ცუდად ვარ და ცოტა ხნით ამოდიო. დედაც ერთთავად უჩიოდა ჯანმრთელობას. ხიზმიზიანობდა. ეტყობა, დაულეველ შრომას თავისი გაეტანა: დევქალი ერთბაშად მოეტეხა.

იმ დღეს მთიდან ჩამოსულ ფერმის გამგეს ნუგზარის მამაც ჩამოჰყვა. შეფერთხილიყო, მის წითელ, ღაჟღაჟა ლოყებს ოდნავ სიყვითლეც შეჰპარვოდა. თვალები ჩასცვივნოდა, თუ ადრე შორს მანძილზე შავხნულში შავ ბატკანს ამჩნევდა, ახლა სამას მეტრში შავი თეთრისგან ვერ გაერჩია. ხანგავლილ ექიმბაშებს იმედი მიეცათ: თუ ცოტას მიხედავდა მილილულ ჯანმრთელობას, მალე ყველაფერი დაუამდებოდა. მუხლებსაც უჩიოდა: ადრე თუ თავალმა ბილიკებს შეუსვენებლად აითავებდა, ახლა ყაირათი ღალატობდა, გული აღარ ერჩოდა.

საოცრად მოკრიალებულიყო ცა. გაცრეცილი ვარდივით ციმციმებდნენ ვარსკვლავები. სოფელს რა ხანია გაღვიძებოდა. მამლები მოღლილიყვნენ და აქა-იქ ჩახრინწული ხმით მაინც ჰყიოდნენ.

შვილის მთაში გამგზავრებამ მოხუცებს ძილი დაუფრთხო. ნაადრევად წამოიშალნენ, ცეცხლი გაალვიძეს, სამგზავრო თადარიგს შეუდგნენ. დედამ ერბოში ბიში გამოაცხო. ამას ხაჭაპური, ქადა და ნაზუქი მიაყოლა. მამამ ქაღალდში რაღაც შეახვია, ხურჯინში ჩაუდო. ნუგზარმა წიგნებიც ჩაილაგა. არც ტანსაცმელი დაივიწყა. თითქოს მთელი წლით მიდისო, ქვეყნის რამეებით გამოტენა ხურჯინი.

ხორცსავსე ლურჯა, ათასში ერთხელ რომ ჩამოჰყავდათ სოფელში, მოუსვენრად ტოკავდა, ტორებს სცემდა. მთის ნოყიერი ბალახით გაუმაძღარს თვალი აბიბინებული მთისაკენ ეჭირა.

მთის სიოს ქორფა, მუხლსუსტი ბალახის საამური სურნელება მოჰქონდა და ლურჯას ცხვირის ნესტოებში უღიტინებდა.

ლურჯა ტოკავდა, მოუსვენრად ფრუ-

ტუნებდა, პატარა ხმაურზე ფეთდებოდა.

მზე ის იყო ამოიწვერა, წითლად შეღება ამოსავალი და ჰორიზონტი თანდათან გაამუქა.

ფერმის გამგემ ვასო ადამაშვილმა ეზოში ცხენი შემოაგელვა, ყალყზე შეაყენა და ალვირის ტოტი მაგრად მოზიდა, —

— ჰა, ხალხო, რასა შვრებით, გვაგვიანდება!

სახლში იპატიჟეს, მაგრამ ვერას გახდნენ.

— მაგეებისთვის სადა მცალია? — თქვა და ცხენი გააბრუნა, ფერდებში ფეხი მოუთათუნა და ეზოდან ასკუპა.

ოდნავ კისერი მოიბრუნა და ეზოში მოფუსფუსე ნუგზარს დაუბარა, — გზას გავუდგები და დამეწიეო.

ნუგზარს ჩიჩინი რად უნდოდა, ლურჯა სასწრაფოდ შეკაზმა, ხურჯინი გადაჰკიდა, ჯიქურ მოახტა და მოხუცებს ნაუცბათევად დაემშვიდობა.

მამამ შეაჩერა.

— ამ ხურჯინში ვერცხლის ქამარია, ვასოს შეახსენე, ჩემს ყონაღ ორუჯთან გამოგყვება, მოკითხვა გადაეცი და უთხარი: ლექსომ საჩუქრად გამოგიგზავნა-თქო.

ნუგზარმა თავი დაუქნია და ლურჯა გააჯელვა.

მშობლებმა გზა დაულოცეს.

ლურჯამ ძალიანად გაიკამარა და ეზოდან შურდულივით გავარდა.

ხიდთან მხარმარცხნივ გაუხვია ნუგზარმა და ლურჯა ორსართულიან სახლთან მიაგდო. არავინ ჩანდა. იქნებ სახლში არც იყო? სახლში რომ დახვედროდა, მაინც რას ეტყოდა? აქამდის ვერა და ვერ მოიცალა, თავისი წუხილი ვერ გაანდო და, ახლა, როცა გზაზეა, ნელი უცებ მოაგონდა. იქნებ წუთით დაენახა, ეთქვა რამე. თუნდაც ერთი სიტყვა...

ეჰ, ამდენი ბედი ვინ მისცა?..

ცოტა ხანს იტრიალა, დაძახება ვერ გაბედა და ლურჯას ფეხის წვერი მოუთათუნა.

ვასოს ბედაური გოგმანით მიჰყავდა და თან გულსაამოდ ღიღინებდა. „მოხევის ქალო თინაო“-ს იმეორებდა. წამიდან წამზე და გულს ფიანდაზად უფარდაგებდა.

ნუგზარის სიახლოვე რომ იგრძნო, ცხენს ფერდებში ულიტინა, ოთხზე გადაიყვანა და გულზვიადად დასჭყივლა:

— ჰაიტ, შე ვერანავ! — კვლავ ქუსლი მოუთათუნა ფერდში.

ცხენი ყალყზე შედგა, თითქოს მის წინ ფიჩხის წნული მდგარიყოსო, კამარა გააკეთა, ისკუპა და კვლავ ოთხზე გადავიდა.

ლურჯამ თითქოს იგრძნო წინმსრბოლის ხვედრი, გამომწვევად ჩაიფრუტუნა, მერე გაინაბა და ერთბაშად ფეხებში ცეცხლი წაიკიდა.

წინმიმავალს დაეწია, უფრო და უფრო გაიჭიმა და სათოფე მანძილზე ჩამოიტოვა.

მთის კლაკნილ ბილიკს თავალმა შეეჭიდა.

— უჰ, შენი ჭირიმე, ცხენი კი არა, შევარდენი ხარ, შევარდენი! — თქვა ვასომ და თავის ცხენს მკვირცხლად შეუტია.

ნუგზარმა იგრძნო, რომ ფერმის გამგეს დიდად გაუსწრო, ხათრი არ დარჩესო, გაიფიქრა, ლურჯას სადავე მოუმოკლა და უკან მოიხედა.

ვასო ნელ-ნელა ეწეოდა.

ლურჯა შეაყენა.

— ცხენი კი არა, მერანია, მერანი! — ქება აღმოხდა ფერმის გამგეს, რომელიც ის იყო უახლოვდებოდა. — ჩვენს საძოვრებზე ბადალი არა ჰყავს. ორჯერ მოგვპარეს, ქვეყანა შევძარით, ძლივს ვიპოვეთ.

ნუგზარმა ალერსიანად გადახედა თავის ლურჯას და გავაზე ხელი მოუთათუნა.

ლურჯამ თითქოს იგრძნო პატრონის გულისთქმა, კისერი აიმაღლა და პირში ამოდებულ ლაგამს კბილებით კრაჭუნი აუტეხა.

— სწორუპოვარია, სწორუპოვარი! — არ ზარდებოდა ფერმის გამგეს, —

მამაშენს სთხოვდნენ, მოგვყიდეო, ერთხელ მეც შევაპარე, ახლოსაც არ მიმიკარა.

ერთი მთიდან მეორეზე გადაუხვიეს: ღორღნარ ფერდობებზე ბილიკი ჩაიკარგა. მგზავრები გელქაშად მისდევდნენ ნაგზაურს.

მერე განდაგან იარეს.

საამურად ბიბინებდა მტკაველა ბალახი.

მთას მოხავერდებულ თასმასავით ეხვეოდა ბილიკი. ხან მაღლა მიიწევდა, ხან დაბლა, — თითქოს წელში რაღაცა სიმძიმე ედო და აწუხებდაო, იდრიკებოდა.

თვალწინ ვეება ხონჩასავით გაიშალა საძოვრები.

საძოვრები კი არა ედემი გეგონებოდათ. თვალსა და გულს ეამებოდა ირგვლივ ჩამოწოლილი დუმილი, რომელსაც დროგამოშვებით რომელიმე მეცხვარის ღიღინი არღვევდა

2

მთის ჰაერმა უხამა.

ჯერ გულ-მუცელი აურია, მერე მადა გაუქრო.

რძის, მაწვნის, დელამოს, ყველისა და ხორცის სუნი ჭირივით შესჯავრდა.

— რა არის, ბიჭო, რა მოგდის? — ერთთავად კითხავდა ვასო და თვალი ვეღარ გაესწორებინა სანთელივით ჩამომდნარი ჭაბუკისათვის.

ნუგზარი მხრებს აიყრიდა ხოლმე და მხოლოდ ის დარჩენოდა ეთქვა, რომ ყველაფერი ეს გაივლიდა და სადარდებელი არაფერი იყო.

— ძალით ჭამე, ძალით! — არ ეშვებოდა ფერმის გამგე.

ნუგზარი კი, თითქოს განგებო, საჭმელს პირსაც არ აკარებდა.

დარი ცუდი დაიჭირა.

ხან მთელი დღე ქინქლავდა. ხან იყო და მობმით წვიმდა. ცას მოეპრიანებოდა თუ არა, ღრუბლებს გადაიყრიდა, სარკესავით გაიკრიალებდა, თვალქუქუნა ქალიშვილივით გაიღიმებდა. მზეც ბურთსა და მოედანს დაუგდებდა. მერე მყის შეიკრავდა კოპს და თქორდა.

როდის როდის მზე თვალს გაახელდა, ელამივით გამოიხედავდა, ნუგზარისავით აერეოდა გული, თვალში ეკალი ჩაუვარდებოდა და ღრუბლის თავშალს ბინდისფრად შეიხვევდა.

გეგონებოდათ გამოიდარაო, უქმური ცა გაიკაშკაშებდა. ერთიც ვნახოთ და საიდანღაც გამოტყვრებოდა ფთილა ღრუბელი, გაიშლებოდა, გაიწეწებოდა მატყლისდარად და ცის გოდორს ნაბადივით მოეგებოდა.

ამას მეორე მოჰყვებოდა, მეორეს მესამე. წეროებივით დამწკრივდებოდნენ და ცას ტალახისფრად გადალესავდნენ.

ამინდს დღეში ცხრა ჭკუა ჰქონდა. ხან იღიმებოდა, ხან საღიმარზე ცრემლს მოიდგამდა.

ნესტიანი ჰაერი ძვალ-რბილში ატანდა.

ნუგზარი ბუხართან იჯდა და წიგნს კითულობდა. ხან სირცხვილი სწვავდა, ხან შიმშილი.

ზოგჯერ წიგნს მიაგდებდა, ხურჯინს გახსნიდა, სქელ რვეულს ამოიღებდა, რაღაცას ჩაიწერდა და ჩაიბუტბუტებდა. მოიღლებოდა თუ არა, თვალები მიებლიტებოდა და საკმარისი იყო პალოზე მიბმულ ბოთორას დაეღრინა, უცაბედად თვალთა რაცრაცი აუვარდებოდა.

დროის ეს მონაკვეთი ნუგზარს საუკუნედ მოეჩვენა. ეგონა: სულ ასე დარჩებოდა.

იმ საღამოს კარგი დარი დაიჭირა. ბინაზე მწყემსები ადრე მოგროვდნენ. ჯერ ქილოფი გაშალეს, ყველის პარკები ამოალაგეს, ჩაამარილეს და გუდებში ჩააწყეს.

ვასომ მებინავეს ფეხმოტეხილი ჭედილა დააკვლევინა.

ზაქარა ვახშმის თადარიგს შეუდგა.

ვასო ბუხარს მოუჯდა, სველი წუღები მოიხსნა, ტიტველი ფეხები ცეცხლს მიუშვირა და ჩაფიქრდა.

საფიქრალი კი იმდენი ჰქონდა, რამ-

დენიც ცხვარი ებარა... გეგმა და ხალხისთვის მიცემული პირობა ფიქრსა და საზრუნავს უმატებდა. მისთვის პირობა დედის სიყვარულივით წმინდა იყო, წმინდა და განუმეორებელი.

ფიქრთან ერთად დარდიც იცოდა.

პატარა რამეს ჩაჰკიდებდა გულის წვერს და თავსა და ტვინს იქამდის იღრღნიდა, სანამ გამოსავალს არ მოძებნიდა. ახლა, როცა მეცხვარეები შეკრებილიყვნენ, ბინას თვალი მოატარა და,

— ბიძა ჩემო, აბა, აქ მოდი! — თავისთან მოიხმო მებინავე.

ზაქარა ბულულივით მიგორდა.

— იმ კუთხეში ხურჯინი დევს და, მამაშვილობას, ნუ დამზარდები, აქ მომიტანე!

ზაქარამ თხოვნა შეუსრულა.

ვასომ ხურჯინი გახსნა.

— ხელი ხომ არ გიხლიათ? — თავზე წამომდგარ მებინავეს ახედა და თვალი ჩაუკრა.

მოხუცი ვერ მიუხვდა უფროსის ფერებას.

— ხელიო? — წარბები დაიკლაკნა, — რას ამბობ, შვილო, რომელი ბალღი მე მნახე რომა...

— არა, მაგრამ!..

— რა ვიცი...

კარგი, კარგი, გეხუმრები.

— ჰო.

— ჰოდა ეგრე! — და ვასომ ბოთლები ამოალაგა: — აბა, ესენი სადმე შეინახე, თვალისჩინივით გაუფრთხილდი. დედას გამოხდილი არაყია, გამოიზოგე და ბიჭებს ურიგოდ არ აყლაპინო.

ზაქარამ თეთრ, ჯაგარა ულვაშებზე გადაისვა ხელი, ჩოფურა სახეზე ღიმილი მოირია და ციებიანივით ათახთახდა, —

— ბიჭოს, ეს რაები მოგიტანია!?

— მუქთაა და იმიტომ, არა?

— მარა!..

— იცი რა? — უცებ ღიმილი აისხა ფერმის გამგემ, — დრომდის გვამყოფინე, წარამარა არავის აყლაპინო, თორემა, ხომ იცი...

— ეჰ, ეგრე მცოდნოდა...

— მერე?

— მერე და მე ვიცოდი, რასაც ვიზამდი! — ჩაიტრაბახა მებინავემ — და მკერდზე ხელი მოითათუნა, — უჰ, შენი ჭირიმე, ეტყობა, რაც არის...

— აბა, შენ გაბედე და...

— დაჭდევებელი ჩხირით გამიზომე და წვეთი თუ დავაკლო, თანამდებობიდან გადამაყენე- — ოდნავ მოიხარა ზაქარა, მღვრია, წყლისფერ ბოთლებს ცომიანი ხელები წაატანა, კუთხეში მიალაგა და ზემოდან მწყურვალის სიხარბით ჩაათვალიერა. მერე ჭურჭლით გამოხორავებულ ნიშთან მივიდა, ადგილი განთავისუფლა და უზომო სიფრთხილით მიმალა ბოთლები. ბოლოს, რომ ვითომ არავის დაენახა და ხელიც არ ეხლოთ, ფქვილიანი ხონჩა აფარა.

მერე ხურჯინთან მოკალათებულ ვასოს გამოეცხადა, დოინჯი შემოიყარა და საერთო საქმეში გამარჯვებულივით დახედა.

— გამგე კი არა, ღმერთის ტოლი კაცი ყოფილხარ...

ვასომ ძლივს აილაგმა ღიმილი.

— დარო ძალოს გამოხდილ არაყს კამეჩიც ვერ წამოუდგება, — აღარ ათავებდა მებინავე, — არ გეწყინოს და ერთ ჭიქას მაინც გადავხუხავ, თუნდაც ახლავე ამაკრეფინოთ ჯამ-ლოგინი...

— აბა, გაბედე! — ვასო ყასიდად დაემუქრა.

— გავბედო თორემ ყურებზე ხახვი არ დამაჭრა! — რას მიზამ?

— ხახვი კი არა, ისეთ დღეს დაგაყრი, ქუდმოგლეჯილი გარბოდე სოფლისაკენ.

— მაინც დავლევ...

— აბა, დალიე!

— დავლევ და ნახევარ წყალსაც დავუმატებ. იქნებ მუშავრაანთ მკითხავიც ვერ მიხვდეს.

— თუ არ გინდა ბინაში იღინღილო!

— დამემუქრე თორემ ჩინ-მენდლები არ ამყარო, — ჩაიღრიღიტა ზაქარამ და ჯაგარა ულვაშები მოიფოცხა.

— ხვალვე ბატკნებში გაგამწესებ და ზოგიც მაშინ იხითხითე...

— გამამწესებ, თორემ მეც ვიდარდებ, ბიჯო და ჰაერს მაინც გამოვიცვლი, ბინაში ყოფნას გარეთ კისრისტეხვა მირჩევნია.

ვასომ გულიანად ჩაიხითხითა და მერე ჩაბჟირდა.

— ჰეი, გიდი! — გამხნევდა მოხუცი, რაკი ვასოს სიცილი თავის დამსახურებად მიიჩნია.

— შენ რა, ყბების თიაქარი დაგემართა? — თქვა ვასომ და სახე მეტად გაებადრა.

მეცხვარეებმა გადაიხარხარეს.

ვასომ კედლისაკენ მისწია ხურჯინი და მხართეძოს დაეყრდნო.

ზაქარა ბუხართან აიტუზა და წამით დაფიქრდა.

ვასოს მოეჩვენა, რომ მოხუცს რაღაცა ეწყინა.

— რა არის, მოხუცო, ხათრი ხომ არ დაგრჩა?

— რას ამბობ, ჩემო ვასო, განა მაგდენი აღარ მესმის?

— რა ვიცი, მეტი ხომ არ მომივიდა-მეთქი.

— ეჰ, შვილო, თუ არ ვიცინეთ, საფიქრალი იმდენი გვაქვს, გულს დარდი შეგვიჭამს...

— კარგი, კარგი, საჭმელს მიხედე...

მოხუცი გაბრუნდა, საკუჭნაოსთან მივიდა, მორგვა მკლავი დაიგრძელა, კარების უკან გადადგმულ ქვაბს გადასწვდა და ბუხართან მიიტანა.

— რა გინდათ, მშრალი ხორცი თუ ყაურმა?

— რას ამბობ, კაცო, წვნიანი, — მშრალს რა ლაზათი აქვს?

— თქვენი ნებაა, რასაც მეტყვით, იმას გავაკეთებ.

ცეცხლს ხმელი, ძვლისფერი რცხილა შეუკეთა. შეშამ ტკაცატკუცი დაიწყო. ლილისფერი ალი თანდათან შეიღება ვერცხლისფრად.

სარკმელს ბინდი შემოადგა.

ზაქარამ ლამპები აანთო და კასრებში ჩაიკარგა.

ვასომ ადგილი გამოიცვალა, ჭილოფგადაფარებულ ქვაზე ჩამოჯდა და ბუხარს მეორე გვერდი შეუქცია.

— ჰა, რამ დაგაფიქრათ, ბიჭებო, თქვით რამე!

— თხილი მომგონებელსაო, — თქვა ერთმა, ვასოს პირდაპირ რომ იჯდა და თავი ჩაექინდრა.

— აბა, რა ვთქვა, აი, — და ნუგზარისაკენ გაიშვირა ხელი, — სალაპარაკო ამასა აქვს, ჩვენ რა ვიცით.

ახლა იმ მეცხვარემ გააგულისა ნუგზარი.

— გვითხარი რამე, რა სულ ერთთავად ჩამოგტირის პირსახე?

— რა ვიცი, აბა, რა გითხრა?

— იცი, იცი, ნუ მორცხვობ.

ნუგზარმა მუცელზე ხელი მოისვა და რომ არავის შეემჩნია, ოდნავ დაიმშხალა.

დილიდან მუცლის გვრემა ჰქონდა. ისევ უზმო იყო, აქამდე ლუკმა არ ეჭამა. მხოლოდ ზაქარამ იცოდა ეს და ისიც ცდილობდა არავისათვის გაემხილა.

ვასო ცეცხლს მისჩერებოდა.

ცეცხლის ენები გრძელდებოდნენ, ქვაბის ძირს ზაფთასავით ეხვეოდნენ და, თითქოს დახრჩობას უპირებენო, ყელამდის სწვდებოდნენ.

ქვაბი გამალებით თუხთუხებდა.

მეცხვარეები გაყუჩებულიყვნენ და ელოდნენ, ვინ რას იტყოდა.

ვასომ თვალი მოარიდა ბუხარს და, რაკი დარწმუნდა, ლაპარაკის იშტაზე არავინ იყო, იქვე მჯდარ ბრიგადირს მიუბრუნდა, —

— რას ჩაფიქრებულხარ, გიორგი, ვერაფერს იტყვი?

— სათქმელს რა გამოლევს? — მრავალმნიშვნელოვნად მიუგო ბრიგადირმა.

— ეგ კი, მაგრამ გეგმაზე რას ფიქრობ?

— დარდი ნუ გაქვს, მოვერევით, — თუ ამინდმა არ გვიღალატა და ძანძახმა არ მოგვისწრო, რძე იმდენი გვექნება, ვერსად დავტევთ.

— ჰო, — ჩაერია ახლა სხვა, — კაცი ლამის ვბერდები და ასეთი ამინდი

ჯერ არ მინახავს. სწორედ რომ ცხვრის ამინდია, ღმერთმანი.

— ამ დალოცვილ საძოვრებზე ქვებზეც კი ბალახმა ამოხეთქა... — საიდანღაც ამოიდუდუნა ზაქარამ, — ახლა რძე ნახე, რძე კი არა, ნაღებია.

— არ მოგატყუებ ვასო და, — ისევ გიორგი ალაპარაკდა, — ჩემი ბრიგადა ამ თვის ბოლომდე შეასრულებს დანაპირებს.

— ენამ გიყივლოს, სხვებისა აღარ მედარდება, მართალი გითხრა შენი უფრო მეშინოდა, ცოტა მობებრო ცხვარი გყავს და...

— არაფერია, როგორმე მოვერევით ამოცანას.

— ეგ კი, მაგრამ სოფელში კარგი მოსავალია და წელს თუ ჩვენც არ ვიმარჯვეთ, თავთუხ პურს დაგვიმადლიან მემინდვრეები.

— ჰაი, ჰაი, რომ ეგრეა, — გაიზმორა ზაქარა და კედელთან ჩაიცუცქა. ყურთა სმენას მიეცა. მერე ცომი მოზილა და გაფუებას შეუცადა. საქმემ მაინც ვერ მოასვენა, ნელ-ნელა აიმართა, ქვაბთან მივიდა, სახურავი ახადა, ხორცს წვენი გაუსინჯა და მადისმომგვრელმა სუნმა ტუჩები დააცმაცუნებინა:

— უჰ, უჰ, წვენი კი არა, მალამოა, მალამო!

ახლა ხორცის ერთი ნაჭერი ამოიღო, შეუბერა, პირში ჩაიდო. ღრჭოლა, მეჩხერი კბილები დააჭირა და უკმაყოფილოდ დაიღრიჯა.

— კამეჩის ჯიშისა ყოფილა ეს მუდრეგი! — და მზერა ვასოსკენ გააპარა. — აქამდის ქვაც კი მოიხარშებოდა. — ქვაბს დაახურა და შეშას შეუმატა.

ვასოს ქვეშქვეშად ჩაეღიმა:

— ძალიან ჩქარობ, ჯეელო, აქამდის მხართეძოზე არ უნდა წოლილიყავი, სამხლის თადარიგს მზის ჩასვლამდის უნდა შესდგომოდი, ბიჭები ახლა დანაყრებული იქნებოდნენ და დასვენებასაც მოასწრებდნენ.

— მე რას მემდური, შვილოსა, ჭედილას უშენოდ ხომ არ დავკლავდი? ან არა და, დილას რომ გარიჟრაჟზე გაგელვიძა და ცხვარში გაიპარე, რატომ არ მითხარი ჭედილა დაჰკალიო?

ვასომ ყური მოარიდა და თვალი ყასიდად მოჭუტა.

მებინავე უფრო გახალისდა, —

— ასე რომ მექნა, სოფლიდან დედაბუდიანად ამყრიდნენ.

— კარგი ერთი და...

— მა რა? ტყუილს ვამბობ?

— რით არ იცი?

—უფროს-უნცროსობა ღმერთს იმიტომ მოუგონია, ქვეყნად წესრიგი, შიში, მორიდება და მადლი რომ სუფევდეს. ოჯახში რომ ერთმა ალმა ირბინოს და მეორემ დალმა, ის რა ოჯახია?

ვასოს სახე გაებადრა.

გულმა სიამით დაუწყო ძგერა. ადამიანურმა ცდუნებამ მედიდურობა შეჰმატა. მართალია, ის ყველგან დიდი პატივისცემითა და სახელით სარგებლობდა, მაინც ეამა მოხუცის სიტყვები და სადღაც საჭიროდაც მიიჩნია ასეთი რამის არაერთხელ განმეორება... მართლაც და ვისთვის უვნებია ზედმეტ დაფასებას?

ვასომ დუმილი ამჯობინა და იქვე დიდი სურვილი დაებადა სხვასაც ვინმეს ეთქვა რამე ზაქარას მსგავსად. უფრო კი ნუგზარისაგან მოელოდა მოხუცის სიტყვების დასტურს.

ნუგზარს არც გაუგონია მებინავის ნათქვამი. იჯდა და ბუხარში მოგიზგიზე ცეცხლს მისჩერებოდა.

— რატომ არაფერს არ ამბობ, ბიჭო? — ისევ ზაქარამ შეახსენა თავი.

— რა ვთქვა?

— როგორ თუ რა თქვა, ზაქარას ვეღარ მიბაძე? — სიცილი ვერ შეიკავა გიორგიმ.

— შენ ეგა თქვი და! — ჩაერია ფერმის გამგე, — ზაქარა ბიჭი მთელი დღე ყბების მტვრევაშია, ყბის ქავილი აუვარდება თუ არა, ტრაქტორიც ვერ გააჩერებს...

ყველას გაეცინა.

— ზაქარა ძიას ტყვილიც კი დაეჯერება. — დამცველივით თავი გამოიდო ნუგზარმა.

— ნეტავი ისეთს რას ამბობს, რომ ექომაგები? — ჩაერია ახლა სხვა მეცხვარე. — ან არა და ამ გაგანია დღეში რით ვერ მოგბეზრდა ამ ჯეელის ქაქანი?

— ქაქანი კი არა, მთელი დღე ხმას არ იღებს.

— ბედი გქონია.

— ალბათ ენანები თორემ... — ჩაეცინა გიორგის, — ისე კი ერთ რამეს გირჩევთ, სანამ ხმა არ ამოუღია, დაასწარი. თუ ლაპარაკი წამოიწყო, მერე მშვიდობით...

— რაღა ჩემზე მოიცალეთ, კაცო, სალაპარაკო გამოგელიათ? — ვეღარ მოითმინა მოხუცმა.

— კაცად რომ გაგდებენ, არ გიხარია? — წაეხუმრა ბრიგადირი.

— ერთი შენ მყევხარ სანაქებო, — ვალისგადახდას შეუდგა მებინავე, — სამიათასი ცხვარი გყავს და ისიც ვერ დაგითვლია... იყო დრო შვიდიათას ცხვარს ვმწყემსავდი, ნახევარ საათში ვითვლიდი, ერთშიც არ შევცდებოდი... შენ კი...

— დათვლილს დათვლა რაღათ უნდა? თანაც ხომ იცი, მენდობიან.

— კი...

— შენ კი ათი ბოთლი ჩაგაბარეს და უნდობლობაც გამოგიცხადეს...

რაკი აღარავინ ჩაერია საუბარში, ზაქარამ თავისათვის ჩაიხითხითა, გიორგისა და მეცხვარეების დუმილი რატომღაც თავის გამარჯვებად მიიჩნია და ლავაშის გამოცხობას შეუდგა.

როცა გობიდან უკანასკნელი ცომი ამოფხიკა და კეცზე კუტი პური დააკრა, მაწვნის კასრს მიუბრუნდა. დაიხარა, მკლავები შემოხვია და ქვაბთან მიიტანა. ქვაბი ჩაუმქრალ ვულკანივით ქოთქოთებდა და სახურავს ათამაშებდა.

—გიორგი, გიორგი, სახურავი ახადე, თუ ღმერთი გწამს.

გიორგიმ წამოიწია და ქვაბს სახურავი ახადა.

ზაქარა ოდნავ მოიხარა, კასრი დააყირავა და ათუხთუხებულ ქვაბში ნახევარი კასრი მაწონი ჩასცალა.

ამას რომ მორჩა, წინკარიდან კიდეებშემოგლეჯილი ჭილოფი შემოიტანა, იატაკზე გაშალა, თეფშები და კოვზები გააწყო და სუფრაზე ცხელ-ცხელი ლავაშები დაახორავა. ცეცხლიდან ქვაბი გადმოდგა. კერძი ხის ჯამებში გაანაწილა და სათითაოდ ჩამოალაგა.

მეცხვარეებმა კოვზები დაიგრძელეს. ზაქარა ვასოს ყურთან დაიხარა და ჩიაჩიად ჩააგონა:

— სულისმაცხონებელი მოვიტანო?

ვასომ თავი დაუკრა.

ზაქარა ნიშთან მიძუნძულდა, ერთი ბოთლი გამოიღო, მტკაველა ჭიქები მოძებნა, სუფრასთან მიიტანა და ისე ფრთხილად შეავსო, წვეთიც არ დაუღვრია.

სათითაოდ ჩამოარიგა.

პირველად ვასოს მიაწოდა.

ვასომ გამოართვა და ჭიქა ოდნავ მაღლა ასწია.

— სიმწარე გვაშოროს, სიტკბო მოგვცეს, გაგვიმარჯოს! — და ისე მადიანად გადაჰკრა, მეცხვარეებს საღერღელი აეშალათ.

უფროსის ნათქვამს გამომხდელის კარგად ყოფნაც მიამატეს, ჯანმრთელობა უსურვეს, მერე ხშირად გამოეგზავნოსო სულისმაცხონებელი და გადაჰკრეს, რომ ვითომ მადა მომატებოდათ, თუმცა ვინ არ იცის, რომ მთაში მეცხვარეს უარყოდაც მადა მგლისა აქვს.

ზაქარა მოგვიანებით მიუჯდა სუფრას. ნაკრულა ბოთლი მოიდგა და თანგირა ქვაბისოდენა ხის ჯამი თავისკენ მიიწია.

ხორცს ისევ ასდიოდა მადისმომგვრელი ოხშივარი.

— ხორცი ბლომადაა, ბიჭებო, ყბა გაბედულად მოუქნიეთ.

და ამასობაში არაყი ორჯერ გადაჰკრა.

ვასომ, ვითომც არ დაენახოს, თვალი მოარიდა და ტუჩებზე ღიმილი დაიგროვა.

ნუგზარი სტუმარივით იჯდა და თავი

ისე ეჭირა, თითქოს თავისი წილი კერძი რახანია მოეთავებინა. არაყი ხელუხლებლად ედგა და ხორცის ჯამი უცივდებოდა.

— არაყი დალიე, ბიჭო! — წაეთამამა ზაქარა.

ნუგზარმა უმადურად ასწია ჭიქა და ნელ-ნელა მოწრუპა.

— მეორეც ათუთქინე, მეორეც. აქეთ-იქიდან შემოსძახეს მებინავეს.

ზაქარას შუბლის ნაოჭები გაეშალა და ჭიქა პილთამდე შეუვსო.

ნუგზარმა ისიც ისევე გადაჰკრა, როგორც წინა.

თავარაყმა გულმუცელში დაუარა, სხეული ჯერ ააფორიაქა, მერე საამოდ გააყუჩა და გაბედულობასთან ერთად სადღაც გადაკარგული მადაც დაუბრუნა. ნუგზარმა ჯამი ახლოს მიიწია.

ზაქარამ მსხვილი წარბი გადმოაფარა ჯილა თვალს და ქურდულად გამოხედა. ბიჭების გაჭრილმა ხერხმა გული დაუამა და შუბლზე ნათელიც კი მოჰგვარა. ამასობაში მესამე ჭიქა არაყიც გადააყირავა ხახაში და საჭმელს გაუძალიანდა.

ბიჭები ისე მადიანად მიირთმევდნენ კერძს, მაძღარსაც კი შეეხარბებოდა.

ზაქარას ქათმისოდენა ბეჭი ჩაებღაუჭებინა და კბილებს უკრაჭუნებდა.

ნუგზარს არ გამორჩა ეს, მადა მოიღონიერა და მოზრდილი ნაჭერი დაითრია, ყბა მოუქნია და, თან იმავე დროს, ჩუმი მზერა გააპარა მეცხვარეებისაკენ.

სასიამოვნო ის იყო, ყველა განგებ არიდებოდა ნუგზარის საქმიანობას და თავიანთ თავშესაქცევ საჭმელს მისცემოდნენ გულმოდგინებით.

მხოლოდ ვასო უთვალთვალებდა ქვეშქვეშად და თვალებში თბილი ღიმილი შეედედებინა.

ზაქარამ საიდანღაც მოხეული თეთრი მიტკლის ნაჭერი გამოიძრო უბიდან, შეორთქლილი ულვაშები და ტუჩები შეიწმინდა. ისევ თავის ადგილას შეინახა და ახლა უფრო დიდ ნაჭერს წაატანა კოტიტა თითები. და თან რომ არავის მიექცია მისთვის ყურადღება, სინათლისაკენ ოდნავ გასწია მხარი.

მალე ყბის ქავილი აუვარდა.

— ომის წინ ჭიდაობას ვუყურე ჩვენს სოფელში. ამ ჯეელმა, — და ნუგზარისაკენ გადაჰქინდრა თავი, — გაღმაუბნელი ფალავნები მიწაზე ლავაშივით გააკრა. გამოღმელებმა ხელში აიტაცეს და თუ ვინმეს გული გერჩით, გამოდითო. — დაიძახეს. კრინტი არავის დაუძრავს.

— ბიჭოს, — მოეწონა ვასოს და ჯამს თავი მიანება, — ახლაც ჭიდაობ?

— მა რა! — ისევ ზაქარა გამოერია ტყემლის ყვავილივით, — ჭიდაობს, როგორ არა ჭიდაობს, მაგრამ ვისთან? მკლავის გამშლელი რომ არავინა ჰყავს? — გაიამაყა ზაქარამ და განახევრებული ხორცის ნაჭერი მეორე ხელში გადაინაცვლა, რომ უფრო მოხერხებულად გამოეხრა, — ჭიდაობს და მერე როგორ, მაშა!.. — და გამეტებით მოუქნია ფრთიანი კბილი.

— კიდევ კარგი მომაგონეთ, — ისევ ვასო ჩაერია საუბარში და წელში მსუბუქად გასწორდა, — ბორჩალოელ იოლდაშებს ჭიდაობა ეხერხებათ, იქნებ შეჯიბრიც მოვაწყოთ?

— რატომაც არა, — ჩაურევლობას მიუჩვეველმა ზაქარამ თავის სიტყვებში მუქარა შეურია, — აქ არა ვართ? დედას ვუტირებთ...

ზაქარას უნდოდა ნუგზარის მამის ფალავნობაზეც ჩამოეგდო სიტყვა, იქნებ იმავე დროს თავისი ვაჟკაცობაც მოეგონებინა, მაგრამ რატომღაც გადაიფიქრა და იმის იმედით, რომ ამის საბაბი სხვა დროსაც მიეცემოდა, ისევ ხორცისაკენ გააქანა კაწკაწა კბილები.

რაკი ზაქარა დუმილმა დაიმორჩილა, სხვებმაც ვეღარ გაბედეს ყბის მოცდენა.

მეცხვარეების დუმილმა ღიღხანს ვერ ... ოგინა.

აყაყანდნენ. რა არ თქვეს, რა არ მოიგონეს.

ბოლოს ბევრი რომ იარეს და დაიღალნენ, ისევ ზაქარას მიადგნენ.

გიორგის სადღაც მოეკრა ყური ზაქარას უცნაური სიყვარულისათვის. ყბაწითელა კეკელა რომ გიყვარდა და უკან ჩრდილივით დასდევდი, ახლა თუ გაგონდებაო, — შეახსენა.

ზაქარამ თავი ოდნავ დასწია დაბლა და უპეებში თვალები მიმალა. ეტყობა, გიორგის ნათქვამი ეჩოთირა.

— ერთხელ, — მადიანად გააგრძელა გიორგიმ, — ფირანაანთ საყდართან ლხინი ყოფილა. ჰოდა, ეს ჩვენი ჯეელი დალეული მოსულა.. ჩოხა-ახალუხებში გამოპრანჭულ ბიჭებს მისალმებია. ჯერ ერთი გაუყვანია განზე, მერე მეორე და ასე სათითაოდ შემოუვლია ყველასათვის. ყბაწითელა კეკელა მიყვარს და თუ ძმა ხარ, არავის უთხრაო.

ჰოდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, ერთ საათში მთელს სოფელს მოსდებია ეს ამბავი.

ზაქარა მორცხვი ბავშვივით წამოწითლდა და ხარაბუზასავით ატეხილ გიორგის შეუბღვირა. ვალში რომ არ დარჩენილიყო, პილპილნარევი სიტყვები ესროლა ქამანდივით. მაგრამ ზაქარას უწყინარი ხასიათით თვითდამშვიდებულ გიორგის რას დააკლებდა?

ამასობაში ღამეც წელში გადატყდა.

გარეთ თქორდა.

მთებს ქინქლა ნაბადი წამოესხათ და დუმილის ჯურღმულში შემძვრალიყვნენ.

სადღაც ძაღლები წკავწკავებდნენ. კუნაპეტი ღამის ტორღიალს, ქინქლსა და უქმურობას ისინიც ავი გულით შეჰყურებდნენ.

3.

ნუგზარი მთის ამინდს თანდათან შეეჩვია. ბინაში ყოფნა გაუძნელდა და ხან მშრალში მიდიოდა, ხან კი ბატკანში. ზოგჯერ იყო და განგებ ტოვებდნენ ბინაში, რომ მოხუცისათვის დახმარება გაეწია.

იყო შემთხვევა, ფერმის გამგეს პროცენტების გამოყვანაში შველოდა. სოფლის მესვეურთა სახელზე თვიურ ანგარიშს უმზადებდა.

ყოველნაირად ცდილობდა, მოხუცის შრომა შეემსუბუქებინა.

ზაქარა კარგად ხვდებოდა ამას და იმდენად ესიამოვნებოდა, არ იცოდა, რანაირად გადაეხადა ნუგზარისათვის. ბევრჯერ დოინჯშემოყრით წაადგებოდა თავს და უცნაურ კითხვებს აძლევდა. ხან იყო და უმიზეზოდ ხითხითებდა. საკმარისი იყო მარტო დარჩენილიყო ახლადფეხადგმულ ბავშვივით ბორძიკობდა, სევდიანობდა, ანჩხლობდა. ყოველთვის ცდილობდა, ნუგზარი ბინაში დაეტოვებინათ. განგებ ჯანს იტკივებდა. წუწუნებდა: მიჭირს და თუ ვინმე არ მომაშველეთ, მალე სალოგინე გავხდებიო. თავისას გაიტანდა თუ არა, გულუბრყვილო ბავშვივით ხარობდა, ამ სიხარულს კი ვერ მალავდა. მალე იცოდა თავისი სურვილების, სიხარულის თუ მწუხარების გამომჟღავნება. არ ეხერხებოდა მოტყუება, იტანჯებოდა, თუ შემთხვევით წამოსცდებოდა არა სწორად.

როცა მოიცლიდა, მიუჯდებოდა ნუგზარს და მილეთის ამბებს კითხავდა:

ტყვიით მოკლული კაცი ფერს მაშინვე ჰკარგავს თუ მოგვიანებითო, ამოდენა ხალხს ფრონტზე როგორ ასაფლავებენო, რისთვის ებრძვიან ადამიანები ერთმანეთს, განა ამოდენა მიწა არა ჰყოფნითო, რა უფრო ძნელია, — შიმშილი თუ სიტიტვლე, ქურდობა თუ მკვლელობაო. აბა, გეთაყვა, ერთი ეს მითხარი, მართლა ღმერთმა გაუნაწილა ეს მიწები ადამიანებს, თუ ვინც ძლიერი იყო, იმან დაიპყრო კარგი საცხოვარიო... რამდენი მკვდარი შეოგვკდომია საულეტელში, — რომელი იარაღი უფრო კარგია, ბერდენკა თუ ავტომატიო.

ნუგზარი გულისყურით უსმენდა და, როგორც შეეძლო, პასუხობდა.

მოხუცის აზღვავებულ ცნობისმოყვარეობას ნუგზარი მაინც ვერ ასდიოდა.

— ყველაზე ბევრი ხალხი რომელ

ქვეყანაში ცხოვრობსო. — ერთხელ ესეც კი ჰკითხა.

— ჩვენ რამდენი ვართო, — დაინტერესდა, როცა გაიგო, რომ ყველაზე მეტი ხალხი ჩინეთში ცხოვრობდა.

— ძალიან ცოტა, ზაქარა ძია, ძალიან ცოტა! — მოწყვეტით უპასუხა ნუგზარმა.

გულმა ფრთხიალი დაუწყო ზაქარას, ფერფურმა გადაჰკრა.

— როგორა თქვი, ცოტაო? მაინც რამდენი ვართ?

ნუგზარი დაფიქრდა.

— ჰა? — შეშფოთდა მოხუცი და გულმა უფრო გამალებით დაუწყო ძგერა იმის შიშით, რომ ნუგზარი ცოტას იტყოდა.

— სამ მილიონზე კიდევ ნაკლები!..

— რაო?

— ყველაფერს გეფიცები.

მოხუცი ერთბაშად გაფითრდა.

— ვაი, დედასა საქართველო! — ამოიკვნესა და სახეზე ჩრდილივით აუცოცდა გულის ნაღველი, — მაშ რაღა ვყოფილვართ? არაფერი! სულ არაფერი ვაი დედასა, ბიჯო!..

ნუგზარი მხოლოდ ახლა ჩაუფიქრდა მოხუცის წუხილის მიზეზს და მიწას დააშტერდა. რამდენადაც მეტად მიშტერებოდა ყურჭივით შავ მიწას, იმდენად უფრო და უფრო მეტად მტკიცდებოდა მასში ის რწმენა, რომ ამ მიწის გამო ამ მხრის ქართველობა მთლიანად გადაშენდა. ეს მიწა იყო მიზეზი ქართველების ბედნიერებისა და უბედურებისა. ამ მიწის გამო იყო, რომ იღვრებოდა მილიონობით ქართველი ვაჟკაცის სისხლი. სისხლი, რომლითაც მორწყული იყო თითოეული გოჯი მიწაც კი.

ზაქარა ჩათუთქულიყო და ადამიანის ფერი წართმეოდა. ფიქრებს ისე დაეძმარა, როგორც შვილმკვდარი. მისი ოთხი ვაჟკაცი უცხოეთის ცის ქვეშ განისვენებდნენ. ერთი სლოვაკიის ტყიანეთში პარტიზანული ბრძოლების დროს დაიკარგა, მეორე იტალიელ მეგობრებს გადაჰყვა კარპატების მთებიდან, გერმანელებს ტყვეობიდან გაექცა და იტალიელებთან ერთად ფაშისტებს ღრანტე ხევ-ხუვებში ქლეტდა. მესამე ბერლინის აღების დროს იმსხვერპლა ფაუსტ-ტყვიამ, მეოთხემ მაგდებურგამდე მიაღწია და ისიც გმირულად დაიღუპა. ზაქარას ოთხი ვაჟკაცი ამ ომმა მოინელა...

ახლა ამასაც ჩაეფიქრებინა მოხუცი და გარდავლილი ჟამისდროინდელ უსამართლო ომების ქართველთა დაუთავებელ ვაი-გოდებასაც...

იდუმალ ოხრავდა და წუთიერების საცნობარს გონების თვალით ჩასჩიდებოდა.

— რომელი ქვეყნები მოიარე? — ერთხელ ესეც ჰკითხა.

— ბევრი, ზაქარა ძია, ძალიან ბევრი!

— მაინც შვილო, არ მეტყვი?

ნუგზარი ჩამოუყვა, სად და როგორ მოხვედრილიყო ომის დროს, რა განეცადა, რა ენახა, რომელი ქვეყანა უფრო მოსწონებოდა, რომელი ხალხი უფრო ჩარჩენოდა მეხსიერებაში.

და უცებ მოხუცის გულსაკლავი ქვითინი შემოესმა ნუგზარს.

ზაქარას თავი ჩაექინდრა და ცრემლი ღაპაღუპით ჩამოსდიოდა.

„ვაიმე შვილებო, ვაიმე... ვაიმე, ვაიმე...შვილო გიორგი, მიტრო, შალა, ვახო, შვილო, ვახო... ვახმე... ცოცხალი რაღათა ვარ..."

არასოდეს არ უმდუღრია ასე...

თუმცა ბევრჯერ შეუნიშნავს ნუგზარს, მოხუცის თვალებში ცხარე, იდუმალი ცრემლები, მაგრამ ხმამაღალი ქვითინი და გულამოსკვნილი ვაება არ გაუგონია მისი...

ნუგზარმა მხარზე ხელი მოხვია და მამასავით მოეფერა, დააწყნარა, თუმცა თვითონაც ტირილის ხასიათზე მოიყვანა ზაქარას მდგომარეობამ. ახლა მხოლოდ ორნიღა ღინღილებდნენ ბარაქიან და მხარგაშლილ ჭერქვეშ, სადაც მისმა ჭაბუკებმა აისხეს ფრთები და გაფრინდნენ უთვალავი მთების გადაღმეთისაკენ...

გაფრინდნენ და აკი აღარც დაბრუნებულან...

მაინც ერთი გამოჩენილიყო, მოხუცებს მიმხედი ჰყოლოდა, ცრემლი დაეგდო საფლავზე, ფესვი გაეგრძელებინა მისი დიდებული გვარისა, რომელიც უხსოვარი დროიდან გრძელდებოდა.

დიახ, დიახ, ბევრჯერ ერთსა და იგივეს ჰკითხავდა, რადგან ერთხელ გაგონილი ხშირად ავიწყდებოდა.

ბოლოს ნუგზარი მიუხვდა, რომ მოხუცი თავისი შინდაუბრუნებელი შვილების ასავალ-დასავალს ეძებდა ნუგზარის ნაამბობში, ეძებდა, ვერ პოულობდა და ითუთქებოდა. ცდილობდა ეს მუდმივი და მოუშორებელი დარდი არავის შეემჩნია, მაგრამ მოხუცი დარდის მიმალვას ვერ ახერხებდა...

— ეჰ, — თქვა ერთ საღამოს, — ნეტავი ერთხელ მომატარა იტალია, გერმანია, ჩეხოსლოვაკია, მაჩვენა ამ მიწა-წყლის ასავალ დასავალი და მერე თუნდაც მამაზეციერმა იმავე დღეს ამომართვას სული...

დილით, ჯერ კარგად არც იყო გათენებული, ნუგზარს გამოეღვიძა.

სარკმელს რძისფერი განთიადი მოსდგომოდა.

ქანცმილეულ მეცხვარეებს ტკბილად ეძინათ.

ზაქარას ფეხი ფეხზე შემოედო, გულაღმა დაწოლილიყო, გულზე ხელები დაეკრიფა და დროგამოშვებით ისე ფშვინავდა, თითქოს ცხელ რძეს უბერავსო.

ვასო მარჯვენა გვერდზე იწვა, თავქვეშ ხელები ამოედო და ნარკოზნაკრავივით ფეთქავდა. კუთხეში ორს ერთად გაეშალათ ნაბადი, ერთმანეთს ტყუპებივით მიხუტებოდნენ და ისე გემრიელად ეძინათ, გეგონებოდათ ცხვარში კიარა, მთაში საავარაკოდ ამოსულიყვნენო.

ნუგზარმა ფრთხილად ჩაიცვა, ბუხარში ცეცხლი გააღვიძა, დაფერფლილ ღადარს ნაფოტები შემოუწყო, ზემოდან შეშის მსხვილი ნაჭრებიც დაამატა და სამფეხა ზედადგარზე შრატით სავსე ქვაბი შემოდგა ძაღლებისათვის.

ნახევრად ბნელ მიწურს თვალი მოატარა. ზაქარას ნაბადი გადახდოდა, გაუსწორა, კართან ტაატით მიიპარა, ურდული გამოსწია, გარეთ გამოვიდა.

ცივი, თრიალეთური ქარი უბერავდა.

თხემებიდან ნისლი აეყარა ქარს და დაბლა ხეობაში ჩაეხერგა.

ბინის გვერდით ხეობა იყო, ხეობაში მთის წყარო მოჩუხჩუხებდა, თითქოს ნანას ეუბნებოდა მითვლემილ არემარეს.

ხელგალმა ცხვარი გაშლილიყო, ჯეჯილა ბალახს დასძგნაფებოდა.

უდაბნოსეულ დუმილს კრიჭა შეეკრა ყველაფრისათვის. ყოველთვის მოუსვენარ და ყბამოქცეულ ძაღლებს ახლა თვალი მიელულათ. ხანმოკლე ყუჩს მისცემოდნენ, რომ კვლავ ხალისიანად აჰყოლოდნენ ახალი დღის გნიას-ბუბუნს.

უკანასკნელი ვარსკვლავი ქრებოდა კაბადონზე.

ნუგზარი თავქვე დაეშვა.

ერთგან სლიპ, ნამიან ბალახზე ფეხი გაუსხლტა, თავი რომ არ შეემაგრებინა, ზღართანს მოადენდა.

ხევში ჩაირბინა. წყლის პირას შედგა. მიაყურადა, ხელშეუხებელი დუმილი სუფევდა. წელამდის გაიძრო ტანსაცმელი. ცივ წყალს დასწვდა და შეიშხაპუნა. ტანი დაიზილა. დაბანას რომ მორჩა, კორდზე წამოწვა, ხელები გაშალა, აიწდაიწია, ფეხები აამოძრავა. წამოხტა და ახლა ადგილზე ხტუნვა დაიწყო.

მურაძაღლი ფეხდაფეხ ასდევნებოდა, იქვე ჩაცუცქულიყო და ჭკვიანი, პატრონისადმი ერთგულების გამომხატველი თვალებით შეჰყურებდა ნუგზარს. ხან ალერსიანად ჩაიწკმუტუნებდა, წინა მარჯვენა ფეხს უთათუნებდა მიწას, ხან თავს ასწევდა, ენას გადმოაგდებდა და ხანუზმელად წკავწკავებდა. იმუდარებოდა, ყურადღება მომაქციეო.

სხვა დროს, როცა ბინას შორდებოდნენ ისინი, ნუგზარი ხელს დაუქნევდა, ოდნავ, ძლივს გასაგონად ჩაუსტვენდა, სცდიდა მურა თუ გამიგებსო, მურა ნუგზართან გაჩნდებოდა თვალის დახამხამებაში, მის ფეხებთან ჩაიცუცქებოდა, კუდის ქიცინთან ერთად წკმუტუნებდა, მიწაზე თათს უსვამდა და ეალერსებოდა.

ახლა კი... თვითონ აედევნა, თვითონ.

ნუგზარმა მურას ხელი გადაუსვა და აღმართს აჰყვა.

მურა ძუნძულით გამოუდგა.

ნუგზარი ქედის წვეროზე მოექცა.

აქედან კარგად მოჩანდა შემოგარენი. ხონჩასავით გაშლილ საძოვრებს ერთი თვალის შემოვლება ყოფნიდა.

თაფარავნის ტბა ვეება სარკესავით გართხმულიყო მთებშუა და ვარდისფრად კამკამებდა.

ცარგვალზე მკრთალი, დღის სიახლოვით შეშინებული ცისკარი გაკრეცილიყო და მილილულ სანთელივით ბჟუტავდა.

სადაცაა ჩაქრებოდა.

ნუგზარი ქედს დაჰყვა.

ქედი ტბას მხარმარცხნივ ჩასდევდა და თანდათან შორდებოდა.

წვრილხევები გადასჭრა, ტბას ბოლოდან მიადგა და გრძელ ქედს ახლა აღმა აჰყვა. საურმე გზა ქედს თასმასავით ეხვეოდა, აბულის მთისკენ მიიკლაკნებოდა, შორს ფერდტიტველ გორაკებში იკარგებოდა.

ნუგზარი იმ თხემს წვეროზე მოექცა.

კაცის სიმაღლე ლოდზე ავიდა. ლოდი ქამს შეერუჯა, აქა-იქ ხავსიც კი მოსდებოდა.

აქედან კარგად მოჩანდა სამხრეთ საქართველოს სამკერდული. ქამთა სიავისაგან დაღარული კლდეკარი, ორბელიანების საუფლო, ქვედა ქართლი, უხიაკ მტერთაგან არაერთხელ ნამუსრალი, იქით შიდა ქართლი, ქართლის შუაგული.

იქვე, კლდეკარის ფერხთით გართხმულიყო ოდითგან სახელგანთქმული ეძანი, აწ წალკად წოდებული, ბერძნების მიერ ერთდროს პარმაქსიზად მონათლული.

დიახ, დიახ, ეს იყო სამხრეთ საქართველოს სამკერდული, საქართველოს აქილევსის ქუსლი... მტერი ცისმარე ქამს თავს ესხმოდა აქედან, ქართველ გლეხს მოსვენება არა ჰქონდა.

აკი გულამოსკვნით იმდუღრებოდა საწყალი:

„ვაჰ, რეხავ, ბოლოს ეძანო, შუაში
ბეშკანაშენო!
თუ მტერმა ასე გვირია, სახლი როდის
ავაშენო!
გინდა სახლი ავაშენო, შიგ როდისღა
მოვისვენო!?."

და ეს ყველაფერი ისტორიის გაუმაძღარ მუცელს გადაჰყვა. ახლა ბედნიერი ქართველი გლეხი ამ აბიბინებულ საძოვრებს დაჰპატრონებია და მტერთაგან თავდასხმის შიშის ნატამალიც კი გაჰქრობია...

ნუგზარმა სიამით მოატარა თვალი თანამედროვე, თეთრად გადაპენტილ წალკას, 1827-28 წლებში არზრუმის საფაშალიკოდან გამორეკილი ბერძნებითა და სომხებით დასახლებულ სოფლებს, რომლებიც ნაწყვეტ ფარჩასავით გადაშლილიყვნენ მთის ძირებზე.

მეორე საუკუნე მიდიოდა, რაც ამ მიდამოებში მიმწყდარიყო მტრის გამუდმებული ყიჟინა, მკვიდრთა ვაება და მათივე უქმურთა მიმართ თავგანწირული შერკინება...

ნუგზარს ახლა მოაგონდა, რომ ცეცხლზე ქვაბი შემოადგა, მურიას დაუსტვინა და ბინისაკენ პირი იბრუნა.

ზაქარა ამდგარიყო და ჯამ-ჭურჭელს ახმიანებდა.

მეცხვარეებს გუდა-ნაბადი აეკრათ და ცხვარში გახვეტილიყვნენ.

4

მწყემსებს ამინდმა გაუმართლა, მეცხვარეებმა ეს წყალობა გამოიყენეს და ხალხისადმი მიცემული პირობა ნაადრევად შეასრულეს.

ბინაში იმდენი ყველი დაგროვდა, არ იცოდნენ სად წაეღოთ. სოფლიდან ურმებს ელოდნენ და ისინი კი, თითქოს განგებო, არ ჩანდნენ.

კვირის ბოლოს ურმების გრძელი ქარავანი მოადგა საძოვრებს.

ბინა, როგორც იქნა, დაცარიელდა.

ვასომ შვებით ამოისუნთქა და ახლა

ლექსის დანაბარებიც გაიხსენა. დილაადრიან გზას გაუდგნენ.

უკეთეს ვერ ინატრებდით, ისეთი ამინდი დგებოდა.

ცაზე ქინქლისოდენა ღრუბლებსაც ვერ შენიშნავდით. კიაფა მზე ბადურა თასივით ამოცურებულიყო და სისხლისფერი მკერდი ქაჩალგორის წვეტისათვის მიებჯინა.

ცხენოსნებმა დიდი მინდორი გაიარეს. აღმა მიმავალ ბილიკს დაადგნენ და შეუმჩნევლად მაღლობზე მოექცნენ.

— ხედავ? — თქვა ვასომ და ცხენი შეაყენა, — აი, აქ, — და ხელი მოატარა.

ფარდაგივით გაშლილ სათიბს,—ზაფხულობით ნახევარი საქართველო ცხვარს აქეთ ერეკება.

—?

— დიახ! აბა, ბალახს დააკვირდი!

— კი, მაგრამ ეს რანაირი ბალახია? — გაიკვირვა ნუგზარმა და ერთხელ კიდევ დააკვირდა ახლადამოწვერილ ჯეჯილა ბალახს.

— რანაირიო? — ჩაეცინა ვასოს, — დაბალი რომ არის, იმიტომ გიკვირს?

— ჰო, აბა, რა! გოჯის სიმაღლეა და ამდენ ცხვარს როგორ აოკებს?

— შე კაი კაცო, სიმაღლეს რა ჭკუა აქვს? კაჭაჭა ბალახი მაღალი რომ არის, რის მაქნისია? ეს ბალახი კი ისეთია, დღეს რომ ფარამ გადაუაროს, ხვალ, გეგონება ჭიანჭველასაც არ დაუდგამსო ფეხი. მალე იზრდება და მეტისმეტად ნოყიერია. ცხვარი ისე ეტანება, როგორც წუწნელას ფუტკარი, აქაური თაფლი გინდა თუ ყველი, მთელ დუნიაზე განთქმულია. ყველი კი არა, ერბოა.

ნუგზარმა ცხენს სადავე დაუმოკლა, თითქოს დაენანა ცხვრების წილი არ მოეძოვნა.

ახლა თავქვე დაეშვნენ.

ბინები გამოჩნდა.

მზის გულზე წამოყრილი ძაღლები წამოცვივდნენ. გნიასით გამოენთვნენ ცხენოსნებისაკენ.

— ხმა არ გასცე, — გადაულაპარაკა ნუგზარს ფერმის გამგემ, — ხომ გაგიგონია, ძაღლს თუ ჯოხი მოუქნიე, უფრო დაგელალებაო.

— დახე, დახე, ისე მორბიან, ცხენიანად შეგვსანსლავენო, გეგონება.

— არც ეგ გაუჭირდებათ, თუ საბაბი მიეცი.

ძაღლების გნიასზე ბავშვებიც გამოიშალნენ, ჟრიამული ასტეხეს.

ძაღლები ცხენებს დაელალნენ.

ვასომ დაუყვავა, ნაწყვეტ-ნაწყვეტად დაუსტვინა.

ისინი უცებ მოდრკნენ.

თითქოს ამას ელოდნენო, კარავიდან ქალები გამოვიდნენ. ერთმა მათგანმა პირბადე გაისწორა და ცხენოსნებისაკენ წამოვიდა.

ვასომ გულზე ხელი მიიდო და თავი დაუკრა.

— სალამ ა ბაჯი! (გამარჯობათ, დაო!)

— სალამ! ნა ისტერსან ყარდაშინ! (გამარჯობათ, ძმაო, რა გინდათ?)—

— ორუჯევი ჰარდადირ? (სად არის ორუჯას ბინა?)

ქალმა წარბები შეიკრა, მერე უცებ გაახსენდა, ვისაც ეკითხებოდნენ და, —

— ონუნ იოსი ორდადრ! (აი, იქ!) — და ხელი პატარა ხევისაკენ გაიშვირა.

— ჩოხ რაზიამ! (დიდი მადლობელი ვარ!) მიუგო ვასომ და ცხენი ხევისაკენ გააბრუნა.

მხარფართო საძოვრებზე ცხვარი ბამბასავით გაპენტილიყო. ბინები აქა-იქ მოჩანდა. ჩიტის ბუდესავით მიჰკვროდნენ დამრეცვილ ფერდობებს. საკვამურები ზანტად ხრჩოლავდნენ. ხუჭუჭა კვამლი ჰაერში ნებიერად იბნეოდა.

ძაღლების დახანებული ხმაური რომ არა, უკაცრიელი კუნძული გეგონებოდათ საძოვრები.

ცხენოსნები აჩქარდნენ.

ვასოს ფიქრები ბინასთან იყო. აქ, ამ საძოვრებზე წამოიზარდა. თოთხმეტი წლისა იყო, ჯოხი რომ აიღო. გაიწაფა, დავაჟკაცდა. გამჭრიახი მეცხვარე კოლმეურნეობამ დააწინაურა, ამდენი ცხვარი დაუმორჩილა, ქვეყნის დოვლათი და სიმდიდრე მიანდო, დროზე ადრე

იმდენი ნამატი ჰყავდა, მანამდელთაგან სიზმრადაც არ ენახათ.

გეგმებს დროზე ადრე ასრულებდა. რაიკომის მდივანი მამაშვილურად უყურებდა, მისი კარი ღია იყო ვასოსათვის, როცა კი მოესურვებოდა.

მადლობები იმდენი ჰქონდა, საკოლმეურნეო დავთარიც კი ვერ იტევდა. მდივანს ზევრჯერ ფულადი საჩუქრებიც გაედო ვასოსათვის.

ვასო მედლებითაც იყო დაჯილდოებული. ამ წელს ყველაზე მეტ შედეგს მოელოდა. იყო წუთები, საკუთარი თავი ავიწყდებოდა. მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, ხალხის ნდობა და სიყვარული როგორ შეენარჩუნებინა ბოლომდე.

ოცნებობდა: ორ წელიწადში სამი დოლისათვის მიეღწია. გასულ წელს ცდამ გაუმართლა. ეს ცდა წელს ორმაგად ჰქონდა ჩაფიქრებული. ამ საიდუმლოს მხოლოდ რაიკომის მდივანს უმხელდა.

ახლა ამეებზე ფიქრობდა ვასო.

ერთი ფეხი უკან ეწეოდა: ვაი თუ ბიჭებმა კარგად ვერ შეადედონო რძე, ან იქნებ ყველის ამოღების დროს აჩქარდნენო.

გაბრუნებულიყო უკან? უხერხული იყო, ლექსოსათვის რა ეთქვა? ყველასათვის რომ ეწყენინებინა, ლექსოს ვერც გაუბედავდა ამნაირ რამეს. მშრომელი კაცი იყო, მშრომელი და დაუზარელი. უკეთეს მწყემსს მთაში ვერ ნახავდით.

პასუხად თავის გულისთქმისა, — ცხენს მათრახი ამოუჭირა და ოთხზე წაიყვანა.

მეცხვარე თათრების ყიჟინა შემოესმათ. ცხვარი მოეწველათ და ბატკნებს ურევდნენ, როგორც მეცხვარეები იტყვიან ხოლმე, სარდლავდნენ.

გაღმა აბიბინებულ კორდზე თავაღმა მიერეკებოდნენ ნახირს.

— ბარში რომ ჩამოცხება, — წამოიწყო ვასომ და აქამდის ჩაფიქრებულ ნუგზარს გადახედა, —ბორჩალოელი თათრები დედაბუდიანად აიყრებიან ხოლმე და თრიალეთისაკენ მოაჭრიალებენ ჩარდახიან ურმებს. ცხელ თვეებს აქ, ამ საძოვრებზე ატარებენ. საქონელიც მოუდით და სანამ მიწას მკერდი არ გაუგრილდება, აქედან ფეხს არ იცვლიან.

პატარა ველს მიადგნენ. ორივე მხრიდან ხევი ჩამოსდევდა.

დასავლეთის მხრიდან თავმრუდე გორაკი მოსდგომოდა. მომწვანო ველზე ეული კარავი იდგა.

ვასომ ცხენი მიაგდო ნაბდის გაშლაზე და დაუძახა.

კარავის კართან კაცი გამოჩნდა. სამოციისა თუ იქნებოდა. უნებურ სტუმრებს გაჰხედა. ჯერ არ ეამა მათი დანახვა, მერე უცებ გაებადრა სახე და სტუმრებისაკენ წამოვიდა.

წელში მოიხარა, მარჯვენა ხელი მკერდზე მიიდო და, როგორც მუსლიმანთ სჩვევიათ, მიესალმა.

პირველად ვასო ჩამოქვეითდა. მოხუცს ხელი ჩამოართვა, მოიკითხა. მოხუცმა მადლობის მაგიერ ღიმილი შეაგება.

ბოლოს ცხენიდან ჩამომხტარ ნუგზარს შეავლო თვალი. პირველად ენახა ასეთი დევკაცა ჭაბუკი. მაღალი იყო და მხარბეჭიანი. სანდომიანი და პირმომღიმარი. თექა ქუდი ეხურა. ხელში ვერცხლით მოოჭვილი მათრახი ეჭირა. იდგა და, თითქოს ცას მხრებით შებჯენოდა, მხარბეჭი გაეგანა.

მოხუცის თვალებში ნაადრევ ენძელასავით იფეთქა ღიმილმა.

— უჰ, სენი, სირიმე, ბისო!..

— რა, ორუჯ, მოგეწონა? — თავი შეახსენა ვასომ.

— მოგესონა...

— რა მოგივიდა, მე ვერ მიცანი?

— ვერა, სენი სირიმე...

— ვასო ვარ, ფერმის გამგე...

— ჰო, სალოლ, სალოლ... — და მოხუცმა ხელი ჩამოართვა.

— ეს კი ნუგზარია, შენი ყონაღის შვილი, ლექსოსი.

— ლექსოსი?

— ჰო, აბა...

— ვააა, ეგ რა თქი...

— მაშა!

ორუჯმა წარბი წარბს მიაწება, ღიმილი შეიდედა, ჭაბუკი მეორეჯერ აათვალიერ-ჩაათვალიერა და მისკენ მკლავგაშლილი წამოვიდა.

— შენი სირიმე, ბისო, რა ვასკასი ხოლია ლექსის! — და რატომღაც თვალები აუწყლიანდა.

ამის შემყურე ნუგზარს მამა გაახსენდა და გული აუჩუყდა. მამის ყონაღს შეეგება და მოეხვია.

ორუჯმა გული მოიჯერა, ხელი შეუშვა და,

— ხედა, ხედა, რა ვასკასი ხოლია ლექსის, ალახმა გამარშვება მოგსეს, სილო!...

ნუგზარმა თავი დაუკრა და რატომღაც წამოწითლდა.

— მე და მამასენი ორმოსი სელია ერთმანეთის გისნობს, სმებივით ხათრი გაქვს, ალლახსა ფისავ, დიდი ხათრი გაქს, — ახლა ვასოს შეხედა, — სხენები გაუსი, დუშმანი იოხტურ (მტერი არ არის).

— არა, არა, გვეჩქარება, — გაეძალიანა ვასო და აღვირის წვერი უფრო მაგრად მოზიდა თავისკენ.

ორუჯმა მთლიანად ვერ გაიგო ვასოს ნათქვამი და თათრულზე გადავიდა.

ცხენები იქვე გაუშვეს.

ნუგზარმა ხურჯინი ჩამოხსნა, მოსართავები მოუბოშა, ფეხები ჩაუკრა, ლაგამი წაჰყარა, ნებაზე მიუშვა და კარავისაკენ შეტრიალებულ სტუმარ-მასპინძელს ფეხდაფეხ მიჰყვა.

ცხენები კუნტრუშით გაშორდნენ იქაურობას.

— მოსლა თქვენი საქმე გიყო, — იმოციქულა ორუჯმა, — წასლა მე გისი. და კარავში შეუძღვა სტუმრებს.

— ეს ლექსოს ხათრი, თორემ სასეირნოდ სად მცალია! — ჩაიყვედრა ფერმის გამგემ.

კარავში გრილოდა.

გათელილ მოლზე ხალიჩა ეგო. ერთ კუთხეში ერთმანეთზე მიეწყოთ სამგზავრო საწოლები. მეორეში ჩემოდანი, ნარდი, გრამაფონი და ფირფიტების კარადა. შუა ბოძზე სანადირო თოფი ეკიდა. კუთხეში მიმდგარ პატარა მაგიდაზე ჟურნალ-გაზეთები ელაგა.

— ბიჭოს! — ღიმილით თქვა ვასომ, — ორუჯა აღარ ხუმრობს აი, შრომაც ჰყვარებია და დასვენებაც.

ორუჯმა ახლაც ვერ გაიგო ვასოს ნათქვამი, ვასოს მიმოხვრით განცვიფრდა, თავი ყასიდად დაუკრა და, თითქოს რაღაცა მოაგონდაო,

— ბუ საათ! (ახლავე) — თქვა და გარეთ გავიდა.

მალე ისევ შემობრუნდა. შუახნის მანდილოსანი შემოჰყვა. პირზე თავშლის კალთა აეფარებინა, მორცხვი ღიმილი გადაჰკრავდა.

— სემი სოლია! — თქვა ორუჯმა და მეჩხერ ულვაშებზე ცერა თითი გადაისვა.

მანდილოსანმა სტუმრებს ხელი ჩამოართვა.

— საღოლ, მანუმ კურბანულემ! — გმადლობთ, ჩემო ძვირფასო!

ნუგზარმა თავი დაიდაბლა.

დიასახლისმა კიდევ რაღაცა ჩაიჩიფჩიფა. ეგონა სტუმრები მიხვდებოდნენ მის ნააზრევს და ორუჯს ანიშნა, მე გავალო.

ორუჯმა, ვიდრე დასტურს მისცემდა კუთხეში მდგარი ჩემოდნისაკენ გაიშვირა ხელი.

დიასახლისი ჩემოდანთან მიფართფატდა, ორუჯის ნანიშნევს მაშინვე მიხვდა, რაღაცა საგანი ამოიღო ჩემოდნიდან და ნუგზარის ხურჯინზე დადო.

სტუმრებს რომ დიდი მნიშვნელობა არ მიეცათ მისი მოძრაობისათვის, კარვიდან შეუმჩნევლად გავიდა.

ეზოში ნაფოტები მოკრიფა, ცეცხლი დაანთო და სადილის თადარიგს შეუდგა.

ვასომ, თითქოს დიასახლისს ბაძავდა, ნუგზარის ხურჯინი გახსნა, ქაღალდში შეხვეული რაღაცა საგანი ამოიღო და ორუჯს გაუწოდა.

— ლექსომ გამოგზავნა, ორუჯს გადაეციო!

ორუჯი განათდა, გულზე მიიკრა საჩუქარი და მადლობის ნიშნად თავი დახარა.

— ალლახ, ქომაგელე ბიზიმ ლექსო! (ღმერთო უშველე ჩვენს ლექსოს!)

და გარეთ გაძუნძულდა.

რა დაინახა საჩუქარი ,მანდილოსანმა ხელი აღაპყრო და ლოცვასავით ამომარცვლა.

— ოოო, ალლახ, ვერერ ბიზიმ ლექსო ხეირ ხოშგელდი! (ოხ, ღმერთო, მიეცი ჩვენს ლექსოს სიმდიდრე და გამარჯვება!)

თითქოს ნათქვამი ეცოტავა, კიდევ ილოცა და, როცა დარწმუნდა, ალლაჰი თხოვნას შეუსრულებდა, ოდნავ დაცხრა.

ორუჯი კარავში შემობრუნდა, ნუგზარს გვერდით მოუჯდა და საუბარი გააბა.

— არ დამივიწყოს ორუჯმაო, სოფელში ჩამომხედოსო! — არ უთავდებოდა ვასოს დანაბარები.

— დიდი მადლობელი ხარ, ვასოჯან, სალიან დიდი! — დაზეპირებულივით წარმოსთქვა მასპინძელმა.

— ცოლ-შვილიც გამოატაროსო!

— სალიან დიდი მადლობელი ხარ, ვასოჯან, სალიან!

— თავს გაუფრთხილდესო!

— ოოოხ, ბიზიმ ლექსო, მანუმ ყარდაშ! (ოოოხ, ჩემო ლექსო, ჩემო ძმაო!)

— თუ რამე დასჭირდეს, არ მომერიდოსო!

— ალახმა მისეს გამარჯვება!

ვასოს თანდათან ემატებოდა საუბრის იშტა.

— ცოტას მოვიმჯობინებ და იქნებ გესტუმროო...

— მადლობელი ხარ. ვასოჯან, მადლობელი!

კარავში მცირე დუმილი ჩამოწვა.

— სხვა სილო, სახლში როგორ სხორობენ? — პირველად ორუჯმა დაარღვია დუმილი და ნუგზარს მხარზე ხელი მოხვია.

— კარგად, ძია, ორუჯ, კარგად!

— სვენს ეგრე, სილო, ალლახის სხალობა სალიან ზერია, სალიან ბერი. სოსხლობთ ნელა, — და ორუჯი წამით დაფიქრდა, — მაგრამ სისოსხლე რო სალიან მოკლეა, სალიან... სვენ რო აღარ ვიქნები, ნეტა სვენ სილებს ისე გიყვარდეთ ეთანეთი, როგორც მე და ლექსოს. სვენ სესი გაქს: კასი რო მოქდება, გსის პირას მარხენ, გალელ-გამოლელმა რო დააკირდეს, ყოველთვის გისოდეს,— ისის აქ მოა და ესადოს კარგი ქნას ღოღანაზე. ალახმა ბრსანა სხორება მას შეერგოს, ვინს ადამიანის მოხარულია და გარჯა უყვარს...

ჯერ სიტყვა არ დაემთავრებინა კარავის კართან ქალიშვილი გამოჩნდა.

მოხუცს სახე გაებადრა.

— ეს სემი გოგოა! — ისწრაფა, თითქოს ვინმე დაიჩემებდაო მის ქალიშვილს.

ქალიშვილმა სათითაოდ ჩამოართვა ყველას ხელი და მორცხვმა ღიმილმა სახე აუფაკლა.

ნუგზარს წარბებქვეშიდან ამოხედა და თვალი წამით გაუშტერა.

ნუგზარმა მისი მზერა დაიჭირა და ღიმილს ღიმილი შეაგება.

— ჩემი ლეილა ბაქოში სალობს! — ვერ მოისვენა ორუჯმა და იქვე დაამატა, — უნთუთუთის თუდენთია.

— ბიჭოს! — ვასომ ვერ დამალა აღტაცება და ლეილა კიდევ შეათვალიერა.

— სენა, სილო! — ორუჯი ახლა ნუგზარს გადასწვდა, — მესხარეობა დაისხე?

— არა კაცო, — ვერ მოითმინა ფერმის გამგემ, — მასწავლებლად მუშაობს, ახლა ჩვენთან ამოვიდა, რომ დაისვენოს.

— სემი ლეილა დოხტური გამოა, სამლებს იგონის.

— ყოჩაღ! — თქვა ვასომ და სახეგაღაუღაუებულ ქალიშვილს შეხედა.

— მა! — და ულვაშებზე ხელი გადაისვა ორუჯმა; — ამათ რა გისირს, მე და სასხალ ლექსოს მთებსი შამოგაღამდა, ვერა გისავლეთ რა, ვერა... ეე, სალიან სნელი ყოფილა უსავლელი გასის გსა. სიბნელეა, უსავლელობა, სიბნელე. ეს სვენს გეყოფა. ნახა რა ხანა დადგა, სვენი სილები უფასოდ სალობენ, სხვადასხვა ნასიის ხალხი ერთი სის ქეშ თქბილად სხორობს.

ნუგზარს უნდოდა დასტური მიეცა,

მაგრამ ამ დროს ლეილას მწველ, ეშხიან თვალებს წააწყდა და საწადელი უმალ გაუქრა.

— რამდენი შვილი გყავს? — ჰკითხა ვასომ.

ორუჯმა მუხლზე ხელი დაიდო.

— სხრა! — დაუფარავი სიამაყით წარმოსთქვა.

— რაო, რაო?

— სხრა, მაშა!

— აი, ეს მესმის!

— ალლახის ნება გიყო და, რა ქნა...

— გაიმართლა თავი თათარმა.

— ყველა ცოცხალია?

— მა რა!

— რას აკეთებენ?

— სამნი ასკარში (ჯარში) არიან, ოთხი სკოლაში სალობს, ერთი სალკე სხორობს, ჯალაბობა ყავს, ლეილა ხო სალობს და...

— კარგია! — არც თუ დიდი ენთუზიაზმით მოუწონა ვასომ და კვლავ რაღაცამ ჩააფიქრა...

ნუგზარიც იმავე საფიქრებელმა გაიტაცა შორს, ძალიან შორს...

და იქვე, რომ არ მოელოდა, ზაქარა ძია წარმოუდგა.

ამან ბევრი რამ გაახსენა. გული სადღაც ეტკინა და იქვე შერცხვა რომ ამ თემამ მტკივნეულად ჩააფიქრა და ისიც იმ დროს, როცა მისი მამის მეგობარი თავისი ოჯახის სიმრავლით ამაყობდა...

უნდოდა როგორმე ჩაბმულიყო საუბარში, ლეილას გამოლაპარაკებოდა, ეკითხა რამე, მაგრამ ამ დროს ორუჯმა რაღაცა უჩურჩულა თავის ქალიშვილს და ეს უკანასკნელი კარვიდან ფეხაკრეფით გაიპარა.

ნუგზარმა ერთბაშად მოიწყინა.

ის იყო მაგიდა გაშალეს და პირველად თათრული ხინკალი შემოიტანეს.

5

მზე ერთბაშად ჩაიწვერა.

ბინდბუნდმა მოიცვა არემარე.

ბინაზე მოგვიანებით დაბრუნდნენ.

ლამპები ლიცლიცებდა.

მეცხვარეები კანტიკუნტად იკრიბებოდნენ. როგორც სხვა დროს თავიანთ ადგილებს იკავებდნენ.

ნუგზარი ქილოფზე იჯდა და ერთი წერტილისათვის თვალები გაეშტერებინა.

ის თითქოს აქ არ იყო. ფიქრებს შორს გაეტაცა.

ფიქრები ხან ღვივდებოდნენ, ხან ნელდებოდნენ.

ხან სკოლა წარმოუდგა, ხან სოფელი.

ხან რა...

უსასრულოდ ზღვავდებოდნენ ფიქრები, ერთმანეთს ენაცვლებოდნენ და სადღაც თვალისუწიერეთში ინთქმებოდნენ.

ბევრი რამ ჰქონდა მოუვლელი, მიუწევარი, მოუგვარებელი. შეცდომა მაშინ დაუშვა, რომ ჯარიდან ჩამოსვლისთანავე სასწავლებლად არ წავიდა ქალაქში.

ძაღლების გნიასმა შეაცბუნა.

მიაყურადა.

ზაქარა ლაპარაკობდა.

ქარი ძლიერ ზუზუნებდა, კარს აწყდებოდა, ბუხრისაკენ მოიწევდა, თვალმილულულ ცეცხლს ეტანებოდა, ფერფლს აცლიდა.

ზაქარა რაღაცა ამბავს ჰყვებოდა, სხვები უსმენდნენ, იცინოდნენ.

კვლავ რაღაცას თუ ვიღაცას დაელალნენ ძაღლები.

გნიასს მოუკლეს თანდათან.

მეცხვარეები დადუმდნენ. მებინავე კართან მიძუნძულდა. ურდული გამოსწია, კარი გამოაღო და...

უცებ უკან დაიხია.

მის წინ ხურჯინგადაკიდებული ლექსო იდგა. ეტყობა, ჩქარა ევლო, გახშირებულად სუნთქავდა.

— ფუ, ეშმაკმა შეგაჩვენა შენა! — ამოაბაბანა ზაქარამ.

ლექსომ ჩაახველა. დირეს მარდად გადაალაჯა და პირდაპირ ბუხრისაკენ წავიდა.

— გამარჯობათ, ბიჭებო!

გულთბილს გულთბილად მიესალმნენ.

ნუგზარს გული გადმოუქანდა, წამოვარდა ფეხზე.

— რა ამბავია, მამა, რა მოხდა?

— არაფერია, შვილო, რა უნდა მომხდარიყო? — დაამშვიდა მოხუცმა და ხურჯინი მოიხსნა.

— მაშ ამ უდროო დროს რა გინდოდა, მამა?

— რა და, — უკან აღარ დაიხია მოხუცმა, — რაიკომს შემოუთვლია, ჩამოვიდესო...

— რაიკომს?...

6

დილაადრიან გამოეღვიძათ მამა-შვილს.

მთებს ყანდივით შეჰპარვოდა სიმკრთალე.

ქარი ჩამდგარიყო.

ლაპარაკით რომ მოიჯერეს გული, ნუგზარის გამგზავრების თადარიგის დროც დადგა.

ლურჯა მოუსვენრად ტოკავდა, თვალებს აცეცებდა, ნამიან ბალახს უხალისოდ კორტნიდა. თითქოს მიხვდრილიყო, სად მიდიოდა და სწყინდა.

ნუგზარი ყველას დაემშვიდობა, ნაბიჯი უნდოდა გადაედგა, რომ ზაქარას თვალებში ცრემლი შენიშნა. როგორც ყოველთვის, ახლაც დააწყნარა, უფრო გულთბილად დაემშვიდობა და იქაურობას გაშორდა.

ზაქარა იდგა და ხმა ვერ ამოეღო. ცრემლი მოსდგომოდა უნებურად. ტირილი უნდოდა, ერიდებოდა. ბოლოს ქვითინი აუვარდა და ცრემლის შეკავება რომ ვერ შეძლო, უბიდან მიტკლის ნაჭერი ამოიღო და თვალებზე აიფარა...

ჯერ უხმოდ მიდიოდნენ მამა-შვილი, გორაკს რომ მიაღწიეს, ერთბაშად შედგნენ.

— თავს გაუფრთხილდი! — უთხრა ნუგზარმა და მოეხვია.

მოხუცი ჩაეკრო, თითქოს ვეღარ ნახავდაო, ცრემლი მოადგა, ენა დაება. განშორებისას ნუგზარს ემბორა და გზა დაულოცა.

ისევ ის პატარა და უსუსური ეგონა.

ნუგზარი ცხენს მოახტა, ფეხის წვერი მოუთათუნა ლურჯას და წინ გააქანა.

ლურჯასაც ეს უნდოდა, ფიქრებს მომწყდარი მხედარი გაიტაცა და თავნება სისხლს დაემონა.

ვიდრე თვალს არ მიეფარა მხედარი, მოხუცი ადგილიდან არ დაძრულა.

ლექსო იდგა და გულაჩუყებით გაჰყურებდა მიხვეულ-მოხვეულ გზას, რომელსაც მისი შვილი დასდგომოდა.

გზა ხან გორაკებში იკარგებოდა, ხან იყო და ისევ ჩნდებოდა. ზოგჯერ დაბლა ეშვებოდა, ზოგჯერ იყო და ლარივით სწორდებოდა.

მზეც ამოსვლას აპირებდა და საძოვრებს კარგ ამინდს უქადდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კალე ბობოხიძე

# რა მაწუხებდა, რა მახარებდა

## პოემა-ქრონიკა

### შესავალი

დრომ გააყვითლა ძველი ფურცლები,
გზას ფერს უცვლიდა წლების მეწყერი;
მაინც ისა ვარ — წრფელი, უცვლელი
და ცის ლაჟვარდებს შვებით შევცქერი.

წინ მიდევს წიგნი სიყრმით ნაწერი,
ვფურცლავ და ვხედავ განვლილ გზა-
შარას;
მზე სხივოსანი თავზე დამცქერის
და ვგრძნობ, სიცოცხლე ჯერ არ დამშრალა.

ზოგი რამ მინდა კვლავ გავიხსენო —
გულსაკლავი თუ ტკბილსახსოვარი;
მით სიჭაბუკის გზა გავიგრძელო,
ცა დამნათოდეს სხივთა მქსოვარი.

მინდა, ძველ ჰანგებს რითმა ავუწყო,
ვსთქვა — ბედმა როგორ დღეებს შეგვყარა;
ჩვენი ცხოვრება ყველას ვაუწყო,
როგორ შევიგრძნე ცა და ქვეყანა.

ფიქრმა სად ჰპოვა ნავთსაყუდარი,
რა მაწუხებდა, რა მახარებდა;
როგორ დავძლიე ბედის ავდარი
და სულში სითბოს რა ამყარებდა...

მსურს, შევასწორო ძველი ნაწერი,
და ელვარება ამ დღის ვარგუნო;
ავახმაურო გული დამწველი,
მით ბოროტება დავცე, დავთრგუნო.

იქნებ, უჯრაში რაც შემინახავს —
ბედს გაეწირა გადასაყრელად?!
ლექსები მთხოვენ: —არ შეგვილახავს
რწმენა, გვაღირსე თვალის გახელა!.

დეე, გაიგოს შთამომავლობამ —
შმაგმა ტალღებმა როგორ გვარწია;
რა დაგვაწია წელთა მრავლობამ
და წრფელმა სიტყვამ რა დღე გვაწვია...

მაგრამ არ არის ბედგანწირული
სიტყვა მართალი, საქმე მართალი...
ისევ ბობოქრობს სული გმირული
და უკან იხევს მკაცრი ზამთარი...

---

პოეტმა კალე ბობოხიძემ დაწერა პოემა „რა მაწუხებდა, რა მახარებდა“, რაც საბჭოთა საქართველოს და კომუნისტური პარტიის 50 წლისთავს მიუძღვნა.

პოემა რევოლუციის პოეტური მატიანეა, ქართველი ერის შრომისა და ბრძოლის ჰიმნი. ვბეჭდავთ ნაწყვეტებს პოემიდან.

## ეფრემ-ვერდი

— მისნურს წიგნებს:
ეფუთსა და ეფრემ-ვერდს,
ვინც არ იცნობს,
მან ამ ქვეყნის რა იცის?!
იქ სწერია:
— ხალხის რისხვა მეფეს სძლევს,
წარღვნის მოსვლას
დღეს მსოფლიო განიცდის!
ვხედავ, ვიღაც
წინ დამდგარა ქადაგად,
ქერაწვერა,
მუშა, იქნებ რუსია?
ამბობს: — თითქოს
ვხედავ, მეფე გადადგა;
კაცი კაცს ჰკლავს,
მოყვარე ვერ უცვნია!
ხოცვა-ჟლეტა
არის მოსალოდნელი,
ძმა-ძმას მოჰკლავს,
მამა შვილს არ დაინდობს...
ქარიშხალი
რისხვის ღრუბლებს მოდენის,
წინათ მონა
ბრძოლის ველზე რაინდობს.
ამა ქვეყნად
წარღვნა მოვა მეორედ;
ხალხის გულში
ქრისტეს რწმენა გაჰქრება,
სამშობლოსთვის
თავდადებულ მეომრებს
გაუშვებენ შინ —
მოძმეთა ამკლებად!
შემდეგ, ცეცხლი
მოედება სამყაროს,
წითელ დროშის
მეუფება დადგება.

## თებერვლის რევოლუცია

თავისუფლების მზე ამოენთო,
მთა-ბარს ბურუსი შემოუცლია.
ცნობა, ქუხილად ქუჩებს მოედო:
— რევოლუცია, რევოლუცია!..

ჩაგვრა-მონობის ტახტი დაემხო,
ნაშვრალთა ცოდვამ მეფეს უწია.
ტუსაღებს ციხის კარი გაეღოთ,
სულშიც შეიჭრა რევოლუცია!

ფებერვლის ყინვა იქცა ღვარებად,
მთებს გაზაფხულის სუნთქვა უგრძვნიათ;
ბნელს გაჰყვა დარდი და მწუხარება,
რევოლუცია, რევოლუცია!..

მაგრამ რა იყო ეს გათენება?
მზეს სრულად სითბო ვერ მოუცია!
გულს თუ არ ერგო სულ გამთელება —
რის მაქნისია რევოლუცია?!

უნდა დავლაწვროთ ბნელი ძალები!
ცას ღრუბელთ გუნდი რომ მოუსია,
მაღლა ავსწიოთ ბრძოლის ალმები,
ბოლომდე, დიდი რევოლუცია!

კერენსკიმ ბრძანა:— ფრონტზე შეტევა!..
მტერს ჩვენი ჯარი შეუმუსრია...
სხვა ხმაც გაისმა: — გვეიმედება
პროლეტარული რევოლუცია!..

## საქართველოს ოქტომბერი

თებერვლის დღე —
საქართველოს ოქტომბერი,
რომ გათენდა —
შლიდა სხივთა ბაირაღებს.
ჯანღიანი
ზეცა გახდა ოქროსფერი
და პირველად
მე ლენინი დავინახე.
მისი სახე
მოყოლოდა მზიურ ალმებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი სული —
ჯარისკაცთა სუნთქვას ახლდა;
ხალხთან ერთად
მეც მის მოსვლას მივესალმე,
გაგიხარე
და ოცნებაც ჩემი, ახდა!..
მზე ათბობდა
მშობელ თბილისს ცხოველმყოფელს,
წითელ ფერებს
დაეჩრდილათ სხვა ფერები;
სულ სხვაგვარი
დღე სწვეოდა ქალაქს, სოფელს,
თეთრ მთებიდან
ეშვებოდნენ ლანქერები.
ღამის მწუხრი —
შავ ნაპრალში მიმალული
კანკალებდა
შიშისაგან დაზაფრული;
ალალ გულებს
დაეუფლა სიყვარულით —
საქართველოს
სანატრელი
გაზაფხული...

## ძვირფასი სახელი

მე თითქოს ლენინის სახელი
აკვანში ნანინად ჩამესმა;
მშრომელთა თვალების ამხელის
სიკვდილი მეხივით დამეცა...

ლენინის სახელი ზარივით
რეკდა და ეს გულიც ათრთოლდა;
მძლე დროშებს არხევდნენ ქარები,
წითელ ფერს ცა თეთრად ათოვდა...

ვიყავი მშიერი, შიშველი
და მისი სახელი მათბობდა;
ვიძახდი: — ლენინი მიშველის
და იმ დღეს სულშიაც მათოვდა...

ის იყო ბელადი, პატრონი;
ღარიბთა ქომაგი და მხსნელი.
ვფიქრობდი: — თუ დავრჩით მარტონი —
გვიშველის ლენინის სახელი...

გვიშველის, ვინც წალმა წარმართავს
მრისხანე მორევის დინებას
და მართლაც, იმედი გამართლდა,
სიცოცხლემ ზეიმი ინება...

## სიჭაბუკისა და სიყვარულის საგალობელი

სად მიფრინავ, სიყმაწვილევ, სადა?
თოვლის კაცი ხომ არ შეგხვდა გზადა?
შენ ხომ მზემ და გაზაფხულმა გზარდა,
სად მიფრინავ სიყვარულო, სადა?!

გულო ჩემო, სევდიანი რად ხარ?
შუა გზაზე გარინდული დგახარ!
სიყვარული დაგეძებდეს მზად ხარ,
სპეტაკია შენი სულის ზრახვა!

სიყვარულო, დე, სიბერე გძულდეს,
ნუ ენდობი ვერაგსა და მრუდეს!
ნუ დატოვებ მთაგორების ბუდეს,
გაზაფხულის ყვავილობა გსურდეს!...

შენი ზეცა ბევრჯერ დანისლულა,
რაც გინდოდა, განა აგისრულდა?
შენ ვარდების სურნელება გსურდა,
ხედავ, ზეცა სუსხით დაისუდრა!

ჭაბუკები გაღმერთებენ მარად,
გოგონები გკრეფენ ვარდის დარად.
მწუხრიან გულს ევლინები დარად,
ხან, გაქრები, გადიქცევი ქარად!..

ზოგჯერ სტუმრად მომადგები კარად,
გაპრწყინდები, ელავ ათასგვარად.
ფერია ხარ, დაქრი მთა და ბარად
და [illegible] გადიდებენ მარად!..

# კოსმოსური სიმფონია

განა მისტერია? — მართლაც მიფრენია,
გავხდი გონს მოსული;
ეს გზა ცის ფონია, მესმის სიმფონია —
ჰანგი კოსმოსური...

ვარსკვლავთა კაშკაშია, ლაღად ფრთა
გამშლია,
მიწა იმალება
და მზე ზენიტშია, კვლავაც ზეიმშია
მისი ბრწყინვალება...

განა იზადრება, ახლად იბადება
მთვარის მკრთალი სახე;
რისთვის განგიზრახავს, ცის და მისი ნახვა
რისთვის დაგვისახე?!

შორს ჩანს კოსმოსი და დროშა
შუქმოსილთა —
ფიქრი და ოცნება...
სადღაც სიცოცხლეა, ვიღაც, დღის
მოწმეა, —
სუფევს საოცრება...

ვნახოთ, სადაც იყოს, ჩვენგან არ
გავრიყოთ —
ვინმე გონიერი!
ან სხვა სულიერი, ვპოვოთ ბრძნულ იერით
ჩვენზე ღონიერი!

აღმართ-დაღმართია, განა წაღმართია,
სრბოლა ბედაურის?!
ხომლთა ადათია, ღამე სად ათია?
ვინ ჰყავს მეთაური?!

თვალწინ მეხატება, მოლი მენატრება,
ცვარით განბანილი...
მივქრი, არ ვიძინებ, მზეებრ გამიცინებს
გმირი გაგარინი...

ბედო, სატიალევ, წაღმა ატრიალე
სარკე ჯადოსნური;
სივრცე გადალახე, მადლი დაგვანახე,
ციდან გადმოსუ[illegible]ა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოდო ზურაბიშვილი

# „სიკვდილისათვის არა გვცალიან"

I

1915 წელი 26 ოქტომბერი. ხუთშაბათი. დილას ისევ ღამინდელი ჟინჟლი აჰყვა. ჯანღი ხან მთაზე აგორდებოდა და ბურთივით შეიკვრებოდა, ხან გაიშლებოდა და ბარში ჩამოწვებოდა. ცივგომბორის კალთები უკვე თოვლით იყო აჭრელებული. ბარში კი სითბო ძალობდა, თოვლის მაგივრად წვრილ[illegible]სცრიდა.

თორმეტ-ცამეტი წლის ბიჭები ამაღლების ფერდობზე საბუხრე კუნძებსა თხრიდნენ. ხშირხშირად ისვენებდნენ და ერთმანეთს ახალ-ახალი ამბებით იქცევდნენ.

— ჯო, ნიკუშ, გაიგე, წუხელ სიღნაღის ციხიდან ტუსაღები რომ დაკარგულან?

— როგორ არა, გავიგე, ხუთნი გაქცეულან: მამაჩემმა თქვა.

— არა, არა გცოდნია, — შეაჩერა გიგლამ და სახელოთი ცხვირპირი მოიწმინდა — სამნი ყოფილან, ბორკილებიცა სდებიათ!

— რას ამბობ, ჯო — შეუტია იორამმა — დაბორკილები როგორ გაიქცეოდნენ? ამბობენ, ყარაულები დახოცეს და ტუსაღები ისე გამოიტაცესო.

— აჯამო, კი არ დაუხოციათ, დაუთვრიათ, დაუძინებიათ და ტუსაღები მოუპარნიათ, — დაარწმუნა ავთომ.

— იორამ, რა ბიჭობაა, არა? რომ დააძინებდნენ და ტუსაღებს კიდე მოიპარამდნენ. რა პირკატა ეცემოდათ! — ხითხითებდნენ ბიჭები.

ბიჭობაა, მა რა? მაგას კაი ვაჟკაცები აკეთებენ, ლევან, განა ჩვენისთანა ბაჭიები? ციხე რა გგონია? თებრო ბებიას საქათმე კი არ არის!... სუ თოფიანები დგანან, განა?... — ზურიკომაც საქმეს თავი მიანება, სველი თმები მოიშორა თვალებიდან და ცნობისმოყვარედ დააჭყიტა.

— იი, იარაღი ეხლა ვილას არა აქვს, მამაჩემსაცა აქვს კუჭი, განა?!..

ხევში ცხენების თქარათქური მოისმა. ბიჭები კაკლებ ქვეშ, ფერდობზე დაეშვნენ. ღრანტეზე მიდგნენ, ანწლებში არცკი ჩანდნენ, ყინწები წაიგრძელეს და ცქერად გადაიქცნენ. შეიარაღებული მხედრები ცხენებს თავს ძლივს უჭერდნენ. ბიჭები ერთმანეთს მიეკვრნენ. სუნთქვაშეკრულები დაჰყურებდნენ დარახტულ ცხენებსა და ფორმიან მხედრებს.

ცხენები საურმე გზაზე შეაბრუნეს. ბიჭებმა ადგილი გადაინაცვლეს. ღობესთან მიჩოჩდნენ, ტყემლის სველ ხეებზე აცოცდნენ, სულ ჩამოიწუწნენ, მაგრამ რას დაეძებდნენ, იქიდან ათვალიერებდნენ, როგორ წაიყვანეს ბორკილებ-აყრილი ლადო.

— ერიჰაა!... ეს ხომ ხუმრობა აღარ არის. საწყალი, ლადო ძია!... ჩაილაპარაკა ავთომ.

ბიჭები ბლარძუნით ჩამოცვივდნენ ხეებიდან. კისრისტეხით გარბოდნენ, ერთმანეთს ასწრებდნენ, რომ ზურაბაანებში პირველებს თვითონ მიეტანათ ლადოს დაპატიმრების ამბავი.

ლადო, სიღნაღის მაზრის უფროსს — ზაქარია (შაქრო) მიხეილის ძე გურამოვს წარუდგინეს.

გურამოვი, საკმაოდ ჩასუქებული, მკერდგანიერი, საშუალო ტანის კაცი იყო. შავგვრემანი, ხშირი, ქართული ულვაშები ჰქონდა და ლამაზად შეკრეჭილი წვერი.

შაქრო გურამოვი, ანუ გურამაშვილი, წარმოშობით საგურამოდან, სოფელ ახატანიდან

იყო, ილია ჭავჭავაძის მეუღლის — ოლღას ბიძაშვილი.

მაზრაში შაქრო მრისხანედ და მკაცრად გამოიყურებოდა, ყველას ეშინოდა მისი ზარბაზანივით დაქუხებისა, ქორწილ-დღეობებში მომლხენი და ენამახვილი იყო. არ შეიძლებოდა მის ირგვლივ მყოფნი, მისი ენამოსწრებულობით, სიმღერით და ცეკვით არ მოხიბლულიყვნენ.

ასეთი მომლხენი და დარდიმანდი კაცი იყო სიღნაღის მაზრის უფროსი, რომელსაც ლადო წარუდგინეს. ისინი რომ ქორწილ-დღეობაში შეხვედრილიყვნენ, ერთმანეთი საკმაოდ მოეწონებოდათ და კმაყოფილნი დარჩებოდნენ, მაგრამ ახლა, სულ სხვა ვითარებაში მოუხდათ „გაცნობა“.

ლადოს დაპატიმრების თავიდათავი გეგენა ზურაბაშვილი გახლდათ. გეგენა, ბოდბისხევის ყოფილი მამასახლისი იყო, რომელსაც ლადოსთან საკმაო სერიოზული უთანხმოება ჰქონდა. ერთხელ გადასახადების ასაკრეფად გასულ გეგენას, ლადო გადაეღობა და ფულის აღების საშუალება არ მისცა. მის შემდეგ დანასისხლად გადაემტერა ბიძა.

გურამოვი, გეგენასაგან გახელებული, ჩიბუხს ჩიბუხზე აბოლებდა. მორიგემ კარი შეაღო. ფეხი ფეხზე მიარტყა, მარჯვენა ხელი შუბლთან გაჭიმა და სულმოუთქმელად მოახსენა: — თქვენო აღმატებულებავ! დავალება შესრულებულია. დამნაშავე შეპყრობილია. თქვენს კარზეა, ბრძანეთ და გაახლებთ!...

მაზრის უფროსს თვალები გაუფართოვდა, მაგიდასთან გაიჭიმა და ბრძანა:

— შემომიყვანეთ!...

პოლიციელებმა პატიმარი შემოიყვანეს. ლადომ, თუმცა ბორკილები ძალიან უშლიდა, ქართველურად ქუდი მოიხადა, თავისი ზრდილობის წესი მაინც არ დაკარგა, ოდნავ მოიხარა, სალამი მისცა. მაზრის უფროსმა, თითქოს თავი დახარა, მაგრამ ეს მხოლოდ ინსტინქტით დაემართა. ის დატყვევებული იყო ლადოს ვაჟკაცური გარეგნობით. გაახსენდა, რომ მის წინაშე „საშინელი ბოროტმოქმედი“ იდგა, სწრაფად გაიჭიმა და წარბი შეყარა.

— ახლოს მოიყვანეთ!

ლადო მიუახლოვდა. მაზრის უფროსმა აათვალიერა მხარბეჭიანი, ახოვანი ვაჟკაცი. თვალი თვალში გაუყარა. თითქოს ზომავდა, ღირს თუ არა შებმაო და ცერზე შემოტრიალდა.

— ეს ვაჟკაცობა შენ ჩაიდინე?

— არ მესმის, რომელ ვაჟკაცობაზე მეკითხებით?!

ზაქარია გურამოვმა თითქმის ყვირილით განმარტა:

— რომელიც წუხელ ჩაიდინეთ, სიღნაღის ციხიდან პოლიტიკური პატიმრები რომ გაიტაცეთ.

— ვაჟკაცური საქმე — ვაჟკაცებსა სჩვევიათ, მაგრამ მაგის შესახებ მე არაფერი გამიგია!... — დინჯად მოახსენა პატიმარმა.

— თუ ვაჟკაცებსა სჩვევიათ, მაშ, მათ მსგავრად რომ თქვენ ჩასხდებით, შენი მუშებიანად, მაშინ კარგად გაიგებ. ამ საქმის საუცხოო მცოდნე გამოხვალ!...

— დახმარება თუ გსურთ, შემიძლია აღგითქვათ! — ისევ მოთმინებით მიმართა პატიმარმა.

გურამოვი შეტორტმანდა.

— როგორ? დახმარებაო! — თავხედობს თუ საცინლად მიგდებს? ჩემს ხელთაა და მე დახმარებას აღმითქვამს? ყრუდ წაილუღლუღა. მობრუნდა, წარბები შეჰყარა, ტუჩები უფრო მოკუმა, სახეზე საშინელი მრისხანება გამოეხატა:

— ახლავე სველ სარდაფში ჩააგდეთ! მნახველი არავინ შეუშვათ. შინაურები დაჰკითხეთ. ამის მუშები შეიპყარით, თუ ვინმე ეჭვმიტანილად ცნოთ, ჩვენება ჩამოართვით... ბინა გაჩხრიკეთ. ხუთშაბათისათვის ყველაფერი დამიდგინეთ.

ერთი კიდევ აათვალიერა პატიმარი და პოლიციელებს კარზე მიუთითა:

— გაიყვანეთ!

ლადო გაიყვანეს თუ არა, მაზრის უფროსმა შუაკარი გახსნა, გეგენას ანიშნა, გამოდიო.

გეგენამ სავარძელი მიაჩოჩა შიგ ჩაჯდა და გურამოვს თვალებში გაბედულად შეხედა:

ამ ბოლო დროს ქალაქს სიარულს მოუხშირა, აქა-იქ, ორღობეებში, პროკლამაციები გაჩნდა. წუხელ ვაჟბატონი საცვლებისამარა ვნახე, ცხენით მობრძანდებოდა. ისიც უდროოდ. მერე ისევ დანდობილა, სადღაც გაქრა..

მაზრის უფროსი დაკვირვებით უსმენდა. გეგენა კი კმაყოფილი იღიმებოდა. სიამოვნებისაგან სიტყვა ყელში ეჩხირებოდა, თითებს მაგიდაზე ათამაშებდა. გეგენა ბედნიერად თვლიდა თავს, რომ გურამოვის ყურადღების ღირსი გახდა და მასთან ასე თავისუფლად საუბრობდა.

— ეს ნომერი კარგი გამოვიდა... ამის გულიც მოვიგე და ჯავრიც ამოვიყარე, — გაიანგარიშა გუნებაში გეგენამ.

— მე კიდევ გაფრთხილებ, — მკაცრად და თან თითქოს ამხანაგურად შეახსენა გურამოვმა, — შეცდომაში არ შემიყვანო და ნამდვილი დამნაშავე ხელიდან არ გაგვექცეს!

— მე და ჩემმა ღმერთმა, გუმანი არ მამატყუებს, თორემ განა მე კი არ მეცოდება? ბოლოსდაბოლოს ბიძაშვილის ლეკვია... რათ გავიმეტებდი, მაგრამ სამშობლოს ვალი ხომ უფრო მაღლა დგას, ასე არ არის? თქვენო ბრწყინვალებავ!

ლადომ მამის ალერსი რა იყო არ იცოდა. ცხრა თვისა ყოფილიყო მამა რომ მოჰკვდომოდა. დედამ — მაიკო ალადაშვილმა-ზურაბაშვილისამ, ცხრა წლის ბიჭი ჯერ მაღაროში აბრამა ურჯუმელაშვილს მიაბარა მოჯამაგირედ, სადაც ლადომ სიმწარე და ცრემლი ბევრი ნახა .მერე კი ჯუგაანში დეიდის ქმარმა — მიხაკო კიკილაშვილმა (ფალავანამ) წაიყვანა და თოთხმეტი წლის ბიჭი ნამდვილი ცხოვრების ფერხულში ჩაება.

მიხაკო კიკილაშვილი (ფალავანა) ნათქვამი კაცი იყო — თავისი ღონითა და გონებით; კარგად იცოდა ლეკური, თათრული და ბერძნული ენები. მან ჯუგაანის ღარიბი ხალხის სასარგებლოდ ბევრი კარგი საქმე წამოიწყო. ორი — სამკლასიანი სკოლა ააშენა, წყლები გაიყვანა, გზები გაიტანა. ღარიბი ხალხის ქომაგად იყო მოვლენილი, იმიტომაც შეიძულა იმდროინდელმა მთავრობამ.

ფალავანას საკუთარი მაღაზიებიცა ჰქონდა და ზვარ-ვენახებიც. ძირითადში კი თამბაქოს მოხელეს ოთხი ფარდულიც თამბაქოთი ჰქონდა სავსე და საზღვარგარეთ გადიოდა მისი ნაწარმი.

ლადომაც ბიძას მიბაძა, 18-20 წლისამ საკუთარი მაღაზიაც გახსნა და თამბაქოს ფარდულიც შეიძინა. მუშები დაიქირავა და ამუშავებდა.

სოფელი შეწუხდა.

მთელ მაზრას მოედო პოლიტიკური ტუსაღების დაკარგვის ამბავი. მაგრამ ლადოსა და მისი მუშების ბედი უფრო აწუხებდათ.

მაიკოსთან მრავლად მიმოდიოდნენ თანაგრძნობისათვის დედაკაცები. ბევრსაც, იქნებ, მხოლოდ სეირი უფრო ახარებდა?! გულმოკლული დედა ფუშფუშა კავებს იგლეჯდა, ცოდვით იწვოდა მნახველი...

ერთი ცხადი იყო. სიკვდილით დასჯას ვერ ასცდებოდა მაიკოს ერთადერთი შვილი, თუ კი ეს დიდი დანაშაული მას დაუმტკიცდებოდა. ბევრი გულწრფელად განიცდიდა ამ ოჯახის ხვედრს...

ქიზიყს ეძინა.

მხოლოდ სიღნაღი ფხიზლობდა. როგორც გუშაგი — სადარაჯოზე.

ციხის აშმორებულ ტალანებში ნესტის სუნი იდგა. აქაიქ პატრუქიანი ჭრაქი ბჟუტავდა. რკინის მძიმე კართან მცველები მცველებს სცვლიდნენ. რუსის ოფიცრებს არყით უმასპინძლდებოდნენ. გაზეთის ნაგლეჯებში გამოხვეულ თამბაქოს ხარბად აბოლებდნენ და წამდაუწუმ გულისწამღებად ახველებდნენ.

შებინდებიდანვე შეუწყვეტელი წვიმა ხის ფოთლებზე შარიშურობდა, რომელიღაც ეზოს კართან სიცივისაგან აბურძგნული ლეკვი ყეფდა. მომშეული ტურების ღმუილი ღიჭიხევიდან ბოდბისხევამდე აღწევდა.

დიდი საქმე გაუჩნდათ სოფლისა და მაზრის მოხელეებს. ,ყველას ეჭვის თვალით უყურებდნენ და ყველასაგან რაღაცის გაგებას თხოულობდნენ. გეგენა კი დღენიადაგ სიღნაღში დადიოდა. ცდილობდა უფრო მეტად დაახლოვებოდა მაზრის უფროსს და მისი გული ბოლომდე მოეგო.

ლადოს მუშებიდან ოთხი შეიპყრეს: ილია და ტიგრანა შიხაშვილები, მოსე ზურაბაშვილი და გიორგი ცაბუტაშვილი.

მაზრის უფროსმა გამომძიებელი დაიბარა, დიმიტრი მატატოვის გამოჩენაზე შუბლი შეიკრა, გაიარ-გამოიარა და მოსხლეტით შეეკითხა:

— საქმის ირგვლივ რა იცი? გატყდნენ თუ არა, ის ძაღლისშვილები?

— თქვენო აღმატებულებავ, „როზგიც“ ბევრი მიიღეს და როგორც მოგეხსენებათ, „ცივშიაც“ ჩავყარეთ, მაგრამ თითქმის ყველას ერთი და იგივე ჩვენება აქვს... არ შეგვიძლიან დავადანაშაულოთ მთავარი პატიმარი...

დიმიტრი მატატოვთან საუბრისას გურამოვს თითქოს წყენა შეხვდაო, ეს მკერდგანიერი, ჯმუხი კაცი, უფრო გაგანიერდა, თვალები გადმოკარკლა... ერთი შეხედვითვე შეატყობდით, რომ გულში რაღაც ტკივილი იგრძნო...

— ზახარ მიხაილოვიჩ, ჩვენ რაღაც გზა აგვებნა. სხვა გზით უნდა ვეძებოთ ტუსაღების გამტაცებლები...

— ეს როგორ? განა გეგენა შეცდა?... — ელდანაკრავივით იკითხა გურამოვმა და სავარძელი დატოვა.

დიმიტრი გრიგორიჩმა მალე ჩააცხრო მისი აღშფოთება:

— არა, ჩემო ბატონო, გეგენა არ შემცდარა იმაში, რომ მან ნამდვილად ნახა ლადო საცვლების ამარა; ამას არც ტუსაღი უარყოფს, მაგრამ ის, რომ ლადო იმ ღღით სიღნაღში ყოფილიყოს, ეს შეუწყნარებელი ცილის წამებაა... 26 ოქტომბერს მთელ დღეს მუშებთან ყოფილა, ფარდულიდან საღამოს მოგვიანოდ გამოსულა, ცხენით მიმავალ მგზავრს, სოფლის ბოლოზე, ტყიდან გამოსული ტუსაღები წინ გადაღობებიან და ალვირზე ხელი უტაცნიათ. როდესაც ცხენიდან გადმოუყვანიათ, ლადოს ტანისამოსზე შეუცვნია, პოლიტპატიმრები არიანო... როგორც მოგეხსენებათ, ღამე ბნელი იყო და ჯანღიანი... ტუსაღებს თოფები ჰქონიათ, ტა-

ნისამოსი და ფული მოუთხოვნიათ, რაც ძალით მიუღიათ... ან, განა ერთი კაცი ორთან რას გახდებოდა? მით უმეტეს, რომ უთქვამთ, აქ ბევრნი ვართო და ძალადობას აზრი არა აქვსო. — სინანულით დაამთავრა მატატოვმა.

მაზრის უფროსი, რომელიც აქამდე მძიმე ნაბიჯით მაგიდის ირგვლივ მიდი-მოდიოდა და მოთმინებით უსმენდა, ფანჯარასთან შეჩერდა, წვერზე ხელი ჩამოისვა, დაკვირვებული მზერით რაღაცას მიაჩერდა, თითქოს ახალ გადაწყვეტილებას იღებსო, სწრაფად შემოტრიალდა, დიმიტრი გრიგორიჩის ნაცრისფერ თვალებს ცეცხლი მიაკვესა და ტუჩებმოკუმულმა მტკიცე ხმით დაიგრგვინა:

— მოვითხოვ, ვბრძანებ, იპოვოთ გამტაცებელი!... წარმომიდგინეთ დამნაშავე... რას ამბობენ მუშები?

— როგორც მოგახსენეთ, ერთიდაიგივე ჩვენებას იძლევიან, რითაც არ შეგვიძლია ლადო ზურაბაშვილის პასუხისგებაში მიცემა. მოგეხსენებათ, მუშები ძალიან მიამიტი, გაუნათლებელი ბიჭები არიან. არავითარი თვალთმაქცობა არ შეინიშნება... ან თვითონ ვიფიქროთ: მუშებს საიდან ეცოდინებოდათ, მათ „ხაზეინს“ გზად რა შეემთხვა? უსაფუძვლოა მათი შეპყრობა! ასე არ არის?

— მაშ, გეგენამ დაგვანდო? შენი ნალაპარაკებიდან ასე გამოდის ხომ? ჩვენ მათზე დაიმედებულებს ნამდვილი დამნაშავე ხელიდან გაგვიძვრა?...

—თითქმის, ზახარ მიხაილოვიჩ!

— კიდევ ვიფიქროთ, — კბილების კრაჭუნით, მოუსვენარი მოძრაობით გააფრთხილა გურამოვმა. დიმიტრი გრიგორიჩი კარებისაკენ მძიმედ გაემართა.

— დაა!... — ჩაილაპარაკა მარტო დარჩენილმა გურამოვმა. „ერთნაირი ჩვენება“...

შაქროს აღშფოთების ნამდვილი მიზეზი კი გეგენა იყო, შემოჩენილივით რომ ჩამოუჯდებოდა და გასაქანს არ აძლევდა.

გულამღვრეულ მაზრის უფროსს მისწრებასავით, თითქოს გამოუწეროსო, გეგენა ესტუმრა. გეგენას დასალმებაზე მაზრის უფროსს პასუხი არ გაუცია. ფანჯარასთან იდგა და ყალიონს აბოლებდა. კოპები ისე ჰქონდა შეკრული, დანა პირს არ უხსნიდა.

გეგენამ კვლავ სავარძელში მოიკალათა. მაზრის უფროსი შემოტრიალდა და განრისხებულმა დაიღრიალა:

— აი, რა უხეში შეცდომა ჩაგვადენინე!... ბებერო მელა! მომიყვანე დამნაშავეები, თორემ ცოცხალი არ გადამირჩები, სახრჩობელა არ აგცდება, გესმის?

გეგენას შეცხა. ფოთოლივით აცახცახდა. გული თითქოს ხრამში გადაუქანდაო, ისე წაიღო ხელი შესაშველებლად. განა ასეთ დაბოლოებას ელოდა?

...ენა გაუშრა. თავს ძალა დაატანა.

— ბატონო უფროსო, არა მგონია, ვცდებოდე. ცოტა მოითმინეთ, მომისმინეთ — [illegible] რული ღიმილით შესთხოვა გურამოვს [illegible] ლი გააპარა, როგორ მიიღო ჩემი თხოვნაო.

— კიდევ მოვითმინო? საქმე გარკვეულია! — ერთი უშველებელი დაიბუხუნა გურამოვმა — შენ თვითონა ხარ სათოკე!...

— ლადოს უფრთხილდით, შეცდომაში არ შეგიყვანოთ, ჩემს ხელში აღზრდილი ლეკვია და მისი თვისებები ზეპირად ვიცი — მაცდურად დააყოლა გეგენამ, — თქვენ, ის პატარა გორგომიჭელასავით ბალღი რომ მოიყვანოთ, უფრო მართალს გაიგებთ...

შაქრო გურამოვმა კამეჩივით გადააბრიალა თვალები და გეგენას გადახედა — რა ბალღზე მელაპარაკებაო...

გეგენამ გარკვევით მოახსენა:

— აი, ცოლისძმა რომ ყავს, ფარდულში, პატარა ბიჭი, თედო, ხომ მოგეხსენებათ, ბატონო, სოფლის ამბავი ერთი ბალღსა ჰკითხე და მეორე — დედაბერსა, დაწვრილებით გაიგებ ყველაფერს... აგრეა განა?

— რაო? დაიქუხა გურამოვმა-ეხლა კიდე ბალღებზე გადამიყვანე და იმათ ჭკუაზე უნდა მახტუნო? შენ ხომ არ შეშლილხარ, ბებერო?...

მარჯვენა მკლავი ისე გაშალა, რომ გეგენას შიშისაგან ენა ჩაუვარდა.

— წყალმა წაიღოს ეს თქვენი ლადო და შენც
თან მიჰყოლიხარ. დავთრები აგვირ-დაგვირიე.
ეგ სათივესავით ულვაშები სათოთაოდ უნდა და-
გაგლიჯოს კაცმა. — ყვირილით განაგრძობდა
გურამოვი. გეგენას გოლიათური ტანი წამში და-
პატარავდა. ვეება ულვაშები რომელიც .ნიკაპს
ქვემოთ სწვდებოდა, უფრო ჩამოეფხატა. ხში-
რი, ჯაგარივით წარბები ისე წამოექცნენ, რომ
თვალები სულ დაეფარა. იხტიბარი ძალუმ წა-
უხდა. მთელი ოცნება, რომ ამ ბიჭზე ჯავრს იყ-
რიდა, უცებ დაემსხვრა. სავარძლიდან წელ-
მოწყვეტილივით წამოდგა, დამძიმებული ტანი
კარებამდე ძლივს მიიტანა, კარებში მოხრილი
გავიდა. ფეხები ცხენზე ვაივაგლახით აიტანა
და ქანაობით ბოდბისხევისკენ ქედლიწვერზე
დაეშვა.

— ეს რა დამემართა?... როგორ უკულმა და-
ტრიალდა ყველაფერი!... ნუთუ გურამოვი მე
არ მიჯერებს?... ნუთუ ჰგონია, რომ ლადო მარ-
თალია? განა ლადოს სიტყვას მეტი გასავალი
აქვს, ვიდრე ჩემსას? მე, რომელსაც ასე მიჯე-
რებდნენ, ერთი თქმა საკმარისი იყო, მთელი
სოფელი დაეპატიმრებინათ, მე, რომლისაც იგ-
რე ეშინოდათ, გამარჯობასაც ვერ მიბედავნენ,
იგრე დავეცი, რომ მაზრის უფროსი მიყვირის,
თოკით მემუქრება?... რატომ აგრე ერთი ხელის
აქნევით მომიშორა!... რა გულგრილად უყურებს
მაგ საქმეს?

ცხენმა წაიბორძიკა, გეგენა წინ გადაქანდა, ვეება ტყავის ქუდი თვალებზე ჩამოეფხატა, მაგრამ არ მოუშორებია თვალებიდან, ისევ თავისთავს ესაუბრებოდა, გულში რაღაც მდუღარე ქოთქოთობდა...

— ეეჰ, გეგენავ... მორჩა, დაამთავრე ამით სიცოცხლე... რაღად გინდა, რომ ხარ. ეგეთმა გალევერილმა ხალხმა, გუშინდელმა ბეღურის ბარტყებმა, არწივი დამჩაგრონ?... რა ხდება? რატომ აგრე დატრიალდა ქვეყანა, რომ ვეღარა გამიგია რა.

ცხენს მიჰყავდა. თორემ გეგენას ერთხელაც არ გაუხედნია აქეთ-იქით. ბოდბის — „ნინო წმინდის“ ტაძრიდან მწუხრის ზარის რეკვა ისმოდა... თავი ასწია, ცერა თითით ქუდი წარბებამდე აიტანა, დაჰუნჭუხებული ტყაპუჭის კალთები შეიბერტყა, დანისლულ ულვაშებზე ხელი ჩამოისვა, ტაძარს გადახედა, პირჯვარი გადაისახა, ღმერთი ახსენა, თავი რაღაცნაირად, უიმედოდ გაიქნია, ცხენს მათრახი გაუწკაპუნა, ისევ ფიქრს გაუყვა:

— არა, საქმე სხვანაირად უნდა ჩავაწყო. სულერთია, იმ ძაღლისშვილს არ გამოვუშვებ, ისეთ დღეში ჩავაგდებ, თოკიც ზედმეტი იქნება. არა, იმ მუშებს უნდა შევუჩნდე. ერთი ვიკითხო, სადა სხედან. ტორროაანთ ბიჭებს თუ ვერა, მოსეს მაინც მოვტეხავ, ტეფოს ბიჭი — გიორგი კი არაფრით მოისყიდება, ის ისედაც აყირავებულ ხასიათზეა, ცოტა არ იყოს აღრენილია ამ მთავრობაზე, ისევე მოსეს უნდა შევუჩნდე, აჯამი და უვიცია... მერე ერთ თოკზე ავკინძავ ყველას, ლადოს წინააღმდეგ ავამხედრებ... შაქრო გურამიშვილს დავუმტკიცებ, რომ მე ისევ ის გეგენა ვარ!... თუ არა და ქალაქ ჩავალ, გურამოვის ბალბას მე მოვხარშავ!...

გონებაში გადაწყვეტილება მიიღო თუ არა, იმედი დაუბრუნდა. ყალიონი გაახსენდა, ამოიღო, ცეცხლი წაუკიდა, გააბოლა... ცოტა გაიჭიმა,. ბოდბისხევს გადმოხედა... თითქოს გამოცვლილი ეჩვენა. ლილაგახუნებულ ნამამასახლისარს იქაურობა აღარ ეჩემა... უკმაყოფილო იყო თავის სოფელ-ქვეყანაზე... მთის თავზე — მოლეთისაკენ, „ღვთისმშობელი“ შენიშნა. ყალიონი მარცხენაში გადმოიტანა, მარჯვენით ქუდი მოიხადა, იღლიაში ამოიჩარა, ხელი გაშალა და შეევედრა: „დედა ღვთისმშობელო, ხელი მომიმართე“-ო და ქუდი ისევ დაიხურა.

გეგენას წასვლისთანავე გურამოვმა ფანჯრის ფარდა გადასწია და ბრაზით ანთებული თვალები მიმავალ გეგენას გააყოლა.

— ძაღლიშვილი, მიმტკიცებს, ლადო იყოვო... ბებერ ძვლებს ძველი ჯავრი აქვს და ახლა უნდა, რომ ნარი ჩემი ხელით მოგლიჯოს. ვერ მოგართვი, ბაყბაყდევო, რაც ჩემგან წაიღო, თქვენსა დაიტრაბახე, რაღა გურამიშვილი ვარ, რომ შენ გამაბრიყვო? თანაც რომ იძახის: ჩემი ბიძაშვილის ლეკვიაო... გაგიწყრეს ნათესავიცა და მეზობელიც, რომ შენ ნათესაობისა არა გესმოდეს რა. თუ არ მოგაძაღლინე ეგ ლაშლაშა პირი, შაქრო არ ვიყო, დამაცადე. აბა გაბედე და ერთი შემობიჯე ამ ჩემ კარების დირეზე!.. მე მოგივლი შენა, თუ არ გაწრუწუნე, ბიჭი არ ვიყო... ტინგიცო მამაძაღლო, შენა!... „ბალღი დაკითხეო“... თანაც ჭკვაზე მარიგებს, ბალღის მადლიც გაგიწყრეს და ბებერისაცა... შენის ყველაყისამ შენს განკარგულებაზე დადის შაქროცა, აი... აფრაკი ბებერი!...

პირველი დაკითხვის შემდეგ, ლადო, ცივსველ სარდაფში ჩაიყვანეს. არც დაწოლა შეიძლებოდა, არც დაჯდომა. ბევრი იღონა. უნდოდა როგორმე მუხლი ჩაეხარნა, მაგრამ ვერაფერი მოახერხა. ძილი ხომ... ძილზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. ან რა დააძინებდა, დარდისაგან გული საბერველივით უცემდა. სახლში, ახალფეხადგმული და აკვანში ჩაკრული გოგო დატოვა, ცოლი, და მოხუცებული დედა. თვალწინ მოჩვენებასავით ჩაუქროლა ცხოვრებამ...

ლადოს ჯერ კიდევ თავის მტირალა გოგოს ჩხავილი ესმოდა ყურებში, რომ კართან ფეხის ხმა გაისმა. გამოერკვა. ტკბილი ფიქრები უცებ დაერღვა. კარებზე გასაღები მძიმედ გადატრიალდა, ურდულის ჩხარუნი ტყვიასავით მოხვდა გულს. კარი გაიღო და პოლიციელი გამოეჭიმა: — წამოხვალთ! — ბრძანების კილოთი მიმართა პატიმარს. უხმოდ გაჰყვა.

კაბინეტში ორნი აღმოჩნდნენ. ლადო და დიმიტრი მატატოვი. დიმიტრი არანაკლები ვაჟკაცი იყო, ტანადი, მხარბეჭიანი, კეთილი შუბლი, დიდრონი თაფლისფერი თვალები, ლამაზად შევერცხლილი ქერა ულვაშები... რუხი ფერის ფრენჩი ეცვა, ოქროსფერი სამხრეები თავისებურ სასტიკ იერს აძლევდა, თორემ სახის მშვიდი გამომეტყველება, მეტად კეთილი გულის ადამიანად წარმოგვიდგენდა.

დიმიტრი მატატოვი მოკრძალებით წამოდგა, ლადოს მიუახლოვდა, მხარზე ხელი დაადო და სავარძელზე მიუთითა. ლადო უხმოდ ჩამოჯდა. დიმიტრი გრიგორიჩმა სავარძელი ახლოს მიაცურა და დაბალი ხმით მიმართა:

— ლადო; აქ ბევრი მიკითხვ-მოკითხვის დრო არ არის. უკეთეს ერთგულს ვერა ნახავ. შენი საქმე საგანგებოდ გადმოვიბარე, რომ აქაურმა მოსამართლემ არ გაარჩიოს. თბილისიდან ისეთ მოსამართლეს ჩამოვიყვანთ, ქართული ენა მისთვის ჩინური იყოს. შენი მუშებიდან, ილა, ტიგრანა, გიორგი და მოსე გვყავანან დაპატიმრებულები. გეგენას მეტი არავინაა შენი მოდავე, იმას კიდევ ისე მოვიშორებთ თავიდან, რომ ხასამართლო თვალით აღარ ნახოს.

...ცოტა არ იყოს, შაქრო გურამოვი მასზე აღრენილია, უკვე კბილქვეშ მოიტანა. გუშინ რომიაანთ რამანა (ხოსიტაშვილი) და ფალავანა იყვნენ შაქროსთან.

ლადო დაბნეული შეჰყურებდა „გამომძიებელს“. ვერ გაეგო რა ფანდი იხმარეს, მახეს უგებდნენ, თუ ეს ღვთისკაცი მათი გულშემატკივარი იყო? მერე? შაქრო გურამოვი? ის როგორღა შეიძლებოდა მათ მხარეზე გადმოეყვანა? ეს ფიქრები ერთმანეთში იხლართებოდა... ერთი კი ცხადი იყო, გამომძიებელს არც დაკითხვაზე შეუწუხებია, არც გულმწყრალობა, გამოუჩენია. პირიქით... რაღაც გამზადებული დაწერილები ჩაუკითხა და ხელი მოაწერინა. ლამაზად შეკონა და საქმეში გამოამწყვდია.

— შენი ცოლი და ცოლისძმა იყვნენ ჩემთან — ისე, სხვათაშორის დაუმატა დიმიტრი გრიგორიჩმა. გაღიმებულმა თვალების ციმციმით შეხედა ლადოს: — უნდა გითხრა, „გულუხვად“ სცოდნია სიარული. ვერ დავაჯერე, რომ ჩვენთან ხელცარიელიც შეიძლებოდა მოსვლა. თუმცა, აბა რას მენდობოდნენ. პირდაპირ უხერხულ მდგომარეობაში ჩამაყენეს. სიმართლე გითხრა, გურამოვი კი გავახარე, ისეთი ბეჭედი მივართვი, რომ სულ ჩიტო-გვრიტოს სიმღერით უვლიდა მაგიდას; ხომ იცი, მოქეიფე კაცია და უყვარს „ყურადღება“ ხალხისაგან... შენ ცოლს ვუთხარი, აღარ ამოხვიდეთმეთქი, ორი პაწაწინა გოგონა გყოლია...

ლადო ამ ხნის განმავლობაში დიმიტრის განცვიფრებული უცქერდა და უსმენდა. ბოლოს თავისდაუნებურად წაცდა: — ვერაფერი გამიგია! — შუბლზე ჭირის ოფლი მოიწმინდა. — ეს რა კეთილი ანგელოზები ჰყოფილხართ...

— უბრალოდ, ისეთივე ანგელოზები, როგორც შენა ხარ... ახლა კი ერთი კარგა ისადილე, გამოიბუსკნე და ოთახსაც შეგიცვლი. — ამ სიტყვებზე დიმიტრი გრიგორიჩი წამოდგა, კარადიდან საჭმელი გამოალაგა, ცივად მოხარშული დედალი, შოთი პური, ნაზუქები და შემწვარი ბეჭი გამოიღო. — აბა ლადო, დროზე ისადილე. რა ვქნა, სასმელზე უკაცრავად, ძმაო. ჯერჯერობით ტუსაღი ხარ, არ შეიძლება:

ლადო მადიანად ილუკმებოდა. ერთი ირიბად გახედა დიმიტრის და ჩაცინებით გაეხმაურა: — თუ ცოცხალი დავრჩი, სასმელი როგორი უნდა, მე კი ვიცი, არც მაგაზე გაწყენინებ... დალაქიაანთ ბიჭს მეძახიან... დაკარგული არ გეგონო...

ლადომ სადილი დაამთავრა. დიმიტრიმ კარებამდე მიიყვანა. მცველებს ერთი შუბლშეკრულმა თვალები დაუბრიალა და უბრძანა:

— წაიყვანეთ! სტიოპას უთხარით, ზედა სართულზე № 5 ოთახში შეიყვანოს... ცოტა წაიძინოს, თორემ რაღაც დალაგებულად ვერ ლაპარაკობს...

დიმიტრი გრიგორიჩი მარტო დარჩა. ფიქრს მისცა თავი. განათლებული კაცი იყო და რა ესწავლებოდა. ვითარება კარგად აწონ-დაწონა.

რომანოვების სამსაუკუნოვან დინასტიას ფერი ეცვალა. როგორღაც მოირყა ხავერდის ტახტი, ჭრიჭინითა და გნიასით იკლებდა იქაურობას. ადრე რომ ამ ტახტის მბრძანებელი ხალხს სიამოვნებდა, ახლა მათი ხმაური ყურს მოსაბეზრებლად ხვდებოდა. შინა თუ გარეთ, რევოლუცია ესმოდათ. პოლიცია რამდენადაც აძლიერებდა ზედამხედველობას და დასუსნაობდა, დაძრწოდნენ, ქვეყანას ხელში და ფეხში შეჰყურებდნენ, — ამ ფარულ ორგანიზაციაში ხალხი მით უფრო აქტიურად ებმებოდა, უფრო მასობრივ ხასიათს ღებულობდა.

გურამოვს თავის გამომძიებელ „თარჯიმანის“ რიდი ჰქონდა, დიმიტრი მატატოვს კი გურამოვისა ეშინოდა. მთლიანად ვერ მინდობილიყვნენ ერთმანეთს.

საღამოს, დიმიტრი გრიგორიჩი, მაზრის უფროსს მოკრძალებით ეახლა და მათ შორის ასეთი საუბარი გაიმართა:

— ზაქარ მიხაილოვიჩ, ჩვენ ამ ლადოსა და მის მუშებს მაგრად ჩავჭიდეთ ხელი, როგორც ვატყობ, ნამდვილმა დამნაშავემ თავს უშველა, ეს კი სულ გეგენას „წყალობით“ მოხდა.

გურამოვმა არწივისებური მზერა მიაპყრო თანამოსაუბრეს:

— გეგენა ტყუოდა!... სათითაოდ დავაგლეჯ იმ ჩამოფხატულ ულვაშებს. — წამოხტა. ფანჯარასთან მივიდა, ერთ ფეხზე სწრაფად შემოტრიალდა: — მაშ მომიწყო რაღა!... თავისი ხელით მოვაყვანინებ იმ ხარაზიშვილსაც და ჭუჭულაშვილსაც. აი ის ძაღლიშვილი, ისა...

•

ჩალით დახურულ, გრძელ წნულის ფარდულში, რომელსაც ატალიჭაანთ ფარდულს ეძახდნენ, პერანგის ამარა ჯეილობა მუხლმორთხმით ჩამწკრივებულიყო. მკერდგადაღეღილები, წვერულვაშმოშვებულები, ბერებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე-მუშებს. ჩითის პერანგები თამბაქოს დუტკოსაგან ისე ჰქონდათ დატეტკილები, რომ ვერ გაიგებდით, რომელს რა ფერისა ეცვა.

ფარდულის ერთ კუთხეში უხეშად გათლილი ფიცრები გაელაგებინათ, ზედ ხუთმეტამდე თიხის ჯამი დაპირქვავებული ელაგა. გრძელტარა საწვნე, შიმშატის კოვზები, შამფურები, გამურული ვეება ყურიანი ქვაბი და სხვა წვრილმანი — უწესრიგოდ ეყარა. აქა-იქ ჭუჭყიანი საცვლების ბოლჩები იყო ჩამოკიდებული. ზოგან თამბაქოთიევე გაშავებულ გამწვანებული შარვალი და ხალათიც ეკიდა. ვედრო, ჩაშავებული წყლის ხელადები, ცოცხი და ცული, წალდი, ფიწალი, თოხი, ყველაფერი ერთად არეულიყო. მეორე კუთხეში დიდი კუნძი იდო. გვერდით, მიწაზე ბალღოჯის დაგრეხილი ქერქები, ჯაჭვები, მავთულები, წნელები, პრესის გორგლები აპეურები, ერთმანეთს ჩაგრეხოდნენ. ხის ტოტებისაგან მოწნულ ტახტზე ჯეჯიმისა და ფარდაგის ნაგლეჯები ეყარა. ზედ

კარგა ლაზათიანი გაჭუჭყული ორი მუთაქა გორავდა. კედელზე ორლულიანი თოფი ეკიდა, საცეცხლურთან სქელი კუნძის ნამწვავები ელაგა და გაურეცხავი თანგირა ქვაბიც ეგდო, შიგვე ჩამჩით მიტოვებული. ეს იყო მოწყობილობა ამ ვეება ფარდულისა, თუ მხედველობიდან არ გამოგვრჩება ერთი მაღალი კიბე, ზედ ძველი „შინლები“ რომ ეკიდა. ფარდულის მთელი ჭერი სიგრძე-სიგრძნობამდე თამბაქოს ავანგებით (გამხმარი, ზონარგაყრილი თამბაქო), იყო გამოჭურჭლული. ხუთმეტიოდე მუშა გამალებით დამატს აწყობდა. ამათგან მეტი წილი ახალგაზრდები იყვნენ. სხვადასხვა სოფლიდან მოსული, სამუშაოს ძებნაში გადმოხვეწილნი.

— აბრამ ერთი გულისმოსაფხანი გვიმღერე რამე, აგრემც ღმერთი გაგახარებს! — თხოვეს ბიჭებმა აბრამას. აბრამამაც არ დააყოვნა:

ფანდური აიღო, ხელი ჩამოჰკრა და დიდი ხვეწნა არ დასჭირვებია, ისე დაიწყო:

— ნეტავ ქვეყნად სასწაული
ასე ხდებოდესო,
ჩვენი მეფე და მოხელე
ჩაძაღლდებოდესო,
გლეხის შრომა და პატივი
ამაღლდებოდესო,
დაქსაქსული ცოლ-შვილი არ
გვენატრებოდესო.

— შენ გაგახარა ღმერთმა, აბრამ...

— ეგრე, ძმაო, ეგრე... შენ ენა-პირ ვენაცვალე!..

აქეთ-იქიდან შესძახოდნენ ბიჭები.

ის ის იყო, ბიჭების ღრიანცელი და ჩარფუზანა ჩაწყდა და მორიგ სიმღერას თხოულობდნენ, რომ თედომ ხელის აქნევით გააჩერა მუშები.

— სსუ!... ცხენის ფეხის ხმაა! — და ნახევრად წაშლილი ავანგი იქვე მიაგდო. კარებისაკენ დაიძრა, მაგრამ ვიდრე თვითონ კარებამდე მიაღწევდა, ლადო შემოვიდა.

— გამარჯობათ, ბიჭებო!

— გაგიმარჯოს ლადო ძია! — ერთხმად უპასუხა ყველამ.

— ხო არა გიჭირთ რა? როგორა ხართ?

— არა გვიჭირს რა, კარგადა ვართ. ვმუშაობთ, ვმღერით. ვოხუნჯობთ, დრო გაგვყავს. ჩაილუღლუღა ტოროაანთ ილამ და ფანდურისაკენ გააპარა თვალი. შიშით არ ეშინოდათ, „ხაზეინი“ არა ჰყავდათ გულღრძო, მაგრამ მაინც მოერიდათ.

ლადო ისევ კარებისაკენ მიბრუნდა, გააღო და ხელით ანიშნა, შემოდითო. ორი ახალგაზრდა „შინლის“ ნაჭრის შარვალ-ქურთუკითა და ქუდით (იმ დროს ეს იყო ტუსაღის სამოსი) ხელფეხ ბორკილგაყრილები, ჩხარუნით შემოვიდნენ. იქვე, გრძელ სკამზე ჩამოსხდნენ, თვალებს ხარბად აცეცებდნენ, ფარდულს ათვალიერებდნენ და შიშისაგან დამფრთხალ, მინაბულ მუშებს სათითაოდ შინჯავდნენ. თხუთმეტამდე მუშა ამ ორ ადამიანს მისჩერებოდა, ისე შელოცვილებივით გაჩერებულიყვნენ, ხელის განძრევისა ეშინოდათ. ლადომ ცული და ქლიბი მოიმარჯვა. ეს ვეება ტანის, ახმახი ვაჟკაცი მკვირცხლად ფაციფუცობდა. პატარა, მწვანე თვალები თითქოს გაფართოებოდა, სახეზე წამოწითლებულიყო და ფართო შუბლზე ოფლისა და წვიმის წვეთები ერთმანეთში არეოდა. ლადოს ილა შიხაშვილი წაეხმარა. მოხერხებულად დალეწეს ბორკილები. ბიჭებმა შვებით ამოისუნთქეს. ლადომ ბორკილები გაარბენინა, მაღალ ჭყიმებში ჩაყარა და მალე შემობრუნდა. ორივეს თავისი ტანისამოსი გაუნაწილა. გიორგი ხარაზაშვილი დიდი ტანის ყმაწვილი იყო, ლადოს ჩოხა ისე მოერგო, თითქოს ამის ტანზე შეუკერიათო. მეორე კი, ცოტა სუსტი ტანისა გამოდგა, „პადიონკაზე“ ქამარი შემოიჭირა და თავი კარგად იგრძნო. ორივემ პირჯვარი გადაისახა, ქუდები დაიხურეს და გასვლას აპირებდნენ, რომ ლადომ შეაჩერა.

— ბიჭებო, აბა, თქვენ იცით, ვიდრე გათენდება ამ მაზრას უნდა გაცდეთ, გზები ხომ იცით?

— ვიცით, ლადო ძია. ვიცით და ამ შენს ამაგსაც ჩვენ თუ ვერ შევძელით, ღმერთი გადაგიხდის.

ლადომ ჯიბეში პურისა და ხორცის ნაჭრები ჩაუწყო და მეგობრებმა კარები გაიხურეს. ორივე ღამის სიბნელემ შთანთქა...

გეგენამ ეს ყველაფერი ჩუმად გამოიკითხა და გურამოვს ეახლა. კარები შეხსნით კი შეხსნა, მაგრამ მოხურვა ველარ მოასწრო, მაზრის უფროსი სკამიდან ისე წამოიჭრა, როგორც მერცხალი. — რისთვის მაალაჯუნებ, ვინ დაგიბარა?... გაბრუნდი უკანვე! შენი...

— რაო? შენ, ცოტა მიფრთხილდი!... — თითების ქნევით გააფრთხილა გეგენამ. — გასაგებია რა მახინაციებსაც აწყობ, ვაჟბატონო!... ღუბერნატორთან ჩავალ და იქ გალაპარაკებ მაგ კილოზე! — თან თვალები გააშტერა და ბოძივით გაქვავდა.

— უყურე შენ, მემუქრები კიდეც? აქ ნუ მელაჯუნები. შენ როგორც გეტყობა თვალში გეპატარავები! — ზარი დარეკა, პოლიციელები გამოეჭიმნენ....

— ახლავე წაიყვანეთ და ისეთ საკანში შეაგდეთ, სინათლე ენატრებოდეს.

პოლიციელებმა ერთმანეთს გადახედეს, ხელები შუბლთან მიიტანეს, გაიჭიმნენ და გეგენას აქეთ-იქიდან ამოუდგნენ. გეგენამ დამცინავად გადახედა ორივეს, თან ჯავრისაგან ცეცხლი მოეკიდა, ისევ გურამოვს მიუბრუნდა:

— განანებ გურამოვო, განანებ, მე გეგენას მეძახიან... ბებერი ძაღლის გაავება მძიმედ დაგიჯდება...

— რაო, რაო? კიდევ არ მოძაღლე ყბები? მაშ, მე ძვირად დამიჯდება და შენ იაფად გადარჩები? იქამდე იკვნესოს შენმა ბებერმა ძვლებმა. შენ გეგენას გეძახიან, რაღა? როგორ ფიქრობ, მე რაღას მეძახიან? წაიყვანეთ-მეთქი, თვალით არ დავინახო, ეგ დათვის ნაშობი! — დაიღრიალა გურამოვმა. და ფუთიანი მუშტი მაგიდას დაარტყა.

გეგენამ ჩამოქრუშულ წარბებ ქვეშიდან ირიბად გახედა, გესლი გადმოანთხია, კბილები მოაღრჭიალა, ალბათ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ პოლიციელებმა არ აცალეს, ხელი მოკიდეს და გააძუნძულეს.

— ჰმმ. — დაიზმუვლა გეგენამ...

— დარდუბალა, რა გაზმუვლებს! — მიაძახა გურამოვმა.

გურამოვი ისე ბორგავდა, თავის კანში ვეღარ ეტეოდა. — უყურე ფათრეთ ძაღლს-თავისთვის ჩხუბობდა მარტოდ დარჩენილი მაზრის უფროსი ისე მეპასუხება, თითქოს იმისი ძმაკაცი ვიყო. გული ძალიანაც კი გისკდება, ლილა გაგიხუნდა, მამასახლისო, სახამებელიც გამოგლევია და ვერა გრძნობ. მადლობა თქვი, ბოდბისხევის ბილიკები ტკეპნო. რა იყო, კაი ხანია ფული აღარ აგიკრეფნია? ჯიბეში გროშები აღარ გიჩხრიალებს? აპრუწუწუნ!...

მობრუნდა. ერთი ჭიქა წყალი სულმოუთქმელად დალია. ბოლთასა სცემდა, ისე ადგამდა ნაბიჯებს, იატაკი ჭრიალით ხმას აძლევდა. ფანჯარასთან მივიდა, ფარდა გასწია და თავისთვის ჩაილაპარაკა: „სიკვდილისათვის არა გვცალიან“. ხალხი საჭიროა, ისინი თავისუფლებისათვის იბრძვიან.. ეს კი ჩამომკიდებია, ჩამოახრჩეო, მოსპეო... შენისთანებს უნდა ვსპობდეთ, უკვე დრო არის, დრო!

შემობრუნდა, სავარძელში მოწყვეტით დაეშვა, ყალიონი აიღო, ხელში ცოტახანს ეჭირა, მერე მიაგდო, თვალებზე ხელი მიიფარა და მაგიდას დაეყრდნო.. მალე წამოდგა, ისევ ფანჯარასთან მივიდა და ფარდა გადასწია..

ცა სათოვად თუ ემზადებოდა, ჩამობნელდა, მოიქუშა, პირგამეხებული, ხახაგამშრალი გამოიყურებოდა, ქვაფენილზე ეტლი გამოჩნდა, გურამოვმა თვალი გააყოლა. ქვაფენილიდან ასხლეტილი ცხენების ფეხის ხმა ფანჯრის მინებს ტყვიებივით ხვდებოდა და იქ, სადღაც, ჰერში იკარგებოდა. ეჟვნების ჟღარუნი ქუჩის თავიდან ბოლოში ისმოდა. ეტლში ვაჭარი ავეტა გვერდებგასიებული თავის არუსიაკათი გაჭიმულიყო და ქანაობ-ქანაობით მიირწეოდნენ.

— აი, უდარდელი ხალხი, ქვეყანას ყვლეფენ. ოსტატურად ატყუებენ. — ჩაიბუზღუნა გურამოვმა.

ნოემბრის სუსხიანი დღეები უფრო თბილი და წყნარი ამინდით შეიცვალა. აქა-იქ ფერდობებზე შემორჩენილი თოვლი მზის მოლღილმა სხივმა მაინც გაადნო. ჯანლის რძისფერი ღრუბლები სადღაც გაიხიზნენ. გაზაფხულივით მშვიდი და თბილი დილა იდგა: ხუთშაბათი დღე იყო...

სიღნაღის მაზრაში პატარა ბალღიც აღარ იყო ისეთი, რომ არა სცოდნოდა, დღეს სიღნაღში პოლიტპატიმრებს ასამართლებენო. ხალხს დილიდანვე მოეყარათ თავი. ხეზე გასანთლული თოკი ქანაობდა, გუნდგუნდად მოსაუბრე-მოსეირე ხალხს შიშის ზარსა სცემდა. რომელი სოფლიდან გინდა, რომ აქ არ მოსულიყვნენ.. ზემო მაღარო, ქვემო მაღარო, ნუკრიანი, ქედლელები თუ ბოდბელები, მაჩხაანელები თუ ბოდბისხეველები, ჯუგაანელები თუ ასანურ-საქობოელები, კუტი და ბრმა ყველა აქ იყვნენ და მოთმინებით ელოდნენ პროცესის დაწყებას. დედაკაცები ჩუმჩუმად ვიშვიშებდნენ..

ხალხი გუნდად შეიკრა, ადგილზე ცმუკავდა; უკეთ რომ ვთქვათ: ბორგავდა, ადგილს ვეღარ პოულობდა, რაღაცას ელოდნენ და მოთმინება ელეოდათ, კბილებს აკრაჭუნებდნენ, წამდაუწუმ ხელებს ისრესდნენ...

ამ ხმაურს კიჟინა შეერია. მოდიან. მოდიანო... ხალხი ერთმანეთს დაეჯახა, აქეთ-იქეთ გარბი-გამორბოდნენ. საპატიმროს კარეტა გამოჩნდა. კარეტას ირგვლივ მხედრები მოჰყვებოდნენ. მამაკაცები დაიძაბნენ, ყალყზე შედგნენ. თამბაქო ყველამ გააგდო ხელიდან. ქუდები მოიხადეს, წარბი შეჰყარეს, პირი მაგრად მოკუმეს, ქვადქცეულებს დაემსგავსნენ. მათ გამოხედვაში წამიწამ იზრდებოდა გესლი და ბოღმა. სამართალი და გამბედაობა იკრებდა ძალას. თვითეული მათგანი სასამართლოს მოხელეებს არწივივით შესაჭმელად უბღვერდა. ყოველი წუთი საუკუნედ იწურებოდა. ვიდრე სასამართლო კოლეგია საქმეს შეუდგებოდა, ხალხს მოთმინება დაელია. ჭირისოფლს იწურავდნენ. დედაკაცებმა ხილაბანდის ყურები ცრემლით დაასველეს.

საქმეს, მართლაც თბილისიდან ჩამოსული მოსამართლე — არკადი ერკატი არჩევდა. ხალხი დაძაბული უსმენდა მსჯელობას.

მატატოვმა დამსწრეთ ჯერ პატიმრების ვინაობა გააცნო, მერე მათ დანაშაულზე გადავიდა:

— როგორც ძიებიდან ირკვევა, — დაიწყო მატატოვმა, — ლადო ალექსის ძე ზურაბაშვილს და მის მუშებს ბრალად ედება სიღნაღის ციხიდან ბოლშევიკი პოლიტპატიმრების გატაცება, ბორკილების დამტვრევა და მათი განთავისუფლება...

მატატოვს არ დააცადეს სიტყვის გაგრძელება, რომ ბრბომ ერთხმად კიჟინა ასტეხა.

— კარგა უქნიათ!

— მერე რას აპირებთ?

— თვალებს ეგრე მოგთხრით!

— ბიჭებო, ნუ გეშინიათ, თქვენთანა ვართ!...

— თუმცა, გურამოვმა თვალები კამეჩივით დააბრიალა, კინაღამ გაეცინა, ისე გაიბადრა. სკამიდან წამოდგა, ხალხს გადახედა.

მატატოვი გარკვევითა და ხმამაღლა გაჰკიოდა პატიმრების ჩვენებას, რომ ხალხი ჩაყუჩებულიყო, დაშოშმინებულიყო. ბრბომ იყუჩა, სმენა გაიმახვილა, თვალებს დამფრთხალი მოზვერივით აბრიალებდნენ. გურამოვი დაკვირვებით ათვალიერებდა ხალხის მოქმედებას, მათ გულისთქმას კარგად ჩასწვდა, ტანში სადღაც სიამოვნების ჟრუანტელი უვლიდა.

— აბა, მოვუსმინოთ, დამნაშავე გიორგი სტეფანეს ძე ცაბუტაშვილს!...

გიორგი მძიმედ წამოდგა, შავი მბრწყინავი თვალები ხალხს გადაავლო, გაუპარსავი სახე შავად შეჯაგროდა, გიშერივით თმა შუბლზე უწესრიგოდ ჩამოშლოდა, მაღალი, მოსული, მხრებგანიერი, 20 წლის ყმაწვილი, 40 წლის ვაჟკაცს დამსგავსებოდა.

— რა იცით საქმის ირგვლივ? — მშვიდად შეეკითხა მატატოვი.

— რა უნდა ვიცოდე? ჯერ ეგეთი წამალი არ გამოუგონიათ, რომ კაცი იჯდეს ფარდულში, დამატს აწყობდეს და თანაც უყურებდეს, გზაზე იმათ ხაზეინს რა შეემთხვა. ეგეთი რამ მხოლოდ ზღაპარში გამიგონია, რომ მზეთუნახავი სარკეში იყურებოდა და ხედავდა თავის საყვარელს სხვა როგორ ეხვეოდა.

ყველამ სიცილი ასტეხა. ერკატმა ხელები გაშალა გაოცებისაგან და მატატოვს მიუბრუნდა. მატატოვმა უთარგმნა. ერკატს თითქოს გაეღიმა... თავი მალე შეიკავა...

— მოსე დანიელის ძე ზურაბაშვილი — დაიძახა მატატოვმა, მოსემ ადგომა ვერ მოახერხა, ბიჭები დაეხმარნენ, შიშისაგან კანკალებდა. ხალხს გადახედა, მერე გამოყულფულ თოკს შეხედა და უცებ აღრიალდა:

— მე რა დავაშავე ხალხო, — ლადომა, შუაღამე იყო, ვიღაცა კაცები...

— რას მიჰქარავ, ვერან, რა თავქვას ახლი, — შეაჩერეს პატიმრებმა და პირზე ხელი მიაფარეს. ხალხი შეჩოჩქოლდა, დაიძაბა, გურამოვი თვალებითა სჭამდა მოპასუხეს, მატატოვს ოფლმა ჩამოწვეთა. ერკატი აქეთიქით აცეცებდა თვალებს და კითხულობდა: — რა ხდებაო...

— არაფერია, პასუხზე უარს ამბობს! — დაამშვიდა მატატოვმა...

— რა გინდათ ჩემგან, ტყუილი ხომ არ არის, ი კაცები ლადომ არ შამაიყვანა ფარდულში! — ღუღლუღებდა.

— დასვით, მაგის დედა ვატირე, — იყვირა ვიღაცამ.

— ეე, ბეცეცავ, რას მიედ-მოედები!

— გაკმინდოს ხმა, მაგის გამჩენი არ იყოს. ღრიალებდა ხალხი.

ერკატი მოუსვენრობდა, წამდაუწუმ ზარს აწკარუნებდა, აქეთიქით მსხდომთ კითხვებით არ ასვენებდა, ისინი კი მოთმინებით უხსნიდნენ და აჯერებდნენ, პასუხზე უარს ამბობსო; ხალხის მღელვარებაც იმით არის გამოწვეულიო.

მოსე, რომელიც არც დაჯდომასა და არც გაჩუმებას აპირებდა, გაუპარსავ წვერზე ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა, დაწყებულ საუბარს აგრძელებდა, ცალი თვალი კი ისევ გასანთლული თოკისაკენ გაურბოდა, ყბები უცახცახებდა, საცოდავად იღრიჯებოდა...

— როგორც ვხედავთ, მათთან სადავო არაფერი გვაქვს, ჩვენ მოხერხებულად მოგვატყუეს, „გამტაცებლები“ მიიმალნენ. ეს საცოდავი ხალხი კი ტყუილად ვტანჯეთ. — მთელი რწმენით აუხსნა მატატოვმა ერკატს და თითები მაგიდაზე აათამაშა. მოსამართლეს გუნებ-განწყობა დაუბრუნდა, დამშვიდდა, ბრბოც დაწყნარდა.

მატატოვმა შესვენება გამოაცხადა. კოლეგია განაჩენის გამოსატანად გავიდა.

კაცები მცველებს აღარ ერიდებოდნენ. პატიმრებთან უფრო ახლოს მივიდნენ, სანუგეშო სიტყვას ყველა ცალცალკე ეუბნებოდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ სასამართლო შემადგენლობა კვლავ დაბრუნდა.

მატატოვი წამოდგა, სათვალე მოირგო. ყველა ფეხზე ადგომით შეეგება. კაცებმა ქუდები მოიხადეს, ირგვლივ სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა...

დასკვნა რამდენიმე გვერდიანი, ვრცელი წერილისაგან შედგებოდა. მოთმინებადაკარგულ ხალხს ხანდახან მაინც წაცდებოდა ხოლმე მწარე რეპლიკა, რომელსაც ზარის წკრიალი ახლდა და ჩუმდებოდნენ. როგორც იქნა ბოლო მოეღო ამ ვრცელ „მოხსენებას“ და მატატოვმა საზეიმო ტონით გამოაცხადა პატიმრები თავისუფალნი არიანო. ვაჟკაცებმა თავი ვერ შეიკავეს, მიიჭრნენ, ლადო ხელში აიტაცეს და ისე აბურთავეს. დედაკაცები და მოხუცი კაცები სიხარულისაგან იცრემლებოდნენ. ზოგიც გურამოვის კალთასა და ხელს ემთხვეოდა.

გოგობიჭები სულ რბენით დაეშვნენ სილნაღის ფერდობზე და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ბოდბისხევში ლადოს განთავისუფლების ამბავს პირველი ვინ მიიტანდა.

ლადო ამხანაგებმა ცხენზე შესვეს და ისე მიაცილეს სახლამდე.

დიდი ზეიმი დადგა ზურაბაანებში. იკვლებოდა და იხარშებოდა ქათმები, ისხმებოდა ხელადებში ღვინო, გაისმოდა გრძელი სადღეგრძელოები და დინჯი მრავალჟამიერი.

შოთა ნიშნიანიძე

# აქილევსის ქუსლი და ფარი

### ნაწყვეტები პოემიდან

*ჯოკია ლაშხი სამხატვრო აკადემიის სტუდენტი გახდა.*
*იმავე კვირას იგი ზღვაზე გაემგზავრა დასასვენებლად.*

• • •

მთაში მთავრდება აგარაკის დრო,
ყანებში მწყრების ქვით-ქვითი ისმის,
მზის ჰამაკიდან დგება აგვისტო
და შემოდგომა შიშვლდება ზღვისპირ.

ზღვა არი ლურჯი, ლურჯი ზღაპარი —
დაცხრა და უფრო მოთვინიერდა —
ნასუქალ მწყერთა თავშესაფარი
და სარბიელი მონადირეთა.

მიიჩქარიან აგარაკებზე,
როგორც დროსა და ასაკს შეფერის,
სასიყვარულო ფათერაკების
და ხიფათების მაძიებელნი.

არ უდრკებიან შორეულ მანძილს
ქერათმიანი ბანოვანებიც,
მაძიებელნი სამხრეთულ განცდის,
სილამაზის და აღფრთოვანების.

ზოგს მოაქვს ფული,
ზოგს ოცნებები,
ზოგს სავსე მკერდი ან სხვა მუღამი.
ამ რთულ თამაშში ვინც ჩაებმება,
თამაშობს ჟინით და უყაიმოდ.

სხვადასხვა ქსელს და ბადეებს ლამბავს
სხვადასხვა ჯურის მაძიებელი,
შრიალებს ფული...
სიცილი...
კაბა...
შრიალებს ბანქო მაცთუნებელი,

ზღვისპირ ფუთფუთებს, როგორც ბაზარი,
მზის და ბრინჯაოს ურიცხვი წნული,
თითქო ღებულობს მზის აბაზანებს
თითონ ანტიურ სამყაროს სული.

და მზეზე უფრო იკიდებს ნდობას
და ზღვაზე უფრო გამომზეურდა
ფილოსოფია ვნებათა ცხრომის
და პოეზია შიშველ სხეულთა.

ზღვაზეა დიდი გაცვლა-გამოცვლა
მაცდურ ღიმილთა, მაცდურ ვნებათა
და ყრია გახდილ ტანისამოსად
ზედმეტ ბარგივით რაც სულს ებადა.

ჰა, სხეულები,
ხასიათები
მჟღავნდება, როგორც ნეგატივები,
ზოგჯერ უბრალოს გაზვიადებით,
ზოგჯერ დიადის გამარტივებით.

---

დასასრული. იხ. „მნათობი", № 4.

ზოგი შარავანდს კარგავს დღითიდღე,
კაბას იხდის და ეჭვით აგავსებს,
თითქო კაბასთან ერთად იხდიდეს
იდუმალებას და სილამაზეს.

შიშვლდება ქალი,
აჰა, შიშვლდება
და ასე ტყდება შიგნიდან ციხე:
სიშიშვლე აჩენს ჭეშმარიტებას,
მრავალი აგებს,
მრავალი იგებს...

ზღვა თითქოს გვაჩვევს ბუნებრიობას,
უზრუნველობას, ყოფას უდარდელს,
და გამორჩეულს გიქმნის პირობებს —
მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავდე.

შენც მარტო რჩები საკუთარ თავთან,
ანდა აგრძელებ დაწყებულ რომანს
ნაცნობ ავტორთან ან უცნობ ქალთან,
რომელთაც სიღრმის გიზიდავს წვდომა...

აჰა, ანთია კოლხური მიწა
ცისარტყელების ბრიალა ქაფად.
დგება აგვისტო დ ზანტად იცვამს
მზის ნაპერწკლებით მოქსოვილ კაბას.

გადასკდა, როგორც მზის ცხელი ცური
და კოლხურ ნაპირს შემოესია
თითონ ანტიურ სამყაროს სული —
წარმართულობა და პოეზია...

ერთ მშვენიერ დღეს მზიანი დილით
ვერტმფრენმა თავზე გადაგვიარა,
გადაგვატარა ქარი და ჩრდილი,
გადმოგვაყარა გუგუნ-გრიალი.

რკინის კალია ისევ მობრუნდა,
შედგა...
ისროლა ბაგირის კიბე,
თითქო ჰაერში რკინის კლოუნმა
ამოიბრუნა ვეება ჯიბე.

კიბეს ჩამოჰყვა ტანადი ვაჟი
და პილოტს რაღაც ანიშნა მაღლა,
კიბე აკრიფეს
და უკვე ზღვაში
ისკუპა კიდეც ვეება ძაღლმა.

დინჯად, ამაყად ზღვა გამოცურა,
მზეს შეაბერტყა სველი სხეული
და მერე პატრონს მიჰყვა ლომურად
ამაყი, ბრგე და კუდაწეული.

ო, ღმერთო ჩემო! ეს ხომ ბუბაა?!
ერთი გავძახე და მოვწყდი ქვიშას,
— აა, ჯოკიაო!.. და შევეტყუბეთ
სიხარულის და შეხვედრის ნიშნად.

საიდან მეთქი, — აღარ ვაცლიდი
და ვაყოლებდი თავის ფათერაკს.
სწრაფად ჩავიცვი და ხალხს გავცილდით
ცნობისმოყვარედ ჩვენკენ მაცქერალს...

...ზრიალებს მზის და ოქროს ბაზარი,
როგორც ბუნებას დაუწესია
ზღვისპირ ღებულობს მზის აბაზანებს
წარმართულობა და პოეზია.

მზით ჩაქვეითდა და მოჰყვა მწყრობას
და სიმწიფისგან დაბროწეულდა
ფილოსოფია ვნებათა ცხრომის
და პოეზია შიშველ სხეულთა.

ზოგიერთები დიდ დროს უთმობენ
ქალების დევნას და კარტის თამაშს,
ბედიც რატომღაც წყალობს უთუოდ
ყველაზე უფრო თავხედს და თამამს.

ქალაქის პლიაჟს იმავე დილით
ესტუმრა ორი თავქარიანი,
კლოუნებივით ჩაცმული წყვილი
ორივე შავი სათვალიანი.

(შავი სათვალე იმ დროისათვის
ნამდვილად იყო იშვიათობა...)
მხიარულობა შექმნეს ისეთი,
მართლაც ისეთი გვქონდა გართობა,

სუყველას ცირკში გვეგონა თავი
და ვიცინოდით მართლაც დაღლამდი...
ასე უწყინრად და თავისთავად
შემოგვაპარეს ბანქოს ქაღალდი.

ჯერ გამურვაზე იყო თამაში,
მერე ნაყინზე და ბოლოს ფულზეც...
გახდა საშიში და საგანგაშო
ყოველდღიური აზარტის პულსი,

წაგებულებმა თავი გადადეს:
„ხელს მოვიმართავთ... ისევ ვეცდებით!..
და ასე, თავის ოქროს საათებს
ზედ მიაყოლეს ცოლის ბეჭდებიც.

ასე გასტანა დღე ათიოდე,
დაკარგეს მადა... გაუფრთხათ ძილი...
მოგებულები გამოდიოდა
კლოუნებივით ჩაცმული წყვილი.

თვის ბოლოს ისევ გამოჩნდა ბუბა,
არც ძაღლი ახლდა, არც ძმაკაცები.
— რა მოხდა-მეთქი, ხომ არ იჩხუბე,
წამოვიჭერი ელდანაცემი.

— „არაო, — თავი გადააქნია, —
მასხრად ამიგდეს და გულზე ვსკდები,
ძაღლის მოპარვა განა საქმეა?
ჰოდა მომპარეს, დამადგეს რქები.

ჩვენ სასტუმროში გვეძინა ღამით,
რექსს — მანქანაში-მრისხანე გუშაგს,
არ გაგვიგია საეჭვო ჩქამი,
ისე გამოჭრეს მანქანის შუშა.

და რექსი ჩუმად გადაიყვანეს,
როგორც შეთქმული ან შეჩვეული
ანდა საბრალო სუსტი თიკანი
მგლისაგან შიშით გადალეული.

თუმცა ლა დევნა არი სიგიჟე,
მაინც დავეძებ დაუზოგავად.
ჰო, მართლა, გზებზე ამდენ სირბილში
სადღა არ შევხვდით აბელ როგავას.

ვიყავი მრავალ დაბა-ქალაქშიც,
კვალი კი ვერსად აღმოვაჩინეთ...
ბუბამ დალანდა კარტის თამაში,
ადგა და მათთან ჩაჯდა მაშინვე,

მაგრამ წააგო... ისიც სხვებსავით
მსხვერპლი შეიქმნა სათვალიანთა,
არ დაერიდა ფულის სესხებას
და უფრო მაგრად დავალიანდა.

ქალაქში ზღვისპირ იმ საღამოთი
აბელს წავაწყდით და სახტად დავრჩით:
—ო, ყმაწვილებო, ჩემთან წამოდით,
რაიმე ცივი დავლიოთ ბარში.

მეორე დღიდან ჩვენს გასაოცრად
ბანქოს ამფსონებს აბელიც აჰყვა.
იყო ნერვების რთული გამოცდა
და ისევ ორ კაცს მიჰქონდა თანხა.

იჯდა აბელი და საათობით
თამაშს შიფრავდა ისევ და ისევ,
თითქო სწავლობდა მათ ოსტატობას
და წარმატების იდუმალ მიზეზს.

აგებდა, მაგრამ აგებდა მშვიდად
და... ფარულ კირკიტს როდი მოეშვა
ბოლოს (აბელი რიცაში იდგა)
მიგვიპატიჟა თავის ნომერში.

ფანჯრის მინებზე მოწოლილ ღამეს
ფანტავდა ბროლის ვეება ჭაღი,
მძიმედ გაჰქონდათ ჭრიალი სკამებს
და იღვიძებდა ფარული ჯახი,

ფარული შური, ქიშპი და ღელვა,
შერთული ყაყანს და კვამლს შერთული,
სათვალიანებს ებრძოდა ყველა
გაკოტრებული ანუ შეთქმულიც.

აბელი მშვიდად იჯდა თავიდან,
აგებდა „პოკერს“, „ოცდაერთს“, „ჩაქას“,
მერე წამოდგა, გარედ გავიდა
და ქორკანდელიც მაშინვე ჩაქრა.

სინათლე ჩაქრა და უეცარი
ღამე თვალებზე გადაგვებინდა
და ფოსფორული სხივ-ნაპერწკალი
ავარდა ბანქოს ქაღალდებიდან.

წამით მიყუჩდა ყრუ ხმაურობა
და ჩუმად ისხდნენ მონუსხულივით
მერე მრისხანედ და დაუნდობლად
გადმოსკდა ბოღმა და სიძულვილი.

თურმე ვარაყი ღამეში ელავს
და მოჩანს შავი სათვალეებით.
აი ამიტომ აგებდა ყველა
იმ ყალთაბანდებს ვინც კი შეება.

. . . . . . . . .

მთაში სეზონი უკვე გავიდა,
ზღვაზე მიდიან, მთას იმეტებენ,
დგება აგვისტო ზღვის ჰამაკიდან
და სინანულით უთმობს სექტემბერს.

დუღს და ზრიალებს, ელავს, ბაბანებს
მზის და ბრინჯაოს ურიცხვი წნული,
თითქო იღებდეს მზის აბაზანებს
თითონ ანტიურ სამყაროს სული.

და, აჰა, მწყრების ქვით-ქვითიც ისმის,
რბილდება დარი, როგორც ხავერდი
და შემოდგომა შიშველდება ზღვისპირ
ტანმშვენიერი, როგორც ქალღმერთი.

დაწურულია მზის თბილი ცური
და მიწას ნათლავს ვაზის ფესვიანს
თითონ ანტიურ სამყაროს სული —
წარმართულობა და პოეზია...

* * *

სიჭაბუკეში ყველანი ვხდებით
რაღაც ლამაზი სიგიჟის მსხვერპლი
და ყველას, ყველას გვაცთუნებს ვნება
დავამხოთ ძველი ღმერთი და კერპი.
სიახლეს ვეძებთ...
ვეძებთ და ვეძებთ,
ვეძებთ... ვპოულობთ თუ ვერ ვპოულობთ
და ბოლოს ნაცნობ გზებსა და რელსებს
შევრჩებით გვიან
ანდა დროულად.
ძალებს ვერ ვზომავთ...
არ გვესვენება,
ვანგრევთ საკუთარ გზას და კალაპოტს
სიახლითა და აღმოჩენებით
ოღონდ ქვეყანა ვალაპარაკოთ.
დასანანია, კარგ ტრადიციას
როცა ადვილად ვგმობთ და ვულევით.
მამებმა ჩვენზე უკეთ იციან,
სად ვართ სუსტები,
სად ძლიერები.
ვგმობთ და უარვყოფთ დაუფარავად,
რა ვართ? ეჭვით და ჯანყით მდიდრები.

ბევრს ვდაობთ, მაგრამ თავი არა გვაქვს
რამის მიღების ან დამკვიდრების,
მაღლა მივფრინავთ და როდი გვესმის
თუ რას მოგვიტანს ეს აზვირთება.
სიმაღლის ზრდასთან, ბუნების წესით,
როცა უფსკრულის სიღრმეც იზრდება.
და მერე როცა წლები მოგვიტანს
მწარე ცოდნას და გამოცდილებას,
გზას გამოვხედავთ და სიშორიდან
ჩვენს შეცდომებზე გაგვეცინება.
დასაბამიდან ხორბლის მარცვლიდან
მხოლოდ და მხოლოდ პური ამოდის!
(თავის ბუნებას რაც არ დასცილდა)
და არა თევზი, ანდა მამონტი,
ხე ფოთოლს ისხამს, როგორც ისხამდა,
ტრადიციულად და ძველებურად
და, როგორც ვხედავთ, ძველი სიცხადით
წუთისოფელი გაგრძელებულა.
რასაც სიკეთე მოუტანია
ძველიც, ახალიც მიყვარს ერთიან,
მე რაც წამაქცევს, ის ტიტანია
და რაც აღმადგენს — იგი ღმერთია

შემოეხვევა სულს ხვიარებად
ბრიყვი ღუმილი, ანდა ქადილი,
ო, რა ძნელია აღიარება
და უარყოფა რარიგ ადვილი!
ო, ტრადიციავ —
ბეწვის ხიდი ხარ,
და შენთან მეტად გვმართებს სიფრთხილე.
ზოგს ავგაროზად გულზე ჰკიდიხარ
და ზოგიერთი ყულფივით გიფრთხის.
შენა ხარ ჩემი ოქროს აკვანი,
მზის და ბალახის სულში მთესავი,
საღმერთებელი და სათაყვანო
მამა-პაპათა სამარესავით.
ო, ჩემო ჯვარცმა,
ჩემო გოლგოთა,
ჩემო ძეგლო და სამარის ქვაო,
იყავ დღეგრძელი, იყავ-ოღონდაც
ცხელი სინათლით თრგუნავდე ქაოსს.
ქართული სულის ხარ აღზევება
ვენახი, ციხე და ეკლესია
ვერას დაგაკლებს უცხო ჩვევები,
თუმც ჭილყვავივით შემოგესია.
შენთვის უცხოა მარჩიელობა,
წილადობილა... ცირკის ნიღბები.
მოწმე ვარ შენი წმინდა სერობის
და ზიარების შენის მიმღები.
როგორც სიბრძნე და ერთადერთობა,
აღთქმის კარივით ჩემთვის იღება,
და შენთვის მსხვერპლად მომიტანია,
რაც განგებისად ჩემი ხვედრია —
მე რაც წამაქცევს, ის ტიტანია,
და რაც აღმადგენს, იგი ღმერთია.
ჩემშია ორი ადამიანი,
ორი ცხოვრება, ღარიბ-მდიდარი,
თავისებურად ავ-კარგიანი —
ორი ნაპირი ერთი მდინარის.
ერთს რომ ოცნება თავს მოაბეზრებს
ძიებისათვის აღარ სცალია,
არაფერია რასაც დაეძებ,
რასაც იპოვი ის მთავარია.
მეორე ხატავს და ქმნის სტრიქონებს
და ამბობს: მართლაც საოცარია,
არაფერია, რასაც იპოვნი,
რასაც დაეძებ, ის მთავარია.
ეძებენ, თრთიან და აშიშვლებენ
ხარბი თვალები, ხარბი ხელები,
აღფრთოვანებით და გაგიჟებით
თავდავიწყებით და გახელებით.
და თუკი პირველს უმღვრევს გონებას
ქალის ღიმილი, უბე, მუხლები,
მეორეს უყვარს ჰაეროვნება,
ფაქიზი, წმინდა და ხელუხლები.
ერთი დაეძებს ღმერთს და ვარსკვლავებს,
მეორე რწმენას ებრძვის ჯიუტად,
კარგს ავისაგან ვეღარ ანსხვავებს,
მისთვის ერთია ქრისტეც, იუდაც.
იცის, ცხოვრება სხვა კანონს მისდევს
და ხელოვნებას სხვა საზომი აქვს —
უნიჭო მხატვრის უცოდველ ქრისტეს
ნიჭიერ მხატვრის ეშმა სჯობია.
მეორე უქმე დროს მიწილადებს,
იხრება, როგორც კითხვის ნიშანი
და მემუქრება, რომ სიკვდილამდე
ვართ ერთსულოვნად გაუთიშავი.
მაგრამ მეორე ინაზღაურებს
პირველმა დღემდე რაც იზარმაცა,
ცდილობს, ძიების მოსიყვარულე
კატალოგებში ეძებს რაღაცას.
თვალს გადაავლებს თავის ცხოვრებას
რამდენი ხანი უქმად ყოფილა!
თითქოს წარსული ეუცხოვება
თავისი თავით უკმაყოფილოს.
ჩვეულება აქვს მიჰყვეს ბოლომდის,
რაიმე საქმეს თუ დაეჭიდა,
არ უშინდება — ცდას და მოლოდინს
და მძიმე წიგნებს უზის ბეჯითად,
ცოტა იცოდე და ბევრი გსურდეს! —
აი სხეულის მოთხოვნა ბრძნული.
ბევრი იცოდე და ცოტა გსურდეს! —
აი მიზანი სრულქმნილი სულის.
აღიარება და უარყოფა,
რწმენა და ეჭვი ორად გამყოფი —

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც სასჯელი და როგორც ჯილდო
არის შემოქმედ სულის ნაყოფი.
მაგრამ გათავდა!.. ხსნას მივაკვლიე
და გაორების მინდა დაძლევა,
თუმცა ის მინდა და ის მაკლია,
რაც ბევრი მაქვს და
რითაც სავსე ვარ.
ჩემშია ორი ადამიანი,
ორი ცხოვრება ღარიბ-მდიდარი —
თავისებურად ავკარგიანი —
ორი ნაპირი ერთი მდინარის.
მიდის მდინარე ორი ნაპირით,
აბა სად ნახავთ ცალნაპირიანს?
გზები შეყრილი საპირისპიროდ
მართლა ჯვარცმაა და ჭიდილია.
აქეთ სოფელი, იქით ქალაქი
და თვითეული შუკა და ქუჩა.
ჩემი კვერთხია და ჩემი ფუნჯი
ჩემი ჭოგრიტი და აქვალანგი.
ერთს უვენახოდ არ გაეძლება,
მეორეს კიდევ — უსტადიონოდ.
ორივე ერთად ფიქრებს ეძლევა
და არ იციან თუ რა იღონონ.
მაგრამ იციან ჩემი სისუსტე,
მომდგებიან და შუაზე მყოფენ,
დევი ვარ: ქალაქს ამოვისუნთქავ
და ჩავისუნთქავ მაშინვე სოფელს,
თურმე რაცა მყოფს, მაერთებს კიდეც
და წიგნად მკინძავს სულ ფურცელ-
ფურცელ,
ჩემი ორი ფრთა და ორი კიდე,
ორი ნაპირი და ორი ფუძე.

ჩემი წაკითხვა სულ იოლია,
ვინძლო ზეპირად ისწავლოს ბალღმაც;
ჩემი ცალი ყდა ქარხნის ბოლია,
მეორე — ლურჯი რიონის ტალღა..
და ვიფურცლები ჟამიდან ჟამად:
მზიან დღეებად,
სტრიქონად,
ტილოდ.
ხნულის სურნელი და ბოსტნის ნამი
ქალაქს სახლებზე დავკიდო, ვცდილობ.
გარითმული ვარ ჰო და არათი,
აღიარებით და უარყოფით,
მე ვარ სიცოცხლის ლტოლვა მარადი,
ძველის ფესვი და ახლის ნაყოფი.
ისე ვკიდივარ ჰო და არაზე,
როგორც ჰკიდია კარი ანჯამებს,
ურწმუნოების კარი ჩავრაზე,
ეჭვს და იმედებს ვკრეფ და ვაჯამებ.
რაც კარგია და ჭეშმარიტია,
ის ახალია, მარად ახალი
აი ძლეული ეშმა რითია,
აი რით არი ღმერთი მაღალი.
ო, ზოგიერთო ჩემო ცთუნებავ,
უარგყოფ, მაგრამ მაინც გღებულობ,
რა ვქნა, მიყვარხარ, ნუ გამამტყუნებ,
ვერ გაგიმეტე, საუბედუროდ.
ჩემშია ორი ადამიანი,
ორი ცხოვრება ღარიბ-მდიდარი,
თავისებურად ავკარგიანი —
ორი ნაპირი ერთი მდინარის...
რასაც სიკეთე მოუტანია,
ძველიც, ახალიც მიყვარს ერთიან.
მე რაც წამაქცევს, ის ტიტანია
და რაც აღმადგენს — იგი ღმერთია!...

* * *

— ქალაქში მყავდა ქვრივი მამიდა
წლებით და ჯაფით წელში გამტყდარი,
ცხოვრებამ მისთვის ვერ იამინდა,
ადრე დაქვრივდა თურმე საწყალი.
დარჩა უშვილო და მარტოხელა
და ქმრის ერთგული დარჩა მარადის.

თუმცა მრავალი ჰყავდა მთხოვნელი, —
პირველ სიყვარულს ვერ უღალატა.
მამიდა იყო ჩვენი ოჯახის
ყველაზე უფრო ხშირი სტუმარი,
ყველას შემბრალე, ყველას ქომაგი
და ჭირთა გამძლე ჭირისუფალი.

აი მე მისი ნაშვილები ვარ
და შვილს მეძახის, განა შვილობილს.
მივლის, მპატრონობს და მზრდის ნებივრად
დედური ზრუნვით და გარჯილობით.
შვიდი წელია თბილისელი ვარ,
შენი მკვიდრი ვარ, თბილის-ქალაქო,
სოფელში უკვე შვიდი წელია
ჩავდივარ მხოლოდ სააგარაკოდ.
ქალაქის ხმაურს გარიდებული,
სინათლიანი განა უმზეო,
უცხოდ მორთული და დიდებული
ჯორჯაძის ბინა ჰგავდა მუზეუმს.
მამიდა იყო მუსიკის მცოდნე
მოწაფეები ჰყავდა მრავალი,
მდგმურებიც ჰყავდა და კარგი ჰქონდა
გასამრჯელო და შემოსავალი.
და ერთი იყო ქვრივის ნუგეში
მისი სიცოცხლის დასასრულამდი —
ხატად ესვენა ერთერთ კუთხეში
„გიორგის ჯვარი" და ქმრის სურათი —
გადაჰფენოდა მკერდზე დიდება
რუსეთის ფლოტის მამაც კაპიტანს...
და მეც ვხატავდი, თეთრი ჩიტები
როგორ ჰკენკავდნენ მზის ჩრდილს ქაფიდან.
მისი აკვანი ქართლში გათალეს
პორტ-არტურშია მისი საფლავი,
სად ჩაგისაფრებს ბედი სამარეს!
ეჰ, ვინ რა იცის ბედის ამბავი!

ვუმზერდი ბავშვი სურათს ქვემოდან
მეოცნებე და ფიქრში გართული
და ღამ-ღამობით მესიზმრებოდა
სამურაები და პორტ-არტური.
ბავშვი ვიყავი და გაოცებით
ვფურცლავდი წიგნებს, ფოტოალბომებს
ისინი იყვნენ, ყრმა მეოცნებეს,
გმირ ნახიმოვზე რომ მიამბობდნენ.
მისმა გმირობამ მართალი გითხრათ:
ბიძაჩემივით მომინადირა,
ჰოდა, პირველი გაცნობის დღიდან
კვლავაც ვაღმერთებ მამაც ადმირალს.
და ნახიმოვის თაყვანისცემამ,
თუ ბიძაჩემის ნათელმა ხსოვნამ,
უცხო ხილვებით მთელი თვე მგვემა,
სანამ შევძლებდი რაიმეს პოვნას.
მთელ თვეს ვეომე მუზებს, დემონებს
და ბედისწერას პირისპირ შევრჩი.
ნუთუ უბრალო ფუნჯი მეგონა
და ეშმას კუდი მეჭირა ხელში?
ფუნჯი იყო თუ ეშმაკის კუდი,
ვინ მკარნახობდა? იქნებ დემონი,
უჩინმაჩინის ეხურა ქუდი,
მე კი თამბაქოს ბოლი მეგონა.
სურათი კარგად ჩანდა გარედან
და ამიტომაც არ მიკვირს სულაც,
თუ გზიდან ვინმე უთვალთვალებდა
ზეთით დახატულ ბატალურ სურათს:

„ნახიმოვი"
ზღვაში ეშვება
მზის ვეება,
წითელი დისკო
ზედ გემის ანძა გადატეხილ ჯვარივით მოჩანს,
დაწყვეტილია ჰორიზონტი ბაგირის სისხო
ნაპირზე გემი გარიყულა ვეშაპის ჩონჩხად.
მზეს მიშვერილი ზარბაზნები ანთხევენ დაისს,
თითქოს ჭურვები მინავლებულ მზეში ცვივიან,
ცეცხლს უმატებენ, ათბობენ და
მზე კვდება მაინც...
მაინც სიკვდილი და სიცივეა...
ბინდი არბილებს თუ აზავებს აფოფხილ ხაზებს
და ზღვა მიაგავს გიგანტურ დაჭმუჭნილ გაზეთს
და ცა კითხულობს ბრძოლის ეპიზოდს
რომელსაც მალე ღამე უნდა გადაეფისოს.
და იწეწება ჰორიზონტი კვამლის ქულებით
მდუღარე რკინა
მიწას კორძავს და... ილვენთება

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მოხოხავენ,
მოხოხავენ
რუხ კუებივით
კბილდაკრეჭილი ჩაჩქნიანი ინტერვენტები.
დგას ნახიმოვი...
და ყივილში ჟღრიალებს თუჯი
და მოფუთფუთე უცხოელებს ჭოგრიტში ჭმუჭნის,
ყეფს გაფოფხილი იალქანი, როგორც ბულდოგი,
ედება ცეცხლი და ჩამავალ მზეს ეტოლება...
მომაკვდავი მზე
გმირ ადმირალს ხელებს ულოკავს —
და მოღლილ მხრებზე ებჯინება ლომის ტორებით...
ასდის რკინის და ხორცის სუნი შიშინა ფინთიხს
და რუსულ ხიშტზე წამოცმული ფართხალებს ბინდი...

* * *

ერთ დღეს თბილისში ყველა კიოსკთან
იდგა ყაყანი და რია-რია,
თავებს აქნევდნენ და იცინოდნენ
და უკითხავდნენ ერთმანეთს „ნიანგს".
ზოგიერთები იქუშებოდნენ
და უხერხულად მხრებს იწურავდნენ,
ცნობისმოყვარედ აკვირდებოდნენ
ბრაკონიერთა ფოტო-სურათებს.
მათ დანაშაულს ესვა ბეჭედი
და მართლაც დიდი იყო სეირი,
ზედ პასპორტებიც გადმოებეჭდათ
მთელი თავისი ნომრით, სერიით.
გადმოებეჭდათ მისამართებიც
და აღეწერათ მცხეთის ამბავი,
ეს იყო მკაცრი გასამართლება.
მართლა საქვეყნოდ დასასტამბავი,
შინ დავურეკე მაშინვე აბელს.
— ნახეთ „ნიანგი"?.. რა სეირია!!
მან ჩაიცინა: „ო აბა, აბა,
უნდა მოვთხაროთ ასე ძირიან"
მერე გაისმა უცხო ზარივით
და წუთით თითქოს დამესხა რეტი:
— „ხვალ უცხოეთში მივემგზავრები"...
— როგორ! დიდიხნით?
— ვერაფერს გეტყვი...
მავთულში გარჩა სიტყვის ნაწილი...
და ნაწყვეტ-ნაწყვეტ მოისმა შემდეგ:
— „აბა, შენ იცი, თუ გამაცილებ,
ხვალ ათ საათზე სადგურში შევხვდეთ..."

* * *

მიტანებული ტანგოს და სასმისს
დიდხანს თვრებოდა ჯაზით ევროპა,
ხვალ დაუჯდება სიცოცხლის ფასად
ქარაფშუტული დაუდევრობა.
წყალზევით, წყალქვეშ, მთაში თუ ბარში
იზრდება შიში ჯერ არნახული,
უფრო აღზევდა სიკვდილის მარში
და გერმანული ჩექმის ბრახუნი.
თვით ისტორია გადაფერდილა,
წამოწევია ჟამი სასტიკი,
მიგრიხ-მოგრიხეს, როგორც სვასტიკა,
ევროპის ყველა გზაჯვარედინი.
აჰა, გადმოდის „მაინ კამფიდან"
სიტყვების მწკრივი ჯარისკაცებად, —
ნახანძრალებმა მზე გადაბინდა,
მავთულხლართებით ცა იკაწრება.
მერე გადათხრილ მინდვრებზე რჩება
და ჭვარტლიან ცას შეეშენება
ჩაჩქანიანი საფლავის ჯვრები,
ეპიტაფია და შეჩვენება.
შეშინებული და ფერმიხდილი
სულს ღაფავს ჟამი შენების, შექმნის

და ისტამბება ქვეყნად სიკვდილი
გერმანულ მარკის მუხლუხით, ჩექმით.
ამ მძიმე ჩექმამ წელში გაზნიქა
სფერო მიწისა გადაფერდილი,
დაკრუნჩხულია, როგორც სვასტიკა,
ევროპის ყველა გზაჯვარედინი...
ბაქანზე დავხვდი აბელ როგავას
და რაღაც უცხო ჟრჟოლა მივლიდა, —
ის რომელიღაც გმირს ჩამოგავდა
სამოქალაქო ომის ფილმიდან:
ტყავის ქურთუკი, საველე ჩანთა...
ტანად დაბალი და მხრებში ფართო,
ნაღვლიანი და დაღლილი ჩანდა
და სეირნობდა ბაქანზე მარტო.
სიარულის დროს ზედ მუხლზე სცემდა
ხისბუდიანი მაუზრის პირი,
კაცს უნებურად შეიპყრობს სევდა,
როცა შორდება ოჯახს და თბილისს...
გადავეხვიე...
— საით მიდიხართ?
— ესპანეთშიო, — ამაყად მითხრა.
თითქოს ეს სიტყვა გასკდა ფინთიხად
და შიშინებდა ჰაერში დიდხანს.
ამაყად მითხრა და სულ უბრალოდ
და მოისრისა მუჭით ნიკაპი,
არა იყო რა მის ნაუბარში
რაიმე პოზა ანდა ნიღაბი.
ცუდი დრო დგება, ძალიან ცუდი
და ფრთხილად უნდა მოვლენებს წვდომა.
დანაღმულია ყოველი წუთი,
რომ აგრიალდეს მსოფლიო ომად.
გრძელი გზა მიდევს წითელ მიწამდე,
ხვალ ბათუმიდან გავდივართ გემით,
რევოლუციას იქაც ვიცავდე,
პროლეტარული ვალია ჩემი.
— მადრიდისაკენ!
— მადრიდისაკენ

მიიჩქარიან გზები...
რელსები...
მიიჩქარიან მადრიდისაკენ
შურისძიებით და გაცეცხლებით,
შურისძიებით და გაავებით,
სულის და რწმენის გაფოლადებით
მიიჩქარიან თვითმფრინავები,
მატარებლები და ხომალდები.
ეს რომანტიკა და გატაცება
მომავლისაკენ მათი ფრთებია,
დაეცემიან ჯარისკაცებად
და ლეგენდებად წამოდგებიან.
ამ ენთუზიაზმს იგი გაიგებს,
ვინც მეფის ტახტი შეაზანზარა,
რევოლუციის ჰკითხეთ თარიღებს,
მათ შევახიეთ ჩვენი მაზარა.
ვინც ისტორიის ცეცხლში იარა,
ვინც დიად საქმეს სჭედდა მუშებთან
და იერიშზე დახსნილ იარებს
„ინტერნაციონალით“ ვინც იშუშებდა;
ვინც (დაე ითქვას!) ღარიბ ბინაში
პატიოსნად და მკაცრად ცხოვრობდა,
სინდისისა და რწმენის წინაშე
ვინაც მართალი დარჩა ბოლომდე.
ვისაც პოსტები ჰქონდა მაღალი
და გემოვნებაც არანაკლები —
არ აუგია ახალთახალი
ფეოდალური აგარაკები.
მათი უბრალო სიბრძნე შევიცნე,
მათ გზებს მივყვები განა შემთხვევით,
თაყვანს ვცემ, თაყვანს ძველ ბოლშევიკებს,
მათ გრძელ მაზარებს კრძალვით ვემთხვევი.

. . . . . . . . . . . . . . .

მე ცხრაას ჩვიდმეტში რუსეთში ვსწავლობდი
და როცა ანტანტამ გადმოსხა ჯარი, —
დავაგდე წიგნები — ოცნების წალკოტი,
რათა უცხოელზე მეყარა ჯავრი.
და მერე თეთრები: ყირიმი... ბალტიკა...
მეც ბუდიონურა მეხურა ერთხანს,
სტეპზე ჭიხვინებდა ჩემი რომანტიკა
და წელზე ლაშქრული სიმღერა მერტყა.

ვიყავ მეოცნებე ჭაბუკი გულლაღი,
სროლით და სიმღერით მივსდევდი გზებს
და მზეს ლაგამივით ღეჭავდა ულაყი,
თეთრი კაზაკების ჩამავალ მზეს.

და ახლა როდესაც ალისფერ ესპანეთს
დაეცა ფაშიზმის ჩერო, —
ძველ მეომრებივით შევხვდებით ერთმანეთს,
გრენადა, გრენადა, გრენადა ჩემო!

არა იარები, ვაზნები დავთვალოთ,
დროშა ცეცხლისფერი ავწიოთ ზემოთ,
ჩემი სიჭაბუკის სიმღერავ მართალო,
გრენადა, გრენადა, გრენადა ჩემო!

ამ სიტყვას გემო აქვს სისხლიან ტუჩების,
ცრემლის და ფორთოხლის ტკბილ-მწარე გემო.
შემართე, შემართე, შემართე, მუშტები,
გრენადა, გრენადა, გრენადა ჩემო!

და თითქოს სიმღერას ცხელსა და შფოთიანს
რელსებიც მღერიან ბორბლების ქვემოთ,
მოვდივარ საშველად... მოვდივართ, მოვდივართ,
გრენადა, გრენადა, გრენადა ჩემო!

# სოფელში

ხე რომ გასკდება ზოგჯერ წიფლისა
სიტკბოებისგან და სიმწიფისგან
და რომ იხუვლებს, ვით ოქროს ქაფი,
ველური სკა და ველური თაფლი,
სწორედ ასე ვარ, მთელი თვე არი,
ნაპირს გადმოსკდა ვნება ფარული —
სხეულზე დამდის თქრიალ-თქრიალით
ველური თაფლი და სიხარული.
ფეხზე დგებიან მთები საჩემოდ
ვენახებივით დაწყობილები.
მთებო, გამლუპეთ ცვრით და სიჩუმით
პირველყოფილობის განწყობილებით.
მაგრძნობინებენ სიჩუმის გემოს
წვიმის შრიალი, ფარჩა ჯიქურის,
ნაწვიმარ ტყეში ნაჯახის ცემა,
მჭახე ყივილი „პაჭანიკური“.
სახლიკაცებო, თქვენდან მიგულეთ,
თუმცა ქალაქში შვიდ წელს დავყავი,
ო, რა ტკბილია, რა მშობლიური
„პაჭანიკური“ თქვენი ყაყვავი.
დაგიხურიათ ოდა კოპიტის,
გასარანდავი დარჩა რიკული,
სიმღერა ისმის ახალ ოდიდან,
ხორხოცი ისმის „პაჭანიკური“
აქ დამიგია ერთ დროს ფაცერი,
აქ მიკოცნია ერთის საყურე...
მაინც აქამდე როგორ გავძელი!
აქამდე როგორ ვერ გინახულეთ!
მენატრებოდა კერა გამზრდელი,
მემატებოდა ჯავრი დღითიდღე.
მაინც აქამდე როგორ გავძელი!
აქამდე როგორ ვერ მოგიკითხეთ!

აჰა, ყორიან შუკებს მოვყვები,
აქ ყველგან, ყველგან მყვანან მოყვრები;
ყოველ ჭიშკართან მინდა ვიჭექო:
— გამოდით გარეთ, სახლიკაცებო,
ეჰე, ცოცხლები ხომ ხართ, ბიჭებო,
ჯერ ხომ ადრეა!..
ჯერ ხომ არსებობთ!...
ქალის ჭინკები,
ჭურის ჭინკები,
გუთნის დედები,
ვაზის დედები, —
ჩემი ბავშვობის „პაჭანიკები“,
ნუთუ არცერთი მეიმედებით?
სვით, იქეიფეთ, მოიჯირითეთ
თქვენი მამული და დედულეთი;
ნურას დაიკლებთ, თქვენი ჭირიმე,
სანამ კიდევ ხართ
და მგზულებით!

. . . . . . . . . . . . .

ღობეს ვახტები...
თუ წლებს ვახტები?
სამი ზაფხულით წინ ვუსწრებ დროჟამს
და ჩემს წინასწარ ხილვაში მოჩანს:
სანგრები...
ცეცხლი...
მავთულხლართები...
და ეს ლერწები,
ვაზის ხარდნები,
მზისკენ წასული ვარჯოვან კონად,
შეგაცოცდებათ მავთულხლართებად,
დაგიჩხოტავენ სიზმრებს და ხსოვნას;
მე თქვენს ნაკვალევს ხსოვნაში ვეძებ,
მოვრბივარ,
ვდგები ბავშვობის კართან...
მარგილებივით აჩხორილ წლებზე
ჩამოვიხიე პერანგის კალთა.
ვერ შევაჩერებ ამ ვერაგ დროჟამს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ შევაჩერებ
        და გული მტკივა,
სამი წლის შემდეგ თქვენს ხეშეშ ქოჩორს
ყვავი ბუდეში ჩაიფენს თივად,
ჭინკა ბიჭებო,
ვერ დაბერდებით,
მალე გახდებით ქერჩის ბელტები...
ჯერ კი ადრეა გარდუვალობა,
თუმცა სვასტიკა კრუნჩხავს ევროპას
და ესპანეთის ცისქვეშ სწავლობენ
თუ როგორ უნდა თქვენი მკვლელობა.
ჯერ კი ადრეა...
        გუთნებს ჰკიდიხართ,
მოსავალს იღებთ,
        ქალაქში ვაჭრობთ,
შეშის საჭრელად ტყეში მიდიხართ
და ქორწილისთვის აგროვებთ სარჩოს.
ზოგი სულ მალე მამა იქნებით,
ჯახირობთ, ბუდეს ცალკე იკეთებთ...
ჰე, მოასწარით, ჩქარა იგემეთ
ამქვეყნიური ყველა სიკეთე!
ჯერ კიდევ სამჯერ, ჰო, კიდევ სამჯერ
მონადირული გულაძგერებით
გადაიფრენენ ოქროს დღეები,
როგორც მსუქანი, ზანტი მწყერები.
ჯერ კი ადრეა,
        ადრეა,
            მაგრამ
უკვე მზადა აქვთ იარაღები,
სამ წელიწადში გრიგალი დაგკრავთ
და სადღაც ერთად დაიმარხებით.
ჰაუ, ტუხუა,
ბიჭო ბონდოა,
ჩვენო ბიძებო,
ძმებო,
მამებო,
დაიკარგებით...
ვერ დაბრუნდებით...
დაიკარგებით უსაფლავებოდ.
ჭინკა ბიჭებო,
ვერ დაბერდებით
და ხვალ გერქმევათ ქერჩის ბელტები;
მერე იქნებით ობელისკები,
მოგონებები
        და ჯვრები... ჯვრები...
დროშა იქნებით,
ხსოვნა იქნებით,
სიამაყე და სიმღერა ჩემი.
ჯერ კი ადრეა...
        მზე ვენახს წამლავს
და ტყე ხასხასებს, როგორც ქერეჭი,
ღობე-ყორეზე აშრობენ წალამს
და ჭკუტა მსხალი ზმუის ქვევრებში.
ადრეა...
        აჰა, ღობისთავებზე
ჩამოძენძილა ზაფხულის სიცხე,
მე სოფელში ვარ
        და თქვენ დაგეძებთ,
ჭიშკრებთან ფეხისწვერებზე ვიწევ...

* * *

მყვირალობაა. სული იღვიძებს,
როგორც ბუნება მარადჟამული
და ტანში გიდუღს მაჭრის სიფიცხედ
ფოთლის ჩოჩქოლი, მზის ჟრიამული.
სასწაულმოქმედს გავხარ ჯადოქარს,
სასწაულია შენი არჩივი:
უცებ რომ ვინმემ კვესი ჩამოჰკრას,
ბრდღვიალა ჩინჩხლებს გაჰყრი კაჟივით.
ეს არი ჟამი ჭრელი სიზმრების,
გარდატეხის თუ სიმწიფის ჟამი.
იგი იზრდება... მხოლოდ იზრდება,
როგორც იზრდება მდინარის ჩქამი...
ეს სიყვარულის წყალდიდობაა,
უხვი, მდიდარი როგორც ტოფობა,
ეს სიყვარულის წყალდიდობაა,
შეტოპავ, მაგრამ ვერ გამოტოპავ,
აუხსნელია და ყოვლის მიმართ
თითონ ახსნაა უმარტივესი,
უმიზეზოა და ყოვლის მიმართ
თითონვე არის პირველმიზეზი.
თამბაქოს კვამლით თუ ფიქრით თრობა.
და მოლოდინით თრობა ნიადაგ
ადამიანთა ხვედრია ხოლმე
და არა მარტო ადამიანთა!
ჰა, მხართეძოზე წამოწოლილნი
ფიქრს მისცემიან მთები-დევები,
ნისლით და ღრუბლით მთლად გაბოლილი
მისჩერებიან ცას გახევებით.

რას ოცნებობენ მთები-დევები,
ან მისცემიან რა მოგონებას?
მღვიმეები და გრძელი ხევები
პირში გასჩრიათ ყალიონებად.
ეს არი ჟამი ცხელი სიზმრების,
პირველი ჩქროლვის და თრობის ჟამი.
იგი იზრდება, მხოლოდ იზრდება
როგორც შორიდან მდინარის ჩქამი —
სხვებთან ქუში ხარ და უხალისო
და ფიქრი, ფიქრი გიყვარს მარტოკას...
სადღაც დევების ქვაბში ჩალიჩობ,
მამონტის ეშვით ეძრძვი მარტორქას.
მიდიხარ ტყეში, წვები გულაღმა,
მზეს კუდბაწარა ნისლი უფრთხება...
ჯერ ატოტდება ველურ ულაყად,
დანაწევრდება მერე კურდღლებად.
ო, ეს სიჩუმე, ღრუბელთა სრბოლა,
თამბაქოს ბოლი და სიმარტოვე
შენში შემოდის უცნაურ თრთოლვად
და მეოცნებე სულს გიფართოვებს.
ღრუბლები გვანან ზღაპრულ ფასკუნჯებს,
ზღაპრულ ხომალდებს, ზღაპრულ ხალიჩებს,
საოცარ ხილვებს სულში აუნჯებს
და მეოცნებეს შვებას განიჭებს.
და მოგზაურობ... მანძილს მოშვილდავ,
გზებს ისრებივით ტყორცნი და ტყორცნი,
მიჯნურს დაიხსნი დევის კოშკიდან
და გადაიხდი სამეფო ქორწილს.
აჰა, ღრუბლებში მზე გამობაცდა,
თვალს ვერ აშორებ ზეცის ფორიაქს,
არეულია დღევანდლობასთან
ლეგენდები და პრეისტორია.
შენში სათქმელი ისე დიდია
და უთქმელობაც შენში ისეა —
ვერავისათვის ვერ გაგინდვია,
ვერავისათვის ვერ აგიხსნია.
მიზეზიანობ და ჭირვეულობ
და უნებურად ხვდები მაშინვე —
დღემდე უცნობი და უჩვეულო
შენში რაღაცა აღმოაჩინე.
ეს აღმოჩენა იყო გამოცდა.
როგორც წყალობა ცით ნაბოძვარი,
გაოცდი, მაგრამ ვეღარც გაოცდი,
იმდენი იყო გასაოცარი.
რაღაც უჩვევი სითბო განაზებს
და უნებურად ხვდები მაშინვე,
ერთერთ სიკეთედ და სილამაზედ
შენ სულგრძელობა აღმოაჩინე.
მზად ხარ საფრთხეში მიჯნურს იცავდე
და თავი მოგაქვს გმირად, წმინდანად.
ნეტარებაა მიჯნურისათვის
საკუთარ თავის მსხვერპლად მიტანა.
გავსებს მიზნები და იმედები,
ახლა მოკვდავიც არ ხარ უბრალო.
დადიხარ, ცა და მიწას ედები,
დადიხარ... ცა და მიწას უგალობ.
ღმერთი ხარ, აბა რა ხარ მიჯნური,
შენს ნებაზე ქმნი სხვა სინამდვილეს.
წვრილმანებისგან გამოთიშული,
ოცნება ტანჯვის გზას გიადვილებს.
ცხოვრებისათვის არ გიჩივლია,
სხვა ჟინით გავსებს დიდი მიზნები.
სხვის გაზრდას თუკი წლები სჭირია,
შენ მხოლოდ წუთით წუთზე იზრდები.
ყველაზე უფრო მაღალი ნიჭით,
ყველაზე უფრო დიდი სიკეთით
ავსებული ხარ პატარა ბიჭი,
მორცხვობის გამო ტუჩს რომ იკვნეტდი.
მიწა ცაზეა შეყვარებული
და დარდი ცისკენ ადის ღრუბლებად.
ცა მიწაზეა შეყვარებული,
წვიმად ჩამოდის და იქუფრება.
ბავშვი ვიყავი და რა ვიცოდი
მარადისობის ნება მეფური:
თურმე დღე-ღამე, სიკვდილ-სიცოცხლე
ერთმანეთზეა შეყვარებული.
კენტად დარჩენა მზესაც მოაზრობს,
უსასრულობას ესწრაფვის სივრცე
და თუ რამ ქვეყნად არის უაზრო
მას სიყვარული გარდაქმნის სიბრძნედ.
ნაძვსაც კი გული ელევა ტყისთვის,
სერზე რომ ობლად მდგარი ნაძვია
და პეპელასაც, უეცრად მივხვდი,
ჩემი მიჯნურის კაბა აცვია.
მყვირალობაა... სული იღვიძებს,
როგორც ბუნება მარადჟამული
და ტანში გიდუღს მაჭრის სიფიცხედ
ფოთლის ჩოჩქოლი, მზის ჟრიამული.
ეს არის ჟამი გარდამავალი
და მოლოდინი, სულ მოლოდინი
და მომავალი, სულ მომავალი,
მზით გაფოთლილი, ცით გაფოთლილი,
ეს სიმდიდრეა, უკმარობაა,
ეს იმედია, მხოლოდ იმედი,

სიმორცხვეა და გამბედაობა
და თუ ეჭვია — მხოლოდ მცირედი.
სინამდვილეა თუ ზღაპარია,

ნუთუ მთვრალი ვარ, რა მემართება?
და მიუმცდარად თანაბარია
აქ გამართლებაც, არგამართლებაც.

## იმერული სატირალი

დილიდანვე დიდ ჯაფაშია ფოსტალიონი დალოსტი.
ყლურჭავს და ყლურჭავს ანწლის არაყს, მაინც რამდენი შესძლებია დალოცვილს.

ტირიან დეპეშები,
მოთქვამენ დეპეშები,
თმა-წვერს იგლეჯენ და ლოყებს იხოკავენ;
მოდიან ზუზუნით,
მორბიან კივილით სხვადასხვა კუთხიდან სხვადასხვა კილოკავით.
ტირიან ასი წლის მინადორას —
მამიდას,
ბიცოლას,
დეიდას,
„აღმზრდელს და საყვარელს",
„ძვირფასს და დაუვიწყარს",
— დავიღუპეთ,
დავობლდით დღეიდან!
ეზოში ირევა ქოლგა და ყაბალახი,
კაკლებქვეშ სიცხე და ყაყანი დაბალახობს.
ბაზარია,
დოღია,
ცირკი თუ სტადიონი?
ერთ ეზოში დატეულა მთელი რაიონი.
გადი-გამოდიან,
გარბი-გამორბიან ბუბრუხუნა მაშვლები:
— ე, ბეჩა რა შვრები?!
გადი-გამოდიან,
გარბი-გამორბიან დახუნძლული კაბები,
ულვაშებზე ხელს ისვამენ იერემია წარბები.
ცხენებმა მაყვლიანი ყორეები აქციეს თავლად
და გემრიელად ახრამუნებენ თივას თუ გვალვას.
დაკრძალვაზე (უბედური მინადორა, დეიდა!) მთელი მილეთის ხალხი მიიწვიეს,

გენერალივით უჭირავს თავი რაიონის ერთადერთ მილიციელს.
ღელეს იღლიაში უღიტინებენ ღობიდან გამომძვრალი ლერწები,
მოფილოსოფოსო იხვები კი არსებობის აზრს ფსკერზე ეძებენ!

— მოდიან!
— მოდიან!
(ქუთაისიდან ჩამობრძანდნენ მდიდარი მოკეთეები)
მაყვალს და ბჟოლას დაედვნენ სქელ-სქელი მეეტლეები,
თევზი და ბრინჯი მიართვეს და თხელ-თხელ ჭიქებს შეებნენ...

აივსო შუკები ნეხვით და ფრუტუნით,
ქინქლასავით აბოლქვდა ჭორი და თუთუნი.
— ძაან ლამაზად ქე ტირის მეგრელი რძალი...
— ბატონო, ენას არა აქვს ძვალი...
სტუმრებს შორის კვაჭანტირაძეობს ხმელ-ხმელი ქუთაისელი.
„გრანიცის ჯიშის“ ქათამივით წაგრძელებია კისერი.
ჰყვება და ჰყვება ხელების ქნევით მსოფლიოს ამბებს,
რას აღარ აგინებს (ერთადერთს მხოლოდ ქუთაისს აქებს)
ქუთაისელი სიტყვებს აკნაწუნებს... ღიმილი და ქირქილი ირევა ირგვლივ:
— „ბასკები“...
„ფუნიკულიორი“...
„დოლი“...
„ცირკი“...
— ბორის პაიჭაძე ქუთაისელია!
— ?!
— ხაინდრავა ნახევარჯერ ბალახვანშია გაზრდილი!
(დიიდუ! დიიიდუ! — ტირილი მოისმის ოდიდან)
— ბაბალიკაშვილი საფიჩხიელი ებრაელია!
(მეგრელი რძალი დედამთილს დასტირის,
კივილი თანდათან მოდიდდა)
— მაჩაბელი? მიშიკო? საფიჩხიაზე ცხოვრობდა,
(დიიიდუ!)
ცხონებულ პაჭუტიას ბარე ორხელ ჰყავს დანაყული,
(დიიდუ!) (დიიიდუ!)
(ნაბდისქუდიანებმა ქუთაისელს გადახედეს ბოროტად)
ყაბალახიანები ხალისიანად დაიშალნენ, ნაბდისქუდიანები დარჩნენ გამწყრალნი...
— წეიღო წერილი მინადორამ...
— ჩძლებისგან ახლა მოისვენებს საწყალი...
...სატირალში მიმავალთა ერთი ჯგუფი სიცილ-ტკარცალით დაეშვა მაღლობიდან,
სიმინდის ყანა გამოტოპა და მდინარისპირ ტირიფებთან გამოვიდა.
ხელ-ფეხი დაიბანა, საგარეოდ შეიმოსა (ნათხოვარი ჰქონდათ საგანგებოდ),
წინ თმაგაშლილი დედაბერი წაიმძღვარეს (მოტირალი იყო სანაქებო)
და როცა მოსახვევში გამოჩნდა მიცვალებულის კარმიდამო —
თავში წაიშინეს ხელები — „დიდუუ, დიიდუ, საყვარელო მამიდაო“...
მუხისქვეშ მაგიდას მისხდომიან ყველაზე უფრო ღირსეულნი,
აგერ სამი დღეა, მაგიდასთან მილეთის ხალხია მისეული.
სიებს ადგენენ და ჩემოდანში ფულებს ალაგებენ დასტებად,
ვინ რამდენს შემოიტანს, იმითი ფასდება!
— აშენდა ბარნაბა, სიკვდილზე რავა ეთქმის სამდურავი!
— ბარე 700 თუმანი მაინც შემოუვა გადასახურავი.
— ბრინჯი და თევზი ქე ქონიათ-ყე, შეკაცო.
— გეიგე? თავისი დაბასკული გოგო დაუნიშნია წუხელის ეკასო.
— მზითევი კი ექნება... ბიჭსაც ჰყვარებია, უარი არ თქვა, ილაკრი.
— მაგის გაზრდილს სახლში რავა შემოუშვებ, გადაშენდა მაგათი ჯილაგი...
— შენ დაგიდგა თვალები, ზაბილინა, შენ კი დაგმარხე ადრე და მალე,
ლომივით ქმარი მიწაში ჯერ არ გაგციებია და რავა ლპურწავ მაგ დასაფსებ თვალებს!..

ქირქილი,
ღიმილი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხინტრიცი
ბუყბუყებს, ბუყბუყებს ირგვლივ:
ღმერთო ჩემო! მართლა ბაზარია, დოღი თუ ცირკი?
ზოგმა ქვა ესროლა კაკლის ხეს, ზოგმა მოიწია ტოტი,
კაკალივით იკარჭლება და იჩეჩქვება ჭორი და ანეგდოტი,
ბოლოს როგორც იქნა, ეშველათ, აირია მარაო და ყალიონი,
ამ მწკრივად ჩარიგებულ სეფაზე მოკალათდა მთელი რაიონი.
თამადის მოადგილეებად დაინიშნა საზოგადოების რჩეულები,
— რამდენი დაიბარაო ცხონებულმა — ვიღაცამ იანგლა ჩვეულებრივ.
ზოგი (ღმერთო, შეგცოდე და...) საგანგებოდაა მოსული უჭმელ-უსმელი,
მთელი დღის ნარბენი მეძებარივით ზურგზე მიჰკვრია მუცელი.
თავები ჩაღუნეს და ჰაიდაა! — ამუშავდა ათასამდე ღრანჭი,
თითქოს ნამქერი ჩამოზვავდა ათასამდე ცარიელ ღარში.
რიგგარეშეც სვამენ. გასაგებია!— თამადა შეკრულია მასპინძელთან.
— აბა ჰე... აბა ჰე... თვარა გაგვიგრძელდა!
ქუთაისელმა რაღაცა იყნოსა ჰაერიდან,
კვანწალ-კვანწალით წამოდგა და ნაბდის ქუდიანებს გაერიდა.
აიშალნენ. კეთილად გაიბადრნენ გაჟინჟღილებული სახეები,
ჭირისუფალთან მიდიან და... „ბუნების წესიაო“ — ამხნევებენ.
მერე თანდათან გაიპარნენ, გადაჭრეს ყანა და სამარგელი,
სულ მალე ჭირისუფლის გარდა აღარავინ დარჩა დამმარხველი.
ისევ მონაგარი დაფაცურდა — შეგროვდა რამდენიმე მადლიანი...
საყდართან გაშხლართულ ფოსტალიონს ძაღლები ლოკავდნენ მადიანად.
დამარხეს ასი წლის მინადორა, დამარხეს, მოიხადეს ვალი!!
მბრძანებელივით მობრუნდა ოჯახში (დიიიდუ!) მეგრელი რძალი!!
ჭრაქები აანთეს და შინაურებს პალატში გაუშალეს ჭირის სუფრა,
კვაჭი მოყვრები ტრიალებენ, ვახშამს აძალებენ ჭირისუფალს.
ასხამენ ღვინოს და ყაყანებენ, მეასედ ადიდებენ მინადორას,
ღმერთმა მე და შენ გაგვაძლებინოსო იმ კუდიანის ნახევარი.
— ე, კაცო, გეყოფა, სირცხვილია, თვარა გაგისკდება მა მუცელი...
ვიღაცა წინკარში აჭიხვინდა, ვიღაცამ დაცალა მაუზერი.
— მაცადე ერთწამა, თუ ქალი ხარ, — გაჯიქდა მინადორას მაქებარი, —
ღმერთმა მე დ შენ გაგვაძლებინოსო იმ კუდიანის ნახევარი.

. . . . . . . . . . . . . . . . . .

ხითხითებს დოქი...
ტკარცალებს სურა...
გარეთ კი ბუდემოშლილი ჩიტივით წრიალებს საწყალი მინადორას სული.

## ძაღლების ომი ანუ ქორწილის მეორე დილა

მთელი ორი დღე ჭინჭყლი ჰქონდა დუდუკს არღანთან,
მაყარს მაყართან და ქორწილი ეშხს არ ჰკარგავდა.

აღმოსავლეთი ჯერ არ კრთოდა ოქროს გრეხილად,
სოფელში მამლებს ჯერ არ ეყივლათ,

შეიქნა ერთი ბასტი-ბუბუ, სოდომგომორი,
თითქო გრიგალი ამოვარდა შემოდგომური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცა ჩამოიღო ძაღლების ყეფამ,
თითქო ტყდებოდა — იმსხვრეოდა შამბნარი მყიფე.

ატყდა ყივილი და თანდათან უფრო გამრავლდა,
უფრო ადიდდა ზარ-განგაში დამფრთხალ მამალთა.

ღრენა-ღავღავში გადართული წკმუტუნ-წკავწკავი
იტკვერებოდა ღამის ყბებში ხამანწკასავით.

გამოიშალა ქოხებიდან და ოდებიდან
მთელი სოფელი და ჭრაქებით ჩრდილს მოდენიდა.

ნახეს, ღარტაფში ძაღლების ჯგრო დუღდა ჭოროხად
და ცრიატებდა ფერი ლეგა და ფერი ჭროლა.

თითქო ქოფაკთა დუღილიდან მთვარემ მოქაფა
ფიწლისნაირი უთვალავი ეშვი ორკაპა,

თავების ყორე, კუდების და თათების ყანა...
ნაკბენი ჩანდა, როგორც ლეღვის დამსკდარი კანი.

ზოგი კბილებით ჩაფრენოდა ერთიმეორეს,
თავლთაგან ჰყრიდნენ მეხის ღვართქაფს და მეტეორებს.

ყალყზე დგებოდნენ... იყო ჯგლეთა, ორომტრიალი...
ფეხმოტეხილნი წკავწკავებდნენ... ხტოდნენ განდაგან...
და ცოცხა-კუდა ნაგაზები ამ ოდიგარში
ცოცხებზე შემსხდარ კუდიანებს ჰგავდნენ ხანდახან.

მოცვივდა ხალხი ჭრაქებით და ბაზმაკ-ჟინჟილით
და ძაღლებს ქვები დაუშინა სტვენა-ყიჟინით.

მაშინ-ღა შეწყდა კირწიკორწა, ძიძგილაობა,
როცა მოვარდა ძაღლარია უბელო ცხენით;
ხროს დაერია და ქაპუნით უშენდა კომბალს;
თითქო ყინვაში ყრუ ჭახანით სკდებოდნენ ხენი.

ღავღავი უცებ დაიწეწკა, წკუმუტუნ-წკავწკავად
და ღამის ყბებში აკნაწუნდა ხამანწკასავით.

ზოგმა თემშარა ასკინკილით გადაირბინა,
ზოგი ძუნძულით შეუყვა ფერდობს,
ზოგი დაგლეჯილ ტყაპუჭივით ეგდო გზისპირად,
ზოგიც დაჩუტულ ტიკივით ეგდო.

უკვე ინათა... ამოცურდა მზე სანახევროდ...
გაჯეგილ ჯაგში ბღუჯა-ბღუჯად ეყარა ბანჯგვლი,
ძვლის ნამუსრევი, გაღეჭილი ტყავის საყელო
და ძროხის ბეჭი, დასერილი თითქოსდა ხანჯლით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აბლაბუდა ბუწუწები მაღალ ფლატედან
ხევში ბაბუაწვერასავით მიფარფატებდა,
ხოლო ხნარცვებში სისხლის სუნით ყარდა რუსხმული,
მე კი გავშიფრე ძროხის ბეჭზე კბილთა ლურსმული.

ასე შევიტყეთ დახრულ ბეჭიდან,
ხროვა ერთმანეთს რად შეება, რად დაეჭიდა.

რახან ქორწილში მუდამ არი არეულობა,
ღამით ხორაგი გადამალეს მზარეულებმა:

. . . . . . . . . . . .

ხორცის ნაჭრები,
ჭყინტი ყველი
და პურის ცომი...
ველარ მიაგნეს
და ძაღლებმა ატეხეს ომი...

# თეთრი ფაშატი

ეს მოხდა კურსკთან ორმოცდასამში
ყრუ შემოდგომის ნისლიან ღამით,
მტერთან პირისპირ ვიდექით მაშინ
და უმნიშვნელო გვესმოდა ჩქამიც.
მცირე მინდორი იყო ხევამდე
ღრანტეებით და ხნარცვებით სავსე
და მთვარიანშიც კარგად ვხედავდით
მათი სანგრების დახლაკნილ ხაზებს.
ჩირგვებიანი მრეში ბორცვები,
ღრმა ორმოებით გამოყვლეფილი,
თითქო ნისლებში დაბარბაცებდნენ
გასისინებულ ყვავ-ყორნებივით.
იმ ღამით ატყდა სასტიკი სროლა,
ცას შეეფინა კვამლი ჭირხლივით
და უცებ სადღაც გაისმა შორით
დაფეთეთბული ცხენის ჭიხვინი.
საიდან გაჩნდა ამ შუაღამით,
როცა მახლობლად არავინ ცხოვრობს?
არც უნაგირი და არც ლაგამი,
სისხლის ბაწარი დასთრევდა მხოლოდ.
ცხენის ხვიხვინი ხერხავდა ღამეს
და მისი ლანდი მთვარით გაზრდილი
ეხეთქებოდა სანგრებს და ხრამებს
დახეული და სისხლით დასვრილი.
ეხეთქებოდა სანგრებს, მიწურებს
გარეთ გამოჭრილ თეთრ სიზმარივით
და ემსხვრეოდა ფეხქვეშ სიჩუმე,
როგორც ჩინჩხვარი ან ქვამარილი.
ორსულ ქალივით კიოდა ცხენი,
აქეთ და იქით სანგრებს მიმწყდარი.
ამ ხმას ვერა და ვერ აღწერს ენა,
მაგრამ იქნება დაუვიწყარი.
ალბათ იმხელა იყო ტკივილი
ცოცხალი სულის, ხორცის თუ ხრტილის,
რომ ჰგავდა ცხენის მოთქმა-ტირილი
ადამიანის მოთქმას და ტირილს.
ალბათ იმხელა იყო ტკივილი,
იმხელა იყო შიში მეტადრე,
რომ მაღლდებოდა მისი ტკვილი
ადამიანურ ტკივილებამდე.
წაიქცეოდა, ზურგზე გორავდა,
თავს ანარცხებდა ხნარცვიან მიწას,
მძიმე ფლოქვებით მთვარეს ტორავდა
და მერე ყალყზე დგებოდა ფიცხლად.
ყალყზე დგებოდა ცხენი და მერე
გაიელვებდა აქა-იქ ფშანთან,
თითქო თავისი ტანჯვით და ფერით
იმ წუთას ზავის სიმბოლოდ ჩანდა.
თითქოს ეს იყო ევროპის სული
ყალყზე შემდგარი, დუჟმორეული,
სასტიკი დროის ხატება სრული,
ავი სიზმარი და ორეული.
თითქოს ეს იყო თვითონ ევროპა,
თითონ სიცოცხლე მრავალტანჯული,
სიგიჟე, რბევა, დაუდევრობა,
რასაც სიკვდილი ედგა მსაჯულად.

მალე შუშხუნა ცას დაეკიდა
და მალე სროლა მიწყდა თანდათან
და სანგრებიდან, როგორც კვლებიდან,
მუზარადები ამოთავთავდა.
ცხენის წამება ქრუანტელს გვგვრიდა,
სულში ტოვებდა ჭრილობას ღიას.
მხოლოდ ხანდახან ორივე მხრიდან
ვიღაც ესროდა სამადლო ტყვიას.
ერთი კაზაკი გვყავდა ნაწილში,
საწყალი სიმწრით იკბენდა თითებს.
მერე კაპიტანს თხოვა: „გამიშვით,
ხედავთ? კისერზე რა ცოდვას ვიდებთ“.. .
ცისკრისასა მოკვდა თეთრი ფაშატი,
თვალებზე მომდგარ ნელთბილი ნამით,
გაიბერა და უცებ გაშავდა,
საწყალმა თითქოს შეხვრიპა ღამე.
ხოლო კაზაკი რაღაცას მიხვდა
სტეპში გაზრდილი კაცის გუმანით,
ხოხვით გალია ღრანტეებს მიღმა
სიკვდილისა და რბევის უბანი.
კაზაკმა კვიცი ორთქლადენილი,
ახლადშობილი კვიცი პატარა,
ბავშვივით მკლავზე გადაწვენილი
მტრის სანგრების წინ გამოატარა.
გავდა მისტიურ გამოცხადებას
და იყო რაღაც სიმბოლიური
ჯარისკაცის და კვიცის ხატება,
როგორც ხატება მსხვერპლშეწირულის.
რა იყო იგი, ხსნა და იმედი?
ოცნებისა და სიზმრის ნაფლეთი?
მშვიდობიანი ხვალის სიკეთე,
რაც მოდიოდა აღმოსავლეთით?!
არ ვიცი... დღესაც არავინ იცის,
რა ჰქვია ასეთ საკვირველებას;
ზორბა კაზაკი და თეთრი კვიცი
რატომ დაინდეს გერმანელებმა...

## შიში

და... გაჩნდა შიში,
როცა გაჩნდა ადამ და ევა...
ვიდოდა შიში დინოზავრად,
ვიდოდა დევად.
კლდეზე ამოსჭრა წინაპარმა შიშიც და ეჭვიც.
შიშს მისცა ლომის ფაფარი და
მამონტის ეშვი.
ხოცა ლომები,
ამოსწყვიტა მარტორქის ჯიში,
მაგრამ ვერ იქნა
და ვერ მოჰკლა ეჭვი და შიში.
და პირველყოფილ მონადირის ლოცვას თუ როკვას
ეჭვი და შიში ფეხდაფეხ მოჰყვა.
შიში გარდიქმნა მერე კერპად,
ხატად და ფრესკად
და შიშისზარი სამრეკლოებს ყვავებად ესხა.
შიში მოჰქროდა,
    მოწუოდა მონღოლის ისრად
და ფრინვლის დარად ბურტყლს აცლიდა ლტოლვილთა სიზმარს.
და მოდის,
  მოდის,
    მოდის შიში,
მოდის და მოდის:
ნაცარი...
ფერფლი...
ყვავის ჩრდილი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამარის ლოდი...
და რომ გრუხუნებს და რახრახებს ტანკის მუხლუხო —
ეს შიშნაჭამი მიწა ლუდლუდებს.
და მოდის შიში,
მოდის შიში
და იჩეკება
ურიცხვ ხიშტებად...
ჩაჩქანებად...
ურიცხვ ჩექმებად...

მთელი ბუნება ბრძოლის ველია,
ასპარეზია სხვადასხვა ჯიშთა,
ყოველ ნაბიჯზე სიკვდილი და განსაცდელია,
ყოველ ნაბიჯზე საქმე გვაქვს შიშთან,
აქაც და იქაც —
უმარტივესი უჯრედია თუ გალაქტიკა...
ეს ხვიარები,
ბუტკოს მტვერი,
ხავსი და ქინქლა
მიხსნიან სიკვდილ-სიცოცხლის იგავს,
სიკვდილ-სიცოცხლის განტოლებებს,
ეპიტაფიებს,
ერთმანეთი რომ შემუსვრისგან ვერ იპატიეს.
შიში ნიჭია
და თავდაცვის იარაღია,
შიშს ეფუძნება არსთა მთელი იერარქია.
შიშმა წარმოშვა ლომის ტორი,
ორბის ნისკარტი,
გამბედაობა,
მოხერხება, ფრთონა,
სისხარტე.
არწივისა და ვეფხვის კლანჭი შექმნა მარწუხად,
შეშინებულებს შიშზე შიშით რომ ეპასუხათ.
ფრინველების და ცხოველების ყოველი ჯიში
შემოსილია არა ბალნით —
არამედ შიშით!

ადამიანებს შიშმა მისცა ჭკუა-გონება,
ადამიანიც შიშს ამიტომ არ ემონება.
ყოველ უკვდავ ფუნჯს
შიში ეცხო უჩინარ ფერად,
შიში მოხატავს პეპლის კაბას
და გველის პერანგს.

— ყლორტი რა არის?
— სიკვდილის შიში...

ჟამმა აოტა
მწვანე ბალახქვეშ არქივები სასაფლაოთა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაპოლეონის თავისქალიდან
ამოდიან და განაგრძობენ დამპყრობლურ ომებს
მისი აზრები —
შუბოსანი ჭიანჭველები.
ერთ ბელტზე მთელმა ვატერლოომ მოიკალათა,
ნაბიჯს არ თმობენ...
ფუთფუთებს ჟამი საშინელების...
აი ობობაც საფარშია, თავის მსხვერპლს უცდის,
თევზთა ქარავნებს ნთქავს ვეშაპი ვეებერთელა
და ყვავილიც რომ ყვავილია
ნაზი და სუსტი
ისიც კი, ისიც დასაღუპად უხმობს პეპელას.
. . . . . . . . . . . . . . .
ასე გვაოტებს ჟამი ულმობლად,
ვცხოვრობთ იმედით
და შიშით ვცხოვრობთ,
რადგანაც ჯამი განზიდულობის
მიზიდულობის ჯამია მხოლოდ...

## გადაფრენილი ეპიტაფია

სადღაც შორეულ ფინეთის იქით,
მანძილის იქით და დროის იქით
ტყიურებივით ვიყავით, ერთ ხანს,
მთელი ათი თვე ტყეებს ვკაფავდით
და ტყეში მთვლემარ სიჩუმის ღმერთთან
ცულს და ბირდაბირს ჰქონდა კამათი.
ვერ გავაღვიძეთ მძინარე ღმერთი
ვერც ტყეში,
(ვეღარც ადამიანში)
მაგრამ წამალი ამ მძიმე ხვედრის
იყო გარდასულ დღეთა მირაჟი.
ვჩეხდით, ვხერხავდით, მაინც გვციოდა,
ყინვები იდგა ჩვეულებრივი
და მირაჟებიც სადღაც ცვიოდნენ
ფრთებმოტეხილი ფრინველებივით,
დრო მიჩოჩავდა, მეხსიერებაც
თანდათანობით გადაგვებინდა.
ასე გვეგონა ტყიურები ვართ
და ტყეში ვცხოვრობთ დაბადებიდან,
მარტოობაში თურმე იერთებს
სული შიშსა და განცდას ამაზრზენს, —
ქვეყანა ხომ არ დაცარიელდა,
მარტო ხომ არ ვართ მთელ ქვეყანაზე?
გვენატრებოდა ცხადად გვენახა
სიზმრიდან მარად დაუთხოველი;
სახლი, ბოსტანი, ყანა, ვენახი
და შინაური ფრინველ-ცხოველი.
მაშინ რომ ვინმე გზაზე შეგვყროდა
თუნდაც მახინჯი, თვალმოსარიდი,
ალბათ იმდენად შევწუხდებოდით,
კაცად კი არა ღმერთად ჩავთვლიდით.
აღარ გვჯეროდა თუ სადმე იყო
ჩვეულებრივი ურთიერთობა,
ოჯახურ სითბოს თუ ვინმე იყოფს,
თუ ზის, ისვენებს, ან თუ ერთობა.
ნეტა სად იყო ან როდის აქეთ,
რომელ ზღაპარში, რომელ მხარეში,
რომ აკეთებდეს ვიღაცა საქმეს
ბრძანებისა და მუშტის გარეშე?
აღარ გვჯეროდა თუ სდმე იყო
კინო, თეატრი, სკვერი, ბაღნარი,
თუ თავის ნებით ეხვია ჭიგოს
ლერწი ვაზისა ან ხეს მაღლარი.
თუ სადმე იყო ჩვეულებრივი
დრო ურეჟიმო და უგანრიგო,
ვინმეს საწოლში რომ ენებივრა
და თავის დროზე არ ამდგარიყო.
აღარ გვჯეროდა ვინმე თუ იყო
უმეთვალყუროდ, თავის ნებაზე.
თავისი ნებით რომ წასულიყოს
სადმე კინოში ან პაემანზე.
აღარ გვჯეროდა, აღარ გვჯეროდა

თუ არსებობდა ეს ყოველივე,
ჩვენც იმათ შორის თუ ვარსებობდით
სადღაც ოდესღაც ჩვენც თუ ვერიეთ...
ჯერ კიდევ იდგა ყინვა ბებერი
და გაყინული იყო მდინარე,
გამოვიცვალეთ სამკვიდრებელი
და მთელი კვირა თოვლში ვიარეთ.
თოვდა და თოვდა...
გზა იყო გრძელი
და მივდიოდით, სულ მივდიოდით.
ახალ თოვლს ჰქონდა მოლურჯო ფერი,
ძველს გადაჰკროდა ფერი იოდის.
თეთრად ჰკვაოდა დასალიერი
თეთრი ლანდებით გადაბურული
და გვაშინებდა სიცარიელე
თეთრი სიჩუმის უდაბურებით.
ცვიოდა ფიფქი, ფიფქი ულევი,
გეგონებოდა თეთრი ქაფია,
იწერებოდა ნაფეხურებით
ამაოების ეპიტაფია.
მარადისობა ფიფქით გაცრილი
იყო სიჩუმის თეთრი სერობა,
იქნებ დაბერდა დროც და მანძილიც
ანდა არასდროს არ არსებობდა?
ცით ეშვებოდა თეთრი ლეჩაქი,
თეთრ საოცრებად გამოსახული.
არც ღმერთი იყო, აღარც ეშმაკი,
არც კაცი სადმე მათი მსახური.

დაბარდნილიყო გარშემო თეთრად
თოვლიც, სიჩუმეც პირველყოფილი
და გულისხმობდა აბსტრაქტულ ხედვას
ჰორიზონტების თეთრი პროფილი.
თეთრია ფიქრი და მყუდროებაც
და ჰორიზონტიც ცას რომ შერთვია.
თეთრი ყოფილა უსაზღვროება,
თითონ სიკვდილიც იქნებ თეთრია?

ჩვენს შორის იყო ერთი დევკაცი,
მოვაბიჯებდით ზონიდან ერთად.
იგი თოვაში დათვს დაემსგავსა,
ორ ფეხზე შემდგარ ციმბირულ თეთრ
დათვს.

ნამდვილად იყო რკინისმკვნეტელი,
სხვათა დაჯაბნას რომ არ იკადრებს.
სიტყვაუთქმელი, მაგრამ კეთილი,
როგორც სჩვევიათ ხოლმე გიგანტებს.

იგი ყველაზე უკეთ იტანდა
შიმშილ-სიცივეს და გაჭირვებას.

მას მორჩილებდა მთელი ბრიგადა
და პატივს სცემდა ამ მორჩილებით...

თოვლის გაკვალვას მალე მოვეშვით,
ვიდექით ჩუმი გულისტკივილით.
უცებ ამ უღრან სიმარტოვეში
სადღაც გაისმა მამლის ყივილი.

შემოვტრიალდი, თოვლში უქუდოდ
გარბოდა სტეპკო ფეხარეული...
მერე დაეცა და აზლუქუნდა
და ათახთახდა მთელი სხეულით.

ჩვენ დავიბენით და სახტად დავრჩით,
ამხელა კაცი უღვთოდ ბღაოდა.
ეჰ, ასეთი ხმა ჩემს ბავშვობაში
მომისმენია სასაკლაოდან.

„ძმებო, ბიჭებო, ვაი, ძმებოო"
და ისრისავდა თვალებს მუჭებით,
ჩვენ ჩავძახოდით: „რა მოხდა, სტეპკო"
ვეხვეოდით და ვერ ვაყუჩებდით...

მინახავს... ვაი, ბევრჯერ მინახავს
ვაჟკაცის დედა თმაგაჩეჩილი,
რომ გაჰკივის და ღაწვებს იხოკავს
მწუხარებისგან სახეშეშლილი.

ბევრი მინახავს ქალი და რძალი
და დედაბერი უკვე უძლური
ომში დაღუპულ ვაჟკაცის ხალათს
რომ დასტიროდნენ მოთქმა-ზუზუნით.
მაგრამ ვაჟკაცის ქვითინზე უფრო,
მაგრამ ვაჟკაცის ცრემლებზე უფრო
საშინელი და გულშემზარავი
რამე არისო, არ თქვას არავინ...

მერე გავიგეთ: თურმე საცოდავს
გახსენებოდა თავის სახლ-კარი,
თავის უიღბლო ყმაწვილკაცობა
და იმედები უკვე გამქრალი.

მამლის ყივილმა თუ შეახსენა,
რაც დაჰკარგოდა ჩვენს მახსოვრობას —

რომ ქვეყანაზე ისევ არსებობს
ჩვეულებრივი მყუდრო ცხოვრება...
. . . . . . . . . . . . . .

ნუთუ კვლავ ხდება სასწაულები?
დიდება შენდა, ღმერთო, დიდება! —
თოვლზე დაყრილი ნაფეხურები
უცებ აიჭრა ცაში ჩიტებად.

და დაიგრძელეს წვრილი კისრები
წეროებივით გაბაწრულებმა
და აიტაცეს ჩვენი სიზმრები,
იმედები თუ განწირულება.

გადაამავეს შორს ჰორიზონტი
და ჩრდილებივით გამოისახნენ
და გაეშურნენ გაბმული მოთქმით
ჩვენს მიტოვებულ სახლებისაკენ.
. . . . . . . . . . . . .

გავა ჟამი და მართალ ტკივილებს
ვინმე მხატვარი აჭრის თარგებად,
რადგან ბუნების შინაგან ხილვით
ქვეყნად არა რა არ იკარგება.

ჩვენს მოხუც დედებს და ხალხს მდაბიოს
ამ ამბავს კარტში ეტყვის მკითხავი
და გადაფრენილ ეპიტაფიას
ალბათ სიზმრებში წაიკითხავენ...

## დაჭრილის სიზმარი

დამესიზმრა მეწამული ნისლები,
დაჭრილი ვარ, სისხლისაგან ვიცლები.

გულისპირზე ჭრილობა მჭირს პაწია,
ტანს პერანგი ყაყაჩოსი მაცვია.

წყალს დავეძებ...
ვერსად ვერ მივაგენი,
სიცხისაგან დამხეთქვია ბაგენი.

მზის კოცონი მიფენია ჭილობად,
ძერასავით მხარს მიკორტნის ჭრილობა.

წყურვილისგან ვკვდები, ყელი მიშრება,
ბაგეები გადამექცა გირჩებად.

— წყალი... წყალი...
ვკვნესი ღონემიხდილი
და ფეხდაფეხ მეპარება სიკვდილი.

შაშვია თუ მაჭახელა ჭახჭახებს?
ვიღაც ბიჭი ეკიდება ქანჩახებს.
— ჰაუ, ბიჭო, ჰაუ მეთქი, გოგიტა,
გაიქეცი, წყაროს წყალი მომიტა.

ცრემლიანი გარბის ბიჭი გოგიტა,
მაგრამ დოქი დაემსხვრევა ბოგირთან.

მერე გოგო მოდიოდა წყაროდან,
წყალსა ვთხოვდი, ის კი არა მწყალობდა.

— გოგუკელა, შესდექ, დედას გაფიცებ,
მადლი ჰქენი, შემიხსენი საკინძე.

ნაკადულად მომიშვებდე დალალებს,
შემიფარე... მაგ თვალებში დამმალე...

...დამესიზმრა: ბიჭუკელა ვიყავი,
რიონისპირ დაფრინავდა ჭილყვავი,

დაფრინდავდა... ყრანტალებდა ეულად —
ბედისწერა თუ თარიღი წყეული.

შავი ჩერო ქვებზე იჩეჩებოდა,
ეშმას თვალი მიცინოდა ჩეროდან...

დამესიზმრა: სიხარულის მომტანი,
ქინძჩაჭრილი მოჩუხჩუხე ქოთანი.

იმერეთში შემოსულა შვინდობა,
სიწყნარეა,
დარია და მშვიდობა.

დამესიზმრა: დედა სახეგამშრალი,
თმაგაწეწილს ჩამოშლია თავშალი.

— ვაი დედა, შენს ბიჭუნას მიშველე,
ტანს მიზეპავს მეწამული სისველე.

წყალი... წყალი, ვაი წყალი... დედულა,
მომიტანე რიონი და ქვედრულა.

დედა ტირის... სახეს თავშლით იბურავს,
ღმერთებს შესთხოვს გადაიქცეს ბინულად.

დედის ცოდვით შეძრწუნდება ბუნება,
ბებერი მთა წელში გაიღუნება

და მიწიდან ჟრიამულით, წკარუნით
ამორბიან ცივციველა წყარონი.

დედის ხმაზე გროვდებიან ღრუბლები,
ძაძისფერი როგორც ჭირისუფლები.

უცებ წვიმა წამოუშენს ჟუჟუნა,
შხაპუნს ვისმენ უკვდავების ჩურჩულად.

ეს რას ვხედავ?
ისევ დედის ხათრითა
თეთრი თაგვი გამოძვრება ზღაპრიდან.

შემოირბენს საიდუმლო სანახებს,
გამოძებნის სამკურნალო ბალახებს.

დედა შიშით ბალახს ყურთან მომისვამს
და ვცოცხლდები უცებ მსხვერპლი ომისა.
გამეღვიძა...
ავიბურძგე სიცივით,
კენწეროდან მესმა ჩიტის წივწივი.

ფრინველივით მხარზე მეჯდა ცისკარი,
ჩრდილივით რომ აეკენკა სიზმარი.

როგორც სველი ნეკერჩხალის ფურცელი
შუბლზე მედო ტყის სიგრილე უცვლელი.

არ მეხვია სიცხე ცეცხლის ჭილობად,
ოღონდ მხართან ყრუდ მტეხავდა ჭრილობა.

მოთმინება მწყურვალს აღარ მყოფნიდა.
და ცვარს ხარბად ვისრუტავდი
ფოთლიდან

— ჩიტო, ჩიტო, ჩიტო ოქრონისკარტა,
რას მაბარებ იმ შორეულ ცისკართან?

შენს სიხარულს ხომ არ გამინაწილებ?
იჟღურტულე... ნუ მომაქცევ საძილედ.

## დაბრუნება

და, აჰა, ფრთებქვეშ სივრცე გაიქცა,
რა მშვენიერი შემხვდა ტაროსი!
ღმერთივით დავცქერ ძირს დედამიწას,
მბრძანებელი ვარ მთელ სამყაროსი!
ქალაქებს მოსდევს ტყეები ხშირი,
შორით კაშკაშებს ქედების ანძა
და თვითმფრინავი დახეულ ჩრდილით
მიდის და კეცავს დროსა და მანძილს.
სამხრეთის ტილო მზით აღლვებილი
ლაჟვარდებით და ზღვით იხატება
და დაფეთებულ თეთრ კურდღლებივით
სკუპ-სკუპით ხტიან თეთრი ,,ხატები‘‘.
კავკასიონზე კრთება ციალი,
აპრილის დღეა ჩვეულებრივი
და ჭოროხები თეთრმუცლიანი
ფეხზე დგებიან სელაპებივით.
უკან ვიტოვებთ ტყეებს, დაბლობებს,
ჩანან ზეგნები აგურისფერი,
მიწის სულ მცირე უთანაბრობას
რყევით განვიცდით და გულისძგერით.
მიწა მაღლიდან ჩანს ნახატივით,
უხვი ფერებით,
გზებით,
ტაძრებით,
დიდებულია თანაც მარტივი
ღრმა ჩანაფიქრით და გააზრებით.
ყველგან თანაბარ შეზომილებით
დალაგებული, მიჭრილ-მოჭრილი,
მიმოხატული მზით და ჩრდილებით,
კანონისა და წესის მორჩილი.
მშვიდია, მწყობრი ლაქა ნახირთა
ჭოროხია თუ ჭალიკონია...
ვაითუ ღმერთებს იმ სიმაღლიდან.
ძირს ყველაფერი რიგზე ჰგონიათ!!
პეშვით ავიღებ ჩემს მცირე სოფელს,
დავცქერი, ვყნოსავ და ვეფერები,
არსთა გამრიგეს და უკვდავმყოფელს,
მიწიერივით მითრთის ხელები.
ღმერთი ვარ, ღმერთი!.. სული აინთო
სიხარულის და სიმაღლის გამო,

პირველად იყო სიტყვა!.. ამიტომ
„მიყვარხარ" — მეთქი ჩურჩულით ვამბობ.
და ამ სიტყვიდან იქმნება მიწა,
ჰაერი... წყალი... და ის სამოთხე,
ურომლისოდაც ქართველებს გვიმძიმს
და დაკარგულებს ძილშიც გვაბოდებს.
— კავკასიონი!
— კავკასიონი!
დაფეთებული სარკმლებს ვაწყდებით...
აქ სადღაც არის ჩემი რიონი.. .
სადღაც არიან სახლიკაცები...
აქ დაუბერტყავს კალთა ზენაარს,
მიწა ქვევიდან მზეს მოანათებს.
ჭიამაიის გადაფრენაა
თუ მარწყვით სავსე სცლიან კალათებს?
სადღა მცალია სამუსაიფოდ,
ძირს აჯანყებულ მთებს გადავცქერი.
ეს ამირანის მთა გადაიპო
და ყაყაჩოთა მოსკდა ჩანჩქერი?
არა, ეს ჩემი იმერეთია,
კრამიტიანი ჩანან ოდები,
მწვანედ და წითლად ღუის ერთიან,
მწვანე და წითელ ცეცხლის მოდებით.
მეღირსა... ვაი... და გაშტერებით
კვლავ იმერეთის მთებს ვეფერები...
ბედნიერი ვარ... რა მეშველება,
არ მჯერა ჩემი ბედნიერების...
„დუგლასის" ჩრდილი ზვრებს მიიხვეტავს
და აჰა, ფერად სერებს ეკვეთა.
წინაპრის სული დგება ციხედან
კოშკად, ფრინველად, ნისლად, ლეგენდად.
ჩრდილი კი არა, ჩემი სულია,
გაქცეულია ჩემი ტანიდან,
ო, რა ხარბი და სულწასულია,
ვგ გადამიტანს, თუ გადამიტანს.
დარიგებაც კი აღარ მაცალა,
ისე გადახტა თვითმფრინავიდან,
და, აჰა, სული ჩემი ნაცვალი
მიწაზე ჩემზე ადრე ჩავიდა.
ვერა, ამ ბოსტნებს ვერ ვუღალატებ,
ვერ ვუღალატებ ძვირფას საფლავებს.
ღმერთად ვერ გავძლებ თუნდაც ხვალამდე,
მე კაცად ქცევა მინდა ახლავე.
მომელანდება ფერდობზე ჯოგი,
ციხესთან ქოხი ცად განაბული,
ჩასუქებული იხვივით დოქი,
წისქვილის ღარში ღვლერჭით დაბმული.

მომელანდება გზები დაცლილი,
შუადღის ხვატში ყანა მომკილი.
ყანიდან მოსულ ბერიკაცივით
გადამხობილა წყალზე ბოგირი.
ძაღლივით ქელავს ღობისქვეშ ბუჩქი,
ამ გაგანია მზეში დაღლილი.
ძაღლივით ქელავს პილპილის ბუჩქი,
გადმოუგდია ენა ძაღლივით.
მომელანდება: თემშარას მივსდევ,
ბოსტანში ალი ასდის ბოლოკებს
და კოლექტივის დაყურსულ ნიგვზებს
ერთს ძველებურად გავუჭოლოკებ.
გზადაგზა თეთრი ნისლი დამბურავს
და ტყე გამლუმპავს მწვანეფოთლება.
გზაზე დამხვდება ჩემი ბამბურა,
მკერდზე თათებით შემეტოტება.
ისე დიდია ეს აღტაცება
და სიყვარულით თავდავიწყება —
ოთხფეხა ძაღლი ორზე დადგება
და ორი წამით კაცად იქცევა.
გულს ამოისკვნის მუნჯი კაცივით
და რას არ მეტყვის ძაღლურ თვალებით.
ვიცი, ბათულა, განა არ ვიცი
ძაღლურ ცხოვრების და გაწვალების.
განა არ ვიცი, ომში რომ დამჭრეს —
შენ აქ ყმუოდი, ფერდი გეწოდა.
ჯერ მთელი ღამე ფხოჭნიდი ფანჯრებს,
მერე გარბოდი სადღაც ეზოდან.
გესიზმრებოდი: ვეგდე უძლური
და არსაიდან ჩანდა საშველი
და შენ მორბოდი მგლური ძუნძულით,
კბილით მოგქონდა ღრუბლის ნაჭერი.
ღრუბელს მასმევდი ჩვენი უშბისას
და ჭრილობაში ბამბად მიფენდი.
შენ წკმუტუნებდი სიხარულისგან,
ჩემი მორჩენის გქონდა იმედი.
რაც არი, უნდა გითხრა სიმართლე,
ბედმა ჩამოსვლა რახან მაღირსა —
მე ჭიანჭველის ღონე ვინატრე
და ერთგულება ჭკვიან ძაღლისა.
ო, ქვა-მუხებო, თეთრო ბჟოლებო,
მომნატრებია თქვენი ფუღუროც,
ქარი ალერსით ვით გერჩოლებათ,
დავდგე, მთელი დღე უნდა ვუყურო.
ტანზე რომ სქელი ხავსი მიგკვრიათ,
ხავსი კი არა, ჩემი დარდია,
ჩემი სუნთქვაა, ჩემი ფიქრია,

ასე უხვად რომ დამიხვართქლია.
ო, ჩემო სახლო, პატარა სახლო,
რიონისპირად რომ მეგულები,
დაჟღურტულებენ შენს შორიახლო
მოლაღურები და გუგულები.
მართლა ჩიტები კი არ გეგონოს —
შემოგსევიან ჩემი ფიქრები!
შენი გუზგუზა ხმა გამეგონოს,
კერა-ბუხარო, ნუ ჩამიქრები.
ჩემო ზღაპარო და წითელქუდავ,
ხომ მელოდება დედის ჭაღარა?
მითხარ გეთაყვა, მერცხლების ბუდე
ტუჩზე ხალივით რამ დაგახალა?
ამაღლდი ჭერო, ამაღლდი ოდავ,
სახლო შეკრულო წაბლის ფიცრებით,
ჩემი სიცხიან სიზმრების ბოდვავ,
ხომ გენატრები და გესიზმრები?
შენ კი ღობეო, ეს რა მოგსვლია —
ნეკნებამოყრილ ცხენივით წევხარ.
აგე მამალი გარბის ბოსლისკენ,
უნაგირივით რომ გაჯდა წელან.
წამოგაყენებ, ღობეო, მენდე,
იმედი გქონდეს პატრონის გარჯის
და ამოგივსებ მაგ ჩაყრილ ფერდებს
ლიპრიან წკნელით, ძეძვით და ჯარჯით.
ო, ქვა-მუხებო,
   რა კარგი ჰქენით,

მართლა რა კარგი, ჩუმად რომ შემხვდით.
მზით მოჟონილი ყლორტი ვარ თქვენი
და რაღა მეთქმის მადლობის მეტი.
რასაც განიცდით, ვერ დამიმალავთ,
თქვენი წრიალი შორიდან ვიგრძენ,
ოღონდ მითხარით, ვინ გაზიარათ
გამოუთქმელის უდიდეს სიბრძნეს?
გამოუთქმელის მწამს სასწაული,
გამოუთქმელის სიღრმე მიზიდავს,
გამოუთქმელმა მაგ სიყვარულმა
დევებად გზარდათ მშობელ მიწიდან.
და როგორც ფოთოლს ძირავს ჭანჭრობი
უთქმელად, ჩუმად, არა ხმაურით,
ასევე მძირავს და ჩუმად მახრჩობს
გამოუთქმელი ეს სიყვარული.
ეს უთქმელობა მომდევს ყრმობიდან
ჩემი განძი და ავლადიდება.
მეათასედაც ვერ გამომითქვამს
და თუ გამოვთქვი — გავღარიბდები.
აქ უნდა მოვკვდე... და აღარც მინდა
ამაზე დიდი ბედნიერება,
სიხარულისგან მიწყდება სიტყვა
და, ჰა, წინასწარ ცრემლი მერევა.
ვერ მოვისვენებ სიყვარულისგან
და აღვასრულებ ბუნების ანდერძს:
უნდა დავძლიო მარცვლის ბრძნული გზა—
ათასჯერ უნდა მოვკვდე და აღვსდგე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი გიგაური

## გაზაფხული არაგვზე

ქარმა აჰყარა ხევიდან ნისლი,
რომ მზეს აჩვენოს ხეთა სიმწვანე,
შავი არაგვი თეთრ შხეფებს ისვრის
და წყაროებმაც ღელვა ისწავლეს.

ცა იმზირება წყლიანი თვალით,
სიხარულის ცრემლს ვერ მალავს ზეცა,
აქვითინებას არ აცლის ქარი,
ცრემლიან ღრუბელს კეცავს და კეცავს.

მთას გაბედულად გააძრო თალხი,
მზეს ჩამოხია რუხი პირბადე,
კლდეებს არაგვი თეთრ შხეფებს ახლის,
კლდეებს, რომლებიც აქ დაიბადნენ.

მწვერვალისაკენ მივყვები ბილიკს,
საჯიხვეებმა მომტაცეს მზერა,
სტრიქონთა ელვამ დაადნო ორთვილი,
გაზაფხულია სტრიქონი ყველა.

მიფენს მიდამო ზურმუხტის ფერებს,
მიგალობს ჩიტი საამო ჰანგებს,
ვუმღერი მამულს,
ვუმღერებ მერეც,
ჩემი სიმღერით თუ რამეს ვარგებ...

დიდ სიყვარულზე სიმღერას შევძლებ,
არ მეპარება ეჭვი სრულიად,
გაზაფხულია არაგვის ველზე,
არაგვის მთებზე გაზაფხულია.

## ფ ე რ ი ს ც ვ ა ლ ე ბ ა

ორმოცდაათი, —
ეპოქის მხრები,
ბრძოლის,
შრომის და
გამარჯვების ორმოცდაათი,
წლები გამთბარი
სხივოსანი სიცოცხლის გზნებით,
დღენი მქროლავი ქარზე სწრაფად,
განა ტაატით.

ორმოცდაათი —
სიამაყე,
სითბო,
სიმაღლე,
სიცოცხლის დედა,
სიბრძნის წყარო,
სიკეთის ფრთები,
როცა ვახსენებ,
არწივსავით გულს გავილაღებ,
ცას ვეკიდები მნათობის თემებით.

ოქტომბრის შუქში
კომუნიზმის კიბე იგება,
იმსხვრევა კიბე უგულობის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომის და შფოთის,
ოქტომბრის შუქში
ვეტერანთა მტკიცე რიგები
მოაბიჯებენ და
მომავლის თაობაც მოდის.

ნასოფლარებზე
აღმართული ქალაქთა წყება,
ვარსკვლავებივით
ანთებული მიწის ლამპარი,
ბრძოლის წუთები,
რომ ქცეულან მჭექარე წლებად
გამართლებაა ყველა ზღაპარის.

დედამიწიდან
გატყორცნილი მაღალი ხმები
მზისკენ მიჰქრიან ქარტეხილად,
განა ტაატით,
სიცოცხლიანი ეპოქის მხრები
წელიწადია ორმოცდაათი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგი ავალიანი

# მატერიის კატეგორიის ლენინური განსაზღვრება

## 1. საკითხის დასმა

მატერიის კატეგორია მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის და, საერთოდ, მატერიალისტური მსოფლმხედველობის ქვაკუთხედია. ამ კატეგორიის დაფუძნების შესაძლებლობაზეა დამოკიდებული მატერიალისტური ფილოსოფიის ბედი. სწორედ ამიტომ იდეალიზმი (მაგალითად, მისი კლასიკური წარმომადგენელი ჯ. ბერკლი) ცდილობს, უწინარეს ყოვლისა, მატერიალური სუბსტანციის უარყოფას, შის შესახებ მოძღვრების უსაფუძვლობის დამტკიცებას, ხოლო მატერიალიზმი, პირიქით, უწინარეს ყოვლისა, მატერიალური სუბსტანციის აუცილებლობას ასაბუთებს და სრულიად სამართლიანად მას მატერიალისტური მსოფლმხედველობის საფუძველდებულებად თვლის. ერთი სიტყვით, მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა მატერიალიზმსა და იდეალიზმს შორის, რომელიც დღესაც გრძელდება, არსებითად მატერიის ცნების გარშემო ტრიალებს. ისინი, ვინც მატერიას ერთადერთ სუბსტანციად აცხადებს და, ამის შესაბამისად, ცნობიერების მეორადობას ამტკიცებს, მატერიალისტების ბანაკს მიეკუთვნებიან, ხოლო ვინც საპირისპირო თვალსაზრისზე დგანან — იდეალისტების ბანაკს შეადგენენ.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ მატერიის კატეგორიას ცენტრალური ადგილი უჭირავს მატერიალისტური ფილოსოფიის სხვა კატეგორიათა შორის. ეს კარგად იცოდა ჯერ კიდევ არისტოტელემ, როდესაც მან კატეგორიების ცხრილში არსების („უსია“) ანუ სუბსტანციის კატეგორია პირველ ადგილზე მოათავსა, ხოლო დანარჩენი კატეგორიები (რაოდენობა, თვისება, დრო, მიმართება, ადგილი, მდებარეობა, მდგომარეობა, მოქმედება, ვნება) მის განსაზღვრულობებად გამოაცხადა. მატერიის კატეგორია მართლაც პირველია ყველა დანარჩენის მიმართ; სივრცე, დრო, მოძრაობა, მიზეზობრიობა და ა. შ. საბოლოო ჯამში მატერიის კატეგორიის გამომთქმელია და, მაშასადამე, გარკვეული აზრით, მის განსაზღვრულობებს წარმოადგენს. ამ აზრით, მთელი მატერიალისტური მსოფლმხედველობა, განსაკუთრებით ბუნებისმეცნიერების ფილოსოფია, შეიძლება მატერიის ფილოსოფიად წარმოვადგინოთ, ვინაიდან იგი სხვა არაფერია, თუ არა მატერიის უზოგადესი კანონზომიერების შემეცნება.

მართალია, მატერიის ფილოსოფიური თეორიები ჯერ კიდევ ძველ დროში წარმოიშვა, მაგრამ მატერიის მეცნიერული კვლევა დაკავშირებულია ფიზიკურ-ქიმიური ატომისტიკის შექმნასთან. ატომის სტრუქტურისა და, საერთოდ, მიკროსკოპიული სამყაროს კანონზომიერების შესწავლამ ძირფესვიანად შეცვალა ძველი (მეტაფიზიკური) წარმოდგენები მატერიაზე და საფუძველი მოუმზადა პრინციპულად ახალ თეორიას მატერიის შესახებ. XIX-XX საუკუნეებში ახალი საბუნებისმეტყველო აღმოჩენები მარტო მექანისტური მატერიალიზმის მარცხის საფუძველი კი არ გახდა, არამედ საერთოდ საეჭვოც გახადა მატერიის სუბსტანციური თეორია. ამ კრიზისიდან გამოსავალი გვაჩვენა ვ. ი. ლენინმა. მან მატერიის ცნება ახლებურად განსაზღვრა და მატერიის სუბსტანციური თეორია მყარ მეცნიერულ ნიადაგზე დააფუძნა. ჩვენი სტატიის მიზანი იმის ჩვენებაა, თუ რაოდენ დიდი, ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს მატერიის ცნების ლენინურ გაგებას საერთოდ მატერიალისტური

მსოფლმხედველობისათვის და, კერძოდ, იმ კრიზისიდან თავის დასაღწევად, რომელშიც მატერიის სუბსტანციური თეორია მოექცა ახალი საბუნებისმეტყველო აღმოჩენების შედეგად.

## 2. მატერიის მეტაფიზიკური თეორიის მარცხი

მატერიის ცნება ისევე ძველია, როგორც თვითონ მატერიალიზმი; ამ ცნებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ხანგრძლივი ევოლუცია განიცადა. მატერიის შესახებ თანამედროვე წარმოდგენები დიამეტრულად განსხვავდება იმ წარმოდგენებისაგან, რომლებიც ადამიანებს საუკუნეების მანძილზე ჰქონდათ.

მატერიალიზმი საერთოდ მატერიალური სუბსტანციის ცნებიდან გამომდინარეობს, რომელსაც იგი ცნობიერების მიმართ პირველადად თვლის. მაგრამ მატერიალური სუბსტანცია ყველა მატერიალისტს ერთნაირად როდი ესმის; ძველი (მარქსამდელი) მატერიალიზმი მეტაფიზიკური იყო, რაც, უწინარეს ყოვლისა იმით გამოიხატებოდა, რომ სინამდვილის საწყისად თვლიდა რაღაც პირველმატერიას, როგორც ნივთებისა და, საერთოდ, ყოველგვარი არსებულის ქმნადობის მასალას, რომელსაც ინერტულობასა და უცვლელობას მიაწერდა. მატერია (ანუ პირველმატერია), ამ კონცეფციის მიხედვით, ნივთიერებაა, რომელსაც თავისთავად არავითარი ფორმა, ე. ი. არავითარი გარკვეულობა არა აქვს და მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტული საგნების ქმნადობის მასალაა. ფორმა და ინდივიდუალობა აქვს საგნებს, რომლებიც მატერიისაგან არის შედგენილი. ისევე როგორც ოქროსაგან სხვადასხვა სამკაული შეიძლება დამზადდეს (ე. ი. ოქრომ შეიძლება სხვადასხვა ფორმა მიიღოს), მაგრამ ოქრო ყველგან მაინც ოქროდ რჩება, ასევე ყველა საგანი, მათი განსხვავების მიუხედავად, თანაბრად შედგენილია პირველმატერიისაგან, რომელიც საგნებში იგივეობრივი რჩება. ასე ესმოდათ საგანთა საწყისები („არხე“), მაგალითად, ძველ ბერძენ ფილოსოფოსებს: თალესს (წყალი), ანაქსიმენს (ჰაერი), ჰერაკლიტეს (ცეცხლი), ემპედოკლეს (ცეცხლი, წყალი, მიწა და ჰაერი), ლევკიპესა და დემოკრიტეს (ატომები) და არსებითად მარქსამდე არსებულ ყველა მატერიალისტს. ეს მატერიის მეტაფიზიკური თეორიაა, რომელსაც მატერია ინერტულ, პასიურ, უცვლელ, უფორმო მასად მიაჩნდა, საიდანაც ყველა საგნები იწარმოება.

ძველი მატერიალიზმის ამ მეტაფიზიკური ხასიათის გამო ვ. ი. ლენინი მოითხოვდა, რომ ერთმანეთისგან მტკიცედ გაემიჯნათ დიალექტიკური და მეტაფიზიკური მატერიალიზმი. „რაღაც უცვლელი ელემენტების, „საგანთა უცვლელი დედაარსის“ და სხვ. აღიარება — წერს ვ. ი. ლენინი — მატერიალიზმი კი არ არის, არამედ **მეტაფიზიკური** ე. ი. ანტიდიალექტიკური მატერიალიზმია“.[1]

მეტაფიზიკური მატერიალიზმი მატერიის ერთადერთ სახეს — ნივთიერებას იცნობდა და ამიტომ მატერიასა და ნივთიერებას ერთმანეთთან აიგივებდა. ასე ესმოდა მატერიის ცნება ყველა ფილოსოფოსს ელექტრომაგნიტური ველის, როგორც მატერიის განსაკუთრებული სახის, აღმოჩენამდე. სწორედ ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ სიტყვა „მატერია“ (materia) ლათინურ ენაზე ნივთიერებას ნიშნავს.

პირველმატერიას, როგორც გრძნობადი სინამდვილის ქმნადობის მასალას, მეტაფიზიკური მსოფლმხედველობა პასიურ, ინერტულ მასად თვლიდა, რომელიც მოკლებულია ქმნადობის ყოველგვარ უნარს, გარეშე ძალის ჩაურევლად არ შეუძლია ამოძრავება ან შეჩერება; მატერია, ამ კონცეფციის მიხედვით, თვითონ არაფერს არ ქმნის, არამედ მისგან ქმნიან ყველაფერს; ერთი სიტყვით, იგი მარტოოდენ ქმნადობის მასალაა და მეტი არაფერი. ასე ესმოდა მატერიის ცნება ბევრ ფილოსოფოსს როგორც მატერიალიზმის, ასევე (მით უმეტეს) იდეალიზმის ბანაკის წარმომადგენელს. სწორედ ამიტომ ეს ფილოსოფოსები მოძრაობის მიზეზს მატერიის გარეთ ეძებდნენ და, ერთი სიტყვით, მატერიასა და მოძრაობას ერთმანეთისაგან წყვეტდნენ. ემპედოკლემ ქმნადობის მასალად (პირველმატერია) ოთხი ელემენტი (ცეცხლი, წყალი, მიწა და ჰაერი) გამოაცხადა, რომელთა შეერთება და დაშლა საგანთა ქმნადობას წარმოადგენს. თვითონ ეს ელემენტები ინერტულია. მოკლებულია ქმნადობის უნარს; სწორედ ამიტომ ამ ფუნქციას სიყვარულისა და სიძულვილის ძალები ასრულებენ; ასევე ანაქსაგორამ ნარევის, როგორც პირველმატერიის, ასამოძრავებლად გონების ცნება შემოიტანა, როგორც ერთგვარი პირველი ბიძგი ინერტული პირველმატერიის მოძრაობაში მოსაყვანად. მატერიის ინერტულობის იდეას იზიარებდნენ არისტოტელე, დეკარტე, ნიუტონი და სხვა მოაზროვნეები. ე. წ. „პირველი ბიძგის“ თეორია მორცხვი მატერიალიზმი იყო, რომელიც აგრეთვე მატერიის ინერტულობის თვალსაზრისით იყო ნაკარნახევი.

მართალია, იყვნენ ისეთი მოაზროვნეებიც, რომლებიც მატერიის ინერტულობის იდეას უარყოფდნენ (მაგ., ჰოლბახი, ტოლანდი და სხვ.), მაგრამ კლასიკურ მატერიალისტურ აზროვნებაში გაბატონებული თვალსაზრისი ზემოაღნიშნული მეტაფიზიკური კონცეფცია იყო.

ჯერ კიდევ დემოკრიტეს დროიდან, ხოლო განსაკუთრებით, ახალ დროში (გალილეი, დეკარტი, გასენდი, ჰობსი, ლოკი) შემუშავდა თვალსაზრისი მატერიის პირველადი და მეორადი

---

[1] ვ. ი. ლენინი, ტ. 14, გვ. 330.

თვისებების შესახებ, რაც შემდეგ მატერიის მეტაფიზიკური თეორიისა და, საერთოდ, მექანისტურ-მეტაფიზიკური მატერიალიზმის ერთ-ერთ საფუძველდებულებად იქცა. პირველად თვისებებად მატერიის სუბსტანციური თვისებები იგულისხმებოდა, რომელთაც მეტაფიზიკური მატერიალიზმი აბსოლუტურ მნიშვნელობას მიაწერდა და უცვლელად, საყოველთაოდ თვლიდა. ასეთ თვისებათა რიცხვს მიაკუთვნებდნენ განფენილობას, სიდიდეს, ფიგურას, შეუვალობას და სხვ. მეორად თვისებებად კი ისეთი თვისებები ითვლებოდა, რომლებიც სუბიექტთან მიმართებაში წარმოიშობა და, მაშასადამე, საგნებს თავისთავად არ მიეკუთვნება (ფერი, გემო, სუნი და ა.შ.)

კლასიკური (მეტაფიზიკური). მატერიალიზმი მატერიის ატრიბუტად — მისი არსების გამოვლინებად — თვლიდა განფენილობას, სივრცესა და დროში არსებობას, მასას, შეუვალობას, მარადიულობას და ა. შ. ამ თვისებათა აბსოლუტურობაზე იყო დაფუძნებული მატერიალური სუბსტანციის აბსოლუტურობის იდეა. ამასთანავე ზემოხსენებული ატრიბუტები მატერიისა და ნივთიერების გაიგივების თვალსაზრისს ემყარებოდა. თუ მატერია და ნივთიერება ერთი და იგივეა, მაშინ იგი, ცხადია, განფენილი უნდა იყოს (ნივთიერება შეუძლებელია იყოს განუფენელი); განფენილობა, თავის მხრივ, სივრცესა და დროში არსებობას ნიშნავს. სივრცესა და დროში არსებულ ე. ი. განფენილ ნივთიერებას აქვს მასა (რომელიც ნივთიერების რაოდენობად ესმოდათ); ნივთიერება კი, ამ კონცეფციის მიხედვით, ატომებისაგან შედგება; ატომი არის „ატომოს“ (განუყოფელი ნაწილაკი) და, მაშასადამე, იგი შეუვალია; ხოლო ვინაიდან ატომი განუყოფელი და შეუვალია, ამიტომ იგი მარადიულია — არ შეიძლება წარმოიშვას ან მოისპოს. მატერიის მარადიულობის იდეა ძველ (მეტაფიზიკურ) მატერიალიზმში ძირითადად ატომების განუყოფლობას, ე. ი. კლასიკურ ატომისტურ კონცეფციას ემყარებოდა.

მას შემდეგ, რაც დალტონმა ატომების არსებობა ქიმიურ ნაერთებში ემპირიულად დაადასტურა, ატომისტურმა თეორიამ ექსპერიმენტული ხასიათი მიიღო და სპეციალურ მეცნიერებათა (კერძოდ, ფიზიკისა და ქიმიის) კუთვნილება გახდა. XIX-XX საუკუნეებში, ატომისტური თეორიის ტრიუმფული განვითარების შედეგად, ძირფესვიანად შეიცვალა კლასიკურ-მეტაფიზიკური თვალსაზრისი მატერიის შესახებ. ელექტრომაგნიტური ველის აღმოჩენამ უარყო მატერიისა და ნივთიერების გაიგივების იდეა, ხოლო ატომის გაყოფამ და, საერთოდ, ატომისტურმა თეორიამ — ყველა ის ატრიბუტი, რასაც კლასიკური აზროვნება მატერიალურ სუბსტანციას მიაწერდა. ამის საფუძველზე თანამედროვე იდეალისტურ ფილოსოფიაში წარმოიშვა „მატერიის დესუბსტანციალიზაციის“ იდეა. თანამედროვე „ფიზიკურმა“ იდეალისტებმა და პოზიტივისტებმა ბუნებისმეტყველების უახლესი აღმოჩენები მატერიის სტრუქტურის დარგში გაიგეს როგორც მატერიალური სუბსტანციის უარყოფა და, საერთოდ, მატერიალისტური მსოფლმხედველობის მარცხი. კლასიკური მეტაფიზიკური მატერიალიზმი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ატომების განუყოფლობის იდეას ემყარებოდა; ატომების გაყოფის საფუძველზე კი იდეალისტებმა ის დასკვნა გააკეთეს, რომ „მატერია გაქრა“, ე. ი. ყალბი აღმოჩნდა მატერიის მარადიულობის კანონი, რომელიც საუკუნეების მანძილზე უდავოდ ითვლებოდა.

თანამედროვე მეცნიერებამ უარყო წარმოდგენები მატერიის აბსოლუტურად უცვლელი თვისებების შესახებ; აღმოჩნდა, რომ იმ „ატრიბუტებს“, რომელთაც მეტაფიზიკური მატერიალიზმი მატერიის აბსოლუტურ თვისებებად თვლიდა (განფენილობა, მასა, შეუვალობა და სხვ.), აბსოლუტური კი არა, რელატიური მნიშვნელობა აქვს. თანამედროვე იდეალისტების შეცდომა ამ შემთხვევაში ის არის, რომ ისინი მექანისტურ მატერიალიზმს მატერიალიზმის ერთადერთ შესაძლებელ ფორმად თვლიან და ამის საფუძველზე ძველი მატერიალიზმის მარცხი საერთოდ მატერიალისტური მსოფლმხედველობის მარცხად მიაჩნიათ. მატერიალური სუბსტანციის შესახებ ძველი, მეტაფიზიკურ-მექანისტური წარმოდგენების მსხვრევა მატერიალური სუბსტანციისა და, საერთოდ. მატერიალიზმის უარყოფას კი არ ნიშნავს, არამედ მარტოოდენ იმას, რომ გაფართოვდა ჩვენი ცოდნა მატერიის შესახებ, გაქრა „ის საზღვარი, სანამდიც ჩვენ დღემდე ვიცნობდით მატერიას“.[1]

## 3. მატერია, როგორც სუბსტანცია

სამყაროში მრავალი საგანი და მოვლენა არსებობს, რომელთაც მატერიალურობის ნიშანი, როგორც ყველაზე უნივერსალური განსაზღვრულობა, აერთიანებს. ეს ნიშნავს, რომ ყველაფერი, რაც გარეგან სამყაროში (ე. ი. ცნობიერების გარეთ) არსებობს, მატერიალურია. „სამყაროს ნამდვილი ერთიანობა — ამბობს ფ. ენგელსი — მის მატერიალობაში მდგომარეობს“.[2] სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მატერია არის სუბსტანცია ანუ ცნობიერების გარეთ მყოფი ყოველგვარი არსებულის არსებას მატერია წარმოადგენს.

მაგრამ დიალექტიკურ მატერიალიზმს სუბსტანციის ცნება უცვლელ, უძრავ, ერთხელ და

---

[1] ვ. ი. ლენინი, ტ. 14, გვ. 329.

[2] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, თბილისი, 1952, გვ. 53.

სამუდამოდ მოცემულ რაღაც პირველმატერიად კი არ ესმის, რომელსაც ასევე აბსოლუტურად უცვლელი თვისებები მოეპოვება, არამედ საგანთა და მოვლენათა რელატიურ არსად. „მარქსისა და ენგელსისათვის — წერს ვ. ი. ლენინი — არ არსებობს არავითარი სხვა „უცვლელობა“, არავითარი სხვა „არსი“, არავითარი „აბსოლუტური სუბსტანცია“... საგანთა „არსი“ ანუ „სუბსტანცია“ აგრეთვე შეფარდებითია“[1] მატერიალური სუბსტანციის ცნების რელატიურობა და მექანისტურ-მეტაფიზიკური მატერიალიზმის მარცხი იმით გამოიხატა, რომ მატერიის ე. წ. „პირველადი თვისებები“, რომელთაც აბსოლუტურ მნიშვნელობას მიაწერდნენ და ხშირად მატერიალური სუბსტანციის ატრიბუტად თვლიდნენ, რელატიური ე. ი. მატერიის ამა თუ იმ (და არა ყველა) ფორმისათვის დამახასიათებელი აღმოჩნდა და, მაშასადამე, მათი უნივერსალურობა უარყოფილ იქნა. „ჰქრებიან მატერიის ისეთი თვისებანი, — წერდა ვ. ი. ლენინი, — რომელნიც წინათ აბსოლუტური, უცვლელი, პირველადი გვეგონა (შეუღწევადობა, ინერცია, მასა და სხვა.) და რომელნიც დღეს გვევლინებიან როგორც შედარებითი, როგორც მატერიის ზოგიერთი მდგომარეობის დამახასიათებელი თვისებანი“.[2]

მარქსისტულ-ლენინური მატერიალიზმი მონისტური მსოფლმხედველობაა; მისი აღიარებით არსებობს ერთადერთი სუბსტანცია—მატერია; სწორედ ამიტომ ეს უკანასკნელი ყველაფრისაგან დამოუკიდებელია, თავისთავადია, თვითონ არის თავისი „მიზეზი“ ანუ „თვითმიზეზია“ (უფრო ზუსტად რომ ვთქვათ. მატერია თვითსაფუძველია; „თვითმიზეზი“ ამ შემთხვევაში „თვითსაფუძველს“ ნიშნავს), იგი უსასრულოა სივრცესა და დროში და სხვ. ცნობიერება არ შეიძლება იყოს სუბსტანცია, ვინაიდან იგი მატერიის ასახვაა, მატერიალურის (უმაღლესად განვითარებული მატერიის, ე. ი. ტვინის) პროდუქტია, მისი თვისებაა, ფუნქციაა და, ცხადია, მატერიის მიმართ მეორადია, მასზეა დამოკიდებული. ცნობიერება, როგორც მატერიის თვისება, არ შეიძლება იყოს სუბსტანცია, ვინაიდან თვისება ყოველთვის მის მქონეზეა (ამ შემთხვევაში მატერიაზეა) დამოკიდებული; სუბსტანციის ბუნება სწორედ თავისთავადობაა, დამოუკიდებლობაა.

ძველი მატერიალიზმი, მართალია, მატერიის პირველადობისა და ცნობიერების მეორადობის საფუძველდებულებიდან ამოდიოდა, მაგრამ მას არ ესმოდა ცნობიერების ბუნება და ამიტომ არც იმის დასაბუთება შეეძლო, თუ რატომ არ შეიძლება ცნობიერების ჩათვლა სუბსტანციად. ცნობიერების ფილოსოფიური თეორია მეცნიერულ ნიადაგზე პირველად მარქსმა და ენგელსმა დააყენეს, რომლებმაც ცნობიერება (das Bewußtsein) გაიგეს როგორც შეცნობილი ყოფიერება (das bewußte Sein)[1] და ამით ცნობიერების სუბსტანციურობას საფუძველი გამოაცალეს.

ცნობიერების ბუნების სწორედ ასეთ გაგებას ემყარება სამყაროს, მატერიის შემეცნებადობის იდეა მარქსისტულ ფილოსოფიაში; ვინაიდან ცნობიერება უცხო კი არ არის მატერიისათვის, არამედ მისი ასახვაა, ამიტომ გარეგანი და შინაგანი სამყარო, მატერია და აზროვნება ერთსა და იმავე უნივერსალურ კანონზომიერებას უნდა ემორჩილებოდეს. „ჩვენი სუბიექტური აზროვნება და ობიექტური სამყარო — წერს ფ. ენგელსი — ერთსა და იმავე კანონებს ექვემდებარება და ამიტომ არ შეიძლება, რომ ისინი თავიანთი შედეგებით ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდნენ; ისინი ერთმანეთს უნდა ეთანხმებოდნენ“.[2] სამყარო, თავისი ბუნებით, შემეცნებადია, მისაწვდომია ცნობიერებისათვის, ვინაიდან ამ უკანასკნელს აბსოლუტური თვითმყოფობა, სუბსტანციურობა კი არ გააჩნია, არამედ იგი მატერიის ასახვაა, მისი პროდუქტია. სწორედ ამიტომ ვ. ი. ლენინმა მატერიის შემეცნებადობა, მისი შეგრძნებებში მოცემულობა თვით მატერიის ცნების განსაზღვრებში შეიტანა. „მატერია არის ის, — წერს იგი, — რაც მოქმედებს ჩვენს გრძნობათა ორგანოებზე და იწვევს შეგრძნებებს; მატერია არის ობიექტური რეალობა, რომელიც შეგრძნებებში გვეძლევა“.[3] მატერიისა და ცნობიერების დაპირისპირებას მხოლოდ და მხოლოდ გნოსეოლოგიური შინაარსი აქვს; სუბსტანციური თვალსაზრისით კი ასეთი დაპირისპირება არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს.

ახლა საჭიროა გაირკვეს, თუ რა შინაარსი აქვს, უფრო კონკრეტულად, მატერიალური სუბსტანციის ცნებას, რას გულისხმობს იგი, რა მიეკუთვნება მატერიას და რა არა.

ყველაფერი, რაც არსებობს როგორც ბუნებასა და საზოგადოებაში, ისე ჩვენს შინაგან სულიერ სამყაროში, რეალობა ანუ სინამდვილეა. ამ გაგებით, სინამდვილეა არა მხოლოდ მთები, ზღვები, პლანეტები, სახელმწიფო, სოციალური კლასები, პოლიტიკური პარტიები და ა. შ. არამედ აგრეთვე ჩვენი განცდებიც, აზრებიცა და, საერთოდ, ფსიქიკური სამყარო. მაგრამ სინამდვილე, რომელიც ყოველგვარ არსებულს მოიცავს, პირობითად ორ ნაწილად შეიძლება გავყოთ: სუბიექტური სინამდვილე ანუ

---

[1] ვ. ი. ლენინი, ტ. 14, გვ. 332.

[2] იქვე, გვ. 329-330.

---

[1] К. Маркс, Ф. Энгельс, Соч. т. III, изд. II, М., 1955, стр. 25.

[2] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, თბილისი, 1954, გვ. 280.

[3] ვ. ი. ლენინი, ტ. 14, გვ.176.

ჩვენი შინაგანი სამყარო, რომელშიც შედის ყველაფერი, რაც ჩვენს სულიერ ცხოვრებას — ცნობიერებისა და ფსიქიკის შინაარსს — შეადგენს და ობიექტური სინამდვილე ანუ გარეგანი სამყარო, ე. ი. ყველაფერი, რაც სუბიექტურ სინამდვილეს არ მიეკუთვნება. პირველი იდეალური სინამდვილეა, ხოლო მეორე — მატერიალური. ამრიგად, იდეალური და რეალური კი არ უპირისპირდება ერთმანეთს, არამედ იდეალური და მატერიალური (ცხადია, ასეთ დაპირისპირებას მარტოოდენ გნოსეოლოგიური მნიშვნელობა აქვს). იდეალურია ყველაფერი, რაც ჩვენს შინაგან სამყაროს მიეკუთვნება, ხოლო ყველა დანარჩენი მატერიალურ სინამდვილეს შეადგენს. ეს ნიშნავს, რომ ყველაფერი, რაც არსებობს, ან მატერიალურია და ან იდეალური; ამასთანავე მატერიალურია ყველაფერი, რაც იდეალური არ არის და, პირიქით, იდეალურია ყველაფერი, რაც მატერიალური არ არის. არამატერიალური და იდეალური, ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, არაიდეალური და მატერიალური სინონიმური ცნებებია. მატერიალურისა და იდეალურის ამ (გნოსეოლოგიურ) დაპირისპირებას, რაც არსებითად მატერიისა და ცნობიერების დაპირისპირებას გამოხატავს, ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს მატერიის ბუნების გასაგებად, ვინაიდან, ამ გაგების მიხედვით, მატერიას მიეკუთვნება ყველაფერი, რაც ცნობიერების (ფართო გაგებით) გარეთ იმყოფება ანუ, ზოგადად რომ ვთქვათ, მატერია არის გარეგანი სამყარო.

ახლა საჭიროა ვაჩვენოთ, თუ რა არის მატერიის, მატერიალური სუბსტანციის ატრიბუტი, მისი უძირითადესი, უარსებითესი ნიშანი, ე. ი. ის ნიშანი, რომელიც ყველა მატერიალურზე გამოითქმის, ყველა მატერიალურს აერთიანებს მატერიის ცნებით. ეს ნიშანი — ატრიბუტი — იქნება სწორედ მატერიის არსების, მისი სპეციფიკის გამოთქმა, ვინაიდან, როგორც ჯერ კიდევ სპინოზა მიუთითებდა, ატრიბუტი სუბსტანციის ბუნების, მისი არსების გამოხატულებაა, რომლის მიხედვით უნდა მოხდეს სუბსტანციის, კერძოდ, მატერიალური სუბსტანციის ცნების განსაზღვრება.

მატერიალიზმის ისტორიაში ცნობილია მრავალი ცდა მატერიალური სუბსტანციის უარსებითესი ნიშნის, მის ატრიბუტის პოვნისა. მატერიალური სუბსტანციის ატრიბუტის ძიების ცდა, როგორც ქვემოთ ვნახავთ, წარმატებით დაგვირგვინდა მარქსისტულ ფილოსოფიაში; ეს არის მარქსისტული ფილოსოფიის ლენინური ეტაპის ერთ-ერთი უდიდესი მნიშვნელობა.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მრავალი საუკუნის მანძილზე მატერიასა დ ნივთიერებას ერთმანეთთან აიგივებდნენ, ე. ი. მატერიად მხოლოდ და მხოლოდ ის მიაჩნდათ, რაც ნივთობრივია. ამ თვალსაზრისს აქა-იქ ახლაც ჰყავს დამცველები. მაგრამ მატერიისა და ნივთიერების ერთმანეთთან გაიგივება დიდი შეცდომაა. გარეგან სამყაროში — როგორც ბუნებაში, ისე საზოგადოებაში — არსებობს მრავალი რამ, რაც ნივთობრივი არ არის და, მაშასადამე, ნივთიერებას არ მიეკუთვნება. ასეთია, მაგალითად, ძალა, ენერგია, ელექტრომაგნიტური ველი, ტემპერატურა, სოციალური კლასები, სახელმწიფო, ბუნებისა და საზოგადოების კანონები და ა. შ. თუ ნივთიერებასა და მატერიას ერთმანეთთან გავაიგივებთ, ე. ი. თუ უარვყოფთ არანივთობრივი მატერიის არსებობას, მაშინ შეუძლებელი გახდება ზემოაღნიშნული (და სხვა მრავალი) არანივთობრივი სინამდვილის მატერიალურად ჩათვლა. ამავე დროს, როგორც აღვნიშნეთ, ყოველგვარი არსებული ან მატერიალურია და ან იდეალური: მესამე შეუძლებელია. აქედან კი გამომდინარეობს, რომ ზემოაღნიშნული არანივთობრივი სინამდვილის ობიექტების მატერიალურობის უარყოფა მათი იდეალურობის მტკიცებას ნიშნავს, რაც მარტო პრინციპულად მიუღებელი კი არ არის დიალექტიკური მატერიალიზმისათვის (და, საერთოდ, მატერიალიზმისათვის), არამედ საერთოდ უაზრობაა. იდეალური სინამდვილე ხომ ჩვენი შინაგანი სამყაროა, ცნობიერების, ფსიქიკის სფეროა და როგორ შეიძლება იდეალური, მატერიალისტური მსოფლმხედველობის მიხედვით, გარეგან სამყაროში არსებობდეს? გარდა ამისა, თუ, მაგალითად, ბუნების კანონები, რომლებიც ნივთობრივი არ არის, არამატერიალურად, ე. ი. იდეალურად გამოვაცხადეთ, მაშინ მთელი სინამდვილე თავისი არსებით იდეალური იქნება (იდეალური სინამდვილე იქნება ერთადერთი სინამდვილე) და, მაშასადამე, მატერიალიზმი ხელიდან გაგვიქრება. ამრიგად, მატერიისა და ნივთიერების ერთმანეთთან გაიგივება მიუღებელია მეცნიერული მსოფლმხედველობისათვის.

ელექტრომაგნიტური ველის აღმოჩენამ გასულ საუკუნეში მეცნიერულად დაასაბუთა ნივთიერებისა და მატერიის გაიგივების კონცეფციის სიყალბე. ელექტრომაგნიტურ ველს სულ სხვა თვისებები აქვს, ვიდრე ნივთიერებას. სწორედ ამიტომ დაიწყეს ლაპარაკი მატერიის ორ ფორმაზე — ნივთიერებასა და ელექტრომაგნიტურ ველზე. ეს თვალსაზრისი ამჟამად ყველაზე უფრო გავრცელებულ შეხედულებას წარმოადგენს.

მაგრამ მატერიის ორი ფორმის კონცეფცია არსებითად ისევე ნაკლოვანია, როგორც მატერიის და ნივთიერების ერთმანეთთან გაიგივების თვალსაზრისი. მატერია არ დაიყვანება ნივთიერებასა და ელექტრომაგნიტურ ველზე, ე. ი. შეუძლებელია ლაპარაკი მატერიის **მხოლოდ** ორ ფორმაზე — ნივთიერებასა და ელექტრომაგნიტურ ველზე — წინააღმდეგ შე-

მთხვევაში არამატერიალურად, ე. ი. იდეალურად უნდა გამოვაცხადოთ ყველაფერი, რაც ნივთიერებას ან ელექტრომაგნიტურ ველს არ მიეკუთვნება. თუნდაც არაფერი ვთქვათ მთელ რიგ ბუნებრივ მოვლენებზე (მაგალითად, ძალა, სიჩქარე, აჩქარება, ტემპერატურა, სივრცითი მიმართებანი, ბუნების კანონები და ა. შ.), რომელთაც არც ნივთიერების და არც ელექტრომაგნიტური ველის თვისებები არ მიეწერება, მატერიის ორი ფორმის კონცეფციის უსაფუძვლობა ცხადი ხდება საზოგადოებრივი მოვლენების ანალიზის პროცესშიც. წარმოების წესი, წარმოებითი ურთიერთობანი, ისტორიული კანონზომიერება, იურიდიული და მორალური კანონები და ა. შ. არც ნივთიერებაა და არც ელექტრომაგნიტური ველი და, მაშასადამე, მათ არა აქვთ მატერიის ამ ორი ფორმისათვის დამახასიათებელი ნიშნები. მათ არც მასა აქვთ, არც განფენილობა, არც სივრცითი განზომილებანი, არ აღიწერებიან მაქსველის განტოლებებით და ა. შ. მაგრამ ისინი მატერიალური ობიექტების რიცხვს მიეკუთვნებიან და არა იდეალურს (მესამე შეუძლებელია). ამრიგად, მატერიის დაყვანა ნივთიერებასა და ელექტრომაგნიტურ ველზე შეცდომაა; იგი ავიწროებს მატერიის ცნების შინაარსს და გაუგებარს ხდის მთელი რიგი ისეთი მატერიალური ობიექტების არსებობას, რომლებიც მატერიის ამ ორ ფორმას არ მიეკუთვნება. მატერიის ცნებამ უნდა მოიცვას ყოველგვარი მატერიალური; ამიტომ შეუძლებელია, რომ მატერიას ისეთი ნიშანი მივაწეროთ, რაც ყველა მატერიალურს არ მოიცავს. რეალურად და ლოგიკურად მცდარი იქნება მატერიის ცნების ისეთი განსაზღვრება, რომლის გარეშეც რაიმე მატერიალური დარჩება. ასეთი შეცდომაა დაშვებული მატერიის ორი ფორმის კონცეფციაში, რაც არსებითად (ლოგიკური შინაარსით) მატერიისა და ნივთიერების იგივეობის კონცეფციის შეცდომის განმეორებას წარმოადგენს. სინამდვილეში არსებობს მატერიის *არა მხოლოდ ორი ფორმა* — ნივთიერება და ელექტრომაგნიტური ველი, — *არამედ მრავალგვარი ფორმა*.

შეიძლება თქვან, რომ მართალია, მთელი გარეგანი სინამდვილე ნივთიერებასა და ელექტრომაგნიტურ ველზე არ დაიყვანება, მაგრამ მათთან აუცილებელ კავშირშია და ამის საფუძველზე თითქოს შეიძლება ვილაპარაკოთ მატერიის მარტოოდენ ორ ფორმაზე — ნივთიერებასა და ელექტრომაგნიტურ ველზეო. ეს მოსაზრება უსაფუძვლოა; კავშირში ყოფნა იმავე ბუნებისად ყოფნას არ ნიშნავს. თვითონ ნივთიერებისა და ელექტრომაგნიტური ველის კანონები, ცხადია, კავშირშია იმასთან, რის კანონებსაც ისინი წარმოადგენენ, მაგრამ ისინი ერთი და იგივე ბუნებისა როდია; ნივთიერების კანონები არ არის ნივთიერი, მიზიდულების კანონი არაფერს არ იზიდავს, ისევე როგორც ელექტრომაგნიტური ველის კანონები ველს არ ქმნის. ამრიგად, მატერია არ დაიყვანება არც მხოლოდ ნივთიერებაზე და არც ნივთიერებასა და ელექტრომაგნიტურ ველზე. სწორედ ამიტომ ამ ნიშნების მიხედვით მატერიის ცნების განსაზღვრა შეუძლებელია.

მატერიის ატრიბუტად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თვლიდნენ განფენილობას. კიდევ მეტიც, დეკარტი მატერიასა და განფენილობას ერთმანეთთან აიგივებდა. ამ თვალსაზრისს საფუძვლად ედო ნივთიერებისა და მატერიის იგივეობის მცდარი კანცეფცია. თუ მატერია და ნივთიერება ერთი და იგივეა (ე. ი. თუ მატერია არის სხეული), მაშინ, ცხადია, განფენილობა მისი ატრიბუტი იქნება, ვინაიდან გაუნფენელი ნივთიერების (სხეულის) ცნება უაზრობას წარმოდგენს; სხეული განფენილია ანუ ნივთიერება განფენილია. მაგრამ ეს თვალსაზრისიც ზემოაღნიშნული მოსაზრებების გამო შეცდომად უნდა ჩაითვალოს; გარეგან სამყაროში (ბუნებასა და საზოგადოებაში) არსებობს ბევრი რამ, რაც არ არის განფენილი, მაგრამ მატერიალურია (ძალა, სიჩქარე, აჩქარება, სხეულთა თვისებები, ბუნებისა და საზოგადოების კანონები და ა. შ.). ამრიგად, განფენილობა არ შეიძლება მატერიის ატრიბუტად მივიჩნიოთ. იგი ნივთიერების ატრიბუტია, მისი განუყრელი ნიშანია, მაგრამ მატერია ნივთიერებაზე არ დაიყვანება.

მატერიის ატრიბუტი არც სივრცესა და დროში არსებობაა. თუ არსებობს ისეთი მატერიალური, რომელიც განფენილი არ არის, მაშინ, ცხადია, მის სივრცეში არსებობაზე ლაპარაკი შეუძლებელია. ნივთიერება და ელექტრომაგნიტური ველი, ცხადია, სივრცესა და დროში არსებობს, მაგრამ ძალა, ენერგია, ბუნებისა და საზოგადოების კანონები, წარმოებითი ურთიერთობანი და ა. შ. არც განფენილია და, მაშასადამე, არც სივრცეში არსებობს. როდესაც ვამბობთ, რომ სივრცე და დრო (ან, უფრო ზუსტად, სივრცე-დრო) არის მატერიის არსებობის ძირითადი ფორმა, მაშინ მატერიის ქვეშ მხოლოდ ნივთიერებასა და ელექტრომაგნიტურ ველს ვგულისხმობთ. მაგრამ მატერია, როგორც უკვე ვთქვით, ამ ორ ფორმაზე არ დაიყვანება.

სივრცე და დრო რომ საერთოდ მატერიალურის სპეციფიკას, მის არსებას არ გამოხატავს იქიდანაც ჩანს, რომ დროში ზოგიერთი არამატერიალურიც, ე. ი. იდეალურიც არსებობს, ასეთია, მაგალითად, ფსიქიკური მოვლენები. ზოგიერთი მკვლევარი სწორედ ამ ნიშნის მიხედვით ფსიქიკურს რეალურის სფეროს მიაკუთვნებს და მისგან განასხვავებს ლო-

ვიკურს, რომელიც დროის გარეშეა და, მისი აზრით, იდეალურია. ამ თვალსაზრისის ანალიზისათვის აქ ადგილი არ არის; ჩვენ მხოლოდ იმის ხაზგასმა გვინდა, რომ სივრცესა და დროში არსებობა მატერიალურის სპეციფიკას, მის არსებას არ გამოხატავს.

ეს რასაკვირველია, არამც და არამც ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ნივთობრივ მატერიას შეეძლოს სივრცისა და დროის გარეშე არსებობა. ამის მტკიცება გაუგონარი აბსურდი იქნებოდა; ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვსურს, რომ მატერიალურია არა მხოლოდ ნივთიერება და ელექტრომაგნიტური ველი, არამედ აგრეთვე მთელი რიგი სხვა მოვლენებისა, რომელთაც სივრცისა და დროის ნიშანი არ მიეწერება. ხოლო მატერიის ცნების განსაზღვრებამ მატერიის მარტოოდენ ესა თუ ის სახე (თუნდაც ძირითადი) კი არ უნდა მოიცვას, არამედ ყოველგვარი მატერიალურის ბუნება უნდა გამოხატოს, ყოველგვარი მატერიალურის უზოგადესი ნიშანი უნდა აჩვენოს; ასეთად კი სივრცესა და დროში არსებობა არ გამოდგება.

იგივე შეიძლება ითქვას მასაზე, რომელსაც ხშირად მატერიის ატრიბუტად თვლიდნენ. მასა, თანამედროვე გაგების მიხედვით, მატერიის ინერციული და გრავიტაციული თვისებების ზომაა, მაგრამ იქ, სადაც ასეთი თვისებები არ არის, მასაზე ლაპარაკი შეუძლებელია. ერთი სიტყვით, მასა ყველა მატერიალურს არ ახასიათებს; სწორედ ამიტომ მისი ჩათვლა საერთოდ მატერიალური სუბსტანციის ატრიბუტად შეუძლებელია.

მით უფრო არ შეიძლება მატერიის ატრიბუტად აზროვნებისა და ცნობიერების გამოცხადება; ცნობიერება, მარქსისტული ფილოსოფიის მიხედვით, მატერიის თანდაყოლილი თვისება კი არ არის, არამედ იგი მატერიის განვითარების გარკვეულ საფეხურზე წარმოიშვა. ეს ნიშნავს, რომ მატერია არსებობდა ცნობიერების წარმოშობამდეც ანუ მას შეუძლია არსებობა ცნობიერების გარეშე და მისგან დამოუკიდებლად. სწორედ ამიტომ მისი მატერიის ატრიბუტად ჩათვლა შეუძლებელია. ცნობიერება ატრიბუტი კი არ არის, მატერიის შეძენილი თვისებაა. ამდენად სპინოზას შეცდომა მოსდიოდა აზროვნებას სუბსტანციის ატრიბუტად რომ აცხადებდა.

სხვაზე მეტად მატერიის ატრიბუტად არსებობის უფლება აქვს მოძრაობას, ვინაიდან იგი ისევე მარადიულია, როგორც თვითონ მატერია; მოძრაობა მატერიის არსებობის წესია; ეს ნიშნავს, რომ მატერიას არსებობა შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ მოძრაობის მდგომარეობაში; აბსოლუტურად უძრავი მატერია არ არსებობს. ამ გაგებით მოძრაობა მართლაც წარმოადგენს მატერიის ატრიბუტს. „მოძრაობა — წერს ფ. ენგელსი — სრულიად ზოგადი აზრით გაგებული როგორც მატერიის არსებობის ფორმა, როგორც მატერიის შინაგანად დამახასიათებელი ატრიბუტი, მოიცავს სამყაროში მიმდინარე ყველა ცვლილებასა და პროცესს, უბრალო ადგილგადანაცვლებიდან დაწყებული აზროვნებამდე“.[1] ამდენად XVIII საუკუნის ფრანგ მატერიალისტებს გარკვეული საფუძველი ჰქონდათ, როდესაც მოძრაობას მატერიის ატრიბუტად თვლიდნენ.

მაგრამ თუ ატრიბუტის ცნებას მისი საკუთარი (ვიწრო) მნიშვნელობით ავიღებთ, მაშინ ვნახავთ, რომ მატერიის ატრიბუტად არც მოძრაობის ჩათვლა შეიძლება. ატრიბუტი ხომ მატერიის არსების, მისი სპეციფიკის გამომხატველია? ამიტომ მის გარეშე მატერიას არავითარი ფორმით არ უნდა შეეძლოს არსებობა. მაგრამ მოძრაობა ასეთი არ არის. მართალია, აბსოლუტური უძრაობა არ არსებობს (მოძრაობა და უძრაობა ყოველთვის რელატიურია), მაგრამ გარკვეულ მიმართებაში სხეულის უძრაობაზე ლაპარაკი არა თუ შეიძლება, არამედ აუცილებელიც არის. გარდა ამისა, მოძრაობა (ცვალებადობა საერთოდ) მატერიის სპეციფიკას არ გამოხატავს; მარტო ის კი არ მოძრაობს (იცვლება), რაც გარეგან სამყაროში იმყოფება, არამედ ცნობიერებისა და ფსიქიკის მოვლენებიც. ეს ნიშნავს, რომ მოძრაობის (ცვალებადობის) მიხედვით მატერიალურსა და არამატერიალურს (იდეალურს) ერთმანეთისაგან ვერ განვასხვავებთ. ზემოთქმულიდან კი ის გამომდინარეობს, რომ მოძრაობა არ არის მატერიის ატრიბუტი; ეს უკანასკნელი რაღაც სხვაში უნდა ვეძიოთ.

ამრიგად, მატერიალური სუბსტანციის ატრიბუტი არ აღმოჩნდა არც განფენილობა, არც სივრცესა და დროში არსებობა, არც მასა და ა.შ. მაშ, რა არის მატერიის ატრიბუტი, რომელიც თან ახლავს ყოველგვარ მატერიალურს მის ყოველ მდგომარეობაში? თუ ასეთი რამ ვერ მოიძებნა, მაშინ მატერიალურ სუბსტანციაზე ლაპარაკი შეუძლებელია და ეს სწორედ ის იქნება, რასაც თანამედროვე იდეალისტები „მატერიის დესუბსტანციალიზაციას“ უწოდებენ და რაც, არსებითაც, მატერიალისტური მსოფლმხედველობის უფლებამოსილების უარყოფას ნიშნავს.

ამ სიძნელიდან გამოსავალს გვიჩვენებს ვ. ი. ლენინის მიერ მატერიის კატეგორიის განსაზღვრება, რომელშიც დასახელებულია მატერიის ატრიბუტი, მისი უარსებითესი ნიშანი, ე. ი. ის, რაც ყოველგვარ მატერიალურს მიეწერება და მის არსებას გამოხატავს. ვ. ი. ლენინი წერს: „მატერია არის ფილოსოფიური კატეგორია იმ ობიექტური რეალობის აღსანიშნავად, რომელიც ადამიანს მოცემული აქვს

---

[1] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 60.

მის შეგრძნებებში, რომლის ასლს, ფოტოგრაფიას, ანარეკლს ჩვენი შეგრძნებები იძლევა, რომელიც არსებობს მათ დამოუკიდებლად".[1] უფრო ქვემოთ ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, რომ „მატერია არის ობიექტური რეალობა, რომელიც შეგრძნებებში გვეძლევა".[2]

ამ განსაზღვრებაში დასახელებულია ორი ნიშანი: ობიექტურობა და შეგრძნებებში მოცემულობა ანუ შეგრძნებადობა. თუ რას ნიშნავს „შეგრძნებებში მოცემულობა" ამის შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი; ამჟამად კი შევეხებით მატერიის პირველ ნიშანს — ობიექტურობას — რომელსაც ვ. ი. ლენინი აშკარა უპირატესობას ანიჭებს შეგრძნებებში მოცემულობის ნიშანთან შედარებით და მას მატერიის არსებად, მის ყველაზე ფუნდამენტურ ნიშნად თვლის. სწორედ ამიტომ მატერიის ცნებას ვ. ი. ლენინი ძირითადად ობიექტურობის ნიშნის მიხედვით განსაზღვრავს. ეს დასტურდება იმით, რომ ვ. ი. ლენინი არაერთხელ უბრუნდება მატერიის ცნებას და თითქმის ყოველთვის მატერიის ფუნდამენტურ (ზოგჯერ ერთადერთ) ნიშნად ობიექტურობას — ჩვენი ცნობიერების გარეშე არსებობას — ასახელებს. „მატერიის *ერთადერთი* „თვისება" — ხაზგასმით აღნიშნავს ვ. ი. ლენინი, — რომლის აღიარებასთან დაკავშირებულია ფილოსოფიური მატერიალიზმი, არის მისი თვისება *ობიექტურ რეალობად ყოფნისა*, ჩვენი ცნობიერების გარეშე არსებობისა"[3] სხვა ადგილზე ვ. ი. ლენინი ლაპარაკობს „ობიექტური რეალობის, ე. ი. მოძრავი მატერიის" შესახებ[4], რაც არსებითად მატერიისა და ობიექტური რეალობის გაიგივებას ნიშნავს. „მატერიის ცნება — ამბობს ვ. ი. ლენინი — გნოსეოლოგიურად *სხვა არაფერს* ნიშნავს, თუ არა ობიექტურ რეალობას, რომელიც ადამიანის ცნობიერების დამოუკიდებლად არსებობს და რომელსაც ეს ცნობიერება ასახავს".[5] იგივე აზრი გამოთქმულია ყველგან, სადაც ვ. ი. ლენინი მატერიის ცნებას ეხება.

ობიექტური ცნების ქვეშ სხვადასხვა შინაარსი იგულისხმება. არსებობს ისეთი ობიექტური, რომელიც სუბიექტისაგან დამოუკიდებელია, მაგრამ მის გარეშე არ არსებობს. ასეთია ჭეშმარიტება, რომელიც აზრია, იდეალურია, მატერიალური სინამდვილის ასახვაა. ამრიგად, ამ გაგებით ობიექტური შეიძლება იყოს იდეალურიც. მაგრამ არსებობს ისეთი ობიექტური, რომელიც არა მხოლოდ დამოუკიდებელია სუბიექტისაგან, არამედ აგრეთვე მის გარეშეც არსებობს. ასეთი კი მხოლოდ და მხოლოდ მატერიალური შეიძლება იყოს. იდეალურის არსებობა ცნობიერების გარეშე შეუძლებელია, ვინაიდან იგი მატერიალურის ცნობიერი ასახვაა. ასახვა შეიძლება მატერიალურიც იყოს (მაგალითად, ფოტოსურათი და სხვა), მაგრამ იდეალური ცნობიერებაში არსებული ასახვაა ანუ ცნობიერებისეული ასახვაა და, მაშასადამე, იგი ცნობიერების გარეშე არ შეიძლება არსებობდეს. როდესაც ვ. ი. ლენინი მატერიასთან დაკავშირებით ობიექტურობაზე ლაპარაკობს, მხედველობაში აქვს ობიექტურობის სწორედ ეს მეორეგვარი გაგება, ე. ი. ობიექტურობა როგორც ცნობიერების გარეშე არსებობა. ამ აზრით ობიექტურობა მატერიის ატრიბუტად, მის ფუნდამენტურ ნიშნად ცხადდება.

ამრიგად, მოინახა ის ნიშანი, რომელიც ყოველგვარ მატერიალურს აერთიანებს; ეს ნიშანი არ არის არც ნივთობრიობა ან განფენილობა, არც მასა ან მოძრაობა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ობიექტურად — ცნობიერების გარეშე არსებობა. ვ. ი. ლენინი მატერიის ცნების განსაზღვრების პროცესში არ ასახელებს არც ერთ ტრადიციულად ცნობილ ატრიბუტს (განფენილობა, სივრცესა და დროში არსებობა, მასა, მოძრაობა, აზროვნება და სხვ), არამედ, მხოლოდ და მხოლოდ, — ობიექტურობას, როგორც ცნობიერების გარეშე არსებობას, რომელიც, შეგრძნებებში მოცემულობასთან ერთად, მატერიის ცნების განსაზღვრების საშუალებას იძლევა.

ობიექტურობა (ცნობიერების გარეშე არსებობა), როგორც მატერიის ატრიბუტი, იდეალურისა და მატერიალურის ფუნდამენტური განმასხვავებელი ნიშანია. იდეალური, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის მიხედვით, არ შეიძლება ცნობიერების გარეშე არსებობდეს და ამ აზრით იგი ობიექტური იყოს; ობიექტურობა, როგორც ცნობიერების გარეშე არსებობა, მხოლოდ და მხოლოდ მატერიალურის სპეციფიკაა, მისი უარსებითესი ნიშანია, მისი არსია. ყველაფერი, რაც ჩვენი ცნობიერების გარეშე არსებობს, მარქსისტული ფილოსოფიის მიხედვით, მატერიალურია, ხოლო რაც ჩვენს ცნობიერებაშია — იდეალურია. მატერიის ცნების ქვეშ, უწინარეს ყოვლისა, ობიექტურად არსებობა იგულისხმება ,ხოლო მატერიალიზმი, რომელიც მატერიის ცნებიდან ამოდის, ობიექტურობის ცნებას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს. სწორედ ამიტომ ვ. ი. ლენინი ობიექტურ რეალობად ყოფნის თვისებას „ერთადერთ თვისებად" თვლის, „რომლის აღიარებასთან დაკავშირებულია ფილოსოფიური მატერიალიზმი".[1] ამრიგად, ობიექტუ-

1 ვ. ი. ლენინი, ტ. 14, გვ. 155.
2 იქვე, გვ. 176.
3 იქვე, გვ. 330.
4 იქვე, გვ. 215.
5 იქვე, გვ. 330-331.

1 ვ. ი. ლენინი, ტ. 14, გვ. 330.

რობა, როგორც ცნობიერების გარეშე არსებობა, მატერიისა და მატერიალურის ყველაზე ფუნდამენტური ნიშანია, მისი ატრიბუტია.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ მატერიალურია ყველაფერი, რაც ჩვენში ცნობიერების გარეშე, ე. ი. ობიექტურად არსებობს. ამ გაგებით ძალა, სიჩქარე, აჩქარება, წარმოების წესი, ბუნებისა და საზოგადოების კანონები და ა. შ. ისევე ობიექტურია (ე. ი. ცნობიერების გარეშე არსებობს), და, მაშასადამე, მატერიალურია, როგორც, მაგალითად ,მთები, ზღვები, მზე, მთვარე, პლანეტები და ა. შ. ამრიგად, ობიექტურად არსებობა არის ის ნიშანი, რომელიც მატერიის ცნების ქვეშ აერთიანებს ყველაფერს, რაც გარეგან სამყაროში იმყოფება.

მატერიის ცნების ამგვარი გაგება ააშკარავებს იმ იდეალისტური დასკვნების სიყალბეს, რომელთა მიზანია „მატერიის გაქრობის“ დამტკიცება, ე. ი. მატერიის მარადიულობის იდეის უარყოფა. ფიზიკაში ცნობილია რომ პოზიტრონის შეჯახება ელექტრონთან იწვევს ორივე მიკრონაწილაკის გაქრობას და სხივადი ენერგიის (ფოტონების) წარმოშობას. ამ ფაქტს იდეალისტები ხსნიან როგორც მატერიის ანიჰილაციას, მის გაქრობას, რაც თითქოს ბოლოს უღებს მატერიის მარადიულობის კანონს. ზემოხსენებული ფიზიკური ფაქტების საფუძველზე „მატერიის გაქრობის“ მტკიცება მხოლოდ და მხოლოდ იმას შეუძლია, ვინც ნივთიერებას მატერიის ერთადერთ ფორმად თვლის. ნამდვილად კი ელემენტარული ნაწილაკების ურთიერთგარდაქმნადობის თვისებიდან ასეთი დასკვნები არავითარ შემთხვევაში არ გამომდინარეობს. ფოტონები (სინათლის კვანტები) ისევე მატერიალურია, ობიექტურად (ცნობიერების გარეშე) არსებობს, როგორც ელექტრონი და პოზიტრონი. ეს ნიშნავს, რომ მატერიალურობის ნიშნის მიხედვით მათ შორის არავითარი განსხვავება არ არის. სწორედ ამიტომ თუნდაც მართლაც აღმოჩნდეს ნივთიერების გადაქცევა ენერგიად და პირიქით, როგორც ამას თანამედროვე იდეალისტები აინშტაინის მასისა და ენერგიის პროპორციულობის კანონის ($E=mc^2$) საფუძველზე ამტკიცებენ, იგი ოდნავადაც კი არ დაასაბუთებდა „მატერიის გაქრობის“ იდეას, ვინაიდან ენერგია ისევე მატერიალურია, როგორც ნივთიერება; ისინი მატერიის სხვადასხვა ფორმებს წარმოადგენენ.

მატერია გრძნობად-კონკრეტული საგნებისაგან მატერიალურობის ნიშნის აბსტრაქციას წარმოადგენს და ამდენად იგი ზოგადია, კონკრეტული სახით არ არსებობს. „მატერია, როგორც ასეთი, — წერს ფ. ენგელსი, — აზრის წმინდა ქმნილება და აბსტრაქციაა. ჩვენ განვაყენებთ ნივთების თვისებრივ განსხვავებებს, როდესაც ჩვენ მათ, როგორც სხეულებრივად არსებულთ, გავაერთიანებთ მატერიის ცნებაში. მაშასადამე, მატერია, როგორც ასეთი, გარკვეული, არსებული მატერიებისაგან განსხვავებით, არ წარმოადგენს რაღაც გრძნობად არსებულს“.[1] ფ. ენგელსს მოჰყავს ხილის, როგორც ზოგადისა და ვაშლის, მსხლის, კომშის და ა. შ. ურთიერთობის მაგალითი. ხილი ვაშლის, მსხლის, კომშის და სხვა მსგავსი კონკრეტული სხეულებისგან ხილობის ნიშნის აბსტრაქციას წარმოადგენს და, ცხადია, იგი ცალკეული სხეულების გარეშე არ არსებობს. ასევე მატერია არ არსებობს ცალკეული მატერიალური სხეულების გარეშე. „მატერია როგორც ასეთი და მოძრაობა როგორც ასეთი — წერს ფ. ენგელსი სხვა ადგილზე — ჯერ კიდევ არავის არ უნახავს და არავის განუცდია რაღაც სხვა გრძნობადის სახით... ნივთიერება, მატერია სხვა არა არის რა, თუ არა ნივთიერებათა ერთობლიობა, რომლიდანაც აბსტრაჰირებულია ეს ცნება... ისეთი სიტყვები, როგორიცაა „მატერია“ და „მოძრაობა“ სხვა არაფერია, თუ არა შემოკლებანი, რომლითაც ჩვენ მოვიცავთ სხვადასხვა გრძნობად აღქმად უამრავ ნივთებს მათი საერთო თვისებების შესაბამისად. მატერია და მოძრაობა სხვანაირად არ შეიძლება შემეცნებულ იქნას, თუ არა ცალკეულ ნივთიერებათა და მოძრაობის ფორმათა გამოკვლევის გზით და რამდენადაც ჩვენ ამ უკანასკნელთ შევიმეცნებთ, ამდენადვე შევიმეცნებთ აგრეთვე მატერიასაც და მოძრაობასაც როგორც ასეთებს“.[2]

სწორედ ამიტომ პოზიტივისტები და ყველა ტიპის სუბიექტური იდეალისტები (მაგ., ბერკლი) ღრმა შეცდომას უშვებენ, როდესაც მატერიას იმის გამო უარყოფენ, რომ იგი შეგრძნებებში არ გვეძლევა, გრძნობად-კონკრეტული სახით არ არსებობს. კონკრეტულ ფორმაში მატერიის არსებობას არავინ არ ამტკიცებს .მატერია, როგორც აბსტრაქცია, კი არ შეიძლება გრძნობადი იყოს.

მაგრამ მატერია, მიუხედავად ზოგადობისა, მაინც გრძნობადია, რაღაცდაგვარად (თუმცა არა უშუალოდ) შეგრძნებებში გვეძლევა. „მატერია — ამბობს ვ. ი. ლენინი — არის ობიექტური რეალობა, რომელიც შეგრძნებებში გვეძლევა“.[3] შეგრძნებებში მოცემულობა მატერიის ცნების აუცილებელი ნიშანია, ვინაიდან მის გარეშე მატერიის შემეცნებადობაზე ლაპარაკი შეუძლებელი იქნებოდა. ვ. ი. ლენინი მატერიის ცნების ამ ნიშანს ხაზს უსვამს სწორედ აგნოსტიციზმის წინააღმდეგ .მატერია შე-

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 454.
[2] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ 246.
[3] ვ. ი. ლენინი, ტ. 14, გვ. 176.

შეცნებადია — მისაწვდომი ჩვენი ცნობიერებისათვის. მაგრამ ეს, ცხადია, სრულიადაც არ უარყოფს მატერიის ზოგადობას, რომლის შესახებ ფ. ენგელსი მიუთითებს, და არავითარ შემთხვევაში არ ამტკიცებს მის გრძნობად-კონკრეტულ არსებობას. როდესაც ვ. ი. ლენინი მატერიის შეგრძნებებში მოცემულობის შესახებ ლაპარაკობს, ამ შემთხვევაში მას მხედველობაში აქვს კონკრეტული მატერიალური საგნებისა და მოვლენების გრძნობადობა და არა „მატერია როგორც ასეთი“, ე. ი. მატერია როგორც აბსტრაქცია, რომელიც, ცხადია, არ შეიძლება უშუალოდ გრძნობადი იყოს. მატერია, მატერიალური საგნებისა და მოვლენების სახით, გრძნობადია, შეგრძნებებში გვეძლევა, მის ასლს, სურათს, ანარეკლს ჩვენი შეგრძნებები იძლევა.

მართალია, ყველაფერი ის, რაც ობიექტურად არსებობს და, მაშასადამე, მატერიალურობის ნიშანი მიეწერება (მაგალითად, ბუნებისა და საზოგადოების კანონები, წარმოების წესი, წარმოებითი ურთიერთობანი და სხვა), უშუალოდ შეგრძნებების სახით არ გვეძლევა, მაგრამ ამის საფუძველზე შეუძლებელია ვამტკიცოთ, რომ თითქოს ისინი პრინციპულად ზეგრძნობადია, მიუწვდომელია გრძნობადი დაკვირვებისათვის. უშუალოდ შეგრძნებებში მხოლოდ და მხოლოდ მოვლენები გვეძლევა და არა მათ საფუძვლად მდებარე კანონებიც. კანონის შემეცნება ზოგადის შემეცნებაა, რომელიც აბსტრაქტული აზროვნების საფუძველზე ხორციელდება, აზროვნება კი „ცოცხალი განჭვრეტის“, ე. ი. გრძნობადი შემეცნების ბაზაზე „მუშაობს“. ვ. ი. ლენინი შემეცნების გზას ახასიათებს, როგორც გზას „ცოცხალი განჭვრეტიდან აბსტრაქტულ აზროვნებაზე და მისგან პრაქტიკაზე“.[1] აზროვნებას არა აქვს აპრიორული პრინციპები, არამედ მთელი მისი შინაარსი ემპირიული წარმოშობისაა. რეალური ზოგადის (მაგ., ბუნების კანონების) შემეცნება აზროვნების საშუალებით სრულდება შეგრძნებებში მოცემული მასალის ლოგიკური გადამუშავების საფუძველზე და ამდენად მთელ ჩვენს ცოდნას ემპირიული წარმოშობა აქვს. შეგრძნებების სახით გვეძლევა არა კანონები (ან საერთოდ ზოგადი), არამედ მხოლოდ და მხოლოდ მოვლენები, რომლებიც გრძნობად-კონკრეტულობით ხასიათდება; მაგრამ კანონის შემეცნება შეგრძნებებში მოცემული მასალის საფუძველზე ხორციელდება და ამდენად კანონიც (ცხადია, გაშუალებით) დაკვირვებადია, შეგრძნობადია. მაშასადამე, შეგრძნებებში მოცემულობა პრინციპულად ყოველგვარი მატერიალურის ძირითადი ნიშანია.

ამრიგად, მატერიის ცნების ლენინურ განსაზღვრებას მატერიალისტური მსოფლმხედველობისათვის ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს.

---

[1] ვ. ი. ლენინი, ტ. 38, გვ. 167.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალ. ირემაშვილი

# ვ. ი. ლენინის მუშაობა წიგნზე

ვ. ი. ლენინმა გიმნაზიის წლებშივე შეიცნო, რომ წიგნში კაცობრიობის მთელი ცოდნაა ჩაქსოვილი. მის მდიდარ იდეურ საგანძურში ინახება მრავალი საინტერესო დოკუმენტი, რომლებიც დაკავშირებულია წიგნთან. ვლადიმერ ილიას ძე ამბობდა, წიგნი უზარმაზარი ძალააო და ეს ჭეშმარიტება ნათლად ჩანს მისი სტატიებიდან, წერილებიდან, რეცენზიებიდან, მიმოხილვებიდან, ჩანაწერებიდან და სხვ.

ვ. ი. ლენინს წიგნის კითხვა ბავშვობიდანვე შეუყვარდა. ამ საქმეში დიდი როლი მიუძღვის მის მამას, ცნობილ პედაგოგს ილია ნიკოლოზის ძე ულიანოვს, რომლის პირად ბიბლიოთეკაში იყო პუშკინის, პლეშჩეევის, იაზიკოვის, ნეკრასოვის ნაწარმოებები. როგორც ვლადიმერ ილიას ძე წერდა შემდგომში, იგი აღიზარდა ნეკრასოვის პოეზიაზე, რომლის სამოქალაქო მოტივები ახლოს იდგა ილია ნიკოლოზის .ძის იდეურ შეხედულებებთან. ხშირად ილია ნიკოლოზის .ძე წაკითხულიდან შეარჩევდა საინტერესო ადგილებს, ხაზს გაუსვამდა და შვილებს ურჩევდა მათს წაკითხვას. ულიანოვების ოჯახში, გარდა რუსი მწერლებისა — კუროჩკინის, მინაევის, პალმინის, კურლევისა და სხვათა, კითხულობდნენ გოეთეს, შილერს, ჰაინეს, ჰიუგოს და სხვებს. საშუალო და უფროს კლასებში ვლადიმერ ილიას ძე კითხულობდა ჟურნალებს — „ოტეჩესტვენიე ზაპისკი“, „დელო“, „რუსკოე სლოვო“, „სოვრემენიკ“ და სხვ. ულიანოვების ოჯახში ბავშვების მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში ძირითადი ადგილი ეკავა რუს სოციალ-დემოკრატების — ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის, პისარევის ნაშრომებს. ცნობილია, რომ ლენინმა მეფის ცენზურის მიერ აკრძალული ჩერნიშევსკის რომანი „რა ვაკეთოთ“ 15-16 წლის ასაკში წაიკითხა. იგი საათობით იჯდა ხოლმე მამის ბიბლიოთეკაში და დიდი გატაცებით კითხულობდა წიგნებს.

ვლადიმერ ილიას ძე წიგნზე განსაკუთრებით ინტენსიურად მუშაობდა გიმნაზიის შემდგომ პერიოდში, რაც შერწყმული იყო მის გაცხოველებულ რევოლუციურ მოღვაწეობასთან. ამ მხრივ საინტერესოა ის მონაცემები. რომლებიც გვიჩვენებს მისი წიგნზე მუშაობის მასშტაბებს. ცნობილი კლასიკური ნაშრომის — „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“ — შესაქმნელად ვ. ი. ლენინმა შეისწავლა 600-მდე სხვადასხვა წყარო რუსულ, გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ, იტალიურ, პოლონურ, ძველბერძნულ, ლათინურ ენებზე. ფუძემდებლურ ნაშრომში — „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ — ვლადიმერ ილიას ძემ დაიმოწმა 28 რუსული და 119 უცხოური წყარო. ამ ნაშრომისათვის ამონაწერი გააკეთა 148 წიგნიდან, რომელთაგან 106 გერმანული იყო, 23 — ფრანგული, 17 — ინგლისური, 2 — რუსული და 223 სტატიიდან, რომლებიც დაბეჭდილი იყო 49 პერიოდულ გამოცემაში გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ ენებზე. მთლიანად ამონაწერებმა შეადგინა 45 თაბახი, თვით წიგნმა კი — მხოლოდ 6 თაბახი.

დიდი ბელადის თხზულებათა სრულ გამოცემაში (მე-5 გამოცემა) მის მიერ წაკითხული შრომების მარტო ჩამოთვლას მრავალი გვერდი უჭირავს.

ვ. ი. ლენინის მიერ წაკითხული წიგნების მცირედი ჩამოთვლაც კი ნათელს გახდის მის ინტერესთა ფრიად და ფრიად მრავალმხრიობას. მას წაკითხული აქვს წიგნები: რუსეთის ბუნებრივი საწარმოო ძალების შესახებ მრავალტომიანი გამოცემა, რომლის მე-4 ტომი ეხება სასარგებლო ნამარხებს. აშშ-ს 1861-65 წლების სამოქალაქო ომის დროს ფინანსების შესახებ, ელექტროქიმიის საფუძვლების შე-

სახებ, XIX საუკუნის 40-იან წლებში საზოგადოებრივი იდეების შესახებ, მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის შემოქმედებაში 1861 წლის საგლეხო რეფორმის ასახვა, მონოგრაფია საფრანგეთის რევოლუციის სიმღერებისა და ზეიმების შესახებ, ჰელვეციუსის, ფურიეს, ლაფარგისა და სხვათა შრომები. ბელადის ბიბლიოთეკაში, კრემლში დაცულია 8400-მდე ერთეული, სადაც არის კარლ კაუცკის, როზა ლუქსემბურგის, კარლ ლიბკნეხტის, კლარა ცეტკინის, ნექსეს, შოუს, გოლზუორთის, სინკლერის, უელსისა და სხვათა ნაწარმოებები.

ვლადიმერ ილიას ძე განსაკუთრებული ინტერესით კითხულობდა ისეთ წიგნებს, რომლებშიც გაშუქებული იყო ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია. მათ შორის უნდა დავასახელოთ: „ბოლშევიკები ხელისუფლების სათავეში", ვოლინის „ოქტომბრის დეკრეტები", კარპინსკის „ბრძოლის სამი წელი", „დიდი ოქტომბრის მესამე წლისთავი" და სხვა. ასეთივე ინტერესით კითხულობდა რუსი მეცნიერების შრომებს, განსაკუთრებით იმ მეცნიერებისას, ვინც რევოლუციის მხარეს დადგა: ვერნადსკის, ტიმირიაზევის, ბერგის, ფერსმანის, სკრიაბინისა და სხვათა წიგნებს. ვლადიმერ ილიას ძეს გულისყური არ მოუკლია ჩასახვის პროცესში მყოფი საბჭოთა ლიტერატურისათვის, მისი გამოჩენილი მწერლებისადმი — მაქსიმ გორკისადმი, დემიან ბედნისადმი და სხვ. მაქსიმ გორკისთან ერთ-ერთი საუბრის შემდეგ ვ. ი. ლენინი ბიბლიოთეკარს სწერს: „გთხოვთ მიშოვოთ (კომპლექტი) „მუშათა მხარე" ივანოვო-ვოზნესენსკში. (ნამდვილი პროლეტარული პოეტების წრე). გორკი აქებს: „ქილინი, არტამონოვი, სემინოვსკი".

სისტემატური კითხვა ვ. ი. ლენინისათვის აუცილებელი იყო როგორც იმის საშუალება, რომ უფრო კარგად გასცნობოდა მუშებისა და გლეხების ცხოვრებას, ჰქონოდა ის გრანდიოზული ცოდნა, რომლითაც შეიარაღებული იყო. კარგად აღნიშნა ნ. კ. კრუპსკაიამ რომ „ამის გარეშე მისგან არ იქნებოდა ის ლენინი, რომელსაც ჩვენ ყველა ვიცნობთ".

მჩქეფარე რევოლუციური მოღვაწეობა, გრანდიოზული მასშტაბების სამუშაო ვლადიმერ ილიას ძეს მცირე დროს უტოვებდა წიგნის წასაკითხავად. ამიტომ საჭირო იყო, რომ, რაც შეიძლება რაციონალურად გამოეყენებინა ლიტერატურის გასაცნობად შემონახული თვითეული საათი. ამ საქმეში მისთვის, დამახასიათებელ დიდ შრომისუნარიანობასთან ერთად აღსანიშნავია დახვეწილი, განსაკუთრებული უნარი და ჩვევები წიგნის კითხვისა. იგი წინასწარ ადგენდა კითხვის გეგმას, აზუსტებდა წასაკითხავი ლიტერატურის სიას, რისთვისაც სარგებლობდა სხვადასხვა სახის ბიბლიოგრაფიული ცნობებით, მაჩვენებლებით, საბიბლიოთეკო და წიგნის მაღაზიების კატალოგებით. მის მიერ გადათვალიერებულ 1917-1918 წლების წიგნის მატიანეებს არეებზე გაკეთებული აქვს შენიშვნები, თუ რომელი წიგნებია მისთვის საინტერესო. როგორც ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩი აღნიშნავს, მათში ბევრი იყო ბელადისათვის საინტერესო წიგნი, მაგრამ შეარჩიეს მხოლოდ გადაუდებლად აუცილებელი წიგნები.

გიმნაზიაში მიღებულ კითხვის ჩვევებს ვლადიმერ ილიას ძე შემდგომში უფრო ხვეწდა. კითხვის დაწყების წინ იგი წინასწარ შეათვალიერებდა წიგნს იმისათვის, რომ გაეგო — ღირდა თუ არა მისი წაკითხვა დროის შეზღუდულობის გამო. ამაში დიდად ეხმარებოდა ბავშვობაშივე გამომუშავებული ჩვევა წიგნის სწრაფად გაცნობისა, უნარი იმისა, რომ უამრავიდან შეერჩია უფრო საჭირო. როგორც გ. მ. კრჟიჟანოვსკი წერს, „ლენინს გააჩნდა რაღაც საოცარი თვისება, წარმოუდგენელი სისწრაფით გასცნობოდა წიგნს ზერელე გადათვალიერების დროსაც კი". ეს იმაზე მეტყველებს, რომ ვ. ი. ლენინს არ გამორჩებოდა წიგნში მოცემული ძირითადი აზრები და დებულებები. ძველი ბოლშევიკი პ. ნ. ლეპეშინსკი თავის მოგონებაში წერს, რომ „წიგნის კითხვისას მისი მხედველობითი და გონებრივი აპარატი ისეთი სისწრაფით მუშაობდა, რომ უცხოს სასწაულად ეჩვენებოდა. კითხვისას მისი ამთვისებლობა ჭეშმარიტად ფენომენალური იყო". ცნობილია შემთხვევები, რომ სხდომის დროს ორატორი დაინახავდა ლენინს კითხვაში გართულს და შეჩერდებოდა. მაშინ ლენინი თავს ასწევდა და აღნიშნავდა განაგრძო. და რომ ორატორს ეჭვი არ შეჰპაროდა მის ყურადღებაში, გაუმეორებდა ბოლოს ნათქვამ სიტყვებს.

საინტერესო მოგონება აქვს ო. ბ. ლეპეშინსკაიას. ციმბირში ერთ-ერთი გადასახლებისას ვ. ი. ლენინსა და მას კრასნოიარსკიდან მინუსინსკამდე ერთი გემით მოუხდათ ენისეის გადაცურვა. ორივემ აიღო წიგნები და შეუდგა კითხვას, მაგრამ ლეპეშინსკაია ხედავს, რომ ვიდრე ის 5-6 ხაზს წაიკითხავს, ვლადიმერ ილიას ძე უკვე ახალ ფურცელს შლის. მან შეხედა წიგნს, რომელიც უცხოური აღმოჩნდა, და ჰკითხა: „ვლადიმერ ილიჩ, რას აკეთებთ?" ლენინს გაუკვირდა: „როგორ თუ რას? ვკითხულობ!" გაკვირვებული ლეპეშინსკაია არ მოეშვა — მერე და, ასე კითხულობენ? თქვენ სულ კითხულობთ წიგნს თუ ათვალიერებთ?", ლენინმა უპასუხა, რა თქმა უნდა, სულ და ძალიან ყურადღებითაცო. ლეპეშინსკაია უფრო გაოცდა: „შეიძლება ასე სწრაფად კითხვა?" ვლადიმერ ილიას ძემ გაიღიმა: „აი თურმე რა ყოფილა. თქვენ მართალი ხართ. მე ძალიან სწრაფად ვკითხულობ, ასეა საჭირო, მე ჩემი

თავი მივაჩვიე ამას. ჩემთვის აუცილებელია ძალიან ბევრი ვიკითხო. ამიტომ ნელა კითხვა არ შეიძლება ჩემთვის".

ვ. ი. ლენინისათვის კითხვა თვითმიზანი არასოდეს ყოფილა. იგი გამიზნული იყო პრაქტიკული ამოცანებისათვის. მან მშვენივრად იცოდა წაკითხულიდან რა და როგორ აეღო, რომელ პერიოდში და რა ამოცანებთან დაკავშირებით.

კითხულობდა რა ყოველთვის კრიტიკული მიდგომით, საკითხისადმი თავის დამოკიდებულებას ვ. ი. ლენინი გამოხატავდა სიტყვებით: „მეტად მნიშვნელოვანია", „მახვილგონივრულია", „შესანიშნავია" და სხვ.

როდესაც ნაშრომში — „სახელმწიფო და რევოლუცია" — მან ენგელსის ციტირება გამოიყენა, რომ რევოლუცია არის ყველაზე ავტორიტეტული საგანი, ორჯერ გაუსვა ხაზი და არეზე მიაწერა: „კარგად არის ნათქვამი".

უცხოური წიგნის კითხვისას ლენინი ხშირად მნიშვნელოვან ადგილებს რუსულად თარგმნიდა და წიგნის არეზე მიაწერდა. აღნიშვნებისათვის ხმარობდა სხვადასხვა სიდიდისა და ფორმის ხაზგასმას: ერთს, ორს ან სამს, ტალღოვანს, წვრილს ან დაჩენილს, პირდაპირს, მრგვალს, ფიგურულს. ხშირად ხმარობდა ფრჩხილებს, ჩარჩოში ჩასმას. იყენებდა აგრეთვე სიტყვიერ აღნიშვნებს: ნოტაბენე, სიკ, ჰაჰა, ჰმ! დიახ! დიახ! უფ, სისულელეა! და სხვ.

ვლადიმერ ილიას ძეს ნახმარი აღნიშვნები ეხმარებოდა საჭირო ადგილების ადვილად პოვნაში, რაც, რა თქმა უნდა, უადვილებდა მუშაობას.

1919 წელს ვ. ი. ლენინმა ა. ი. ილინის ატლასზე — „რუსეთის რკინიგზები" — მრავალი რამ აღნიშნა, როგორც ძველი ბოლშევიკი ლ. ფოტიევა იგონებს, აღნიშნული ატლასი დაიკარგა, რამაც დიდად შეაწუხა ლენინი. მაშინ მან მეორე ცალს წააწერა: „ლენინის ეგზემპლარი". უნდა ვიფიქროთ, რომ ამის გამოა ვლადიმერ ილიას ძის მიერ ნახმარ წიგნებზე აღნიშვნები: „ლენინის ეგზემპლარი. ნახ. თავფურცლის შემდეგი გვერდი". „ლენინის ეგზემპლარი შენიშვნებით", „განსაკუთრებით იქნას შენახული. „ლენინი", „ლენინის ეგზემპლარი. ვუპასუხე 17/VII", „სხვისი ეგზემპლარია. უნდა დავაბრუნოთ" და სხვ.

ვ. ი. ლენინი ხშირად წერდა წაკითხული წიგნების ანოტაციებს, იძლეოდა შეფასებას. ა. დენიკინის წიგნის — „ნარკვევები რუსული ჯანყის შესახებ — ანოტაცია გვაცნობს ლენინის აზრს, რომ: „ავტორი კლასობრივ ბრძოლას უდგება როგორც ბრმა ლეკვი". ქორქ ნოელის წიგნის — „ჰეგელის ლოგიკა" — ლენინისეულ ანოტაციაში ვკითხულობთ: „ავტორი იდეალისტია" (იდეალისტია ხაზგასმულია, ა. ი.) „ჰეგელის გადამღერებაა, მისი დაცვაა ე. წ. „თანამედროვე ფილოსოფოსებისაგან", „უპირისპირებს კანტს", „არა აქვს ინტერესი", „არა აქვს სიღრმე", „არცერთი სიტყვა მატერიალისტურ (მატერიალისტურ ხაზგასმულია, ა. ი.) დიალექტიკაზე", „ავტორს, ვგონებ წარმოდგენა არა აქვს მასზე".

საინტერესოა წიგნზე — „პური მსოფლიო მიმოქცევაში" — ლენინის მიერ გაკეთებული ანოტაცია. — „ეს მონუმენტური შრომა (860+188 გვ. ფოლიანტის ფორმისა) წარმოადგენს მდიდარ მონაცემთა ისეთ კრებულს 1878—1879 წლებში პურით ვაჭრობის, მისი წარმოებისა და მოხმარების შესახებ, რომ მსგავსი რამ ჩემთვის ცნობილი არ არის. როგორც ჩანს, საუკეთესოა ამ დარგში. ვირჩევ უმნიშვნელოვანესს".

წიგნის შესახებ დიდი შრომის ფასად მოპოვებულ ცნობებს ვ. ი. ლენინი სიამოვნებით უზიარებდა სხვებსაც. ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის პერიოდში იგი ამხანაგებს რეკომენდაციებს აძლევდა ამა თუ იმ აკრძალული წიგნის წაკითხვის თაობაზე. გ. მ. კრჟიჟანოვსკი იგონებს, რომ ტესინსკოეში გადასახლებული ლენინი ამხანაგებისადმი მიწერილ წერილებში, სხვა საკითხებთან ერთად, იძლეოდა მათთან მიღწეული რუსული და გერმანული წიგნების დახასიათებებს. ასევე, გაგზავნილ წიგნებს გვერდებზე უკეთებდა აღნიშვნებს, თუ რისთვის მიექციათ ყურადღება. აი ერთი მაგალითი: რუსეთის ელექტრიფიკაციის სახელმწიფო კომისიის ბიულეტენის 1920 წლის ნომერზე ვლადიმერ ილიას ძეს გაკეთებული აქვს ასეთი წარწერა: „ამხ. გ. მ. კრჟიჟანოვსკის. გლებ მაქსიმილიანეს ძევ დამიბრუნეთ ეს, გეთაყვა, ორიოდე სიტყვის თანხლებით, წაიკითხავთ რა მე-20-21 გვერდებს. თქვენი ლენინი".

საინტერესოა მოგონებები იმის შესახებ, თუ წიგნის პროპაგანდით როგორ ზრუნავდა ვ. ი. ლენინი მშრომელთა განვითარებაზე. ფინელი ხარატი ოსკარ ენგბერგი, რომელიც ლენინთან ერთად იმყოფებოდა ციმბირის გადასახლებაში, იგონებს, რომ იმ დროს ვლადიმერ ილიას ძე ამზადებდა ნაშრომს „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში". იგი ფეხზე მდგომი წერდა სპეციალურად გაკეთებულ მაგიდაზე, და როცა არ უნდა მიემართა შეკითხვით, ლენინი შეწყვეტდა მუშაობას და ამომწურავ პასუხს აძლევდა. ენგბერგი აღნიშნავს: — „მეჩვენებოდა, რომ ის ჩემს განვითარებას უფრო მნიშვნელოვნად თვლიდა, ვიდრე თავის წიგნის მომზადებას". როგორც გერმანელი მებათქაშე რობერტ ზივერტი იგონებს, რომელიც 1911 წელს ციურიხში განაგებდა საერთაშორისო მუშათა კავშირის კლუბის წიგნის კიოსკს, რომლის ხშირი სტუმარიც იყო ვ. ი. ლენინი, ერთხელ მას შემოეხვია ხალხი და ჰკითხეს, რას გვირჩევ წავიკითხოთ გერმანული ჟურნალები-

დანო. ვლადიმერ ილიას ძემ ხელში აიღო ქალთა საერთაშორისო ჟურნალი „გლეიჰეიტ“, რომელიც გამოდიოდა გერმანიაში კლარა ცეტკინის ხელმძღვანელობით და მსმენელებს მიმართა: — „ამხანაგებო, თქვენ ამ ჟურნალს უნდა კითხულობდეთ. მასში თქვენ ნახავთ ყველა თქვენთვის საინტერესო საკითხს. ეს საუკეთესო, კარგად რედაქტირებული ჟურნალია, რომელიც, რაც მნიშვნელოვანია, სწავლობს ბავშვთა აღზრდის საკითხებს“.

ვ. ი. ლენინი მარტო წიგნის რეკომენდაციით როდი კმაყოფილდებოდა. იგი ამავე დროს დაინტერესებული იყო იმითაც, თუ მკითხველი როგორ გაიგებდა წაკითხულის აზრსა და მიმართულებას. გემთმშენებელი ქარხნის მუშა ვ. მარკოვი იგონებს თავის შეხვედრებს ლენინთან ფინეთში 1906-1907 წლებში. ამ დროისათვის მიმდინარეობდა მეორე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები, რომელშიც პირველი სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებისაგან განსხვავებით ბოლშევიკებმა გადაწყვიტეს მიეღოთ მონაწილეობა: ერთხელ ლენინი მარკოვს შეეკითხა რას კითხულობო. და რომ გაიგო, პოეზიასო, უთხრა — ეს კარგია, მაგრამ საჭიროა კიდევ სხვა პოეზიის წაკითხვაო და გადასცა ვ. ლიბკნეხტის ბროშურა „არავითარი კომპრომისები, არავითარი საარჩევნო შეთანხმებანი“.

ვლადიმერ ილიას ძემ მარკოვს ურჩია, ჯერ ეს ბროშურა წაიკითხე და შემდეგ კი ჩემი წინასიტყვაობაო. შემდეგში ვ. ი. ლენინმა ვ. მარკოვს გამოჰკითხა, როგორ გაიგე ბროშურის შინაარსი და წინასიტყვაობა, როგორ გაიგე ბოლშევიკების კურსიო. ა. ტოდორსკის წიგნზე — „ერთი წელი — შაშხანით და გუთნით“, რომელშიც მოთხრობილია სოციალისტური მშენებლობის პირველი ნაბიჯები, ვ. ი. ლენინი წერდა: „მას უნდა გაეცნონ რაც შეიძლება მეტი მუშები და გლეხები. მისგან უნდა გამოვიტანოთ სერიოზული გაკვეთილები სოციალისტური მშენებლობის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე, რომლებიც ახსნილია ცოცხალი მაგალითებით. საჭიროა ფართოდ გავავრცელოთ ეს წიგნი“.

ვ. ი. ლენინმა კარგად იცოდა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა მკითხველებისათვის წიგნის რეკომენდაციას. 1920 წლის ნოემბერში იგი ამბობდა: „თვითეული აგიტატორი უნდა იყოს სახელმწიფო ხელმძღვანელი, ყველა მუშისა და გლეხის ხელმძღვანელი ეკონომიურ მშენებლობაში. მან უნდა უთხრას, რომ კომუნისტი რომ იყვე, უნდა წაიკითხო ესა და ეს ბროშურა, ესა და ეს წიგნი“.

დიდი ბელადის მიზნები და ამოცანები ყოველდღიურად ხორცს ისხამს ჩვენს დიად ქვეყანაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ ჯაში

# ლიტერატურისა და ხელოვნების ხალხურობის ლენინური პრინციპი

ლენინის მოძღვრებასთან ხელოვნების, ლიტერატურის პარტიულობის შესახებ მჭიდროდ არის დაკავშირებული ხელოვნების, ლიტერატურის ხალხურობის პრობლემა. ვ. ი. ლენინმა ახალი, სოციალისტური ლიტერატურისა და ხელოვნების შექმნას საფუძვლად დაუდო მოთხოვნილება, რომლის თანახმად ხელოვანი უნდა ემსახურებოდეს ხალხს, იბრძოდეს ხალხის ინტერესებისათვის, მჭიდროდ იყოს დაკავშირებული პროლეტარიატთან, მუშათა კლასთან, რევოლუციურ მოძრაობასთან.

ახასიათებდა რა ახალ, სოციალისტურ ლიტერატურას, ვ. ი. ლენინი წერდა:

„ეს იქნება თავისუფალი ლიტერატურა, თავისუფალი იმიტომ, რომ არა ანგარება და არა კარიერა, არამედ სოციალიზმის იდეა და მშრომელებისადმი თანაგრძნობა მიიზიდავს ახალ-ახალ ძალებს მის რიგებში. ეს იქნება თავისუფალი ლიტერატურა იმიტომ, რომ იგი სამსახურს გაუწევს არა სალონების გულმოყირჭებულ „გმირ-ქალს“, არა მოწყენილ და სიმსუქნის ქონით შეწუხებულ „ზედა ფენის ათეულ ათასებს“, არამედ მილიონობით და ათეულ მილიონობით მშრომელებს, რომელნიც ქვეყნის საუკეთესო ნაწილს, მის ძალას, მის მომავალს შეადგენენ“.[1] ეს იყო ლენინის პროგრამული მითითებანი მოწინავე, თავისუფალი ლიტერატურის განვითარების გზების შესახებ.

ამ დებულებით ვ. ი. ლენინი არსებითად ეკამათებოდა ე. მახს, რომლის ნაშრომში — „შემეცნება და ცდომილება“ (1905) — მოცემულია მსოფლიო კულტურის განვითარების სუბიექტივისტურ-იდეალისტური გაგება. სწორედ ე. მახის წიგნშია ლაპარაკი კულტურის პრობლემასთან დაკავშირებით „ზედა ფენის ათეულ ათასებზე“.[2]

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე დღეებიდან ვ. ი. ლენინი უდიდეს ყურადღებას აქცევდა იმ ღონისძიებების გატარებას, რომლებიც უზრუნველყოფდნენ სულიერი ცხოვრების, კულტურის ყველა დარგის გამოყენებას მუშათა კლასის, მშრომელთა ინტერესებისათვის. ოქტომბრის შემდგომი პერიოდის ვ. ი. ლენინის სიტყვებს, გამოსვლებს, დირექტივებს, რჩევა-დარიგებებს, დავალებებს წითელ ზოლად გასდევს მთავარი აზრი — დაუცხრომელი ზრუნვა მშრომელი ხალხის ფართო მასების სწავლა-განვითარების, განათლების, აღზრდის, კულტურული დონის ამაღლებისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების 53 წლის გამოცდილებამ თვალნათლივ ცხადყო, რომ ტალანტებს, რომლებიც ხალხში მრავლად იყო, კაპიტალიზმი ახშობდა და თრგუნავდა. ეს ტალანტები რევოლუციამდე იღუპებოდნენ გაჭირვების, სიღატაკის, ადამიანის პიროვნების აბუჩად აგდების გამო. ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მშრომელი მასები თავიანთი ნათელი ცხოვრების აქტიურ მშენებლებად, შემოქმედებად აქცია.

კომუნისტურმა პარტიამ დააყენა საკითხი, რომ ხელოვნება უნდა ჩადგეს კომუნიზმის საქმის სამსახურში. პარტიის VIII ყრილობამ, რომელიც ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა, თავის რეზოლუციაში აღნიშნა, რომ „აუცილებელია გაიხსნას და მშრომელთათვის ხელმისაწვდომი გახდეს ხელოვნების ყველა საუნჯე, რომელიც შექმნილია მათი შრომის ექსპლუატაციის საფუძველზე და რომელიც აქამდე ექსპლუატატორთა განსაკუთრებულ განკარგულებაში იმყოფებოდა“.[1]

დიდმა რუსმა რევოლუციონერმა დემოკრა-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 10, გვ. 40.

[2] ვ. რ. შჩერბინა, ლენინი და ლიტერატურის საკითხები, გამომც. „ნაუკა“, მოსკოვი, 1967, გვ. 158.

[1] სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, მეშვიდე გამოცემა, ნაწ. I., სახელგამი, 1954, გვ. 535.

ტებმა დამაჯერებლად აჩვენეს, რომ ჭეშმარიტი ხალხური მხატვრული ფასეულობანი, რომლებიც შექმნილია რუსული ლიტერატურის გენიოსების მიერ, არსებითად მიუწვდომელია ხალხისათვის. ნ. ნეკრასოვი ოცნებობდა იმ დროზე, როდესაც ხალხი ბაზრიდან ბელინსკისა და გოგოლის წიგნებს წამოიღებს. თავის პოემაში „ვინ ცხოვრობს რუსეთში კარგად“ პოეტი წერდა:

„...მოვა კი დრო (მოდი, მოდი, სასურველო!), როდესაც ხალხი არა ბლიუხერისა და არა სულელი მილორდის, არამედ ბელინსკისა და გოგოლის წიგნებს წამოიღებს ბაზრიდან?“

ასეთი დრო შექმნა სოციალისტურმა რევოლუციამ.

ვ. ი. ლენინმა გენიალურად განსაზღვრა ხელოვნების ხალხურობის ცენტრალური საკითხი:

„...მნიშვნელოვანია არა ჩვენი შეხედულებანი ხელოვნებაზე. მნიშვნელოვანია აგრეთვე არა ის, თუ რას აძლევს ხელოვნება რამდენიმე ასეულს, თუნდაც რამდენიმე ათასეულს მოსახლეობის საერთო რიცხვიდან, რაც მილიონებს შეადგენს. ხელოვნება **ხალხს** ეკუთვნის. იგი თავისი ულრმესი ფესვებით მშრომელთა ფართო მასების თვით შუაგულს უნდა აღწევდეს. იგი გასაგები და საყვარელი უნდა იყოს ამ მასებისათვის. იგი უნდა აერთიანებდეს ამ მასების გრძნობას, აზრსა და ნებისყოფას, აღაფრთოვანებდეს მათ. იგი მათში მხატვრებს უნდა აღვიძებდეს და ავითარებდეს“.[1]

ხელოვნების ხალხურობის პრობლემაში ჩაქსოვილია ხელოვნების მხატვრული სრულყოფა, იდეური შინაარსი და სოციალური ფუნქცია. ხელოვნების ნაწარმოებები, რომლებსაც ჩვენ ხალხურს ვუწოდებთ, განსაკუთრებული ძალით გამოხატავენ გარკვეულ ეპოქაში მიღწეულ საზოგადოებრივი ცნობიერების უმაღლეს საფეხურს. მაგრამ, ყველაფერი, რაც დაკავშირებულია მოცემულ საზოგადოებრივ მდგომარეობასთან, არ წარმოადგენს ჭეშმარიტად ხალხურს. მასობრივობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს ხალხურობას.

ხელოვნება — კაცობრიობის მატერიალიზებული მეხსიერებაა მის შრომაზე, უკეთესისაკენ მის ბრძოლასა და მისწრაფებებზე, საზოგადოებრივი ყოფიერების უმაღლეს ფორმისაკენ, ადამიანის ყველაზე უფრო სრულყოფილ განვითარებისაკენ სწრაფვაზე.

ხუროთმოძღვრების ნაწარმოებები წარმოადგენენ ხალხის რეალური გარემოს, ცხოვრების ნაწილს (ტაძრები, საზოგადოებრივი შენობები, საცხოვრებელი სახლები და ა. შ.) ასევეა მუსიკაში, ეპოსში. მათი მელოდიები ლეგენდები, ზღაპრები, მითები, გადმოცემები ხალხის ცნობიერებაში რჩებიან.

ხალხურობა გააჩნიათ როგორც კოლექტიური შემოქმედების ნაწარმოებებს, ასევე ცალკეულ პიროვნებათა ქმნილებებს.

ყოველი დიდი ხელოვნება ყოველთვის ხალხურია, მაგრამ ეს ხალხურობა ვლინდება სხვადასხვაგვარად და სხვადასხვა ფორმებში. ხალხურია — პირველყოფილი პოეტური ფოლკლორი, ესქილეს ტრაგედიები, გუთური ხელოვნება, შ. რუსთაველის, გოეთეს, პუშკინის, ი. ჭავჭავაძის, რემბრანდტისა და რეპინის, მაიაკოვსკისა და შოლოხოვის, მ. ჯავახიშვილისა და გ. ტაბიძის ნაწარმოებები.

რას ნიშნავს ხელოვნების ხალხურობა მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის მიხედვით.

ვინ ქმნის ხელოვნებას (ხალხი, მხატვრები ხალხის ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირში).

როგორია ხელოვნების შინაარსი (ხალხური. პროგრესული და რეალისტური).

როგორია ხელოვნების მხატვრული ფორმა და ესთეტიკური საფუძველი (დემოკრატიული და ეროვნული ნიადაგი).

ხალხისადმი მისაწვდომობა, გასაგებობა.

როგორ ვლინდება ხელოვნების ხალხურობა. უშუალოდ ხალხის შემოქმედებაში (ზღაპრებში, სიმღერებში, ცეკვებში, გამოყენებით ხელოვნებაში და ა. შ.), ცალკეული მხატვრის შემოქმედებაში, რომელიც მიმართავს ხალხურ საუნჯეს.

ხელოვნების ხალხურობა ყოველთვის უბრალოდ არ ჩანდა, ხშირად ძალზე წინააღმდეგობრივად ვლინდებოდა. განსაკუთრებით ეს ეხება ანტაგონისტურ საზოგადოებრივ ფორმაციებს.

კაპიტალიზმის დროს, მატერიალური კულტურისა და ტექნიკის საერთო პროგრესის პირობებში, მატერიალური წარმოების სულიერი და, მაშასადამე, ესთეტიკური ელემენტები სულ უფრო კარგავენ თავის მნიშვნელობას.

ამდენად, განვითარებულ, კლასობრივ, ანტაგონისტურ საზოგადოებაში ხელოვნება შორდება ხალხს, ხოლო ხალხი — ხელოვნებას. ეს წინააღმდეგობა შეიძლება დაძლეულ იქნას მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის შედეგად.

კლასობრივ, ანტაგონისტურ საზოგადოებაში ხელოვნება ვითარდება ორი მიმართულებით: ა) როგორც ხალხური შემოქმედება და ბ) როგორც პროფესიული ხელოვნება, რომელიც მისაწვდომია მხოლოდ მდიდრებისათვის. მაგრამ ამ საფუძველზე არ შეიძლება უარვყოთ პროფესიული ხელოვნების ხალხურობა.

XIX საუკუნის რუსული და ქართული დემოკრატიული კულტურა, რომელსაც განასახიერებდნენ ნ. ჩერნიშევსკი, ნ. ნეკრასოვი, ი. რეპინი, ვ. სურიკოვი, თერგდალეულები და სხვები, ეყრდნობოდა ხალხურ შემოქმედებას.

რეაქციული მმართველი კლასები ამტკიცებენ, რომ ეს წინააღმდეგობა მუდმივი და გადაულახავია. წარსულის პროგრესული მოაზროვ-

[1] ლენინი. „კულტურისა და ხელოვნების შესახებ“, სახელგამი, თბილისი, 1957, გვ. 609.

ნენი ამტკიცებდნენ, რომ ხელოვნებას აზრი აქვს მხოლოდ მაშინ, როდესაც მის მიერ შექმნილი იდეური და ესთეტიკური ფასეულობანი ხალხისათვის არის მისაწვდომი, ისინი ნორმალურად თვლიდნენ მხოლოდ ისეთ საზოგადოებრივ წყობილებას, რომლის დროსაც, საყოველთაო თანასწორობის პირობებში, მხატვრული მოღვაწეობა განუყრელად არის დაკავშირებული ხალხთა მასების ცხოვრებასა და ყოფასთან.

მოწინავე ხელოვნების ხალხურობის შინაარსის გარკვევაში ყველაზე დიდი დამსახურება მიუძღვით რუს რევოლუციურ დემოკრატებს. რუსმა რევოლუციურმა დემოკრატებმა და, უპირველეს ყოვლისა, ბ. ბელინსკიმ დასძლიეს რომანტიკოსების ცალმხრივობა და დიალექტიკურად დასვეს ხელოვნების ხალხურობის საკითხი. ხელოვნების ხალხურობის უმაღლეს საფეხურს ისინი ხედავდნენ მის უნარში, ასახათ მშრომელი მასების ძირეული ინტერესები, ყოფილიყო მშრომელთა განთავისუფლებისათვის ბრძოლის იარაღი, განევითარებინა მოწინავე იდეები. მათი აზრით, ხალხურია ისეთი ხელოვნება, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოების პროგრესს მისი სრული განთავისუფლების გზაზე. ხელოვნების ხალხურობის პრობლემის დამუშავებაში დიდია „თერგდალეულთა“ და, განსაკუთრებით ი. ჭავჭავაძის, როლი. მას მიაჩნდა, რომ მხატვრული ნაწარმოების ხალხურობის საკითხს წყვეტს არა მარტო შინაარსი, არამედ ფორმაც, რომ ლიტერატურა უნდა ასახავდეს და ემსახურებოდეს ხალხის ინტერესებს და გასაგები და მისაწვდომი იყოს ხალხისათვის.

ამრიგად, ხელოვნების ხალხურობა განისაზღვრება, პირველ რიგში, მისი მნიშვნელობით საზოგადოების წინსვლითი განვითარებისათვის.

რაში მდგომარეობს ე. წ. „სწავლული“ ანუ პროფესიული ხელოვნების ხალხურობა? ხალხურია თუ არა ანტიკური საბერძნეთის წარმართული ტაძრები, შუა საუკუნეების ევროპის კათოლიკური ტაძრები? ხალხურია თუ არა ისეთი ნაწარმოებები, რომლებშიც გმირებად გვევლინებიან ექსპლუატატორული კლასების წარმომადგენლები? ოიდიპოსი, ჰამლეტი, პიერ ბეზუხოვი, ეგორ ბულიჩევი, არჩილი და კესო „ოთარაანთ ქვრივიდან“, დიმიტრი თავდადებული და ა. შ.

ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის დროს გაბატონებული კლასების აზრები წარმოადგენენ გაბატონებულ აზრებს, ხალხის წრიდან გამოსული ადამიანების შეხედულებანი და ცნებები ცოტად თუ ბევრად ატარებენ გაბატონებული იდეოლოგიის გავლენის ანაბეჭდს.

მაგრამ გაბატონებული კლასების აზრები არ წარმოადგენენ გადამწყვეტ იდეოლოგიურ ფაქტორს, რომელიც გავლენას ახდენს ხელოვნების განვითარებაზე. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში გაბატონებულ კლასებთან ერთად არსებობენ მშრომელი მასები, რომლებსაც თავიანთი იდეოლოგია აქვთ.

კლასობრივი ბრძოლა საზოგადოებაში ასე თუ ისე აისახება ხელოვნებაში, მაგრამ ამ ასახვას რთული ხასიათი აქვს და ყოველთვის უშუალო როდია. ყოველი ჭეშმარიტი მხატვრული ქმნილება ასახავს თავისი დროის რეალურ კანონზომიერებას. მის საგანს შეადგენს მთელი ცხოვრება ანდა მისი ცალკეული არსებითი მხარეები. პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ხელოვნების ნაწარმოების ობიექტურ შინაარსს.

განვითარების განსაზღვრულ საფეხურებზე ახალი, მზარდი კლასი, რომელიც ახორციელებს სოციალური ევოლუციის პროგრესულ ტენდენციებს, გამოდის როგორც საზოგადოების უდიდესი ნაწილის, მათ შორის ჩაგრული მასების, ინტერესთა გამომხატველი.

ხელოვნების ხალხურობისა და კლასობრიობის პრობლემის განხილვისას უნდა გავითვალისწინოთ ვ. ი. ლენინის დებულება ყოველ ბურჟუაზიულ ერში ორი კულტურის არსებობის პესახებ.

რაში მჟღავნდება და ვლინდება ხელოვნების კლასობრივი ხასიათი? მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგია მეცნიერულად უპასუხებს რა ამ კითხვას, კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს არა მარტო კლასობრივ საზოგადოებაში ხელოვნების კლასობრივი ხასიათის იდეალისტურ უარყოფას, არამედ ხელოვნების კლასობრიობის გაგებაში დოგმატურ, ვულგარულ, გაუბრალოებულ მიდგომასაც.

ყოველი კლასი, თავისი ესთეტიკური შეხედულებებისა და იდეალის საფუძველზე, ქმნის ხელოვნებათა სისტემას, რომელსაც აქვს გარკვეული მეთოდი, თავისი სტილური თავისებურებანი, ადამიანებზე ზემოქმედების თავისი საშუალებანი. ხელოვნების კლასობრივი ხასიათი ვლინდება არა მარტო მხატვრის მიერ დასმულ პრობლემატიკაში, არამედ იმ ესთეტიკურ პრინციპებშიც, რომლებსაც იგი თავის ნაწარმოებებში ახორციელებს. ხელოვნების სახისა და ჟანრის გათვალისწინებით, ავტორის ჩანაფიქრისა და სურვილის მიხედვით, აგრეთვე მისი პიროვნების ინდივიდუალური ნიშნების გათვალისწინებით, პოლიტიკური. ზნეობრივი, ესთეტიკური და სხვა იდეები შეიძლება გამოიხატოს მხატვრულ შემოქმედებაში აშკარად ანდა შენიღბულად, უშუალოდ ანდა გაშუალებულად, ამბების დახატვის, დახასიათების, გახსნის მეშვეობით, ანდა ნაწარმოების ემოციური ტონალობით. ყოველ ამ შემთხვევაში მხატვრული შემოქმედების კლასობრივი ხასიათი ვლინდება, სხვა-

დასხვაგვარია მხოლოდ მისი გამოვლინების ფორმები.

ვ. ი. ლენინი შეურიგებლად ეკიდებოდა ხელოვნებაში **არაკლასობრივი მიდგომის საკითხებს**. პარტიის XI ყრილობაზე (1922) ლაპარაკობდა რა ნეპის პირველი პერიოდის სიძნელეებზე, ვ. ი. ლენინმა მკაცრად გააკრიტიკა და შეაფასა მთელი რიგი ისეთი მხატვრული ნაწარმოებები, რომლებშიც პოეტები ძველს სილამაზეს, სისუფთავეს მისტიროდნენ.[1]

პარტია აკრიტიკებს ზოგიერთ ჩვენს ესთეტიკოსს მხატვრული ნაწარმოების კლასობრივი ანალიზის აუცილებლობის შეუფასებლობისათვის, იმის დავიწყებისათვის, რომ კლასობრივ საზოგადოებაში ხელოვნების იდეების ბრძოლა —ეს კლასობრივი ბრძოლის ფორმაა, რომ ხელოვნება და ესთეტიკა ამჟამად იმყოფებიან იდეოლოგიური ბრძოლის, „ფსიქოლოგიური ომის“ ბარიკადებზე.

ხელოვნების კლასობრივი ხასიათი სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მასში არ არის საყოველთაო — სახალხო შინაარსი. ამის უარყოფა შეუძლიათ მხოლოდ მარქსიზმის ვულგარიზატორებს, დოგმატიკოსებს. ხელოვნებას, რომელიც გამოხატავს რეაქციული კლასების ინტერესებს, ნამდვილად ახასიათებს ვიწრო კლასობრივი შინაარსი. იგი დაკავშირებულია სინამდვილის დამახინჯებასთან და მის სუბიექტივისტურ გაგებასთან. ხელოვნება, რომელსაც პროგრესული კლასები ქმნიან, ძლიერია სწორედ თავისი საყოველთაო — სახალხო, ჰუმანისტური საწყისით. რაც უფრო მეტად პროგრესულია მოცემული კლასი, მით უფრო მნიშვნელოვანია ეს საწყისი. სოციალისტური ხელოვნების ნაწარმოებებში სახალხო შინაარსი, სოციალისტური იდეალები მთელი პროგრესული კაცობრიობის იდეალებია. რევოლუციური, კომუნისტური ჰუმანიზმი ცხოვრებაში ახორციელებს კაცობრიობის საუკეთესო წარმომადგენელთა ოცნებას, სძლევს წინა ეპოქების ჰუმანიზმის შეზღუდულობასა და არათანმიმდევრობას.

ამრიგად, ხელოვნების კლასობრიობა შედის მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკურ ქსოვილში. ხელოვნების კლასობრივი ხასიათი თავის თავს ამჟღავნებს იმ ესთეტიკურ პრინციპებშიც, რომლებითაც მხატვარი ხელმძღვანელობს და რომლებსაც იგი ხორცს ასხამს თავის ნაწარმოებებში.

ხელოვნების პარტიულობა არის მისი პირდაპირი, აშკარა კავშირი გარკვეული კლასის ინტერესებთან, გამოხატავს მხატვრის შეგნებულ სამსახურს ამ კლასისადმი, ხალხისადმი. პარტიულობა „მოვლენათა ყოველი შეფასების დროს სავალდებულოს ხდის პირდაპირ და აშკარად დადგომას განსაზღვრული საზოგადოებრივი ჯგუფის თვალსაზრისზე“.[1]

ხალხური შემოქმედებისადმი მხატვრის მიმართვა მისი ხალხურობის ერთერთი პირობაა. ხელოვნების სხვადასხვა მიმდინარეობანი და მიმართულებანი სხვადასხვანაირად უდგებოდნენ ხალხურ შემოქმედებას. პროგრესული მხატვრები სწავლობდნენ ხალხისაგან, ითვისებდნენ მის მხატვრულ ენას, მის შემოქმედებითს პრინციპებს. სწორედ ამიტომ დიდი რეალისტი მხატვრების—გოეთესა და შექსპირის, ლეონარდოსა და რემბრანდტის, დანტესა და შოთა რუსთაველის, ბახისა და ბეთჰოვენის, პუშკინისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის, ტოლსტოისა და ილია ჭავჭავაძის, გორკისა და ვაჟა-ფშაველას, შევჩენკოსა და აკაკი წერეთლის, გლინკასა და ჩაიკოვსკის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ხალხურობა. იგი დამახასიათებელია განსაკუთრებით კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენელთა შემოქმედებისათვის, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ხალხის ცხოვრებასთან და გამოხატავდა მათ ფიქრებს, მისწრაფებებსა და იმედებს. რეაქციული ხელოვნება კი მუდამ ემსახურებოდა ყველაზე ჩამორჩენილი, წარმავალი ძალების ინტერესებს.

დიდი მხატვრები აუცილებლად ხალხთან არიან. ვაიმარელი საიდუმლო მრჩეველი გოეთე უდიდეს პოეტად იქცა მხოლოდ იმიტომ, რომ უმღერა თავისუფლებას, ხოლო ბალზაკი, ლეგიტიმიზმის მომხრე, მაშინ ამაღლდა შემოქმედების მწვერვალებამდე, როდესაც რესპუბლიკელების მეხოტბე გახდა.

ბ. ბელინსკი პუშკინზე წერდა: იგი სახალხო, ეროვნული პოეტია, რადგან მისი პოეზია აღმოცენდა ხალხურ ნიადაგზე, რადგან შემოქმედებაში გამოხატა ის, რაც ხალხში შეუგნებლად ცოცხლობსო. დიდი კრიტიკოსი „ბორის გოდუნოვს“ ხალხურ დრამად თვლიდა, „ალს“ — ხალხური სულისკვეთების საუკეთესო დრამატულ ნაწარმოებად, ხოლო „ევგენი ონეგინს“ უაღრესად ხალხური ნაწარმოები, „რუსული ცხოვრების ენციკლოპედია“ უწოდა.

ლ. ტოლსტოის შემოქმედება, ვ. ი. ლენინის სიტყვებით, იქცა კაცობრიობის მხატვრულ განვითარებაში წინგადადგმულ ნაბიჯად იმიტომ, რომ მწერალმა, პირველმა რუსულ ლიტერატურაში, გამოიყვანა გლეხი და, რაც მთავარია, გამოხატა პატრიარქალური გლეხობის პოზიციები ბურჟუაზიულ რევოლუციაში.

არაიშვიათად კლასობრივ ანტაგონისტურ საზოგადოებაში რაც უფრო მწვავეა საზოგადოებრივი ცხოვრების წინააღმდეგობანი, რაც უფრო მძაფრია სოციალური შეტაკებანი, მით უფრო მნიშვნელოვანია ხელოვნების როლი, მით უფრო მეტი ფასეულობის შექმნის უნარი აქვს მას,

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 33, გვ. 328.

[1] იქვე, ტ. 1, გვ. 481.

თუმცა მეტისმეტად არახელსაყრელი პირობებია შემოქმედებისათვის.

XVIII საუკუნეში ფეოდალიზმი გერმანიაში სულს ღაფავდა, დაღუპვისაკენ მიექანებოდა. ხელოვნებამ გამოხატა ეს აუცილებლობა. ლესინგმა და შილერმა ადამიანის სიდიადე და სილამაზე მის მოქალაქეობრიობაში დაინახეს. ბახის შემოქმედება გახდა ჰუმანიზმის ჰიმნი, პროტესტი ყოველივე იმის მიმართ, რაც ამახინჯებს, ასახიჩრებს, რყვნის ადამიანურ გრძნობებს. ხოლო XIX საუკუნის დასაწყისში, როდესაც არსებით მოთხოვნილებას დაემატა სოციალური გარდაქმნებისათვის ეროვნული თავისუფლების უმწვავესი მოთხოვნილება, კაჩლი ბეთჰოვენი, თავისი პირდაპირი მოწოდებით რევოლუციური მოქმედებისაკენ.

XIX საუკუნის დიდი ქმნილებანი, რომლებმაც ამხილეს საზოგადოების ღრმა მანკიერებანი, ექსპლუატაციისა და ჩაგვრის ანტიხალხურობა — თავის საფუძველში ღრმად ხალხურია.

მაგრამ ხალხი ისტორიული მოვლენაა, იგი შედგება სხვადასხვა კლასისაგან, ხოლო კლასების სოციალური ნიადაგი, მათი როლი და ადგილი საზოგადოებრივი განვითარების პროცესში იცვლება. არის რა ხალხური, ხელოვნება რჩება კლასობრივად, და იმაზე, თუ ხალხის რომელი ნაწილის ინტერესებს გამოხატავს იგი, ბევრად არის დამოკიდებული მისი თავისებურებანი. ტოლსტოის სიდიადის წყაროა მისი კავშირი ხალხთან, რომელიც რევოლუციისათვის ემზადებოდა.

ხელოვნების ხალხურობა ყოველთვის როდი გამოიხატებოდა იმით, რომ თვით ხალხის ცხოვრება ხდებოდა მხატვრული ანალიზის ობიექტი. ცნობილი რუსი კრიტიკოსი სტასოვი წერდა, რომ მხოლოდ იქ არის ნამდვილი ხელოვნება, სადაც ხალხი თავის თავს გრძნობს სახლში და მოქმედ პირად. და აი, თუ ხალხს დიად ხელოვნებაში ყოველთვის შეუძლია „სახლში" გრძნობდეს თავის თავს, მის „მოქმედ პირად", იგი ჭეშმარიტად ხდება მხოლოდ XIX საუკუნის დასაწყისში, რაც შეეხება მუშათა კლასს მან პირველად ხელოვნებაში ხმამაღალი განაცხადი მხოლოდ მ. გორკის შემოქმედებაში გააკეთა.

მაშასადამე, სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში მოთხოვნილებანი ხელოვნების ხალხურობისადმი ერთნაირი არ იყო. თუ მის საფუძველს ყოველთვის შეადგენდა ხელოვნებაში ხალხის სულის გამოხატვა, სხვადასხვა დროს ხალხურობა ხელოვნების სხვადასხვა მხარეში ვლინდებოდა. საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ წარსულში ხალხისათვის უაღრესად გაძნელებული იყო ხელოვნების მისაწვდომობა, ამას აბრკოლებდა ხალხის კულტურის დაბალი დონეც და მმართველი კლასების პოლიტიკაც. წარსულის ყველაზე მოწინავე მხატვრებსაც კი არ შეეძლოთ დაენგრიათ კედელი, რომელიც აღმართული იყო მმართველი კლასების მიერ ხალხსა და ხელოვნებას შორის.

ხელოვნების ტაძრის კარები ხალხისათვის ფართოდ გახსნა რევოლუციამ, ახალმა სოციალისტურმა წყობილებამ. ხალხი ხდება ხელოვნების წამყვან გმირად, მის „მოქმედ პირად", ხოლო ხალხური ცხოვრების მხატვრული ასახვა შეადგენს მის ძირითად შინაარსს.

ხელოვნების ხალხურობის, კლასობრიობისა და პარტიულობის საკითხები დაკავშირებულია მხატვრის მსოფლმხედველობასთან. მსოფლმხედველობა და შემოქმედება განუყრელია.

თანამედროვე ხელოვნება კლასობრივია არა მარტო კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც არსებობენ ანტაგონისტური კლასები, არამედ სოციალისტურ ქვეყნებშიც.

სსრ კავშირში არ არსებობენ ანტაგონისტური კლასები, მაშასადამე, ჩვენში არ შეიძლება არსებობდეს ხელოვნებაში სხვადასხვა კლასობრივი ტენდენცია. მაგრამ ჩვენს ხელოვნებას აქვს კლასობრივი ხასიათი. ორი სოციალური სისტემის არსებობა განაპირობებს ამას. ჩვენი ხელოვნება კლასობრივია იმ თვალსაზრისით, რომ გამოხატავს მთელი საბჭოთა ხალხის იდეოლოგიურ პოზიციებს, წინაღუდგება მსოფლიო ასპარეზზე იმპერიალისტური ბურჟუაზიის კლასობრივ იდეოლოგიასა და კლასობრივ ხელოვნებას. ეს კლასობრიობა სხვაგვარია, ვიდრე ანტაგონისტურ საზოგადოებაში. საბჭოთა ხელოვნებაში კლასობრიობა და ხალხურობა ერწყმიან ერთმანეთს და ეს ერთიანობა გამოიხატება მის პარტიულობაში.

სოციალიზმის ქვეყნებში, პირველად მრავალი ათასი წლის შემდეგ, თვით ხალხი გახდა ხელოვნების შემოქმედი და ეს ვლინდება არა მარტო მხატვრული შემოქმედების არნახულ აყვავებაში, არამედ იმაშიც, რომ ძირფესვიანად შეიცვალა პროფესიონალი მხატვრის სახე. ახლა იგი თავის წარმოშობითაც, რწმენითაც ხალხის სისხლი და ხორცია და თავის შემოქმედებას შეგნებულად უმორჩილებს ხალხის სამსახურს.

სოციალისტურ საზოგადოებაში უფართოესი მასების მხატვრული შემოქმედება კი არ უპირისპირდება პროფესიულ ხელოვნებას, არამედ სულ უფრო მჭიდროდ უახლოვდება მას, და სწორედ ამიტომ კომუნისტური საზოგადოების მხატვრული საგანძურის განვითარება და გამდიდრება მოხდება „მასობრივი მხატვრული თვითმოქმედებისა და პროფესიული ხელოვნების შეხამების საფუძველზე".

მარქსიზმის ფუძემდებლების აზრით, იდეოლოგიური ფაქტორების განხილვისას, კლასობრიობის პრინციპის მეცნიერული გამოყენების გაუთვალისწინებლობამ შეიძლება ვულგარიზაციამდე მიგვიყვანოს.

ხელოვნების კავშირი საზოგადოებრივ ცხოვრებასთან რთული და წინააღმდეგობრივია.

პროლეტკულტელებს, რაპპელებს არ ესმოდათ ყოველ ბურჟუაზიულ-ნაციონალურ კულტურაში ორი კულტურის არსებობის ლენინური მოძღვრება. მათ არ ესმოდათ, რომ ბურჟუაზიულ ეპოქაშიც არის ხალხურობის სულისკვეთებით გამსჭვალული ხელოვნება.

ვ. ი. ლენინის ბრძოლას პროლეტკულტელებთან უდიდესი მნიშვნელობა აქვს ხელოვნების ხალხურობის პრობლემის სწორი გაგებისათვის. ყოველი ჭეშმარიტი ხელოვნება ობიექტურად ასახავს თავისი დროის საზოგადოებრივი ცხოვრების თუნდაც ზოგიერთ არსებით მხარეს. სინამდვილის მართალი ასახვა ხელოვნებაში ყოველთვის ხელს უწყობს პროგრესს. რეალიზმმა, რომელიც ბალზაკის მხატვრული მსოფლმხედველობის საფუძველს წარმოადგენდა, მიიყვანა იგი იქამდე, რომ, მიუხედავად თავისი კლასობრივი სიმპათიებისა და პოლიტიკური ცრურწმენისა, მართლად ასახა ცხოვრება.

ვ. ი. ლენინმა თავის სტატიებში დაასაბუთა გენიალური რუსი მწერლის ლ. ტოლსტოის მსოფლმხედველობასა და შემოქმედებაში არსებულ წინააღმდეგობათა არსი.

კლასობრივ საზოგადოებაში ხელოვნება არ შეიძლება არ იყოს კლასობრივი. ყველაზე დიდი მხატვრების შემოქმედებაც კი გამოხატავს გარკვეული საზოგადოებრივი კლასის ინტერესებს, შეხედულებებს, ცხოვრებისეულ ჩვევებსა და ფსიქოლოგიას. მაგრამ იგი იძენს საყოველთაო-სახალხო მნიშვნელობას თუნდაც იმიტომ, რომ აყენებს განვითარების პროცესის მომწიფებულ საკითხებს, ხალხის მასების ბედიღბლისათვის მნიშვნელოვან პრობლემებს, თვალს უხელს ადამიანებს მათ წინაშე მდგომ ამოცანებზე.

გამოჩენილი მხატვრების ხალხურობა დამოკიდებულია საზოგადოების სოციალური ძალების კონკრეტულ თანაფარდობაზე, მისი განვითარების მოცემულ სტადიაში. ამ აზრით დიდი მნიშვნელობა აქვს ვ. ი. ლენინის დებულებას რუსეთში რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სამი ეტაპის შესახებ.

არა მარტო იმ მწერლების ხელოვნება ხასიათდებოდა ხალხურობით, რომლებიც ეყრდნობოდნენ ანდა თანაუგრძნობდნენ რევოლუციურ მოძრაობას. მაგალითად, გოგოლი არ იყო დაკავშირებული რომელიმე პროგრესულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მიმდინარეობასთან, იგივე შეიძლება ითქვას ტურგენევზე, გონჩაროვზე, ა. ოსტროვსკიზე. მაგრამ მათი შემოქმედება იყო ხალხური, რადგან იძლეოდა ცხოვრების მართალ სურათებს, ეხმარებოდა ადამიანებს შეეგნოთ სოციალური სინამდვილე და თავიანთი თავი.

XVII საუკუნეში ჯ. მილტონი ინგლისის რევოლუციის პოეტი ხდება, ხოლო XVIII საუკუნის საფრანგეთში, ბურჟუაზიული რევოლუციის იდეოლოგიური მომზადების პერიოდში, ამ მოძრაობის მოღვაწეები გაერთიანებული იყვნენ დიდროსა და დალამბერის „ენციკლოპედიის" გარშემო. ჟ. ლ. დავიდი იყო იაკობინელი და საფრანგეთის რევოლუციის მხატვარი, დელაკრუამ ტილოთი „თავისუფლება ბარიკადებზე" თავისი თავი სამუდამოდ დაუკავშირა 1830 წლის რევოლუციას. გ. კურბემ სამართლიანად დაიმსახურა პარიზის კომუნის მხატვრის სახელი.

მაგრამ წარსულში ყველაზე მოწინავე ადამიანებისათვისაც კი მათი ინტერესებისა და იდეალების კლასობრიობა არ იყო ბოლომდე ნათელი. აი რატომ არის, რომ ჩვენ განვასხვავებთ ხელოვნების ტენდენციურობას, როგორც ამა თუ იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკური პოზიციების მიზანსწრაფულ დაცვას და ხელოვნების პარტიულობას, როგორც შემოქმედების სოციალური როლის ბოლომდე შეგნებულ განსაზღვრას.

ორივე ეს ცნება მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, ხშირად ძნელია მათი გამორჩევა, ზოგჯერ ისინი ერთმანეთში გადაიზრდებიან, მაგრამ ისინი ერთი და იგივე ცნებები არ არიან.

აზრი იმის შესახებ, რომ რევოლუციურ პროლეტარიატს თავისი მხატვრული ლიტერატურა უნდა ჰქონოდა, დაისვა და დამუშავდა ჯერ კიდევ კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიერ XIX საუკუნის პირობების გათვალისწინებით.

ამ დებულების შემდგომი განვითარების ახალი ეტაპია ვ. ი. ლენინის მოძღვრება ხელოვნებისა და ლიტერატურის პარტიულობაზე, რომელიც ჩამოყალიბებულია სტატიაში, „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა".

ჩვენი პარტია, რომელიც იცავს ხელოვნების პარტიულობის ლენინურ პრინციპს, ყოველთვის ეყრდნობოდა ხელოვნების მოღვაწეთა იდეოლოგიურ პოზიციას, მათ პრაქტიკულ მონაწილეობას ხალხის ცხოვრებასა და ბრძოლაში.

ჩვენს პირობებში ხალხურობა და პარტიულობა ურღვევ ერთიანობაშია, რის გამოც საბჭოთა ხელოვნებამ ხალხის საყოველთაო აღიარება მოიპოვა.

გაზეთი „პრავდა" (1969 წ. 12 სექტ.) სტატიაში „ლენინური პარტიულობა რევოლუციური ხელოვნების დროშაა" წერდა — „პარტიულობა ხალხურობის უმაღლესი ფორმაა, ესთეტიკური თვისებაა, რომლითაც გამსჭვალულია ნაწარმოების იდეური შინაარსისა და მხატვრული წყობის ყველა ელემენტი. იგი წინასწარ განსაზღვრავს ნაწარმოების შინაგან პათოსს. პარტიულობა ხელოვნების ინდივიდუალური ზამყაროს უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია, მისი შემოქმედების მამოძრავებელი საწყისია".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გელა საითიძე

# მხატვრული ლიტერატურისა და ლიტერატურული კრიტიკის საკითხები გაზეთ „კომუნისტის" ფურცლებზე ომისშემდგომ ხუთწლედში

სახალხო მეურნეობის აღდგენისა და მისი განვითარებისათვის დაძაბულ ბრძოლასთან ერთად ომისშემდგომ ხუთწლედში, კომუნისტური პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სიტყვაკაზმული მწერლობის, ლიტერატურული კრიტიკისა და ლიტერატურისმცოდნეობის განვითარების საკითხებს, როგორც მასების კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისა და იდეოლოგიური ზემოქმედების უმნიშვნელოვანეს საშუალებას.

საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი ამ საქმის შესაფერ სიმაღლეზე დაყენებისათვის განუხრელად ხელმძღვანელობდა ვ. ი. ლენინის ცნობილი დებულებით ლიტერატურის პარტიულობის შესახებ. 1905 წლის ნოემბერში გაზეთ „ნოვაია ჟიზნისათვის" დაწერილ სტატიაში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა", ვ. ი. ლენინმა გააცამტვერა ბურჟუაზიული ლოზუნგი ლიტერატურისა და პრესის შესახებ და გადაჭრით მიუთითა: წინააღმდეგ ბურჟუაზიული ზნისა, წინააღმდეგ ბურჟუაზიული სამეწარმეო, ჩარჩული ბეჭდვითი სიტყვისა, წინააღმდეგ ბურჟუაზიული ლიტერატურული კარიერიზმისა და ინდივიდუალიზმისა, „ბატონკაცური ანარქიზმისა" და მოგებისადმი მისწრაფებისა, — სოციალისტურმა პროლეტარიატმა უნდა წამოაყენოს პარტიული ლიტერატურის პრინციპი, განავითაროს ეს პრინციპი და განახორციელოს იგი რაც შეიძლება სრული და მთლიანი სახით".[1]

ვ. ი. ლენინი იქვე განმარტავდა, თუ რაში მდგომარეობდა პარტიული ლიტერატურის ეს პრინციპი. მისი მითითებით, ლიტერატურული საქმე უნდა გამხდარიყო „საერთო პროლეტარული საქმის ნაწილი, „პატარა ბორბალი და ხრახნი" ერთი მთლიანი, დიდი სოციალ-დემოკრატიული მექანიზმისა, რომელიც მოძრაობაში მოჰყავს მთელი მუშათა კლასის მთელ შეგნებულ ავანგარდს. ლიტერატურული საქმე უნდა გახდეს შემადგენელი ნაწილი ორგანიზებული, გეგმაშეწონილი გაერთიანებული სოციალ-დემოკრატიული პარტიულ მუშაობისა".[1]

ასევე ძალზე ძვირფასია ვ. ი. ლენინის მითითება პარტიული პრესის ფურცლებზე კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის შემოღების შესახებ. იგი ჯერ კიდევ 1913 წლის 16 ივნისს ზაკოპანედან „პრავდის" რედაქციისადმი გაგზავნილ წერილში მიუთითებდა: „გახსენით აგრეთვე ლიტერატურულ-კრიტიკული განყოფილებაც, რომელიც ჩვენთან საერთოდ მოიკოჭლებს, უიმისოდ კი „დიდი" გაზეთი შეუძლებელია".[2]

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული ნაწარმოებები წარმოადგენენ შესანიშნავ ნიმუშებს იმისას, თუ როგორ უნდა შუქდებოდეს ეს საკითხები.

ვ. ი. ლენინის თხზულებებში გამოქვეყნებულია ორ ათეულზე მეტი სტატია, რომლებსაც დიდი ბელადი თვითონ უწოდებდა რეცენზიებს. იგი მოითხოვდა კრიტიკისა და ბიბ-

---

1 ვ. ი. ლენინი. თხზ., მე-4 გამოც. ტ. 10, გვ. 35-36.

1 ვ. ი. ლენინი. თხზ., მე-4 გამოც. ტ. 10, გვ. 36.

2 ლენინი ბეჭდვითი სიტყვის შესახებ. თბილისი, 1962, გვ. 608.

ლიოგრაფიის, ისე როგორც მთელი ლიტერატურის, ცხოვრებასთან, მუშათა ბრძოლასთან მჭიდრო კავშირს[1].

გამოდიოდა რა ლენინური დებულებიდან, ლიტერატურისა და ლიტერატურის კრიტიკის საკითხებზე მიღებულ ყოველ დადგენილებაში პარტია მიუთითებდა მათი შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების აუცილებლობაზე. საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა შორის ამ მხრივ საყურადღებოა 1940 წლის 26 სექტემბრის დადგენილება „ლიტერატურული კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის შესახებ“.[2]

ჩვენი ქვეყნის პარტიული და საბჭოთა პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებულ მუშების, გლეხების თუ საზოგადო მოღვაწეების პოლიტიკური და ეკონომიური ხასიათის სტატიების, კორესპონდენციების, ინფორმაციების თუ შენიშვნების გვერდით დაბეჭდილია ლექსები და პოემები, ჩანახატები და ესკიზები, ეტიუდები და ნარკვევები, ფელეტონები და იგავ-არაკები, მოთხრობები და რომანებიც კი, რომელთა ავტორები არიან როგორც საქვეყნოდ სახელმოხვეჭილი მხატვრული სიტყვის ოსტატები, ისე დამწყები ლიტერატორები.

ჩვენი პარტიული პრესისა და მხატვრული სიტყვის ოსტატთა ასეთი ურთიერთკავშირი სათავეს იღებს პირველი მარქსისტული გაზეთების ფურცლებიდან, როცა ვ. ი. ლენინი და მისი თანამებრძოლები თავიანთ ლეგალურ თუ არალეგალურ გამოცემებში სათანამშრომლოდ იწვევდნენ როგორც მშრომელთა, ისე ინტელიგენციის წრიდან გამოსულ ლიტერატორებს და ხელს უწყობდნენ მათ შემოქმედებით დაოსტატებას.

ასეთი ფაქტებით მდიდარია ქართული ბოლშევიკური პრესის ისტორიაც.

სამამულო ომის დღეებში, ჩვენი ქვეყნის მხატვრული სიტყვის ოსტატები თავიანთი კალმით სამშობლოს დამცველთა პირველ რიგებში იდგნენ და შთააგონებდნენ მათ საძულველი მტრის წინააღმდეგ ბრძოლას, თავდადებას სამშობლოსადმი, ერთგულებას მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი. საბჭოთა მებრძოლების პატრიოტიზმის, გამძლეობის, ნებისყოფის და სიმტკიცის სწორუპოვარი მაგალითები ასახულ იქნა ჩვენი მწერლების არაერთ ნაწარმოებში. მაგრამ ომის დამთავრების შემდეგ ამ სფეროში თავი იჩინა სერიოზულმა ნაკლოვანებებმა. მხატვრულ ლიტერატურაში შესამჩნევი გახდა მავნე შეხედულებების გამოცოცხლება, ცენტრალურ ლიტერატურულ ორგანოებში გამოქვეყნდა ზოგიერთი ისეთი ნაწარმოები, რომლებიც პირდაპირ ეწინააღმდეგებოდნენ ხალხის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის ინტერესებს, ამახინჯებდნენ საბჭოთა სინამდვილეს. ეს ნაკლოვანებები დროულად იქნა შენიშნული და მხილებული საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქ. კპ (ბ) ცკ-ის 1946 წლის 14 აგვისტოს დადგენილებას „ჟურნალების „ზვეზდისა“ და „ლენინგრადის“ შესახებ“, რომელშიც ლენინურ პრინციპებზე დაყრდნობით გათვალისწინებული იყო ლიტერატურის როლი სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ეტაპებზე. ერთხელ კიდევ ხაზგასმით იყო მითითებული ლიტერატურის პარტიულობის აუცილებლობის შესახებ სოციალიზმის ქვეყანაში.[1]

ამ საპროგრამო დოკუმენტმა უდიდესი როლი ითამაშა საბჭოთა ლიტერატურის შემდგომი აღმავლობისა და, საერთოდ, მთელი საბჭოთა ხალხის იდეურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. საბჭოთა პროზა, ლირიკა და დრამატურგია უფრო ღრმად ჩასწვდნენ საბჭოთა სინამდვილეს, უფრო მეტი რეალურობით აისახა მათში საბჭოთა ადამიანების გმირული ბრძოლა, საბჭოთა ხალხის მისწრაფებანი და სურვილები, მისი იდეალები. ამ დადგენილების საფუძველზე უფრო მომთხოვნი და პრინციპული გახდა ლიტერატურული კრიტიკა.

პარტიული და საბჭოთა პრესის უპირველესი ამოცანა იყო ამ პრინციპული მნიშვნელობის დოკუმენტის გაშლილი პროპაგანდა, ბრძოლა ცხოვრებაში მისი გატარებისათვის. იგივე ამოცანა იდგა გაზეთ „კომუნისტის“ წინაშე. საჭირო იყო რესპუბლიკის მშრომელთა მიღწევების, მათი საქმეების უფრო სრულყოფილად, უფრო ხატოვნად, უფრო ხელშესახებად ასახვა, მათი შრომითი გმირობის გადმოცემა. საჭირო იყო შრომის გმირთა, წარმოების თუ სოფლის მეურნეობის ნოვატორთა სახეების, მათი ბუნებისა და ხასიათის ჩვენება. საჭირო იყო ეპოქის შესაფერი ლექსის თუ პოემის, მოთხრობის თუ რომანის, პიესის თუ სცენარის შექმნა. ახლადშექმნილი ნაწარმოებების შეფასებაზეც პირველი სიტყვა პრესას ეკუთვნოდა. საჭირო იყო გაზეთისა და მწერლის ურთიერთკავშირის განმტკიცება.

ხუთწლედის მანძილზე „კომუნისტში“ თავიანთი ბევრი საუკეთესო ნაწარმოები გამოაქვეყნეს ქართველმა მწერლებმა და პოეტებმა: გრ. აბაშიძემ (5 ლექსი და ლექსების ორი ციკლი: „სამხრეთის საზღვარზე“ და „სამგორის ველ-

---

1 В. М. Озеров. Критика и библиография в газете. Москва, 1951, стр. 3—4.

2 პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის შესახებ, სახელგამი, 1956, გვ. 659-662.

1 პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის შესახებ, გვ. 762-766.

ზე"): ირ. აბაშიძემ (10-ზე მეტი ლექსი და ლექსების ციკლი „ჰყვავის გურია"); კ. კალაძემ (10-მდე ლექსი და ლექსების ციკლი „სიმღერები დნეპრის პირას"); გ. ლეონიძემ (ათეულზე მეტი ლექსი, ორი პოემა: „ბერმოუკლა" და „სამგორი", აგრეთვე ლექსების ციკლი „ლექსები უნგრეთზე"); რ. მარგიანმა (ლექსების ციკლები: „ცხრაასორმოცდაორი", „ყანასთან ომი მომინდა", „აქა, მშვიდობა!", პოემა „სიმღერა კომუნიზმისა"). გაზეთმა სხვადასხვა დროს დაბეჭდა ალ. აბაშელის, ალ. ადამიას, კ. ბობოხიძის, ი. გრიშაშვილის, ვ. გაბესკირიას, ა. მირცხულავას, ი. ნონეშვილის, კ. ნადირაძის, მ. პატარიძის, ვ. ჟურულის, გ. სამხარაძის, ს. ფაშალიშვილის, გრ. ცეცხლაძის, ოთ. ჭელიძისა და სხვა ქართველი პოეტების ლექსები. გაზეთში სათანადო ადგილი ჰქონდა დათმობილი აგრეთვე მოძმე ხალხების მხატვრული სიტყვის საუკეთესო წარმომადგენლების ნაწარმოებთა თარგმანების პუბლიკაციასაც.

„კომუნისტში" დაბეჭდილ ნაწარმოებთა შორის პირველ რიგში განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ლ. ქიაჩელის რომანი „ჯოტოს მამის" („მთის კაცის") გამოქვეყნება, რაც მწერლისა და გაზეთის მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობის საუკეთესო მაგალითია. რომანზე მუშაობისას გაზეთის რედაქციას მწერლისათვის გამოყოფილი ჰქონდა ცალკე სამუშაო კაბინეტი რედაქციისავე შენობაში და შექმნილი ჰქონდა მუშაობისათვის ყოველგვარი პირობები, ხშირად სარედაქციო სხდომებზე განიხილავდნენ ნაწარმოების ჯერ კიდევ მელანშეუშრობელ ხელნაწერებს.

მწერლისა და გაზეთის ურთიერთკავშირის ერთ-ერთი თვალსაჩინო გამოვლინება იყო რედაქციის მიერ ქართული მხატვრული სიტყვის ოსტატთა რეგულარული მივლინებები როგორც რესპუბლიკის საწარმოებში, ახალმშენებლობებზე, სოფლად თუ ქალაქად, ისე რესპუბლიკის გარეთ. სხვადასხვა დროს „კომუნისტის" მიერ შემოქმედებით მივლინებებში გაგზავნილი იყვნენ: გრ. აბაშიძე, ირ. აბაშიძე, პ. აბრამია, ალ. ადამია, შ. აფხაიძე, ე. ზედგინიძე, ს. თავაძე, ვ. თორდუა, ს. იორამაშვილი, კ. კალაძე, კ. ლორთქიფანიძე, ი. მოსაშვილი, გ. ნატროშვილი, ვ. ჟურული, ელ. უბილავა, რ. ქორქია, გ. შატბერაშვილი, გრ. ჩიქოვანი და სხვები. ყოველი ასეთი მივლინება მათთვის საუკეთესო ნაწარმოების (ლექსი, მოთხრობა, ნარკვევი) შთაგონების წყარო გამხდარა, რომელთა გამოქვეყნებითაც გაზეთი მუდამ იმსახურებდა თავის მკითხველთა მოწონებას.

„კომუნისტი" თავის ფურცლებზე ბეჭდავდა არა მარტო მხატვრული სიტყვის ნიმუშებს, არამედ შემდეგ მათ შესახებ ათავსებდა კვალიფიციურ, პირუთვნელ რეცენზიებს, რომლებშიც გაანალიზებული იყო მის ფურცლებზე გამოქვეყნებულ ნაწარმოებთა ავ-კარგი. ამის მაგალითებიც არა ერთი შეიძლება დაიძებნოს ხსენებული გაზეთის კომპლექტების საფუძვლიანი გაცნობისას.

1947 წლის ბოლოსა და 1948 წლის დასაწყისში გაზეთმა რამდენიმე ნომერში გაგრძელებებით გამოაქვეყნა გ. ლეონიძის პოემა „სამგორი". პოეტის ახალმა ნაწარმოებმა მკითხველთა მოწონება დაიმსახურა. იმავე წლის აპრილში „კომუნისტმა" თავის სარედაქციო წერილში: „პოემა „სამგორის" შესახებ" საფუძვლიანად გაარჩია ნაწარმოები და შეაფასა იგი, როგორც „ქართული საბჭოთა პოეზიის მნიშვნელოვანი შენაძენი", უწინარეს ყოვლისა, როგორც „მგზნებარე პატრიოტული ნაწარმოები"[1].

ამასთან ერთად, სტატიაში საკმაოდ დამაჯერებლად იყო აღნიშნული პოემის ზოგიერთი ნაკლიც. რომ „ბრწყინვალე, ნათელი ლექსის გვერდით" გვხვდებოდა გაუგებარი ადგილები, მაგრამ, როგორც გაზეთი აღნიშნავდა: პოემის ავტორს შეეძლო მათი გამოსწორება, რის შედეგადაც კიდევ უფრო გაიზრდებოდა ნაწარმოების მნიშვნელობა ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდისათვის[2].

გაზეთის ეს შენიშვნები შემდეგში გაითვალისწინა პოეტმა, ხელახლა დაამუშავა პოემის ზოგიერთი ადგილი და საბოლოოდ ქართული ლიტერატურის საგანძურში შევიდა ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **1948** წლის იანვრიდან გაზეთმა „კომუნისტმა" დაიწყო ლ. ქიაჩელის რომანის „ჯოტოს მამის" პუბლიკაცია და იგი მთლიანად გამოაქვეყნა თავის ფურცლებზე.

გაზეთმა თავის მკითხველებს არა მარტო გააცნო ეს დიდტანიანი რომანი, არამედ პირველმა გაუკეთა მას კრიტიკული ანალიზი. იმავე წლის 20 ნოემბრის გაზეთში დაბეჭდილ კრიტიკოს ს. ჭილაიას ვრცელ რეცენზიაში ნაწარმოებს მაღალი შეფასება ჰქონდა მიცემული. მაინც რა მიაჩნდა კრიტიკოსს რომანის ღირსებად, მის სიახლედ? ეს იყო, რეცენზენტის თქმით, მწერლის მისწრაფება ეჩვენებინა საბჭოთა ადამიანის ახალი თვისება, მაღალი მორალური სახე და შეგნება, რომელიც მან სამამულო ომის მძაფრ გამოცდაში გამოავლინა, ახალი საბჭოთა ადამიანის შრომითი მიღწევები, რასაც იგი სოციალიზმის მშვიდობიანი მშენებლობის ფრონტზე აღწევდა. შესძლო თუ არა მწერალმა ამ საინტერესო განზრახვის მხატვრული ხორცშესხმა? კრიტიკოსის აზრით, რასაც გაზეთიც იზი-

1 გაზ. „კომუნისტი", № 85, 1948 წლის 28 აპრილი.

2 იქვე.

არებდა, „რომანში ძირითადად სწორად იყო გადაჭრილი ეს ამოცანა“[1].

იმავე რეცენზიაში აღნიშნული იყო ნაწარმოების ზოგიერთი ნაკლიც, რომლებიც, მართალია, ჩრდილს ვერ აყენებდნენ რომანის საერთო ღირსებას, მაგრამ მკითხველის წინაშე მუდამ უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით გამსჭვალულმა მწერალმა, ის უმნიშვნელო ნაკლიც გაითვალისწინა, საფუძვლიანად გადაამუშავა რომანი, შემდეგ სათაურიც კი შეუცვალა მას და ცალკე წიგნად გამოცემისას „მთის კაცი“ უწოდა.

1950 წლის იანვარში გაზეთმა „კომუნისტმა“ გამოაქვეყნა კრიტიკოს გ. ჯიბლაძის ვრცელი და კვალიფიციური რეცენზია რომან „მთის კაცის“ შესახებ. თვით რეცენზიის სათაურითაც კი — „ეპიკური რომანი“ ბევრი რამ არის ნათქვამი. რეცენზიაში მოცემულია ნაწარმოების ლიტერატურულ-მხატვრული ანალიზი. ნაწარმოები მიჩნეულია ქართული მხატვრული პროზის თვალსაჩინო მიღწევად, ისეთ ლიტერატურულ მოვლენად, რომელსაც არ შეიძლებოდა დადებითი როლი არ შეესრულებინა საბჭოთა ბელეტრისტიკის განვითარებაში. „ქიაჩელმა ამ რომანით ბევრი საინტერესო საკითხი აღძრა ჩვენს ლიტერატურაში, — წერდა გ. ჯიბლაძე, — ბევრ საგანსა და ფაქტს ისეთი მხატვრული განზოგადება მისცა, რომ ისინი ჩვენ პირველად ვიხილეთ ამ კუთხითა და ამ თვალით. ეს რომანი რეალისტური ნაწარმოებია, რომელსაც საბჭოთა მკითხველი სიამოვნებით წაიკითხავს, ისე როგორც სიამოვნებით მოისმენს ჭეშმარიტი ხელოვნების სიტყვას“[2].

1949 წლის 1 მაისს „კომუნისტში“ გამოქვეყნდა პოეტ გრ. აბაშიძის ლექსების ციკლი „სამხრეთის საზღვარზე“. ციკლში გაერთიანებულმა ნაწარმოებებმა ფართო ინტერესი გამოიწვია, როგორც მკითხველებში, ისე ლიტერატურის სპეციალისტთა შორის. იგი შეფასებული იქნა, როგორც „საბჭოთა საქართველოს კულტურული ცხოვრების ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენა“, რადგან ერთი საერთო სათაურის ქვეშ თავმოყრილი 13 დამოუკიდებელი ლექსი „პირველიდან უკანასკნელ სტრიქონამდე გამსჭვალული იყო საბჭოთა პატრიოტიზმის უწმინდესი გრძნობით“[3].

პოეტთან ერთად, გაზეთის რედაქციის გამარჯვებაც იყო, როცა გრ. აბაშიძეს ლექსების ამ ციკლისათვის მაღალი ჯილდო — სტალინური პრემია მიენიჭა.

წარმატებებმა ახალი შემოქმედებითი პათოსით აღავსო პოეტი, ერთი წლის შემდეგ, 1950 წლის შემოდგომაზე იგი „კომუნისტს“ აწვდის ლექსების ახალ ციკლს „სამგორის ველზე“. გრ. აბაშიძის ლექსების ეს ციკლიც შეფასებულ იქნა როგორც „პოეტის ახალი გამარჯვება“, რომელიც ჩვენი ხალხის მისწრაფებასა და სულისკვეთებას გამოხატავდა.

ლიტერატურისმცოდნე დ. ფანჩულიძე „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ თავის რეცენზიაში წერდა: „გრ. აბაშიძის ლექსების ციკლი „სამგორის ველზე“ უდავო მაჩვენებელია პოეტის ახალი შემოქმედებითი აღმავლობისა. ღრმა შინაარსი, თემატიკური მრავალფეროვნება, მხატვრული სიახლე, კარგად თქმის ხელოვნება გრ. აბაშიძის მთელი შემოქმედების დამახასიათებელია. მისი ლექსები დახვეწილი და გასაგებია, მხატვრული სახე — რეალისტური, შედარება — კონკრეტული“[1].

იმავე წლის შემოდგომაზე ქართველმა მკითხველმა გაზეთ „კომუნისტის“ მეშვეობით გაიცნო პოეტ ირ. აბაშიძის ლექსების ციკლი „ჰყვავის გურია“[2]. ამ ახალმა ნაწარმოებებმა სრულიად დამსახურებული პოპულარობა და ქართული ლექსის ერთ-ერთი ბრწყინვალე ოსტატის სახელი მოუტანეს „კაპიტან ბუხაიძის“ ავტორს. ციკლში შესული ყოველი ლექსი გამოირჩეოდა ღრმა ავტორისეული გააზრებით, მაღალმხატვრულობით. ისინი, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენდნენ შრომისა და ხალხთა მეგობრობის შესანიშნავ საგალობლებს.

საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობითა და მითითებით გაზეთი „კომუნისტი“ მეტ ყურადღებას უთმობდა კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილების მაღალ დონეზე დაყენების საქმეს. მის ფურცლებზე იმატა კვალიფიციურად დაწერილმა რეცენზიებმა, რომლებშიც გამოთქმული შეფასება ყოველი შემოქმედისათვის წარმოადგენდა საუკეთესო ვიზას მკითხველთა გულებში შესაღწევად.

„კომუნისტმა“ ერთ-ერთმა პირველმა აღნიშნა აკ. ბელიაშვილის რომანის „თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა“ მაღალმხატვრულობა და მაღალ იდეურობა. მის ფურცლებზე გამოქვეყნებულ ერთ-ერთ რეცენზიაში ნათქვამი იყო: „აკ. ბელიაშვილის რომანის უპირველესი ღირსება იმაშია, რომ ის სავსებით სწორად აშუქებს XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიულ ვითარებას, მის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებას. უმთავრესი მხატვრული ღირსება რომანისა კი იმაშია, რომ აკაკი ბელიაშვილი კლასიკური პოეზიის ტრადიციებზე დაყრდნობით მტკიცედ იცავს ხალხურობის

[1] გაზ. „კომუნისტი“ № 280, 1948 წლის 20 ნოემბერი.

[2] იქვე, № 22, 1950 წლის 29 იანვარი.

[3] იქვე, № 120, 1949 წლის 18 ივნისი.

[1] იქვე, № 222, 1950 წლის 5 ოქტომბერი.

[2] იქვე, № 265, 1950 წლის 26 ნოემბერი.

პრინციპს. ნათელი სიუჟეტი, ბუნებრივი მიმდინარეობა თხრობისა, ძლიერი სახეები, სადა, ძალდაუტანებელი ცოცხალი ენა, ამ რომანს საინტერესო საკითხავ წიგნად ხდის“[1].

გაზეთი „კომუნისტი“ ი. ნონეშვილის ლექსების ახალი წიგნის „ქარიშხლის შემდეგ“ გამოსვლას ოპერატიულად გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ „თემატიკურ მრავალფეროვნებასთან ერთად ი. ნონეშვილის ლექსებს, რომლებიც სარეცენზიო კრებულში შევიდნენ, ახასიათებს ლირიკული სითბო, რეალისტური სინათლე და ბუნებრივობა. ისინი საბჭოთა სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის გრძნობით არიან გამსჭვალულნი; პოეტის შემოქმედებით წყაროს საბჭოთა სინამდვილე წარმოადგენს“[2].

„კომუნისტის“ ფურცლებზე არც თუ იშვიათად ქვეყნდებოდა მწვავე კრიტიკული რეცენზიები, რომლებშიც მკაცრად იყო გაკრიტიკებული ამა თუ იმ მწერლის ნაწარმოები, რომელიც არ შეეფერებოდა და შეესატყვისებოდა საბჭოთა სინამდვილეს, სწორად არ ხატავდა საბჭოთა ადამიანის ხასიათს. ასეთი რეცენზიის მაგალითად გამოდგება პ. კოხრეიძის წერილი სათაურით „როცა მწერალი სოციალისტური რეალიზმის გზიდან უხვევს“. მასში გაკრიტიკებული იყო მწერალ რ. გვეტაძის მოთხრობა „ცხოვრება იწყება თავიდან“. იგი, რეცენზენტის თქმით, „ვერ გვიხატავდა ჩვენს სინამდვილეს, საბჭოთა ადამიანების ნამდვილ საქმიანობას და მორალურ თვისებებს... ავტორმა რატომღაც აირჩია მისთვის უცნობ მასალაზე წერა, თემა ჯეროვნად არ შეისწავლა. ანალიზი ვერ გაუკეთა ჩვენი ცხოვრების განვითარების პროცესებს, ვერ ჩასწვდა მათ შინაგან არსს და ნაწარმოებიც უსიცოცხლო გამოვიდა“[3] რეცენზიაში გაკრიტიკებული იყო აგრეთვე საქართველოს მწერალთა კავშირი, რომელმაც გამოქვეყნებამდე არ მოაწყო აღნიშნული ნაწარმოების განხილვა და არ დაეხმარა მწერალს მის დამუშავებასა და სრულყოფაში. უფრო მეტიც, მწერალთა კავშირის ორგანოებმა გაზეთმა „ლიტერატურა და ხელოვნებამ“ და ჟურნალმა „მნათობმა“ მის შესახებ ძირითადად შემქები რეცენზიებიც კი მოათავსეს[4].

გაზეთმა თავის ერთ-ერთ სარედაქციო წერილში მიმოიხილა პოეტ მ. ლებანიძის ლექსების იმხანად გამოსულ კრებულში შესული ნაწარმოებები, აღნიშნა ზოგიერთი მათგანის იდეურად და მხატვრულად გამართულობა, მწერლის ნაყოფიერი მუშაობა საბავშვო ლიტერატურის დარგში, მაგრამ, როგორც „კომუნისტი“ წერდა, „სამწუხაროდ, ახალგაზრდა პოეტის მეტ წილ

[1] „კომუნისტი“, № 43, 1949 წლის 20 ივნისი.
[2] იქვე, № 99, 1949 წლის 20 მაისი.
[3] იქვე, № 124, 1950 წლის 13 ივნისი.
[4] იქვე.

ლექსებზე ეს არ ითქმოდა. ერთი შეხედვით თითქოს თემატიკურად თანამედროვე ლექსებში საქმე გვქონდა აბსტრაქტულ—მსჯელობასთან.[1]

საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი უდიდესი ყურადღებით ეპყრობოდა რა მწერალთა საქმიანობას, განსაკუთრებულ ადგილს უთმობდა ახალგაზრდა შემოქმედთა იდეურად წრთობის საქმეს, ეთათბირებოდა მათ, ისმენდა მათ აზრს, სურვილებს, ეხმარებოდა სწორი გზების დასახვაში.

გაზეთი „კომუნისტი“ დიდი გულისყურით ეკიდებოდა ახალი ლიტერატურული ძალების სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლას, ხელს უწყობდა მათ შემდგომ ლიტერატურულ ზრდასა და დავაჟკაცებას, აგრეთვე ზოგიერთი შეცდომისა და ნაკლის გამოსწორებას.

1950 წლის 18 ივნისს გაზეთი ბეჭდავს პ. ბახტურიძის რეცენზიას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურული წრის ალმანახის „პირველი სხივის“ პირველი წიგნის გამოსვლის გამო. ალმანახში გამოქვეყნებული იყო დამწყები პოეტების, პროზაიკოსების და კრიტიკოსების ნაწარმოებები, ახალბედა შემოქმედთა „პოეტური ხმა, — ნათქვამი იყო რეცენზიაში, — მკაფიოდ გამოხატავს მახვილი თვალით დანახულ ცხოვრების მოვლენებს, მოწმობს ავტორთა ფართო გონებრივ ჰორიზონტს, იდეური მომზადებისა და მხატვრული ოსტატობის გარკვეულ დონეს“[2].

რეცენზიაში აღნიშნული იყო ახალგაზრდა ლიტერატორთა საიმედო გზის შესახებ. მათ კარგ მომავალზე. მათ შორის ხაზგასმით იყო მითითებული: აკაკი გეწაძის, ნოდარ გურეშიძის, ნოდარ დუმბაძის, არჩილ სულაკაურის, ზურაბ ჭუმბურიძის, ირაკლი არაბულის, ვალერიან სალიანის, თენგიზ ბუაჩიძის, ნოდარ შამანაძის, რევაზ ინანიშვილის, მაგალი თოდუას და სხვათა ნიჭიერებაზე. თვითონ ახალგაზრდა ლიტერატორთა წრის ალმანახის გამოსვლას გაზეთი თვლიდა: „უდავოდ საყურადღებო და მისასალმებელ მოვლენად“[3]. ორი ათეული წლის შემდეგ, რომ ვკითხულობთ „კომუნისტის“ რეცენზენტის მიერ გამოთქმულ ამ აზრს, ვრწმუნდებით მის უდავოდ ჭეშმარიტებაში... დღევანდელი ქართული ლიტერატურის თვალსაჩინო ძალას, ხომ სწორედ ზემოთჩამოთვლილი მწერლები შეადგენენ?!

ომისშემდგომ ხუთწლედში „კომუნისტის“ ფურცლებზე დიდი ადგილი ჰქონდა დათმობი-

[1] გაზ. „კომუნისტი“ № 193, 1950 წლის 1 სექტემბერი.
[2] იქვე, № 129, 1950 წლის 18 ივნისი.
[3] იქვე.

ლი მხატვრული საგაზეთო ნარკვევების გამოქვეყნებას.

შრომის გმირების, მოწინავეების საქმეების სრულყოფილად და ხატოვნად გადმოცემით, ნარკვევები გაზეთის ათასობით მკითხველს უღვიძებდა სურვილს მოწინავეთა დონემდე ამაღლებულიყო, თავიანთ საქმიანობაში დაენერგათ მათი გამოცდილება, შრომის ორგანიზაციის მეთოდები, ფართოდ გაეშალათ საკუთარი შემოქმედებითი ინიციატივა.

„კომუნისტის“ ფურცლებზე დაბეჭდილი ნარკვევებიდან დღესაც ყურადღებას იპყრობს გრ. აბაშიძის „დმანისი“, ირ. აბაშიძის „ორბელი“, პ. აბრამიას „სიცოცხლე მკვიდრდება სამგორში“, „იმერული ვენახები“, ალ. ადამიას „მე ბერიკაცი ახალსოფლელი“, „როველი იმერეთში“, „სამეგრელოს მთიანეთში“, ლ. ასათიანის „რუსთავში“; ი. მოსაშვილის „არხილოს კალო“, ალ. ზედგინიძის „ჩვენი მზის და მიწას სიტბო“, „ორი სოფელი მესხეთის გულში“; ვლ. თორდუას „წერილები სოფლიდან“, გრ. ჩიქოვანის „ყვარელში“, ს. წვერავას „მესხეთის ხეივნები“ და სხვ.

მკითხველთა მოწონებით სარგებლობდა აგრეთვე ცნობილი ჟურნალისტების: დ. ლომთაძის, ბ. თათარაშვილის, ვლ. გელაშვილის, ა. თარიშვილის და სხვათა ნარკვევები. მათ შორის შეიძლება გამოვყოთ დ. ლომთაძის „ქართული ფოლადი“, „ხვანჭკარული ხუთწლედი“, „ჩვენი ხელით ანთებული“, „ლაშქარი მოვიდა იმერეთიდან“, ბ. თათარაშვილის „თერგის ხეობაში“, ა. თარიშვილის „გაზაფხულის სიმღერა“ და სხვ.

„კომუნისტი“ ხშირად თავის ავტორიტეტულ სიტყვას ამბობდა ამა თუ იმ კრიტიკოსისა და ლიტერატურის ისტორიის მკვლევარის ნაკვლევნაზრევის ობიექტურობის, საერთოდ, მათში წამოჭრილი საკითხების ავ-კარგიანობაზე. იგი არ ერიდებოდა კრიტიკოსთა ნაწერების გაკრიტიკებასაც კი, თუ მათში არათანმიმდევრულობასა და არაობიექტურ მოსაზრებებს შენიშნავდა. გაზეთი არაერთხელ გამოსულა აგრეთვე, ლიტერატურული ბეჭდვითი ორგანოების კრიტიკით, აღუნიშნავს, რომ ისინი სუსტად რაზმავდნენ კრიტიკოსთა ძალებს და ადგილს უთმობდნენ თავიანთ ფურცლებზე არაკვალიფიციურ კრიტიკულ სტატიებსა და რეცენზიებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია „კომუნისტის“-ის პრინციპული პოზიცია, რომელიც მან ზოგიერთი ქართველი მეცნიერის მიმართ დაიკავა ქართველი ერის სიამაყის რუსთაველის „ვეფხისტყაოსანის“ ეროვნულობისა და სადაურობის გარკვევის საკითხში.

„ლიტერატურის ისტორიის გაყალბებისა და ანტიპატრიოტიზმის წინააღმდეგ“ — ამ სათაურით „კომუნისტი“ 1949 წლის 11 მაისის ნომერში აქვეყნებს სარედაქციო სტატიას, რომელშიაც მწვავედაა გაკრიტიკებული ქართველი მკვლევარების ერთი ჯგუფის მცდარი, ზოგჯერ უხეში და აშკარად მიუღებელი დებულებანი. სტატიაში მკაცრად იყო გაკრიტიკებული რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ბეჭდვითი ორგანო „ლიტერატურული ძიებანი“ და სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო[1].

მაისის ბოლო რიცხვებში შემდგარმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ღია პარტიულმა კრებამ განიხილა „კომუნისტის“ 11 მაისის სარედაქციო წერილი.

წერილის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლების უმრავლესობამ (გ. აბზიანიძემ, ა. ბარამიძემ, კ. კეკელიძემ, ტრ. რუხაძემ, დ. კობიძემ, მ. ჩიქოვანმა, ბ. ჟღენტმა და დ. ბენაშვილმა), მათ სამართლიანად მიიჩნიეს „კომუნისტის“ კრიტიკა, როგორც ცალკეულ მეცნიერთა შრომების, ისე ინსტიტუტის ორგანოს „ლიტერატურული ძიებანის“ მიმართ და აღნიშნეს, რომ „ბოლშევიკურად შეასრულებდნენ ჩვენი პარტიული პრესის მითითებებს“.[2]

კრების ანგარიში სათაურით „ლიტერატურული მეცნიერების იდეური სიწმინდისათვის“ გამოქვეყნებულია „კომუნისტის“ „პარტიული ცხოვრების“ განყოფილებაში.

31 მაისს თავის მოწინავეში „მებრძოლი ბოლშევიკური პროპაგანდისათვის“ გაზეთი წერდა, რომ „ჩვენი ხალხი მოწონებით შეხვდა გაზეთ „კომუნისტის“ სარედაქციო წერილს „ლიტერატურის ისტორიის გაყალბებისა და ანტიპატრიოტიზმის წინააღმდეგ“. ამჟამად ჩვენი სამეცნიერო დაწესებულებები, პარტიული ორგანიზაციები თავიანთ კრებებზე იხილავენ ამ წერილს და სახავენ ღონისძიებებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ჩვენი ლიტერატურის ისტორიის საკითხების ბოლშევიკური დამუშავება“[3].

მართლაც, გაზეთის ასეთი პრინციპული და თანმიმდევრული გამოსვლის შემდეგ, გაკრიტიკებულ მეცნიერთა დიდმა ნაწილმა ხელახლა გადასინჯა თავისი კვლევის შედეგები, გაითვალისწინა „კომუნისტის“ მითითებანი და ძირითადად უარყო და გამოასწორა თავისი შეცდომები. ახლებური შუქი მოჰფინეს კვლევის საგანს. ამით გაზეთმა შეასრულა უდიდესი წარმმართველისა და ორგანიზატორის როლი. აქაა მისი თვალსაჩინო დამსახურება ერის კულტურისა და ისტორიის წინაშე.

---

[1] გაზ. „კომუნისტი“ № 93, 1949 წლის 11 მაისი.

[2] იქვე, № 106, 1940 წლის 29 მაისი.

[3] იქვე, № 107, 1949 წლის 31 მაისი.

რესპუბლიკური გაზეთის ესოდენ დიდი ყურადღება ლიტერატურისა და ლიტერატურული კრიტიკის საკითხებისადმი, რაც უშუალოდ ხორციელდებოდა საკავშირო კპ(ბ) და საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტების მითითებების საფუძველზე, სათანადო მოწონებასა და შექებას იმსახურებდა ჩვენი ქვეყნის, ჩვენი პარტიის ცენტრალური ბეჭდვითი ორგანოების ფურცლებზე. ამ აზრის საუკეთესო დამადასტურებელ საბუთს წარმოადგენს 1951 წლის 2 თებერვალს გაზეთ „პრავდის“ მიერ „პრესის მიმოხილვის“ განყოფილებაში გამოქვეყნებული ვრცელი სტატია გაზეთ „კომუნისტში“ მხატვრული სიტყვის საუკეთესო ნიმუშების პუბლიკაციის შესახებ ომისშემდგომი ხუთწლედის მანძილზე. „პრავდა“ აღნიშნავდა იმ დიდ ყურადღებას, რასაც „კომუნისტი“ იჩენდა მხატვრული სიტყვის ქართველი ოსტატებისა და მათი შემოქმედებისადმი. მიუთითებდა იმაზე, რომ ხუთწლედის წლებში თვალსაჩინო ადგილი ეკავა „კომუნისტის“ ფურცლებზე სხვადასხვა ჟანრის მხატვრულ ნაწარმოებებს: რომანს, მოთხრობას, ნარკვევს, პოემას, ლექსს; რომ გაზეთში რეგულარულად ქვეყნდებოდა ქართული სიტყვის ცნობილი ოსტატების საუკეთესო ნაწარმოებები. „მწერლისა და პოეტის მხატვრული სიტყვა „კომუნისტში“ — წერდა „პრავდა“, დიდებით მოსავს რესპუბლიკის მჩქეფარე შრომითს ცხოვრებას. ამის მეოხებით გაზეთი არა მარტო პუბლიცისტის ბასრი კალმით, კორესპონდენციისა და სტატიის მგზნებარე სტრიქონებით, არამედ მოთხრობის, ნარკვევის, პოემის მკაფიო მხატვრული სახეებითაც ახდენს გავლენას ცხოვრებაზე, აღაფრთოვანებს საბჭოთა ადამიანებს შრომითი გმირობისათვის, ზრდის ნოვატორებს“[1]. ამ წარმატებების მოპოვებას, „პრავდის“ მართებული შენიშვნით, ხელს უწყობდა „კომუნისტისა“ და ქართველი მწერლების მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა, შემოქმედებითი თანამეგობრობა. „პრავდა“ აღნიშნავდა აგრეთვე „კომუნისტის“ ნაყოფიერ მოღვაწეობას მოძმე საბჭოთა ხალხებისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების საუკეთესო მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებთა ქართულ ენაზე თარგმნის საქმეში, რასაც ახორციელებდნენ რესპუბლიკის საუკეთესო პოეტები და პროზაიკოსები[2].

„კომუნისტის“ მუშაობის დადებით გამოცდილებად „პრავდა“ მიიჩნევდა კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის შესაფერ დონეზე დაყენებას. „რედაქცია სისტემატურად აღევნებს თვალყურს ახლადდაბეჭდილ წიგნებს, ბეჭდავს კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიულ სტატიებსა და რეცენზიებს, ხელს უწყობს მწერალთა კადრების გამოვლინებას“[1].

ყოველივე ამასთან ერთად „პრავდა“ აღნიშნავდა „კომუნისტის“ ზოგიერთ ნაკლოვანებასაც. კერძოდ, მასში დაბეჭდილი მხატვრული ნაწარმოებები ყოველთვის როდი იდგნენ ჯეროვან იდეურ სიმაღლეზე და დაბალი იყო მათი მხატვრული დონე, რომ „კომუნისტის“ რედაქციას ჯერ კიდევ მთლად ვერ ჰქონდა გათვალისწინებული ნარკვევის მნიშვნელობა გაზეთში და მკითხველის გაზრდილი ინტერესი მისდამი. „მაგრამ მიუხედავად ამისა, არ შეიძლება მისაბაძ მაგალითად არ დავუსახოთ „კომუნისტი“ ბევრ ჩვენს რესპუბლიკურ, სამხარეო და საოლქო გაზეთს. „კომუნისტის“ გამოცდილება იმას გვასწავლის, თუ რა სათუთად უნდა ვიცავდეთ და ვავითარებდეთ სახელოვან ტრადიციებს ბოლშევიკური პრესისას, რომელიც ყოველთვის ფართოდ იყენებდა მხატვრული სიტყვის მძლავრ ძალას ლენინური იდეების პროპაგანდისათვის... „კომუნისტის“ გამოცდილება აგრეთვე გვასწავლის, რომ საჭიროა უაღრესად პასუხისმგებლური დამოკიდებულება მწერალთან გაზეთის მუშაობისადმი: დაბეჭდვისას ლიტერატურულ-მხატვრულ ნაწარმოებთა მკაცრად, დაკვირვებით შერჩევა, შემოქმედებითი მაღალიდეური კრიტიკა, მზრუნველი, გულისხმიერი დამოკიდებულება ახალგაზრდა მწერლებისადმი“[2].

ომისშემდგომ ხუთწლედში საქართველოს მწერალთა კავშირის, მისი ბეჭდვითი ორგანოების საქმიანობა არაერთხელ იქნა შესწავლილი და განხილული საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ, რაც სათანადო ასახვას პოულობდა ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომების, პლენუმების, აქტივის კრებების, თათბირების, კონფერენციის თუ ყრილობის გადაწყვეტილებებში. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელთა უშუალო შეხვედრებსა და თათბირებს ქართული სიტყვის ოსტატებთან. პარტიის სახელმძღვანელო მითითებებმა და კონკრეტულმა ღონისძიებებმა, მათი ცხოვრებაში გატარებისათვის რესპუბლიკის პარტიული პრესის სისტემატურმა ყურადღებამ უდიდესი როლი შეასრულა რესპუბლიკის ლიტერატურული ბეჭდვითი ორგანოების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების საქმეში. ამავე პერიოდში საქართველოს საბჭოთა ლიტერატურის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რესპუბლიკის

1 გაზ. „პრავდა“ № 33, 1951 წლის 2 თებერვალი.

2 იქვე.

1 გაზ. „პრავდა“ № 33, 1951 წლის 2 თებერვალი.

2 იქვე.

მწერალთა III ყრილობას, რომელიც 1946 წლის 7-11 სექტემბერს გაიმართა. ყრილობა ჩატარდა საბჭოთა იდეოლოგიისათვის მიუღებელი ნაწარმოებების კრიტიკისა და საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის უმნიშვნელოვანესი დადგენილების ცხოვრებაში პრაქტიკულად გატარების ნიშნით. იმავე წლის ოქტომბერში საქართველოს კპ(ბ) ცკ-ში მოწვეულ იქნა რესპუბლიკის მწერლების თათბირი, რომელზეც საკავშირო კპ(ბ) ცკ-ის მიერ იდეოლოგიურ საკითხებზე მიღებული დადგენილებებიდან გამომდინარე დასახული იქნა მთელი რიგი პრაქტიკული წინადადებები. აგრეთვე კონკრეტული საკითხები მხატვრული ნაწარმოებების, პიესებისა და კინოსცენარების შექმნის შესახებ.

უფრო მნიშვნელოვანი იყო საქ. კპ (ბ) ცკ-ში 1949 წლის აპრილში გამართული ქართველ მწერალთა წარმომადგენლებისა და რესპუბლიკის პარტიის ხელმძღვანელთა თათბირი. თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ: შ. დადიანი, ს. შანშიაშვილი, ს. ეული, ი. მოსაშვილი, ბ. ჟღენტი, აკ. ბელიაშვილი, კ. გამსახურდია, ლ. ქიაჩელი, დ. შენგელაია, ს. ჩიქოვანი, მ. ლებანიძე, გრ. აბაშიძე და ს. კლდიაშვილი.

თათბირზე ბევრი საყურადღებო საკითხი იქნა განხილული, წამოყენებული იქნა მთელი რიგი პრაქტიკული წინადადებანი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, მწერალთა შორის ჯანსაღი მეგობრული ატმოსფეროს შექმნისათვის, კრიტიკის უფრო მაღალ დონეზე აყვანისათვის და სხვ. მაგალითად, თათბირში მონაწილე კრიტიკოსი ბ. ჟღენტი ეხებოდა რა ქართული კრიტიკის ჩამორჩენის მიზეზებს, აყენებდა წინადადებას ახალი ლიტერატურული ბეჭდვითი ორგანოს დაარსების, ხოლო ჟურნალ „მნათობის“ 10-დან 15 ფორმამდე მაინც გაზრდის შესახებ. ამასთანავე მოითხოვდა გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნების“ და ჟურნალ „მნათობის“ რედაქციებისათვის ნორმალური სამუშაო პირობების შექმნას. მწერალი აკ. ბელიაშვილი საყვედურს გამოთქვამდა რესპუბლიკური გაზეთების მიმართ და მოითხოვდა, რომ „კომუნისტი“ და „ზარია ვოსტოკა“, აგრეთვე მწერალთა კავშირის ორგანო „ლიტერატურა და ხელოვნება“ დროულად გამოხმაურებოდნენ ყველა ახალგამოსულ ნაწარმოებს, გამოეთქვათ მათ შესახებ თავიანთი აზრი.

მწერალი კ. გამსახურდია, რომელსაც იმ წლებში არაერთხელ უსაყვედურებდნენ ისტორიული თემატიკით გატაცებას, აღნიშნავდა: „მწერალი, რომელიც თანამედროვეობას არ ემსახურება, ის საერთოდ მწერალი არ არის და მე, როდესაც ვწერ ისლამური რეაქციის ამბების შესახებ, ვფიქრობ, რომ აქ არის პოლიტიკური ამბები“. იგი მოითხოვდა ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების სხვა ენებზე თარგმნას და ამის შესახებ თავის აზრს ასე ასაბუთებდა: „უნდა მოგახსენოთ, რომ ლიტერატურა ჰგავს მანქანას; რომელიმე სახელმწიფომ რომ გამოიგონოს ისეთი მანქანა, რომელიც მარტო ერთ სახელმწიფოში ივლის, ასეთი მანქანა შაურად არ ეღირება. ის მანქანა ვარგა, რომელიც ყველგან ივლის. იგივე ითქმის მწერლობაზე: თუ ნაციონალური მწერლობა საზღვარგარეთ არ გაიტანება, ასეთი მწერლობა არ არის საჭირო“. თავისი გამოსვლის დასასრულს მწერალი აღნიშნავდა: „ჩვენ უნდა ვიამაყოთ არა მარტო იმით, რომ საქართველო არის ციტრუსოვანი კულტურების ქვეყანა, ვენახის, მარგანეცის, ფოლადის ქვეყანა, არამედ ჩვენი ლიტერატურული პროდუქციითაც. მე, პირადად ვფიქრობ, რომ არ არსებობს ქართულ მწერლობაში კაცი, რომელსაც არ ესმოდეს, რომ ჩვენ ვართ შემსრულებლები დიდი სახელმწიფოებრივი დავალებისა“[1].

ასევე საქმიანი იყო თათბირის მონაწილე სხვა მწერლების გამოსვლებიც.

აღნიშნული თათბირი დიდად დაეხმარა საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტს საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წინაშე მთელი რიგი პრაქტიკული საკითხების დაყენებაში, კერძოდ, 1949 წლის მაისში, საკავშირო კპ(ბ) ცკ-ის გენერალური მდივნის ი. ბ. სტალინისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათში აღნიშნული იყო ქართული ლიტერატურის მდგომარეობის შესახებ და წამოყენებული იყო ზოგიერთი საკითხის პრაქტიკული გადაწყვეტის აუცილებლობა. კერძოდ, მასში ნათქვამი იყო, საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნოს შექმნის აუცილებლობის შესახებ ხუთი კაცის (თავმჯდომარე, პასუხისმგებელი მდივანი და სამი მდივნის) შემადგენლობით; ახალგაზრდა მწერალთათვის საქართველოს მწერალთა კავშირის ახალი ყოველთვიური ჟურნალის გამოცემაზე 12 კაციანი შტატით; ჟურნალ „მნათობისა“ და გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნების“ რედაქციების მუშაკთათვის ხელფასის გაზრდაზე, ამასთანავე უნდა გადიდებულიყო ამ ბეჭდვითი ორგანოების ჰონორარი. საქართველოს მწერალთა კავშირის აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთისა და ქუთაისის განყოფილებებს მომატებოდათ ოთხი საშტატო ერთეული. ნება დართვოდა აფხაზეთისა და ქუთაისის განყოფილებებს გამოეცათ ერთთვიური ლიტერატურული გაზეთი და სხვ.[2]

---

1 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი, ფონდი 14, აღწ. 51, საქ. 338, გვ. 39, 43-44.

2 იქვე, ფონდი 14, აღწ. 51, საქ. 332. ფურც 1-8.

უნდა ითქვას, რომ აქ დაყენებული საკითხები მომდევნო წლებში თითქმის ყველა იქნა განხორციელებული. ამ ფაქტის აღნიშვნით, გვინდა ერთხელ კიდევ ხაზგასმით მივუთითოთ იმაზე, თუ როგორი ყურადღებით ეპყრობოდა საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი ქართული მწერლობის განვითარების საქმეს.

საქართველოს კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა როგორც კი შენიშნა, რომ რესპუბლიკურმა გაზეთებმა შეანელეს ყურადღება კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილებების საქმიანობისადმი, მაშინვე განიხილა ეს საკითხი და 1949 წლის 6 ივლისს მიიღო სპეციალური დადგენილება „გაზეთების „კომუნისტისა“ და „ზარია ვოსტოკას“ ფურცლებზე კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის დაყენების შესახებ“. ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა ხსენებული გაზეთების რედაქციებს, საფუძვლიანად გაეუმჯობესებინათ კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილების საქმიანობა. ამ მიზნით რედაქციის ყველა განყოფილება უნდა ჩაბმულიყო კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული ხასიათის მასალების პუბლიკაციის საქმეში, რეგულარულად მოეთავსებინათ რეცენზიები, როგორც ცენტრალურ, ისე რესპუბლიკურ და საოლქო გამომცემლობების მიერ გამოცემულ ახალ წიგნებზე; სისტემატურად მიეცათ მიმოხილვები გამოსაცემ ლიტერატურაზე მეცნიერებისა და ტექნიკის ცალკეული დარგების მიხედვით, ფართო პოპულარიზაცია გაეწიათ საუკეთესო წიგნებისათვის; გამოექვეყნებინათ მიმოხილვები რესპუბლიკაში გამომავალ ჟურნალების, საკვლევ-სამეცნიერო დაწესებულებების შრომების კრებულებზე, აგრეთვე საოლქო გაზეთებში კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილებების არსებული მდგომარეობის შესახებ; კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული მასალების ორგანიზებისათვის რედაქციებს მუშაობაში უნდა ჩაებათ მწერლები, მეცნიერ-მუშაკები, მასწავლებლები და ავტორთა აქტივი.

საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებულმა ამ დადგენილებამ თვალსაჩინო როლი შეასრულა რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული სტატიების პუბლიკაციის გაუმჯობესების, მათი პროფესიული დონის ამაღლების საქმეში.

ამრიგად, ომისშემდგომ ხუთწლედში მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის თუ ახალმშენებლობათა გეგმების განხორციელებისათვის ბრძოლასთან ერთად, საქართველოს რესპუბლიკურმა გაზეთმა „კომუნისტმა“, რომელიც მტკიცედ ატარებდა პარტიის ცკ-ის ხაზს ლიტერატურის პარტიულობის შესახებ, თვალსაჩინო როლი ითამაშა ქართული საბჭოთა ლიტერატურისა და ლიტერატურული კრიტიკის შემდგომი განვითარების საქმეში. მის ფურცლებზე გამოქვეყნებული მხატვრული სიტყვის ნიმუშები, რომლებსაც ქართველი მწერლები ხშირად რედაქციასთან მჭიდრო ურთიერთკავშირში ქმნიდნენ, აღაფრთოვანებდა რესპუბლიკის მშრომელებს პარტიის მიერ დასახულ ამოცანათა შესასრულებლად, ამასთანავე, ეხმარებოდა ქართველ მწერლებს ახალი შემოქმედებითი წარმატებების მოპოვებისათვის ბრძოლაში ხელს უწყობდა მათ იდეურ-პოლიტიკურ წრთობას.

გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ ქართველ მწერალთა ნაწარმოებებში თავის ასახვას პოულობდა რესპუბლიკის მშრომელთა ყოველდღიური საქმიანობა. მწერლები ხშირად გამოდიოდნენ მის ფურცლებზე, როგორც პუბლიცისტები. ჟურნალისტებთან და მუშა და გლეხ კორესპონდენტებთან ერთად ისინი ქმნიდნენ იმ წლების ვრცელ მატიანეს. მათი ნაწარმოებები ეხმარებოდა პარტიას რესპუბლიკის მშრომელების იდეურად, პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საქმეში.

განსაკუთრებით დიდი მუშაობა გასწია გაზეთმა „კომუნისტმა“ საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ ლიტერატურის საკითხებზე მიღებულ დადგენილებათა ფართო პროპაგანდისათვის. პირველ რიგში კი ისეთი ისტორიული დოკუმენტის პრაქტიკული ხორცშესხმისათვის როგორიც იყო საკავშირო კპ(ბ) ცკ-ის 1946 წლის 14 აგვისტოს დადგენილება „ჟურნალების „ზვეზდასა“ და „ლენინგრადის“ შესახებ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილო ბეჟანიშვილი

# თიანეთის რაიონის მშრომელთა რევოლუციური ბრძოლა 1917-1921 წლებში

ქართველი ხალხის რევოლუციური ბრძოლის ისტორიაში თიანეთის რაიონის მშრომელებსაც გარკვეული წვლილი აქვთ შეტანილი.

მთაში, ისე როგორც საქართველოს სხვა მხარეებში, მძლავრად გაისმოდა ბოლშევიკ-აგიტატორთა მართალი სიტყვები, რომელიც რაზმავდა მაზრის მშრომელებს ცარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. სოფლებს ფართოდ ეფინებოდა პროკლამაციები, სადაც განმარტებული იყო ბოლშევიკების აგრარული პროგრამის არსი, მეფის თვითმპყრობელობის კოლონიური, იმპერიალისტური, კონტრრევოლუციური ხასიათი.

მრავალ განსაცდელსა, გაჭირვებასა და მწუხარებაში მყოფმა მთის ლაღმა შვილებმა პირველი რევოლუციის განთიადის დასაწყისიდანვე 1905 წლის 4 აპრილს ტოლაანთსოფელში დაღვრილი სისხლით მკაფიოდ გამოაჩინეს თავიანთი სიძულვილი მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ.

შავი რეაქციის მძიმე წლებში რევოლუციის უკუქცევის მიუხედავად, ფშავ-ხევსურები მტკიცედ განაგრძობდნენ ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

თვითმპყრობელობის მკაცრ რეპრესიებს მთიელებმა პარტიზანული ბრძოლით უპასუხეს. კავკასიონის მთებში მოქმედებდნენ ძმად შეფიცული მამაცი ხევსური პარტიზანები ბარისახოელი სადარა შიშიას ძე არაბული და ბუჩუკურთელი მამუკა ვაჟიას ძე გოგოჭური.

მაზრის კახეთის საბოქაულოში მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებდნენ ხარება ჯიბუტი, გიორგი კენკიშვილი და ზალიკო სიმონიშვილი.

ისინი პატრიოტული თავდადებით იცავდნენ მშრომელი ხალხის ინტერესებსა და სასტიკად უსწორდებოდნენ ხალხის თავისუფლების მტრებს.

გმირობის შარავანდედითაა მოსილი მამაცი პარტიზანების საბრძოლო გზა. ხალხმა მათი ვაჟკაცური თავდადება, საგმირო საქმეები ლექსებში ჩააქსოვა, ფანდურის სიმებზე ააწკრიალა.

ომში ჩააბეს ფშავ-ხევსურები, გამოცხადდა ცხენების მობილიზაცია, რომელიც მთიელთა მთავარ სატრანსპორტო საშუალებას წარმოადგენდა. მუშახელის უდიდესმა დანაკლისმა სოფლის მეურნეობის მკვეთრი დაცემა გამოიწვია. დიდი ზარალი განიცადა მთაში მეურნეობის ისეთმა ძირითადმა, წამყვანმა დარგმა, როგორიცაა მეცხოველეობა; შემცირდა ცხვრისა და მსხვილფეხა საქონლის რაოდენობა.

თიანეთის მაზრის სოფლები, განსაკუთრებით მთის ნაწილი, გაჩანაგების გზას დაადგნენ, დაცარიელდნენ. არტნის საზოგადოების 14 სოფლიდან შვიდმა არსებობა შეწყვიტა და დღეს მხოლოდ ნასახლარის, ნასოფლარის სახელწოდებას ატარებს.

ილია ჭავჭავაძე საუკეთესოდ გადმოგვცემს მთიელი გლეხობის უღიმღამო ცხოვრების სურათს:

„აღმოსავლეთ საქართველოში—წერდა ილია ჭავჭავაძე, — ბევრია იმისთანა ადგილები, სადაც სახნავ-სათესი მიწები ისე ნაკლებად არის, რომ კაცი მიწის მუშაობით საცხოვრებელს ვერ იშოვნის, ამისთანა ადგილებია, მაგალითად: ჩვენს მთებში, თუშ-ხევსურეთში, სადაც უშველებელ კლდე-ღრეებში აქა-იქ თუ შეხვდებით თითო ბოხჩა ადგილებს სახნავ-სათესად გამოსადეგს“[1].

ხოლო ბარში საუკეთესო მიწებს, ბაღ-ვენახებს, სახნავ-სათესს, ტყეს, სათიბებს, საბალახოებს მსხვილი მემამულეები ფლობდნენ. „საკმარისია ითქვას, რომ გ. და ა. ჩოლოყაშვილებს 6.000 დეს. მიწა ეკავათ, თავად ჭავჭავაძეებს—15.000 დესეტინა“[2].

განსაკუთრებით შეუპოვარი იყო კლასობრივი

ბრძოლა თიანეთის მაზრაში 1917 წლის ზაფხულში. გლეხებმა განდევნეს მემამულეები და მათი მამულები გამოაცხადეს თავიანთ განკარგულებაში (გლეხები იყოფდნენ მემამულეთა მიწებს, მემამულეები მაზრაში დაბრუნებას ვერ ბედავდნენ)“3.

მემამულეები შეშფოთებული იყვნენ აგიტატორთა მოქმედებით და მომრავლებით, მოითხოვდნენ სამხედრო დახმარებას.

„1917 წლის აგვისტოს პირველ რიცხვებში თიანეთის მაზრის მემამულეებმა შანშიევმა და გულისოვმა თბილისის გუბერნიის კომისრის სახელზე შეიტანეს თხოვნა დახმარების შესახებ, ისინი აღნიშნავდნენ, რომ „რევოლუციის შემდეგ ჩვენს სოფლებში მომრავლდნენ აგიტატორები, რომლებიც გლეხებს ურჩევენ დაეპატრონონ მემამულეთა მიწებს, რომ ასეთი აგიტატორების რჩევით გლეხობა გათამამებულია და უარს ამბობს ყველა ვალდებულებაზე და ჩვენს საკუთრებას ეპატრონება, თუ არ მოგვაშველეთ სამხედრო ძალა, ჩვენ დალუპვა არ აგვცდებაო“4.

გლეხობის რევოლუციური მომზადებისა და ბრძოლის საქმეში განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულეს ფრონტიდან დაბრუნებულმა ჯარისკაცებმა, რომელთაც თან მოიტანეს მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლი სულისკვეთება და მოახლოებული სოციალისტური რევოლუციის სუნთქვა.

„ფრონტიდან დაბრუნებულმა ჯარისკაცებმა, — წერდა ი. ბ. სტალინი, — სოფლებს მოხდეს აგრარული რევოლუცია, ცეცხლში გაეხვია მუსლიმან და ქართველ მემამულეთა სახლკარი. ბატონყმური ნაშთების საყრდენებზე გადამწყვეტი იერიში მიიტანეს „გაბოლშევიკებულმა“ ჯარისკაცმა გლეხებმა. ცხადია, ამიერკავკასიის კომისარიატის ფუჰი დაპირებანი გლეხებისათვის მიწის გადაცემის შესახებ ვეღარ დააკმაყოფილებდნენ გლეხებს, რომლებიც აგრარულმა ტალღამ მოიცვა. კომისარიატისაგან საქმეს მოითხოვდნენ, მაგრამ არა კონტრრევოლუციურს, არამედ რევოლუციურს“5.

სწორედ ჯარისკაცთა ასეთი მოქმედება ჰქონდა მხედველობაში გაზეთ „საქართველოს“, როცა წერდა:

„სოფელში დიდი უწესობა ხდება რაიც არ შეეფერება ამ დიდებულ რევოლუციას, აქ გაჩნდნენ (ლაპარაკია თიანეთის მაზრის მატან-მარილისის საზოგადოებაზე ი. ბ.) ბოლშევიკური სულით გაქლენთილი ვინტოვკიანი სალდათები და ხალხს უკულმართ სიტყვებს აგონებდნენ: ბოლშევიკები არიან ხალხის მშველელები და სხვა პარტიები, მენშევიკები და სხვა სულ თავადების ბურჟუების მომხრენი არიანო“6.

1918 წელს სოფელ საყარაულოში შემდგარ გლეხთა მიტინგზე სიტყვით გამოსულმა ყოფილმა ხევსურმა ჯარისკაცმა დავით გაგას ძემ არაბულმა მოუწოდა გლეხებს ამხედრებულიყვნენ თავად ზ. გ. ჭავჭავაძის წინააღმდეგ; ჩამოერთმიათ მისთვის მიწები და უარი ეთქვათ ღალის გადახდაზე.

მეორე დემობილიზებულმა ჯარისკაცმა გიორგი სიმონის ძე ჩიტაურმა, რომელიც ფრონტიდან დაჭრილი დაბრუნდა, დიდი მუშაობა გააჩაღა თავის სოფელში (სოფელი ზარიძეები). იგი აწყობდა გლეხთა კრებებს, ასწავლიდა იარაღის ხმარებას და აშკარად მოუწოდებდა მათ შეიარაღებული აჯანყებისაკენ მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ.

ასეთივე მუშაობას ეწეოდნენ მენშევიკების წინააღმდეგ სხვა ჯარისკაცებიც ნიკო აკოფაშვილი (თიანეთი), ვანო ქისტაური, ხვთისო ქისტაური (ღულელები), ვანო წიკლაური. (სოფელი ნადოკრა), გიორგი ციხიშვილი (საყდრიონი) და სხვები.

1918 წლის ზაფხულში თიანეთისა და დუშეთის მაზრაში გლეხთა აჯანყებამ იფეთქა. გლეხობამ იარაღს მოჰკიდა ხელი და ერთსულოვნად აღსდგა მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავისი საუკეთესო შვილები გაგზავნა აჯანყების ხელმძღვანელობისათვის დუშეთისა და თიანეთის მაზრებში.

პარტიის ძველი წევრი კლიმენტი ალექსის ძე გვალია თავის მოგონებაში, რომელიც თიანეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება, გადმოგვცემს: დუშეთის მაზრაში სხვა გამოჩენილ ხელმძღვანელ კომუნისტთა შორის გაგზავნილ იქნა თომა ჩუბინიძე, „რომელსაც ევალებოდა მჭიდრო კავშირი დაემყარებინა, ხელმძღვანელობა და დახმარება გაეწია მეზობელი თიანეთის მაზრის ბოლშევიკებისათვის შეიარაღებული აჯანყების მომზადება-გაშლის საქმეში.

თ. ჩუბინიძემ ბოლშევიკური აქტივის დახმარებით დუშეთის მაზრაში შეიარაღებული აჯანყების მომზადებასთან პარალელურად, ანალოგიური მუშაობა ჩაატარა თიანეთის მაზრაშიც: ჩატარდა თიანეთის ბოლშევიკების აქტივის და ყოფილი ჯარისკაცების თათბირები, სადაც განხილული იყო შეიარაღებული აჯანყებისათვის თიანეთის მაზრის მზათყოფნასთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის პარტიზანული რაზმების განლაგების და მათი საბრძოლო მოქმედებასთან დაკავშირებული საკითხები.

ამრიგად, — დაასკვნის კ. გვალია, — შეიარაღებული აჯანყების ყოველმხრივ მომზადების შემდეგ აჯანყება პირველად დუშეთმა დაიწყო, მას თან მოჰყვა თიანეთი, ე. ი. აჯანყება ორივე მაზრაში ერთდროულად განხორციელდა“.

მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ მეზობელი მაზრის გლეხებს თიანეთელებმა დახმარების ძმური ხელი გაუწოდეს. პარტიზანულმა რაზმებმა ზ. გელოვანისა და ვ. ქისტაურის ხელმძღვანელობით ბრძოლაში უშუალო მონაწილეობა მიიღეს.

„თიანეთის გლეხობა, — წერდა ფ. მახარაძე, — აჯანყებულებს თანაგრძნობას უცხადებდა და დასახმარებლად თავის რაზმს უგზავნიდა7".

დუშეთის მაზრაში მენშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპნენ თიანეთის მშრომელთა წარგზავნილები ლექსო ფილაური, ლ. იარაჯული და გ. ჩიტაური.

1918 წლის 24 ივნისს პარტიზანულმა რაზმებმა აიღეს სამაზრო ცენტრი თიანეთი და შექმნეს რევოლუციური კომიტეტი, რომელმაც მხოლოდ ერთ კვირას იარსება 4 ივნისიდან — 1 ივლისამდე.

„24 განთიადზე (24 ივნისს ი. ბ.), — წერდა თიანეთის მაზრის კომისარი ო. ლაცაბიძე თავის დეპეშაში თბილისის გუბერნიის კომისარს, — თიანეთის კომისარიატი განადგურებულ იქნა ბოლშევიკების მიერ. დაპატიმრებულია ჩემი თანაშემწე შუშანაშვილი და კომისარიატის სხვა წევრები8".

მაზრის მენშევიკურმა მთავრობამ თელავს შეაფარა თავი. გაქცევით უშველა თავს მენშევიკური მთავრობის 50 კაცისაგან შემდგარმა მფრინავმა რაზმმა პორუჩიკ თოფჩიევის მეთაურობით, რომელიც გამოგზავნილი იყო პარტიზანული რაზმების სალიკვიდაციოდ.

მენშევიკებმა, რომელნიც უცხოეთის კაპიტალსა და ხიშტებს ეყრდნობოდნენ, ადვილად მოახერხეს არაორგანიზებული აჯანყების დამარცხება თიანეთისა და დუშეთის მაზრებში.

1921 წლის თებერვალში დაემხო მენშევიკური მთავრობის ბატონობა. თიანეთის მაზრის მშრომელები — ფშავ-ხევსურები და თუშები ერთსულოვნად მიესალმნენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას.

მაღალ შეფასებას აძლევდა სერგო ორჯონიკიძე თიანეთის მშრომელთა საბრძოლო დამსახურებას. „გრუზკავროსტას" თანამშრომელთან საუბარში 1921 წლის მარტს იგი ამბობდა:

„თიანეთის მაზრაში მოქმედებს რიცხობრივად სრულიად უმნიშვნელო ცხენოსანთა რაზმი 40 მხედრის რაოდენობით და მან უკვე ხელთ იგდო ქვემეხები, 9 ტყვიამფრქვევი და ათასი შაშხანა".9

საბჭოთა ხელისუფლების დამყარება თიანეთის მაზრაში მთიელი ხალხის დიდი ზეიმი იყო. გლეხობა საბოლოოდ განთავისუფლდა მემამულეთა ყვლეფისაგან, თავისუფლად ამოისუნთქა და შეუდგა მშვიდობიან მშენებლობას.

**შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი:**

1 ილია ჭავჭავაძე, ტომი 7, გვ. 162.

2 ა. სურგულაძე, ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის, ამიერკავკასიაში (1917-1918 წ. წ.), თბილისი, 1957, გვ. 53.

3 კ. წერეთელი, საბჭოები და საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლა ამიერკავკასიაში (1917-1921 წწ), თბილისი, 1965, გვ. 133.

4 აკ. სურგულაძე, ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ამიერკავკასიაში (1917-1918 წწ) თბილისი, 1957, გვ. 260.

5 ი. ბ. სტალინი, ტ. 4, გვ. 65.

6 გაზ. „საქართველო", № 51, 1918 წ.

7 ფ. მახარაძე, „საბჭოები ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში", თბილისი, 1927, გვ. 165.

8 საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალიზმის მშენებლობის არქივი, ფონდი 28, აღწერილობა 2, საქმე 63, ფურცელი 8.

9 ს. ორჯონიკიძე, სტატიები და სიტყვები ორ ტომად, ტომი I, თბილისი 1957, გვ. 213.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. მგელაძე

# საბრძოლო იარაღებისა და მასალების ფარული წარმოება საქართველოში 1906-1907 წწ.

1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება, რომელიც რუსეთის პირველი რევოლუციის განვითარების უმაღლეს წერტილს წარმოადგენდა, დამარცხებით **დამთავრდა.** აჯანყების მარცხით დამთავრების შემდეგ დაიწყო რევოლუციის უკან დახევა. ჩაახშო რა შეიარაღებული აჯანყება, მეფის მთავრობამ მობილიზაცია უყო მთელ შეიარაღებულ ძალებს, შექმნა დამსჯელი ექსპედიციები და სასტიკი რეპრესიებით შეუტია ბოლშევიკურ პარტიას, რევოლუციის აქტიურ მონაწილეებსა და ხელმძღვანელებს.

რევოლუციის ჩახშობაში მეფის მთავრობას აქტიურად ეხმარებოდნენ რუსი ოპორტუნისტები-მენშევიკები. ისინი დაჟინებით ამტკიცებდნენ, რომ რუსეთში შეუძლებელია რევოლუციის ახალი აღმავლობა, რევოლუცია საბოლოოდ არის დამარცხებულიო. მენშევიკები ბოლშევიკების მიუტევებელ შეცდომად თვლიდნენ დეკემბრის შეიარაღებულ აჯანყებას და პლეხანოვის პირით დაუფარავად განაცხადეს „ბოლშევიკებს ხელი არ უნდა მოეკიდათ იარაღისათვისაო." რუსი მენშევიკებისა და კერძოდ პლეხანოვის ამ ოპორტუნისტულ წინადადებას უსიტყვოდ იზიარებდნენ ქართველი მენშევიკებიც. მათი ერთ-ერთი ლიდერი ი. რამიშვილი მიუთითებდა: „მოსკოვის ამბებმა დაგვიმტკიცეს, რომ პროლეტარიატისათვის საჭირო არ არის „პულიმიოტებისა" და ზარბაზნების წინაალმდეგ წასვლა, რომ მან არ უნდა აიღოს ხელში იარაღიო"[1].

ბოლშევიკებმა და კერძოდ ვ. ი. ლენინმა სასტიკი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს მენშევიკების ეს ოპორტუნისტული შეხედულებები. „იმაზე ბეცური არა არის რა, — მიუთითებდა ლენინი, — როგორც პლეხანოვის შეხედულება ...„ხელი არ უნდა მოგვეკიდათ იარაღისათვის". პირიქით, საჭირო იყო უფრო გადაჭრით, ენერგიულად და მეტი შეტევით აგვეღო ხელთ იარაღი... მასებისათვის იმის დამალვა, რომ აუცილებელია თავგამოდებული, სისხლისმღვრელი, გამანადგურებელი ომი, როგორც მომავალი გამოსვლის უშუალო ამოცანა, — ეს იქნება საკუთარი თავისა და ხალხის მოტყუება".[1]

გამოდიოდნენ რა რუსეთის პირველი რევოლუციის მამოძრავებელი ძალებისა და პერსპექტივების მარქსისტულ-ლენინური ანალიზიდან, ბოლშევიკები მიუხედავად დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხებისა და რეაქციის ბარბაროსული თარეშისა, გარდუვლად თვლიდნენ რევოლუციის ახალ აღმავლობას, მოვლენების განვითარება მოწმობდა, რომ აჯანყების მარცხით დამთავრების შემდეგ რევოლუციური მოძრაობა ერთბაშად კი არ დაეცა და შეწყდა, არამედ მუშები და გლეხები ბრძოლით იხევდნენ უკან, წითელრაზმელები თავს აფარებდნენ მეფის დამსჯელი ექსპედიციებისათვის ძნელად მისადგომ ადგილებს და პარტიზანულ ბრძოლას განაგრძობდნენ მეფის სამხედრო შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ.

სისხლიანი კვირის წლისთავი — 1906 წლის 9

---

[1] გაზ. „ჩვენი ცხოვრება", 1906 წ. 6 (19) სექტემბერი, № 4.

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 11, გვ. 192.

იანვარი საქართველოში აღინიშნა მუშათა პოლიტიკური გაფიცვებითა და გამოსვლებით. 9 იანვარს გაიფიცნენ თბილისის, ქუთაისის, თელავისა და სხვა ქალაქების წარმოება-დაწესებულებების მუშები და მოსამსახურეები. 1906 წლის იანვარ-თებერვალში მუშათა გაფიცვები გავრცელდა რკინიგზის ხაზზე თბილისიდან ბათუმამდე. მალე მათ შეუერთდნენ თბილისის ტრამვაის ხაზის მუშებიც.

მუშათა რევოლუციურმა გამოსვლებმა გლეხობაზეც მოახდინა გავლენა. 1906 წლის დასაწყისიდან, მიუხედავად დამსჯელი რაზმების ბარბაროსული თარეშისა, სოფლად კვლავ დაიწყო გლეხთა რევოლუციური გამოსვლები, ეს გამოსვლები განსაკუთრებით აქტიურ ხასიათს ატარებდნენ გორის, დუშეთის, თიანეთის, ახალქალაქის სიღნაღისა და თელავის მაზრებში. ამ ადგილებში კვლავ მოქმედებდნენ გლეხთა რევოლუციური კომიტეტები. ამ კომიტეტების ხელმძღვანელობით აჯანყებული გლეხები ხელში იგდებდნენ და ეუფლებოდნენ მემამულეთა, საეკლესიო და სახელმწიფო მიწებს; თვითნებურად ჩეხდნენ ტყეებს, უარს ამბობდნენ მემამულეთა ვალდებულებების შესრულებაზე, სახელმწიფო გადასახადების გადახდაზე და სხვ.

გლეხთა რევოლუციურ გამოსვლებს აგრეთვე ადგილი ჰქონდა ოზურგეთის, სენაკის, შორაპნის, ლეჩხუმის, ზუგდიდის მაზრებში და სოხუმის ოლქის მთელ რიგ ადგილებში.

მუშათა და გლეხთა ეს რევოლუციური გამოსვლები და გაფიცვები მეტყველებდნენ, რომ დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ მასები კვლავ ფეხზე დგებოდნენ და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ახალი შეტევისათვის ემზადებოდნენ. „ყველა ნიშანი იმას მოწმობს, — მიუთითებდა ლენინი, — რომ ჩვენ აუცილებლად შემდგომ ბრძოლებს უნდა ველოდეთ, რომ ახლანდელი პირქუში... სიმშვიდე მხოლოდ მიყუჩებაა ქარიშხლის წინ... დაე კონტრრევოლუციამ თავისუფლებისათვის ბრძოლის გმირთა გვამებზე თავისი ზეიმი იდღესასწაულოს: უკვე ახლოვდება ამ ზეიმის აღსასრული, განთიადი წითლად იღებება, მოდის პროლეტარული რევოლუცია“.[1]

ბოლშევიკები, ანალიზს უკეთებდნენ რა 1905 წლის რევოლუციური ბრძოლების მდიდარ გამოცდილებებს, ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ რევოლუციის პირველი პერიოდის მთავარი შედეგი არის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება, როგორც ერთ-ერთი ძირითადი გზა და საშუალება ცარიზმის დამხობისა და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარების საქმეში; რომ შეიარაღებული აჯანყება, რომელმაც პრაქტიკულად დაამტკიცა თავისი ძალა და ცხოველმყოფელობა კვლავ რჩება ცარიზმის წინააღმდეგ მომავალი ბრძოლების ერთ-ერთ ძირითად და გადამწყვეტ პირობად. გამოდიოდა რა აქედან, ლენინი ამ პერიოდში დაწერილ შრომებსა და სტატიებში მუშებსა და გლეხებს მოუწოდებდა, რომ დაუყოვნებლივ შედგომოდნენ მუშაობას პრაქტიკულად შეიარაღებისა და ცარიზმის წინააღმდეგ ახალი, მორიგი შეიარაღებული აჯანყების მომზადებისათვის.

თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ახალი შეიარაღებული აჯანყების მომზადებაზე გაამახვილა ყურადღება რსდმპ IV (გამაერთიანებელმა) ყრილობამ, რომელიც 1906 წლის აპრილში შეიკრიბა საზღვარგარეთ — შვეიცარიის მთავარ ქალაქ სტოკჰოლმში. ყრილობამ მიიღო რეზოლუცია, რომ რსდმ პარტია გადაჭრით იბრძვის ცარიზმის წინააღმდეგ ახალი შეიარაღებული აჯანყების მომზადებისათვის და „მიყავს რა მოსახლეობის მასა იმის შეგნებამდე, რომ შეუძლებელია რაიმე შეთანხმება მეფესთან და მის მთავრობასთან და რომ აუცილებელია შეიარაღებული ძალით მიაღწიოს თავისი პოლიტიკური მოთხოვნების განხორციელებას“[1].

გამოდიოდნენ რა ბოლშევიკური პარტიისა და პირადად ლენინის სახელმძღვანელო მითითებებიდან, რსდმ პარტიის ადგილობრივმა კომიტეტებმა 1906 წლის გაზაფხულიდანვე გააჩაღეს მუშაობა მასების შეიარაღებისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მორიგი მძლავრი შეტევის მომზადებისათვის.

პარტიის ადგილობრივი კომიტეტები სცემდნენ პროკლამაციებსა და საბრძოლო ფურცლებს, სადაც მოცემული იყო მოწოდება თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ახალი შეიარაღებული აჯანყების რაც შეიძლება სწრაფად მომზადებისათვის. ამ დღეებში გამოცემულ ერთ-ერთ პროკლამაციაში „ყველა მოქალაქეს“ ნათქვამი იყო: „მოვუწოდებთ ყველას, ვისაც სურს გადაიგდოს კაზაკთა ხროვის უღელი, მოემზადონ აჯანყებისათვის. დააარსეთ ფარული სამხედრო-ტექნიკური ორგანიზაციები ...დააჩქარეთ რევოლუციური რაზმების მომზადებისა და მოწყობის საქმე. რუსეთის სხვა ნაწილებთან ერთად ჩვენც მივიღოთ მონაწილეობა აჯანყებაში, საძულველ მტერთან უკანასკნელ შეჯახებაში... გაუმარჯოს საყოველთაო სახალხო აჯანყებას! გაუმარჯოს რესპუბლიკას“![2]

მასების შეიარაღების საკითხის გადაჭრა და-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 10, გვ. 157.

[1]. სკკ პარტია რეზოლუციებში . . . ნაწ. I, გვ. 159.

[2] ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პროკლამაციები, 1904-1906 წ. წ., 1939 წ. გვ. 204-205.

კავშირებული იყო ფულად სახსრებთან. ისე როგორც რუსეთის პირველი რევოლუციის აღმავლობის პერიოდში, ეხლაც ბოლშევიკები კვლავ ატარებდნენ ცხოვრებაში მთელ რიგ პრაქტიკულ ღონისძიებებს შეიარაღებისათვის საჭირო ფულადი სახსრების ფონდის შესაქმნელად. ამ ფონდში, გარდა პარტიის წევრთა საწევრო და სხვა ფულადი შენატანებისა, შედიოდა მოსახლეობაში ნებაყოფლობით შეგროვებული თანხები და განსაკუთრებით სახელმწიფო-სახაზინო დაწესებულებებიდან ექსპროპრირებული ფულადი სახსრები. მთავრობის ფულადი სახსრების შეიარაღებული აჯანყების საჭიროებისათვის გატაცების შესახებ რსდმ პარტიის IV ყრილობისათვის ბოლშევიკების მიერ წარდგენილ რეზოლუციის პროექტში ნათქვამია: „...დასაშვებია აგრეთვე საბრძოლო გამოსვლები მტრის, ე. ი. თვითმპყრობელური მთავრობის ფულადი სახსრების ხელში ჩასაგდებად და ამ სახსრების გამოსაყენებლად აჯანყების საჭიროებისათვის, ამასთან სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ მოსახლეობის ინტერესები რაც შეიძლება ნაკლებად ილახებოდეს“[1].

რუსეთის პირველი რევოლუციის უკანდახევის პერიოდში საქართველოში კვლავ გრძელდებოდა შეიარაღებისათვის საჭირო ფულადი სახსრების ნებაყოფლობითი შეგროვება მოსახლეობაში. ამის შესახებ 132-ე ქვეითი პოლკის უფროსი კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალს 1906 წლის 17 სექტემბერს მოახსენებდა, რომ ოზურგეთის მაზრის თვითეულ საზოგადოებაში მიმდინარეობს ფულადი სახსრების გაძლიერებული შეგროვება მოსახლეობის შეიარაღებისათვის[2].

რევოლუციის უკან დახევის პერიოდში შეიარაღებული აჯანყების საჭიროებისათვის ფულადი სახსრების შეგროვების მიმდინარეობის შესახებ მეტყველებენ აგრეთვე ფულის ასაკრეფი ქვითრები, რომლებიც რსდმ პარტიის გურიის კომიტეტის დაკვეთით იქნა დაბეჭდილი 1906 წლის გაზაფხულზე ბათუმში და შემთხვევით ჩაუვარდა ხელში ჟანდარმერიას. ამის შესახებ ბათუმის ოლქის მიხაილოვის ციხე-სიმაგრის ჟანდარმთა რაზმის უფროსი 1906 წლის 25 აპრილს კავკასიის პოლიციის უფროსს აცნობებდა, რომ მიმდინარე წლის 22 აპრილს სამსახურებრივ საქმესთან დაკავშირებით შევედი კილაძისა და თავართქილაძის სტამბაში, რომელიც მდებარეობს მარინეს

1 სკკ პარტია რეზოლუციებში... ნაწ. I, გვ. 133.

2 190"-1907 წლების რევოლუცია საქართველოში, დოკუმენტების კრებული, 1955 წელი, გვ. 725.

პროსპექტზე ქ. ბათუმში. იქვე მაგიდაზე შევამჩნიე ქართულ ენაზე დაბეჭდილი ფულის ქვითრების წიგნაკები ასეთი სათაურით „რსდმპ გკ“ (რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის გურიის კომიტეტი —დ. მგელაძე) ქვითრები, როგორც ჩანს დაბეჭდილია გურიის კომიტეტის დაკვეთით რევოლუციური საჭიროებისათვის მოსახლეობაში ფულის შესაგროვებლად.[1]

გამოდიოდნენ რა რსდმ პარტიის IV ყრილობის გადაწყვეტილებიდან, ბოლშევიკებმა განსაკუთრებით გაამახვილეს ყურადღება მეფის მთავრობის სახელმწიფო სახსრების ექსპროპრიაციაზე. ამ მიზნით წითელი რაზმები და მებრძოლი ჯგუფები წინასწარ დასახული გეგმით, პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციების მითითებით, ორგანიზებულად ესხმოდნენ თავს მთავრობის სახაზინო დაწესებულებებს და იტაცებდნენ ფულს, რომელიც ძირითადად ხმარდებოდა მოსახლეობის შეიარაღების საქმეს. ასე, მაგალითად: 1906 წლის 12 აპრილს ღამის 2 საათზე სამხედრო ფორმაში გადაცმული 18 წითელრაზმელი შაშხანებითა და რევოლვერებით შეიარაღებულნი, მწყობრად დაწყობილნი შევიდნენ დუშეთის მაზრის ხაზინის შენობაში და მორიგე მოხელეს მაზუთაშვილს განუცხადეს, რომ ჩვენ გამოგზავნილი ვართ დუშეთში განლაგებული სამხედრო ნაწილის უფროსის განკარგულებით ხაზინის დაცვის გასაძლიერებლადო. ამრიგად წითელრაზმელები განლაგდნენ მათთვის ხელსაყრელ პოსტებზე. რამოდენიმე წუთის შემდეგ ისინი უეცრად ეკვეთნენ ხაზინის სამოქალაქო მცველებსა და მორიგე მოხელეს მაზუთაშვილს, სასწრაფოდ განაიარაღეს ისინი, ხელფეხი შეუკრეს და სპეციალური მეთვალყურეობის ქვეშ მოათავსეს იქვე ერთ პატარა ოთახში. ამის შემდეგ წითელრაზმელებმა რკინის ძელაყინებით გატეხეს სალაროს ცეცხლგამძლე ყუთის კარები, გამოიტანეს იქიდან 315 ათასი მანეთი, ჩასხდნენ წინასწარ გამზადებულ ეტლში და სწრაფად მიიმალნენ გაურკვეველი მიმართულებით[2].

მეფის მთავრობის ადგილობრივი ხელისუფალნი შეშფოთებული იყვნენ წითელრაზმელების მიერ სახელმწიფო სახსრების გატაცების მასიური შემთხვევებით, რის გამოც კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი 1906 წლის 3 ივლისს მეფის არმიის მთავარ შტაბს მოახსენებდა, რომ უკანასკნელ თვეებში გახშირდა შეიარაღებული რაზმების თავდასხმები მთავრობის სახაზინო დაწესებულებებზე, რისთვისაც საჭიროა ჯარის ნაწილების დამატებით

1 საქართველოს სსრ, ცსია გვ. 114- c აღწ. 2, საქ. 264, ფურც. 2.

2 გაზ. „ელვა“, 1906 წ. 15 აპრილი, № 27.

გამოყოფა სამხედრო ოლქის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა სახელმწიფო სახაზინო დაწესებულებების დაცვის გასაძლიერებლადო.

1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო აჯანყების ტექნიკური მოუმზადებლობა, ე. ი. მასების სუსტი შეიარაღება. ითვალისწინებდნენ რა აჯანყების ამ სუსტ მხარეს, საქართველოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა 1906 წლის დასაწყისიდანვე გააჩაღეს აქტიური მუშაობა რევოლუციურად განწყობილი მასების შეიარაღებული საქმის უკეთესად მოგვარებისათვის.

ვ. ი. ლენინი, რომელიც პარტიის მთელ ყურადღებას მიაქცევდა მასების შეიარაღებასა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ახალი მძლავრი სახალხო შეიარაღებული აჯანყების მომზადებას, ამ პერიოდში დაწერილ შრომებსა და სტატიებში მუშებსა და გლეხებს მიუთითებდა, რომ უფრო კარგად დაეუფლებოდნენ სამხედრო ტექნიკას, მეფის სამხედრო-შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ ბრძოლის ტაქტიკას; შეესწავლათ სხვადასხვა სახის საბრძოლო იარაღებისა და საომარი მასალების დამზადება და მათი წარმატებით გამოყენება თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მომავალ გადამწყვეტ ბრძოლაში.

„სამხედრო ტექნიკა სულ უკანასკნელ დროს კიდევ ახალ ნაბიჯებს დგამს წინ, — მიუთითებდა ლენინი, — იაპონიის ომმა წარმოშვა ხელის გრანატი. იარაღის ფაბრიკამ ბაზარზე გამოუშვა ავტომატური თოფი... ჩვენ შეგვიძლია და უნდა გამოვიყენოთ კიდეც ტექნიკის გაუმჯობესება, ვასწავლოთ მუშათა რაზმებს ყუმბარების მასობრივი დამზადება, დავეხმაროთ მათ და ჩვენს მებრძოლ რაზმებს მოიმარაგონ ფეთქებადი ნივთიერება, საფალიები და ავტომატური თოფები“.[1]

მასების შეიარაღების ერთ-ერთ გზად კვლავ რჩებოდა საბრძოლო იარაღებისა და მასალების ადგილზე დამზადება, რის გამოც ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით ადგილებზე ეწყობოდა ფარული სახელოსნო-ლაბორატორიები, სადაც ამზადებდნენ ყუმბარებს, კაპსულებს, ვაზნებს, ფისტონებს, თოფის წამალს, ყუმბარისათვის საჭირო ფეთქებად ნივთიერებებს და სხვ.

კონსპირაციითა და ტექნიკური მოწყობით გამოირჩეოდა ის ფარული სახელოსნო-ლაბორატორია, რომელიც მოწყობილ იქნა 1905 წლის შემოდგომაზე თბილისში, ვერის რაიონში პეტრეს ქუჩაზე (ეხლანდელი კალინინის რაიონი გოგებაშვილის ქუჩის № 27-ში), მიხეილ სულხანიშვილის სახლში.

სახელოსნო მოწყობილ იქნა რსდმ პარტიის კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტის გადაწყვეტილებით, ძველი ბოლშევიკის, პროფესიონალი რევოლუციონერის ზაქარია ჩოდრიშვილის უშუალო ხელმძღვანელობით. სახელოსნოს მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ აგრეთვე მიხეილის შვილები— ნიკოლოზი და ვანო სულხანიშვილები.

ვერის უბნის სახელოსნო-ლაბორატორიის შესახებ გაზეთი „ლამპარი“ ოფიციალურ ცნობაში იუწყებოდა, რომ „მიხეილ სულხანოვის (იგივე მიხეილ სულხანიშვილი. **დ. მგელაძე**). სახლი... 5 ოთახისაგან შედგებოდა. ერთი ოთახი ვიღაც ახალგაზრდას ეჭირა. ამ ოთახს ქვის კედელი ჰქონდა, რომლის იქით 12 გოჯის მანძილზე ყუმბარები ეწყო და ლაბორატორია იყო გამართული. უკანა კედელს ამ ოთახისას უჯრები ჰქონდა მიდგმული, სადაც ყუმბარები ეწყო. აქედან ჭა იყო გაყვანილი ოთახის ქვემო სარდაფში, სადაც საიდუმლო პატარა კარი იყო გაკეთებული ოთახის საიდუმლო ნაწილში შესასვლელად“[1].

ამ სახელოსნოს შესახებ მიხეილ სულხანიშვილის შვილი მარო სულხანიშვილი-გაჩეჩილაძისა მოგვითხრობს, რომ რუსეთის პირველ რევოლუციაში მე პირადად არ მიმიღია უშუალო მონაწილეობა, მაგრამ ჩვენი ოჯახის წევრებიდან მამაჩემი მიხეილი და ჩემი ძმები ივანე, იოსები, ნიკოლოზი და სანდრო ჩაბმული იყვნენ რევოლუციურ მუშაობაში და ასრულებდნენ სხვადასხვა დავალებებს. მათ მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ ცნობილ რევოლუციონერებთან ზაქარია და მიხა ჩოდრიშვილებთან. აგრეთვე ჩვენს ოჯახში ხშირად მოდიოდნენ სხვა რევოლუციონერებიც. როდესაც ისინი ჩვენს ოჯახში შეიკრიბებოდნენ და გამართავდნენ ფარულ კრებას, მაშინ მე მავალებდნენ დავმდგარიყავი გარეთ, ქუჩაში თუ საეჭვო პიროვნებას შევნიშნავდი დაუყოვნებლივ უნდა მეცნობებინა მათთვის.

ჩვენი საცხოვრებელი სახლის იმ ოთახში, სადაც ფარული სახელოსნო იქნა მოწყობილი, წინათ ცხოვრობდა ქართველი ხელოსანი, სპეციალობით მკალავი. ის გარკვეული მოსაზრებით გადაყვანილი იქნა ჩვენს ეზოში სხვა ბინაში. ამ განთავისუფლებულ ოთახში ჩრდილოეთის მხარეზე ამოაშენეს აგურის ტიხარი, რომლითაც ოთახის პატარა ნაწილი, დაახლოებით მთელი ფართობის ერთი მეხუთედი, გამოყოფილი იქნა ფარული სახელოსნოსათვის, ხოლო ტიხარის კედელზე ოთახის მხრიდან კონსპირაციული მოსაზრებით დაკიდეს მეფე ნიკოლოზ II დიდი სურათი. შემდეგ ამ ოთახში შემოასახლეს ერთი ახალგაზრდა ქართველი კაცი, ვინმე ვანო კორინთელი. ჩემის აზრით კორინთელი იყო რევოლუციონერი, ყუმბარე-

[1]. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 11, გვ. 197.

[1] გაზ. „ლამპარი“. 1906 წ., 3 მაისი, № 12.

ბის დამზადების საქმის მცოდნე, რომელიც სპეციალურად დასახლდა აქ, მოაწყო ფარული სახელოსნო და შეუდგა ყუმბარების დამზადებას[1].

სულხანიშვილის სახლის მოპირდაპირე მხარეზე, დაახლოებით 25-30 მეტრის დაშორებით, იდგა ვინმე ალი ყული-ბაბანოვის საცხოვრებელი სახლი, რომლის ერთ ოთახში, როგორც მდგმურები ცხოვრობდნენ ძმები ვასილი და კონსტანტინე ბაიდუენკოები. როგორც შემდეგში ცნობილი გახდა, — მოგვითხრობს მარო სულხანიშვილი, — ბაიდუენკოები იყვნენ დაქირავებული ჯაშუშები და სწორედ მათ გასცეს სახელოსნოს საიდუმლოება. ოთახში ტიხარის ამოშენების, ტიხარის იქით საიდუმლო სახელოსნო-ლაბორატორიის მოწყობისა და ამ ბინაში კორინთელის შემოსახლების შემდეგ, ჩვენს ოჯახში ღამით ხშირად მოდიოდნენ სხვადასხვა უცნობი პირები, რომლებსაც კალათებით მოჰქონდათ ყუმბარების დამზადებისათვის საჭირო სხვადსხვა მასალები. „უცხო პირების ასეთმა ხშირმა მოძრაობამ, — წერს მარო სულხანიშვილი, — დააეჭვა მეზობლები ჩვენს ბინაში რაღაც საიდუმლო მუშაობის შესახებ. ეს ეჭვი განსაკუთრებით გაძლიერდა იმითაც, რომ ტიხარის ამოშენების შემდეგ ოთახი შესამჩნევად დაპატარავდა, რაც აშკარად შეამჩნია ამ ოთახში ადრე მცხოვრებმა ხელოსანმა მკალავმა და აგრეთვე გვერდით ოთახში მცხოვრებმა მეთუნუქე ხელოსანმა, რომლებიც ჩვენი ოჯახის წევრებთან საუბარში ხშირად გამოთქვამდნენ გაკვირვებას ოთახის ფართობის შემცირების გამო და არის სარწმუნო აზრი, რომ ამ გზით გაიგეს ეს ამბავი ბაბანოვის სახლში მცხოვრებმა ჯაშუშებმა და აცნობეს ამის შესახებ პოლიციის ორგანოებს“[2].

1906 წლის 29 აპრილს, ღამით, პოლიციელებმა და ჟანდარმებმა კაზაკთა რაზმთან ერთად ალყა შემოარტყეს არა მარტო სულხანიშვილების სახლს, არამედ მთელ დასახლებულ კვარტალს; დეტალურად გაჩხრიკეს სულხანიშვილის სახლი და განსაკუთრებით ის ოთახი, სადაც კორინთელი ცხოვრობდა. დაანგრიეს ტიხარი და აღმოაჩინეს პატარა ბნელი ოთახი, სადაც მოთავსებული იყო ფარული სახელოსნო და საწყობი.

სახელოსნოში იპოვეს 245 ცალი დამუხტული ყუმბარა, 720 ვაზნა, 1067 ფეთქებადი ფისტონი, ყუმბარის 1000 ცალი ფეთქებადი კაპ-

1 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი, ფ. 12799, აღწ. 2, საქ. 1517, ფურც. 60.

2 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფ. 12798, აღწ. 2, საქ. 1517, ფურც. 60-61.

სული, 35 გირვანქა დინამიტი, რამოდენიმე მეტრი პატრუქი და სხვადასხვა სახის სიმყაეები და ფეთქებადი მასალები.[1]

სახელოსნო-ლაბორატორიის აღმოჩენასთან დაკავშირებით დააპატიმრეს მიხეილ და ვანო სულხანიშვილები, ხოლო ყუმბარების დამზადებაზე მომუშავე კორინთელი ჩხრეკის დროს არ აღმოჩნდა ადგილზე და ამრიგად შემთხვევით გადაურჩა დაპატიმრებას. მალე დაპატიმრებულ იქნა აგრეთვე ნიკოლოზ სულხანიშვილიც. მიხეილ და ვანო სულხანიშვილები 1906 წლის ზაფხულში სამუდამოდ გადაასახლეს ციმბირში, სადაც გაატარეს დაახლოებით 10 წელი და დაბრუნდნენ გადასახლებიდან 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ, ხოლო ნიკოლოზ სულხანიშვილი გაგზავნილ იქნა როსტოვის საკატორღო საპყრობილეში, სადაც გარდაიცვალა მუცლის ტიფით 1911 წლის 22 ივნისს.

სახელოსნოს აღმოჩენიდან დაახლოებით 15 დღის შემდეგ, წითელრაზმელები შურისძიების მიზნით ღამით დაესხნენ თავს ბაბანოვის სახლში მცხოვრებ ჯაშუშებს და სასტიკად იძიეს შური მათ მიმართ. ამის შესახებ კავკასიის პოლიციის უფროსის მიერ მეფისნაცვლისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათში ნათქვამია, რომ 1906 წლის 15 მაისს, საღამოს 10 საათსა და 30 წუთზე პეტრეს ქუჩაზე მდებარე ბაბანოვის სახლში ბაიდუენკოების ბინაში შეიჭრა ოთხი ახალგაზრდა შეიარაღებული პირი და რამდენიმე გასროლით მძიმედ დაჭრეს ვასილ ბაიდუენკო, ხოლო მისი ძმა კონსტანტინე იქვე იქნა მოკლული. დაჭრილი მოთავსებულ იქნა მიხაილოვის საავადმყოფოში, სადაც გარდაიცვალა მეორე დღეს. თავდამსხმელები კი სწრაფად გაიქცნენ და მიიმალნენ გაურკვეველი მიმართულებით.[2]

პოლიციის ორგანოებმა თავდასხმაში მონაწილეობის შესახებ ეჭვი მიიტანეს მიხეილ სულხანიშვილის შვილზე იოსებ სულხანიშვილზე და ამ საბაბით დააპატიმრეს იგი. იოსები ვერაგულად იქნა მოკლული პოლიციელების მიერ ქუჩაში, ვითომდა გაქცევის ცდის გამო.

1905 წლის ბოლოს, პარტიის III ყრილობისა და რსდმ პარტიის კავკასიის კავშირის II კონფერენციის გადაწყვეტილების საფუძველზე თბილისში შეიქმნა სამხედრო-ტექნიკური ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბოლშევიკური პარტიის ძველი წევრი, პროფესიანალი რევოლუციონერი მიხო ბოჭორიძე. ამ ჯგუფის ამოცანა იყო საბრძოლო ტექნიკის — საბრძოლო იარაღებისა და მასალების დამზადების, აგრეთვე მეფის შეიარაღებული ძალების წინა-

1 გაზ. „ლამპარი“, 1906 წ. 3 მაისი, № 12.

2 საქართველოს სსრ ცსია, ფ. 83-ც, საქ. 189, ფურც. 33.

აღმდეგ ბრძოლის ხერხებისა და მეთოდების შესწავლა.

სამხედრო-ტექნიკური ჯგუფის წევრებმა დაიქირავეს სათანადო ბინა ფეთხაინის ქუჩაზე, აიყვანეს საბრძოლო ტექნიკის მცოდნე სპეციალისტი, შეიძინეს საჭირო ხელსაწყოები, სხვა და სხვა სახის ქიმიური ნივთიერებები და შეუდგნენ როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ მეცადინეობას; „სიძნელენი დაიწყო იმ მომენტიდან, — მოგვითხრობს ამ ჯგუფის წევრი ნინა ალაჯალოვა, — როცა ჩვენ შევუდექით ფეთქებად ნივთიერებათა სხვადასხვა გვარ ცდებს. ერთხელ ერთ-ერთი ასეთი ექსპერიმენტის დროს უცბად ამხ. მიხოს გაუფრთხილებლობის გამო, აფეთქდა რაღაც ხსნარი, რომელსაც იგი გულდასმით ლესდა მილისაში, გაისმა გუგუნი, მთელი ოთახი ბოლით გაივსო. ხმაურმა მიიქცია მეზობელთა ყურადღება, რომელნიც ამის შემდეგ კითხულობდნენ რას აკეთებს ამხანაგი, ვინ დაიარება მასთან და ა. შ.“[1]

ქიმიური ცდის დროს მომხდარი აფეთქების შემდეგ აღნიშნულ ბინაზე შეიქმნა საფრთხე სამხედრო-ტექნიკური ჯგუფის აღმოჩენისა, რის გამოც ჯგუფის წევრებმა გადაწყვიტეს გადასულიყვნენ კონსპირაციული თვალსაზრისით უფრო საიმედო ადგილას. ბოლოს არჩევანი შეაჩერეს ავლაბრის არალეგალური სტამბის შენობაზე, სადაც სტამბას ფაქტიურად შეწყვეტილი ჰქონდა მუშაობა.

ამრიგად, ჯგუფის წევრები 1906 წლის მარტის დასაწყისიდან გადავიდნენ ავლაბრის არალეგალურ სტამბის შენობაში, იქვე ერთ ოთახში მოაწყეს პატარა ფარული სახელოსნო-ლაბორატორია და შეუდგნენ ყუმბარებისა და ფეთქებადი მასალების დამზადებას.

1906 წლის დასაწყისიდან ჟანდარმერიისა და პოლიციის ორგანოებს უკვე ჰქონდათ არაზუსტი ცნობები ავლაბრის არალეგალური ბოლშევიკური სტამბის შესახებ, თუმცა მათ ჯერ კიდევ არაფერი არ იცოდნენ სტამბის შენობაში ყუმბარების და ფეთქებადი მასალების დამამზადებელი ფარული სახელოსნოს არსებობის შესახებ. მარტისა და აპრილის თვეებში სტამბის შენობისა და მასში მცხოვრები პირების მიმართ ჟანდარმერიისა და პოლიციის აგენტთა მეთვალყურეობა განსაკუთრებით გაძლიერდა.

1906 წლის 15 აპრილს, დილით ადრე სტამბის შენობას ალყა შემოარტყეს პოლიციის, ჟანდარმერიისა და სამხედრო ნაწილის გაერთიანებულმა რაზმმა. გაჩხრიკეს შენობა და სტამბასთან ერთად ერთ ოთახში აღმოაჩინეს ფარული სახელოსნო-ლაბორატორია. ამასთან დაკავშირებით კავკასიის პოლიციის უფროსი შინაგან საქმეთა მინისტრისადმი 1906 წლის 16 აპრილს გაგზავნილ დეპეშაში იტყობინებოდა: „მოგახსენებთ, რომ არალეგალური სტამბის გაჩხრეკისას, რაც ახლაც გრძელდება, აღმოჩენილია: ფეთქებად ნივთიერებათა ლაბორატორია, სამი გამზადებული ბომბი, მილისების გამოსაყვანი ყალიბები, სითხეები, მჟავა ბომბების გასამზადებლად, დინამიტი, ასაფეთქებლად გამზადებული დიდი ჭურვი ბიკფორდის ზონრით“[1].

ავლაბრის სტამბისა და ამ შენობაში არსებული ფარული სახელოსნო-ლაბორატორიის აღმოჩენას მოჰყვა გაძლიერებული ჩხრეკა და დაპატიმრებანი მთელ თბილისში. 15 აპრილს საღამოს დააპატიმრეს მიხო ბოჭორიძე, 16 აპრილს ნინო ალაჯალოვა, ხოლო 17 აპრილს — მიხა ცხაკაია და სხვები.

თბილისში ყუმბარებისა და საბრძოლო მასალების წარმოების კერების — ავლაბრისა და ვერის რაიონში სულხანიშვილის სახლში მოწყობილი სახელოსნო-ლაბორატორიების აღმოჩენისა და ლიკვიდაციის, ყუმბარებისა და სხვა საბრძოლო მასალების დამზადების საქმის მცოდნე სპეციალისტების დაპატიმრებისა და დევნის გამო, საგრძნობლად შემცირდა ხელყუმბარების რაოდენობა, რაც აუცილებელი იყო ცარიზმის წინააღმდეგ მორიგი შეიარაღებული აჯანყების მომზადების და ჩატარებისათვის. ყუმბარებისა და საბრძოლო მასალების დამზადების ფართო მასშტაბით გაშლისათვის საჭირო იყო საქმის ხელახალი ორგანიზაცია, ე. ი. ფეთქებადი მასალების შეგროვება, სათანადო სპეციალისტების გამოძებნა, ყუმბარების დამზადებისათვის ცოდნის შეძენა და სხვ. ეს საქმე პარტიამ დაავალა კარგ კონსპირატორსა და ორგანიზატორს კამოს. ამ საქმესთან დაკავშირებით საჭირო გახდა მისი პეტერბურგში გამგზავრება. კამო, რომელიც მეფის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისათვის ცნობილი იყო, როგორც საშიში რევოლუციონერი, იმყოფებოდა ჟანდარმერიის მუდმივ მეთვალყურეობაში. ამიტომ საჭირო იყო განსაკუთრებული სიფრთხილე და პეტერბურგში გამგზავრების კონსპირაციის მტკიცედ დაცვა. ამისათვის „კამოს უშოვეს თავად კოკი დადიანის ნამდვილი პასპორტი და ბრწყინვალე თავადის ტანსაცმელში გამოწყობილი იგი მშვიდობიანად ჩავიდა პეტერბურგში. აქ მაშინ რუსეთის ყოველ კუთხიდან ჩამოდიოდნენ ამხანაგები... სამხედრო-ტექნიკურ დარგში მითითების მისაღებად ჩამოსულნი ხვდებოდნენ ლეონიდ კრასინს (ნიკიტიჩს), რომელიც ამ დროს ცენტრალური კომიტეტის შე-

1. ავლაბრის არალეგალური სტამბა, მასალებისა და დოკუმენტების კრებული, 1955 წ. გვ. 59—60.

1. ავლაბრის არალეგალური სტამბა, მასალებისა და დოკუმენტების კრებული, 1955 წ., გვ. 74.

მადგენლობაში შედიოდა და მტკიცე ბოლშევიკურ პოზიციაზე იდგა“.[1] კამო პეტერბურგში დარჩა ერთ თვეს. ის გულდასმით მეცადინეობდა ტექნოლოგიური ინსტიტუტის ლაბორატორიაში და განსაკუთრებული მონდომებით სწავლობდა ყუმბარებისა და სხვადასხვა სახის ფეთქებადი ნივთიერების დამზადებას; აგრეთვე იგი მიხო ბოჭორიძესა და სხვა პარტიულ ამხანაგებთან ერთად ამზადებდა საომარი იარაღებისა და ფეთქებადი მასალების დიდ პარტიას საქართველოში გამოსაგზავნად.

1907 წლის თებერვლის შუა რიცხვებში კამო დაბრუნდა პეტერბურგიდან თბილისში და თან ჩამოიტანა ყუმბარები და დიდძალი ფეთქებადი მასალა.

1907 წლის მარტის დასაწყისში თბილისის მახლობლად, სოფელ ავჭალაში, მარიამ მაისურაძის ბაღში მდგომ პატარა შენობის ერთ ოთახში, კამოს ხელმძღვანელობით მოწყობილ იქნა ყუმბარებისა და ფეთქებადი მასალების დამამზადებული პატარა ფარული სახელოსნო-ლაბორატორია. სახელოსნოში სადაც კამოსთან ერთად მუშაობდა ილიკო ჰაჭიაშვილი, ამზადებდნენ ყუმბარებისათვის საჭირო ფეთქებად მასალებს, აწარმოებდნენ ყუმბარების დამუხტვას და სხვა.

ავჭალიდან დამზადებული ყუმბარები გადმოქონდათ თბილისში, სოლოლაკის რაიონში და ინახავდნენ სახელმწიფო ბანკის მახლობლად, ამ საქმისათვის სპეციალურად დაქირავებულ ოთახში. ამ ოთახში კამო და მის ხელმძღვანელობაში მყოფი მებრძოლი ჯგუფის წევრები გეგმავდნენ და ამზადებდნენ თავდასხმას სახელმწიფო ბანკის მოლარე კურიდიუმოვზე, ფულის გატაცების მიზნით.

ავჭალის სახელოსნოდან თბილისში ყუმბარების გადმოზიდვის საქმეში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა კამოს უმცროსი და გიმნაზიის მოსწავლე არუსიაკი. ამის შესახებ ერთ-ერთ საისტორიო წყაროში ნათქვამია: „ერევნის მოედანზე თავდასხმის დროს გამოყენებული ყუმბარები დამზადებული იყო კამოს მიერ მოწყობილ ლაბორატორიაში და წინასწარ მომარაგებული საიმედო ადგილას. ყუმბარების გადმოზიდვაში ენერგიული მონაწილეობა მიიღო კამოს დამ არუსიაკამ.... არუსიაკას ყუმბარები და სხვა გადაჰქონდა კამოს ხელმძღვანელობით თავის საწიგნეთი და უკეთუ დაიჭერდნენ, უნდა ეთქვა რომ ქუჩაში ვიპოვნე და არ ვიცი რა არისო“.[2]

1907 წლის 10 მაისს, სახელოსნოში, ყუმბარების დამზადებაზე მუშაობის დროს, ტექნიკური წესების დარღვევის გამო, მოხდა ყუმბარის აფეთქება, რის შედეგადაც კამოს დაუზიანდა მარჯვენა ხელი და მკლავი. იგი დროებით მოწყდა სახელოსნოში მუშაობას და მკურნალობდა კერძო საავადმყოფოში .აქ კამოს ფარულად მკურნალობდნენ პროგრესულად განწყობილი ოკულისტი ვახტანგ მუსხელიშვილი და ექიმი სობოლევსკი. კამო სამი კვირის მკურნალობის შემდეგ კვლავ დაბრუნდა სახელოსნოში და მიუხედავად ჭრილობებით გამოწვეული მწვავე ტკივილებისა ისევ განაგრძობდა მუშაობას ყუმბარის დამზადებაზე.[1]

ავჭალის ფარულმა სახელოსნო-ლაბორატორიამ იარსება დახალოებით 10 თვე, აღმოჩენილ და ლიკვიდირებულ იქნა პოლიციის ორგანოების მიერ 1907 წლის შემოდგომაზე.

1907 წლის დასაწყისში, თბილისში, ორთაჭალის რაიონში, ბერძნის ქუჩის № 5-ში (ცხლანდელი კიროვის რაიონის II ნადიკვარის ქ. № 5) რსდმ პარტიის თბილისის კომიტეტის გადაწყვეტილებით მოეწყო ფარული სახელოსნო-ლაბორატორია. ამ სახელოსნოს შესახებ რუსეთის პირველი რევოლუციის მონაწილე ნიკოლოზ ქოთოლაშვილი მოგვითხრობს: რევოლუციის პერიოდში ვცხოვრობდი ყოფილი ბერძნის ქუჩის № 13-ში, ვმუშაობდი ადელხანოვის ტყავის ფაბრიკაში და ვღებულობდი მონაწილეობას რევოლუციურ მოძრაობაში. ჩემს მეზობლად ბერძნის ქუჩის № 5-ში ცხოვრობდა ერთი მოქალაქე, ეროვნებით ბერძენი, რომელსაც ჰქონდა საკუთარი ორსართულიანი სახლი რამოდენიმე ოთახით. ამ სახლის მეორე სართულის ორი პატარა ოთახი 1906 წლის ბოლოს დაიქირავა ნიკოლოზ იორდანიშვილმა, რომელიც იყო სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი და საკმაოდ განათლებული პიროვნება. რსდმ პარტიის თბილისის კომიტეტის დავალებით მან ერთ ოთახში მოაწყო ყუმბარებისა და სხვადასხვა სახის საბრძოლო მასალების დამამზადებელი ფარული სახელოსნო-ლაბორატორია. ეს სახელოსნო ყუმბარების ფორმებს ღებულობდა ამიერ კავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებიდან, სადაც სწარმოებდა მათი ჩამოსხმა ფარულად და რომელიც შემდეგ ყუმბარების ფორმებს აწვდიდა სხვადასხვა ადგილებში მომქმედ ფარულ სახელოსნოებს.

---

1. რ. იმნაიშვილი, კამო ბიოგრაფიული ნარკვევი, 1955 წ. გვ. 40.

2 ჟურნ. „რევოლუციის მატიანე“, 1924 წ. № 2-3 გვ. 273.

1 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი, ფ. 17798, აღ. 2. საქ 1197, ფურც. 3—4.

ყუმბარის დასამუხტავად საჭირო ქიმიურ ნივთიერებებს თვითონ იორდანიშვილი იძენდა ქალაქის სხვადასხვა სააფთიაქო და სავაჭრო მაღაზიებში.

სახელოსნოში, სადაც მხოლოდ თვითონ იორდანიშვილი, მუშაობდა, მიმდინარეობდა ქიმიური ნივთიერებების შეზავების გზით ყუმბარისათვის საჭირო ფეთქებადი მასალების მომზადება და ყუმბარების ფორმების დამუხტვა. ორთაჭალის ფარულმა სახელოსნო-ლაბორატორიამ იარსება დაახლოებით სამი თვე და აღმოჩენილი იქნა პოლიციის ორგანოების მიერ 1907 წლის 5 აპრილს. ამის შესახებ კავკასიის პოლიციის სამმართველოს განსაკუთრებული განყოფილება 1907 წლის 9 აპრილს პოლიციის დეპარტამენტს პეტერბურგში ატყობინებდა: 1907 წლის „30 მარტს თბილისის დაცვის განყოფილებამ თავის საგენტოსაგან მიიღო ცნობა, რომ მიღწეულია შეთანხმება სოციალ-დემოკრატიულ კომიტეტსა და იორდანოვს (იგივე იორდანიშვილი — დ. მგელაძე) შორის მის ბინაში ფარული ლაბორატორიის მოწყობისა და ფეთქებადი ჭურვების დამზადების შესახებ რის გამოც თბილისის დაცვის განყოფილების უფროსის მიერ ორთაჭალაში გაიგზავნენ აგენტები და პოლიციის რაზმი, რომლებსაც მიეცათ დავალება, რომ გარს შემორტყმოდნენ იორდანოვის ბინას, ძირფესვიანად გაეჩხრიკათ იგი და დაეპატიმრებინათ ბინაში მყოფი ყველა პირები. ჩხრეკა „ორთაჭალაში" ჩატარდა როგორც თვით იორდანოვის სახლში, რომელიც შედგება 8 ოთახისა და 2 სათავსოსაგან, ისე ამ სახლის მეზობელ ბინებშიც".[1]

ჩხრეკის შედეგად პოლიციამ აღმოაჩინა იორდანიშვილის ბინის ერთ ოთახში პატარა სახელოსნო-ლაბორატორია, სადაც ნაპოვნი იქნა: სახელოსნოსათვის საჭირო იარაღები, სხვადასხვა ზომის მინის მილები, თეთრი თუნუქის ფურცლები, დინამიტით დამუხტული მუყაოს ცილინდრისებური მილები, ფოლადის პატარა ხერხი, გოგირდის ფხვნილი, 11 ცალი დამუხტული ყუმბარა, ნიშადურის სპირტი, პატარა სასწორი გირებით, სხვა და სხვა სახის ზეთით სავსე მინის შუშები, ფისტონები, სიმჟავის სითხე, წებო, ნახევარი გირვანქა დინამიტი და ოთხი გირვანქა თოფის წამლის ფხვნილი.[2]

ჩხრეკის დროს იქვე დააპატიმრეს იორდანიშვილი და მოათავსეს მეტეხის ციხეში. 1907 წლის ზაფხულში ის გაასამართლეს და მიუსაჯეს 10 წლით გადასახლება ციმბირში. გარდაიცვალა გზაში, გადასახლებაში გაგზავნის დროს.

ამრიგად, რუსეთის პირველი რევოლუციის უკანდახევის პერიოდში, 1906-1907 წლებში, საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები დიდ მუშაობას ეწეოდნენ ცარიზმის წინააღმდეგ მორიგი შეიარაღებული აჯანყების მომზადებისა და ჩატარებისათვის, რისთვისაც ქმნიდნენ ფარულ სახელოსნო-ლაბორატორიებს, სადაც დამზადებული ყუმბარები და სხვა საბრძოლო მასალები გარკვეულ როლს თამაშობდნენ მასების შეიარაღების საქმეში.

---

[1] ЦГИАМ, ДПОО, 1907 год, д. 5, ч. 61, л. 43—44.

[2] Там же, л. 44.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმონ ციცქიშვილი,
გიორგი ხორგუაშვილი

# პლატონ იაშვილი და მისი რაზმი

1919 წლის 9 იანვარს, ხუთშაბათს, ვაგანკოვის სასაფლაოზე მოსკოვში, ხალხის ტევა აღარ იყო. გაისმოდა პარტიულ, საბჭოთა და სამხედრო მოღვაწეთა მღელვარე, გულის ამათრთოლებელი სიტყვები. დროდადრო ჩამოვარდნილ სიჩუმეს ჯარისკაცთა გულამოსკვნილი ქვითინი არღვევდა. ისინი დასტიროდნენ დაუვიწყარ მეგობარს; საყვარელი ადამიანის ცხედარი დიდი სამხედრო პატივით მიაბარეს სამარეს.

1919 წლის 10 იანვარს, პარასკევს, გაზეთი „პრავდა“ წერდა: „გუშინ ვაგანკოვის სასაფლაოზე სამხედრო პატივით დაკრძალეს რაზმის უფროსი ამხ. იაშვილი, რომელმაც სახელი მოიხვეჭა მთელი რიგი არაჩვეულებრივად მამაცური, ზღაპრული... საბრძოლო საქმეებით. იაშვილის სახელი ძრწოლას ჰგვრიდა ბანდიტებს... მან არ იცოდა შიში, არ იცოდა დაბრკოლებები. ერთი, — ათეულის წინააღმდეგ, ათეული მამაცით ასეული მტრის წინააღმდეგ; სწრაფი — როგორც არწივი, ასეთი იყო ამხ. იაშვილი. არაჩვეულებრივმა, იშვიათმა პატიოსნებამ და მზრუნველობამ იგი რაზმის საყვარელი ადამიანი გახდა. აი, რატომ დასტიროდნენ ჯარისკაცები, როცა მას, თავიანთ ამხანაგს, სამარეს აბარებდნენ. ჯარისკაცები მას არასოდეს არ დაივიწყებენ და დარჩებიან იმ საქმის ბოლომდე ერთგულნი, რისთვისაც მოკვდა ამხ. იაშვილი“.

ეს ნეკროლოგი ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს გამოჩენილმა მოღვაწემ ემ. იაროსლავსკიმ დაწერა. მაშინ ის მოსკოვის სამხედრო ოლქის პოლიტიკურ კომისრად მუშაობდა.

1919 წლის 15 იანვარს იაშვილის რაზმის პოლიტიკური კომისარი ა. ტორგოვანოვი გაზეთ „იზვესტიაში“, სათაურით — „სამარადისო დიდება გმირს“, წერდა: „9 იანვარს ვაგანკოვის სასაფლაოზე დაკრძალული იქნა ვოლოჩანსკში, სამხრეთის ფრონტზე დაღუპული პროლეტარული რევოლუციის ერთგული ჯარისკაცი, მებრძოლი რაზმის უფროსი პლატონ ივანეს ძე იაშვილი... აღარა გვყავს რკინის კაცი. მისი სხეული დასერილია ათეული ჭრილობებით, რომლებიც მიიღო ჯერ კიდევ ჩეხოსლოვაკებთან და თეთრგვარდიელებთან ბრძოლაში ვოლგისპირეთში. ერთგულ არწივთა მცირე რაზმით იგი ანადგურებდა ხუთჯერ მეტ მოწინააღმდეგეს. მისი მოკვლისათვის თეთრებს ჯილდო ჰქონდათ დაწესებული.

იაშვილი იყო გასაოცრად მკაცრი და იმავე დროს კეთილი ადამიანი. ყველა ჯურის ბანდიტებს ეშინოდათ მისი რაზმისა, როგორც ჩადენილი ბოროტებისათვის სასტიკად დამსჯელისა.

სამარადისო ხსოვნა რევოლუციის ჭეშმარიტ პროლეტარულ გმირს“.

იაშვილისა და მისი რაზმის შესახებ ჩვენ საინტერესო მასალები აღმოვაჩინეთ არქივებში; ზოგი რამ პერიოდული პრესიდან, ზოგი კი იაშვილის რაზმის მონაწილეებისა და ნაცნობ-ნათესავებისაგან შევიტყვეთ.

საბჭოთა შეიარაღებული ძალების მუზეუმში ინახება ხელის მანქანაზე ნაბეჭდი სამი გვერდისაგან შემდგარი დოკუმენტი სათაურით: „ამხ. იაშვილის განსაკუთრებული დანიშნულების მოსკოვის მფრინავი პარტიზანული რაზმის მოკლე ისტორია“. ის შედგენილია რაზმის 10 მონაწილის მიერ. ამ დოკუმენტმა ჩვენ დიდი დახმარება გაგვიწია.

პ. ი. იაშვილი განსახიერება იყო რევოლუციის ერთგულების, უშიშროების, მამაცობის, სინდისისა და პატიოსნების. ამ იშვიათი ადამიანის, „ჭეშმარიტად პროლეტარული გმირის“, „რკინის კაცის“, „არაჩვეულებრივად

მამაცური, ზღაპრული საქმეების“ შესახებ მოკლედ მოთხრობილია ამ ნარკვევში.

***

პლატონ ივანეს ძე იაშვილი დაიბადა გორის მაზრის სოფელ მეტეხში 1886 წელს, აზნაურის ოჯახში. მისი მშობლები, ივანე იაშვილი და მართა ბოჭორაძე, ღარიბები იყვნენ. მათ ჰყავდათ 5 შვილი: ალექსანდრე, საჩინო, პლატონი, ვიქტორია და ივლიტა.

სასკოლო ასაკს რომ მიაღწია, პლატონი მშობლებმა თბილისის საქალაქო სასწავლებელში მიაბარეს. ის წარჩინებით სწავლობდა და მუსიკაშიც მეცადინეობდა.

საზაფხულო არდადეგებს პლატონი ატარებდა თავის მშობლებთან, სოფ. მეტეხში. ის ბავშვობიდანვე მიაჩვიეს შრომას. უყვარდა ტოლამხანაგებში გართობაც. მღეროდა და უკრავდა კარგად. თამაშობდა წრე-ლახტას, გაკვრა-ბურთს, დავლა-ბურთს, ჩილიკაობას, სალაობას და ომობანას. კარგად იცოდა ცურვა. მდინარეში ზამთრობითაც ბანაობდა. უყვარდა თევზაობა. ამხანაგები მეტსახელად „წყლის ჭუჭულს“ ეძახდნენ. პლატონი მეტად მაგარი აგებულების იყო.

როცა გაიზარდა, უფროსმა ძმამ, ალექსანდრემ (ცნობილმა რევოლუციონერმა) სტამბაში დააწყებინა მუშაობა. 1909 წელს პლატონი ქ. ბაქოში გადავიდა და მუშაობა დაიწყო რკინიგზაზე. 1913 წელს გაიწვიეს მეფის არმიაში. სამხედრო ნაწილი, რომელშიც ის იმყოფებოდა ქ. მოსკოვში იდგა. 1914 წელს პლატონი პირველი მსოფლიო ომის ფრონტზე გაგზავნეს; მონაწილეობდა ავსტრიისა და გერმანიის ჯარების წინააღმდეგ ბრძოლებში. 1915 წელს ის ქ. კელცშია.

მსოფლიო იმპერიალისტურმა ომმა სახალხო მეურნეობის ნგრევა გამოიწვია. მან მშრომელებს მოუტანა სიძვირე, შიმშილი და აურაცხელი მსხვერპლი. მეფის არმია დამარცხებას დამარცხებაზე განიცდიდა. ბოლშევიკების პარტია ომის წინააღმდეგ გამოდიოდა. ვ. ი. ლენინმა წამოაყენა ლოზუნგები იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის, და ომში მეფის მთავრობის დამარცხებისა. პარტია რაზმავდა მასებს თვითმპყრობელობის დამხობისა და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებისათვის, მიუხედავად თვითმპყრობელობის მხრით სასტიკი დევნისა, ბოლშევიკებმა დიდი რევოლუციური მუშაობა გააჩაღეს არმიასა და ფლოტში. ისინი ჯარისკაცებს მოუწოდებდნენ უარი ეთქვათ ბრძოლაზე და მოეწყოთ დაძმობილება მოწინააღმდეგესთან. ბოლშევიკების რევოლუციური მუშაობის შედეგად უკვე 1914 წლის ბოლოს იჩინა თავი ჯარისკაცების მიერ ბრძოლაზე უარის თქმისა და დაძმობილების შემთხვევებმა. 1916 წლიდან ამ მოვლენამ მასიური ხასიათი მიიღო.

პ. იაშვილი მძარცველური, იმპერიალისტური ომის წინააღმდეგი იყო. თავის დას, ივლიტას, 1915 წელს მან ფრონტიდან გამოუგზავნა სურათი, რომელზედაც პლატონი გამოსახულია წვერმოშვებული, გაბურძგნილი. სურათის ქვემოთ პლატონის ხელით წარწერილია: „აი, რა მოგვიტანა 1915 წელმა“. თუ მხედველობაში მივიღებთ მაშინდელ ცენზურულ პირობებს, ჩვენთვის ნათელი გახდება პლატონის დამოკიდებულება ომისადმი. 1916 წლის ბოლოს იაშვილი სტოვებს ფრონტს და მიდის მოსკოვში. მალე თებერვლის რევოლუციაც მოხდა. რევოლუციის შემდეგ ის დანიშნული იქნა პრაპორშჩიკების მოსკოვის პირველი სკოლის კომისრად. 1917 წელს იაშვილი კომუნისტური პარტიის რიგებში შევიდა.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ შექმნილმა დროებითმა ბურჟუაზიულ-მემამულურმა მთავრობამ არ დააკმაყოფილა მშრომელი მასების სასიცოცხლო მოთხოვნები. მან განაგრძო მძარცველური ომი და არ მისცა ხალხს მშვიდობა; გლეხებმა ვერ მიიღეს მიწა; ხალხმა ვერ მიიღო პური და თავისუფლება. საჭირო გახდა სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლა და დროებითი მთავრობის დამხობა.

ამზადებდა რა სოციალისტურ რევოლუციას ბოლშევიკების პარტია, ვ. ი. ლენინის რჩევის მიხედვით, ქმნიდა რევოლუციის არმიას. აწყობდა მშრომელთა შეიარაღებული რაზმებს, რომლებსაც სათავეში უყენებდნენ რევოლუციის ერთგულ და მტკიცე ნებისყოფის ადამიანებს. მოსკოვის ერთ-ერთ შეიარაღებულ რაზმს სათავეში პ. იაშვილი ჩაუყენეს.

1917 წლის 24 ოქტომბერს, საღამოს, პეტროგრადში ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით მუშათა და ჯარისკაცთა შეიარაღებული აჯანყება დაიწყო. 25 ოქტომბერს სატახტო ქალაქში სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა; ბურჟუაზიულ-მემამულური დროებითი მთავრობა დაამხეს და საბჭოთა ხელისუფლება დაამყარეს.

რუსეთის სოციალისტური რევოლუციის ბედისათვის პეტროგრადის შემდეგ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა შეიარაღებული აჯანყების გამარჯვებას ქ. მოსკოვში. ბოლშევიკების სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა მოსკოვში შეცდომა დაუშვა და რევოლუციური ძალები დროულად არ გადაიყვანა გადამწყვეტ შეტევაზე. დაყოვნებით ისარგებლა კონტრრევოლუციამ, რომელსაც სათავეში ედგა ე. წ. „საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტი“. მან მოასწრო ძალების მობილიზაცია. პირველი შეიარაღებული შეტაკება რევოლუციისა და კონტრ-

რევოლუციის ძალებს შორის მოსკოვში მოხდა 27 ოქტომბრის საღამოს. 28 ოქტომბერს კონტრრევოლუციამ ხელში ჩაიგდო კრემლი და გააჩაღა სამოქალაქო ომი. ბრძოლა მოსკოვის ქუჩებში 6 დღე-ღამეს გაგრძელდა.

მოსკოვში შეიარაღებული აჯანყების გამარჯვების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ტვერის ბულვართან მდებარე ქალაქის მმართველობის სასახლის დაკავებას. იქ თავმოყრილი იყო კონტრრევოლუციის დიდი შეიარაღებული ძალები. კონტრრევოლუციის ამ ბუნაგის გასანადგურებლად რევოლუციურმა კომიტეტმა შექმნა სპეციალური დანიშნულების გაერთიანებული რაზმი პ. იაშვილის მეთაურობით.

1917 წლის 29 ოქტომბერს მოსკოვის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის შეიარაღებული რაზმები კონტრრევოლუციის წინააღმდეგ საერთო შეტევაზე გადავიდნენ. პ. იაშვილის რაზმი უტევდა ტვერის ბულვარის მიმართულებით გნეზდნიკოვის დიდი და პატარა შესახვევებიდან ქალაქის მმართველობის სასახლის დაკავება გაძნელდა. ნიკიტსკის ჭიშკრის მხრიდან იუნკრებმა ძლიერი ცეცხლი გახსნეს. იაშვილის რაზმელებმა მახლობელი დიდი შენობის კოშკურაზე ტყვიამფრქვევი აიტანეს და ქალაქის მმართველობის სასახლეს ტყვია სეტყვასავით დააყარეს, სტრასტნოის მოედნიდან კი მას ზარბაზნის ყუმბარები დაუშინეს. რაზმის დანარჩენმა ნაწილმა სასახლე იერიშით აიღო და 200 იუნკერი დაატყვევა; ისინი ქალაქის საბჭოს ჩააბარეს. იაშვილის რაზმმა ბრძოლით წაიწია ნიკიტსკის ჭიშკრისაკენ, სადაც გამაგრებული იყვნენ იუნკრების სხვა ძალები. ბრძოლა 29 ოქტომბრის ღამის 12 საათამდე გაგრძელდა. ამ დროიდან კი სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა მოწინააღმდეგესთან მოლაპარაკება გამართა და მთელს მოსკოვში დროებითი ზავი გამოაცხადა.

31 ოქტომბერს, ღამის 12 საათზე, ბრძოლა განახლდა; იაშვილის რაზმი შეტევაზე გადავიდა. ახლა მის წინაშე იდგა ამოცანა — ტვერის ბულვარის ბოლოს დაეკავებინა გაგარინის სახლი, საიდანაც იუნკრები ტყვიამფრქვევის ძლიერ ცეცხლს უშენდნენ. გაგარინის სახლი აღებული იქნა იერიშით. იუნკერთა ნაწილი ტყვედ დანებდა, ნაწილმა კი უკან დაიხია. იაშვილმა რაზმის ნაწილი გაგარინის სახლის პირველ სართულზე მოათავსა, ნაწილი კი 2 ტყვიამფრქვევით სახლის ზემო სართულში. უკანდახეული იუნკრები ნიკიტსკის დიდ შესახვევში მდებარე სახლებში გამაგრდნენ და იაშვილის რაზმს, გაგარინის სახლში, ტყვიამფრქვევების ძლიერი ცეცხლი გაუხსნეს. დიდი მსხვერპლის მიუხედავად რაზმმა შესძლო დაკავებული **პოზიციის შენარჩუნება.**

**1 ნოემბერს დილით,** გაურკვეველი მიზეზით, გაგარინის სახლს ხანძარი გაუჩნდა. ამით ისარგებლეს იუნკრებმა და ჭარბი ძალებით შეტევაზე გადავიდნენ. იაშვილის რაზმი პოზიციას გმირულად იცავდა. რამდენჯერმე გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა დასახმარებლად 100 კაციანი რაზმი გაგზავნა. ბრძოლა 2 ნოემბრის გვიან საღამომდე გაგრძელდა. ღამით კონტრრევოლუციის ძალებმა მოსკოვში კაპიტულაცია მოახდინეს. 3 ნოემბერს დილით გაწმენდილი იქნა კრემლი; მოსკოვში სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა.

საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში რეორგანიზებული იქნენ ძველი სამხედრო ოლქებიც. მოსკოვის სამხედრო ოლქის რეორგანიზაცია მოხდა 1917 წლის დეკემბერში; ჩამოყალიბდა ოლქის ახალი, საბჭოთა შტაბი. მოსკოვის სამხედრო ოლქის შემადგენლობაში შედიოდნენ: მოსკოვის, ვლადიმირის, ტვერის, იაროსლავის, კოსტრომის, ნიჟეგოროდის, ვორონეჟის, ტულის, ორლოვის, სმოლენსკის, რიაზანის, კალუგისა და ტამბოვის გუბერნიები. მოსკოვის სამხედრო ოლქის პოლიტიკურ კომისრად დანიშნული იქნა გამოჩენილი ბოლშევიკი ემ. იაროსლავსკი. ჩამოყალიბებული იქნა მოსკოვის სამხედრო ოლქის შტაბის განსაკუთრებული დანიშნულების მფრინავი რაზმი. რაზმის უფროსად დანიშნული იქნა პ. იაშვილი. მის მოადგილედ და რაზმის შტაბის უფროსად მ. კაზაკოვი, რაზმის პოლიტიკურ კომისრად ა. ტორგოვანოვი. დოკუმენტებში ეს რაზმი ხშირად იხსენიება როგორც „ამხ. იაშვილის რაზმი". მისი დაკომპლექტება დიდი სიფრთხილით ხდებოდა. მასში ღებულობდნენ საბჭოთა ხელისუფლების ერთგულ ადამიანებს. რაზმში შესვლისათვის საჭირო იყო წერილობითი რეკომენდაცია და სპეციალური ანკეტის შევსება. დოკუმენტები დგებოდა სამ ეგზემპლარად; ერთი იგზავნებოდა საატესტაციო განყოფილებაში, მეორე — სამხედრო კონტროლში, მესამე კი სამხედრო ოლქის კომისართან[1]. რაზმში მიღებული იქნა ბევრი იმათგანი, რომლებმაც თავი ისახელეს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში.

პ. იაშვილი დაჯილდოებული იყო ადამიანის შინაგანი ბუნების და პოლიტიკური განწყობილების გამოცნობის არაჩვეულებრივი უნარით. მას არ შეეძლო ორგულებისა და მშიშრების მოთმენა რაზმში; ასეთები მასში არც იყვნენ. იაშვილი წინასწარ აფრთხილებდა რაზმში შემსვლელებს, რომ ესაჭიროება მხოლოდ ისეთი ადამიანები, რომლებიც იბრძოლებენ სიცოცხლის დაუზოგავად. „დაე, იყოს ცოტა და კარგი!" — იტყოდა ხოლმე ის. იაშვილმა რაზმში რკინისებური დისციპლინა დაამყარა, რამაც განაპი-

---

[1] საბჭოთა არმიის ცენტრალური არქივი, ფონდი 25883, აღწერილობა 8, საქმე 177, ფურცელი 1.

რობა რაზმის მონოლითობა და ბრძოლის დიდი უნარიანობა. ემ. იაროსლავსკი იაშვილის რაზმის შესახებ წერდა: „ის იყო ძალიან მამაცი რაზმი, რომელმაც ჩაატარა უაღრესად გაბედული ოპერაციები“[1].

საბჭოთა მთავრობა ამ რაზმს იყენებდა როგორც ზურგში, კონტრრევოლუციური შეთქმულებისა და აჯანყების სალიკვიდაციოდ, ისე ფრონტზე.

შემადგენლობით იაშვილის რაზმი ინტერნაციონალური იყო. მაგრამ მის ძირითად კონტინგენტს შეადგენდნენ რუსი და ქართველი რევოლუციონერები. ქართველი რევოლუციონერებიდან სხვადასხვა დროს იაშვილის რაზმში მონაწილობდნენ: მიხეილ აბრამიშვილი; ალექსანდრე, ექვთიმე, კონსტანტინე, მექი, ნესტორ და რუბენ ასათიანები; გიორგი, იასონ და იოსებ ახვლედიანები; პლატონ ბუაძე (ოცეულის მეთაური); მათე და სეფე გაბიჩვაძეები; ლადო და ერმილე გელაშვილები; ნიკოლოზ გერაძე; დომენტი და კიმოთე გოგიბერიშვილები, ამბროსი გოცირიძე; ერმილე და კალენიკე ერქომაიშვილები; ვასო იაშვილი; რაჟდენ იმედაშვილი; ამბაკო კაციტაძე; მათე კერვალიშვილი; ალექსანდრე, ამბაკო, ილარიონ, მიხეილ და ონისიმე ლებანიძეები; ბენედიქტე მახარაშვილი; თეოფილე სირბილაძე; არჩილ ულუმბეგაშვილი; ისიდორე ურუშაძე (ჯერ ოცეულის მეთაური, შემდეგ რაზმის უფროსის მოადგილე); ვასილ ქებაძე; ვარლამ ქებულაძე; იოსებ ქელბაქიანი; შალვა ყიფიანი; დავით ჩეჩელაშვილი; კონსტანტინე და რაჟდენ ჭეიშვილები; გიორგი ჭიჭინაძე; ვიქტორ, ილია და ნიკოლოზ ჯაფარიძეები; გიორგი ჯმუხაძე და სხვები.

რაზმში დიდი როლი შეასრულა ნინო კონსტანტინეს ასულმა იაშვილმა. ის აწარმოებდა რაზმის მომარაგებას, ახდენდა მტრის დაზვერვას;

არისტოკრატი ქალის სამოსში გადაცმულმა მან მრავალჯერ გააცურა მტერი. გამოჩენილი სამხედრო მოღვაწე პ. ე. დიბენკო აღნიშნავდა, რომ ნინო იაშვილი „იყო გამოჩენილი მუშაკი“, „მუშაობდა რაზმში სამოქალაქო ომის სამხრეთის ფრონტზე უაღრესად საპასუხისმგებლო ადგილებზე... თავისი ჯანმრთელობა მან დაკარგა ფრონტზე...“[2].

იაშვილის რაზმის შტაბი იმყოფებოდა რაზდვიჟენსკაიას ქუჩაზე მოსკოვში. შტაბის ბინაში ცხოვრობდა თვით იაშვილიც.

პეტროგრადსა და მოსკოვში შეიარაღებული აჯანყების გამარჯვების შემდეგ მოძმე უკრაინის მშრომელებმა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ახალი ძალით გააჩაღეს ბრძოლა ბურჟუაზიულ-მემამულური ცენტრალური რადის ძალაუფლების დამხობისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის. ამ ბრძოლამ მწვავე ხასიათი მიიღო და 1918 წლის თებერვლამდე გაჭიანურდა. მოძმე რუსმა ხალხმა დახმარება გაუწია უკრაინის მშრომელებს საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში. რუსეთიდან გაიგზავნა რევოლუციური რაზმები ვ. ა. ანტონოვ-ოვსეენკოს საერთო სარდლობით. მოსკოვიდან მოძმე უკრაინელი ხალხის დასახმარებლად გაიგზავნა იაშვილის რაზმიც. 1917 წლის 9 დეკემბერს ადგილობრივმა წითელმა გვარდიამ და რუსეთიდან მისულმა რაზმებმა ქ. ხარკოვის მთავარი პუნქტები დაიკავეს. 10 დეკემბერს განაიარაღეს ჯავშანდივიზიონი, დეკემბრის ბოლოს კი ჩიგირინსკისა და უკრაინის მეორე პოლკი. ძალაუფლება ხარკოვში საბჭოების ხელში გადავიდა. ხარკოვი გადაიქცა საბჭოთა ხელისუფლების ბრძოლის ბაზად მთელს უკრაინაში.

იაშვილის რაზმმა ხარკოვის რაიონი კონტრრევოლუციური ჯგუფებისაგან გაწმინდა. 1917 წლის 15 დეკემბერს მან მონაწილეობა მიიღო ქ. ჩუგუევის ალებაში და განაიარაღა ჩუგუევის სამხედრო სასწავლებლის იუნკრები. შემდეგში იგი კონტრრევოლუციური ჯგუფებისაგან ქ. ბელგოროდისა და სადგურ სანჟოს მიდამოების გაწმენდას ახდენდა.

1918 წლის იანვრის დასაწყისში იაშვილი რაზმით გაწვეული იქნა მოსკოვში. მან რაზმის შევსება ვერც კი მოასწრო და გადასროლილი იქნა ქ. კუსკოვოში კონტრრევოლუციური შეთქმულების სალიკვიდაციოდ. იქ მან განაიარაღა ძველი ოფიცრების დიდი ჯგუფი, რომელსაც ჩამოართვა დიდი რაოდენობით შაშხანები, ტყვიამფრქვევები და ხელყუმბარები.

საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში პ. იაშვილი ახლოს გაეცნო კომუნისტური პარტიის გამოჩენილ მოღვაწეებს: ემ. იაროსლავსკის, პ. დიბენკოს, ნ. პოდვოისკის, ვ. ანტონოვ-ოვსეენკოს, კ. ვოროშილოვს, ა. ჟდანოვს და სხვებს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იაშვილის ცხოვრებისათვის ვ. ი. ლენინისა და ფ. ე. ძერჟინსკის გაცნობას. ეს გაცნობა მოხდა საბჭოთა მთავრობის პეტროგრადიდან მოსკოვში გადმოსვლის (1918 წ. 11 მარტი) შემდეგ. პ. იაშვილი მრავალჯერ შეხვედრია ვ. ი. ლენინს და მიუღია მისგან საბრძოლო დავალებები. ი. ურუშაძე, ე. გელაშვილი და ა. ულუმბეგაშვილი აღნიშნავენ, რომ იაშვილი ხშირად მიდიოდა კრემლში ლენინთან და აღფრთოვანებით გვიამბობდა ყოველი ამ შეხვედრის შესახებ.

რევოლუციის საქმისადმი ერთგულებისა, პატიოსნებისა და მამაცობის გამო პ. იაშვილი ძალიან უყვარდა სრულიად რუსეთის საგანგე-

[1] მოსკოვის საოლქო არქივი, ფონდი 2186, აღწერილობა 1, საქმე 2217, ფურცელი 107.

[2] მოსკოვის საოლქო არქივი, ფონდი 2186, აღწერილობა 1, საქმე 2217, ფურცელი 10.

ბო კომისიის თავმჯდომარეს ფ. ე. ძერჟინსკის. მან იაშვილისათვის ფოლადის ჯავშანიც კი გააკეთებინა, რასაც იაშვილი პიჯაკქვეშ ატარებდა. ჯავშანი მას იცავდა მტრის ტყვიისაგან.

1918 წლის 14-15 მარტს კრემლში მიმდინარეობდა საბჭოების სრულიად რუსეთის მეოთხე ყრილობა. ის ბრესტის ზავის რატიფიკაციის საკითხს იხილავდა. გერმანიასთან ზავის დადების წინააღმდეგ გამოდიოდნენ საბჭოთა ხელისუფლების ყველა ჯურის მტრები. მოსალოდნელი იყო შეიარაღებული გამოსვლა და ზავის რატიფიკაციის ჩაშლა. საჭირო გახდა სიფრთხილის ღონისძიებების გატარება. საბჭოების მეოთხე ყრილობის დაცვა იაშვილის რაზმს დაევალა.

ეხებოდა რა იაშვილის რაზმის საბრძოლო დამსახურებას, ემ. იაროსლავსკიმ სხვა დამსახურებასთან ერთად აღნიშნა ამ რაზმის მიერ „ანარქისტების შავი გვარდიის შტაბის განიარაღება, მემარცხენე ესერების აჯანყების ჩაქრობა, ბანდიტური გამოსვლების ლიკვიდაცია“,[1] და ა. შ.

პ. იაშვილის რაზმმა დიდი როლი შეასრულა მოსკოველი ანარქისტების განადგურებაში. მოსკოვში იყო ანარქისტების ოცზე მეტი ჯგუფი 2 ათასამდე კაცის რაოდენობით. სხვადასხვა ქუჩაზე მათ 26-მდე სახლი ეკავათ. ანარქისტები სცემდნენ საკუთარ გაზეთ „ანარქიას“. მათ დაიწყეს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლები: იტაცებდნენ სახელმწიფო ქონებას, აწყობდნენ ტერორისტულ აქტებს, ძარცვავდნენ მოქალაქეებს, არღვევდნენ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ წესრიგს.

ანარქისტების ბანდების ლიკვიდაციის საქმე ხელში აიღო სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიამ ძერჟინსკის მეთაურობით. 1918 წლის 11 აპრილს შედგა საგანგებო კომისიის სასწრაფო გაფართოებული სხდომა ქალაქის რაიონებისა და დაწესებულებების წარმომადგენელთა მონაწილეობით. გადაწყვიტეს ანარქისტების ბანდების სწრაფი ლიკვიდაცია. საიერიშოდ გამზადებული იქნენ შეიარაღებული რაზმები. ალყა შემოარტყეს ანარქისტების 25 ბუნაგს. იერიში დაწყებული იქნა 12 აპრილს ღამის 12 საათზე შეუპოვარი წინააღმდეგობა გასწიეს ბოლშაია დიმიტროვკას, მალაია დიმიტროვკას, პოვარსკაიას, ცეიტლინისა და დონის ქუჩებზე მდებარე „ანარქიის სახლებში“ მყოფმა ანარქისტებმა. ოპერაციის დროს მოხდა მნიშვნელოვანი ნგრევა.

მალაია დიმიტროვკას ქუჩაზე ანარქისტებს ებრძოდა იაშვილის რაზმი. ანარქისტები იქ საგულდაგულოდ გამაგრებულიყვნენ; სახლების სახურავებიდან და ფანჯრებიდან ტყვიამფრქვევები დაემიზნებინათ. მათ ზარბაზანიც ჰქონდით. იაშვილმა ანარქისტებს წინადადება მისცა—დაეყარათ იარაღი და დანებებულიყვნენ. მათ ეს წინადადება უარყვეს და ცეცხლი გახსნეს. გაჩაღდა მწვავე ბრძოლა. ანარქისტებმა პირველმა გამოიყენეს ზარბაზანი. იაშვილის რაზმმა ზარბაზანითვე უპასუხა. პირველსავე გასროლით დადუმებული იქნა მოწინააღმდეგის ზარბაზანი. მეორე გასროლით დამსხვრეული იქნა „ანარქიის სახლის“ სადარბაზო შესასვლელი. ზარბაზნის კიდევ რამდენიმე გასროლა და ანარქისტები დანებდნენ. იქ აღმოჩენილი იქნა უზარმაზარი საწყობი მრავალი სახის იარაღითა და საომარი მასალით.

ანარქისტების ბანდები განადგურებული იქნენ მთელს მოსკოვში; შეპყრობილი იქნა 400 კაცი.

ქ. ტამბოვში ესერებმა, მათი მოსკოვის ცენტრის მითითებით, 1918 წლის 17 ივნისს მოაწყეს წითელი არმიის რიგებში გასაწვევად შეკრებილი უნტეროფიცრების აჯანყება. აჯანყებულებმა დაარბიეს სამობილიზაციო პუნქტი და სხვა საბჭოთა დაწესებულებები; დააპატიმრეს კომუნისტური პარტიის ტამბოვის საგუბერნიო კომიტეტის ხელმძღვანელები; დამხობილად გამოაცხადეს საბჭოთა ხელისუფლება და მის მაგიერ შექმნეს „დამფუძნებელი კრების ხელისუფლება“, რომელსაც სათავეში ჩაუყენეს თეთრი გენერალი, მონარქისტი, ძლანოვიჩი; გამოუშვეს „ბიულეტენი №1“.

ტამბოვის თეთრგვარდიულ-ესერული აჯანყების ჩასაქრობად ქ. პოვორინოდან წითელი არმიის რაზმით მივიდა ვასილ კიკვიძე (რომელიც მაშინ ტამბოვის გუბერნიაში დივიზიას აყალიბებდა), ხოლო მოსკოვიდან მფრინავი რაზმით, — პ. იაშვილი. ესერები და უნტეროფიცრები შეშინდნენ და წინააღმდეგობის გაუწევლად გაიქცნენ. 19 ივნისს დილით ტამბოვში აღდგენილ იქნა საბჭოთა ხელისუფლება.

ეხებოდა რა ტამბოვის აჯანყებას ვ. ი. ლენინი 1918 წლის 27 ივნისს ამბობდა: „აი, ამას წინათ ტამბოვში კონტრრევოლუციამ გაიმარჯვა რამდენიმე საათით; მან გამოუშვა კიდეც მენშევიკური და მემარჯვენე-ესერული გაზეთის ნომერი, რომელიც მოუწოდებდა დამფუძნებელ კრებისაკენ, საბჭოთა ხელისუფლების დამხობისაკენ და ლაპარაკობდა, თუ რა მტკიცეა ახალი ხელისუფლების გამარჯვება, ლაპარაკობდა მანამდე, ვიდრე მაზრიდან არ მივიდნენ წითელარმიელები და გლეხები და ერთ დღეში არ გარეკეს ეს ახალი „მტკიცე“, ვითომდა დამფუძნებელ კრებაზე დამყარებული ხელისუფლება“[1].

ტამბოვის აჯანყების ლიკვიდაციის შემდეგ საბჭოთა მთავრობამ იაშვილს დააკისრა დიდად

---

[1] მოსკოვის საოლქო არქივი, ფონდი 2186, აღწერილობა 1, საქმე 2217, ფურცელი 10.

12. „მნათობი“, № 5.

1. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 580-581.

პასუხსაგები ამოცანა. მას ტამბოვის ბანკიდან ქ. ყაზანის ბანკში უნდა გადაეტანა სახელმწიფო ოქროს მარაგი და ფასეულობა, რომელიც რამდენიმე ათას ფუთს შეადგენდა. მიუხედავად რკინიგზაზე მძარცველი ბანდების პარპაშისა, იაშვილის რაზმმა დავალება წარმატებით შეასრულა.

მან განაიარაღა აგრეთვე კრუტიცკის ყაზარმებში მყოფი მატროსები, რომლებიც ესერულ შეთქმულებაში მონაწილეობდნენ. მათ ჩამოართვეს 2 ზარბაზანი, ტყვიამფრქვევები, შაშხანები და დიდი რაოდენობით ვაზნები და ყუმბარები.

რაც უფრო ღრმავდებოდა სოციალისტური რევოლუცია და მტკიცდებოდა საბჭოთა ხელისუფლება, მით უფრო მარჯვნივ იხრებოდნენ „მემარცხენე“ ესერები, ბოლოს ისინი კონტრრევოლუციის ბანაკში გადაბარგდნენ და საბჭოთა ხელისუფლების დამხობა განიზრახეს. ანტისაბჭოთა ამბოხება მოსკოვში „მემარცხენე“ ესერებმა სრულიად რუსეთის საბჭოების მეხუთე ყრილობას დაამთხვიეს. ყრილობამ მუშაობა დაიწყო 1918 წლის 4 ივლისს. „მემარცხენე“ ესერები ცდილობდნენ დეზორგანიზაცია შეეტანათ მის მუშაობაში. უნდოდათ მიეღწიათ ყრილობის მიერ ბრესტის ზავის გაუქმებისათვის, რათა ჩაეთრიათ საბჭოთა რესპუბლიკა გერმანიასთან ომში და გერმანიის ხიშტების დახმარებით დაემხოთ საბჭოთა ხელისუფლება. ისინი დაკავშირებულნი იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალიზმის დაზვერვასთან.

„მემარცხენე“ ესერების ამბოხება დაიწყო გერმანიის მოსკოველი ელჩის, მირბახის მოკვლით. ამით უნდოდათ მიეცათ გერმანიისათვის საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ომის დაწყების საბაბი. მკვლელობა მოეწყო 1918 წლის 6 ივლისს, დღისით, ესერმა ბლიუმკინმა და ანდრეევმა, რომლებიც მუშაობდნენ სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის აპარატში. ისინი გერმანიის საელჩოში შევიდნენ როგორც „რწმუნებულები, რომლებსაც ვითომდაც დავალებული ჰქონდათ მირბახთან მოლაპარაკება. მათ „მანდატზე“ იყო ფ. ძერჟინსკისა და მისი მდივნის, ქსენოფონტოვის, ყალბი ხელმოწერა და საგანგებო კომისიის მრგვალი ბეჭედი, რომელიც ძერჟინსკის მოადგილეს „მემარცხენე“ ესერ ალექსანდროვიჩს დაესვა. შეხვედრისას მირბახს ბლიუმკინმა რევოლვერი ესროლა. აუცდა. მირბახი გაიქცა. მაშინ ანდრეევმა პორთფელიდან ბომბი ამოიღო და გაქცეულ მირბახს ესროლა. ბომბი არ აფეთქდა. ანდრეევი დასწვდა ბომბს და მეორედ ესროლა. ამჯერად ბომბი აფეთქდა და მირბახი მოჰკლა. მკვლელობის ჩადენის შემდეგ ბლიუმკინი და ანდრეევი დაიმალნენ „მემარცხენე“ ესერ პოპოვის რაზმის შტაბში, რომელიც მოთავსებული იყო ტრიოხსვიატიტელსკის შესახვევში, პოკროვსკის ჭიშკართან. იქვე შეაფარა თავი მოაჯანყეთა შტაბმა და „მემარცხენე“ ესერების პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. ესერებმა გაამაგრეს ტრიოხსვიატიტელსკის შესახვევი. ისინი აპირებდნენ კრემლისათვის ზარბაზნების დაშენას. „მემარცხენე“ ესერების აჯანყების მეთაურები იყვნენ: პროშიანი, კარელინი, კამკოვი, საბლინა და სხვები.

სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის თავმჯდომარე ფ. ძერჟინსკი ჩეკისტების თანხლებით პოპოვის შტაბში მივიდა; უნდოდა დაეპატიმრებინა აჯანყების მეთაურები. პოპოვმა თვითონ ძერჟინსკი გამოაცხადა დაპატიმრებულად და დაშინების მიზნით დახვრეტაზე ჩამოუგდო საუბარი. უშიშარი ძერჟინსკი ზეზე წამოიჭრა, პიჯაკი გაიხსნა და დაუყვირა: „აი ჩემი მკერდი, მესროლე! მე სიცოცხლე არაფრად არ მიღირს რევოლუციის ხსნისათვის“[1]. პოპოვი შეიშმუშნა და უპასუხა: ჩვენ არავის დავხვრეტთ.

როდესაც ვ. ი. ლენინმა საბჭოების მეხუთე ყრილობაზე „მემარცხენე“ ესერების ამბოხება და ძერჟინსკის დაპატიმრება შეიტყო, ესერები გააფრთხილა, რომ ძერჟინსკის დაღუპვისათვის პასუხს აგებდა ათასი მოღალატე. 6 ივლისს დიდ თეატრში, აჯანყების ჩაქრობამდე, დაკავებული იქნა საბჭოების მეხუთე ყრილობის ესერული ფრაქცია. ესერები იძულებული გახდნენ გაენთავისუფლებინათ ძერჟინსკი. ყრილობის ბოლშევიკური ფრაქციის სხდომაზე ძერჟინსკის გამოჩენას დიდი ოვაციით შეხვდნენ.

ვ. ი. ლენინის მითითებით „მემარცხენე“ ესერების ამბოხების ლიკვიდაცია დაევალა სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარიატს და ქ. მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს. მათ მობილიზაცია უყვეს ძალებს. „მემარცხენე“ ესერების აჯანყების განადგურებაში მთავარი როლი შეასრულეს იაშვილის, ბერზინისა და ჩებიშევის რაზმებმა. იაშვილის რაზმმა ვლადიმირსკის შარაზე 1000-მდე ესერი განაიარაღა და მათი 17 ხელმძღვანელი შეიპყრო.[2]

იმპერიალიზმის ბანაკი ვერ შეურიგდა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას რუსეთში. იმპერიალისტები ცდილობდნენ დაემხოთ საბჭოთა ხელისუფლება და აღედგინათ მემამულეთა და კაპიტალისტთა ბატონობა. საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად გაერთიანდნენ საერთაშორისო რეაქციისა

---

[1] საბჭოთა არმიის ცენტრალური არქივი, ფონდი 25883, აღწერილობა 1, საქმე 758, ფურცელი 21, გვერდი მეორე.

[2] საბჭოთა არმიის ცენტრალური არქივი, ფონდი 25883, აღწერილობა 1, საქმე 758, ფურცელი 21

და შინაგანი კონტრრევოლუციის მთელი ძალები. ისინი ყველაფერს აკეთებდნენ, რათა აკვანშივე ჩაეხშოთ საბჭოთა ხელისუფლება.

ბრესტის საზავო შეთანხმების მიუხედავად იმპერიალისტური გერმანიის ჯარები წინ მოიწევდნენ. 1918 წლის მაისის ბოლომდე მათ დაიკავეს ბალტიისპირეთი, ბელორუსია, უკრაინა და თურქეთის ჯარებთან ერთად ამიერკავკასია.

1918 წლის მარტს მურმანსკში ჯარი გადმოსხა ინგლისმა, 18 მარტს საფრანგეთმა, 27 მაისს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. 5 აპრილს ვლადივოსტოკში ჯარი გადმოსხა იაპონიამ, მალე მას მოჰყვნენ ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების ჯარები.

1918 წლის ზაფხულში დონის რაიონი, ცარიცინამდე, გერმანიის იმპერიალიზმის დახმარებით გენერალ კრასნოვის თეთრკაზაკთა არმიამ დაიკავა.

საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა ააჯანყეს ჩეხოსლოვაკთა 60 ათასიანი კორპუსი, რომლის ეშელონები ციმბირის რკინიგზით ვლადივოსტოკში მიდიოდნენ. იქიდან ჩეხოსლოვაკთა კორპუსი მოკავშირეთა გემებით საფრანგეთში უნდა მიეყვანათ. ადგილობრივ თეთრგვარდიელებთან ერთად ჩეხოსლოვაკთა კორპუსის აჯანყება 1918 წლის 25 მაისს დაიწყო. 26 მაისს აჯანყებულებმა დაიკავეს ქ. ჩელიაბინსკი, 31 მაისს — ტომსკი, 6 ივნისს — ვლადივოსტოკი, 7 ივნისს — ომსკი, 8 ივნისს — სამარა, 18 ივნისს — კრასნოიარსკი, 6 ივლისს — უფა, 11 ივლისს — ირკუტსკი, 22 ივლისს — სიმბირსკი, 7 აგვისტოს — ყაზანი. აგვისტოს დასაწყისისათვის აჯანყებულთა ხელში აღმოჩნდა შუა ვოლგის, ურალის, ციმბირისა და შორეულ აღმოსავლეთის ძირითადი რაიონები. იქ დაამხეს საბჭოთა ხელისუფლება და აღადგინეს კაპიტალისტთა და მემამულეთა ძალაუფლება.

ჩრდილოეთიდან და შორეული აღმოსავლეთიდან იმპერიალისტების ინტერვენცია სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა.

1918 წლის ზაფხულში ინგლისელი ინტერვენტები საბჭოთა თურქესტანის ტერიტორიაზე შეიჭრნენ და იმიერკასპიის მხარე დაიპყრეს. მათ ოკუპაცია უყვეს აგრეთვე ამიერკავკასიას, შეცვალეს რა აქ გერმანელები და თურქები.

ამრიგად,1918 წლის ზაფხულში რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის რკალში აღმოჩნდა, მას მომაკვდინებელი საფრთხე დაემუქრა. მთავარი საფრთხე მაშინ საბჭოთა ხელისუფლებას აღმოსავლეთის მხრიდან ელოდა. აღმოსავლეთის ფრონტი მთავარი გახდა. „არა მარტო რუსეთის რევოლუციის, არამედ აგრეთვე საერთაშორისო რევოლუციის ხსნა ჩეხოსლოვაკთა ფრონტზეა", — წერდა ვ. ი. ლენინი[1]. საბჭოთა ქვეყანა იძულებული გახდა დაეწყო სამართლიანი, სამამულო, გამანთავისუფლებელი ომი. კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ფეხზე დააყენა მთელი მშრომელი ხალხი. გამოცხადებული იქნა კომუნისტების, კომკავშირლებისა და პროფკავშირის წევრების მობილიზაცია. რუსეთის ცენტრალური რაიონებიდან აღმოსავლეთში გაიგზავნა წითელი არმიის ნაწილები, მუშათა რაზმები და შეიარაღება. მოკლე დროში ვოლგისპირეთში ჩამოყალიბდა ხუთი არმია.

1918 წლის აგვისტოში რსფსრ სამხედრო რევოლუციური საბჭოს განკარგულებით აღმოსავლეთის ფრონტზე გაიგზავნა მოსკოვის სამხედრო ოლქის კომისარიატის განსაკუთრებული დანიშნულების რაზმი პ. იაშვილის მეთაურობით. რაზმი აღჭურვილი იყო შაშხანებით, რევოლვერებით, ხელყუმბარებით. მას ჰქონდა 10 ტყვიამფრქვევი. სწრაფი მანევრირებისათვის რაზმის განკარგულებაში იყო მსუბუქი და სატვირთო ავტომობილები. აგვისტოს ბოლოს იაშვილი რაზმით ქ. სარატოვში მივიდა, იქიდან კი ფრონტზე. ოპერატიულად რაზმი მეოთხე წითელ არმიას დაუქვემდებარეს. ის სწრაფად ახდენდა მანევრირებას, გამოჩნდებოდა იქ, სადაც მტერი არ ელოდა.. რაზმი ღრმად იჭრებოდა მტრის ზურგში და პანიკას სთესდა. თეთრგვარდიელთა და ჩეხოსლოვაკთა სარდლობამ იაშვილის მოკვლისა თუ შეპყრობისათვის ჯილდო დააწესა. ამის შესახებ პროკლამაციებიც გაავრცელეს. ამ პროკლამაციებს თვით იაშვილს უჩვენებდნენ ხოლმე მცხოვრებლები[2].

აღმოსავლეთის ფრონტზე იაშვილის რაზმის პირველ დიდ სამხედრო ოპერაციას წარმოადგენდა თეთრგვარდიელთა ბანდებისაგან სოფელ პლეტნევკას განთავისუფლება 1918 წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში. იაშვილმა პლეტნევკაში ორი სატვირთო ავტომობილით და 1 ტყვიამფრქვევით მეწინავე ჯგუფი გაგზავნა. იგი ღრმად შევიდა პლეტნევკაში და მტრის ორმხრივ ცეცხლში მოხვდა. ჯგუფი მთელი დღის განმავლობაში აწარმოებდა გმირულ ბრძოლას. გვიან საღამოს მას რაზმის ძირითადი ნაწილი მიეშველა. მეორე დღეს, დილით ადრე, რაზმი შეტევაზე გადავიდა და თეთრგვარდიელები

---

1 ვ.ი. ლენინი. თხზ., ტ. 28, გვ.84.

2 საბჭოთა არმიის ცენტრალური არქივი, ფონდი 28361, აღწერილობა 1, საქმე 807, ფურცლები 1, 19, 21, 26, 31.

პლეტნევკადან განდევნა[1]. პლეტნევკაში იაშვილის რაზმი ერთ დღე-ღამეს დარჩა და საბჭოთა ხელისუფლება აღადგინა. მალე მან გაანთავისუფლა სოფელი ვოლსკიც. იქ რაზმმა სამ დღე-ღამეს დაჰყო და წესრიგში მოიყვანა სოფლის საბჭოთა მმართველობა. იაშვილმა რაზმი მდინარე ვოლგაზე გადაიყვანა. მეოთხე წითელი არმიის სარდლობისაგან მან ახალი დავალება მიიღო, — უნდა გაეთავისუფლებინა დიდი სოფელი ვარვაროვკა. იაშვილმა დაზვერვა მოაწყო და მიიღო ცნობა ვარვაროვკაში მტრის დიდი ძალების ყოფნის შესახებ. მან გაითვალისწინა მდგომარეობის სერიოზულობა და გადაწყვიტა შეეყვანა მებრძოლები საქმის კურსში. დილით ადრე იაშვილმა რაზმი დააწყო და მებრძოლებს განუცხადა: „ვინც მხდალია და თავს საკმაოდ მტკიცედ არ გრძნობს, მარცხნივ გადავიდეს. ვინც თავს მებრძოლ ამხანაგად სთვლის და მხდალი არ არის — მარჯვნივ.“[2] ყველა მებრძოლი მარჯვნივ გადავიდა. ამით მეთაურს ანიშნეს, რომ მზად იყვნენ თავგანწირული ბრძოლისათვის. ვარვაროვკაში იაშვილი თვითონ წარუძღვა მოწინავე 13 კაცისაგან შემდგარ ჯგუფს, რომლის განკარგულებაში იყო ერთი სატვირთო, ერთი მსუბუქი ავტომობილი და 2 ტყვიამფრქვევი. მოსაღამოვდა. მეწინავე ჯგუფი სოფელ ვარვაროვკაში იალაღებიდან მოდენილ საქონლის, ჯოგს შეჰყვა. ჯოგის მიერ აღენილი შარაგზის მტვერში გახვეული მებრძოლები მტრისაგან შეუმჩნეველი იყვნენ. რაზმი შეჩერდა. მტვერი ჩადგა. თეთრგვარდიელებმა ერთი მხრიდან ძლიერი სროლა ასტეხეს. „ტყვიამფრქვევები!“ ბრძანა იაშვილმა. მეწინავე ჯგუფმა ავტომობილიდან ორი ტყვიამფრქვევით წრიული ცეცხლი გახსნა, მტერს ჯავშნოსანი ეგონა და პანიკამ შეიპყრო. ღამით სროლა შეწყდა, თანაც მეწინავე ჯგუფს ვაზნები შემოაკლდა. რაზმის ძირითადი ჯგუფი 20 კილომეტრის დაშორებით იმყოფებოდა. მასთან მეკავშირე გაგზავნეს. განთიადზე რაზმის ძირითადი ჯგუფი ვარვაროვკაში მეორე მხრიდან შევიდა და შეტევა დაიწყო. პანიკით მოცული თეთრგვარდიელები სოფლიდან გაიქცნენ. იაშვილის რაზმმა ვარვაროვკაში ხელთ იგდო. ერთი მოტოციკლი, 2 მოძრავი სამზარეულო და რამდენიმე კომპლექტი ჯარისკაცის სამოსი[3]. ვარვაროვკაში იაშვილის რაზმმა ორ დღე-ღამეს შეისვენა და შემდეგ წარმატებით განაგრძო ბრძოლები. ის თეთრგვარდიელთა ბანდებისაგან ზედიზედ ათავისუფლებდა დასახლებულ პუნქტებს. მალე დაკავებული იქნა მორდვის სოფელი კარაკუში. იაშვილის რაზმმა წითელი მეოთხე არმიის სარდლობისაგან მიიღო დავალება სოფელ ორეხოვკას განთავისუფლების შესახებ. 1918 წლის 16 სექტემბერს იაშვილმა ორეხოვკაში მზვერავები გაგზავნა. წვიმიანი დღე იყო. იდგა დიდი ტალახი. დაზვერვამ ცნობა მოიტანა, რომ ორეხოვკადან თეთრგვარდიელები გავიდნენ. საღამოს იაშვილი რაზმით ორეხოვკაში შევიდა და სკოლის შენობაში დაბანაკდა. იქ იაშვილმა თათბირი მოიწვია და მებრძოლებს აუწყა, რომ 17 სექტემბერს რაზმი ქ. სიზრანზე გაილაშქრებდა. სიზნარი 25 კილომეტრით იყო დაცილებული ორეხოვკას.

ეს გეგმა განუხორციელებელი დარჩა. იაშვილის რაზმის მახლობლად განლაგებული იყო წითელი არმიის ვოლსკის მეოთხე დივიზია. ძველი არმიის ყოფილი კაპიტანი ლებედევი და ვინოგრადოვი, რომლებიც ახლა ვოლსკის დივიზიაში იმყოფებოდნენ, მტრის მხარეზე გადავიდნენ. მათი გამომცემლობის შედეგად მთელი დივიზია, და მასთან ერთად იაშვილის რაზმიც, მტრის გარემოცვაში აღმოჩნდა. 1918 წლის 17 სექტემბერს ღამით, ჩეხოსლოვაკიელებმა და თეთრგვარდიელებმა ალყა შემოარტყეს სოფ. ორეხოვკას. იაშვილისათვის ეს მოულოდნელი იყო. დილით ადრე სროლის ხმაზე ის სკოლის ეზოში გავარდა და მყისვე გაერკვა ვითარებაში. რაზმმა სწრაფად დაიკავა საბრძოლო პოზიციები. მტრის დიდი ძალების წინააღმდეგ ის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაება. მტრისაგან ნასროლი ტყვია იაშვილს მკერდში მოხვდა და მწყობრიდან გამოვიდა. ის კინალამ ტყვედ ჩაიგდეს, მაგრამ რაზმის გმირობამ იხსნა. რაზმის ხელმძღვანელობა ბუროვს გადაეცა. ისიც მალე დაიჭრა. დ. კოსტიუკოვმა შეცვალა. ბრძოლაში კოსტიუკოვიც დაიჭრა. ამ საბედისწერო ბრძოლაში იაშვილის რაზმმა თავისი შემადგენლობის 70 პროცენტამდე დაჰკარგა, მაგრამ შესძლო გარემოცვის გარღვევა და ვარვაროვკისაკენ დაიხია.[1]

მძიმედ დაჭრილი იაშვილი ქ. სარატოვის ჰოსპიტალში დააწვინეს. ოდნავ განკურნების შემდეგ ის აღარ ისვენებდა. უნდოდა რაზმში დაბრუნება. ექიმები მისი ნაადრევად გაწერის ნებას არ იძლეოდნენ. „როგორ ბედავთ ჩემს აქ დაყოვნებას. მე ხომ რაზმი უმეთაუროდ დამრჩა. არ შემიძლია მისი დატოვება“, — ეუბნებოდა იაშვილი ექიმებს.[2] იგი

---

1 საბჭოთა არმიის ცენტრალური არქივი, ფონდი 28361, აღწერილობა 1, საქმე 807, ფურცლები 1-3.

2 იქვე, ფურცელი 5.

3 საბჭოთა არმიის ცენტრალური არქივი, ფონდი 28361, აღწერილობა 1, საქმე 807, ფურცელი 15.

---

1 საბჭოთა არმიის ცენტრალური არქივი, ფონდი 25883, აღწერილობა 8, საქმე 559, ფურცელი 4, გვერდი მეორე.

2 საბჭოთა არმიის ცენტრალური არქივი, ფონდი 28361, აღწერილობა1, საქმე 807, ფურცელი 36.

ჭრილობამოუშუშებელი დაბრუნდა რაზმში.

1918 წლის 29 სექტემბერს რაზმის გადარჩენილი ნაწილი იაშვილმა ქ. სარატოვში მიიყვანა. იქ მას შეხვდა რესპუბლიკის სამხედრო რევოლუციური საბჭოს ხელმძღვანელობა, რომელმაც რაზმის მებრძოლები ფასეულობით დააჯილდოვა.

იაშვილმა მოსკოვის სამხედრო ოლქის ხელმძღვანელობის წინაშე დასვა საკითხი რაზმის მოსკოვში გაწვევის შესახებ. ოლქის ხელმძღვანელობამ თავისი მხრით საკითხი რესპუბლიკის სამხედრო რევოლუციური საბჭოს წინაშე დააყენა. ამ უკანასკნელის თანხმობის შემდეგ, 1918 წლის 10 ოქტომბერს იაშვილი რაზმით მოსკოვში დაბრუნდა. რადგან რაზმის შევსება სარატოვშივე დაიწყო, ახლა მის შემადგენლობაში უკვე 105 კაცი იყო.

1918 წლის 7 ნოემბერს მოსკოვის სამხედრო ოლქის შტაბში ცნობა მიიღეს, ტულის გუბერნიის კაშირის მაზრაში კონტრრევოლუციური აჯანყების შესახებ. აჯანყების ორგანიზატორები იყვნენ თეთრი ოფიცრები, დეზერტირი მატროსები, ყოფილი ფაბრიკანტები და კულაკები. აჯანყებულებს გაენადგურებინათ წითელი არმიის რაზმი, დაეპატიმრებინათ საბჭოებისა და ღარიბთა კომიტეტების მუშაკები. აჯანყებას მოეცვა კაშირის მაზრის თემების მეტი ნაწილი. მოსკოვის სამხედრო ოლქის შტაბმა აჯანყების ჩაქრობა იაშვილს დაავალა. მის განკარგულებაში გადასცეს წითელი არმიის რაზმებიც. 8 ნოემბერს ღამის 1 საათსა და 33 წუთზე იაშვილის სასწრაფო ეშელონი 200 კაცის შემადგენლობით. მოსკოვის რკინიგზის სადგურიდან გავიდა. დილით ადრე იაშვილი უკვე კაშირში იყო. მან სასწრაფოდ ჩამოაყალიბა კაშირის მაზრის სამხედრო საბჭო, საველე სასამართლო და შეუდგა აჯანყების ლიკვიდაციას. სოფელ რუდნევოსა და ბარაბანოვოში დიდი ბრძოლები მოხდა. 10 ნოემბრისათვის კაშირის მთელი მაზრა გაწმენდილი იქნა. აჯანყების მეთაურები სამხედრო-საველე სასამართლოს გადასცეს; იარაღი და საომარი მასალები შეაგროვეს; სამაზრო, საქალაქო და სასოფლო ხელისუფლების ორგანოები წესრიგში მოიყვანეს; მოიწვიეს მოსახლეობის მასიური კრებები და გააცნეს საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა[1].

1918 წლის 10 ნოემბრის კაშირის მაზრაში მყოფ იაშვილს მოსკოვის სამხედრო ოლქის შტაბმა, პირდაპირი მავთულით, ახალი დავალება მისცა; მას უნდა ჩაექრო ტულის გუბერნიის მიხაილოვის მაზრაში **დაწყებული კონტრრე**ვოლუციური აჯანყება. ისე როგორც კაშირის მაზრაში, მიხაილოვის მაზრაშიც კონტრრევოლუციური აჯანყების ორგანიზატორები იყვნენ თეთრი ოფიცრები, მატროსები, კულაკები და, აგრეთვე, ხუცები. მათ მოეტყუებინათ გლეხები; გაევრცელებინათ ცრუ ხმები, თითქოს პეტროგრადი ინგლისელებს დაეკავებინოთ, მიხაილოვი კი — ჩეხოსლოვაკებს. აჯანყებულებს შეექმნათ შტაბი და ალყა შემოერტყათ ქ. მიხაილოვისათვის. აჯანყება იყო მიხაილოვის მაზრის სოფელ სტაროლოკიში, ოსტროხოვოში, მოტოვილიხში, სადგურ ვილენკში და სხვაგან.

11 ნოემბერს იაშვილი რაზმით უკვე მიხაილოვში იყო. აჯანყება სწრაფად იქნა ჩაქრობილი. აჯანყებულთა შტაბი განაიარაღეს, მეთაურები შეიპყრეს. იაშვილმა შემოიარა მიხაილოვის მთელი მაზრა. ჩაატარა მშრომელთა მასობრივი კრებები. მათ აუხსნეს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის არსი და გააცნეს საბჭოთა ხელისუფლების ერთი წლის მუშაობის შედეგები. გლეხები მიუხვდნენ თავიანთ შეცდომას. ლენინის სახელის გაგონებაზე ისინი უკვე ოვაციებს მართავდნენ.[1]

ისარგებლა რა ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლების სისუსტით, იმპერიალისტურმა გერმანიამ 1918 წლის გაზაფხულზე ოკუპაცია უყო მთელ უკრაინას. იქ მან შექმნა გენერალ პ. სკოროპადსკის მარიონეტული მთავრობა. უკრაინის მშრომელები უცხოელი დამპყრობლებისა და ადგილობრივი ექსპლოატატორების წინააღმდეგ გმირულ განმათავისუფლებელ ბრძოლაში ჩაებნენ .ეს ბრძოლა განსაკუთრებით გაძლიერდა 1918 წლის ნოემბრიდან, მას შემდეგ, რაც გერმანიაში ბურჟუაზიული რევოლუცია მოხდა და იმპერატორ ვილჰელმ მეორის ტახტი დაემხო ,საბჭოთა მთავრობამ კი ბრესტის არქიუმძიმესი საზავო ხელშეკრულება გააუქმა. საბჭოთა მთავრობამ გადაწყვიტა დახმარება გაეწია უკრაინელი ხალხისათვის სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. 1918 წლის 11 ნოემბერს რსფსრ სახალხო კომისართა საბჭომ რესპუბლიკის სამხედრო რევოლუციურ საბჭოს დაავალა — 10 დღის ვადაში გაემზადებინა წითელი არმიის ნაწილები უკრაინის დასახმარებლად. შეტევის ერთ-ერთი დიდი ბაზა იყო ქ. კურსკი. იქ თავს უყრიდნენ დიდ ძალებს.

ვ. ა. ანტონოვ-ოვსეენკოს მოთხოვნის საფუძველზე, რომელიც კარგად იცნობდა იაშვილს უკრაინაში წინანდელი ერთობლივი ბრძოლით, გადაწყდა მისი რაზმის კვლავ გაგზავნა უკრაინაში. მიხაილოვის მაზრიდან იაშვილი რაზმით პირდაპირ კურსკში გაემგზავრა. მოსკოვის

[1] საბჭოთა არმიის ცენტრალური არქივი, ფონდი 25883, აღწერილობა 8, საქმე 650, ფურცლები 1, 4, 7, 12-13, 17.

[1] საბჭოთა არმიის ცენტრალური არქივი, ფონდი 25883, აღწერილობა 8, საქმე 560, ფურცლები 2-4.

სამხედრო ოლქის ხელმძღვანელობამ იაშვილის მოადგილეს მ. კაზაკოვს ჯერ კიდევ 9 ნოემბერს დაავალა რაზმის შესავსებად მებრძოლების შეგროვება. მან 35 კაცი შეკრიბა და 15 ნოემბერს გაემგზავრა კურსკში იაშვილთან. მოსკოვში დატოვებული იქნა რუბენ ასათიანი, რომელსაც მოსკოვის სამხედრო ოლქის შტაბის ნებართვით უნდა განეგრძო რაზმისათვის მებრძოლების შეგროვება. რ. ასათიანმა უკრაინაში იაშვილის რაზმის შესავსებად 65-მდე მებრძოლი მიიყვანა.

რაზმისათვის მებრძოლების შეგროვებას იაშვილი ფრონტზეც აწარმოებდა. ამას ნათლად ადასტურებს მის მიერ 1918 წლის 2 დეკემბრის თარიღით გაცემული ცნობა, რომელშიდაც შემდეგს ვკითხულობთ: „წინა იაშვილი და ბენედიქტე ლოპაძე უფლებამოსილნი არიან ჩემს მიერ — მიიღონ საქართველოდან განთავისუფლებული პატიმრები და მოიყვანონ ჩემდამი რწმუნებულ რაზმში, რომელიც იმყოფება მებრძოლი კონტრრევოლუციური თეთრი ბანდების წინააღმდეგ მოქმედ არმიაში, სამხრეთის ფრონტზე.

1918 წლის დეკემბრის ბოლოს იაშვილმა მოსკოვში მიავლინა ვარლამ ქებულაძე, რომელსაც 30 დეკემბრიდან 10 იანვრამდე რაზმის ახალი შევსებისათვის მებრძოლები უნდა შეეგროვებინა.

რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის სამხედრო რევოლუციურმა საბჭომ შეიმუშავა უკრაინაში პეტლიურელებისა და გერმანელების განადგურების გეგმა. უკრაინის პირველ საბჭოთა დივიზიას, რომელიც უნეჩ-ზერნოვოს რაიონში იდგა, შეტევა უნდა დაეწყო ჩერნიგოვ-კიევის მიმართულებით, ხოლო უკრაინის მეორე საბჭოთა დივიზიას, გლუხოვო-ბელენიხოვოს რაიონში რომ იდგა, — ხარკოვის მიმართულებით. ამავე მიმართულებით ბრძოლებში მონაწილეობა უნდა მიეღო იაშვილის რაზმს. შეტევა ყველა მიმართულებით 1918 წლის ნოემბრის მეორე ნახევარში დაიწყო. მძიმე ბრძოლები გაჩაღდა ქ. ბელგოროდისათვის. 20 დეკემბერს პეტლიურელები და გერმანელები დაამარცხეს, ბელგოროდი განთავისუფლებული იქნა; ბელგოროდისათვის ბრძოლაში მონაწილეობდა იაშვილის რაზმიც. იმავე დღეს რაზმი ქ. ვოლოჩანსკისაკენ დაიძრა: გზას ბრძოლით იკაფავდა. მან შეიპყრო და განაიარაღა 200 პეტლიურელი. ვოლოჩანსკში იდგა სახაროვის რაზმი, რომელმაც საბჭოთა ხელისუფლებას უღალატა და პეტლიურას მხარეზე გადავიდა. იაშვილის რაზმს ვოლჩანსკში მოუხდა სახაროვის ბანდის თავდასხმის მოგერიება. სახაროველები ვილოჩანსკიდან განდევნილი იქნენ. ბრძოლა დასასრულს უახლოვდებოდა. სახაროველებმა იაშვილის რაზმიდან ტყვედ ჩაიგდეს 3 მებრძოლი. როცა იაშვილი მათ გამოსახსნელად ბრძოლაში გადაეშვა, მტრის ტყვიამფრქვევიდან ნასროლი ტყვია მას მკერდში მოხვდა. იაშვილი ბელგოროდში წაიყვანეს და ჰოსპიტალში დააწვინეს. ერთი კვირის განმავლობაში ებრძოდა ის სიკვდილს. ექიმებს მეცადინეობა არ დაუკლიათ, მაგრამ იაშვილის სიცოცხლის გადარჩენა შეუძლებელი გახდა. ის გარდაიცვალა 1919 წლის 4 იანვარს, 33 წლის ასაკში. იაშვილმა განვლო მოკლე, მაგრამ სახელოვანი ბრძოლის გზა. მისი ცხედარი ქ. ბელგოროდიდან მოსკოვში წაასვენეს. მას მთელი რაზმი მიაცილებდა. ქ. კურსკში დიდი სამგლოვიარო მიტინგი შედგა. 9 იანვარს იაშვილი როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ვაგანკოვის სასაფლაოზე დაკრძალეს.

იაშვილის სიკვდილის შემდეგ რაზმს ეწოდა „იაშვილის სახელობის მოსკოვის პირველი რაზმი". მის მეთაურად დანიშნულ იქნა მათე ანდრიას ძე კაზაკოვი, მეთაურის მოადგილედ კი — ისიდორე ფილიპეს ძე ურუშაძე. რაზმი დაბრუნდა უკრაინაში. ის განთავისუფლებულ ხარკოვში მივიდა და გააჩაღა ბრძოლა მტრის შეთქმულებებისა და ბანდიტური ჯგუფების წინააღმდეგ.

იაშვილის სახელობის რაზმმა დენიკინელებთან ბრძოლაში დიდი დანაკლისი განიცადა. მისი გადარჩენილი ნაწილი 1919 წლის სექტემბერში ქ. მოსკოვში გაიწვიეს და კავკასიის პირველ დივიზიაში ჩარიცხეს. იაშვილის სახელობის რაზმმა არსებობა შეწყვიტა. მან სახელოვანი ფურცელი ჩაწერა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიაში.

## წიგნების მიმოხილვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაშრომი ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების საწყისებზე

ვ. ი. ლენინს ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები თავიდანვე პარტიის ყველაზე უფრო მებრძოლ რაზმებად მიაჩნდა. ვ. ი. ლენინი პარტიის მესამე ყრილობაზე ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „...კავკასიის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებულმა პირობებმა ხელი შეუწყვეს იქ ჩვენი პარტიის ყველაზე უფრო მებრძოლი ორგანიზაციების შექმნას“... (თხზ., ტ. 8, გვ. 407). რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კავკასიის კავშირის მოღვაწეობას, რომელსაც თავიდანვე ვ. ი. ლენინი წარმართავდა, თვალსაჩინო ადგილი უჭირავს კომუნისტური პარტიის გმირულ ისტორიაში. კავკასიის კავშირმა, რომელიც იმ დროისათვის ლენინური პარტიის ერთადერთი ორგანიზაცია იყო ამიერკავკასიაში, სახელოვანი ფურცლები ჩაწერა ბოლშევიზმის მატიანეში.

აქედან ცხადია, თუ რაოდენ დიდი საერთო პარტიული მნიშვნელობა აქვს კავკასიის კავშირის ისტორიის ობიექტურ, მეცნიერულ გადმოცემას, განსაკუთრებით, როცა მსოფლიოში კომუნისტურ იდეოლოგიასა და ბურჟუაზიულ იდეოლოგიას შორის ბრძოლა გამწვავებულია, როცა იდეოლოგიური ბრძოლა კლასობრივი ბრძოლის უმწვავეს ფორმად გვევლინება. სწორედ ამ საკითხს ეძღვნება პ. თავხელიძის მონოგრაფია „ვ. ი. ლენინი და რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კავკასიის კავშირი“.

„კავკასიის კავშირის“ ისტორიის საკითხები მეტ-ნაკლებად გაშუქებულია ამიერკავკასიის პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეების, საბჭოთა ისტორიკოსების კოლექტიურ და ცალკეულ ნაშრომებში, სტატიებში, მაგრამ იგი სპეციალური კვლევის საგანი არ გამხდარა. ამ მხრივ სარეზენციო ნაშრომი პირველი მონოგრაფიული გამოკვლევაა, რაც კიდევ უფრო ზრდის ინტერესს წიგნისადმი.

პ. თავხელიძემ ათეული წლების მანძილზე დიდი მეცნიერული მუშაობის შედეგად საინტერესო მონოგრაფია შექმნა მეტად აქტუალურ და საინტერესო საკითხზე. ავტორს საკითხები სათანადო მეცნიერული სიღრმით გაუშუქებია, გაუანალიზებია საყურადღებო დოკუმენტები და მასალები. ნაშრომს წითელ ზოლად გასდევს კავკასიის კავშირის შექმნა-განმტკიცებაში ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელი როლის ჩვენება. მასში სწორად არის განხილული ფაქტები და მოვლენები, დაცულია ისტორიზმის, პარტიულობისა და მეცნიერული კეთილსინდისიერების პრინციპი, მოცემულია ახალი დებულებები და დასკვნები. ნაშრომი აგებულია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების, კერძოდ, ლენინის ნაწარმოებთა საფუძველზე, გამოყენებულია დიდძალი საარქივო მასალა; საკითხების გაშუქებაში იგრძნობა თეორიული და ისტორიული მხარის სათანადო შეხამება. წიგნი ინტერესით იკითხება. მოსაწონია მისი სტრუქტურა. იგი ხუთ თავად არის დაყოფილი და აქვს შესავალი.

შესავალი ცხადყოფს თემის აქტუალობას და მიზანდასახულობას. ნათლად არის წარმოდგენილი საკვლევი თემის შესწავლის დონე და ნაშრომის მთავარი მიზანი.

ნაშრომის პირველ თავში — „მუშათა კლასი და გლეხობა პირველი რევოლუციის წინ“ — ნაჩვენებია ამიერკავკასიის მუშათა კლასისა და გლეხობის სახე, კაპიტალიზმის დამკვიდრებით მომხდარი ცვლილებები საზოგადოებრივ, ეკონომიურ, სულიერ სფეროებში, საფუძვლიანად არის დახასიათებული ამიერკავკასიის მუშათა კლასის განსაკუთრებული რევოლუციურობა, უპირატესობა დასავლეთ ევროპისა და ამერიკის მუშების წინაშე. ამ მიზნით სამართლიანად არის მითითებული შემდეგი: რევოლუციური მოძრაობის ცენტრის რუსეთში გადმონაცვლების გამო რუსეთის პროლეტარიატის ავანგარდული როლი; დასავლეთ ევროპის

---

პ. თავხელიძე, „ვ. ი. ლენინი და რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კავკასიის კავშირი“, „საბჭოთა საქართველო“, 1969 წ.

მუშათა კლასის ბრძოლების გამოცდილების გამოყენების შესაძლებლობა, რუსეთში გლეხობის აბსოლუტური უმრავლესობის დაინტერესება რევოლუციით, ეროვნული პრობლემის რევოლუციური გზით გადაწყვეტის გარდუვალობა, მარქსისტული მოძღვრებით შეიარაღების აუცილებლობა და სინამდვილე.

ნაშრომის მეორე მონაკვეთია „მარქსიზმის გავრცელება ამიერკავკასიაში“. ავტორი გულდასმით და დაწვრილებით განიხილავს ამ მიზნით სოციალურ-ეკონომიურ, პოლიტიკურ წანამძღვრებს, რის შედეგადაც გავრცელდა მარქსიზმი ამიერკავკასიაში. ნაშრომში ნაჩვენებია თუ როგორ იკაფავდა გზას მარქსიზმი, როგორ სძლევდა იგი დაბრკოლებებს, აშკარა და ფარულ წინააღმდეგობებს.

ყურადღებას იპყრობს „მესამე დასის“ — საქართველოსა და მთლიანად ამიერკავკასიაში პირველი მარქსისტული ორგანიზაციის — ისტორიის ზოგიერთი საკითხის ავტორისეული განმარტება. ამ მხრივ იგი არ მიდის გატკეპნილი გზით, არ ერიდება ისტორიულ ლიტერატურაში გავრცელებულ, დამკვიდრებულ შეხედულებას და, ფაქტებისა და მოვლენების ღრმა ანალიზით, გაბედულად აყენებს თავის მოსაზრებას.

ავტორი ფიქრობს, რომ „მესამე დასის“ შიგნით თავიდანვე განხეთქილება, იდეოლოგიური ბრძოლა, ოპორტუნისტულ უმრავლესობად და რევოლუციურ მარქსისტულ უმცირესობად დაყოფა არ ყოფილა, რომ პარტიის მეორე ყრილობამდე იდეური ბრძოლა არ განვითარებულა ორგანიზაციულ-პოლიტიკური ბრძოლის დონემდე (გვ. 6, 38). ჩვენი აზრით, ესა და კიდევ ზოგი სხვა დებულება, რომლებიც „მესამე დასის“ ისტორიის შესახებ არის ნაშრომში მოცემული, საფუძველს არ უნდა იყოს მოკლებული. ამასთან საჭიროდ მიგვაჩნია ამ მხრივ ობიექტური მეცნიერული კვლევის განგრძობა, საკითხის კიდევ უფრო ღრმად შესწავლა.

ნაშრომის მომდევნო თავში — „ლენინურ-ისკრული ორგანიზაციები ამიერკავკასიაში“ — საფუძვლიანად არის გაშუქებული ლენინურ-ისკრული ორგანიზაციების ჩასახვა-განმტკიცების, მათი მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი საკითხები. ავტორი სამართლიანად ამახვილებს ყურადღებას იმაზე, თუ ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები როგორ იქმნებოდა ლენინის ხელმძღვანელობით, ლენინური ორგანიზაციული პრინციპების მიხედვით. გარჩეულია სათანადო მასალები, ვრცლად არის ნაჩვენები გაზეთების: „ისკრის“ მისი იდეების თანმიმდევრული დამცველის — „ბრძოლის“ ადგილი და მნიშვნელობა. ავტორი სწორად აღნიშნავს, რომ ამიერკავკასიის ლენინურ-ისკრული ორგანიზაციები თავიდანვე თვლიდნენ თავს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შემადგენელ ნაწილებად და ისწრაფვოდნენ რუსეთის პროლეტარიატთან მჭიდრო კავშირისაკენ, ცდილობდნენ მისი დახმარებით სოციალური და ეროვნული თავისუფლების მიღწევას. ნაშრომში კარგად არის ნაჩვენები ბაქოს, თბილისისა და ბათუმის ლენინურ-ისკრული ორგანიზაციების მოღვაწეობა, ამიერკავკასიის ერთიანი პარტიული ცენტრის შექმნის აუცილებლობა.

ნაშრომის მეოთხე თავი — „რსდმპ კავკასიის კავშირის ბრძოლა პარტიის მესამე ყრილობის მოწვევისათვის“, რომელსაც მონოგრაფიის თითქმის მესამედი უჭირავს, ეხება თემის ძირითად საკითხს. ავტორის მიერ საინტერესოდ არის გაშუქებული კავკასიის კავშირის შექმნის, პარტიის მესამე ყრილობის მოწვევისათვის მისი დიდმნიშვნელოვანი მოღვაწეობის, გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლის“ (იგი გაზეთ „ბრძოლის“ ტრადიციებს აგრძელებდა) ისტორია ნათლად არის დახასიათებული რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის (არჩეულ იქნა კავკასიის კავშირის პირველ ყრილობაზე 1903 წ. 20 მარტს) ხელმძღვანელობით სომხეთში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შექმნა-განმტკიცება, მთლიანად ამიერკავკასიაში საგაფიცვო მოძრაობის, საპირველმაისო დემონსტრაციების ორგანიზება.

კავკასიის კავშირის II ყრილობაზე (1903 წ. ოქტომბერი) გამოვლინდა ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის პრინციპული უთანხმოება და, რომ იმ დროიდან მიეცა დასაბამი შინაპარტიულ ბრძოლას ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის ამიერკავკასიაში (გვ. 84). ავტორი კარგად ასახავს ამ ამბებს და, ამასთანავე, ნათლად წარმოგვიდგენს მენშევიკების, სოციალ-ფედერალისტების, ესერების, ანარქისტების წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის ისტორიას.

და ბოლოს, მეხუთე თავში — „რსდმპ კავშირი მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის სათავეში“, რომელიც მონოგრაფიის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, საფუძვლიანად არის განხილული კავკასიის კავშირის დიდი და ნაყოფიერი მოღვაწეობა მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის გაჩაღებისა და ორგანიზაციულად წარმართვისათვის. ნაშრომი ცხადყოფს, რომ კავკასიის კავშირის კომიტეტმა შესძლო ამიერკავკასიის მუშებისა და გლეხობის დარაზმვა ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, მათი მტკიცე კავშირის უზრუნველყოფა, გლეხთა სტიქიური მოძრაობისათვის შეგნებული ხასიათის მიცემა, შეგნებული პოლიტიკური ბრძოლის რელსებზე გადაყვანა, სწორად არის წარმოდგენილი გურიის გლეხთა ბრწყინვალე გამოსვლების მნიშვნელობა, რაც, სამწუხაროდ, ყოველთვის არ არის სათანადოდ ასახული პარტიულ-ისტორიულ ლიტერატურაში. ავტორი სწორად აღნიშნავს, რომ ყველგან არ არსებობ-

და ერთიანი სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის ხელმძღვანელობა. ნაშრომში სწორად არის წარმოდგენილი ი. ბ. სტალინის, მისი ნაშრომების როლი და მნიშვნელობა.

ავტორი ნათლად წარმოგვიდგენს კავკასიის კავშირის კომიტეტის ნაცვლად მისი საქმის განმგრძობის — საოლქო ბიუროს შექმნის აუცილებლობასა და მნიშვნელობას.

ამრიგად, სარეცენზიო მონოგრაფიის დამსახურებად მიგვაჩნია: კავკასიის კავშირის შექმნისა და მოღვაწეობის ისტორიის მეცნიერულად, მონოგრაფიული სახით გადმოცემა (რაც პირველი ცდაა), ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელი და წარმმართველი როლის სწორად ჩვენება ამიერკავკასიის მარქსისტულ-რევოლუციური ორგანიზაციების შექმნა-განმტკიცებაში, ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით ამიერკავკასიის ლენინურ-ისკრული ორგანიზაციების ერთიანი მოქმედების სწორი გაშუქება, ამიერკავკასიის პირველი მარქსისტული ორგანიზაციის — „მესამე დასის" ისტორიის ზოგიერთი არსებითი საკითხის ობიექტურ-მეცნიერული გადმოცემა და სხვ.

ამასთან სარეცენზიო მონოგრაფიის მიმართ გვაქვს ზოგიერთი შენიშვნა, სურვილი.

ნაშრომის ნაკლად ის მიგვაჩნია, რომ მასში არ არის მიმოხილული ლიტერატურა, არ არის დასახელებული ცნობილი კოლექტიური ნაშრომები („საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები", ნაწ. I, 1883-1921 წლები, თბილისი, 1957, „ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ისტორიის ნარკვევები", ნაწ. პირველი, 1883-1921 წწ. (რუსულად), თბილისი, 1967 და სხვ.), გაკეთებულია უმისამართო შენიშვნები.

არ არის ხაზგასმული, რომ ვ. ი. ლენინის ქართველი მოწაფეები მთავარ როლს ასრულებდნენ ამიერკავკასიაში ლენინური იდეების დაცვისა და განხორციელებისათვის ბრძოლაში, რასაც საერთო პარტიული მნიშვნელობა ჰქონდა; მკრთალად არის გაშუქებული ა. წულუკიძის უდიდესი პრაქტიკულ-რევოლუციური და თეორიული მოღვაწეობა. გაუმართლებლად მიგვაჩნია ა. წულუკიძის ნაშრომების („ოცნება და სინამდვილე", „პაწია შენიშვნა დიდ კითხვაზე" და სხვა ნაშრომების) — უგულვებელყოფა.

სარეცენზიო წიგნში გატარებულია აზრი, რომ ამიერკავკასიაში სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას თავისი საკუთარი წინამორბედები ჰყავდა (გვ. 29). ამაზე ჩვენი შეხედულება გამოვთქვით ერთ-ერთ რეცენზიაში (გაზ. „კომუნისტი", 1968, 6 აპრილი) და კვლავაც ვადასტურებთ იმას, რომ ჩვენში სოციალ-დემოკრატებმა უშუალოდ განიცადეს რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების — ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის — გავლენა. ვ. ი. ლენინის ცნობილი მითითება სოციალ-დემოკრატიული მოძრაობისათვის მათს როლზე სავსებით ვრცელდება ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაზეც.

ნაშრომში ვხვდებით ზოგიერთ ბუნდოვან, გაუმართავ ადგილს. ნაშრომს არ აქვს საერთო დასკვნები.

სარეცენზიო მონოგრაფია მნიშვნელოვანი წვლილია ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში. მას კმაყოფილებით მიიღებს ფართო საზოგადოებრიობა.

**გ. გამსახურდია**

## ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაურის" ერთი ადგილის გაგებისათვის

დიდებული ვაჟა ემდუროდა ხოლმე გამომცემლებს: ჩემს ნაწარმოებებში ბევრ სიტყვასა და წინადადებას ამახინჯებთო. სამდურავი სამართლიანი იყო და მგოსანი დამაჯერებლად უმტკიცებდა სიმართლეს წიგნების გამომცემელთ. ამ მხრივ სადღეისოდ სადავო ბევრი აღარაფერია, მაგრამ ვინც დაკვირვებით წაიკითხავს ბრწყინვალე „ალუდა ქეთელაურს", არ შეიძლება, ყურადღება არ გაამახვილოს ერთ გულსატკენ დამახინჯებაზე, რომელიც გვხვდება ყოველ სასკოლო სახელმძღვანელოში თუ სხვა გამოცემებში.

ალუდამ კურატი მიიყვანა ხატში. იგი მუცალის სულს უნდა შესწიროს. ხევისბერი გამწყრალი ეუბნება ალუდას:

„**გაურჯულებულს** არჯულებ,
შენ ეგ არ შაგიხდებისა,
ქისტისად საკლავის დაკვლა
კარგად არ მოგიხდებისა".

ამ ნაწყვეტში პირველი სტრიქონის პირველივე სიტყვაა დამახინჯებული „**გაურჯულებულს** არჯულებ"...

დავუკვირდეთ ამ სიტყვას, ცალკე აღებულს, — „გაურჯულებულს", იგი მიმღეობაა და ნაწარმოებია სიტყვა ურჯულო-საგან. თუ ავიღებთ მსგავსსავე სიტყვას — უბრალოს, მისგან იწარმოება „გაუბრალოებული". მაშასადამე ვაჟას ზემოდ ნახსენებ სტრიქონში უნდა იყოს ანალოგიურად: „გაურჯულოებულს

არჯულებ". ასეც დასწერდაო ვაჟა, გვიკიჟინებს ზოგიერთი ლიტერატორი, მაგრამ მარცვალთა რაოდენობის დაცვისათვის „გაურჯულებულს" უხმარიათ. უბოდიშო ბრალდება გენიოსი შემოქმედისადმი! სიტყვის ჯადოქარი, ენის დიდი ქომაგი ვაჟა, როგორმე ფორმის დაუმახინჯებლად აჰკინძავდა სათქმელს. „გაურჯულებულს" დამახინჯებით არის დაბეჭდილი, მაგრამ საქმე მარტო გრამატიკული დამახინჯება როდია.

თუ ეს სტრიქონი სწორად არ წავიკითხეთ, ისე შეუძლებელია „ალუდა ქეთელაურის" შინაარსის გაგება, მისი ბრწყინვალების შეფასება, და ვიტყოდით, მთლიანად ვაჟას შემოქმედების მართებული გაგებაც.

ალუდას ტრაგედია არ აღმოცენებულა მარტო სარწმუნოებრივ ნიადაგზე. ეს სადღეისოდ სადავო აღარ არის, მაგრამ ჩვენს კრიტიკულ ლიტერატურაში არსებული აზრი, თითქოს ალუდა თემიდან იმიტომ გააძევეს, რომ სარწმუნოებრივი ნორმა დაარღვიაო, სწორად არ მიგვაჩნია.

„... ალუდას გაძევება ამ ნიადაგზე არ მომხდარა. საქმე ის არის, რომ ალუდას ქცევამ, მისმა მოქმედებამ სხვა სიბრტყეზე გადაინაცვლა, — სარწმუნოებრივ სიბრტყეზე. ხევისბერი ბერდია აღაშფოთა ალუდას სურვილმა მუცალის სულის დამწყალობინების შესახებ". (გრ. კიკნაძე. „ვაჟა ფშაველას შემოქმედება", გვ. 63, 1957 წ.).

ჩვენი მიზანი არ არის „ალუდა ქეთელაურის" ყოველმხრივი განხილვა, ოღონდ ვიტყვით, რომ ალუდას ტრაგედია უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე ხევისბერს შეეჯახებოდა ხატში. ალუდამ ქისტები დახოცა, ერთ მათგანს, მუცალს, მარჯვენა არ მოსჭრა, ისე დაბრუნდა სოფელში, როგორ შეხვდნენ ხევსურები მას?

„გამაჰქცევიხარ ქისტიშვილს,
გადუქცევნიხარ ქალადა.
მაჰკალ, მარჯვენა არ მაჭერ,
უკვენ მისდევდი მარადა?"

ჰკიცხავენ ხევსურები ალუდას, აბუჩად იგდებენ და უკიჟინებენ: „მოკვდი, სიკვდილი გირჩევნავ, რად ხარ სიცრუის მთქმელადა". აქ გაჩნდა ნაპრალი ალუდასა და საზოგადოებას შორის, სასტიკ წინააღმდეგობათა ფინალი გათამაშდა ხატში კურატის შეწირვისას. მოვლენები განვითარდა, კულმინაციას მიაღწია და კვანძიც გაიხსნა: ალუდა მოიკვეთეს.

ალუდა ქეთელაურის ამბავი ხომ ვაჟას სინამდვილიდან აქვს აღებული: ალუდა ხანდახან საკლავს დაჰკლავს ხოლმე თავის მიერ მოკლული ქისტის — მუცალის სულის მოსახსენებლად, — ეს ვიცი ხალხური გადმოცემითო, — ამბობს ვაჟა.

რომელ ხევისბერს შეურისხნია ამის გამო ალუდა? განა ერთხელ, რამდენჯერმე შეუწირავს მას მსხვერპლი მოკლული ქისტის სამხვეწროდ, — ამას არავინ აღუშფოთებია, ვაჟა არ მიუთითებს ამის შესახებ თავის ხელთ არსებულ ხალხურ გადმოცემაში.

თქმა არ უნდა, ზედმეტია ლაპარაკი თემისა და პიროვნების დაპირისპირების ირგვლივ. ეს საკითხი მრავალგზის არის განხილული კრიტიკულ ლიტერატურაში. სადავოც არაფერია: „ალუდა ქეთელაურში", და ვაჟა-ფშაველას ბევრ სხვა ნაწარმოებში, დახატულია ბრძოლა ძველსა და ახალს შორის, ძველის დამცველთა და ახალი იდეალების მატარებელ პიროვნებათა შორის. და ეს ხომ საკაცობრიო საკითხია! ცხოვრებას, ხალხს ალუდასთან სადავო ის აქვთ, რომ „გაურჯულებელს არჯულებს", აქამდე არ არსებულს აკანონებს და წინააღმდეგობაც ამის შედეგად იხლართება. რჯული — ვიწრო გაგებით სარწმუნოებას ნიშნავს, ფართო გაგებით — ცხოვრების წესებს, იურიდიულ ნორმებს — საყოფაცხოვრებოსა და სარწმუნოებრივს. დღესაც მთაში „რჯულის კაცები" იმათ ჰქვიათ, ვინც ადამიანთა შორის ატეხილ დავას აწესრიგებს, მოსამართლეთა როლში გამოდის, როცა სადავო საქმეში სარწმუნოების ხსენება შეიძლება არც იყოს.

რა არის რჯული სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით? „სჯი სამართლობ. სჯული-რჯული-შჯული არს სიტყვა ბრძანებლობით ვიდრემდე, რომელ რომელთა ჯერ არს ქმნა და უარმქნელი უშჯულო არს". (ს. ორბელიანი. „სიტყვის კონა", გვ. 332, 1949 წ.

პავლე ინგოროყვას მართებული მოსაზრებით, „სიტყვა „რჩული" (სჯული, შჩული) თუმცა თავდაპირველად აღნიშნავდა ცნებას „სამართალი", „კანონი", — მაგრამ ამ ტერმინს ამავე დროს ადრიდანვე მიეცა აგრეთვე მნიშვნელობა აღსანიშნავად ცნებისა „სარწმუნოება, რადგან სარწმუნოება ეს არის იგივე „რჯული", ე. ი. სჯულდებით განსაზღვრული წესი" (პ. ინგოროყვა, „გიორგი მერჩულე", გვ. 18, 1954 წ.).

ხევისბერის საყვედური: „გაურჯულებელს არჯულებო", ალუდას შეიძლება ცხოვრებისეულ ცოდვადაც ჩაეთვალოს და რელიგიური ტრადიციების დარღვევადაც, მით უმეტეს:

„გონს მოდი, რჯულიანი ხარ,
ურჯულოვდები მაგითა".

აქ შეიძლება მკითხველმა ივარაუდოს, ბერდია ალუდას მხოლოდ რელიგიური წესების დარღვევას, ურჯულოებას უკიჟინებსო. ასეც რომ იყოს, რელიგიური და ცხოვრებისეული ისე მჭიდროდ იყო გადახლართული მთაში, რომ მათი ერთმანეთისაგან განცალკევება გაუჭირდებოდა კაცს. მაგრამ ალუდას შერისხვა

მარტო რელიგიური მიზეზით არ მომხდარა, თუმცა ესეც ერთი ატრიბუტთაგანია გმირის ტრაგედიაში. სადავო **ხევსურებს ესა აქვთ:** ალუდას ხალხისგან, ცხოვრებისგან დაკანონებული ნორმების დამსხვრევა მოუნდომებია და „ვითარ ხელეწიფების?“

აბა დავაკვირდეთ „სტუმარ-მასპინძელს“, „გველის მჭამელს“: განა ამაღლებული იდეალებისათვის, დიადი ადამიანური აზრებისა და მოქმედებისათვის არ არიან შერისხულნი ამ ნაწარმოებთა დადებითი პერსონაჟები? განა ამ ნაწარმოებებშიც არა ჩანს ნათლად, რომ წარმოიშობა რა ახალი ძველის წიაღში, მაშინვე, ჩასახვის პროცესშივე, ჩაღდება ბრძოლა ძველსა და ახალს შორის, მოწინავესა და დრომოჭმულს შორის? ვაჟა ცხოვრებისეულ სიბრძნეს დაწაფებული, გენიალური მოაზროვნე, ცხადად ხედავდა საზოგადოების განვითარების გზას, ადამიანთა ურთიერთობის რაობაშიც კარგად ერკვეოდა და საკუთარ შეხედულებებსაც საკმარისი დამაჯერებლობით ამჟღავნებდა:

„სხვათა შორის, ესეც უნდა ითქვას: ბედაურ აზრებს როგორღაც ვერა ჰგუობს ცხოვრება“. (ვაჟა ფშაველა, „სხვათა შორის“, ტ. X, გვ. 122).

„ენა თუ ჰქონდეთ ხე-ქვათა,
ჩვენ რად არ გაგვიგონია?
ჩვენს სატყუებლად მინდიას
სიცრუე მოუგონია“.

ვერ ჰგუობენ მინდიას „ბედაურ აზრებს“ ხევსურნი!

ალუდა ქეთელაურმა განა რა შესცოდა ხალხის წინაშე, რომ ასე სასტიკად შერისხეს? მან ახალი, პროგრესული აზრი და საქმე შეიცნო. ამისი დამკვიდრება უნდა, საზოგადოების უმეტესი ნაწილის გაათვთრებაც ამის ბრალია.

„გაურჯულებელს არჯულებ, შენ ეგ არ შაგიხდებისა“, უსაყვედურებს, რისხავს ხევისბერი ალუდას, ე. ი. აქამდე დაუკანონებელს, არსებულ საქმეს აკეთებ, ეგ არ გეპატიებაო! „გაურჯულებულს არჯულებ“ — დამახინჯებული სიტყვათა წყვილია, „გაურჯულებული“ არაფერს არ აღნიშნავს. ვთქვათ, აქ ხევისბერი სარწმუნოების ხელყოფას უსაყვედურებს ალუდას, მუცალი ხომ თავიდანვე ურჯულო იყო ქრისტიანების რწმენით, ახლა როგორღა „აურჯულოებს“ მას ალუდა? ან რა „გაურჯულოება“ შეიძლება მოკლული კაცისა?

აქვს თუ არა ვაჟას ეს სადავო სიტყვა სადმე სწორად ნახმარი? აქვს.

დრამა „მოკვეთილში“ არის ადგილი: ფშავლები ძრახავენ ბახას: ქისტებს გამოსძღოლია წინ და სოფელი მოუთარეშებიათო. ბახა ფშაველია, მისი მოქმედება უჩვეულოა, გაუგონარია, ამიტომ ერთ-ერთი მოქმედი პირი განრისხებული ამბობს:

„**ივანე.** უყურე, უყურე შენ იმ ძაღლს, მოღალატეები შინაითაც გაგვიჩნდნენ?

**შალვა.** გარჯულდა გაურჯულებელი“.

ე. ი. მოხდა ის, რაც აქამდე არ მომხდარა ფშავის ხევში: მტერს ფშაველი წამოუძღვა წინ, მოძმეთა რბევაში მიეშველა, „გარჯულდა გაურჯულებელი“, მოხდა უკანონო, უჩვეულო ამბავი.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ გენიალური ვაჟას პოემის „ალუდა ქეთელაურის“ საკვანძო ადგილი დამახინჯებით იბეჭდება:

**„გაურჯულებულს** არჯულებ,
შენ ეგ არ შაგიხდებისა“.

დიდი გარჯილობა არ არის საჭირო, რათა დადგინდეს ჭეშმარიტება და გასწორდეს დამახინჯებული სიტყვა, რადგან თუ იგი მართებულად არ წავიკითხეთ, შეუძლებელია ვაჟას ბრწყინვალე პოემის შინაარსში ჩაწვდომა. ჩვენი აზრით, სადავო სტრიქონები ასე უნდა იკითხებოდეს:

**„გაურჯულებელს** არჯულებ,
შენ ეგ არ შაგიხდებისა“.

**არჩილ შიშმანაშვილი**

# რომანი საქართველოს შორეულ წარსულზე

ლევან გოთუას ახალი ვრცელი ისტორიული რომანი „მითრიდატე“ ასახავს უძველეს ქართველთა ტომების ცხოვრებას. ძველი წელთაღრიცხვის IV—II საუკუნეების მანძილზე შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთის და დასავლეთის სანაპიროზე მცხოვრები სხვადასხვა ქართველური ტომები გაერთიანებული იყო პონტოს სამეფოში. ამ სამეფოს მოსახლეობის უმრავლესობას ხალიბები, ტიბარენები, კოლხები,. მაკრონები და სხვა ქართველი ტომები შეადგენდნენ. ეს თვალსაზრისი ხაზგასმით არის აღნიშნული ბოლო წლებში გამოცემულ სამეცნიერო ლიტერატურაში (იხ. გ. გოზალიშვილი „მითრიდატე პონტოელი“, ლ. სანიკიძე — „პონტოს სამეფო“ და სხვ.) პონტოს სამეფო

---

**ლევან გოთუა, „მითრიდატე“, „საბჭოთა საქართველო“, 1970.**

განსაკუთრებით ნიჭიერი და გონიერი მითრიდატე VI, ევპატორის დროს (120-63 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) გაძლიერდა. თავისი მამაცობით, გასაოცარი ენერგიით და ჭკუით მითრიდატემ დიდი და მძლავრი სახელმწიფო შექმნა (იხ. ი. ჯავახიშვილი — „ქართველი ერის ისტორია“, წიგნი პირველი, გვ. 4) სწორედ ამიტომ პონტოს სამეფოს ისტორიაში საპატიო ადგილი უჭირავს მითრიდატე ევპატორის ხანას და მის გაბედულ ბრძოლას რომის აგრესიის წინააღმდეგ. „ის სამყარო, რომელიც მითრიდატეს მეთაურობით რომის ექსპანსიის წინააღმდეგ გიგანტურ ბრძოლას აწარმოებდა, — ქართული იყო. მითრიდატეს მეთაურობით წარმოებული ბრძოლა იყო ქართველი ტომების მიერ უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ საკუთარი თვითარსებობისა და დამოუკიდებლობისათვის წარმოებული სამართლიანი, თავგანწირული, გმირული ბრძოლა, რომლის მნიშვნელობაც ადგილობრივ ჩარჩოებს სცილდებოდა და საერთაშორისო მნიშვნელობას იღებდა. მითრიდატე პონტოელის დროინდელი პონტოს სამეფოს ძლიერება იყო ფიზიკურ-მატერიალური და კულტურული ძლიერება იმ ქართველი ტომებისა, რომლებიც ამ პოლიტიკური ორგანიზმის სისხლსა და ხორცს წარმოადგენდნენ“ (იხ. გ. გოზალიშვილი „მითრიდატე პონტოელი“, გვ. 280).

ლ. გოთუას „მითრიდატე“ ღრმად დრამატულია თავისი კომპოზიციით. მისი მთავარი თემაა — თავდაცვით-განმათავისუფლებელი ბრძოლა. გმირი რომანისა არის თავისუფლების მოყვარე ქართველი ტომები, მთელი ხალხი, რომელიც შეუდრეკლად და მტკიცედ იბრძვის ეროვნული თვითარსებობისათვის, დამოუკიდებლობისათვის. ნაწარმოების „კერძოობითი“ ხასიათის შემთხვევებშიც კი არსებითად ასახულია ისტორიული მნიშვნელობის კონფლიქტები.. სამიჯნურო თავგადასავლის მატარებელი და სახელმწიფო მოღვაწე ერთი და იგივე პიროვნებაა, რაც რომანს შეკრულ, ორგანულ ხასიათს აძლევს.

მითრიდატე VI დროს პონტოს სამეფომ დაიმორჩილა საკმაოდ მრავალი მეზობელი ქვეყანა, სახელდობრ „შავი ზღვის ჩრდილოეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი რაიონები, ყირიმისა და ტამანის ნახევარკუნძულები, მცირე აზიის ნაწილი, კოლხეთი, მცირე სომხეთი, მაკედონია, საბერძნეთი და სხვა. მითრიდატე დიდი გავლენით სარგებლობდა მდინარეების: დნეპრის, დნესტრის და დუნაის ქვედა წელის, ეგეოსისა და ადრიატიკის ზღვების სანაპირო რაიონებში მცხოვრებ სხვადასხვა მეომარ ტომებზე“ (ვ. გუჩუა — „გადავხედოთ წარსულს“, გვ. 8). ასეთად გაძლიერებული პონტოს სამეფო დაუპირისპირდა. წინააღმდეგობაში მოექცა რომის მონათმფლობელურ სახელმწიფოსთან, რომელიც მიისწრაფოდა მსოფლიო ბატონობისაკენ. რომის სახელმწიფოს აღმოსავლეთისაკენ მიმართულ პოლიტიკას ძლიერი მოწინააღმდეგე აღმოუჩნდა პონტოს სახელმწიფოს სახით. ამიტომ რომისა და პონტოს შეჯახებაც გარდუვალი შეიქმნა. რომთან დაპირისპირება, მასთან ქედმოუხრელობა სიცოცხლის ფასად დაუჯდა მითრიდატე ევერგეტს. ხოლო მისი მემკვიდრის მითრიდატე პონტოელის მიზანი იყო ქართველურ ტომთა ერთად შეკვრა და ერთობლივ დახვედრა მძვინვარე მტერთან — რომაელებთან.

ძველ ისტორიულ წყაროებში მითრიდატეს შესახებ მცირე ცნობებია შემონახული, და, ხშირად, ეს ცნობები ერთმანეთის საწინააღმდეგოა, ურთიერთის გამომრიცხველია, არ ეთანხმება ამ გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის ცხოვრების რეალურ მონაცემებს,. მის დამსახურებას ქვეყნის წინაშე.

ლ. გოთუას თავის რომანში რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, გაუთვალისწინებია ქართული და უცხოური წყაროები, ხოლო იქ, სადაც ეს შეუძლებელი იყო, საკუთარი მხატვრულ-ისტორიული ალღოთი გაუაზრებია ის, რაც შეიძლება ნამდვილად მომხდარიყო. ჩვენი რომანისტი იზიარებს ცნობილი მწერლის ლიონ ფოიხტვანგერის სიტყვებს, რომ ისტორიული რომანი უფრო თვალნათლივ, ხელშესახებად, შთამბეჭდავად აღადგენს ისტორიის ფაქტებს, ვიდრე ისტორიული გამოკვლევა და, რომ სწორედ ამაში მდგომარეობს ისტორიული რომანის დიდი მნიშვნელობაო.

ლ. გოთუა მხატვრულ სახეებში აღადგენს ჩვენი ისტორიის ნაკლებად ცნობილ, ან დაკარგულ დიდ მნიშვნელოვან ისტორიულ ამბებსა და მოვლენებს, რაც დაკავშირებულია პონტოს დიდი მეფის მითრიდატე VI ევპატორის მოღვაწეობასთან.

მითრიდატე VI ევპატორი იყო უფროსი ვაჟი და მემკვიდრე პონტოს მეფის მითრიდატე V, ევერგეტისა, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის 120 წელს თავის ახალ სატახტო ქალაქში სინოპეში მოჰკლეს შეთქმულებმა. რომანის მიხედვით, მოსყიდულმა დრომადემ და ზარიადრემ საკუთარი ხელით აჩეხეს მითრიდატე ევერგეტი. მითრიდატე V დაღუპვის შემდეგ სამეფო ტახტი ხელში ჩაიგდო მისმა მეუღლემ ლაოდიკემ, რომელიც იყო სირიელი სელევკიდების შთამომავალი და რომის ორიენტაციისა. პირადი განდიდების, პირადი პატივმოყვარეობის გრძნობამ იგი აიძულა ტახტის კანონიერ მემკვიდრეს, თავის უფროს ვაჟს მითრიდატე ევპატორს წინ გადადგომოდა, ყოველნაირად ეცადა მისი გზიდან ჩამოშორება. ლაოდიკემ, რომელმაც ქმრის, მეფე მითრიდატეს მკვლელობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო, შემდეგ ასეთსავე ვერაგულ ხერხებს მიმართა საკუთარი

შვილისა და მემკვიდრის წინააღმდეგაც. ჰაბუკი მითრიდატეს დაღუპვა სცადეს დედოფალ ლაოდიკეს გარშემო შემოკრებილმა ბოროტმა პირებმა, „საჭურისთა საბჭოს“ წევრებმა, ლაოდიკეს ერთგულმა მსახურებმა. მათ გადამალეს მეფის ანდერძიც. ამიტომ იგი განერიდა მათ. შემდეგ ბევრი ეძიეს მითრიდატე, რათა თავიდან მოეშორებინათ იგი. ახალგაზრდა მითრიდატე იყო მხნე და შემართებული, გამჭრიახი და ყოვლის მცოდნე. მითრიდატე საუცხოოდ იცნობდა მრავალ ხელნაწერ წიგნს; მან ზეპირად იცოდა მთელი „ჰილგამეშიანი“, ზედმიწევნით იცნობდა ჰომეროსსა და პლატონს ამაში მას ხელს უწყობდა მრავალი ენის ცოდნა.

ისტორიული წყაროების მიხედვით, მითრიდატე ევპატორი მამის გარდაცვალების ჟამს 11 წლისა იყო (იხ. ი. ჯავახიშვილი — „ქართველი ერის ისტორია“, წიგნი პირველი, გვ. 4, გ. გოზალიშვილი „მითრიდატე პონტოელი“, გვ. 246). ლევან გოთუას რომანის მიხედვით კი 13 წლისა (გვ. 12).

სამეფო კარზე ლაოდიკესაც ჰყავდა მომხრეები და ახალგაზრდა მითრიდატესაც. ისინი ფარულად ეხმარებოდნენ და იცავდნენ მითრიდატეს. საისტორიო წყაროების ცნობით, მითრიდატე შვიდი წლის განმავლობაში ემალებოდა დედისა და მისი მომხრეების ბოროტებას. რა წვალება და საფრთხე არ გამოსცადა ამ ხნის განმავლობაში ტახტის კანონიერმა მემკვიდრემ? მაგრამ თავისი მომხრეებისა და მფარველების დახმარებით შესძლო ყოველგვარი წინააღმდეგობის გადალახვა.

ლ. გოთუას ისტორიული რომანის ეს პირველი წიგნი ერთგვარი შესავალია, ექსპოზიციაა იმ ისტორიული მოვლენებისა, რომლებიც შემდეგ უნდა გაიშალოს, შემდეგ უნდა იქნას დახატულ-ნაჩვენები. სავსებით ბუნებრივია, რომ შემდეგ ნაწილში. ერთ-ერთი მთავარი, ძირითადი იქნება ომი პონტოს სამეფოსა და რომს შორის, რომელიც რამდენიმე ათეულ წელს გაგრძელდა და ორივე მებრძოლი მხარისაგან მოითხოვა უზარმაზარი ფიზიკური და მატერიალური დაძაბულობა.

ლ. გოთუას რომანის ამ პირველი ნაწილის მთავარი აზრი გამოთქმულია მითრიდატეს მოგზაურობაში ქართველთა სხვადასხვა ტომის გაცნობისა და დაახლოების მიზნით. ეროვნული ერთიანობისა და მთლიანობის იდეა განსაზღვრავს მითრიდატეს მოღვაწეობას სახელმწიფოებრივი მმართველობის დაწყების პირველივე ნაბიჯებიდან.

რომანის დასაწყისშივეა გამოთქმული ქართველთა ოცნება: „კაცი გაჩდებაო, ქართველ ნათესავთა, ყველა ჩვენებურ ტომს შეაერთებსო, ზღვასა და ხმელს ერთად მოაყენებსო?!“ ამ აზრის საპასუხოდ.. ქართველთა ტომების მესვეურნი, უხუცესნი ერთგვარ გულგატეხილობასაც გამოსთქვამენ: „მერმე სად არის? თორემ სულ დაიქსაქსა ჩვენი მოდგმა — აქეთ-იქიდან მიაძახეს სხვადასხვა კილოზე და კილოკავზე“. „მოგვძალა უცხო ტომმა! ენა გვეხშობის... კილო გვეცლების... დედაენა ძლივსღა გვესმის“. „ჩვენ, ტუბალთა ნახევარი, კაბადოკს, მონობაში ვართ... ნაწილი მესხნიც ჩვენთან არიან... ხალიბნიც...“ „ხალდები კი მიგვძალა მიდმა და პართმა“. „დარდიანად ამეტყველდნენ მთიული ლაზები და ბიძერები, მაკრონები და სანიკები... ტაოელნი, სვანნი, ჰენიოხები, აფხაზნი, აფშილნი, დრილინი და სხვანი“. მათ ემატებოდნენ მესხნი. მოსინიკები, მუშკთა ტომები.

ამ მრავალრიცხოვან ტომთა მისწრაფება იყო ერთად შეკავშირებული, გაერთიანებული, მთლიანი ქვეყანა. „არსიანული ზრახვები“ სწორედ მთელ ქართველთა ტომების გაერთიანებას გულისხმობდა. „ჯერ კოლხეთს წავალ ხმელეთით... მერმე იბერიას ვეწვევი, იქიდან კახეთსა და კამბეჩოვანს, ალვანეთს... მერმე სხვა ჩვენს მხარეებსაც დავივლი... ახალ მეზობლებსაც გავიცნობთ“. ჟამიც გამოხდება და ისევ აქ, ქვასავარძელას მოვბრუნდები — დიდ შეყრაზე და ფიცის დებაზე გიწვევთ, და მერმე, პონტოს! — უფლისწულმა ყველა ტყავი ფრთხილად დაიარა და ფეხის გულებზე ხან ზღვის ლომის დატკეცილ ბეწვს გრძნობდა, ხან ვერძის საწმისს, ხან ირმისა თუ ზაქის ხეშეშა ბუსუსს“. ყოველი ახალი ქართული მხარის ნახვის შემდეგ თითქოს ახალი მხარი ებმებოდა მითრიდატეს. „ქართულ სამყაროს მიწა-წყალისა და ტომთა სიმრავლის ცოდნის შემდიდრებასთან ერთად უძლიერდებოდა ალღო, მხნეობა გულისა და ზრახვების დაუცდელი ჰვრეტა“.

იბერიის მეფე ადერკი და მითრიდატე ერთად მსჯელობენ საქვეყნო საქმეებზე. რომანის ერთ ეპიზოდში ნაჩვენებია, რომ თაფლიან ხელზე მითრიდატეს ფუტკარი ესეოდა. იგი დაიჭერდა ერთ-ერთს, მკლავზე, ნიადაგზე, მხარზე დაისვამდა, აკბენინებდა. ეს მრავალგზისად მეორდებოდა, გაკვირვებული ადერკი ეკითხებოდა მითრიდატეს, თუ რატომ აკეთებს ასე. ამაზე მითრიდატე უპასუხებს: „ვწურთნი სხეულს, ფიქრს, ჩემს სიმტკიცესა და გამძლეობას ვარკვევ... და განა მარტო ასე. კიდევ არის ერთი რამ მნიშვნელოვანი. მხარის გრძნობას ვამახვილებ! ჩვენი საერთო ნაკლია. მხარდამხარ უნდა ვგრძნობდეთ ურთიერთს, როგორც, განუყოფელი ტყუპის ცალები. მომავლისათვის ვემზადები“... „ერთად ვჭამოთ, გავიზიაროთ მომავლის სიტკბოც და სიმწარეც“. სპარსელებთან მოგებული მძიმე ომის შემდეგ. ერთად შეკრებილი ქართველთა ტომების მესვეურნი მსჯელობენ რომაელთა მოახლოებულ საფრთხეზე. მითრიდატეს სიტყვე-

ბია: „ჩვენ ამ დიდ ომში მრავალტომად ჩავედით და უკან კი სისხლის ძმებად და ერთსულოვან ერად ვბრუნდებით! აი, პირველი მადლი ამ გამარჯვებისა“.

მომძლავრებულ რომის იმპერიას ამოქმედებდა აღმოსავლეთის მდიდარი ქვეყნების დაპყრობა, მათზე გაბატონება. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ რომის სახელმწიფო ეყრდნობოდა მონათმფლობელობის სისტემას. მონების შეძენის ყველაზე ხელსაყრელ წყაროს კი ომი და დაპყრობა შეადგენდა. რომის იმპერიის მესვეურნი სწორედ ამ ხელსაყრელ გზებს მიმართავდნენ — ომობდნენ და იპყრობდნენ ქვეყნებს. რომმა გადაწყვიტა ბოლო მოეღო მძლავრი პონტოს სამეფოსათვის. ამგვარად, ამ ორ სახელმწიფოს შორის წინაალმდეგობათა დიდი კვანძი გაიხლართა.

ქართველ ტომთა უხუცესნი შეკრებილან, რათა გაერკვნენ მოახლოებულ საფრთხეში, რაც მომძლავრებულ რომის იმპერიას მოჰქონდა. „რომმა უკვე საბოლოოდ დათრგუნა და გადახნა კართაგენი, იპყრო კელტ-იბერი, გალთა ქვეყანა, ერთობლივ იტალიკები, ეგვიპტე, მთელი ელადა, მაკედონი. სამშობლო თვით ალექსანდრესი... ყველა კუნძული და ქალაქი ეგეოსისა, პროპონდიტისა. მათ უძველესი და სახელოვანი ტროას ციხე და სანახები, პერგამ-სამეფო დიდ მხარედ — ახიად გამოაცხადეს და რომის სამფლობელოს შეუერთეს. დაამარცხეს სელევკელთა ასურასტანი... ბითვინიას მორჩილება მოსთხოვეს და ავად გაგვიმეზობლდნენ“... მოახლოებული მტერი ჩვენს ტომებსაც უბედურებას უმზადებდა. თავიანთ სამხედრო სიძლიერეს რომაელები აღწევენ ჯერ ერთი ლაშქრის გაუმჯობესებული წყობით, უკეთესი შეიარაღებით და აგრეთვე, ვერაგობით, დაპყრობილი და დამარცხებული ქვეყნების ძალების გამოყენებით.

მითრიდატე V ევერგეტი ზრუნავდა მომზადებული ძალებით დახვედროდა მტერს და საკადრისი პასუხი გაეცა მისთვის. „ბოლო დროს დიდი ომის სამზადისს ყველა, ოდნავ გარკვეული გრძნობდა. ბევრმა იცოდა, კიდევაც, რომ მხედართმთავარი ტარიელ უფროსი უკვე საბერძნეთის კუნძულებზე იყო წასული, ჩუმი როქის სპის გამოსაყვანად. ქვეყნის მკვიდრთ კი ფარულად ჰკრეფდა და სწვრთნიდა მეფე. სხვა ქართველ მეფეებთან თუ ტომთ უხუცესებთან საერთო კავშირის შესამტკიცებლად დიდი მწიგნობარი და უფლისწულის აღმზრდელი ბედან კოლხი იყო გაგზავნილი“. რომაელები დახლართულად და შენიღბულად მოქმედებდნენ, ელინთა ქალაქების ურთიერთგათიშულობამ და დაქსაქსულობამ სულ ადვილად გაუღო ეგეოსის და შემდეგ აზიის კარი. რომაელები ქართველ ტომთა მეზობლად აღმოჩნდნენ. სწორედ ამ ხანებში გამოასალმეს სიცოცხლეს შეთქმულებმა პონტოს მებრძოლი მეფე მითრიდატე V ევერგეტი.

პონტოს სამეფოს და ტახტის მემკვიდრე მითრიდატე ევპატორი თუმცა ჭაბუკი იყო, მაგრამ გონიერი და უშიშარი. მისი ადრეული განსწავლულობა არაკად დადიოდა პონტოს სწავლულთა, და მოაზროვნეთა შორის. ტყუილად არ უწოდებდნენ მას „სწავლულ ჭაბუკს“. იგი კეთილშობილი რაინდიცაა. მან სიკვდილისაგან იხსნა უდანაშაულო ახალგაზრდა მკურნალი თემესტე, რომელიც აბობოქრებულ ხალხს გადასცეს დედოფალმა ლაოდიკემ და სახლთუხუცესმა ზარიადრემ. მხცოვანთა მხცოვანებთან, ბაპებთან ხლებისას მან გამოამჟღავნა ენების ცოდნა. იგი ჩამოთვლის ბერძნულს, არამეულს, ფალაურს, სომხურს, ლათინურს და სხვა ენებს; მიუხედავად სიყმაწვილისა, იგი თავს არიდებდა ნაადრევ თქმასა და ნაადრევად თავისი აზრების გამომჟღავნებას. ბრძენი მოხუცების მოთხოვნით წინ წაწეული ხელების მიხედვით ახასიათებენ ისინი ახალგაზრდა მითრიდატეს ბუნებასა თუ ხასიათს“. ახლავე „კლდეზე ჯაჭვული“ ხელი ჰქონია, კვლავაც დაუმკვრივდება“, „ვაჟკაცური, მაგრამ ნებიერი და დიდკაცური. თუმცა ჯერ ბალღია“, „თანაბრად ეხერხება საწერი წკირაცა და ხოფის ტარიც“, „ბრძოლის ხელია მომავალში“! „ხასიათიანი, ნაკვთიანი!“ „ცერს დამიხედე! დაუნდობელი ცერი აქვს — მთვარე ნამგალა“, „დაშნის ხელია... მძიმე“ „...ამირანის ხელია — კაჟს გაჰკრავს და აგერ ცეცხლს დაანთებს, პონტოს გადასწვდეს!“ „თითები ხელოვანისა და ხელოსნისა ერთად მარმარილოს მოქანდაკისა და ქვის მკოდავისა“, ამ გარეგნულ დახასიათებაში საკმაოდ გამოკვეთილია მითრიდატეს ბუნებაც, მისი ხასიათიც.

ლ. გოთუა ისტორიაში უპირველეს ყოვლისა, ეძებს და ხატავს ადამიანებს. მას აინტერესებს აგრეთვე ეპოქის ზნე-ჩვეულებანი.

თავისებური რომანტიკული იერის მატარებელია ახალგაზრდა მითრიდატესა და ლულუფას სიყვარული. განსაცვიფრებელი სილამაზის, ბუნების უშუალო შვილი ლულუფა შეიყვარებს მითრიდატეს ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მან არც კი იცის თუ ვინ არის იგი, რა მდგომარეობისა და მოწოდების მატარებელია. მას უბრალოდ მოეწონა და შეუყვარდა ვაჟკაცი. როდესაც მან გაიგო მითრიდატეს მდგომარეობა, იგი თითქოს კიდეც შეშინდა. ლულუფამ გაითვალისწინა, რომ უბრალო ოჯახის შვილს, ბუნებაში გაზრდილ ქალს არავინ დაანებებდა მითრიდატეს ცოლობას, დედოფლობას, მაგრამ

იგი დაკვირვებულად, გონიერად სჯის ყველაფერზე. მკითხველს უეჭველად იზიდავს ამ უბრალო ქალის ცხოვრება.

ლ. გოთუას ახასიათებს ზედმიწევნითი ცოდნა თავისი ქვეყნის ფლორისა და ფაუნისა, რაც სათანადოდ არის გამოყენებული წარმოდგენილ ნაწარმოებში. იგი ფლობს რთულ და იშვიათ ოსტატობას ისტორიული პორტრეტისა და ისტორიული ხასიათის გამოკვეთისა. გამოკვეთილი სახე პორტრეტია მითრიდატესა და ადერკის შეხვედრისა: „ადერკი, იბერიის დიდ მეფედ წოდებული, მითრიდატეზე ათი წლით უფროსი მაინც იყო, მაგრამ ჭაბუკი ტანად ახლავე სჭარბობდა ჩასკვნილ საშუალო ტანის იბერს. იგი მკაფიოდ შავგრემანი იყო და მკაცრად ჩამონაკვთულ სახეზე შავკოკორა ულვაშების ძირში, კეთილი ღიმილი ჰქონდა. პონტოელს კი პირიქით, ჯერ ჭაბუკურად შესათნოებულ სილამაზეს მუქი წაბლისფერი ღინღლი შეჰპაროდა, ხოლო ღიაღიმილს უეცარი სიმკაცრის იერი წამოედებოდა ხოლმე“. პორტრეტის ხატვის ასეთ დამაჯერებელ ხელოვნებას ამჟღავნებს ლევან გოთუა ბევრგან. რათა ოსტატურად გააცოცხლოს წარსულის სახეები და ატმოსფერო. ამ გარეგნულ სურათში საკმაოდ მოსჩანს შინაგანი, ადამიანური. ერთი სიტყვით, „მითრიდატეს“ ავტორს სრულად შესწევს წარსულის სახეებისა და ატმოსფეროს გაცოცხლების უნარი; ან კიდევ: „ტაძარში უფლისწული თავდახრილი შემოვიდა და მამის წინაშე წარსდგა. მას შავი ტუბალური ტალავარ-ქულაჯა ეცვა. ცხედრის თავით დადგა და თავი უფრო ჩაჰხარა. უძრაობაში კედარის ცხოველ სვეტს დაედარა“. სხვაგვარად ხატავს მწერალი ალვანელ უფლისწულს: „ალვანელი უფლისწული წლოვანებით ცოტა უფროსი იყო მითრიდატეზე. სიმაღლეში კი უკვე ჩამორჩებოდა შავტუხა, ულვაშკოკორა, წარბგრეხილა, ცხვირკაუჭა:“ ქალურობასა და პატივმოყვარე დედაკაცს შევიცნობთ ლაოდიკე დედოფლის პორტრეტში. მაგრამ მწერალს ყოველთვის ერთად კი არ აქვს თავმოყრილი პორტრეტული ნიშნები, არამედ გაფანტულია სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა ეპიზოდში, სხვადასხვა ამბავში.

მძლავრი მხატვრული სურათია დახატული რომანის იმ თავში, რომელსაც ეწოდება „გზა ოცნებისა და პაექრობისა“. ჭოროხის მიდამოების თვალწარმტაცი ბუნების ფონზე წარმოდგენილია ფიქრი მთლიან საქართველოზე, მის მომავალზე, ქართველთა ტომების გაერთიანებაზე. ყველგან, ყველა ეპიზოდში მწერალი იყენებს მოსწრებულ, მახვილ ისტორიულ დეტალს, რაც მკაფიოდ აცოცხლებს, ხატავს მოვლენებსა და ადამიანებს. იქვეა ფართოდ გამოყენებული ხალხური ლექსები, რომელთაგან ზოგი შეიძლება გაცილებით უფრო გვიან იყოს შექმნილი, ვიდრე რომანში მოთხრობილი ამბები. საგულისხმოა ზოგან ზღაპრულ-საგმირო თხრობის ფორმის გამოყენებაც (მაგალითად, თავში „სულთა ღალობა“). ხალხური სიბრძნე აქვს რომანის ერთ-ერთ პერსონაჟს — მინდიას, ნაწარმოებში აგრეთვე ბევრგან არის ნახმარი ხალხური გამოთქმები, ხალხური სიბრძნის ნიმუშები ან პირდაპირი სახით, ან, შეფერადებულად: „ჩათრევას ჩაყოლა ვამჯობინეთ“, „ჩამოტყუება, ჩანს, მორჩა! ახლა ჩამოთრევა არის საჭირო“.

მძლავრი, შთამბეჭდავი სახეები და შედარებები ბლომად არის რომანში. მაგალითად, „ზევით კლდის ქიმზე არწივები ისხდნენ, მიფარებულ ღრანტეებში კი არწივკაცები“.

ეფექტურია მითრიდატეს მისვლა თავისი ლაშქრით „არმაზ-კერპთან და მისთვის მოზვრის შეწირვის სცენა. მითრიდატემ ხმლის ერთი მოქნევით წააცალა თავი სამსხვერპლოდ გამზადებულ მოზვერს და თავისი ძალით ყველაში განცვიფრება გამოიწვია.

ლ. გოთუას კარგად ეხერხება ბატალური სცენების დახატვა. თითოეული ბატალური სცენა თითქმის ყოველთვის გამოკვეთილად, დასრულებულად არის წარმოდგენილი. დაუვიწყარია მითრიდატესა და ადერკის ბრძოლა მრავალრიცხოვან აორსთა—სკვითთა ლაშქრის წინააღმდეგ, აგრეთვე სპარსელთა წინააღმდეგ. ომის პერიპეტიები ფართოდ არის გაშლილი და შეეხება ბრძოლის ყველა ეპიზოდს; არა ნაკლებ შთამბეჭდავია ნადირობის სცენა.

„მითრიდატეს“ ავტორი საკითხების ღრმა ცოდნით ეხება რელიგიის პრობლემებსაც, რაც მნიშვნელოვანი იყო თავის დროზე. ორგანულადაა შეტანილი ნაწარმოებში რელიგიური რიტუალების სურათები. ცნობილია, რომ იმხანად ქართველთა ტომები კერპთაყვანისმცემლები იყვნენ. ისინი თაყვანს სცემდნენ სხვადასხვა კერპებს — სპეროზას, მითრას, არმაზს, აგრეთვე მზესა და მთვარეს.

რომანში დახატულია მონათა მძიმე შრომის სურათები; დაბეჩავებული ხალხის შვილია ლულუფას აღმზრდელი, მამიდა ნენე—მონა, აგრეთვე მითრიდატეს დედამძუძე თიათიმ-ძიძა. ხალხის ეს წარმომადგენლები ხასიათდებიან გონიერებით, კეთილშობილებით და ერთგულებით.

ლ. გოთუას „მითრიდატეს“ რთული კომპოზიცია აქვს, მოქმედება ფართო გააზრებაშია განვითარებული. აქ საქმე გვაქვს ისტორიული ფაქტების არა უბრალო, მშრალ, ქრონიკალურ ბელეტრიზაციასთან, არამედ ჭეშმარიტ მხატვრულ გახსნასთან. ნაწარმოები ყურადღებას იქცევს ისტორიული სამკაულების პლასტიკური ხატვის სიღრმით და სინათლით. მწერალი გვიჩვენებს ხასიათის ფსიქოლოგიურ თავისებურებას, გრძნობათა სიმდიდრესა და ცვალება-

დობას. ამიტომ ბევრგან არის ნაწარმოებში შინაგანი მონოლოგი.

ლ. გოთუამ გადაგვიშალა განსაკუთრებული მხატვრული სამყარო, გამოამჟღავნა თავისებური დამოკიდებულება სიტყვისადმი, მელოდიური მოძრაობისადმი. იგი სიტყვის ჭეშმარიტი ოსტატია და მის ენას ახასიათებს ინდივიდუალური ნიშნები.

ლ. გოთუას ისტორიულ რომანებსა და მოთხრობებში ენის არქაულ ელემენტებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, ის არის მხატვრული თხრობის აუცილებელი ელემენტი. ამ გზით მწერალი არც თუ იშვიათად აღადგენს ეპოქის ცნებებს, .გემოვნებას, ყოფას,. განწყობილებას. აზრიანად ხმარებული ცალკეული სიტყვები და გამოთქმები, წინადადების ძველებური კონსტრუქციები კარგად გადმოგვცემენ კოლორიტს და ემსახურებიან მოქმედ პირთა დახასიათებას. „გმირთა ვარამში“ არქაიზმები გვხვდება არა მხოლოდ მოქმედ პირთა საუბარში, არამედ თვით ავტორის ენაში. ეს გარემოება სალიტერატურო კრიტიკამ, მკითხველმა საზოგადოებამ დიდად არ მოუწონა ჩვენს მწერალს. როგორც ჩანს, ლევან გოთუამ ეს გარემოება „მითრიდატეში“ გაითვალისწინა და ამიტომაც მასში ისე ხშირად აღარ გვხვდება არქაიზმები, ის მხოლოდ გამონაკლისებია.

მწერალი პერსონაჟს ახასიათებს ამა თუ იმ მოვლენასთან ურთიერთობაში ლირიკულ ინტონაციაში, პეიზაჟთან დაკავშირებით.

„მითრიდატეს“ დამახასიათებელია პეიზაჟის მდიდრად და მრავალფეროვნად გამოყენება. როგორც „გმირთა ვარამში“, ისე ამ უკანასკნელ ნაწარმოებში პეიზაჟს დიდი აზრობრივი დატვირთვა ახასიათებს. იგი არსებითი და აუცილებელია მოქმედებისათვის. კავშირი ბუნებასთან ამდიდრებს, აკეთილშობილებს ადამიანს. ყოველივე ამის გამო შეიძლება ითქვას, რომ ლევან გოთუას რთული პეიზაჟი აქვს. ამ ნაწარმოებებში ძლიერია პოეტური პროზის ელემენტებიც. რომანში იგრძნობა ლირიკული სტიქია. ლირიკული ელემენტი მოჩანს ავტორის პირდაპირ გამონათქვამში, გმირის აზრებსა და გრძნობებთან ავტორის ლირიკული განცდების დაკავშირებაში. შეიძლება ითქვას, რომ ლირიკული ელემენტები ორგანულად და ფართოდ არის შეტანილი რომანის მხატვრულ ქარგაში, რაც ამავე დროს მატარებელია ეპიკური ელემენტების ნიშნისა. „მითრიდატეში“ ვხვდებით თეთრი ლექსის მაგალითებსაც („მითრას კარში“ და სხვ.). საერთოდ ლევან გოთუას პროზას საკმაოდ ახასიათებს განსაკუთრებული გრძნობა რიტმისა, რაც მომდინარეობს მდიდარი, მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ტრადიციებიდან.

ლ. გოთუას საუცხოოდ ეხერხება გარემოს, საგნების აღწერა, რაც უშუალო მონაწილეობას ღებულობს სიუჟეტურ კოლიზიებში.

„მითრიდატეში“ მდიდარ მასალასთან გვაქვს საქმე. მაგრამ ეს უამრავი მასალა ყოველთვის არ იძლევა ნაწარმოების დინამიკური განვითარების საშუალებას. ამიტომ ზოგიერთ ეპიზოდში ეს ვრცელი რომანი მოდუნებულ ხასიათს ღებულობს.

ამ რომანში მრავალი გამართული და მოსწრებული მხატვრული თქმაა წარმოდგენილი, მაგრამ არის გამონაკლისებიც. მაგალითად, „მესაწოლეებსა და მოახლეებს თავჩახრილი ჩურჩულის კორიანტელი ადგათ“ (გვ. 14). თავისთავად ცხადია, თუ „კორიანტელი“ ადგათ, ის უკვე ჩურჩული აღარ იქნებოდა; ან კიდევ „მტკვარი უფრო აბუნდოვანებდა და ამძაფრებდა ლოცვასა და განწყობილებას“ (გვ. 426). ჩვენი აზრით, მტკვარს არ შეეძლო გაბუნდოვანება და გამძაფრება ლოცვისა და განწყობილებისა.

„მითრიდატე“ უეჭველად მოსაწონი მხატვრული ნაწარმოებია. ამ ნაწარმოების მიხედვით მკითხველი შეიგრძნობს მოაზროვნე მწერალს, წარსულის მცოდნესა და ესთეტიკური გზნების მაძიებელს.

მკითხველი დიდი ინტერესით მოელის „მითრიდატეს“ გაგრძელებას, სადაც გაიშლება რომაელებთან დიდი ომების პანორამა.

ᲨᲐᲚᲕᲐ ᲠᲐᲓᲘᲐᲜᲘ

ფასი 80 კაპ.

ИНДЕКС
76128

б 17188

# «МНАТОБИ»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ